

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო  
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი  
NIKO BERDZENISHVILI INSTITUTE  
BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY

ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილება  
Department of History and Archaeology

# ბათუმი წარსული და თანამედროვეობა

## VII

### BATUMI PAST AND PRESENT

---

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის  
მასალები, ბათუმი, 2016 წლის 2-3 სექტემბერი

**Proceedings of the International conference  
Batumi, 2-3 September, 2016**



გამომცემლობა  
„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“  
ბათუმი – 2016

UDC (უკ) 94(479.223-25)(063)+[902+008+39+737+37+338+338.48](479.223)  
ბ-179

*სარედაქციო კოლეგია მადლობას უხდის ქალაქ ბათუმის მერიას  
კონფერენციისა და კრებულის დაფინანსებისათვის*

**სარედაქციო კოლეგია:** ბიჭიკო დიასამიძე (*მთავარი რედაქტორი*), ხათუნა დიასამიძე, ირინა ვარშალომიძე, გიორგი თავამაიშვილი, ოთარ თურმანიძე, ნოდარ კახიძე, გურამ ლორთქიფანიძე (თბილისი), როინ მალაკმაძე, სულხან მამულაძე, ავთანდილ ნიკოლეიშვილი (ქუთაისი), გელა საითიძე (თბილისი), უჩა ოკროპირიძე, შუშანა ფუტკარაძე, ელზა ფუტკარაძე, გურამ ჩაგანავა, მაია ჭიჭილეიშვილი, ნანა ხახუტაიშვილი, ოლეგ ჯიბაშვილი (*პასუხისმგებელი რედაქტორი*).

**რეცენზენტები:** ნინო ინაიშვილი – ისტორიის დოქტორი  
ჯემალ ვარშალომიძე – ისტორიის დოქტორი  
მამია ფაღავა – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

**EDITORIAL BOARD:** Bichiko Diasamidze (*Editor-In-Chief*), Khatuna Diasamidze, Irina Varshalomidze, Giorgi Tavamaishvili, Otar Turmanidze, Nodar Kakhidze, Guram Lortkipanidze (Tbilisi), Roin Malakmadze, Sul Khan Mamuladze, Avtandil Nikoleishvili (Kutaisi), Gela Saitidze (Tbilisi), Ucha Okropiridze, Shushana Phutkaradze, Elza Phutkaradze, Guram Chaganava, Maia Chichileishvili, Nana Khakhutaishvili, **Oleg Jibashvili** (*Responsible Editor*).

**REVIEWERS:** Nino Inaishvili – PhD in History  
Jemal Varshalomidze – PhD in History  
Mamia Pagava – Doctor of Philological Sciences

ISSN 1987-8745

© ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი – 2016

© „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ – 2016

## სარჩევი – Contents

### მისალმებები

#### Welcome Speeches

როინ მეტრეველი – მისასალმებელი სიტყვა	8
Roin Metreveli – Welcome Speech	8

### წყაროთმცოდნეობა, ისტორიოგრაფია

#### Source Studies, Historiography

გია გელაშვილი – კონსულ სტივენსის მოხსენება ბათუმის პორტის ტვირთბრუნვის შესახებ (1893 წ.)	11
Gia Gelashvili – Consul Stevens on the Shipping of the Port Batoum (1893)	20
ოთარ გოგოლიშვილი – ავსტრიელთა სადაზვერვო საქმიანობიდან ბათუმის ოლქში (1913წ)	21
Otar Gogolishvili – The Activity of the Secrete Services of Austria in the District of Batumi (1913)	23
ნოდარ კახიძე – ევგენი ვეიდენბაუმის ცნობები ბათუმის შესახებ (1878 წლის ჩანაწერების მიხედვით)	24
Nodar Kakhidze – The Notes About Batumi by Evgeni Veidenbaum (According to 1878 Recordings)	30
ოთარ ნიკოლეიშვილი – ფრედერიკ გუარაჩინოს „მოგზაურობა ბათუმიდან ართვინამდე“ როგორც დოკუმენტური მასალა ბათუმის ისტორიის შესასწავლად	31
Otar Nikoleishvili – Frederick Guarracino’s “Excursion From Batumi to Artvin” as an Important Historical Document	38
ნონა ნიკაბაძე – მუსტაფა სარის მონოგრაფიის – „ბათუმი თურქეთ-კავკასიის ურთიერთობებში (1917-1921)“ – წარდგენა	39
Nona Nikabadze – The Research of Turkish Historian Mustafa Sari – “Batumi in the Turk-Caucasus Relations (1917-1921)”	42
ზვიად ტყეშელაშვილი – ბათუმში ამერიკის კონსულის ჰეიზგარტნერის მოღვაწეობის შესახებ	44
Zviad Tkeshelashvili – An Archival Document on an USA Consul in Batumi	48
რევაზ უზუნაძე – ბათუმის (თამარის) ციხე	49
Revaz Uzunadze – From the History of the Batumi (Tamari) Castle (XVII-XVIII cc)	56
შუშანა ფუტკარაძე, როინ მალაკმაძე, ნაილა ჩელებაძე, ელზა ფუტკარაძე, თამილა ლომთათიძე, შორენა ფუტკარაძე – ბათუმისა და მისი შემოგარენისათვის ბრძოლა XX საუკუნის 10-იან წლებში (სტამბოლის ქართველთა საგანგში დაცული ავთანდილ ურუშაძის მემუარების მიხედვით)	57
Shushana Putkaradze, Roin Malakmadze, Tamila Lomtadze, Naila Chelebadze, Elza Putkaradze, Shorena Putkaradze – Fighting for Batumi and its Suburbs in the 10-s of the XX th Century (According to the Memoirs by Avtandil Urushadze Preserved Istanbul)	73

## ისტორია History

:	74
<b>Durmishkhan Afkhazava – The Principle of Non-use of Force in International Law: Batumi Phenomenon</b>	77
<b>ირაკლი ბარამიძე – ოსმალთა მიერ ბათუმის ოკუპაცია 1918 წელს</b>	78
<b>Irakli Baramidze – Ottoman Occupation of Batumi in 1918</b>	84
<b>ბიჭიკო დიასამიძე – ქალაქ ბათუმის ხელახალი დაბადება</b>	85
<b>Bichiko Diasamidze – The Rebirth of Batumi City</b>	92
<b>შორენა ვაშაძე, მიხეილ ართმელაძე – ბათუმი და ონკოლოგიური სამსახურის ისტორია</b>	93
<b>Shorena Vashadze, Mikheil Artmeladze – Batumi and Oncology Service History</b>	96
<b>გოდერძი ვაჭრიძე, სულხან კუპრაშვილი – რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკა აჭარაში</b>	97
<b>Goderdzi Vachridze, Sul Khan Kuprashvili – Russian Empire’s Colonial Policy in Adjara</b>	104
<b>ნუგზარ ზოსიძე – 1920 წლის 4-11 ივნისის მოვლენები ბათუმში</b>	105
<b>Nugzar Zosidze – 4-11 June, 1920 Year’s Events in Batumi</b>	115
<b>ოთარ თურმანიძე – ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ისტორია</b>	116
<b>Otar Turmanidze – The History of “Agricultural Society of Batumi”</b>	135
<b>გურამ ლორთქიფანიძე, იაკობ ოფირი-ეპრემაშვილი – ბათუმის ებრაული თემი XIX საუკუნის მეორე ნახევარში</b>	136
<b>Guram Lortkipanidze, Iakob Ophir-Epremashvili – Batumi Jewish Community in the Second Half of XIX Century</b>	142
<b>ნუგზარ მგელაძე, თემურ ტუნაძე – პონტოელ ბერძენთა უკუმიგრაციის ისტორიისათვის (1920-1921 წლები)</b>	144
<b>Nugzar Mgeladze, Temur Tunadze – Reverse Migration of Pontic Greeks from Batumi (1920-1921)</b>	154
<b>მერაბ მეგრელიშვილი – ბათუმი 1917-1921 წლებში</b>	155
<b>Merab Megrelishvili – Batumi Between 1917 and 1921</b>	160
<b>ლიანა ნაკაიძე – პირველი ქართველი მეცენატი მრეწველები – ზუბალაშვილები დიდი აბრეშუმის გზიდან კასპიის დიდ ნავთობამდე</b>	161
<b>Liana Nakaidze – The First Georgian Industrialists – Zubalashvili From The Great Silk Road to the Caspian oil</b>	169
<b>ნანული ნოღაიდელი, თეა თავბერიძე – დვინის მწარმოებელთა დინასტიის წარმომადგენელი პირველი დანელიები ბათუმში</b>	170
<b>Nanuli Noghaideli, Thea Tavberidze – A Representative of the Wine Producer Dynasty The First Danelias in Batumi</b>	175

<b>უნა ოქროპირიძე</b> – კიდევ ერთხელ ბრესტის, მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებების შესახებ	176
<b>Ucha Okropiridze</b> – Once Again, the Brest Treaty, Moscow and Kars	195
-	195
<b>ქეთევან პავლიაშვილი</b> – თურქეთის რელიგიური პოლიტიკის ევოლუცია აჭარაში და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის რეაქცია (XX-XXI საუკუნეების მიჯნა)	196
<b>Ketevan Pavliashvili</b> – Evolution of Turkey’s Religious Policy in Adzharia and Reaction of Georgian Apostolic Church (At the turn of XX-XXI centuries)	203
<b>ლელა სარალიძე</b> – ბათუმის საკითხი ქართულ ემიგრაციულ პრესაში	204
<b>Lela Saralidze</b> – The Issue of Batumi in Georgian Emigration Press	213
<b>რამაზ სურმანიძე</b> – გრაკხი-სციპიონების უკანასკნელი შთამომავალი ბათუმში	214
<b>Ramaz Surmanidze</b> – Grakhi-Scipions’ Last Descendant in Batumi	221
<b>მაია ქარცივაძე</b> – ერთი ინფექციური დაავადების გამომწვევი მიზეზი ბათუმში	222
<b>Maya Kartsidze</b> – One of the Infectious Diseases in Batumi	228
<b>ერდოღან შენოლი (ერეკლე დავითაძე)</b> – რეალური ინფორმაციის ნაკლებობა სამშობლოს მოწვევტილ თურქეთის ქართველთა შორის და თანამემამულთა შრომითი მიგრანტების როლი ბათუმსა და აჭარის სინამდვილეში	229
<b>Erdogan Shenol (Erekle Davitadze)</b> – Lack of Real Information Among Georgians Living in Turkey and Compatriot Worker Migrants Role in Reality of Adjara and Batumi	
<b>დოდო ჭუმბურიძე, ზვიად ტყეშელაშვილი</b> – ბათუმში 1924 წლის აჯანყების ისტორიიდან	239
<b>Dodo Chumburidze, Zviad Tkeshelashvili</b> – Rebellion of 1924 in Batumi	250
<b>ოლეგ ჯიბაშვილი, ხათუნა დიასამიძე</b> – 1878 წლის აგვისტოს დღეები ბათუმში	251
<b>Oleg Jibashvili, Khatuna Diasamidze</b> – August Days of 1878 in Batumi	257
<b>არქეოლოგია, ნუმიზმატიკა</b>	
<b>Archeology, Numismatics</b>	
<b>ირინა ვარშალომიძე</b> – ბიზანტიური მონეტა ბათუმის შემოგარენიდან	258
<b>Irine Varshalomidze</b> – Byzantine Coin from Batumi Area	260
<b>მირანდა თურმანიძე</b> – ქარვის მძივ-საკიდები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ანტიკური ხანის სამარხებიდან	261
<b>Miranda Turmanidze</b> – Amber Beads of the Antique Period From the South-Western Sites of Georgia	270
<b>სულხან მამულაძე, კახაბერ ქამადაძე</b> – რომაული სამყარო და აკულტურაციის პროცესები სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გონიო-აფსაროსის მაგალითზე	272

<b>Sulkhan Mamuladze, Kakhaber Kamadadze – Roman World and Acculturation Processes in South-East Black Sea in Gonio Apsarus Example</b>	278
<b>გურამ ჩხატარაშვილი – ქვის ხანის საბრძოლო და სამეურნეო დანიშნულების იარაღები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან</b>	279
<b>Guram Chkhatarashvili – Stone Age Weapons and Agricultural Tools from South-western Georgia</b>	286
<b>ეთნოლოგია, ფოლკლორისტიკა, ტოპონიმია</b>	
<b>Ethnology, Folkloristics, Toponymics</b>	
<b>ნარგიზ ახვლედიანი – ისევ ერთი ტოპონიმისათვის ბათუმის შემოგარენში</b>	287
-	294
<b>ნაილე მიქელაძე – ფოლკლორული რეალიები ხალხის მეხსიერებაში</b>	296
<b>Naile Mikeladze – Folklore Actualities in People's Memory</b>	301
<b>მაია ჭიჭილეიშვილი – ძველი ბათუმის ქუჩების განაშენიანება (მემედ აბაშიძის გამზირი)</b>	302
<b>Maia Chichileishvili – Arrangement of the Streets in Old Batumi (Memed Abashidze Avenue)</b>	313
<b>განათლება, კულტურა</b>	
<b>Education, Culture</b>	
<b>რომან აბაშიძე – სასკოლო განათლების სისტემის ფორმირების აქტუალური საკითხები აჭარაში 1878-1921 წწ.</b>	318
<b>Roman Abashidze – Current Issues of School Education System Formation in Ajara in 1878-1921</b>	329
<b>იზოლდა ბელთაძე – ბათუმის თეატრის მემატრიანე მერაბ (მურად) ხინიკაძე (ცხოვრებისეული ეპიზოდები)</b>	330
<b>Izolda Beltadze – Batumi Theater Chronicler Merab (Murad) Khinikadze</b>	336
<b>ციცინო გაბესკირია – ბათუმი და ზღვის თემატიკა ვიქტორ გაბესკირიას პოეზიაში</b>	337
<b>Tsitsino Gabeskiria – Batumi and Sea Motifs in Victor Gabeskiria's Poetry</b>	344
<b>თამარ გოგოლაძე – კ. თავართქილაძე და ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიიდან ბათუმში</b>	345
<b>Tamar Gogoladze – K. Thavartkiladze and From the History of Publishing Georgian Books in Batumi</b>	350
<b>ნანი გუგუნავა – ეროვნული სკოლა აჭარაში და გლობალიზაცია</b>	351
<b>Nani Gugunava – National School in Ajara and Globalization</b>	357
<b>ინგა ზოიძე – აჭარა ორი რაკურსით, მასმედიის ნარატივის მიხედვით</b>	358
<b>Inga Zoidze – Ajara with Two Angles, According to Mass Media Narrative</b>	360
<b>შოთა ზოიძე – ბათუმი ქართულ პოეზიაში</b>	361
<b>Shota Zoidze – Batumi in Georgian Poetry</b>	367

<b>მარიამ კობერიძე</b> – ბათუმის ქალთა სასწავლებლები (XIX საუკუნის მეორე ნახევარი – XX საუკუნის დასაწყისი)	368
<b>Mariam Koberidze</b> – Batumi Women’s Educational Institutions (Second Part of XIX Century – Beginingof XX century)	374
<b>ავთანდილ ნიკოლეიშვილი</b> – 1921 წლის თებერვალ-მარტის ბათუმური მოვლენები ქართულ მწერლობაში	375
<b>Avtandil Nikoleishvili</b> – Batumi Events of February-March of 1921 in Georgian Literature	386
<b>თინა შიოშვილი</b> – საქართველო და ბათუმი კლარჯულ ხალხურ პოეზიაში	387
<b>Tina Shioshvili</b> – Georgia and Batumi in the Folk of Klarjeti’s Poetry	392
<b>ეკონომიკა, ტურიზმი</b>	
<b>Economics, Turism</b>	
<b>მაია აზმაიფარაშვილი</b> – ტურიზმი და გარემოსდაცვითი პრობლემები აჭარაში	393
<b>Maia Azmaiparashvili</b> –Tourism and Environmental Problems in the Adjara	400
<b>გიული გიგუაშვილი</b> – სოფლის მეურნეობის განვითარების ისტორიული და თანამედროვე ასპექტები აჭარაში	401
<b>Giuli Giguashvili</b> – Historical and Modern Aspects of Agricultural Development in Ajara	411
<b>პაატა გიორგაძე</b> – საქართველოს სასმელი წყლის რესურსების კონკურენტუნარიანი ეკონომეტრია და მისი გამოყენება ქვეყნის სწრაფი განვითარებისათვის	412
<b>Paata Giorgadze</b> – Georgian Drinking Water Resources and the Use of the Country’s Rapid Development of Competitive Econometrics	418
<b>თემურ ზოიძე</b> – ბათუმის ისტორიულ-დოკუმენტური, ლიტერატურული რესურსები და ტურისტული მარშრუტები	419
<b>Temur Zoidze</b> – Batumi Historical Documentary, Literary Resources and Tourist Routes	424
<b>ნოდარ ჩხეიძე, გიორგი ბერძენაშვილი, ზაურ ციხელაშვილი</b> – ბათუმის ზღვის სანაპირო ზოლის ნაპირდამცავი მცურავი მოწყობილობის გამოყენების თეორიული საფუძვლები და პრაქტიკული რეალიზაციის გზები	425
<b>Nodar Chkeidze, Giorgi Berdzenashvili, Zaur Tsikhelashvili</b> – Using of Batumi Coast Defenses Floating Device, its Theoretical Fundamentals and Practical Implement Ways	478
<b>კრებულის ავტორები</b> – <b>Authors of the Articles</b>	449

## მისასალმებელი სიტყვა

ბატონებო, ქალბატონებო,

ძვირფასო კოლეგებო,

გულწრფელად მივესალმები საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქის – ბათუმის ისტორიის, დღევანდელი მდგომარეობისა და მომავლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მონაწილეებს; მივესალმები ყველა ბათუმელს ქალაქის დღეობის აღნიშვნასთან დაკავშირებით.

უპირველესად, მინდა აღვნიშნო ზოგადად აჭარის და კერძოდ ბათუმის მეცნიერთა პროფესიონალიზმი, მათი სამეცნიერო პროდუქციის მაღალი დონე, აქტიური საქმიანობა და ის მნიშვნელოვანი წვლილი, რომელიც მათ რეალურად შეაქვთ ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის, ასევე, ისტორიის სხვა დამხმარე დარგების განვითარებაში.

ბათუმი დღეს მსოფლიოში ცნობილი ქალაქია, აღიარებულია თავისი მაღალი კულტურით; მნიშვნელოვანია, როგორც სატურისტო ადგილი, მნიშვნელოვანია, როგორც ნავსადგური.

ბათუმის დასახსნა-საშენებლო, რათა სრულყოფილი წარმოდგენა გვქონდეს აჭარის დედაქალაქზე (მოგეხსენებათ, რომ ამ ფუნქციას იგი 1921 წლიდან ასრულებს), აუცილებელია მისი წარსულის, მდიდარი ისტორიის გათვალისწინება. სწორედ აღნიშნული პრობლემების განხილვას ეძღვნება დღევანდელი ჩვენი კონფერენცია. ბათუმსა და მის მიდამოებში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა აშკარად დასტურია იმისა, რომ ეს მიდამოები (ტერიტორია) ადრე ანტიკურ ხანაში, II-I ათასწლეულის მიჯნაზე, კარგად იყო დასახლებული და ათვისებული. შემთხვევითი არ არის, რომ ბათუმს მოიხსენიებდა ჯერ დიდი არისტოტელე, შემდეგ პლინიუსი, არიანე და სხვა ბერძენი და რომაელი ავტორები.

რაოდენ მნიშვნელოვანია, რომ მეორე საუკუნეში, რომის იმპერატორ ადრიანეს დროს ბათუმში ბერძნული სამხედრო ნაწილი იდგა. ასევე, დაწინაურებულია ბათუმი ფეოდალურ ხანაში (სწორედ ამ დროს - XI საუკუნეში აიგო ე. წ. „თამარის ციხე“). ნიშანდობლივია, რომ იგი ქალაქად მოიხსენიებოდა (ამბროზიო კონტარინი).

საოცრად მდიდარი და მრავალმხრივია ბათუმის ისტორიული წარსული XIV საუკუნის დასაწყისში. იგი ბედიანების (ოდიშის მთავრების) გამგებლობაში იყო; საქართველოს სამეფო-სამთავროდ



დაშლის შემდეგ გურიელების სამფლობელო გახდა. XVI საუკუნის შუა წლებში ოსმალებმა დაიკავეს. ბერლინის ტრაქტატით, 1878 წელს, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. მნიშვნელოვანი იყო ბათუმის ნავსადგურის პორტო-ფრანკოდ (უცხოური საქონლის შემოტანა-გატანის უფლება) გამოცხადება. საეტაპო მოვლენა იყო 1883 წელს ბაქო-ბათუმის რკინიგზის გაყვანა.

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში ბათუმი რევოლუციური მოძრაობის მნიშვნელოვანი ცენტრი იყო.

XX საუკუნის პირველი ოცწლეული ძალიან მძიმე იყო ბათუმის ცხოვრებაში. ქალაქი ხან ოსმალთა, ხან ინგლისელთა გაკლენის ქვეშაა. 1921 წლიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქია.

ბათუმის წარსული ზოგადად მდიდარი ისტორიისა და დიდი ტრადიციების მქონე აჭარის ორგანული ნაწილია. საამაყოა, რომ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელება აჭარიდან იწყება. აქედან დაიწყო ქრისტეს მოციქულის ანდრია პირველწოდებულის გზა საქართველოში. სწორედ აჭარა იყო პირველი მხარე საქართველოსი, რომლის მოსახლეობაც ქრისტიანობას ეზიარა. VIII საუკუნიდან „ქართველთა სამეფოს“ – საბაგრატიონოს ნაწილად იქცა. 941 წლიდან დასავლეთ საქართველოს სამეფოში შევიდა. საუკუნეების მანძილზე იგი ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში იყო. საყოველთაოდ ცნობილია, რომ XVI ს-ის 70-იან წლებში აჭარა ოსმალთა ბატონობის ქვეშ მოექცა. ოსმალთა ხანგრძლივი ბატონობის მიუხედავად, აჭარამ შეინარჩუნა თავისი ეროვნული სახე. ნიშანდობლივია, რომ ამ კუთხემ ბევრი ღირსეული შვილი მისცა საქართველოს, ადამიანები, რომლებიც ერთგულად ემსახურებოდნენ ქვეყანას, ნერგავდნენ ადამიანთა შორის სიყვარულს – თავს ევლებოდნენ აჭარის ერთიან საქართველოსთან ორგანული კავშირის იდეას. დიდების შარავანდედითაა მოსილი აბუსერიძე ტბელის სახე. იგი თამამად შეიძლება დასახელდეს ამ პერიოდის მსოფლიო მასშტაბის დიდ მოღვაწეთა შორის. სხვა მოღვაწეებს არ ჩამოვთვლი. მინდა ერთი მოვლენის შესახებ შეგახსენოთ. ხიხათა ერისთავის აბუსერ აბუსერიძეს (იგი იყო შვილი ივანე ხიხათა ერისთავის და ძმა ვარდანისა) უთხოვია საქართველოს კათოლიკოს პატრიარქ არსენისათვის (ბულმაისიმის ძე) საგალობლის შექმნა (არსენი ჰიმნოგრაფი იყო). არსენმა თავმდაბლად მიმართა აბუსერს, რომ ამ თხოვნის შესრულება ძნელი იყო, რადგან მიაჩნდა, რომ „ყოველი წერილი ძეგლი არს მეტყველი, გამომაჩინებელი აღმწერლისა საუკუნოდ, რომელსამე საქებად ყოფად, ხოლო სხვისა განქიქებად უმეცრებისა“.

აბუსერისადმი განსაკუთრებული სიყვარულის გამო დათანხმდა არსენი ამ თხოვნაზე: „დიდ არს ძალი სიყვარულისა, რომელი მორ-

ჩილ ჰყოფს გონებასა, შეკადრებად შეუკადრებელთაცა”. ფრიად მნიშვნელოვანი პარადიგმული დებულებაა.

აჭარას, ბათუმს შეუძლია იამაყოს თავისი წარსულით, იამაყოს დღევანდელი დღით. არ არის შემთხვევითი, რომ აჭარის დედაქალაქი უხვად და ლამაზადაა შემკობილი ჩვენი მწერლობის მიერ. მინდა წარმატებები ვუსურვო მეცნიერების და კულტურის მოღვაწეებს, რომლებიც თავისი დღევანდელი მაღალი დონით გზას უკვალავენ ფართო საზოგადოების კულტურულ ცხოვრებას.

„საქართველო გაბრწყინდება“ – არა ერთგზის აღნიშნავს თავის ქადაგებებში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში და გულწრფელად ვუსურვებთ ქალაქ ბათუმს, აჭარლებს წარმატებებს ქვეყნის აღმშენებლობაში და მნიშვნელოვან ადგილს გაბრწყინებულ საქართველოში.

გია გელაშვილი  
(საქართველო, თბილისი)

## ქონსულ სტივენსის მოხსენება ბათუმის პორტის ტვირთბრუნვის შესახებ (1893 წ.)

ქონსული სტივენსი გრაფ კიმბერლის.  
ბათუმი, მარტის 31, 1894 წელი.

მილორდ, მაქვს პატივი, გამოგიგზავნოთ ჩემი მოხსენება (ანგარიში) ამ საკონსულო მხარის 1893 წლის ვაჭრობის შესახებ, რომელიც 31 დეკემბერს დასრულდა. ამას ვურთავ აგრეთვე ნოვოროსიისკისა და ფოთის ვიცეკონსულების მოხსენებებს მათდამი ქვემდებარე ნავსადგურების იმავე პერიოდის კომერციის შესახებ, რომლებმაც, გარკვეული სიძნელეების გამო, საჭირო სტატისტიკური მონაცემები ახლახან მომაწოდეს.

მოხსენება 1893 წელს ბათუმის საკონსულო მხარეში წარმოებულ ვაჭრობისა და კომერციის შესახებ.

შინაარსი:

შესავალი .....	გვ. 2
ზოგადი სურათი.....	2
ოდენობა ნავთობით მზარდი ვაჭრობის .....	2
სატრანსპორტო ტარიფის შემცირება.....	3
ბრიტანული გადაზიდვები.....	3
ციტერნიანი ხომალდების ახალი ტიპი.....	3
საერთო გადაზიდვები.....	3
გადაზიდვების შემცირების სავარაუდო მიზეზი.....	3
საპორტო სამუშაოები.....	4
ექსპორტი .....	5
ნავთობის გადაზიდვა.....	5
ძირტკბილას ფესვები და პასტა.....	5
მარგანცის საბადო .....	5
ექსპორტები ამერიკაში .....	5
იმპორტები.....	6
თუნუქის ფირფიტები.....	6
ქვანახშირი.....	6

ხე-ტყე.....6  
 ხე-ტყის წარმომავლობა.....6  
 ტრანს-კასპიური პროდუქციის ტრანზიტის შემცირება.....7  
 საქონლის გადაზიდვის მოხერხებულობა ახლად გახსნილი  
 სარკინიგზო ხაზით პეტროვსკსა და ბესლანს შორის.....7  
 გროზნოს მახლობლად ნავთობის საბადოთა აღმოჩენა.....7<sup>1</sup>

**ძირითადი მინიშნებები.** თუ ვიმსჯელებთ საერთო სურათით, რაც ამ მოხსენებას ერთვის, ბათუმის ვაჭრობა გასულ წელს მთლიანობაში წარმოგვიდგება სავსებით აყვავებულ მდგომარეობაში – ექსპორტი ნაწილობრივ გაიზარდა, ხოლო იმპორტის ვარდნა უმნიშვნელო იყო.

ნავთობის ინდუსტრია წარმოადგენს სინამდვილეში ბათუმის ვაჭრობის ხერხემალს, რომელსაც ეყრდნობა სხვა საქმიანობა და მეტ-ნაკლებადაა მასზე დამოკიდებული. იმ პერიოდში, როცა იყო არაჯანსაღი მდგომარეობა ამ ინდუსტრიაში, ძირითადი ვითარება, არცთუ მცირე ხელშეწყობით, დაქვეითების ტენდენციას ამჟღავნებდა კომერციის ყველა განხრით.

ბევრი მცდელობა იყო, რათა განხორციელებულიყო ურთიერთგაგება ნავთობის მწარმოებელთა შორის, ნავთობის დამწმენდთა (რაფინერთა) და სხვა პირებს შორის, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ მინერალური ზეთის ვაჭრობით. მაგრამ არსებულ ვითარებაში არავითარი გაუმჯობესება არ მოჰყოლია. ეს ალბათ გამოწვეული იყო იმ დაპირისპირებითა და პარტიულობით, რომელშიც ჩართული იყვნენ ნავთობის ინდუსტრიაში დაკავებული სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები და მთავრობაც. აგრეთვე არ არსებობდა ზუსტი საზომები, რათა მიეცეს წარმოებას საჭირო სტაბილურობა საგარეო არაკეთილსაიმედო პირობების დასაძლევად. ამის მიუხედავად, იმედოვნებდნენ, რომ უამრავი შეხვედრები, რომლებიც ტარდებოდა რუსეთის დედაქალაქში წარსულ და მიმდინარე წლებში, ჩამოაყალიბებდა კავშირს, სულ ცოტა, ნავთობის მრეწველთა 85%-სას; ესენი ერთობლივად შეძლებდნენ ინდუსტრიისა და ვაჭრობის წარმატებით რეგულირებას და კონტროლს, იმდენად, რომ ჩააყენებდნენ საქმეს სავსებით სარგებლიან მდგომარეობაში და გაუწევდნენ კონკურენციას ატლანტიკის გადაღმა მეოფ ექსპორტიორებს, რომლებიც მყარად იცავენ თავიანთ საფუძველს – დააკმაყოფილონ მსოფლიოს ბაზრების მოთხოვნები. თუკი ასეთი შეთანხმება მიიღწევა, მთავრობა თვითონ შეამცირებს ტარიფს, რომელიც ამჟამადაა დადგენილი ნავთობის გადაზიდვაზე რკინიგზით კასპიიდან შავ ზღვამდე; ასევე შესაძლებე-

<sup>1</sup>შემდეგ მოდის ნოვოროსიისკისა და ფოთის ნავსადგურთა სავაჭრო ვითარება, რასაც ვტოვებთ – გ.გ.

ლია, რომ მოგვიანებით განხორციელდეს ზოგი დამატებითი დათმობაც ვაჭრობის სასარგებლოდ.

ზოგი სხვა მთარული ხმებიც ისმის ამ მოხსენებასთან დაკავშირებით, მაგრამ სანამ უფრო პოზიტიური ინფორმაცია არ გამოჩნდება, სხვას აქ მეტს ვერ შემოვთავაზებთ.

**ბრიტანული ტვირთზიდვა.** გასული წლის მანძილზე ბათუმის ნავსადგურში შევიდა 263 ბრიტანული ორთქლის გემი 400.836 ტონაჟით; 1892 წელთან შედარებით აღინიშნა 14 ხომალდის ნაკლებობა. ასევე ჩამოიცილა 266 ბრიტანული ხომალდი 405.988 ტონაჟის, ანუ ერთი გემით ნაკლები, ვიდრე 1892 წელს. თუმცა გემების რიცხვის ნაკლებობა გათანაბრდა ტონაჟის გაზრდით, რაც ნათლად მეტყველებს, რომ ამ ნავსადგურის საზღვაო ვაჭრობამ გასულ წელს მიიზიდა ხომალდთა უფრო დიდი რაოდენობა. მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რაც იმსახურებს ყურადღებას, ახლახან სასურველად წარმოადგინა ლონდონის ფირმამ – ნავთობით ვაჭრობა ბათუმიდან აღმოსავლეთის პორტებთან, სუეცის არხის ჩათვლით: ესაა ახალი ტიპის ცისტერნ-გემები, რომელთაც გადააქვთ ნავთობი. მას შემდეგ, რაც შედარებით სწრაფად და მცირე დანახარჯებით საგულდაგულოდ გამოასუფთავენ თავის ცისტერნებს ხელოვნური განიავეებით ორთქლის ძალით და ქიმიური დამუშავებით, ეს იძლევა საშუალებას, სახლში დაბრუნებისას ჩატვირთონ ჩაი, ყავა, ბრინჯი და სხვა მალფუჭებადი საქონელი, რაც კარგ მდგომარეობაში გადააქვთ ხმელთაშუა, კონტინენტურ და გაერთიანებული სამეფოს პორტებში. სხვადასხვა ქვეყნების გემების სრული რაოდენობა, რომლებიც 1893 წელს ბათუმის პორტში შევიდნენ, საკაბოტაჟო ვაჭრობისთვის დაქირავებული რუსული ხომალდების ჩათვლით, შეადგენდა 1.095-ს, საერთო ტონაჟით 1.147.948-ს; აგრეთვე ჩამოიცილა 1.101 ხომალდი 1.133.116 ტონით. წინა წელთან შედარებით 59-ით ნაკლები ხომალდი შემოვიდა და 7-ით ნაკლები ჩამოიცილა; ასევე უნდა აღვნიშნოთ 12 ნორვეგიული გემის გამოკლება. გემების უმრავლესობა, რომლებიც გასულ წელს ესტუმრნენ ბათუმს, დაიტვირთნენ ნავთობის სხვადასხვა სახეობით გაერთიანებული სამეფოსთვის, საფრანგეთის, ბელგიის, გერმანიის, იტალიის, ავსტრიის, ესპანეთის, რუმინეთის და იაპონიისათვის. სანათი ზეთები ყუთებში – თურქეთის, საბერძნეთის, ეგვიპტის, ინდოეთის, იავას, ჩინეთის და იაპონიისთვის. მხოლოდ მცირე ნაწილს გადააქვს ძირითადი საქონელი გაერთიანებულ სამეფოსა და კონტინენტურ პორტებში. 1893 წლის ტვირთბრუნვის შემოსავალი ალბათ საკმაოდ შემცირდა ბათუმში შესვლა-გასვლის თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, რომ რუსული ორთქლის ნავიგაცია და სავაჭრო კომპანია, საზღვაო მისია, საფოს-

ტო კომპანია, ავსტრიული ლოიდი<sup>2</sup> და პან-ელინური კომპანია განაგრძობდნენ თავის რეგულარულ საკვირაო და ორკვირიან მომსახურებას გემებით ანატოლიის სანაპიროს გასწვრივ მთელი წლის მანძილზე. თუმცა, სამწუხაროდ, კავკასიაში ქოლერის გავრცელებამ და უაზროდ მკაცრმა საკარანტინო გათვლებმა, რომლითაც თურქი მმართველები დააწინაურებდნენ ბათუმიდან შესვლას, ამან შემთხვევით დააკარგინა გემებს დიდი დრო და ეს კომპანიები იძულებული გახდნენ კონსტანტინოპოლი გაეხადათ თავიანთი გემების ბოლო სადგომი პუნქტად და უბრძანეს მათ უკან ხმელთაშუა ზღვაში გასვლა, შავ ზღვაში გზის გაგრძელების მაგიერ. ძალზე ცოტა, ან არაფერი გაკეთდა წლის მანძილზე ნავსადგურის გარეგანი სახის გასაუმჯობესებლად; დიდი სურვილი შესაფერისი გემსაბმელისა ჯერაც ძალზე იგრძნობა ჩატვირთვისას. შიდა ნავსადგური ზოგიერთ ადგილას ჩაადრმავეს დაახლოებით 22 ფუტამდე; ასევე ნელია წინსვლა ტალღათმჭრელის დაგრძელებასთან დაკავშირებით ნავსადგურის შესასვლელთან. უკანასკნელ შემთხვევაში საკმაო სიძნელეები წარმოიქმნება წყლის საბოლოო სიღრმესთან იმ ადგილას, ხოლო ქვის წყობის სამუშაო შედეგს მიაღწევს მხოლოდ ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით იმავე შეფარდებით როგორც ჯებირის ბოლოა მდინარე ჭოროხის დინების მიერ ჩამოტანილი ნატანით დასილული. მთავრობამ ასევე დაამტკიცა 75.000 ფუნტი საკაბოტაჟო გემებისთვის ნავსაყუდელის ასაგებად.

**ექსპორტი.** ბათუმიდან ექსპორტი მთლიანად გაიზარდა 109.612 ტონით, შეფასებული 191.412 ფუნტად; მხოლოდ ნავთობის პროდუქტები გაიზარდა 112.252 ტონით. საერთო ოდენობა მინერალური ნავთობის პროდუქტების, რომლებიც შევიდა (ჩამოიტვირთა) ბათუმში 1893 წელს, შეადგენდა 1.043.581 ტონას. ის მოიცავდა 25.826 ტონა ნედლ ნავთობს, 92.052 საპოხ ზეთს, 149.391 ტონა სანათებელ ზეთს (გამოხდილ – დისტილატს) და 776.312 ტონა გაწმენდილ ნავთობს, ანუ ნავთს. ამ რაოდენობიდან 152.095 ტონა გაიგზავნა გაერთიანებულ სამეფოში, 164.892 ტონა – ინდოეთში, 3.055 ტონა მალტაში, 123.996 ტონა – ავსტრო-უნგრეთში, 78.895 ტონა იავაზე, 57.803 ტონა – ბელგიაში, 55.826 ტ.–საფრანგეთში; დარჩენილი დაახლოებით 39.000 ტონა – სხვადასხვა ქვეყნებში, რაც ნაჩვენებია ამ მოხსენებას დართულ დიაგრამაზე.

**ბრიტანეთის წილი.** დიდმა ბრიტანეთმა 1893 წელს გაიტანა 2.069 ტონით მეტი რუსული ნედლი ნავთობი, ვიდრე 1892 წელს; 14.095 ტონით მეტი საპოხი ნავთობი (ზეთი), 4.891 ტონით ნაკლები გაწმენდილი

<sup>2</sup> ლოიდი – საზღვაო სადაზღვევო და რეგისტრატურის სააგენტო – გ.გ.

და 17.061 ტონით ნაკლები ნავთი. ასევე 10.675 ტონით მეტი ნავთი გაიგზავნა ბათუმიდან ინდოეთში 1892 წელს. 1893 წელს რუსეთისთვის ბათუმში ჩამოიზიდა 19.422 ტონით მეტი ნავთობის პროდუქტები 1892 წლის ფასებთან შედარებით.

**ნავთი.** გასულ წელს საფრანგეთში რუსულ ნავთობზე იმპორტის შემცირების მიუხედავად, ექსპორტი ბათუმიდან ამ ქვეყანაში გაიზარდა 15.581 ტონით. გერმანიამ და თურქეთმა წაიღეს ნაკლები, ვიდრე 1892 წელს; კავკასიური ნავთობის პროდუქტებზე მოთხოვნილება სხვა ქვეყნებში დაახლოებით იგივე იყო, რაც 1892 წელს. ბათუმიდან გაგზავნილი ნავთის რაოდენობამ შეადგინა 414.973 ტონა; ბარელებით (კასრით) გაგზავნილმა – 20.831 ტონა. ხოლო დარჩენილი 607.727 ტონა გაიგზავნა ტვირთის სახით.

**ძირტკბილა.** ძირტკბილას ფესვებით ვაჭრობა ამერიკასთან, ჩანს, მყარად იზრდება. ფესვებისა და პასტის რაოდენობიდან, რაც 1893 წელს გაიგზავნა ბათუმიდან, შეერთებულ შტატებს გამოეყო 16.720 ტონა, ნაშთად დარჩენილი 1.196 ტონა კი – ინგლისსა და საფრანგეთს. ბოლოს დასახელებული რაოდენობიდან პასტა შეადგენდა მხოლოდ 300 ტონას, დანარჩენი კი იყო დაპრესილი ფესვები. ჭარბწარმოებამ კრიზისი მეტ-ნაკლებად მოუტანა ამ ვაჭრობას. წლის ბოლოს გლახობას ფესვების ყოველ ტონაში, რომელიც დამუშავებული იყო ბაქოსა და ელიზავეტპოლის გუბერნიებში, უხდიდნენ დაახლოებით 14 s (შილინგს?) და 7d (დოლარს?). შედეგი ის იყო, რომ ცოტას ან არავითარ ფესვებს არ აგროვებდნენ ადგილობრივები და მე მივხვდი, რომ დიდი ოდენობით დაპრესილი ფესვების მიუხედავად, სამიდან ორი ფესვების დამპრესავი საწარმო კავკასიაში ნაწილობრივ უქმად იდგა გასულ წელს.

**მარგანეცის საბადო.** გასულ წელს მარგანეცის საექსპორტო ვაჭრობამ ვერ მოიტანა საკმაო მოგება შორაპნის სარკინიგზო შტოს დასრულებით, რომელიც აერთებდა საბადოებს ამიერკავკასიის მთავარ სარკინიგზო ხაზთან. განშტოება აიგო ცუდად და ამჟამად არ არის კარგ სამუშაო მდგომარეობაში. მისი ნაწილი, როგორცაა ხიდები და მიწაყრილები, მუდმივად ირეცხება ხშირი ღვარებისგან, რაც ამ მხარეში ხდება და ასევე არსებული მოძრავი შემადგენლობა არაა საკმარისი სავაჭრო მოთხოვნებისთვის. აქედან გამომდინარე, საბადოთა პატრონებმა ვერ ისარგებლეს საჭირო ოდენობით და მნიშვნელოვანი რაოდენობა მადნისა ჯერაც ჩააქვთ ტვირთშიზიდავი ცხენებით მთავარ სარკინიგზო ხაზამდე.

**ამერიკის ვაჭრობა.** რაც შეეხება ამიერ-კავკასიიდან ამერიკაში ექსპორტს, თუ ავიღებთ ყოველწლიურ მეტ შეფარდებას, მე ქვემოთ მოვიტანე ცალკეული მონაცემი სხვადასხვა საქონლის ოდენობის შესახებ მათ მიახლოებით ფასებთან ერთად, რომლებიც გავიდნენ შავი ზღვის აღმოსავლეთ პორტებიდან 1893 წელს ატლანტიკის გადასერვით:

საქონელი	რაოდენობა ტონა	ფასი ფუნტი სტერლინგი
ძირტკილას ფესვები	16.720	125.520
მარგანეცი ბათუმიდან	1.178	3.075
–“– ფოთიდან	30.422	77.158
ხორასნული მატყლი (შალი)	581	33.585
თურქესტანის –“–	338	15.114
–“– –“– –“–	9	327
ნოხები		96
პირადი ქონება		207
სულ	49.248	255.082

**თეთრი თუნუქი.** 1893 წელს სუონსიდან ბათუმში შემოტანილი (იმპორტირებული) თუნუქის ოდენობა გვიჩვენებს 3.796 ტონით ვარდნას; ასევე ქვანახშირის ფასმაც განიცადა შემდგომი კლება. მხოლოდ 1.208 ტონა მოხმარდა სხვადასხვა სახის ნავთობისა და ყუთების (კონტინერების) იმპორტს წლის მანძილზე.

**ნახშირი.** გასულ ზამთარში ბათუმში კვლავ განიცადეს ნახშირის ნაკლებობა. ჯერაც იხდიან უზარმაზარ ფასებს ნახშირში შიდა მოხმარებისთვის, რაც გამოწვეულია რუსული მაღაროების არასაკმარისობით, რაზედაცაა დამოკიდებული შავი ზღვის პორტების მომარაგება. დიდი სიკეთე იქნება ქალაქისა და მისი შემოგარენი მხარის მაცხოვრებლებისათვის, თუ ბევრჯერ ნახსენები შემცირება იმპორტისა ამჟამად მოქმედ საგარეო ქვანახშირზე იქნებოდა დადგენილი მთავრობის მიერ. სამწუხაროდ, გაელენიანი ჯგუფი, რომელიც უმთავრესად შედგებოდა იმ მაღაროთა მეპატრონეებისგან, რომლებიც მოიპოვებდნენ ქვანახშირს ბამუტისა და ღონის აუზებში, საიდანაც შავი ზღვის აღმოსავლეთი პორტები ახლა მარაგდებიან, [ეს ჯგუფი] იმდენად ეწინააღმდეგება ახალი საფასის შემოღებას, რომ იქმნება საფრთხე, რომ უკიდურესად ეცდებიან არ დაუშვან ამის მიღება. კავკასიის მაღაროები ტყიბულთან წლის განმავლობაში დარჩა გამოუყენებელი ფულის საჭიროების გამო. მაგრამ მთავრობამ ავანსად გასცა



30.000 L, რათა მაღაროთა მესაკუთრეებს იმ მხარეში შესძლებოდათ განეახლებინათ სამუშაოს წარმოება.

**ხე-ტყის მასალა.** მიუხედავად მოვალეობისა დახერხილ ხე-ტყეზე, რაც გაიზარდა 1893 წლის დასაწყისში, შეთანხმების რაოდენობა გასულ წელს დუნაიდან შემოტანილ სანავთობე ყუთების წარმოებასთან დაკავშირებით, გვიზღვეს არა დაცემას, არამედ, ფაქტიურ მატებას 2.900 ტონით. ამ ფიცრების უდიდესი ნაწილი რუმინული ხე-ტყისგან არაა დამუშავებული, არამედ ავსტრიულია და შემოდის კარპატების ავსტრიული ან უნგრული მხარიდან. მორები ტივებად იკვრება და ეშვებიან დუნაიზე გალიციამდე, სადაც არის ვრცელი სამხერხაოები, რომელთაგან მთავარი ავსტრიულ ფირმას ეკუთვნოდა; იგი შემდეგ გადაკეთდა რუმინულ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიად. ზაფხულობით გადაზიდვა წარმოებს გალიციიდან, ხოლო დუნაიზე ნავიგაციის დაკეტვისას, ისინი იგზავნება სულინაში (Sulina), სადაც, როგორც მაცნობეს, ასევე მოქმედებენ სამხერხაოები.

როგორც ჩანს, მაინც ნავთობი გეხვედება დიდი სიჭარბით ახლახან გახსნილ (ხელმისაწვდომ) რეგიონში, რომელიც ემუქრება ბაქოს, რომ გახდეს მისი მრისხანე კონკურენტი; კერძოდ, ტრანსპორტის ხარჯი ვლადიკავკაზის რკინიგზით როსტოვამდე და ნოვოროსიისკამდე მნიშვნელოვნად იაფი დაჯდება, ვიდრე ბაქოდან ბათუმამდე. შედეგად რუსეთს ექნება დიდი წილი მიწოდება-მომარაგებაში ახალი წყაროს მეშვეობით.

საექსპორტო ძირითადი საქონლის ბრუნვა ბათუმიდან  
1893-92 წლებში

საქონელი	1893		1892	
	რაოდენობა, ტონა	ფასი, ფუნტი	რაოდენობა, ტონა	ფასი, ფუნტი
ნავთობის პროდუქტები	1.043.580	3.652.530	931.328	3.401.260
შალი (მატყელი)	4.965	289.070	3.086	130.058
ძირტკბილას ფესვები და პასტა	17.916	134.519	16.639	124.872
მარგანეცი	7.958	18.167	7.730	14.795
ხორბლეული	3.386	11.049	5.160	31.992
კაკალი და სხვა მერქანი ხე-ტყის მასალა)	2.569	25.149		

სხვა საქონელი	2.833	99.155	9.672	335.240
სულ	1.083.227	4.229.639	973.615	4.038.218

იმპორტის ძირითადი საქონელი ბათუმში 1893-92 წლებში

საქონელი	1893		1892	
	რაოდენობა, ტონა	ფასი, ფუნტი	რაოდენობა, ტონა	ფასი, ფუნტი
თუნუქი	32.304	436.106	36.000	490.560
ქვანახშირი	1.208	1.389	-----	-----
ხე-ტყის ფიცრები	37.900	140.760	35.000	130.000
კოლონიების ნაწარმი	121	2.780	4.500	]
მავთული	100	11.580	4.000	]
აგური და კრამიტი	4.178	7.781	4000	]
ჰიდრაულიკური კირი და ა.შ.	-----	-----	7.000	] 101.414
გოგირდი და კაუსტიკური სოდა	6.210	8.428	-----	-----
რკინა და თუჯი	2.748	12.709	15.700	202.122
თუნუქი და ტყვია	1.527	82.202	-----	-----
სამანქანო დეტალები	1.307	4.900	10.500	32.201
ვერცხლის ზოდი	38	272.567	-----	-----
ხილ-ბოსტნეული	653	3.918	-----	-----
ნავთობის ცარიელი კასრები	რაოდენობა 375.000	7.520	374.000	]
სხვა საქონელი	4.161 ტ.	95.100	7.300	] 132.003
სულ		1.087.740		1.108.300

მთელი ტვირთბრუნვა ბათუმის პორტში 1893 წელს.  
შემოსვლა

ნაციონალობა	იალქნიანი გემების რიცხვი	ტონაჟი	ლოტქლის გემების რიცხვი	ტონაჟი	სულ გემების რიცხვი	სულ ტონაჟი
ბრიტანული	-----	-----	263	400.836	263	400.836
რუსული	52	6.201	427	429.566	479	435.767*
ფრანგული	-----	-----	70	93.182	70	93.182
ავსტრიული	5	2.286	60	52.730	65	55.016
ბერძნული	78	33.329	20	27.212	98	60.541
გერმანული	-----	-----	20	22.570	20	22.570
თურქული	39	7.463	-----	-----	39	7.463
ნორვეგიული	-----	-----	14	20.758	14	20.758
დანიური	-----	-----	13	13.460	13	13.460
სხვა ქვეყნების	11	8.118	23	30.237	34	38.355
სულ	185	57.397	910	1.090.551	1.095	1.147.948
სულ წარსულ წელს	270	86.497	884	990.523	1.154	1.076.920

ჩამოტვირთვა

ქვეყანა	იალქნიანი გემების რიცხვი	ტონაჟი	ლოტქლის გემების რიცხვი	ტონაჟი	სულ გემების რიცხვი	სულ ტონაჟი
ბრიტანეთი	-----	-----	266	405.938	266	465.938
რუსეთი	53	6.498	427	429.566	480	436.064*
საფრანგეთი	-----	-----	70	93.132	70	93.132
ავსტრია	5	2.286	60	52.730	65	55.016
საბერძნეთი	94	40.247	19	25.945	113	66.192
გერმანია	-----	-----	20	22.570	20	22.570
თურქეთი	42	8.242	-----	-----	42	8.242
ნორვეგია	-----	-----	15	21.071	15	21.071
დანია	-----	-----	13	13.460	13	13.460
სხვა ქვეყნები	11	8.118	6	3.263	17	11.381
სულ	205	65.391	896	1.067.725	1.101	1.133.115

სულ წარსულ წელს	239	74.483	869	975.300	1.108	1.049.783
-----------------------	-----	--------	-----	---------	-------	-----------

\* ამ ცხრილში შედიან გემები, დაკავებული საკაბოტაჟო ვაჭრობით.

**Gia Gelashvili (Georgia, Tbilisi)**

**Consul Stevens on the Shipping of the Port Batoum (1893)**

Summary

In our address we give a translation of Consul Stevens' Report on the Trade and Commerce of the Consular District of Batoum for the year 1893.

Consul informs us about shipping of the Port Batoum. He recapitulates the Principal Articles of Export from Batoum and Articles of Import to Batoum. He speaks about Harbour works, Shorapan branch railway between the Manganes mines and the Trans-Caucasian main line, etc.

## ავსტრიულთა საღაპერო საქმიანობიდან ბათუმის ოლქში (1913წ)

1913 წელს განსაკუთრებით გაძლიერდა დაძაბულობა ბათუმის ოლქში. ეს გამოწვეული იყო პირველი მსოფლიო ომის დაწყების სამზადისით. ყველა მიმოწერა ბათუმიდან თბილისში და პირიქით, შეეხებოდა თურქეთთან ურთიერთობას და თურქი ემიგრაციის გააქტიურებული საქმიანობის დაუწყებლის აღკვეთას. ამ დროისათვის გააქტიურდნენ არა მარტო ბათუმის ოლქში მყოფი ან შემოსული თურქი ემიგრანტები, არამედ ევროპის სხვა სახელმწიფოთა საღაპერო სამსახურის აგენტები, რომლებიც ბათუმში ცდილობდნენ ეწარმოებინათ სამხედრო-სტრატეგიული ობიექტების ფოტოგადაღებები. ასეთი საქმიანობა შეიმჩნეოდა გერმანიის სხვა მოკავშირეთა მხრიდანაც.

1913 წლის 14 აგვისტოს რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროდან კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიას გაეგზავნა შემდეგი შინაარსის წერილი გრიფით „სრულიად საიდუმლოდ“: „ამ ბოლო დროს მომრავლდა გერმანიისა და მისი მოკავშირეების მხრიდან რუსეთის იმპერიის მიერ ტერიტორიაზე აგენტების დიდი რაოდენობით შემოგზავნა. ისინი (აგენტები – ო.გ.) ცდილობენ შეაღწიონ მნიშვნელოვანი ობიექტებზე და აწარმოონ ფოტოგადაღებები, რომელიც შემდეგ გამოიყენება ჩვენს წინააღმდეგ. კავკასიას ამ შემთხვევაში უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, რადგან აქ არის განლაგებული სამხედრო თვალსაზრისით განსაკუთრებული ობიექტები. თანაც ეს მხარე იმყოფება გერმანიის ერთ-ერთი მოკავშირის-თურქეთის მეზობლად. აქედან გამომდინარე, დაინტერესება ამ რეგიონისადმი დიდია. გთხოვთ ყოველი ღონე იხმაროთ, რათა აღკვეთოთ ასეთი შემთხვევები“ *[ახსცსა, ფ. 1, აღწ. 1, საქ. 186, ფურც. 22]*.

თავის მხრივ კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიიდან ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს აცნობეს: „თქვენს ოლქში არის ისეთი ობიექტები, რომლებსაც უდიდესი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება. ასევე თქვენი ოლქი ახლოს მდებარეობს თურქეთთან, ამიტომ მსურველები ფოტოგადაღებებისა ბევრი იქნება. ისიც არის თქვენთვის ცნობილი, რომ ასეთ ობიექტებს მიეკუთვნება მიხაილოვსკის რაიონის ციხე-სიმაგრე, აგრეთვე სამხედრო ბაზები ოლქის ტერიტორიაზე. ამ ობიექტების ფოტოგადაღება კატეგორიულად აკრძალულია. ასევე თვალყური ადევნეთ ყველა უცხოელს, რომელიც მოისურვებს ხილების, რკინიგზების გადაღებებს. გააფართოვეთ ჩვენი

აგენტების ქსელი. მასში ჩართეთ რაც შეიძლება მეტი ხალხი” *[ახსცსა, ფ. 1, აღწ. 1, საქ. 186, ფურც. 100]*.

ფოტოგადაღებების შემთხვევები ბათუმის ოლქში მარტო 1913 წლის ზაფხულისა და განსაკუთრებით შემოდგომის პერიოდში დაფიქსირდა ოცჯერ *[ახსცსა, ფ. 1, აღწ. 1, საქ. 186, ფურც. 109]*.

ასეთ გადაღებებს კი აწარმოებდნენ როგორც თურქი, ასევე გერმანიის, ავსტრიისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. ამ მხრივ საინტერესოა ავსტრიელი აგენტის მაშეკის საქმე, რომელიც ცხოვრობდა მიხაილოვსკის ციხესიმაგრის ტერიტორიის სიახლოვეს და აწარმოებდა საიდუმლო ჩანახატებსა და გადაღებებს. ბათუმის ოლქის ხელმძღვანელობისათვის ცნობილი გახდა, რომ ავსტრიამ რუსეთის იმპერიაში შემოგზავნა დიდი რაოდენობით აგენტები, რომლებიც საიდუმლო დავალებებს ღებულობდნენ ქალაქ კიევიდან, ავსტრიის საკონსულოდან *[ახსცსა, ფ. 1, აღწ. 1, საქ. 186, ფურც. 121]*.

კონსული იყო რომან ფონ დინტერი. პეტერბურგში ავსტრიის მთავრობას ჰყავდა აგენტურა რუს ჩინოვნიკებსა და ოფიცრებს შორის, რომლებიც სისტემატიურად აცნობებდნენ ავსტრიელ აგენტებს მნიშვნელოვან ცნობებს. მათი თავშეყრის ადგილი იყო არა ავსტრიის საელჩო, არამედ პეტერბურგში, სერგიევის ქუჩაზე მდებარე სახლი. ამ მხრივ უცნაურიც არის ცნობა იმის შესახებ, რომ ავსტრიელ აგენტთა ერთი ძლიერი ჯგუფი მოქმედებდა ქალაქ ბათუმში, რომელსაც ბათუმის ოლქის ხელმძღვანელობაშიც კი ჰყავდა ხელშემწყობნი. ამ აგენტების მეთაური იყო ვინმე მაშეკი. ბათუმში ავსტრიელი აგენტების ხშირი სტუმრები იყვნენ თურქი ემისრები, რომლებიც ღებულობდნენ მათგან ინსტრუქციებს. მაგალითად, 1913 წლის 7-12 აგვისტოს ბათუმში მდგარი რუსული ჯარის გარნიზონში შემოვიდეს მძიმე ტექნიკა. ეს ხდებოდა განსაკუთრებით საიდუმლოდ. მიუხედავად ამისა, საიდუმლო გამჟღავნდა და თურქეთის არმიის მთავარსარდლისათვის ეს ფაქტი გახდა ცნობილი. თურქეთის მხარემ ისიც გაიგო, რომ რუსეთი აძლიერებდა თურქეთთან მიმდებარე საზღვარს და აგებდა თავდაცვით ნაგებობებს. ასევე თურქებს ხელთ ჩაუვარდათ რამდენიმე მნიშვნელოვანი ობიექტის ფოტოსურათი, სადაც ნაჩვენებია იყო ამ ობიექტების გარეგანი მხარე. ყველა ეს ცნობა მოპოვებული იქნა სწორედ ავსტრიელი აგენტების მიერ.

1913 წლის 17 სექტემბერს ბათუმში ჩამოვიდა ავსტრიის მოქალაქე ვინმე რიჰარდ ზეელერი. მასზე, როგორც უცხოელზე, დააწესეს თვალთვალი, მაგრამ თავდაპირველად ვერავითარი საეჭვო ვერ აღმოაჩინეს. ზეელერი ხშირად ხვდებოდა როგორც მაშეკს, ასევე თურქ ემისრებს. იგი იყო მიხაილოვსკის ციხესიმაგრის ხშირი სტუმარი და აწარმოებდა ფოტოგადაღებებს. ციხესიმაგრის კომენდანტს მასზე ეჭვი შეუტანია და დაუწესებია საიდუმლო მეთვალყურეობა. ბოლოს, 5

ოქტომბერს ზეელერი და მაშეკი შეუპყრიათ ციხესიმაგრის ტერიტორიაზე ზუსტად იმ დროს, როცა ისინი ფოტოგადაღებებს აწარმოებდნენ. მაგრამ საქმეებიდან ირკვევა, რომ მაშეკი ხელიდან დაუსხლტდა ჟანდარმერიას და მიიმაღა *[ასსცსა, ფ. 1, აღწ. 1, საქ. 186, ფურც. 128-130]*.

ასეთია მოკლედ უცხოელთა ერთი სადაზვერვო ჯგუფის საქმიანობა ბათუმში პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინა წელს.

#### **გამოყენებული წყარო:**

ასსცსა, ფ. 1, აღწ. 1, საქ. 186 – აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე №186.

**Otar Gogolishvili (Batumi, Georgia)**

#### **The Activity of the Secrete Services of Austria in the District of Batumi (1913)**

##### **Summary**

In connection with the preparations for the start of World War I from 1913 in Batumi region activated Turkish, Germans and its ally's agents. They were photographing military-strategic objects in Batumi. There was revealed Austrian spines Mash'es and Sealer's case, which were photographing and making secret sketches in Batumi.

## კვანი ვეიდენბაუმის ცნობები ბათუმის შესახებ (1878 წლის ჩანაწერების მიხედვით)

ვეიდენბაუმი იმ რუს მოგზაურ მეცნიერ მკვლევართა რიგს ეკუთვნის, რომელიც ბათუმს ოსმალთა სამსაუკუნოვანი ბატონობისაგან გათავისუფლების (1878 წლის 25 აგვისტო) პირველ წელს, 31 ოქტომბერს, ესტუმრა და მის შესახებ მოკლე ჩანაწერები დაგვიტოვა. მან უშუალოდ დაათვალიერა ბათუმი და საკუთარი თვალით დანახული და გაგონილი აღწერა. ამიტომაც, ეს ჩანაწერები მეტად სანდო წყაროა ოსმალთა ბატონობის დროინდელი და ამ ბატონობისაგან ახლად გათავისუფლებული ბათუმის სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესწავლაში.

ვეიდენბაუმის ჩანაწერები, რომელსაც ეწოდება „ბათუმიდან ართვინამდე“, პირველად გამოქვეყნდა გაზეთ „კავკასში“ 1879 წელს (№6-10), შემდეგ კი სხვა პუბლიკაციებთან ერთად შევიდა კრებულში „კავკასიის ეტიუდი“, რომელიც გამოიცა თბილისში 1901 წელს. 2005 წელს კი „ართვინიდან ბათუმამდე (მგზავრის ჩანაწერები)“ ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოსცა სამხრეთ კავკასიისა და ანატოლიის შემსწავლელმა ცენტრმა *[ვეიდენბაუმი, 2005]*. ჩვენც ამ გამოცემით ვისარგებლეთ.

ვეიდენბაუმის ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ მოგზაური ბათუმში ფოთიდან ჩამოსულა გემით „რიონი“. აქედან იწყება მისი პირველი შთაბეჭდილება ბათუმისა და მისი შემოგარენის შესახებ. იგი წერდა: „გემი იმდენად ახლოს მიცურავდა ნაპირის გასწვრივ, რომ შეიძლებოდა დაგვეჩვენებინა წმ. ნიკოლოზის პოსტი, ჩურუქსუ (ქობულეთი), ციხისძირი და სხვა სანაპირო პუნქტები. წინ ტყიანი მაღლობებით გარშემორტყმული, დილის ნისლით დაფარულ სანაპიროს ნაოჭებში მოჩანდა ბათუმი“.

მოგზაურის ყურადღება პირველად, ბუნებრივია, ბათუმის უბემ (ყურემ) მიიქცია, რომელსაც რუსული სანაოსნო საზოგადოების გემის „კოცუბეს“ ქიმიდან აკვირდებოდა. იგი უბის ნაპირებს ასე აღწერს: „ნაპირზე ფუსფუსებდა ჭრელი, სხვადასხვა ჯურის ხალხი; უბის სარკისებრ ზედაპირს ღარავდა ფელუკები და კანჯოები, რომლებიც შემოხვეოდნენ გემს ყველა მხრიდან. მენაგეები ცდილობდნენ დაესწროთ ერთმანეთისთვის, თავიანთ სამსახურს სთავაზობდნენ მგზავრებს, რომლებსაც სურდათ ნაპირზე გადასვლა. ერთი სიტყვით, ეს იყო ჩვეულებრივი, მაგრამ ჩვენს მიერ უკვე დიდი ხნის უნახავი ზღვისპირა



ქალაქის სურათი” *[ვეიდენბაუმი, 2005: 34]*. შემდეგ იგი ჩამოთვლის რუსული საზოგადოების სხვა გემებსაც, რომლებიც ახლომახლო იდგნენ. მათ შორის დასახელებულია სამხედრო შხუნა „რედუტ-კალე“ და სატვირთო გემი „ჩიხაევი“, აგრეთვე რამდენიმე ფელუკა, რომელიც დატვირთული ყოფილა სიმინდით, ყურძნით, თიხის ხელაღებით და სხვა საქონლით *[იქვე]*.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ა. ფრენკელის ცნობებიც, რომლის მიხედვით 1878 წლის აგვისტოსათვის ზღვის სანაპიროზე, „რედუტ-კალეს“ გარდა, რომელსაც ევეიდენბაუმი ასახელებს, სხვა რუსული გემებიც იდგნენ: „ყაზბეგი“, „სოკოლი“, „პამიატ მერკურია“, რომლებიც რუსეთის ჯარს შემოყვნენ ზღვით და რითაც ფაქტობრივად დასრულდა ბათუმის აღება ხმელეთით და ზღვით *[ფრენკელი, 2012: 84]*.

ვეიდენბაუმისა და ფრენკელის ამ სახის ცნობები იმის დადასტურებაა, რომ რუსეთი ჯერ კიდევ ოსმალთა ბატონობის დროს ცდილობდა ესარგებლა ბათუმის ნავსადგურით. ჩვენ გვაქვს ტრაპიზონში ინგლისის კონსულის ჯიფორდ პალგრევის ცნობაც (1870 წლების დამდეგი), ბათუმში ყოველ კვირას შემოდის და გადის მარტო 5 რუსული სამხედრო ხომალდი (თითო ოდესიდან და ტრაპიზონიდან, სამი – ფოთიდან) *[პალგრევი, 2012: 83]*. პალგრევის დახასიათებით, რუსეთის სანაოსნოს დაარსებით და ფოთის ნავსადგურთან სიახლოვეთ მოიპოვა ბათუმმა სავაჭრო მნიშვნელობა, რომელიც ოცი წლის წინ პატარა დასახლებად ითვლებოდა *[იქვე, 80]*.

ამის შემდეგ ვეიდენბაუმი აღწერს ბათუმის ცნობილ უბეს, მის მდებარეობას და წარმოქმნის ფაქტორებს, ბათუმის კლიმატურ პირობებს.

სხვა მოგზაურ მკვლევართა მსგავსად, ვეიდენბაუმი ყურადღებას მიაქცევდა ბათუმის უბის მნიშვნელობაზე შავ ზღვაზე ნაოსნობის პირობებში. იგი წერდა: ბათუმის „უბე საკმაოდ ღრმაა და რაც მეტად შორდება ნაპირს, მით უფრო სწრაფად მატულობს სიღრმე“ *[ვეიდენბაუმი, 2005: 34]*. სწორედ ეს სიღრმე განაპირობებდა იმას, რომ ბათუმი ყოფილიყო დიდი წყალწყვის გემების ადგილსამყოფელი, რომელიც აგრეთვე დაცული იყო ქარებისაგან.

ვეიდენბაუმმა ბათუმის ამ ღრმა უბის წარმოქმნის ფაქტორებზეც მიუთითა. მისი აზრით, ბათუმის უბე წარმოქმნილია მდინარე ჭოროხისა და დასავლეთის ქარების თანამოქმედების შედეგად. ამავე დროს დასავლეთის მხრიდან უბეს ზღუდავდა მეჩხი, რომელიც იქმნებოდა მდინარის შლამის და ქვიშის კენჭებისაგან *[იქვე, 34]*.

ვეიდენბაუმის ცნობა ბათუმის ღრმა უბის შესახებ, რომელიც ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა დიდი თუ პატარა გემების უსაფრთხოებისათვის ქარებისა და ზღვის ტალღებისაგან, ერთხელ კიდევ

შეგვახსენებს ბათუმის სახელწოდების დაკავშირებაზე ბერძნულ ბათუსთან. ცნობილია, რომ ბერძნულად ბათისი ღრმას ნიშნავს. მკვლევართა აზრით, აქ ის ბათუმი იგულისხმება, რომელიც მაშინ ახლანდელი საქალაქი დასახლების ჩრდილო აღმოსავლეთ ნაწილში ანუ ყოროლისწყლის შესართავში მდებარეობდა *[ჯაოშვილი, 1962: 174]*.

ვეიდეინბაუმი მოკლედ მიმოიხილავს ბათუმის ჰავას, აქაურ და მიმდებარე უბნებში ციებ-ცხელებით გამოწვეულ სირთულეებს. მისი დახასიათებით, ბათუმის ჰავა ამ დროს მცირედ განსხვავდებოდა სოხუმსა და შავი ზღვის სხვა სანაპირო პუნქტების ჰავისგან. ბათუმის მთავარ დამახასიათებელ ნიშნებად გამოყოფდა ნოტიო ჰავას, ზომიერ ზამთარს. ადგილობრივი მცოხვრებლების გამოკითხვის საფუძველზე იგი დასძენდა, რომ ციებ-ცხელების გამო, რომელიც განსაკუთრებით 10 ივლისიდან 10 სექტემბრამდე მძვინვარებდა, ქალაქში ყოფნა არასასურველი ყოფილა. მითითებულია, რომ ზაფხულის სიცხეებში და ციებ-ცხელებიან თვეებში ყველაზე კარგი ადგილსამყოფელი ყოფილა ბათუმის მისადგომები, კერძოს, კახაბრის მაღლობები, თუმცა ციებ-ცხელებისგან არც ეს ადგილები ყოფილა დაზღვეული.

ვეიდეინბაუმი ერთ-ერთი პირველი მოგზაური დამკვირვებელი იყო, რომელმაც ჭოროხის დელტის დაჭაობების ფაქტორებზე მიუთითებდა. ამის დასტურად კახაბრის მთხრობელთა ცნობები გამოიყენა. ამ მონათხრობის მიხედვით, ჭოროხის დელტის დაჭაობების ერთ-ერთი მიზეზი კახაბრის მაღლობების ფერდობებზე არსებული გვიმრის ხშირი ნაყარი ყოფილა, რომელიც ნესტიანობის გამო ღვებოდა და დიდი რაოდენობით მიაზმს აჩენდა. მეორე ფაქტორად დასახელებულია მწვერვალებიდან ჩამომდინარე წყლები, რომელბსაც არ გააჩნდა ზღვაში თავისუფალი ჩადინების საშუალება და ზღვიდან ზვირთცემის გამო ნაპირთან წარმოქმნიდა მიწაყრილს. ასე ჩნდებოდა ჭოროხის დელტაში ჭაობები და ტბები, აგრეთვე, ხელოვნური ჭაობებიც, სადაც ბრინჯი ითესებოდა *[ვეიდეინბაუმი, 2005: 41]*. მისი ცნობით, უკვე გრძელდებოდა ბათუმის შემოგარენში ჭაობების დაშრობის სამუშაოები, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც „ქალაქის გასაჯანსაღებლად, ისე ბინადრობისათვის მიწის ფართობის გასაზრდელად“ *[იქვე]*.

ჭაობებზე საუბრისას ვეიდეინბაუმი კიდევ ერთ საინტერესო ცნობას გვაწვდის. ქალაქის დასავლეთით ჭაობიან ადგილას ყოფილა განლაგებული სასაფლაოები, სადაც განისვენებდნენ ბათუმის მაზრის ყოფილი უფროსის დერვიშ-ფაშას კორპუსის მეომრები, რომელთა რიცხვი 12 000 კაცს აღწევდა *[იქვე, 41-47]*.

ვეიდეინბაუმის ჩანაწერებში საინტერესო ცნობებს ვკითხულობთ ქალაქ ბათუმის მაშინდელ განაშენიანებაზე, საცხოვრებელ და საბინაო პირობებზე, წყლით მომარაგებაზე, ვაჭრობაზე, პორტო-ფრანკოს რეჟიმზე და ა.შ. ეს ის საკითხებია, რომლებსაც ვეიდეინბაუმამდე და

მის შემდეგ თითქმის ყველა მკვლევარი აშუქებდა, ვინც კი ბათუმში მოგზაურობდა, ან ბათუმის შესახებ წერდა. მისი დახასიათებით, ბათუმს 1879 წლისათვის უკვე კარგად ემჩნეოდა, რომ მან „ნამდვილ თურქულ ქალაქთან“ შედარებით მალე დააღწია თავი ჩამორჩენილობას და ახლა უსწორმასწორო და ყრუვ ქუჩების ნაცვლად, „სანაპიროზე ჩამწკრივებული მაღაზიებით აღჭურვილი ქვის სახლებით, ყავახანებით და სასტუმროებით“ ხასიათდებოდა. მისი ცნობით, რუსეთის ყოფილი კონსულის ჯუდიხის ერთადერთი ქვის სახლის გარდა ქალაქს ამშვენებდა ხე-აგურით ნაგები სახლები, რომელთა შორის ორსართულიანი სახლებიც იყო [იქვე, 35-36]. ასეთი სახლები შენდებოდა ხის ჩარჩოებში ერთ რიგად ჩაშენებული აგურით, რომელსაც მოგვიანებით ყურადღებას მიაქცევდა რუსი მოგზაური სამხედრო ისტორიკოსი ვლისოვსკი [ვლისოვსკი, 2016: 98]. ასეთი სახლები ცალკეული ეგზემპლარების სახით დღესაც არის შემორჩენილი აჭარის მთისა და ბარის სოფლებში და შედარებით მდიდართა საცხოვრებლად ითვლებოდა. მათი მშენებლობაც კვალიფიცირებულ ხელოსნებს საჭიროებდა.

ვეიდენბაუმის ცნობით, არსებული საცხოვრებელი სახლებიც ენერგიულად რემონტდებოდა. მაგრამ საშენის მასალების უკმარისობის გამო, სარემონტო სამუშაოები სასურველი ტემპით არ მიმდინარეობდა. ამის ერთ-ერთ მიზეზად დასახელებულია ადგილზე საშენი მასალების უკმარისობა. ჭოროხის აუზის ტერიტორიაზე არსებული ხე-ტყე დიდი ხნის წინათ ყოფილა მოჭრილი და სამდინარო გზით გაზიდული. ხე-ტყის არსებული მარაგიც ძვირად იყიდებოდა. ამიტომ, მოგზაურის ცნობით, ერთადერთი საშუალება იყო ხერსონიდან ან ქერჩიდან სამშენებლო ხე-ტყის შემოტანა, რომელიც რუსული სანაოსნო საზოგადოების გემებით უნდა განხორციელებულიყო. მაგრამ ეს საზოგადოება საკუთარი გემებით, ძირითადად, მხოლოდ სამხედრო ტვირთის გადაზიდვით იყო დაკავებული და საშენი მასალების გადმოტანას ვერ ახერხებდა [ვეიდენბაუმი, 2005: 38].

ბათუმის განაშენიანება, პირველ რიგში, საბინაო მშენებლობა, რასაც საქალაქო მეურნეობის განვითარება მოითხოვდა, ამ პერიოდისათვის, როგორც ითქვა, საერთოდ ფერხდებოდა ადგილობრივი საშენი მასალების უკმარისობის გამო. განსაკუთრებული მოთხოვნა იყო ცემენტით, აგურ-კრამიტით ნაშენ სახლებზე, მაგრამ ადგილზე არც ამ სახის სამშენებლო მასალა არ მოიპოვებოდა. მათი შემოტანა ევროპისა და რუსეთის ქვეყნებიდან ხდებოდა. ეს კი აძვირებდა საბინაო მშენებლობას. აქვე მოვიშველიებთ ფრანგი მოგზაურის ჟან მურიეს ცნობას. 1874-1880 წლებში გაცხარებული მშენებლობის დროს, ხე-ტყის ნაკლებობის გამო, ცემენტი შემოჰქონდათ პორტლანდიიდან, აგური და კრამიტი – მარსელიდან [მურიე, 1962: 24]. ხის უბადრუკი ქონამახები ბეტონისა და აგურის სახლებით იცვლებოდა მარსელის

ცნობილი კრამიტის სახურავით. მარსელის კრამიტით გადახურული სახლები ბათუმში ორი ათეული წლის წინათაც იყო შენარჩუნებული.

ანალოგიური ვითარება იყო ბათუმში 1890-იან წლებში, როდესაც საჭირო ხის მასალა, რომლითაც მზადდებოდა დიდი ყუთები ნავთობით სავსე თუნუქის ყუთების ჩასაწყობად, შემოჰქონდათ ავსტრიიდან, ხერსონიდან, ნოვოროსიისკიდან, ნაწილიც აფხაზეთიდან (კოდორიდან) *[კლდიაშვილი, 1984: 46]*.

ბათუმის ახლო თუ მოშორებულ ადგილებში სამშენებლო ხე-ტყევი მოიპოვებოდა, მაგრამ უგზობობისა და შესაბამისი ტრანსპორტის უქონლობის გამო მისი ტრანსპორტირება ვერ ხერხდებოდა. ევროპიდან და რუსეთიდან კი საშენი მასალები საზღვაო გემებით შემოჰქონდათ.

ეკვიდენბაუმი ასახელებს სხვა მიზეზსაც, რამაც ქალაქ ბათუმის მშენებლობა ნელი, შეუმჩნეველი გახდა და საცხოვრებლის მწვავე ნაკლებობა გამოიწვია. ეს იყო პოლიტიკური მდგომარეობის გაურკვეველობა, რაც საერთოდ ყოველგვარი საქმიანობის გაშლაზე უარყოფით გავლენას ახდენდა და მიიქცეოდა მდგომარეობაში აყენებდა, პირველ რიგში, მოვაჭრე ხალხს. იგი წერდა: მოვაჭრე ხალხს არ უნდა საქმის დაწყება, რადგან გაზაფხულზე (მხედველობაშია 1879 წლის გაზაფხული – ნ.კ.), შეიძლება ისევ იფეთქოს ომმა და მთელი შრომა წყალში ჩაეყრებათ *[იქვე, 38]*. აქვე ვეიდენბაუმი იმოწმებს ბათუმის ბაზარში გაგონილ ხმებს, რომლის თანახმად თურქეთის მთავრობას ადგილობრივი მოსახლეობისათვის ბრძანებაც კი გამოუცია, რომ ხელი არ შეეშალათ რუსებისათვის ბათუმის კეთილმოწყობისა და ქალაქის ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში. ეს კი სახეირო იქნებოდა თურქებისთვის - ჩაებარებინათ რუსული ფულით აშენებული კეთილმოწყობილი ქალაქი.

ეკვიდენბაუმს ალბათ მხედველობაში ჰქონდა თურქეთის არმიის სარდლის დერვიშ-ფაშას მცდელობანი, დაეყოვნებია ბათუმის გადაცემა რუსებისათვის. მოლაპარაკების ძალით თურქებს ქალაქი 25 აგვისტოს უნდა დაეცა. აფრენკელი დერვიშ-ფაშას ასეთი დაყოვნების მიზეზად ასახელებდა იმას, რომ მას არ გააჩნდა ამდროისათვის საჭირო გადასახიდი საშუალებანი ბათუმში დარჩენილი ჯარისა და სამხედრო აღჭურვილობის გადასაყვანად და შიშობდა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთისა და თურქეთის ჯარებს შორის შეტაკება მოხდებოდა. მაგრამ თავად სვიატოპოლსკ-გორსკის დაუინებელი თხოვნით თურქებმა მაინც დატოვეს ბათუმი. 25 აგვისტო ბათუმი რუსეთის ქალაქი გახდა *[ფრენკელი, 2010:59]*.

ე. ვეიდენბაუმის ჩანაწერების ნახევარ გვერდზე მეტი ეთმობა ბათუმში ამ დროს არსებული ბერძნული ეკლესიის საკითხს. მღვდლების მონათხრობის საფუძველზე მოგზაური 1879 წელს წერდა: „ეკლესიის მშენებლობა 15 წლის წინ დაწყებულია და 8 წლის წინ დათავრებულია, თუმცა აქამდე მთლად გაწყობილი არ არის *[იქვე, 38]*“.

ავტორი აქვე წერდა, რომ ბათუმის მუსლიმანებს ორჯერ შეუჩერებიათ ეკლესიის მშენებლობა იმ მიზეზით, რომ თითქოს ბერძნები ეკლესიის ნაცვლად ციხესიმაგრეს აშენებდნენ.

ვეიდენბაუმის ცნობით, ამ დროს ბათუმში 200-მდე ბერძნული ოჯახი ყოფილა და ეკლესიაც მათი შეწირულობით აშენებულა, ნაწილობრივ ნასესხები ფულით, რაც სხვადასხვა პირისაგან აუღიათ. მისი სესხის რაოდენობა 700 თურქული ლირა ყოფილა, რისთვისაც წლიურად 15 პროცენტს იხდიდნენ. ამავე დროს, ბათუმში რუსების შესვლის დროიდან ეკლესიის შემოსავალი ორჯერ გაზრდილა. რუსების ჯარის გამოჩენის პირველი დღიდან დაუკიდიათ ეკლესიის ზარი და დაუწყიათ რეკვა, რაც თურქეთის მთავრობის დროს იკრძალებოდა.

ა.ფრენკელის ცნობით, აღნიშნული ბერძნული ეკლესია ბათუმში ერთადერთი ქრისტიანული ეკლესია იყო, რომელიც წმინდა ნიკოლოზის სახელს ატარებდა **[ფრენკელი, 2012:99]**. მისივე ცნობით, სხვა ქრისტიანულ მიმდევრებს ბათუმში ეკლესია არ ჰქონიათ, მაგრამ ჰყავდათ მღვდლები, რომლებიც საეკლესიო წესებს საჭიროების მიხედვით ასრულებდნენ. წმინდა ნიკოლოზის ბერძნული ეკლესიის აშენებას კი ბევრი შუამდგომლობა და ჯაფა დასჭირვებია **[იქვე, 100]**.

დასასრულ, ვეიდენბაუმის კიდევ ერთ ცნობაზე შევჩერდებით, რომელიც ბათუმის პორტო-ფრანკოს საქმიანობას შეეხება. იგი, სხვა ავტორების კვალდაკვალ, ვინც პორტო-ფრანკოს დადებით და უარყოფით მნიშვნელობაზე ამახვილებდნენ ყურადღებას, ერთხელ კიდევ მიუთითებდა, რომ „აქამდე პორტო-ფრანკო ვაჭრების წახალისებას კი არა, გარშემო მცხოვრებთა შევიწორებას ემსახურებოდა“ **[ვეიდენბაუმი, 2005:40]**. როგორც რუსი მოხელე, წუხდა იმის გამო, რომ ბათუმიდან უვარგისი ლიქიორის, რომისა და ასანთის გარდა, არაფრის გატანა არ შეიძლებოდა ბაჟის გადახდის გარეშე. მას გაუმართლებლად მიაჩნდა საზღვრის მცველთა მოქმედება, როდესაც ამ დროს აჩერებენ ხალხს და სთხოვენ ბაჟის გადახდას ბათუმიდან გატანილ საქონელზე. ბაჟის გადახდაზე უარის შემთხვევაში კი მყიდველს ქალაქში უკან აბრუნებდნენ. ამის გამო ვეიდენბაუმი დასძენდა, რომ მსგავსი შემთხვევები სოფლის მოსახლეობას ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებსო **[იქვე]**.

ვეიდენბაუმს მიაჩნდა, რომ ბაჟის დაწესება ბათუმიდან გატანილ საქონელზე მაშინ შეიძლებოდა, თუ იგი გასაყიდად მიჰქონდათ, მაგრამ საკუთარი მოხმარებისათვის ნაყიდ საქონელზე არ იყო საჭირო ბაჟის დადება, მით უმეტეს, რომ მთელი ბაჟი იმდენად არ იყო დიდი, რომ ამის გამო მოსახლეობა უკმაყოფილო დარჩენილიყო. საბაჟო გადასახადზე საუბრისას ვეიდენბაუმი ბოლოს დაასკვნია: „ძალიან ძნელია, რომელიმე აჭარელს აუხსნა და შეაგნებინო, თუ რატომ შეუძლია მას ქალაქში იყიდოს საქონელი, ხოლო ქალაქიდან გამოსვლისას კიდევ დამატებით გადაიხადოს ამავე საქონლისთვის ფული“ **[იქვე]**.

ევეიდენბაუმი ნაშრომში „ბათუმიდან ართვინამდე“ კიდევ ბევრ საინტერესო საკითხებზე მოგვითხრობს, მაგრამ ამჯერად მკითხველის ყურადღებას ნაშრომის იმ მონაცემებზე შევაჩერეთ, რომლებიც ქალაქ ბათუმსა და მისი შემოგარენის ყოფა-ცხოვრებას შეეხება. მთლიანად ნაშრომი მნიშვნელოვანი პირველწყაროა არა მარტო ბათუმის, არამედ ბათუმიდან ართვინამდე მოქცეული ჭოროხის მხარის რაიონების შორეული თუ ახლო წარსულის ისტორიის შესასწავლად.

#### **გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:**

- ევეიდენბაუმი, 2005:** – ევეიდენბაუმი ე., ბათუმიდან ართვინამდე, თბილისი.
- კლდიაშვილი, 1984:** – კლდიაშვილი დ., ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათუმი.
- ლისოვსკი, 2015:** – ლისოვსკი ვ., ბათუმი (თარგმნა რამაზ სურმანიძემ), ბათუმი.
- მურიე, 1982:** – მურიე ქ., ბათუმი და ჭოროხის აუზი, ბათუმი.
- პალგრევი, 2012:** – პალგრევი ვ., აჭარა და ლაზეთი, ბათუმი,
- ფრენკელი, 2012:** – ფრენკელი ა., ნარკვევები ჩურუქსუზე და ბათუმზე (თარგმნა აზიზ ახვლედიანმა, გამოსაცემად მოამზადა რამაზ სურმანიძემ), ბათუმი.
- ჯაოშვილი, 1962:** – ჯაოშვილი ვ., აჭარის ქალაქები, – ვახუშტის სახელმწიფო გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, XIX, ეკონომიკურ-გეოგრაფიული სერია, აჭარის ასსრ, თბილისი.

**Nodar Kakhidze (Batumi, Georgia)**

#### **The Notes About Batumi by Evgeni Veidenbaum (According to 1878 Recordings)**

##### **Summary**

In his notes “from Artvini to Batumi” a Russian traveler, historian and ethnologist Evgeni Vaidenbaum, describes the old Batumi, the old port, its comfortable location, where the boats and ships from different countries used to gather in the 70-ies of the XIX-th century.

The work discusses the climatic and living conditions of that time, situation of the population, trade, water supply, Greek church, the reasons for the bogging up of the city and the suburb and fighting for drying it.

The works by E.Veidenbaum is an important source for studying the past of Batumi and its suburbs.

## ფრედერიკ გუარაჩინოს „მოგზაურობა ბათუმიდან ართვინამდე“ როგორც დოკუმენტური მასალა ბათუმის ისტორიის შესასწავლად

ბათუმის ისტორიის შესახებ არაერთი უაღრესად მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომი შექმნილა. ამ კუთხით განსაკუთრებით დიდი მასშტაბების მომცველია რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდგომი პერიოდის მეცნიერული კვლევა. წინამდებარე სტატიაში მინდა ყურადღება მივაპყრო ერთ უცხოურ წერილობით მასალას, რომელიც XIX საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისის ბათუმის ოლქში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით გვაწვდის გარკვეულ ინფორმაციას.

მხედველობაში მაქვს ხსენებული პერიოდის ბათუმის სანჯაყში დიდი ბრიტანეთის ვიცე-კონსულად ნამყოფი ინგლისელი დიპლომატის – ფრედერიკ გუარაჩინოს (Frederick Guarracino) ნაშრომი – იგი ამ თანამდებობაზე 1840 წლის 10 ნოემბრიდან 1846 წლის 17 მარტამდე მსახურობდა [Wilson, 2011: 18]. სამწუხაროდ, მიუხედავად დიდი მცდელობისა, ამ პიროვნების შესახებ მეტად მწირი ბიოგრაფიული ცნობების მოპოვება შეეძლებოდა.

როგორც ჩვენს მიერ მოძიებული მასალებით ირკვევა, გუარაჩინო საკმაოდ დიდი გამოცდილების მქონე დიპლომატი ყოფილა. კერძოდ, ბათუმში მოღვაწეობის შემდეგ, სხვადასხვა დროს, მას სინოპში, კრეტასა და კონსტანტინოპოლში უმუშავია კონსულად, გენერალური საკონსულოს მთავარი თარჯიმნის მოვალეობის შემსრულებლად, პირველ ვიცე-კონსულად და გენერალურ კონსულად. მან აქტიური დიპლომატიური მოღვაწეობა 1872 წელს დაასრულა.

ბათუმში ვიცე-კონსულად დანიშნვიდან მალევე, კერძოდ 1841 წლის ზაფხულში, ტრაპიზონის ვილაიეთში შემავალი სანჯაყების მონახულებისა და უკეთ გაცნობის მიზნით, გუარაჩინომ ბათუმიდან ქალაქ ართვინამდე იმოგზაურა, რომელიც ამ დროისათვის ლივანის (Livaneh, იგივე ნიგალის – Nigali) სანჯაყის ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა. აღნიშნული მოგზაურობისას, ფრედერიკ გუარაჩინო პერიოდულად ახდენდა როგორც დღიურების ჩაწერას, ისე ბრიტანეთის კონსულ ჯეიმს ბრანტს (James Brant) წერილობითი სახით აბარებდა ანგარიშს ამ მოგზაურობასთან დაკავშირებით.

აღნიშნული დღიურები, რომელიც გამოქვეყნებულია სახელწოდებით „სამოგზაურო ჩანაწერები ბათუმიდან ართვინამდე“ (Notes of an Excursion

from Batum to Artvin), უაღრესად საინტერესო ის წერილობითი დოკუმენტია, რომელიც მრავალ მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის შესაბამისი პერიოდის ბათუმისა და მისი რეგიონის შესახებ.

ნათქვამის ნათელსაყოფად დავიმოწმებ რამდენიმე ეპიზოდს ხსენებული ნაშრომიდან.

კახაბრის დაბლობის მონახულებისას, რომელიც დღესდღეობით ქალაქ ბათუმის შემადგენლობაში შედის და კახაბრის დასახლებად იწოდება, ფრედერიკ გუარაჩინო პირადად შეხვედრია ბათუმის სანჯაყის მმართველს, რომელიც იქ საკუთარი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით ყოფილა ჩასული. აი, როგორ იხსენებს იგი ამ შეხვედრას თავის ჩანაწერებში: „ნახევარი საათი ჩვენ მივეყვებოდით ზღვის სანაპიროს, შემდეგ მოგუხვიეთ დასავლეთით და მივაღწიეთ კახაბრის დაბლობს, სადაც ქურთებს თავიანთი ზამთრის საცხოვრებლები ჰქონდათ მოწყობილი. დაახლოებით ერთი მილის გავლის შემდეგ, ჩვენ მივედით სახლთან, რომელსაც სანჯაყ-ბეი (Sanjak Bey) აშენებდა. იგი გარშემორტყმული იყო ორმოცდაათი-სამოცი კაცის მიერ, რომლებიც მეჰმედ-ბეის (Mehmet Bey) მხარდამჭერები იყვნენ, იმ პიროვნებისა, რომელიც კიორ ჰუსეინ-ბეის (Kior Hussein Bey) აჯანყების მხარდაჭერის გამო, აჭარაში მდებარე თავის სახლიდან გამოქცეული ყოფილა... იქ შეკრებილი ხალხი საარსებო საშუალებას მოგზაურთა ძარცვით შოულობდა და თუკი სამართალდამცავები (Officers of Justice) დევნას დაუწყებდნენ, ისინი ტყეს აფარებდნენ თავს. სანჯაყ-ბეი მეჰმედ-ბეის ნათესავი იყო და მას არათუ ხელს არ უშლიდა ასეთ საქმეში, არამედ, როგორც ამბობენ, თავადაც მონაწილეობდა ამ ყველაფერში. სანჯაყ-ბეიმ მის ორ მხლებელს ჩვენი გაცილება დაავალა” [Guarracino, 1845: 296-297].

სამწუხაროდ, ზემოხსენებული აჯანყების შესახებ დამატებითი ისტორიული ცნობების მოძიება ჯერჯერობით ვერ ხერხდება. ამის შემდეგ ფრედერიკ გუარაჩინო კიზილ თოფრაკის (Kizil Toprak – ამჟამინდელი სოფ. ახალსოფელი) გავლით, შესულა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ომბოლოში, რომელიც ტექსტში როგორც „ომბოლი“, ისეა (Omboli და „ორუბოლი“ Oruboli) მოხსენიებული; იქედან კი იგი სოფელ ერგეში გადასულა.

აი, როგორ არის აღწერილი ავტორის წიგნში ხსენებულ სოფლებში იმხანად არსებული მდგომარეობა:

„სეზონზე ჭოროხი (Joruk) 30 იარდის სიგანისა და 7-8 ფუტის სიღრმისაა, მაგრამ მაისიდან შუა სექტემბრამდე იგი 200-300 იარდამდე იზრდება... ჩემს მეგზურს ტყეში შესვლისთანავე გზა აებნა, რის გამოც ჩვენ ნახევარი საათის ნაცვლად ორი საათი ვიხეტიალეთ... შემდეგ შევუდევით მთის ფერდობს, რომლის თავზეც სოფელი ომბოლი მდებ-



რეობდა. დასახლება მოიცავდა ოცდაათ კარგად ნაგებ სახლს, ასევე მუხის, წაბლისა და თხმელის ხეებით სავსე ტყეს...

სოფლიდან გამოსვლის შემდეგ ჩვენ დავეშვიტეთ მთის ფერდობზე და 15 წუთში ისევ ჭოროხზე მივცურავდით... მდინარის საპირისპირო მხარეს დავინახეთ სოფელი ერგე (Erghe), რომელიც მოიცავდა ორმოც სახლს; მიწის ვარგისიანობიდან და ნაყოფიერებიდან გამომდინარე, ეს გახლავთ ყველაზე აყვავებული სოფელი მთელს ბათუმის ოლქში. დაბლობის დასასრულს ჭოროხის სანაპირო ვიწროვდება და ბათუმის ოლქიც მთავრდება. სწორედ აქ აღმოსავლეთიდან მომავალი აჭარის წყალი ერთვის ჭოროხს და ქმნის საზღვარს მაჭახელსა და ბათუმს შორის”

*[Guarracino, 1845: 297]*

სოფელ ერგეს შემდეგ ვიცე-კონსული მირვეთში შეჩერებულა, რომელიც, მისი გადმოცემით, ამ დროისათვის მხოლოდ ხუთ-ექვს სახლს მოიცავდა. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ფრედერიკ გუარაჩინო ზოგ შემთხვევაში ისეთი სოფლის შესახებაც გვაწვდის ცნობებს, რომელნიც უშუალოდ მას არ მოუნახულებია. ერთ-ერთი მათგანია „დიდურებში” მალულ ისპირის (Maghul Ispir) სახელით მოხსენიებული სოფელი, რომელიც, ჩემი აზრით, წიგნში აღწერილი ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, მაჭახლისპირი უნდა იყოს. კერძოდ, აი, რას წერს ინგლისელი დიპლომატი ხსენებულ სოფელთან დაკავშირებით:

„მდინარის (ჭოროხის – ო.ნ.) მოპირდაპირე სანაპიროზე მდებარეობს სოფელი – სახელად მალულ ისპირი. მასში არის ოცდაათიდან ორმოც სახლამდე, ასევე დიდი შენობის ნანგრევები, რომელიც ამ ადგილის მმართველს – ალას ეკუთვნოდა და რომელიც განადგურებულ იქნა ბაპირ ფაშას მიერ... კიორ ჰუსეინ ბეის აჯანყების დროს” *[Guarracino, 1845: 297]*

სოფელ მირვეთის შემდეგ ფრედერიკ გუარაჩინოს სოფელი მარადიდი მოუნახულებია, რომელსაც უაღრესად კარგი შთაბეჭდილება დაუტოვებია მასზე. მარადიდისადმი ვიცე-კონსულის ასეთი დამოკიდებულება უპირველეს ყოვლისა იმით აღმოჩნდა განპირობებული, რომ სხვა სოფლებისაგან განსხვავებით, იქ არა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო სფერო ყოფილა კარგად განვითარებული, არამედ სავაჭრო-ეკონომიკურიც. მეტი სიცხადისათვის მოვიყვან შესაბამის ნაწყვეტს:

„მარადიდი დიდი სოფელია, რომელშიც არის ბაზარი სამოცდაათი მაღაზიით... თავად სოფელი მთის წვერზე მდებარეობს, ნახევარი საათის დაცილებით ბაზრიდან, რომელიც მდინარის სანაპიროზეა განთავსებული... მარადიდის მაღაზიებში თითქმის ყველა ევროპელი მწარმოებელია წარმოდგენილი მცირე მასშტაბით... თავად მაღაზიის მეპატრონეები თავიანთ პროდუქციას ტრაპიზონში ყიდულობენ, გარდა ერთი-ორი შემთხვევით გამონაკლისისა, რომლებიც წელიწადში ერთხელ კონსტანტინოპოლს სტუმრობენ. მარადიდთან ახლოს მე შევხვდი სამოცამდე ადამიანს ართვინიდან და მის მეზობლად მყოფი ხოფიდან. ეს ადამიანები

ტრაპიზონში მიდიოდნენ, რათა კონსტანტინოპოლისაკენ მიმავალ გემში ჩამსხდარიყვნენ. ეს ხალხი დედაქალაქში შავ მუშებად მუშაობენ და როდესაც ცოტაოდენ ფულს დააგროვებენ, თავიანთ ოჯახებში ბრუნდებიან, სადაც თანხის გამოლევამდე რჩებიან, შემდეგ კი კვლავ კონსტანტინოპოლში მიდიან სარჩოს მოსაპოვებლად. ლივანესა და ყარსის სანჯაყებში შემაგალი ოლქების მკვიდრთათვის ეს ცხოვრების ჩვეულებრივ წესს წარმოადგენს. თვეში საშუალოდ 150 ადამიანი მიდის, ან ბრუნდება კონსტანტინოპოლში მარადიდის გავლით, რომელიც დაახლოებით 6 საათის სავალზეა ბათუმიდან” [Guarracino, 1845: 298].

მარადიდიდან ფრედერიკ გუარანინო წიგნში კადაფას (Kadapha) სახელწოდებით მოხსენიებულ სოფელში გადასულა. ამ შემთხვევაში ძალზე გამიჭირდა იმის დაზუსტებით თქმა, თუ რომელ დასახლებულ პუნქტზე საუბრობს ვიცე-კონსული ამ შემთხვევაში, რადგან მსგავსი სახელწოდების მქონე სოფელი დღესდღეობით არც საქართველოს ტერიტორიაზე მოიპოვება და არც თურქეთისა. „დღიურებში” მოყვანილი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ავტორს მხედველობაში აქვს ლივანის (იგივე ნიგალის) ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონში შემაგალი ბორჩხას ილჩეს სოფელი კატაფხია. როგორც ცნობილია, სხვადასხვა ისტორიულ და პოლიტიკურ გარემოებათა გამო, საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვარმა არაერთხელ განიცადა ცვლილება. სწორედ ამ გარემოებათა შედეგად, დღესდღეობით, ლივანის მხოლოდ მცირე ნაწილია ჩვენი ქვეყნის იურისდიქციის ქვეშ. დანარჩენი კი, თურქეთის სახელმწიფო საზღვრებშია მოქცეული; მათ შორისაა ზემოთ ხსენებული სოფელი კატაფხიაც, რომელიც ამჟამად ჩავუშლუს (Çavuşlu) სახელით იხსენიება.

ბევრი სხვა სოფლისგან განსხვავებით, კატაფხიაზე საუბრის დროს, ვიცე-კონსული არა მხოლოდ მის ადგილმდებარეობასა და იქ არსებული სახლების რაოდენობაზე ამახვილებს ყურადღებას, არამედ იქაური მოსახლეობის რელიგიურ და ეთნიკურ შედგენილობაზეც და მათი ცხოვრების წესზეც. ყოველივე ზემოთქმულის დასტურად დავიმოწმებ შესაბამის ციტატას „დღიურებიდან”:

„სოფელ კადაფას საღამოს 5 საათზე მივალწიეთ. იგი დაახლოებით 8 საათითა და 24 მილით არის დაცილებული ბათუმიდან. აქ არ არის არც ყავახანა და არც სხვა რაიმე საერთო თავშეყრის ადგილი, სადაც მგზავრს დასვენება შეეძლება; თუმცა, განსხვავებით ლაზისტანის სხვა კუთხეებისგან, იქაურები თავს ვალდებულად თვლიან, თავიანთი სტუმართმოყვარებიდან და თავაზიანობიდან გამომდინარე, დახმარება შესთავაზონ მათთვის უცნობ ადამიანებს. ჭოროხის ხეობის მკვიდრთ არ შეიძლება ვუწოდოთ ლაზები, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ სანაპიროზე მდებარე სოფლები ლაზისტანის შემადგენლობაში შედის. იქ მცხოვრებნი ენითაც და წეს-ჩვეულებებითაც ქართველების მსგავსნი

არიან. ყველა მათგანი მაჰმადიანია. ღამის გასათევად ერთ დიდ ქვის სახლში გაეწერდი, რომელიც სოფლის რეგისტრატორს ეკუთვნოდა, სახელად მუკაიდს (Mukayid). მას მარადიდში ჩემი ყოფნისას შეუტყვია, რომ კადაფაში გავლას ვაპირებდი და ოთახი წინასწარ მოუმზადებია. მისგან შევიტყვე, რომ სოფელი 200 სახლისაგან შედგებოდა, რომელთა უმრავლესობაც ჭოროხთან ახლოს მდებარეობდა. ამ მდინარეს ისინი კარა დერეჰ სუს (Kara Dereh Su) უწოდებდნენ.

კადაფას მცხოვრებლები ცვილის, თაფლის, ასევე ხორბლისა და ქერის შეგროვებით ირჩენენ თავს; სოფლის მთიანი ბუნების გათვალისწინებით ეს ყველაფერი საკმარისი არ არის, რის გამოც ადგილობრივები ზამთრობით ბათუმში მიდიან საარსებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად” [Guarracino, 1845: 299].

კატაფხიას შემდეგ ფრედერიკ გუარაჩინოს ჯერ ბორჩხას იღწეს სოფელი მურკივეთი („დლიურებში” იგი მირკუვეთის (Mirkuvet) სახელითაა მოხსენიებული) მოუნახულებია, შემდეგ კი თავად ბორჩხა, რომელიც იმ დროისათვის ასევე სოფლის სტატუსის მქონე დასახლება ყოფილა. აი, რას წერს ბრიტანელი დიპლომატი მათ შესახებ:

„მომდევნო დღის ექვსის ნახევარზე, როდესაც კადაფა დავტოვეთ, გავიარეთ სოფელი მირკუვეთი, რომელიც ორმოცდაათ სახლს მოიცავს... ორსაათიანი მგზავრობის შემდეგ კი, დღის 9 საათზე, ჩვენ მივადექით დიდ სოფელ ბორჩხას, სადაც სასაუზმოდ შეეწერდით...

ბორჩხაში ოთხმოციდან ასამდე კარგი ზომის სახლია, რომელთაგანაც რამდენიმე ქვით არის ნაშენი. სოფელში ორი-სამი მაღაზიაა, რომელიც ევროპული საქონლით მარაგდება. ადგილობრივები აგურებისა და თიხის ჭურჭლის კეთებით არიან დაკავებულნი, რომლითაც რიზესა და ჭოროხისწყლისპირა მოსახლეობის მომარაგება ხდება. ბორჩხას მცხოვრებნი ასევე ექსპერტებად მიიჩნევიან მენავეობაში. მათ სოფელში ოცდაათამდე ნავია, რომელიც ჭოროხზე დაცურავს და აგრეთვე ისინი ზღვით უკავშირდებიან ხოფას. ჯამში, მდინარეზე სულ ოთხმოცი გემი დაცურავს, რომელითაგანაც ოცდაათი ბორჩხას ეკუთვნის, ოცი მარადიდს, დანარჩენი ოცდაათი კი სხვა დასახლებებს” [Guarracino, 1845: 299-300].

ბორჩხას შემდეგ ფრედერიკ გუარაჩინოს ჯერ სოფელი წითურეთი (იგივე წითვეთი. ტექსტში მოხსენიებულია, როგორც Zituret) მოუნახულებია, ხოლო შემდეგ სოფელი დამპალა (Dampal). აი, როგორ არის ხსენებული დასახლებანი ბრიტანელი კონსულის მოგონებებში მოხსენიებული:

„ბორჩხა დღის ცხრა საათზე დავტოვეთ, რა დროსაც, ჩვენ ჩაგუარეთ ძველ ციხე-სიმაგრეს, რომელიც როგორც ამბობენ, გენუური წარმომავლობისა უნდა იყოს. იგი წამომართულია გაშლილ ველზე, სადაც დასავლეთის მხრიდან იჩქალე სუ (Itchkaleh Su – აქ, ჩემი აზრით, ფრე-

დერიკ გუარაჩინო უნდა გულისხმობდეს მდინარე იხსალას – ო.ნ.) მოედინება და ჭოროხს ერთვის. ჩვენ გადავიარეთ ქვის ხიდი და საათის მეოთხედში (15 წუთში – ო.ნ.) მივაღექით ზიტურეთს. აქ კრამიტის ძალზე დიდი რაოდენობა იწარმოება, რომლითაც მთელი ლაზისტანის სანაპირო მარაგდება. დაახლოებით ერთი მილის გავლის შემდეგ ჩვენ გადავკვეთეთ მურღულის წყალი... ეს შენაკადი ქმნის ბუნებრივ საზღვარს ლაზისტანსა და ლივანეს პროვინციებს შორის... აღმოსავლეთის მიმართულებით, დაახლოებით ორი მილის გავლის შემდეგ მივაღექით მთის ფერდობზე მყოფ სოფელ დამპალს, რომელშიც ოცი სახლია... მთებზე სიარულის შედეგად ჩვენს ცხენებს ნალები გაუფუჭდათ, რის გამოც გაჩერება მოგვიხდა. ვიცოდი რა, რომ გზაში ვეტერინარის მოძებნა გაგვიჭირდებოდა, მე ყველა საჭირო ხელსაწყო წამოღებული მქონდა და თავად შევასრულე ეს სამუშაო. ცხენების მზადყოფნაში მოყვანის შემდეგ განვაგრძეთ გზა და... საღამოს 5 საათისათვის ართვინს მივაღწიეთ. ბორჩხადან ართვინამდე, 24 მილის, გავლას მოვუნდით 8 საათი” [Guarracino, 1845: 300].

თავისი მოგზაურული შთაბეჭდილებების აღწერის დასასრულს ფრედერიკ გუარაჩინო ლივანის სანჯაყისა და მისი ადმინისტრაციული ცენტრის – ართვინის შესახებ გვაწვდის მეტ-ნაკლებად ამომწურავ ინფორმაციას. კერძოდ, მათზე საუბრის დროს, ბრიტანელი დიპლომატი ქალაქისა და ზოგადად რეგიონის ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს ეხება და ყურადღებას ამახვილებს როგორც მის წარსულზე, ასევე იმჟამად იქ არსებულ სიტუაციაზე. ზემოთქმულის გათვალისწინებით, ვფიქრობ, მის მიერ მოწოდებული ინფორმაცია მართლაც ფასდაუდებლად შეიძლება მივიჩნიოთ აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ მკვლევართათვის. ნათქვამის დასტურად დავიმოწმებ შესაბამის ადგილებს „დღიურებიდან“:

„ართვინი ლივანეს ოლქის დედაქალაქია და იგი 1000 სახლს მოიცავს, რომელთაგანაც 606 თურქებისაა, 334 – კათოლიკების, დანარჩენი 60 კი სომხების. მოსახლეობის საერთო რაოდენობა 5500 სულს აღწევს. მიუხედავად იმისა, რომ მათი სახლები რაოდენობრივად უფრო ცოტაა, კათოლიკები ბევრად მეტნი არიან, ვიდრე თურქები... მაღაზიები ქალაქში მწირად მარაგდება ევროპული საქონლით, რადგანაც ხარჯები აქ ლიმიტირებულია. ადგილობრივები იქაური პროდუქციის – ბამბის ქსოვილის ტანსაცმელს ატარებენ, რომელსაც კათოლიკე სომხები აწარმოებენ... ვაჭრობამ ართვინში თავისი მნიშვნელობა მაშინ დაკარგა, როდესაც რუსეთმა საქართველოში ევროპული საქონლის შეტანა აკრძალა. ადრე ბევრი ბრიტანული მწარმოებელი შედიოდა აფხაზეთში ართვინის გავლით და ჰქონდათ მათთან აქტიური ურთიერთობა” [Guarracino, 1845: 301].

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა და XIX საუკუნის ქალაქისათვის არცთუ მცირე მასშტაბებისა, ფრედერიკ გუარჩინო ართვინს მაინც დიდ სოფლად მოიხსენიებს, სადაც საკმაოდ მნიშვნელოვან გავლენას ფლობდნენ სომხები. ნათქვამის დასტურად დავიმოწმებ ციტატას:

„ქალაქი ართვინი ჭოროხის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს... იგი უმეტესად დიდ სოფელს მოგაგონებთ, სადაც სახლების უმეტესობა ხით არის ნაგები... თუმცა არის რამდენიმე ქვით ნაშენი სახლიც, რომლებიც თურქებს ეკუთვნის... ყველაზე დიდი შენობა ახლად აღმართული კათოლიკური ეკლესიაა, რომელიც ქალაქის ზემო ნაწილში მდებარეობს. სამშენებლო ხარჯების დიდი ნაწილი კათოლიკე სომეხმა ბანკირმა გაიღო კონსტანტინოპოლიდან” [Guarracino, 1845: 300].

ქალაქზე საუბრის დასასრულს, ფრედერიკ გუარჩინო ლივანეს სანჯაყის შესახებაც გვაწვდის ზოგად ინფორმაციას და დასძენს, რომ იგი მთლიანობაში „130 სოფელსა და 8000–მდე სახლს მოიცავს ართვინის ჩათვლით. მათ უმთავრეს საქსპორტო საქონელს კი კარაქი, ცვილი, თაფლი და ზეთისხილი წარმოადგენს” [Guarracino, 1845: 302].

მოკლედ, ასეთია ბრიტანელი დიპლომატის მიერ მოწოდებულ იმ ცნობათა ნაწილი, რომელთა მეშვეობითაც კიდევ უფრო ნათელი წარმოდგენა გვექმნება XIX საუკუნის 40-იანი წლების ბათუმის სანჯაყში შემაჯავალ სოფლებში არსებულ მდგომარეობაზე. ვფიქრობ, კარგი იქნება, ფრედერიკ გუარჩინოს სხენებული ნაშრომი, რომელიც ქართველი ისტორიკოსებისათვის ნაკლებად ცნობილ წერილობით წყაროს წარმოადგენს, თუ ითარგმნება ქართულად და ამ გზით უფრო ხელმისაწვდომი გახდება სხენებული რეგიონის ისტორიის შესწავლით დაინტერესებული მკვლევარებისათვის.

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

- Guarracino, 1845:** \_ Guarracino F, Notes of an Excursion from Batum to Artvin, The Journal of the Royal Geographical Society of London, Volume XV.
- Wilson, 2011:** \_ Wilson D, British Consular Officials in the Ottoman Empire, London.  
<https://www.myheritage.com/research/collection-90100/the-foreign-officer-list-diplomatic-consular-hand-book-january-1877?itemId=493748135&action=showRecord>  
<http://taoklarjeti.com/index.php/taoklarjeti/history/geography-of-tao-klarjeti>

**Otar Nikoleishvili**

*(Kutaisi, Georgia)*

**Frederick Guarracino's "Excursion From Batumi to Artvin" as an Important Historical Document**

Summary

This paper analyzes the XIX century work of Vice council of the Great Britain to Batumi Sanjaki, the British diplomat Frederick Guarracino's "Notes of an Excursion from Batum to Artvin".

Guarracino had been serving on the above mentioned position from November 10, 1840 to March 17, 1846. According to our findings, he was a long-time diplomat and was by the end of the work responsible for various diplomatic positions in Sinope, Crete and Constantinople.

Soon, after his appointment as vice-council, in 1841 to learn more about Sanjaks of Trabzon Viliety, he traveled from Batumi to Artvin and put his impressions in above mentioned work. Very interesting part of the work, which itself represents the unknown writing source for the Georgian historians yet, is the highly interesting document that provides us with many important references of the corresponding period of Batumi and its region.

**მუსტაფა სარის მონოგრაფიის  
„ბათუმი თურქეთ-კავკასიის  
ურთიერთობებში (1917-1921)“ ნარდგენა**

კონფერენციის მონაწილეებს წარვუდგენთ თურქი ისტორიკოსის მუსტაფა სარის მონოგრაფიას, რომელშიც თავების მიხედვით გადმოცემულია საკვანძო საკითხები ქალაქ ბათუმის XX საუკუნის 20-იანი წლების სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და რელიგიური მდგომარეობის შესახებ. წიგნი გამოიცა 2014 წელს და საზოგადოებისათვის ნაკლებადაა ცნობილი.

საქართველოს ისტორიის ცალკეული საკითხების საფუძვლიანად შესწავლას, ბოლო წლებში, ბევრად უწყობს ხელს უცხოეთის მეზობელ ქვეყნებში გამოცემული სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა-შესწავლა. ამ თვალსაზრისით, ჩვენი რეგიონისთვის მნიშვნელოვანია თურქეთში გამოქვეყნებული წიგნები, რადგან ჯერ ერთი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობის დროის წერილობითი წყაროების უმეტესობა ამ ქვეყნის არქივებშია შენახული და მერეც, ჩვენთვის საინტერესოა იქაურ მეცნიერთა მიდგომები და შეფასებები მაშინ განვითარებული პოლიტიკური მოვლენებისადმი. ამ მხრივ საინტერესოა თურქი ისტორიკოსის მუსტაფა სარის მონოგრაფია „ბათუმი თურქეთ-კავკასიის ურთიერთობებში (1917-1921).“

წიგნი დაიბეჭდა თურქეთის ისტორიის საბჭოს გამომცემლობით 2014 წელს ქალაქ ანკარაში. ნაშრომი შედგება 822 გვერდისგან და მოიცავს ექვს თავს. ჩვენი მიზანია მკითხველს გავაცნოთ მონოგრაფია, რომელიც მთლიანად ეხება აჭარის ისტორიის უმძიმეს პერიოდს.

ავტორს სურს მკითხველს გააცნოს წიგნის შექმნის მიზანი. იგი წერს: „მიუხედავად იმისა, რომ ბათუმი არა მხოლოდ თურქეთისთვის, არამედ რეგიონის სახელმწიფოებისა და დასავლეთის ქვეყნებისთვის უმნიშვნელოვანეს ქალაქს წარმოადგენს, ამ სახელმწიფოების არქივების, გაზეთების და სხვა მასალების ერთიანი ნაშრომი დღემდე არ არსებობს. არსებულ ნაშრომებში, თუნდაც წყაროების გამოყენების, მხარეების პოლიტიკური განხილვებისა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კანონის მთელი შესაბამისობით ქალაქის შესახებ არასაკმარისი ცნობების გამო ზოგიერთი ნაკლოვანება თვალშისაცემია. ნაშრომის მიზანია ამ ხარვეზების შევსება. ქალაქის შესახებ თითოეული მხარის წყაროზე დაყრდნობით, ბათუმის მნიშვნელობის აღნიშვნა, რაც ნათელს მოჰფენს მის ისტორიას“.

რამდენადაც წიგნი ქართულად არ არის თარგმნილი, გადავწყვიტეთ კონფერენციის მონაწილეთათვის გაგვეცნო წიგნის სტრუქტურა, საკითხთა ჩამონათვალი თავების მიხედვით, რომ ყველას გვეგრძნო მისი საფუძვლიანად გაცნობის აუცილებლობა. რაც შეეხება წიგნის შეფასება-ანალიზს, ის ჩვენს შესაძლებლობებს აღემატება.

## I თავი

### **ბათუმი ოსმალების მმართველობაში გადასვლის პროცესში**

პირველი თავის პირველ ნაწილში ბათუმის მოკლე ისტორია და დემოგრაფიული ცნობებია განხილული. ამ თავში გადმოცემულია საკითხები ბათუმის აღმოცენების შესახებ. ასევე აღწერილია ისტორიულად რომელი სახელმწიფოების მმართველობის ქვეშ იყო მოქცეული ბათუმი, რა ეროვნებისა და აღმსარებლობის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ, 1917 წლის რუსეთის რევოლუციები და რევოლუციის გაფლენა კავკასიასა და ბათუმზე. რევოლუციის შედეგად ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებაში ბათუმის საკითხი და ზავის განსახორციელებლად თურქების მოწინავე პოზიციები. განხილულია ტრაპიზონის კონფერენციის საკითხებიც.

## II თავი

### **ბათუმი ოსმალების მმართველობაში: პოლიტიკური და სამხედრო პროგრესი**

მეორე თავში საუბარია თურქების მიერ ბათუმის დაპყრობისა და ინგლისელთა გაბატონებამდე ბათუმსა და მის შემოგარენში სამხედრო და პოლიტიკურ მოვლენათა განვითარებაზე. ამ თავში ვხვდებით ისეთ თემებს, როგორცაა თურქების მიერ ბათუმის კვლავ მიტაცება, თუ რა პირობებში ჩატარდა ბათუმის კონფერენცია, კონფერენციის დასასრულს ხელშეკრულების ხელმოწერის მნიშვნელობის არსი და თურქების მოწინავე პოზიციების რიგი ეტაპები. ოსმალების იმპერიის მიერ ბათუმის დაპყრობის შემდეგ ბაქოსაკენ სვლა, მოკავშირეების პანთურქიზმის იდეების კვლავ აღორძინება და ამ მიზეზით კასპიის ზღვის, ინდოეთისა და შუა აზიის საკითხების შესახებ ინგლისელებისა და მოკავშირე ქვეყნების მდელვარება. თურქეთის თვალთახედვით პირველი მსოფლიო ომი და მუდროსის ხელშეკრულებაში ბათუმის საკითხი. ასევე განხილულია რეგიონში ინგლისურ ექსპანსიამდე ზემოსხეხებული ზავის პირობების გატარება.



### **III თავი**

#### **ბათუმი ოსმალეთის მმართველობაში: ადმინისტრაციული მოწყობა**

მესამე თავი მოიცავს ცნობებს ოსმალთა მმართველობის პერიოდში ქალაქის ადმინისტრაციული მოწყობის, ბათუმში რეფერენდუმის ჩატარებისა და მისი ობიექტურობის შესახებ. გადმოცემულია საკითხები რეფერენდუმის შემდგომ ოსმალთა მიერ ქალაქის დაპყრობისა და ბათუმის ვილაიეთის ჩამოყალიბების, მათი მმართველობის დროს ადმინისტრაციული გეგმის განხორციელებისა და ადმინისტრაციული მოწყობის წარმატებულობის შესახებ.

### **IV თავი**

#### **ბათუმში ინგლისელთა მმართველობის პერიოდი**

(I ეტაპი: 1918 წლის დეკემბერი - 1919 წლის სექტემბერი)

მეოთხე თავში განხილულია საკითხები ბათუმში ინგლისელთა მმართველობის პირველი ეტაპის, ინგლისელთა პოლიტიკის არსის, ბათუმის დაპყრობის მიზეზის, ინგლისელთა მმართველობის სისტემის, ბათუმის გათავისუფლებისა და ბათუმში თურქეთის ეროვნული მოძრაობის ჩამოყალიბების შესახებ. ამ თავის დასასრულს შეჯამებულია რეგიონში რიგი ცვლილებები და ინგლისელთა მიერ კავკასიის დაპყრობის მიუხედავად ბათუმში ერთიანობის შენარჩუნების მიზეზები.

### **V თავი**

#### **ბათუმში ინგლისელთა მმართველობის პერიოდი**

(II ეტაპი: 1919 წლის სექტემბერი - 1920 წლის ივლისი)

ინგლისელთა ბატონობის მეორე ეტაპზე ყურადღება გამახვილებულია ინგლისელების ურთიერთობებზე დენიკინთან, საბჭოთა რუსეთთან და კავკასიის რესპუბლიკებთან. ასევე, აღწერილია ბათუმის გათავისუფლების საკითხი და ამ ეტაპზე მუსლიმთა და ქართველთა შორის დაძაბული ვითარების განვითარებისა და ინგლისელების მიერ ქალაქ ბათუმის ქართველებზე გადაცემის მიზეზები.

### **VI თავი**

#### **ბათუმის დაქვემდებარება საქართველოს ცენტრალიზებული ხელისუფლების ქვეშ**

ბოლო, მეექვსე თავში საუბარია საქართველოს ცენტრალიზებული ხელისუფლების ქვეშ ბათუმის დაქვემდებარებაზე, ინგლისელთა ბატონობისგან გათავისუფლებასა და მმართველობის ახალ ფორმაზე. ასევე ბათუმის საკითხზე თურქეთისა და საბჭოთა რუსეთის ურთიერთობებში. მოსკოვის ხელსკრულების თანახმად, როგორც, რატომ და რა

პირობებით დატოვა საქართველომ ბათუმი რუსეთის მმართველობის ქვეშ.

მონოგრაფიაში გამოყენებულია წყაროები: 11 არქივიდან (თურქეთის, აზერბაიჯანის, ინგლისისა და გერმანიის), 61 გამოქვეყნებული ნაშრომი, 75 გაზეთი, 236 წიგნი, 78 სტატია, 23 ფოტოსურათი, 9 რუკა და 2 დეკლარაცია:

1) აჭარის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის შესახებ სოციალისტური საქართველოს რესპუბლიკის რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 16 ივლისის დეკლარაცია;

2) დეკლარაცია ბათუმის პორტიდან თურქული სავაჭრო საქონლის გადაზიდვის თაობაზე;

როგორც წიგნის სტრუქტურიდან ჩანს, მუსტაფა სარის მონოგრაფია წარმოადგენს სერიოზულ ნაშრომს, სადაც გაანალიზებულია მასალა 1917-1921 წლების ბათუმის, როგორც სამხრეთ კავკასიაში სტრატეგიული მდებარეობის მქონე ქალაქის შესახებ. ნაშრომში გამოყენებულია ქალაქ ბათუმის შესახებ მრავალი უცნობი დოკუმენტური წყარო, სამთავრობო არქივების მასალები და ნაკლებად ცნობილი რუკები. რაც შეეხება ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებასა და მოვლენების ობიექტურად შეფასებას, ვფიქრობთ, მხოლოდ ნაშრომის კომპეტენტური თარგმნისა და სიღრმისეული ანალიზის შემდეგ იქნება შესაძლებელი წიგნის ობიექტურობასა თუ არაობიექტურობაზე საუბარი.

**Nona Nikabadze (Bursa, Turkey)**

### **The Research of Turkish Historian Mustafa Sari – “Batumi in the Turk-Caucasus Relations (1917-1921)”**

#### **Summary**

The article describes the monograph of Turkish historian Mustafa Sar. The book reviews the opinions of the author according to the chapters. The article shortly sets out the key issues concerning the socio-economic, political and religious state in city Batumi, in 20-ies of XX century. The book was issued in 2014 year and is not known to the public.

**TÜRKİYE-KAFKASYA  
İLİŞKİLERİNDE  
BATUM  
(1917-1921)**

MUSTAFA SARI



## ბათუმში ამერიკის კონსულის ჰინგზარბნერის მოღვაწეობის შესახებ

XIX საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში არსებობდა უცხოეთის 10 საკონსულო: 6 თბილისში და 4 ფოთში. საკონსულოები იყო ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფ ბათუმშიც. ეს იყო: ინგლისის, საფრანგეთის, რუსეთის, იტალიის და სპარსეთის საკონსულოები, რომლებიც ამ ქვეყნებმა სავაჭრო ტვირთბრუნვაში თავიანთი ინტერესების დასაცავად დააარსეს. აჭარის შემოერთების შემდეგ, თავისუფალი ნავსადგურის სტატუსის მიღებისთანავე, 1878 წლიდან, ბათუმისადმი მსოფლიოს დიდი ქვეყნების ინტერესი გაიზარდა და ამ რიცხვშიც საგრძობლად მოიმატა *[სიორიძე 2003:112]*.

1884-1885 წლებში ბათუმში უკვე მუშაობდა 6 საკონსულო (თბილისში 7): ბათუმში თავიანთი კონსულები ჰყავდათ: ოსმალეთს, საფრანგეთს, ინგლისს, ავსტრია-უნგრეთს, იტალიას და ამერიკის შეერთებულ შტატებს *[1884:126]*.

აქედან მოყოლებული, 1917 წლამდე, ბათუმში იყო კავკასიის სამეფისნაცვლოს ქალაქებს შორის ყველაზე მეტი საკონსულო. 1901-1903 წლებში, 'Кавказский Календар'-ის მონაცემით, ბათუმში 15 საკონსულო იყო. ამ პერიოდში აქ ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-კონსულად მოღვაწეობდა ჰარი ბრიგსი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროს თბილისიდან, ფოთიდან და ბათუმიდან კონსულებისა და ვიცე-კონსულების მიერ დასავლეთ ევროპაში გაგზავნილ მოხსენებით ბათუმში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბათუმის ნავსადგურს, იქ გემების შემოსვლას და გასვლას, საქონლის შემოტანას-გატანას, ნავსადგურის ზრდა-განვითარებას და სხვ. ის კონსულებიც კი, ვინც ფოთში მოღვაწეობდნენ, თავიანთ ქვეყნებს ურჩევდნენ საკონსულოების ბათუმში გადატანას, რადგან მიაჩნდათ, რომ ის უფრო მოხერხებული და სამხედრო თვალსაზრისით დაცული („მოებით გარშემორტყმული“) ნავსადგური იყო *[სიორიძე 2011:29]*.

1908 წელს ბათუმში უცხოეთის 14 საკონსულო იყო. მაშინ, როდესაც ნოვოროსიისკში და ნავთობით სახელგანთქმულ ბაქოში მხოლოდ 12 საკონსულო ჰქონდათ. უცხოელ საკონსულოთა შორის გამორჩეულად მიიჩნეოდა ამერიკის საკონსულო. რუსეთის ხელისუფლება საკონსულოების მუშაობას, კონსულების დაცვასა და მათი ინტერესების დაკმაყოფილებას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა, მითუმეტეს 1905-1907 წლების ცნობილი მოვლენების შემდეგ. განსაკუთრებული

აგრესია სოციალისტური იდეოლოგიით გაუღენთილი რევოლუციონერებისა მოდიოდა „საზოხლარი კაპიტალისტების“ წინააღმდეგ, გამორჩეული სიძულვილი მათ ჩაგონებული და მიმართული ამერიკისადმი ჰქონდათ. ამიტომ იყო, რომ რევოლუციის ყველაზე საშიშ აკვანს, – კავკასიას ასე უფრთხოდნენ არა მარტო აქ გამომწვესებული უცხოელი კონსულები, არამედ ხელისუფლებაც, როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი, – კავკასიის მეფისნაცვალი კარგად ამოწმებდა დასაწინიშნ კანდიდატურას, ცენტრიც მას უთანხმებდა თავის გადაწყვეტილებას.

ამას მოწმობს ის სიფრთხილე, რაც რიგიდან აშშ-ს გამოცდილი კონსულის – ალექსანდრე ჰაინგარტნერის საქართველოში გადმოყვანაზე გამოიჩინა როგორც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, ასევე კავკასიის მეფისნაცვალმა – ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვმა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების II ტომის VI თავის პარაგრაფში – „ბათუმის ოლქი 1905-1907 წლების რევოლუციაში“ – ვკითხულობთ: „თავდასხმები ხდებოდა უცხოეთის საკონსულოებზე. 1905 წლის 11 ნოემბერს დააკავეს ავსტრია-უნგრეთის საკონსულოს წარმომადგენლები და მათ გამოსასყიდად მოსთხოვეს 600 რუბლი. ასევე გამოსასყიდი მოსთხოვეს ამერიკის კონსულს ბათუმში ჰაინგარტნერს მისი სამსახურის წარმომადგენლის გამოსსნისათვის“ **[სდსინ, 2008: 337].**

სინამდვილეში ამერიკის ეს კონსული ბათუმსა და, ზოგადად, საქართველოში 1905-1907 წლებში არ მოღვაწეობდა. ის ამ დროს რიგაში იყო ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების კონსული. დაზუსტებისათვის, ის რევოლუციის ჩაქრობისა და მწვავე რეაქციის ხანაში ჩამოვიდა საქართველოში, თუმცა, არც მაშინ ყოფილა სიწინარე რეგიონსა თუ ბათუმის ოლქში.

ბათუმში ამერიკის კონსულის – ალექსანდრე ჰაინგარტნერის მოღვაწეობას ეხება საქართველოს ეროვნული საისტორიო არქივის მე-13 ფონდში (28-ე აღწერა) დაცული 46-ე საქმე. საქმეში ინახება მასალები ამერიკის კონსულის დანიშნის შესახებ პეტერბურგიდან თბილისში, მეფისნაცვლის კანცელარიაში გამოგზავნილი დეპეშა, სადაც ვკითხულობთ:

„ხომ არ ხედებით წინააღმდეგობას რიგაში ყოფილი აშშ კონსულის, ჰაინგარტნერის ბათუმში კონსულად დანიშნის საქმეში და მოვალეობათა შესრულებაში მის დაშვებას არგიუპოლოს მიერ ოფიციალურად ცნობამდე“.

არგიუპოლო იყო რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საიდუმლო მრჩეველი 1908 წლის 1 ივლისიდან, მან გამოგზავნა ამერიკის კონსული ბათუმში. 1908 წლის 25 ივლისს ის დეპეშით აცნობებდა კავასიის მეფისნაცვალს:

„ხომ არ ხვდება წინააღმდეგობა ალექსანდრ ჰეინგარტნერის ჩრდილოამერიკული შტატების კონსულად ცნობას ბათუმში.“

თბილისიდან, კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიიდან, 1908 წლის 28 ივლისს მას ეგზავნება პასუხი:

„მეფისნაცვლის კანცელარიისადმი მოწერილობაზე ამა დროისათვის №16015 მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ ამერიკის ყოფილ კონსულს რიგაში ალექსანდრ ჰეინგარტნერს ბათუმში კონსულად დანიშვნაზე წინააღმდეგობა არ ხვდება“.

1908 წლის 3 აგვისტოს თავად მეფისნაცვალი – გრიგორი ილარიონის ძე ვორონცოვ-დაშკოვი ატყობინებს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს:

„ბრძანება სამთავრობო სენატიდან მისი საიმპერატორო უმაღლესობისა, სრულიად რუსეთის თვითმპყრობელისა

მისი საიმპერატორო უმაღლესობის კავკასიის ნაცვალს

მისი საიმპერატორო უმაღლესობის ბრძანებით, მმართველმა სენატმა მოისმინა: საგარეო საქმეთა მინისტრის 1908 წლის 18 აგვისტოს ანგარიში №4844 შემდეგი შინაარსისა: მბრძანებელმა იმპერატორმა უმაღლესი ნებით ინება რიგაში ჩრდილოეთამერიკული შეერთებული შტატების ყოფილი კონსულის, ალექსანდრ ჰეინგარტნერის ბათუმში აღნიშნული შტატების კონსულად დანიშვნა.

ამის შესახებ მმართველი სენატისთვის მოხსენებისამებრ, საგარეო საქმეთა მინისტრი ითხოვს დაიწეროს შესაბამისად როგორც აღიარება ბ-ნი ჰეინგარტნერის აღნიშნულ წოდებისა, ასევე, მისთვის საჭირო სამართალწარმოებისა და დახმარების გაწევა საჭიროების და მისი სამართლიანი მოთხოვნის შემთხვევაში. ბრძანეს: ჩრდილოეთამერიკული შეერთებული შტატების რიგაში ყოფილი კონსულის ბ-ნი ალექსანდრ ჰეინგარტნერის ბათუმში აღნიშნული შტატების კონსულად დანიშვნის შესახებ და მისთვის წოდების შესაბამისად, დახმარებისა და სამართლის განჩინების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში და მისი სამართლიანი მოთხოვნის შესაბამისად, გაეგზავნოს ბრძანებულება მისი საიმპერატორო უმაღლესობის კავკასიის მეფისნაცვალს და ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს, ეცნობოს საგარეო საქმეთა მინისტრს და დაიბეჭდოს დადგენილი რიგით **[სცხსა, ფ. 13, აღ. 28, ს. 46, ფურც. 9]**

ჰეინგარტნერი ბათუმში 1908 წლის ოქტომბრიდან შეუდგა კონსულის მოვალეობის შესრულებას. ეს ურთულესი პერიოდი იყო კავკასიის რეგიონისა და მთლიანად იმპერიისათვის. ამერიკის საკონსულოს თანამშრომლები მუდმივად შანტაჟის ქვეშემყოფებოდნენ, იყო მათზე თავდასხმის შემთხვევებიც. მაგრამ ეს არა რევოლუციის, არამედ მომდევნო, პოლიტიკური რეაქციის პერიოდში – 1908-1911 წლებში

ხდებოდა. მიუხედავად ამისა, ამერიკის საკონსულო მაინც არ ტოვებდა ბათუმს.

როდესაც 1916 წელს ჩაიკეტა შავი ზღვის სრუტეები და ბათუმი საგარეო საქონელბრუნვის ოპერაციებს აღარ აწარმოებდა, აქ უცხოეთის ბევრმა ქვეყანამ, მათ შორის აშშ-მ მაინც შეინარჩუნა თავისი საკონსულო.

მომდევნო ორი წელიც, ისევე როგორც წინა სამი, კრიზისული იყო ბათუმისთვის, რევოლუციონერები თავს ესხმოდნენ მდიდარ ვაჭრებს, მოსამსახურეებს, ხშირად კლავდნენ სოციალური თუ იდეოლოგიური განსხვავებულობის გამო. მთავრობა განსაკუთრებით უფროთხილდებოდა უცხოელ კონსულებს, რადგან მათზე რამდენჯერმე მოხდა გაძარცვის მიზნით თავდასხმა, მკვლელობაც კი და ეშინოდათ, ასეთი რამ არ განმეორებულყო.

დაწყებული იყო კრიზისი და უცხოეთთან ვაჭრობაც იზღუდებოდა. „ბათუმის ნავთსადგურში მოტანილ და გატანილ საქონლის უმეტესმა ნაწილმა, – წერდა „ბათუმის გაზეთი“, – უნდა გაიაროს ხმელთაშუა ზღვის ის ადგილები, სადაც ახლა იტალია და ოსმალეთი მდებარეობენ (მათ შორის უკვე იყო ომი დაწყებული). ბათუმის ადებ-მიცემისათვის და მისი ეკონომიური ვითარებისათვის მეტად საგულისხმო კითხვას წარმოადგენს, თუ რა გავლენა აქვს ახლანდელ ომს ბათუმის ნავსადგურის იმპორტზე და ექპორტზე. ომიანობის სფეროში გემების მიმოსვლა სახიფათოა, ამიტომ მათი რიცხვი უნდა შემცირდეს და ფრახტი უნდა გაძვირდეს. მაგრამ ახლანდელ ომს, თუ ის სხვა სახელმწიფოებსა და ადგილებს არ მოედო, ძლიერ ცოტა გავლენა ექნება ბათუმის ეკონომიურ მდგომარეობაზე. ბათუმის ნავსადგურში მუდმივი მოსვლა აქვთ ოთხ საზღვარგარეთელ მეზღვაურ კომპანიას: მესაქერი – მარიტომ, პაკე და კომპანი, ავსტრიის ლოიდი და იტალიის საზოგადოება“ *[„ბათუმის გაზეთი“, 1911, №58]*. თუმცა, გაზეთის აზრით, ამ უკანასკნელმა შეწყვიტა ფუნქციონირება, რადგან ხმელთაშუა ზღვაში გავლისას მის გემებს დააკავებდა ოსმალეთი, როგორც მასთან მეომარი ქვეყანა, მაგრამ, გაზეთის ვარაუდით, ვერც ეს და ვერც სხვა ვერაფერი შეუშლიდა ხელს ბათუმის ვაჭრობის განვითარება-გაშლას და ომი მას ვერაფრით დააზარალებდა.

ამრიგად, საარქივო დოკუმენტი აზუსტებს ამერიკის კონსულის – ჰაინგარტნერის მოღვაწეობის პერიოდს, რასაც მეტი სიცხადის შეტანა შეუძლია შეიტანოს XX საუკუნის დასაწყისის ბათუმის ისტორიაში.

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

**სიორიძე, 2003:** – სიორიძე მ., ბათუმის საბაჟო, ბათუმი.

**სიორიძე, 2011:** – სიორიძე მ., ნარკვევები ბათუმის ისტორიიდან, თბილისი.

**სდსინ, 2008:** – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, III, ბათუმი.

**სცსსა, ფ. 13, აღ. 28, ს. 46** – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 13, აღწერა 28, საქმე №46.

**„ბათუმის გაზეთი“, 1911, №58** – „ბათუმის გაზეთი“, 1911 წლის №58,

**, 1884:** –

1885 . .

**Zviad Tkeshelashvili (Tbilisi, Georgia)**

### **An Archival Document on an USA Consul in Batumi**

#### Summary

The document concerns the activities of Alexander Heingartner - the USA Consul in Batumi. In particular, it contains a correspondence between the Ministry of Foreign Affairs of Russia and a Governor General of the Caucasus Viceroyalty - Illarion Vorontsov-Dashkov. The document describes the period of sending the USA new consul to Batumi, the policy for ensuring safety and security and residential conditions for the person. He was sent to serve as a consul in Batumi in October 1908 after serving in Riga. The significance of the document lies in the fact that, according to “Essays on the history of Adjara”, Alexander Heingartner is supposed to have been serving in Batumi during the period of the start of the 1905 Revolution. We have tried to explore the press materials of the period and to reveal previously unknown details of the activities of the consul.



## ბათუმის (თამარის) ციხე

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ბათუმის (თამარის) ციხის ისტორია XVII- XVIII საუკუნეებში. რაც დღემდე არ გამხდარა სპეციალური კვლევის ობიექტი.

ბათუმის ციხე მდებარეობს მდ.ყოროლისწყლის შესართავთან აღმართულ ბუნებრივ გორაკზე. იგი იცავდა ძვ.ბათუმს და მის შემოგარენს, – მდ.ყოროლოსწყლის შესართავიდან სამხრეთ სანაპირო ზოლს, ბათუმის ყურეს ჩათვლით. ციხე აგებულია VI ს-ში [ - , 1973: 171-172; ხახუტაიშვილი, 1997: 335; ინაიშვილი, 2009: 155]. ფეოდალური ხანის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში იგი წარმოადგენდა მნიშვნელოვან საფორტიფიკაციო ნაგებობას, რომელსაც საუცხოო ციტადელი ჰქონდა [ჯაოშვილი, სინარულიძე, 1997: 329; უზუნაძე, 2013]. საკვლევი ობიექტის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი მიუთითებდა: „ბათუმის ციხე კარგი“ [ვახუშტი, 1973: 176]. ბათუმის ციხის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული XIII-XVI ს.ს-ის ძველ ევროპულ საზღვაო რუკებზე. მათზე ბათუმი გამოსახულია ციხე-ქალაქის აღმნიშვნელი ტოპოგრაფიული ნიშნით [უზუნაძე, 2013: 23, 25]. ამ მხრივ საყურადღებოა აგრეთვე XV ს-ის ევროპულ მოგზაურთა თუ დიპლომატთა ჩანაწერები [მამისთვალისშვილი, 1980: 108]. მათი დახასიათებით ბათუმი წარმოადგენდა საქართველოს ზღვისპირეთის მნიშვნელოვან ციხე-ქალაქს.

XVI საუკუნიდან მძიმე პერიოდი დაუდგა საქართველოს. ოსმალებმა სხვა ქართულ ტერიტორიებთან ერთად XVI ს-ის 70-იანი წლების ბოლოს დაიკავეს ბათუმი. ამდენად, ბათუმისა და მისი ციხე-სიმაგრის სახით, ოსმალეთის ხელში აღმოჩნდა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი, კარგი საფორტიფიკაციო ნაგებობა. ფაქტობრივად XIX ს-ის მეორე ნახევრამდე იგი წარმოადგენდა ბათუმის ერთადერთ თავდაცვით სიმაგრეს.

როგორც ირკვევა, გარკვეულ დრომდე ოსმალთა ბატონობა ბათუმში ატარებდა ნომინალურ ხასიათს. 1614 წ. ბათუმს ეწვია ფრანგი მისიონერი ლუი გრანჟე. იგი შენიშნავს: „ბათუმი საქართველოს ნაგსადგურია“ [Полиевктов, 1935: 51]. რაც მიუთითებს, რომ ამ პერიოდისათვის ბათუმი გარკვეულად ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას. ძირითადად შემოიფარგლებოდა ოსმალეთისათვის ხარკის გადახდით.<sup>1</sup> ოსმალური წყაროების მიხედვით XVII ს-ის 90-იან წლებამდე ბათუმის ციხეში დამპყრობთა მუდმივი გარნიზონი არ ჩანს [შენგელია, 2009:

**236-237].** ბათუმში ოსმალთა მეციხოვნეები გამოჩნდნენ XVII ს-ის 90-იან წლების მეორე ნახევრიდან *[უზუნადე, 2013: 29-30]*. რაც უკავშირდებოდა ოტომანთა იმპერიის დაძაბულ საგარეო ვითარებას აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში *[ჩხატარაიშვილი, 1973: 456-457]*. პოზიციების გასამტკიცებლად მიიღეს ზომები. შეუდგნენ, თითქოსდა მანამდე უყურადღებოდ დატოვებული, ბათუმის ციხის გამაგრებას *[XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987: 80; შენგელია 2009: 237]*. 1702-1703 წლებში ციხეს ჩაუტარდა სარეკონსტრუქციო სამუშაოები. დააშენეს ახალი სიმაგრე *[სიხარულიძე, 1962: 27]*. განახლებული ციხე-ციტადელი 1703-1704 წლების ოსმალურ წყაროებში მოხსენიებულია ტერმინებით: „განახლებული ბათუმის ციხე“, „ბათუმის ყურეში განახლებული ბათუმის ციხე“ *[XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987: 79-82...]* 1703 წ. ოსმალებმა განახლებულ ბათუმის ციხეში ჩააყენეს მრავალრიცხოვანი, კარგად შეიარაღებული გარნიზონი. 1703-1705 წლებში ბათუმის მეციხოვნეთა რაოდენობა შეადგენდა დაახლ. 500-დან 600 ჯარისკაცს. საქართველოს ზღვისპირეთში პოზიციების გასამტკიცებლად სულთანის კარმა 1703 წ. გამოგზავნა სამხედრო ფლოტი *[ჯაგელიძე, 1985: 160]*. მათმა ნაწილმა ღუზა ჩაუშვა ბათუმის ყურეში. 1703 წ. ზაფხულში ოსმალებმა დალაშქრეს დასავლეთ საქართველო *[ჩხატარაიშვილი, 1973: 456-458]*. სულთანის ხელისუფლებას „ბათუმის ციხის შესაკეთებლად“ სამუშაოები ჩაუტარებია აგრეთვე 1723-1924 წწ-ში. რაც უკავშირდება 1723 წ. ოსმალთა ლაშქრობას საქართველოში *[ჩხატარაიშვილი, 1973: 402]*. ბათუმის ციხის გამაგრებითი სამუშაოები მიმდინარეობდა აგრეთვე შემდგომ წლებშიც. რაც წყაროებთან ერთად დასტურდება ციხის არქეოლოგიური მასალებით *[კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989: 49]*.

საინტერესოა საკვლევი პერიოდში ბათუმის გამკვებლობის წესი, ციხეში ჩაყენებული ოსმალთა გარნიზონის სტრუქტურა, შემადგენლობა, მათი რაოდენობა, შეიარაღება, გარნიზონში არსებული მდგომარეობა.

ციხეს ჰყავდა დიზდარი (ციხისთავი), იგივე „ციხის ანუ ბათუმის ბეგი“ ინიშნებოდა სულთანის უმაღლესი ხელისუფლების ბრძანებით *[XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987: 96, 263]*. დიზდარის მოვალეობას შეადგენდა ხსენებული ციხისა და ბათუმის მიმდებარე ტერიტორიის დაცვის უზრუნველყოფა. ექვემდებარებოდა ციხის გარნიზონი. მისი წარდგინებით ინიშნებოდა გარნიზონის სამხედრო ნაწილთა მეთაურები. სულთანის კარს წარუდგენდა მოხსენებებს, არხას (თხოვნა) ციხეში არსებული მდგომარეობის და გარნიზონთან დაკავშირებული პრობლემების თაობაზე *[XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987: 93]*. 1709 წ. ცნობით ბათუმის ციხის დიზდარი ყოფილა მეჰმედი *[XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987: 83-84]*. იგი წარმოშობით ყოფილა გამუსლიმანებული ქართველი.



ნების დაკომპლექტების წეს, ეროვნულ შემადგენლობას, მემედ-აღა იყო ადგილობრივი წარმოშობის.

**ბათუმის ციხეში ჩაყენებული აზაბთა ნაწილი** შედგებოდა ცხენოსანი მოლაშქრეებისაგან. ისინი იყვნენ დაქირავებული მებრძოლები. მათ ფუნქციას შეადგენდა ციხის მიმდებარე ტერიტორიის უსაფრთხოების დაცვა. ციხეში აზაბთა გამწესება ხდებოდა სულთანის უმაღლესი კარის ბრძანებით. რიგითი აზაბის ანაზღაურება შეადგენდა დღიურად 5 ახნა ულუფას. აზაბთა ნაწილს მეთაურობდა აზაბთა აღა. მისი დღიური ანაზღაურება უდრიდა 45 ახნას.

**ბათუმის ციხის მუსთაფაზების ნაწილი** მნიშვნელოვნად კომპლექტებოდა ადგილობრივი მოლაშქრეებისაგან. რომლებიც თიმარის წესით ფლობდნენ მიწის ნაკვეთებს. ევალებოდათ ციხის დაცვა. რიგითი მუსტაფაზის დღიური ანაზღაურება შეადგენდა 5 ახნას. მუსთაფაზებს ყავდათ რაზმის უფროსი (მუსტაფაზების აღა), მეციხოვნე და ალამდარი.

მუსთაფაზების აღა გარნიზონში წარმოადგენდა გავლენიან პირს. ცნობილია ბათუმის ციხის მუსთაფაზების აღა მეჰმედი. რომელიც 1709 წ. დაინიშნა ბათუმის ციხისთავად *[XVI-XVIII ს.ს.-ლღწ., 1987: 84]*. იგი იყო წარმოშობით ქართველი.

მუსთაფაზების ალამდარის დღიური ანაზღაურება უდრიდა 12 ახნა ულუფას. ალამდარად ინიშნებოდნენ ქართული წარმოშობის ადგილობრივი მოლაშქრეები.<sup>2</sup> იგი ყოფილა საკმაოდ ტიტულიანი თანამდებობა. ატარებდა გედიქის წოდებას.

**ჯებეჯიების ჯარის ნაწილის** მოვალეობას შეადგენდა ბათუმის ციხის გარნიზონის საბრძოლო მასალის, იარაღის დაცვა-განაწილება. რიგითი ჯებეჯის დღიური ანაზღაურება შეადგენდა 3 ახნას *[XVI-XVIII ს.ს.-ლღწ., 1987: 96, 191]*.

ჯებეჯიების მეთაურს წარმოადგენდა ჯებეჯი-აღა.

ჯებეჯიების ნაწილს ექვემდებარებოდა **სანაპირო დაცვის (იერლუიანების) რაზმი**. ამ უკანასკნელს ევალებოდა ზღვისპირა მონაკვეთის დაცვა – ბათუმის ციხიდან ყურეს ჩათვლით. მათ ჰყავდათ საერთო მეთაური (აღა), დღიურად 45 ახნა ულუფით. 1723 წ. ცნობით ბათუმის ციხეში ჯებეჯიების და იერლუიანების აღა ყოფილა ვინმე მუსა ბეგი. იგი საინტერესო პიროვნება ჩანს. ოსმალური წყარო მის შესახებ გვამცნობს: მუსა ბეგი წარმოშობით ქართველი იყო. უმეტეს დროს საქართველოში (იგულისხმება მუსაბეგის საცხოვრებელი ადგილი) ატარებდა და დაცვის სამსახურს არ ასრულებდა. ასევე, წყარო მოგვითხრობს: იმის გამო, რომ მუსა ბეგი ხსენებულ ციხესა და მის სანახებთან დაკავშირებული იყო ისლამის სხვა მოსახლეობის (არაქართველების) ენის (ოსმალურის) ცოდნა მისთვის სასიცოცხლო იყო“ *[XVI-XVIII ს.ს.-ლღწ., 1987: 96]*. იგი მაინც ქართულ ენაზე ეწეოდა

საქმიანობას. ყოველივე ამის გამო მუსაბეგი ჩამოუქვეთებიათ. მუსაბეგის შესახებ ზემოთ მოტანილი ცნობა მიუთითებს, რამდენიმე საყურადღებო ფაქტზე: მიუხედავად ოსმალთა ძალდატანებისა, მოსახლეობა ცდილობდა შეენარჩუნებინა ქართული ენა და არ უშინდებოდა წინააღმდეგობის გაწევას.

მუსა ბეგი ყოფილა ადგილობრივი გაელენიანი გვარის წარმომადგენელი. ინარჩუნებდა ქართველობას. თუ გავითვალისწინებთ იმ პერიოდის რეგიონს და ბათუმში არსებულ მდგომარეობას, გარკვეულ პირთა დაწინაურება-წარჩინებულობას, მუსა ბეგი უნდა ყოფილიყო თავდგირიძის თუ ბეჟანიძის გვარიდან.

**ბათუმის გარნიზონის შეიარაღებაში შედიოდა არტილერია.** ციხის სტრატეგიული მდგომარეობიდან გამომდინარე ზარბაზნები ძირითადად მიმართული იყო ზღვის, ყურესა და ჩაქვი-ციხისძირის მიმართულებით. მას ემსახურებოდა მეზარბაზნეთა (თოფჩიების) ნაწილი. ნაწილს მეთაურობდა მეზარბაზნეთა უფროსი (თოფჩიბაში). მისი დღიური ანაზღაურება უდრიდა 45 ახნა ულუფას *[ჩელები, 1973: 141-142; XVI-XVIII ს.ს.-ოდწ., 1987:85]*. მეზარბაზნეთა ნაწილის მეთაურობა ბათუმის ციხეში ყოფილა ერთ-ერთი მაღალი თანამდებობა. ატარებდა გედიქის წოდებას.

ბათუმის ციხის გარნიზონს ემსახურებოდა ქათიბი (მდივანი). მის მოვალეობაში შედიოდა საჭირო დოკუმენტების წარმოება, გასაგზავნი არზას მომზადება. იღებდა 25 ახნა დღიურ ულუფას.

ბათუმის სანჯაყში ამოღებული საადგილმამულო გადასახადებიდან ბათუმის ციხის გარნიზონი მარაგდებოდა სურსათით, ძირითადად ხორბლეულით და ხორცეულით *[თურმანიძე, 2001: 12]*. ასევე, საომარი მდგომარეობის შესაბამისად, ბათუმის ციხის გარნიზონი მარაგდებოდა ტყვია-წამლით.

#### **შენიშვნები:**

1. 1610-1611 წლებში ოსმალებს მოუხდენიათ ბათუმის ლივას აღწერა. შესაბამისად შეუდგენიათ 1610-1611 წლების ბათუმის ლივას აღწერის დავთარი (ნ.შენგელია, 1974:174).

2. აჭარაში, განსაკუთრებით ხელვაჩაურის რაიონის ტერიტორიაზე, ფიქსირდება გვარები, რომელთა წინაპრები იყვნენ მედოშეები. ამიტომ ოსმალთა დროს შთამომავლები იწოდებოდნენ ბაირაქტაროღლებად, ბეირაქტაროღლებად *[ახგლედიანი, 1944: 242-243; უზუნაძე, 2011: 46]*.

## გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

- ახვლედიანი, 1944:** – ახვლედიანი ხ., ნარკვევები აჭარის ისტორიიდან (მე-16 - მე-19 ს.ს.-ები), ბათუმი.
- ბაქრაძე, 1987:** – ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი,
- თურმანიძე, 2001:** – თურმანიძე ო., საადგილმამულო ურთიერთობანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობის ხანაში, ბათუმი.
- ინაიშვილი, 2009:** – ინაიშვილი ნ., ბათუმი ადრე ბიზანტიურ ხანაში, – კრ.: ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), I, ბათუმი.
- კახიძე, 1989:** – კახიძე ა., ხახუტაიშვილი დ., მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის (წინა ანტიკური და ანტიკური ხანა), – სდსძ, XVIII, თბილისი.
- კვაშილავა, 2015:** – კვაშილავა კ., ოსმალთა ბატონობისაგან ბათუმის განთავისუფლების ერთი გეგმის შესახებ, – კრ.: ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), VI, თბილისი.
- მამისთვალიშვილი, 1980:** – მამისთვალიშვილი ე., საქართველო ჰანს შელტბერგერის „მოგზაურობის წიგნში“, – მაცნე (ისტორიის სერია), №2, თბილისი.
- XVI-XVII ს.ს. ოღწ., 1987:** – XVI-XVII ს.ს. ოსმალური დოკუმენტური წყაროები, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, ლექსიკონით და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ, I, თბილისი.
- ოსმალური დოკუმენტური წყაროები, 1982:** – ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ (XVII-XVIII ს.ს.), თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონით და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ, თბილისი.
- სცსსა, ფ. 231, ან. I, ს. 29, ფურც. 7** – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 231, ანაწერი I, საქმე №29, ფურცელი 7.
- სურმანიძე, 2007:** – სურმანიძე რ., თავადაზნაურობა და მათი ოჯახები ბათუმის ოლქში 1912 წ., ბათუმის.
- სინარულიძე, 1962:** – სინარულიძე ი., აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები, ბათუმი,
- უზუნაძე, 2001:** – უზუნაძე რ., ნაოსნობა ბათუმის ოლქში, ბათუმი.
- უზუნაძე, 2013:** – უზუნაძე რ., სურმანიძე რ., ზოსიძე ნ., – კრ.: ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), IV, ბათუმი. **ურუშაძე, 1982:** – ურუშაძე ლ., ბათუმში ოსმალთა ბატონობის ისტორიისათვის, ჟურნ. „ჭოროხი“, №2, ბათუმი.
- ვახუშტი, 1973:** – ქართლის ცხოვრება, IV, თბილისი.
- შენგელია, 1974:** – შენგელია ნ., XV-XVIII ს.ს. საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბილისი.



**Revaz Uzunadze (Batumi, Georgia)**

**From the History of the Batumi (Tamari) Castle  
(XVII-XVIII cc)**

Summary

During the period under study Batumi (Tamari) Castle was the only fortification construction in Batumi. At this time Batumi was conquered by the Ottomans. Because of the strategic position, the Ottomans paid great attention to the strengthening and defense of the Batumi Castle. The Ottomans conducted the reconstruction works on the Castle in 1702-1703. From 1703 they have stationed a garrison in the Batumi Castle. Its number used to change in accordance with the situation along the Black Sea littoral. The garrison consisted of five parts of the Ottoman army and a detachment of coastal guard.

A significant part of the garrison was the local population of Batumi sanjaki that became Muslims. They hold leading positions the Georgian personnel.



მუშანა ფუტყარაძე, როინ მალაყმაძე,  
ნაილა ჩელუბაძე, ელზა ფუტყარაძე,  
თამილა ლომთათიძე, შორენა ფუტყარაძე  
(ბათუმი, საქართველო)

**ბათუმისა და მისი შემოგარენისათვის ბრძოლა  
XX საუკუნის 10-იან წლებში  
(სტამბოლის ქართველთა საგანეში დაცული  
ავთანდილ ურუშაძის მემუარების მიხედვით)**

XIX საუკუნის 10-იანი წლების ბათუმისა და მისი შემოგარენის ისტორიის შესახებ საკმაოდ მდიდარი საარქივო და მემუარული მემკვიდრეობა არსებობს (პ. სურგულაძე, ვ. რცხილაძე, ვ. ნოზაძე, გ. მაზნიაშვილი და სხვ.), რომელთა საფუძველზე არაერთი საყურადღებო სამეცნიერო ნაშრომი არის შექმნილი. მასალების სიახლითა და მრავალფეროვნებით აღსანიშნავია სტამბოლის ქართველთა საგანის არქივში დაცული ემიგრანტ ავთანდილ ურუშაძის ჩანაწერები. აღწერილობათა სიზუსტე და თანმიმდევრობა გვაფიქრებინებს, რომ მას ავტორი დიდი ხნის მანძილზე წერდა დღიურების სახით, რომელიც 1945 წელს დაასრულა პარიზში, ემიგრაციაში ყოფნის პერიოდში. ავტობიოგრაფიული ხასიათის ჩანაწერებში ავთანდილ ურუშაძე საერთაშორისო ვითარების ფონზე ვრცლად საუბრობს ქვეყანაში შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მდგომარეობაზე, ცალკეული საზოგადო მოღვაწისა და დღემდე უცნობი პოლიტიკური პიროვნებების შესახებ.

აღნიშნული მემუარების ავტორი ავთანდილ არსენის ძე ურუშაძე დაიბადა 1890 წლის 10 აგვისტოს ქ. ლანჩხუთში. მამა – არსენ ურუშაძე იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი და გურიაში გაზეთ „ივერია“-ს გამავრცელებელი. განათლების მიღებაში და, საერთოდ, ავთანდილ ურუშაძის პოლიტიკური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და პირველი რესპუბლიკის დაცვა-განმტკიცებისათვის მებრძოლმა ადამიანებმა – გრიშა ურატაძემ, არსენ წითლიძემ და სხვებმა [ურუშაძე, 1945: 1-2]. ავთანდილ ურუშაძე 1910 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, რომელიც აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტში. როგორც მენშევიკური პარტიის წევრი ურუშაძე იყო ყველა იმ უმთავრესი მოვლენების მომსწრე და მონაწილე, რომელიც XX საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ხდებ-

ბოდა: 1905-1907 წლების პირველი სოციალ-დემოკრატიული რევოლუცია, პირველი მსოფლიო ომი, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და შემდგომ მისი დაცვა-აღდგენისათვის ბრძოლა და სხვა.

ავთანდილ ურუშაძე ლანჩხუთის სამოქალაქო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1910 წელს გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. სამხედრო სკოლის დამთავრებისთანავე იგი პირველი მსოფლიო ომის ფრონტზეა, რომლის დროსაც 1916 წელს ბელიკლუნში უნტერ-ოფიცრების სკოლის დასრულებისთანავე მიიღო რუსეთის არმიის კავალერიის უნტერ-ოფიცრის ხარისხი. გამოჩენილი სიმამაცისთვის ავთ. ურუშაძემ დაიმსახურა წმ. გიორგის ორი ჯვარი და რამდენიმე მედალი *[ურუშაძის ბიოგრაფია, ინტერნეტ-რესურსი]*.

ავთანდილ ურუშაძე 1918 წლის ზაფხულში დემობილიზებულ იქნა და იველისის შუა რიცხვებში სამშობლოში დაბრუნდა, სადაც აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის ჩამოყალიბებაში *[ურუშაძე, 1945: 27]*. ავთ. ურუშაძე იყო ქართული ლეგიონის აქტიური წევრი *[სიორიძე, 1998: 71; სულაძე, 2010]*. იგი არჩეული იყო სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრად და ლანჩხუთის სარაიონო შტაბის თავმჯდომარედ. იმავე დროულად, ურუშაძე იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის გურიის სამხარეო ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ამის შემდეგ ლანჩხუთის გვარდია მისი მეთაურობით აქტიურად მონაწილეობდა თითქმის ყველა მნიშვნელოვან სამხედრო ოპერაციაში.

1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ურუშაძე ეწეოდა აქტიურ პარტიზანულ საქმიანობას გურიაში და სერგო მათითაიშვილთან ერთად სათავეში ედგა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის – „პარიტეტული კომიტეტის“ დაქვემდებარებაში მყოფ გურიის რაზმს, ხოლო 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში წინააღმდეგობას უწევდა წითელ არმიას. აჯანყების დამარცხების შემდეგ მან თანამებრძოლთა ჯგუფთან ერთად დატოვა საქართველო *[ურუშაძე, 1945: 49]*.

1924 წლის დამლევადან 1941 წლამდე ურუშაძე საფრანგეთში ცხოვრობდა, სადაც აქტიურად განაგრძობდა საქმიანობას ოდენკურში და იყო საფრანგეთის სათვისტომოს გამგეობის წევრი. ასევე შედიოდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთულ ბიუროში.

მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემდეგ 1941 წლიდან ურუშაძე გადავიდა გერმანიაში, სადაც მონაწილეობდა „ქართული სამოკავშირეო კომიტეტის“ განკარგულებაში და გახდა გერმანიის „ვერმახტის“ „ქართული ლეგიონი“-ს წევრი. იქ ქართველებმა სახიფათო კურსი აიღეს გერმანიასთან თანამშრომლობაზე, რადგან ვარაუდობდნენ, რომ გერმანიის საბჭოთა კავშირზე წარმატე-

ბული ლაშქრობის პირობებში შესაძლებელი იქნებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა *[ურუშაძე, 1945: 98]*. ურუშაძის თაოსნობითა და აქტიური მონაწილეობით 1941-1942 წლებში გერმანული საკონცენტრაციო ბანაკებიდან გათავისუფლდა 300-მდე ქართველი სამხედრო ტყვე. 1942 წლის დამლევს ლეგიონის სარდლობისა და ქართული სამოკავშირეო კომიტეტის ხელმძღვანელობის საგანგებო დავალებით ჯგუფთან ერთად თურქეთის მხრიდან ეწეოდა საქართველოში შესვლას. ჯგუფის მიზანი იყო მოსახლეობაში აგიტაციისა და ახსნა-განმარტებითი საქმიანობის გაშლა იმისათვის, თუ რა მიზანისახვედრენ ვერმახტის ქართული ლეგიონი და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია. ამ მისიით ურუშაძე ჩავიდა სტამბოლში, მაგრამ ეს გეგმა ჩაიშალა. ურუშაძე იქვე დარჩა და **სანდრო მენაღართან (მენაღარიშვილი)** ერთად ხელმძღვანელობდა თურქეთის ქართულ სათვისტომოს. იგი აქტიურად იღვწოდა თურქეთის ქართველებში ეროვნული სულისკვეთების გაღვივებისათვის. ავთანდილ ურუშაძე გარდაიცვალა 1955 წლის 21 მაისს სტამბოლში და დაკრძალულია იქვე, შიშლის ბერძნულ სასაფლაოზე.

აქტიური პოლიტიკური საქმიანობისა და შექმნილი ვითარების გამო ვეღარ აეწყო ავთ. ურუშაძის პირადი ცხოვრებაც. მემუარებიდან ჩანს, რომ ავთანდილ ურუშაძე 1914 წლის სექტემბერში დაქორწინებულა. მას ჰყავდა მეუღლე **ვარვარე (გოგუცა) ჩხაიძე** და სამი შვილი. 1917 წლის მაისში ფრონტიდან დაბრუნებულ ა. ურუშაძეს პირველი შვილი, მცირეწლოვანი კუკური (სხვა ცნობით ვახტანგი), ცოცხალი აღარ დახვედრია *[ურუშაძე, 1945: 11]*. ასევე მას ჰყავდა ორი ვაჟი ტარიელი (1922-1972) და ფრიდონი (პაწიკო) (1924-2010). 1951-1953 წლებში მისი ოჯახი, რომელიც საბჭოთა კავშირში დარჩა, შუა აზიაში გადაასახლეს *[ურუშაძის ბიოგრაფია, ინტერნეტრესურსი]*.

ავთანდილ ურუშაძის ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი ეტაპი იყო აქტიური მონაწილეობა პირველი მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტის საბრძოლო ბატალიებში. მეომარ მხარეთა კოლონიური კონფრონტაციის გააქტიურებით ბათუმს დიდი საფრთხე დაემუქრა ყველა მხრიდან – როგორც ზღვიდან, ისე მეზობელი რაიონებიდანაც. ამის გამო, ომის დაწყებისთანავე, 1914 წელს მურღულთან ბრძოლაში რუსეთის დამარცხებით შეიქმნა აჭარის დატოვების საფრთხე. სწორედ ამიტომ, ბათუმისა და მისი შემოგარენის დასაცავად ძალზედ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მოსახლდრე რეგიონებში – ტრაპიზონში, ზემო აჭარა-სამცხის საზღვარსა თუ მეზობელ გურიაში წარმოებულ ბრძოლებს, მაგრამ მოხერხდა ფრონტის აღდგენა და ვითარება სტაბილური გახდა. აღნიშნულ საომარ მოქმედებებში აქტიურად მონაწილეობდა ავთ. ურუშაძე, რომელმაც რთული და მძიმე საბრძოლო გზა გაიარა 1917 წლის 20 მაისიდან 1918 წლის უკანასკნელ ბრძოლამდე.

როგორც ცნობილია, რუსების მე-3 არმიის სარდლობის შტაბი იყო ქ. ერზერუმში. რუსეთმა მტერს დაასწრო და საჭიროდ ჩათვალა ტრაპიზონის აღება, რომელიც წარმოადგენდა სტამბოლთან მე-3 არმიის დაკავშირებისა და მომარაგების ძირითად საზღვაო პუნქტს. ამ მიზნით რუსეთმა 1916 წლის 5-7 აპრილს ტრაპიზონში ნოვოროსიისკიდან ზღვით გადმოიყვანა მნიშვნელოვანი სამხედრო ძალები *[სდსინ, 2008: 367]*.

ტრაპიზონზე ერთიანი შეტევა რუსეთმა დაიწყო 1(14) აპრილს და 5(18) აპრილს აიღო. ამის შემდეგ რუსები შეუდგნენ ტრაპიზონის პორტის მოწყობას, საავტომობილო გზის გაყვანას, 1916 წ. ივლისიდან კი ბათუმ-ტრაპიზონის რკინიგზის მშენებლობას. აღნიშნულ პერიოდში ბათუმში უმძიმესი ვითარება შეიქმნა. მოსახლეობის რაოდენობამ იკლო, რაც გამოიწვია ქალაქის სამხედრო ყაიდაზე გადაყვანამ. 1916 წლის დასაწყისიდან ოსმალებიდან დაბრუნდა ლტოლვილი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი. შიდაპოლიტიკურმა აშლილობამ, წარუმატებლობამ ფრონტის ხაზზე, ერთგვარად იჩინა თავი შავი-ზღვისპირეთის ფრონტებზე, კერძოდ, ბათუმში, სადაც ადგილობრივთა მიმართ 1918 წლის 26 იანვრის დადგენილებამდე იყო გაჩაღებული ცილისმწამებლური კამპანია. ამ უმძიმეს პერიოდში 1916 წელს თბილისში იმყოფებოდა აჭარის მოწინავე ადამიანთა დეპუტაცია, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო.

ავთ. ურუშაძის მემუარებიდან ირკვევა, რომ 1916 წლის აგვისტოში ომის ფრონტზე გართულებული მძიმე ვითარების გამო მოხდა დამატებითი მობილიზაცია, რომელიც შეეხო 18-დან 43 წლამდე ასაკის ყველა მამაკაცს, როგორც თეთრ, ისე მწვანე ბილეთიანსაც *[ურუშაძე, 1945: 9]*.

ბათუმში ჩასვლისთანავე ავთანდილ ურუშაძე 221-ე სათადარიგო პოლკში ჩაირიცხა, სადაც 1917 წლის იანვარში შეხვედრია ბათუმის სათადარიგო ჯარში მყოფ **ნიკიტა იმნაიშვილს** *[ურუშაძე, 1945: 11]*, რომელიც შემდეგ ფოთში გაუმწესებიათ.

საქართველოს ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის განსაკუთრებით გააქტიურდა I მსოფლიო ომის პერიოდში. ქართული ინტელიგენცია, ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში, რეაქციის გაძლიერების პერიოდში, მის მძვინვარებას არ ეპუებოდა, რისთვისაც, 1906-1910 წლებში ბევრი ქართველი მოღვაწე გადაიხვეწა უცხოეთში. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ქვეყნის განთავისუფლება არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც იგეგმებოდა და ვითარდებოდა. ამ მიზნით, როგორც ცნობილია, 1913 წელს ქუჩევაში ჩამოყალიბდა ჯგუფი „თავისუფალი საქართველო“ (**მ. წერეთელი, ჩერქეზიშვილი, გ. მაჩაბელი**). პირველი მსოფლიო ომის შედეგად

შექმნილ ვითარებაში მისი წევრები გერმანიის დახმარებით აპირებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას.

აღნიშნულ პერიოდში ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში პრორუსულისა და პროგერმანულის გარდა გამოიკვეთა მესამე ორიენტაცია – მსოფლიო ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის ორიენტაცია. როგორც ცნობილია, ბევრი ქართველი იბრძოდა რუსეთის არმიის შემადგენლობაში, თუმცა, ეროვნულმა ძალებმა ვერ გაბედეს ანტირუსული გამოსვლის ორგანიზება. ცალკეული პარტიის დამოკიდებულება ომის მიმართ არაერთგვაროვანი იყო. ბოლშევიკებს სურდათ ომის სამოქალაქო ომად გადაქცევა. ნაწილი სოციალ-ფედერალისტებისა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა კი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას უკავშირებდნენ ომში გერმანიისა და ოსმალეთის გამარჯვებას. მენშევიკები კი ფიქრობდნენ, რომ თუკი ოსმალები ამიერკავკასიაში შემოსვლით საქართველოს არ დაარბევდნენ, მაშინ მათ წინააღმდეგ არ გამოვიდოდნენ. ამასთან დაკავშირებით საქართველოში ჩამოსულ **გ. მაჩაბლის** ლიდერებთან შეხვედრისას ნ. ჟორდანიას განუცხადებია: „ვიბრძოლებთ რუსეთის სოციალ-დემოკრატებთან ერთად“.

1916 წლისთვის პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობა ბათუმში აშკარად არ იხრებოდა ბოლშევიკების სასარგებლოდ. 1917 წლის მარტში შეიქმნა ბათუმის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი, რომელიც აერთიანებდა 1200 წევრს და მას უშუალო კავშირი ჰქონდა პეტერბურგის „ბრძოლის კავშირთან“ *[სიჭინავა, 1958: 209]*. კომიტეტის თავმჯდომარე იყო **გრიგოლ სოლორაშვილი**. მალე ბოლშევიკებმა გახეთ „პრავდა“-ს საშუალებით ფართო სააგიტაციო საქმიანობა გააჩაღეს ძირითადად სამხედრო პირთა შორის, რომელთა რაოდენობა ბათუმში **ტრაპიზონის ფრონტის** დაშლის შემდეგ ყოველდღე იზრდებოდა. შეიქმნა ბოლშევიკური ორგანიზაცია, რომელმაც ხელი შეუწყო აქ ფრონტის დასუსტებას, რათა სამხედრო ძალა იქედან გამოეყვანათ და მოემზადებინათ ნიადაგი სახელმწიფო გადატრიალებისათვის.

1917 წლის რუსეთის თებერვლის რევოლუციის შედეგად ორხელისუფლებიანობა დამყარდა საქართველოშიც. შეიქმნა ოზაკომი ანუ ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი, რომელსაც სათავეში ედგა **აკაკი ჩხენკელი**. მემუარების მიხედვით ვგებულობთ, რომ აღნიშნულ პერიოდში ავთანდილ ურუშაძე შეგებულებით იმყოფებოდა მშობლიურ ლანჩხუთში, სადაც მისი მონაწილეობით მოახდინეს ადგილობრივი ხელისუფლების განიარაღება.

რუსეთში პოლიტიკური ვითარება უფრო დაიძაბა, რითაც ფრონტზე წარუმატებლობამ იმატა. ვითარების განსამუხტად, მოქმედების ერთიანი პროგრამის შემუშავების მიზნით, 1917 წლის აგვისტოში შეიქმნა „ინტერპარტიული საბჭო“, რომელშიც გაერთიანდნენ საქართ-

ველოს ეროვნულ-დემოკრატიული, სოციალ-დემოკრატიული და ფედერალისტური პარტიები. იმავე წელს პეტროგრადში გამართულ შეხვედრაზე ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის (ოზაკომის) მეთაურმა, დელეგაციის ხელმძღვანელმა **აკაკი ჩხენკელმა** მოითხოვა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების აღდგენა.

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის შეიქმნა არაერთი კომიტეტი, გაერთიანებული დამკომი და ა. შ. დამოუკიდებლობის კომიტეტის საჯარისო ფორმირება იყო ქართული ლეგიონი, რომელიც 1914-1918 წლებში თურქეთში ჩამოყალიბდა *[სურგულაძე ა., სურგულაძე კ., 1994: 3-4; სულაძე, 2010: 174-175; გრძელაძე, 1995]*. ავთანდილ ურუშაძის ამ პერიოდის მემუარებში აღწერილია ის საფრთხე, რაც საქართველოს დაემუქრა თურქეთის მხრიდან.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ბათუმი და მისი შემოგარენი. მონათხრობიდან ირკვევა, რომ ურუშაძე 8 თვით ადრე, დაახლოებით 1916 წლის სექტემბერში გაურკვეველი მისიით **ტრაპიზონში** ყოფილა. შესაძლოა ურუშაძე ტრაპიზონის მისადგომებთან იყო როგორც ლეგიონერი, რადგან იმ პერიოდში იქ იყო დამკომის ფილიალიც და ლეგიონიც. რეალურად, ქართული ლეგიონი გერმანიის სარდლობის კომპეტენციაში იმყოფებოდა, ხოლო სამხედრო თვალსაზრისით კი ფორმალურად ექვემდებარებოდა ტრაპიზონის ვალს (გუბერნატორს), რომელსაც არ მოსწონდა ლეგიონერები *[ხოლმე, 1998: 74, 77, 79]*. შემდგომში, 1917 წლიდან, ურუშაძე ტრაპიზონის ფრონტზეა, სადაც ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა თავის ძველ მეგობარ **ბიკტორ ჭედიასთან**. ავთ. ურუშაძე ფრონტის სხვადასხვა ხაზზე იბრძოდა ერზინჯანთან ახლოს თურქესტანის მე-14 პოლკის პირველ როტაში. ურუშაძის ცნობით, იქ ადრე ყოფილა ენერგიული ოფიცერი, კაპიტანი **გრიგოლ უჩაძე**, რომელსაც მოგვიანებით ურუშაძე ემიგრაციის პერიოდში საფრანგეთში შეხვედრია. იქედან მებრძოლები ერზინჯანში წასულან (ურუშაძის თქმით ეზერჟანისკენ) სადაც მას რამდენიმე ძველი მეგობარიც უნახავს: **ნიტიფო დლონტი, ესეფი წილოსანი**, პორუჩიკები **პეტრე კასრაძე** და **იაკობ შელია**, ასევე პრაპორშნიკი **ბალანჩივაძე**.

მემუარებში აღწერილია 1917 წლისათვის ერზინჯანის პოლკში არსებული ვითარება, დახასიათებულია პოლკის სტრუქტურა, რომელიც შედგებოდა პოლკისა და როტის კომიტეტებისაგან. როგორც მენშევიკური პარტიის წევრი ავთ. ურუშაძე ნათლად წარმოაჩენს მენშევიკური პარტიის დამოკიდებულებას ფრონტის მიმართ. მაგალითად, პოლკის კომიტეტის თავმჯდომარის ბოლშევიკ **ნიკოლოზ ოკუჯავასგან** გაუგია, რომ, იქ ქუთაისიდან საჩუქრებით ჩასულა მენშევიკი **სარდიონ მენადარიშვილი** და განსხვავებული პარტიული შეხედულებების მიუხედავად ერთმანეთში საერთო ენაც გამოუნახავთ.

სავარაუდოდ, ეს შეხვედრა უნდა შემდგარიყო მანამ, სანამ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციებს შორის მკვეთრი გამოჯვანა მოხდებოდა.

როგორც ცნობილია, დროებითმა მთავრობამ პოლიტიკურ პარტიებს მიანიჭა პოლიტიკური საქმიანობის სრული თავისუფლება. ამ ვითარების ამსახველი უნდა ყოფილიყო ის ფაქტიც, რომ 1917 წლის სექტემბერში, ბოლშევიკების სააგიტაციო საქმიანობის გასააქტიურებლად, თბილისიდან ბუკლეტების ჩამოტანა დაევალა მენშევიკ ავთ. ურუშაძეს *[ურუშაძე, 1945: 12]*. ამის შემდეგ პოლკში ჩაატარეს არჩევნები, რომელმაც აჩვენა, რომ ამ დროს ბოლშევიკების გავლენა უმნიშვნელო იყო, რადგან ხმების უმრავლესობა მიიღეს ესერებმა, მეორე ადგილას კი მენშევიკები გავიდნენ. თუკი 1917 წ. ზაფხულისათვის ართვინსა და ტრაპიზონში სუსტი იყო სოციალ-დემოკრატების პოზიცია, სამაგიეროდ ისინი ძლიერად იყვნენ ბათუმში. ტრაპიზონის ფრონტზე მეოფ პოლკში სრული წესრიგი ყოფილა. ვითარება შეცვლილა ლენინისა და მისი თანამებრძოლების გამოჩენისთანავე, რადგან ლოზუნგმა – „ძირს ომი, მიწა გლეხებს“, და, ასევე, ჯარისკაცების უარყოფითმა დამოკიდებულებამ გაჭიანურებული ომის მიმართ, დიდი არეულობა გამოიწვია და განაპირობა ფრონტის თვითნებურად მიტოვება. ამას ხელი შეუწყო, აგრეთვე, ბოლშევიკების უცხოეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობამ, რომლის შედეგადაც მოხდა მათი გაძლიერება ფრონტისპირა ტრაპიზონში. ამის გამო, 1917 წლის დეკემბერში, ბოლშევიკებმა შეძლეს ტრაპიზონის დეპუტატთა საბჭოს ხელმძღვანელობაში უპირატესობის მოპოვება, რომლის თავმჯდომარე გახდა **ბესარიონ კვიციანი**, სამხედრო რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე კი – **დათიკო ნასარიძე** *[სდს, 2008: 408]*.

ბოლშევიკების განსაკუთრებული გაძლიერება გამოიხატა იმაშიც, რომ მათ ტრაპიზონში შეძლეს დიდძალ იარაღზე კონტროლის უფლების მოპოვება. ტრაპიზონიდან პრაქტიკულად იარაღის გამოტანა უზრუნველყო ბათუმში ბოლშევიკების მიერ შექმნილმა „საზღვაო ასეულმა“, რომელიც პარტიული ხაზით მათ ემორჩილებოდა, ხოლო სამხედრო ხაზით კი – ხელმძღვანელ შტაბს. სწორედ ამიტომ ჩაშალა სამხედრო რეკომის თავმჯდომარე დ. ნასარიძემ ტრაპიზონის იარაღით ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ ახალი არმიის შეიარაღების მცდელობა. ეს მაშინ, როდესაც ამ მიზნით იქ 150 კაციანი რაზმი იქნა გაგზავნილი **ს. დადიანის** ხელმძღვანელობით. იგი შესაძლოა ლეგიონერი **თავადი დადიანი** იყო *[სდს, 2008: 410; სიორიძე, 1998: 72]*.

აღნიშნულ პერიოდში ბათუმში ოფიციალური ხელისუფლებისგან დანიშნული კომისარიატების პარალელურად ოლქის ყოველ ადმინისტრაციულ ერთეულში შეიქმნა არჩევითი ორგანო ადმ. კომიტეტის სახით, რომლის თავმჯდომარე იყო **ე. კრინიცკი**, ხოლო ქალაქის

თავი კი **კონსტანტინე საბახტარაშვილი**. 1917 წლის ივლისისათვის ბათუმის თვითმმართველობის არჩევნებში უმრავლესობას წარმოადგენდა სოციალ-დემოკრატებისა და ესერთა პარტიის წევრები. იმავე წლის დამლევს შეიქმნა „ბათუმის ოლქის ქართველ მუსლიმანთა კომიტეტი“ **მემედ აბაშიძის** თავმჯდომარეობით, ასევე საქველმოქმედო ორგანიზაცია თურქოფილების წინააღმდეგ. მალე, ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს ინიციატივით, 1917 წლის 19 ნოემბერს ჩატარდა საქართველოს ეროვნული ყრილობა და მასთან შეიქმნა **სამაჰმადიანო საქართველოს საქმეთა სექცია**, რათა განხილულიყო ოსმალური გავლენისაგან ბათუმის ოლქის, ლაზეთის, სამცხე-ჯავახეთისა და სხვა კუთხეების მოსახლეობის განთავისუფლების ღონისძიებები.

1917 წლის ოქტომბერში, რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ბოლშევიკებს არ ჰქონდათ საერთაშორისო მხარდაჭერა და ამიტომ მათ ომიდან გამოსვლა აწყობდათ. ბათუმში ყველა პარტიათა საფუძველზე შეიქმნა „საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტი“, რომელმაც ომში ჩაურევლობა გამოაცხადა. დაითხოვეს ოზაკომიც. 15 ნოემბერს შეიქმნა ახალი მთავრობა, როგორც დროებითი მთავრობა – „ამიერკავკასიის კომიტეტი“, რომლის თავმჯდომარე გახდა **ვეგენი გეგეჭკორი**.

დაუძღვრებული ოსმალეთი შეეცადა მეორე ფრონტის ლიკვიდაციას. ამიტომ მან 1917 წლის 30 ნოემბერს ამიერკავკასიის კომისარიატს შესთავაზა დროებითი ზავი, რითაც მან დრო მოიგო ახალი შეტევისათვის. ეს მოლაპარაკება შედგა ერზინჯანში, სადაც რუსეთის ჯარი იმყოფებოდა. 18 დეკემბერს ხელშეკრულება გაფორმდა და შეწყდა ფრონტზე საომარი მოქმედება, რის შედეგადაც დაწესდა სადემარკაციო ხაზი. ამ ხაზმა დააჩქარა ფრონტის რღვევა. ამის გამო საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვებას შეეცადა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი კომიტეტი, რომლის წევრები იტყობინებოდნენ, რომ გერმანიას უნდა ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა.

ფრონტზე კი მდგომარეობა სულ უფრო მძიმდებოდა. ერზინჯანიდან პოლკი ტრაპიზონისაკენ მიიწვედა. როდესაც **არდასას** მიუახლოვდნენ, მებრძოლებთან მიიზინეს ქართველმა ჯარისკაცებმა თხოვნით, რათა **გენერალ ართმელაძეს**, რომელიც ძლივს იცავდა თავს რუსი ჯარისკაცებისაგან, სასწრაფოდ მიშველებოდნენ. ძლიერ აღელვებული და დათრგუნვილი გენერალი გაათავისუფლეს. პოლკი 1918 წლის 1 იანვარს ტრაპიზონში შევიდა. **ბიკტორ ჭელიას** დახმარებით გენერალი ართმელაძე 1918 წლის 2 იანვარს ბათუმში გაამგზავრეს. იგი იყო ბათუმში I ქართული პოლკის მეთაური **[ხოლოძე, 2002: 217]**. თუ რამდენად მძიმე მდგომარეობა იყო ამ დროს ტრაპიზონში, ამაზე მიუთითებს ავთანდილ ურუშაძის დანახვაზე ბიკტორ ჭელიას გაოცება – „ბიჭო შენ ხომ ხარ ჭკუაზელო, . . .რამოდენიმე ათა-



სი კაცი აქ . . . ყველა გაგიჟებულია, არც ერთან არ ილაპარაკება, ქართველებიც მათ შორის არიანო“ *[ურუშაძე, 1945: 14]*. მოგვიანებით, 1919 წელს, **ბ. ჭედიამ** ბათუმში ყოფნის დროს ავთ. ურუშაძეს გააცნო **ბესარიონ ჟღენტი**, შემდგომ ემიგრაციაში **გოგიტაურად** წოდებული *[ურუშაძე, 1945: 49]*.

ტრაპიზონში ჩასული ჯარისკაცები III ქართულ პოლკში ჩარიცხეს, რომლის დროებით უფროსად კაპიტანი **კაპანაძე** დაინიშნა. როგორც ცნობილია, ქართული პოლკების დაარსება ჯერ კიდევ 1917 წლის 18 აგვისტოს სხდომაზე ინტერპარტიულმა ბიურომ გადაწყვიტა, რათა მომხდარიყო ქართული ჯარის ნაციონალიზაცია.

მაღე **ბიკტორ ჭედიას** მონდომებით შედგა ქართული სამხედრო საბჭო, რომლის თავმჯდომარედაც თავად იქნა არჩეული, ხოლო მის „ამხანაგად“ კი **ცაგარელი**, რომელიც „კარლ კაროლის“ გემის აღების დროს მოკლეს *[ურუშაძე, 1945: 14]*. მენშევიკებმა თავდაცვის რაზმი შეადგინეს ფელდფებელ **გამრეკელის** ხელმძღვანელობით, რომელიც მოგვიანებით სომხეთის ფრონტზე დაიღუპა.

გარდა ამისა, ტრაპიზონში არსებობდა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბოლშევიკი **ბესარიონ კვიციანი**, ხოლო წევრად **მამია ორახელაშვილი**. ტრაპიზონში ომის პერიოდში ჩავიდნენ **ბუღუ მდივანი** და **კოტე ცინცაძე**. ამდენად, ტრაპიზონში არსებობდა მენშევიკური და ბოლშევიკური საბჭოები, რომელთა შორის სულ უფრო დევიდებოდა შუღლი. მდგომარეობას განსაკუთრებით ბოლშევიკები ამწვავებდნენ, რომლებიც აკრიტიკებდნენ როგორც ქართულ სამხედრო საბჭოს, ისე ამიერკავკასიის კომისარიატს, როგორც კონტრრევოლუციურ ძალებს. ისინი ყველა ღონეს ხმარობდნენ მათი მოწინააღმდეგე ძალების გადასაბირებლად, რისთვისაც ძალადობასაც მიმართავდნენ *[ურუშაძე, 1945: 15]*.

სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვის კომისრად დაინიშნა **კოტე ცინცაძე**, რომელიც განაგებდა არა მარტო იქაურ, არამედ რუსეთის პორტებიდან ჩასულ ყველა გემს. მას მიემხრო მატროსების უმრავლესობა, დაიჭირეს პრისტანი (ნავმისადგომი), მენშევიკები გამოაცხადეს კონტრრევოლუციონერებად და მათ არ დაუთმეს გემი ბათუმში უკან დასაბრუნებლად. მათთან სამხედრო საბჭოში მივიდა პოლკოვნიკი **ყარალაშვილი**, რომელმაც ორი ქართული პოლკი შეადგინა და მათ განუცხადა, რომ პოლკთან ერთად ფეხით აპირებდა ბათუმში წასვლას. იგი ბიკტორ ჭედიამ შეაჩერა და ვითარების გასარკვევად ბათუმში წავიდა ავთანდილ ურუშაძესთან ერთად. მაგრამ უფრო სავალალო მდგომარეობა დახვდათ ბათუმში, რადგან იქ საფრთხეს მოელოდნენ როგორც ტრაპიზონის მხრიდან, ისე თბილისიდანაც *[ურუშაძე, 1945: 16]*.

ტრაპიზონის ფრონტზე ვითარება დამძიმდა. იქედან იარაღს იტაცებდნენ თურქები და ქართველ ჯარისკაცებსაც ანიარაღებდნენ.

ამასთან, ბოლშევიკებმა იქ დიდი მიტინგი მოაწვეეს და გაილაშქრეს ამიერკავკასიის კომისარიატის, ბათუმის საბჭოსა და ქართული სამხედრო საბჭოს წინააღმდეგ. ბოლშევიკები ე.წ. პაგრომებს აწვობდნენ ადგილობრივ მოსახლეობაზე და მათ ძარცვავდნენ. ისინი ყოველ ღონეს ხმარობდნენ იმისათვის, რათა უფრო მეტად გაეღრმავებინათ დაპირისპირება მენშევიკებთან. ამ მიზნით ერთ დღეს, როდესაც მენშევიკებს საწყობიდან იარაღი გამოჰქონდათ და ნავმისადგომთან აწვობდნენ, ბოლშევიკებმა მათ მისაღმებაზე დაცინვით უპასუხეს და კონტრრევოლუციონერები უწოდეს. ამაზე გაეპასუხა **გამრეკელი**, შემდეგ მეზღვაურებიც ჩაერთნენ ბრძოლაში, რასაც ბოლშევიკები არ ელოდნენ. საბოლოოდ მორიგდნენ. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა შემდეგი ფაქტი: როდესაც **ცინცაძეს** წართმეული მაუხერი დაუბრუნეს, მან იგი გადატეხა, რადგან მისი ტარების ღირსად თავი აღარ მიუჩნევია. საბოლოოდ, მოლაპარაკების შედეგად, ბათუმში გასამგზავრებლად მენშევიკებს ორი გემი დაუთმეს. წასადები საქონლის შერჩევაში მენშევიკებისათვის ფრონტის ლაზარეთების გამგის, **თიკანაძის** მოადგილეს – ექიმ **მამია ორახელაშვილს** მნიშვნელოვანი დახმარება გაუწევია *[ურუშაძე, 1945: 18]*. საუბედუროდ, ტრაპიზონიდან გამოგზავრებამდე გაურკვეველი მიზეზის გამო იარაღის საწყობში მოხდა დიდი აფეთქება, რამაც 18 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

ფრონტზე არსებული მდგომარეობა ამიერკავკასიის ჯარების ზურგში ამოქმედებულმა ქურთებისა და ჩეთეს რაზმებმა კიდევ უფრო დაამძიმა. ვერ მოხერხდა ტრანსპორტისა და არტილერიის ევაკუაციაც. ამას დაერთო ყინვები და სულიერი დეპრესია ჯარში. ასეთ ვითარებაში ოსმალეთმა 1918 წ. 13 თებერვალს ზავით დრო მოიგო და დაიკავა **ერზინჯანი**, შემდეგ **გიუმუშხანე**, **ბაიბურთი** და **ტრაპიზონი**, 12 მარტს დაეცა **ერზერუმი**, ხოლო 19 მარტს – **არტანი**, რითაც ოსმალეებმა გადმოლახეს 1914 წლის საზღვარი. უმძიმესი ვითარება შეიქმნა ბათუმში. ტრაპიზონის ფრონტის დაცლამ ბათუმი ჭრელი ხალხით აავსო. იმის გამო, რომ 1917-1918 წლებში ბათუმის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს არჩევნებში ბოლშევიკები დამარცხდნენ, მათში წარმოიშვა საბჭოთა ხელისუფლების შეიარაღებული გზით დამყარების იდეა, რაშიც მთავარ დასაყრდენად ესახებოდათ „საზღვაო ასეული“, რომელიც 1917 წლის დეკემბერში შეიქმნა და განთავსებულ იქნა ბათუმის პორტის ტერიტორიაზე. მათ დაეკისრათ, ასევე ტრაპიზონელ თანამოაზრეებთან მჭიდრო კავშირის დამყარება ბოლშევიკების პოზიციების გამყარების მიზნით, თუმცა მთლად ვერ გაართვეს თავი ამ მისიას *[სიორიძე, 2011: 236]*.

ბოლშევიკებმა პოზიციების გასამდიერებლად დაგეგმეს შავი ზღვის ფლოტის მეთაურებთან დაკავშირება. სწორედ მატროსების ხელში მოხვდა ტრაპიზონის სამხედრო ქონების მნიშვნელოვანი ნაწი-

ლი, რითაც ისინი თვით თურქებთანაც ვაჭრობდნენ. ამით გამოირჩეოდა კრეისერი „კაროლ კარლი“ და ნადმოსანი „სარატოვის“ ეკიპაჟები. მატროსები განსაკუთრებით ბათუმში მეკობრეობდნენ [ხდს, 2008: 413].

ტრაპიზონის საზავო მოლაპარაკების პარალელურად, ბათუმის თავდაცვის ერთიანი ფრონტის შექმნის მიზნით, 1918 წლის 17 მარტს **ნოე ჟორდანიამ** გარდაუვალად ჩათვალა სხვადასხვა პარტიებისა და ორგანიზაციების გაერთიანებული სხდომის ჩატარება. დაარსდა ერთიანი რეგკომი. სადამოს სხდომაზე ჩავიდა ამიერკავკასიის ეროვნულ-ბათაშორისი სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე **ნოე რამიშვილი**. მისი ხელმძღვანელობით 250 მეზღვაური დააპატიმრეს, გაანეიტრალეს საზღვაო ასეულიც, მაგრამ ბოლშევიკებისა და მენშევიკების მოთხოვნით ისინი გაანთავისუფლეს, რომლებიც მალე რუმინეთში გაიქცნენ. ამან ბათუმის დამცველთა საბრძოლო სულისკვეთება დასცა, რამაც სხვა პოლიტიკურ გარემოებებთან ერთად განაპირობა ბათუმის თითქმის უბრძოლველად დათმობა მოწინააღმდეგისათვის. ოსმალეთი ითხოვდა ზავით მიღებული ოლქების ჩაბარებას.

საქართველოს ეროვნული საბჭოს მოწოდებით სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დასაცავად ბათუმისაკენ ბევრი მოხალისე გაეშურა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ავთ. ურუშაძეს თავის მემუარებში აღწერილი აქვს **რაფიელ ჩიხლაძის** ღანჩხუთში ჩასვლისა და მოხალისეთა რაზმის შეკრებასთან დაკავშირებული პრობლემა, რადგან მებრძოლებს უარი უთქვამთ – „აწი სხვებმა იბრძოლონ“. საქმე მას შემდეგ გამოსწორებულა, როდესაც მოხალისეებად მოხუცები ჩაწერილან. ამავე მიზნით ბათუმში სპეციალურად ჩასულა **ვეგანი გეგეჭკორი**. ავთ. ურუშაძე ჩაეწერა მე-2 პოლკის I ბატალიონში, რომელიც გააგზავნეს ჩაქვის თავზედ. პოლკის უფროსი იყო **ყარაღა-შვილი**, ბატალიონს კი მეთაურობდა რუსი კაპიტანი **იუგკოვი**, რომელიც რუსეთიდან ჩამოყოლია **ირაკლი წერეთელს**. პოლკის როტის უფროსები, ახალგაზრდა ქართველი ოფიცრები, არსებული მდგომარეობის გამო ძალიან დაშინებულნი ყოფილან. რამდენიმე დღეში შეტაკება მოხდა ოსმალებთან და შეძლეს მტრის მოგერიება, რომლის დროსაც დაიღუპა **კოდრათი ორაგველიძე** და დაიჭრა რამდენიმე მებრძოლი.

ფრონტზე არსებული ვითარება გამწვავდა 1918 წლის 12 თებერვალს, როდესაც ოსმალეთმა დაარღვია საზავო ხელშეკრულება. 8 მარტს ამიერკავკასიის საზავო დელეგაცია ტრაპიზონში ჩავიდა კრეისერით, რომელმაც მიატოვა ისინი. ტრაპიზონის საზავო მოლაპარაკება მიმდინარეობდა 1918 წლის 12 მარტიდან 5 აპრილამდე. ფაქტობრივად, იქაური ბოლშევიკური აღმასკომის ხელშეწყობით, ტრაპიზონი უბრძოლველად გადავიდა ოსმალთა ხელში. დელეგაციის ხელმძღვანელი აკ. ჩხენკელი (იგი იყო ამიერკავკასიის კომისარიატის შინაგან

საქმეთა მინისტრი, 1918 წლის აპრილიდან კი ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მეთაური), ოსმალთაგან კი I რანგის კაპიტანი **ჰუსეინ რაუფ-ბეი-აფხაზი**, ჩხენკელის მეზობელი სოფლიდან. ამ პერიოდში მოხდა ბერძენი და სომეხი მოსახლეობის აწიოკება, ოსმალთა მიერ **არტაანისა** და სხვა პუნქტების დაკავება და მზადება **ბათუმსა** და **ყარსზე** შეტევისათვის. ტრაპიზონში 2 აპრილს ჩავიდა კავკასიის ფრონტის მთავარსარდალი **ვენიზ-ფაშა** შტაბითურთ. მისი ბრძანებით 4 აპრილს გაუფრთხილებლად მოხდა ბათუმის ოლქის საზღვრებამდე 10 კმ-ით მიახლოება. 5 აპრილს კონფერენციაზე დათანხმდნენ ყველაფრის დათმობას (**ყარსის, ოლთისისა** და ა. შ.), მაგრამ არავითარ შემთხვევაში ბათუმისა. წამოვიდა ულტიმატუმები ამის გამო. **ჩხენკელმა** ბრესტის ზავი ნაწილობრივ სცნო. 14 აპრილს დელეგაცია ტრაპიზონიდან წამოვიდა და ოსმალები იმავე დღეს დაეუფლნენ ბათუმს, შეუტყეს **ოზურგეთისა** და **ყარსის** მიმართულებით. ოსმალეთი დაეუფლა **ბათუმ-ყარს-არტაანს** და დაარღვია საერთაშორისო სამართლის ნორმები.

ურუშადის შეფასებით, ბათუმის დასაცავად ჯარისკაცები სათანადო სიმადლეზე ვერ აღმოჩნდნენ, რადგან ისინი მტრის პირველივე შემოტევაზე გაქცეულან, ნაწილი კი ტყვედ ჩავარდნილა. ქართული ჯარი ახალორგანიზებული იყო და, ამიტომაც, თითქმის უბრძოლველად მოხდა ბათუმის დატოვება. მიუხედავად ამისა, სახალხო გვარდიას შეეძლო მტრის შეჩერება, მაგრამ ბოლშევიკების გამო ეს ვერ მოხერხდა და 14 აპრილს ოსმალეთმა ბათუმი დაიკავა. ამ მოვლენას სხვადასხვაგვარად ათარიღებენ ომის მონაწილეები: **გ. მაზნიაშვილის** მიხედვით 31 მარტია [**მაზნიაშვილი, 1990: 25**], გ. შარაძე ბათუმის დაცემის თარიღად, აკ. ჩხენკელის მოგონებების მიხედვით, 1 აპრილს ასახელებს [**შარაძე, 1991: 77**], ხოლო ავთ. ურუშადის მიხედვით კი 3 აპრილია. როდესაც ბათუმიდან გამოქცეული მებრძოლები გაყვიროდნენ – „გაგვიდესო“, მათ **ნოე ჟორდანიას** და **ირაკლი წერეთელი** შეხვედრიათ და ამ უკანასკნელს მათთვის მიუძახია: „თქვენ გლახებო, თქვენში ვინ დახარჯავს ფულსო“ [**ურუშადე, 1945: 20**].

მემუარების მიხედვით, ბათუმის დაცემის შემდეგ 3 აპრილს ოსმალები მოიგერიეს ჩაქში, მაგრამ „პარლამენტორები“ გამოუგზავნიათ და ჩაბარება უთხოვიათ. ბათუმში პოლკის უფროსი იყო ყარალაშვილი [**ურუშადე, 1945 :20**] – მე-2 ქართული ლეგიონის უფროსი, რომლის ლეგიონი ტრაპიზონში ნამსახური 500-მდე მებრძოლისგან შედგებოდა [**მაზნიაშვილი, 2014: 33**]. **ყარალაშვილი** დილით მებრძოლებთან მისულა, სადაც მას 3 ბატალიონი ჰყავდა და მათ გამოუცხადა უკანდახვევისა და ქალაქიდან გასვლის შესახებ, მაგრამ ჯარისკაცები გაქცეულან. ისინი ჯავშნოსნის შიშითა და მუქარით უკან მიუბრუნებია **ვალდია გოგუაძეს** [**სიორიძე, 2002: 222**]. რაზმს, რომელშიც

ავთ. ურუშაძე იბრძოდა, ჩაქვში უკანდახევის დროს გზა ორჯერ შეუკრეს, თუმცა შეძლეს მისი გარღვევა და დაუახლოვდნენ სადგურ ჩაქვს, სადაც „ბრონევიკმა“ ვალლდა გოგუაძემ ჩაქვის წყალთან ოსმალებს ცეცხლი გაუხსნა და მტერი დიდი ზარალით უკუაგლო. მალე, 1918 წლის 13 აპრილს, მენშევიკებმა ვ. გოგუაძე ეროვნულ გმირად აღიარეს *[შარაძე, 1993: 156]*.

გენერალ მაზნიაშვილს დაევალა 30 მარტს სადგურ ჩაქვიდან გაველო ხეობა და ხელი შეეშალა ოსმალეთისათვის, რათა მათ არ დაეჭირათ სამების ფორტი *[მაზნიაშვილი, 2014: 26]*. ასე ჩავიდნენ სადგურ ჩაქვში, შემდეგ კი მატარებლით ქობულეთში, სადაც ურუშაძის ცნობით, დახვდათ გენერალი მაზნიაშვილი რამდენიმე ხაშურელ ჯარისკაცთან ერთად *[ურუშაძე, 1945: 21]*. მაზნიაშვილის ცნობით, ხაშურელ ნიკიფორე იმნაიშვილს 1300-მდე მებრძოლი შეუგროვებია *[მაზნიაშვილი, 2014: 38]*, თუმცა, შესაძლოა, გენერალი ქობულეთის სადგურთან მხოლოდ რამდენიმე მებრძოლის თანხლებით ყოფილიყო. როგორც ცნობილია, მაზნიაშვილს მიღებული ჰქონდა დავალება, რათა ოსმალები ჩოლოქს არ გამოცილებოდნენ *[მაზნიაშვილი, 2014: 31, 38, 43]*.

მეორე დღეს პარტიზანულმა რაზმმა პირნათლად შეასრულა ბრძანება და ჩოლოქის ხიდთან დაწყებული სანგრების კეთება ორ დღეში დაასრულა *[მაზნიაშვილი, 2014: 43]*. ბრძოლის ხმა ოზურგეთიდანაც ისმოდა. მესამე დღეს ნატანებში გადავიდნენ და მატარებლით სადგურ სუფსაში მივიდნენ, საიდანაც ერთი დღით ლანჩხუთში გადასულან, შემდეგ აკეთში და იქედან კი ნაგომარში, სადაც მე-4 პოლკის ოფიცრებს შეხვედრიან.

გენერალ მაზნიაშვილის ცნობით, მე-4 ლეგიონმა, რომლის უფროსი იყო პოლკოვნიკი წერეთელი, არ მოისურვა არც ბათუმში, არც ოზურგეთში ბრძოლა. რამდენიმე დღეში ნატანებში შეხვდნენ ფედერალისტების რაზმს გელევანიშვილის მეთაურობით *[ურუშაძე, 1945: 21]*, რომელიც ბათუმის ფორტების საერთო ხელმძღვანელი გენერალი ა. გელევანიშვილი უნდა ყოფილიყო *[სიორიძე, 2002: 217]*. მათთან ერთად ბრძოლა გამართეს ვაშნარში, სადაც შეძლეს მტრის მოგერიება, თუმცა ორივე მხარეს დიდი ზარალი განუცდია.

მაშინ, როდესაც ძალიან დიდი საფრთხე არსებობდა ოსმალეთის მხრიდან, ბათუმისა და ტრაპიზონის ბოლშევიკებმა შიდაპოლიტიკური დესტაბილიზაციით ისარგებლეს და 1918 წლის მარტში უზრუნველყვეს „საბჭოთა აჯანყება“ სამეგრელოში, აფხაზეთსა და შიდა ქართლის ოსებში, ურუშაძის მიხედვით, ასევე დუშეთსა და ლენხუმში *[ურუშაძე, 1945: 22]*.

ქართულ ჯარში ანტიბოლშევიკურ განწყობაზე დიდად იმოქმედა **ისიდორე რამიშვილისა** და **ანანია სალუქვაძის**, განსაკუთრებით კი **ზოსიმე ფირცხალაიშვილის** მისვლამ, რომელსაც ჯარისკაცებისთვის უჩვენებია ბოლშევიკების პროკლამაცია მოწოდებით, რათა ჯარისკაცებს დაეტოვებინათ ფრონტი და დახმარებოდნენ სამეგრელოსა და ლეჩხუმის აჯანყებულებს. ურუშაძის თქმით, ამ პროკლამაციით მაშინ ბევრს აეხილა თვალი. რამდენიმე ხანში ფრონტის ვითარება შეამოწმა ნოე ჟორდანიამ. მალე შეიქმნა ქართული ჯარი.

1918 წლის 22 აპრილს ამიერკავკასიის სეიმმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა. სეიმის თავჯდომარემ **აკაკი ჩხენკელმა** აცნობა ოსმალეთს, რათა გაგრძელებულიყო ტრაპიზონის მოლაპარაკება, მაგრამ ამოდ. მტერმა 25 აპრილს აიღო **ყარსი**.

გერმანიის დაწოლით თურქები დათანხმდნენ ტრაპიზონში შეწყვეტილი საზავო მოლაპარაკების ბათუმში განახლებას **[სიორიძე, 2002: 228]**, რომელიც მიმდინარეობდა მაის-ივნისში (11-26 მაისი; 31 მაისი-4 ივნისი).

ბათუმის კონფერენციას ესწრებოდნენ **აკ. ჩხენკელი, ნ. ნიკოლაძე** და სხვები, ხოლო ოსმალეთიდან – **ჰალილ-ბეი** და გენერალი **ვენიზ-ფაშა**. როგორც ცნობილია, გერმანიას არ მოსწონდა მისი მოკავშირის – ოსმალეთის „თურანის“ შექმნის გეგმა, რადგან ამიერკავკასიაში ლიდერობისთვის მათი ინტერესები ერთმანეთს შეეჯახა. ამიტომ, გერმანია შეეცადა რჩევა მიეცა ნ. ჟორდანიასთვის დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ. **გ. ნოზაძის** შეფასებით, ბათუმის ხელშეკრულებით დასრულდა ომი ოსმალეთსა და საქართველოს შორის, რომლის შედეგადაც საქართველომ დაკარგა მესხეთი **[ნოზაძე, 1989: 34]**.

წამყვან სახელმწიფოთა შორის არსებული წინააღმდეგობებისა და დაპირისპირებების გამოყენებას ცდილობდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის დიპლომატია. მენშევიკებმა ზავი დადეს ოსმალეთთან, თანახმად ბრესტ-ლიტოვსკის ზავისა, რომლის შედეგად თურქეთმა მიიღო **ბათუმის, ყარსისა** და **არდაგანის** ოლქები. ქართული დიპლომატიის ცნობით, 1918 წლის 4 ივნისს გაფორმდა ამიერკავკასიის ცალკეული რესპუბლიკის საზავო ხელშეკრულება, რომელიც მოხდა ოსმალთა ხიშტების ძალდატანებით **[ნოზაძე, 1989: 37]**.

როდესაც 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, ბათუმისათვის ბრძოლა გრძელდებოდა. ამ დროს ავთ. ურუშაძე თანამებრძოლებთან ერთად **ჩოლოქის** პირას იმყოფებოდა. შემდეგ იგი იბრძოდა **იმერეთში**, კერძოდ, **ბაღდადში**, **ახასთუმნის** მიმართულებით აჭარა-სამცხის საზღვარზე (**ზეკარის ხეობა**, **რკინის ჯვარი**), სადაც მე-12 პოლკის მეთაური იყო **სრესელი**.

1918 წლის ზაფხულში ბათუმში მომრავლდნენ თურქოფილები. ტრაპიზონი გამოიკვეთა როგორც ბათუმზე შეტევის მოქმედების ბაზა. ამ დროს მიმდინარეობდა ქართული ჯარის ფორმირების პროცესი და ძალები მიმოფანტული იყო. ბათუმის ზავით ოსმალეთმა მიიღო სამხრეთ-დასავლეთ საქართველო. სწორედ ამ უძძიმეს ვითარებაში შეიქმნა „სამაჰმადიანო საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი“, რომელსაც სათავეში ჩაუდგა **მემედ აბაშიძე**.

„ქართველ მაჰმადიანთა კომიტეტმა“ დაიწყო შეიარაღებული რაზმის შექმნა ადგილობრივებისაგან. მარტის თვიდან ბათუმში საომარ ყაიდაზე გადავიდა. გამოცხადდა 60 წლამდე ასაკის მამაკაცთა მობილიზაცია. ბათუმში გენერალ **გ. მდიენის** ხელმძღვანელობით თავი მოიყარა მნიშვნელოვანმა ძალებმა.

1918 წლის ნოემბერში გერმანიამ წააგო ომი და დაუზავდა ანტანტას. მუდროსის ზავით თურქეთმა დათმო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები. ინგლისმა დაიკავა ბათუმი და აჭარა. ზავის ყველაზე მნიშვნელოვანი – მეშვიდე მუხლის თანახმად, „ანტანტის ქვეყნებს მათი უსაფრთხოებისათვის საფრთხის შექმნის შემთხვევაში ნებისმიერი სტრატეგიული ადგილის დაკავების უფლება ეძლეოდათ“. ქვეყნის დამანგრეველი ამ ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე ანტანტის ქვეყნებმა ანატოლიის ტერიტორიის დაკავება დაიწყეს **[პერტაია, ინტერნეტრესურსი]**. ინგლისელებმა ბათუმში ადგილობრივ რუსულ პარტიასთან დაიწყეს თანამშრომლობა, ხოლო გერმანია საქართველოს „მფარველად“ ითვლებოდა.

1918 წლის ნოემბრის ბოლოს, მას შემდეგ, რაც ანტანტამ გაიმარჯვა, ოსმალეთი განდევნეს. პარიზის საზავო ხელშეკრულება დაიდო 1919 წლის 14 მარტს. საქართველოს დელეგაცია ითხოვდა იურისდიქციას თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებზე, ბათუმის, სოხუმისა და ზაქათალის ოლქებზე, ყარსის ოლქისა და ტრაპიზონის ვილაიეთის გარკვეულ ნაწილზე. რუსეთმა და თურქეთმა გაინაწილეს გავლენის სფეროები ამიერკავკასიაში, რაც საბოლოოდ დასრულდა 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულებით. ამის შედეგად თურქებს გადაეცა საქართველოს ისტორიული ოლქები **ართვინი, ოლთისი, არტაანი**. ოსმალეთმა უარი თქვა **ბათუმსა** და მის ოლქზე.

1921 წლის 18 მარტს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დატოვა საქართველო და ემიგრაციაში წავიდა. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ ავთ. ურუშაძემ თანამებრძოლთა ჯგუფთან ერთად დატოვა საქართველო.

ამრიგად, სტამბოლის ქართველთა სავანეში დაცული ავთანდილ ურუშაძის მემუარები შეიცავს არაერთ საყურადღებო ცნობას XX საუკუნის 10-იან წლებში ბათუმისა და მისი შემოგარენისათვის ბრძოლის შესახებ. ავტორის ინფორმაცია, ძირითადად, ემთხვევა ქართულ

ისტორიოგრაფიაში აღიარებულ დასკვნებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

### **გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:**

**გრძელიძე, 1995:** – გრძელიძე რ., საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918), თბილისი.

**მაზნიაშვილი, 1990:** – მაზნიაშვილი გ., მოგონებანი (1917-1925), ბათუმი.

**მაზნიაშვილი, 2014:** – მაზნიაშვილი გ., მოგონებანი, თბილისი.

**ნოზაძე, 1989:** – ნოზაძე ვ., საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო. თბილისი.

**ნდინ, 2008:** – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, ბათუმი.

**სიორიძე, 1998:** – სიორიძე მ., საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, ბათუმი.

**სიორიძე, 2002:** – სიორიძე მ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 1914-1918 წლებში, ბათუმი.

**სიორიძე, 2011:** – სიორიძე მ., ნარკვევები ბათუმის ისტორიიდან, I, თბილისი.

**სულაძე, 2010:** – სულაძე გ., ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები (1918-1953 წწ.), თბილისი.

**ურუშაძე, 1945:** – ურუშაძე ავთ., მოგონებანი, პარიზი.

**ურუშაძე, 2011:** – ურუშაძე ლ.ხ., როგორ არ უნდა იწერებოდეს ისტორია, თბილისი.

**შარაძე, 1991:** – შარაძე გ., უცხოეთის ცის ქვეშ, წ. 1, თბილისი.

**შარაძე, 1993:** – შარაძე გ., უცხოეთის ცის ქვეშ, წ. 2, თბილისი.

**პერტაია, ინტერნეტ-რესურსი:** პერტაია დ., დამოუკიდებელი საქართველო და ინგლის-საფრანგეთის გეგმები (1918-1921 წწ.). ინტერნეტ-მისამართი:

<https://matiane.wordpress.com/2010/02/15/independent-georgia-and-english-french-ships/>

**ურუშაძის ბიოგრაფია, ინტერნეტ-რესურსი** – ურუშაძის ბიოგრაფია. ინტერნეტ-მისამართი:

[https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%90%E1%83%95%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9A\\_%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94](https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%90%E1%83%95%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9A_%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94)



**Shushana Putkaradze, Roin Malakmadze,  
Tamila Lomtadze, Naila Chelebadze,  
Elza Putkaradze, Shorena Putkaradze  
(Batumi, Georgia)**

**Fighting for Batumi and its Suburbs in the 10 -s of of the XX th Century  
(According to the Memoirs by Avtandil Urushadze Preserved Istanbul)**

Summary

Among the memories preserved in Georgian catholic priory important place is given to the heritage by Avtandil Urushadze., which contains many essential information about the battle for the suburbs of Batumi in the 10-ths of the XX th century. The author talks about the social and political situation existing in the country, about the each statesman and the political persons unknown until today.

The information given by the author coincides to the information admitted in Georgian historiography connected to the mentioned subjects.

The existence and the sequence of the descriptions makes us think that the author had been writing the diary about the subject for a long time and finished writing in 1945 in Paris while being in emigration.





),

.

,

.

-

,

,

( . 2 I-IV, 1949 .- -

).

,

-

-

(

IT-94-1-AR 72, . 35, , ICTY -

)

2004 , , . .

-

.

-

.

,

-

,

, . .

,

,

-

, . .

.

2004 ,

-

,

,

,

-

,

,

(

).

.

,

.

-

, . .

1. 1945 // <http://www.un.org/ru/charter-united-nations/>
2. 3314 (XXIX) « » 1974 // <http://www.un.org/ru/ga/29/docs/29res.shtml>
3. 1960 // [http://www.un.org/ru/documents/decl\\_conv/declarations/colonial.shtml](http://www.un.org/ru/documents/decl_conv/declarations/colonial.shtml)
4. 2004. // : / 1072 .
5. I-IV, 1949 . // <https://www.icrc.org/rus/resources/documents/misc/geneva-convention-4.htm>
6. IT-94-1-AR 72// <http://www.icty.org/case/tadic/4>

**Durmishkhan Afkhazava**  
*(Kazan, Russia)*

### **The Principle of Non-use of Force in International Law: Batumi Phenomenon**

#### Summary

In the second millennium, after the experience of wars and the conflicts undergone by mankind, it would seem excessive to remind that use of the armed force by one state against other state is forbidden and makes the international crime of aggression if this is not about self-defense measures in response to armed attack or about participation in sanctions according to the decision of the UN Security Council.

Meanwhile, the modern international relations, certainly, demonstrate that, despite recognition of war of aggression by the international crime, the most developed and leading states often use the armed force for the sake of ensuring own interests. The great public outcry was caused by events in Yugoslavia and Iraq.

In given article, there will be for the first time an attempt to analyze in science a question of realization of principle of non-use of force in international law, on the basis of armed conflict

## ოსმალთა მიერ ბათუმის ოკუპაცია 1918 წელს

1918 წლისათვის პირველი მსოფლიო ომი დაასკვნით ფაზაში შევიდა. 1917 წლის ოქტომბერში სახელმწიფო გადატრიალების გზით მოსული რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლება ცდილობდა რაც შეიძლება სწრაფად გამოსულიყო ომიდან, რათა მთელი რესურსი ქვეყნის შიგნით საკუთარი ძალაუფლების განმტკიცებისათვის გამოეყენებინა. მოიშალა ფრონტის ხაზი, რამაც დააჩქარა სეპარატული ზავის დადება გერმანიასთან. ეს უკანასკნელი ორ ფრონტზე იბრძოდა და თავის მხრივ დაინტერესებული იყო საომარი მოქმედებების შეწყვეტით.

1917 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში ბრესტ-ლიტოვსკში, მეომარ მხარეთა შორის, გაფორმდა დროებითი საზავო ხელშეკრულება და იქვე დაიწყო მოლაპარაკება საბოლოო ზავის პირობების დასადგენად. მშვიდობა ჩამოვარდა კავკასიის ფრონტზე ამიერკავკასიასა და ოსმალეთს შორის ერზინჯანში მიღწეული შეთანხმების საფუძველზე [სიორიძე, 2002: 180]. სამწუხაროდ, ამიერკავკასიის ხელისუფლებამ, ოსმალეთის შეთავაზების მიუხედავად, არ მიიღო მონაწილეობა ბრესტ-ლიტოვსკში მიმდინარე საზავო მოლაპარაკებებში, რადგან ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლას დროებით მოვლენად მიიჩნევდნენ და მათ ქმედებებს სერიოზულად არ აღიქვამდნენ. ამან კი საშუალება მისცა ოსმალეთის დელეგაციას დაერწმუნებინა გერმანია თავის „კანონიერ“ პრეტენზიებში ამიერკავკასიის გარკვეული ტერიტორიების მიმართ. 3 მარტს ბრესტში მოწერილი ხელშეკრულების მე-4 პუნქტის ძალით, რუსეთმა დაკარგა გავლენა არტაანის, ყარსისა და ბათუმის ოლქებზე. მას უნდა გაეყვანა ჯარი ამ რეგიონიდან და არ ჩარეულიყო ამ ოლქების სახელმწიფო-სამართლებრივ ორგანიზაციაში, რაც ადგილობრივი მოსახლეობის პრეროგატივად იქნა მიჩნეული, ოღონდ მეზობელ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით კი ოსმალეთთან შეთანხმებით [Мирный договор...; სვანიძე, 2003: 155-156].

მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებაში არ ეწერა, არტაანი, ყარსი და ბათუმი ოსმალეთს უნდა გადასცემოდა, ამ უკანასკნელმა, ადგილობრივი მოსახლეობის ნების საწინააღმდეგოდ, დაიწყო მათი ოკუპაცია და 1877 წლის რუსეთ-ოსმალეთის სახელმწიფო საზღვრის აღდგენა. 19 მარტს ოსმალებმა აიღეს არტაანი. მანამდე მათ დაიკავეს ტრაპიზონი. მთლიანად მოიშალა კავკასიის ფრონტის ხაზი. უკანდახეული ჯარის დიდმა ნაწილმა თავი მოიყარა ბათუმში, რამაც აქ არეულობის საშიშროება შექმნა. გასაქანი მიეცა კრიმინალს, ადგი-

ლობრივი ხელისუფლება კი უძღური იყო აღედგინა წესრიგი. ასეთ პირობებში ბოლშევიკებმა მორიგი ავანტიურა დაგეგმეს და შეეცადნენ ბათუმში ხელისუფლების ხელში ჩაგდებას. ისინი აკონტროლებდნენ საზღვაო ფლოტსაც, თუმცა, ნოე რამიშვილის აქტიური მოქმედებების შედეგად, მოხერხდა მათი განიარაღება და ოსმალთა მოძალებული აგრესიის პირობებში ქალაქის დაცვის სამსახურში ჩაყენება. სამწუხაროდ, მთავრობის გადამეტებული ნდობით ბოროტად ისარგებლეს შეწყალებულ მატროსთა ნაწილმა და მოახერხეს საფლაგმანო კრეისერ „კაროლ-კარლის“ ბათუმის ნავსადგურიდან გაპარება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ბათუმის დაცვის საქმეს *[ხოლოძე, 2011: 241-242; უზუნაძე, 2001: 304-305]*.

აღნიშნულ პერიოდში, 1918 წლიდან 14 მარტიდან 5 აპრილამდე, ტრაპიზონში, რომელსაც იმ პერიოდისათვის ფაქტობრივად უკვე ოსმალეთი აკონტროლებდა, გაიმართა საზავო კონფერენცია ამიერკავკასიის წარმომადგენლებსა (თავმჯდომარე ა.ჩხენკელი) და ოსმალეთს შორის *[ხოლოძე, 1998]*. სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყებაზე შეთანხმება თებერვლის შუა რიცხვებში მოხდა, მას შემდეგ, რაც ოსმალეთმა დაარღვია დროებითი ზავი და 12 თებერვალს განაახლა საომარი მოქმედებები. კონფერენციაზე მალევე გამოჩნდა, რომ ოსმალეთისათვის ამოსავალი იყო ამიერკავკასიის ხელისუფლების მიერ ბრესტის ზავის პირობების აღიარება. ამ პერიოდისათვის ამ უკანასკნელს ჯერ კიდევ არ ჰქონდა გამოცხადებული დამოუკიდებლობა, ასე რომ იგი ფორმალურად რუსეთის იმპერიის ნაწილად აღიქმებოდა და საერთაშორისო სამართლით წამგებიან სიტუაციაში იმყოფებოდა. მითუმეტეს, როცა ამას ოსმალთა მხრიდან სამხედრო ზეწოლაც ემატებოდა, რისი საპირწონე ძალაც ამიერკავკასიას არ გააჩნდა.

ამიერკავკასიის დელეგაცია, მთავრობასთან შეთანხმებით, იძულებული გახდა ოსმალეთისათვის შეეთავაზებინა თითქმის მთელი ყარსის ოლქი და ბათუმის ოლქის ნაწილი, მაგრამ ოსმალეთი ჯიუტად მოითხოვდა ბრესტის ზავის უპირობოდ მიღებას. 6 აპრილს მათ უღტიმატუმი წაუყენეს ქართულ მხარეს და მოითხოვეს გადაწყვეტილების გამოცხადება 48 საათის განმავლობაში. ამასობაში ოსმალებმა არტაანი აიღეს და ყარსს შეიტყეს. შეიქმნა გამოუვალი სიტუაცია. თბილისიდან პასუხიც იგვიანებდა, ამიტომაც ამიერკავკასიის დელეგაციამ, ცენტრთან შეუთანხმებლად, მიიღო ბრესტის ზავის პირობების ცნობის გადაწყვეტილება, რაც აცნობა ოსმალურ მხარეს. დაგვიანებით, 11 აპრილს მოვიდა პასუხი თბილისიდან, რომლითაც მთავრობა ზავის აღიარებას შეუძლებლად თვლიდა. იმავე 11 აპრილს კავკასიის ფრონტის მთავარსარდალმა ვეჰიბ ფაშამ მოითხოვა 13 აპრილის შუადღემდე ბათუმის დაცლა. ქართულმა მხარემ 1 დღით მეტი დრო

ითხოვა, რაზეც ოსმალები არ დათანხმდნენ, განაახლეს შემოტევა და 14 აპრილს აიღეს ქალაქი *[სიორიძე, 2002: 204-214]*.

აი, როგორ აღწერს შექმნილ სიტუაციას ბათუმში რუსული ეროვნული საბჭოს ლიდერი პ.მასლოვი: „მწარე და საშინელი დღეები იყო ჩვენთვის, ბათუმში დარჩენილი რუსებისთვის! რა ბავშვური, გადაჭარბებული გვეჩვენა ჩვენი შიში და შეურაცხყოფილი ეროვნული თავმოყვარეობა, რომელსაც ვგრძნობდით 1915 წელს ბათუმთან თურქების მოახლოებისას. მაშინ დროებითი წარმატების მქონე მტრის წინაშე იდგა რუსეთის იმპერიის მთელი ძლიერება, ლტოლვილთა განკარგულებაში იყო მთელი დიდი რუსეთი. ახლა, ჩვენს უკან, ჩრდილოეთში იყო აბოხოქრებული, გონებადაკარგული, სინდისის და პასუხისმგებლობა დაკარგული სახალხო სტიქია, დამცველებად კი გამოდიოდნენ ჩვენს მიმართ მტრულად განწყობილი ქართველები, აშკარად დამარცხებაზე განწირულები“ *[ასსცსა, ფ. 67, ან. 1, ს.14]*.

როგორც ირკვევა, ბათუმის გარნიზონი 8 ათასი ქართველი ჯარისკაცისაგან შედგებოდა, რაც ქალაქის ხანგრძლივი დაცვის გარანტია უნდა ყოფილიყო, თუმცა ამის მიუხედავად ადგილობრივმა ხელისუფლებამ 60 წლამდელი მამაკაცების სრული საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა. ათასობით ხანში შესული მამაკაცი, რომლებსაც არასოდეს ეჭირათ ხელში თოფი, გაიგზავნა შიდა საყარაულო სამსახურისა და მილიციელთა მოვალეობის შესასრულებლად, რათა, როგორც ცხადყოფდა ბათუმის დეპუტატთა საბჭოს ბრძანება, „ამ მოვალეობისგან განთავისუფლებულიყო მთელი ბრძოლისუნარიანი ელემენტი და იგი უკანასკნელ ადამიანამდე გაგზავნილიყო ფრონტზე...“ *[იქვე]* მალე ქალაქის დამცველთა რიცხვი 12 ათასამდე გაიზარდა, თუმცა მათი უმრავლესობა სახალხო მოლაშქრე იყო *[სიორიძე, 2002: 217; Nizamoğlu, 2013]*.

ბათუმი, როგორც ციხესიმაგრე, ბრწყინვალედ იყო მოწყობილი და უზრუნველყოფილი ყოველივე საჭიროთი (სურსათი, სამხედრო მასალა და სხვ.) ნახევარი წლისათვის. ალყის დროს მძლავრი საზღვაო ქვემეხები ბათუმის ირგვლივ გარშემორტყმულ ფორტების სამ ძლიერ ხაზზე ზღვიდან ნაპირისკენ იყო შემობრუნებული მტრისთვის ცეცხლის დასაშენად. ციხესიმაგრის კომენდანტად დანიშნული იყო გენერალი მდივანი, ბათუმის ციხესიმაგრის შტაბის ყოფილი უფროსი, ქალაქის გაძლიერებული მისადგომების (ფორტების) უფროსად კი გენერალი ოდიშელიძე, ყოფილი დივიზიის მეთაური რუსეთის დასავლეთ ფრონტზე. ასეთმა ორხელისუფლებიანობამ უარყოფითდ იმოქმედა ქალაქის ორგანიზებულად დაცვაზე.

ბათუმის დაცვაზე და დამცველთა ბრძოლისუნარიანობაზე უარყოფითად იმოქმედა ოსმალო აგენტურის მიერ ორთაბათუმში წყალსადენის სათავის მოშლამ, რამდენიმე ადგილას რკინიგზის დაზიანებამ, სახაზინო



ქონების ევაკუაციის დაწყებამ. ამას ემატებოდა ჯარში გამეფებული უდისციპლინობა, სამხედრო პოზიციების უნებართოდ მიტოვება *[ხოორიძე, 2002: 219]*.

ბათუმში რუსული ეროვნული საბჭოს ხელმძღვანელი პ. მასლოვი თავის მოგონებებში სიტუაციას ისე წარმოაჩენს, თითქოს ყოველმხრივ გამაგრებული ბათუმი 3500 ოსმალო ასკერის ალყას დანებდა და ყველაფერს ქართული მხარის შეუთანხმებელ, გაუბედავ და პანიკურ მოქმედებას მიაწერს: „მიადგნენ რა ბათუმს 14-16 მარტს (ძველი სტილით – ი.ბ.), მათ 5-6 დღის განმავლობაში თითქმის წინააღმდეგობის გარეშე დაიკავეს ფორტების პირველი ხაზი. მეორის აღებისას მოხდა გარკვეული შეფერხება, ამასთან, ქართველები ამ ფორტების მისადგომებს ცეცხლს უშენდნენ ციხე-სიმაგრეთა მძიმე ქვემეხებიდან. მაგრამ სროლა იყო იშვიათი, გაუბედავი... ქალაქში არავითარი საფრთხე არ იყო: თურქები მას ცეცხლს არ უშენდნენ, და არც შეეძლოთ ამის გაკეთება.

28 მარტისთვის დაეცა მეორე ხაზიც. მმართველ წრეებში ნამდვილი პანიკა დაიწყო... ქართველების ხელში თითქმის მთლიანად რჩებოდა ფორტების მესამე ხაზი. მაგრამ 30 მარტს, საღამოს, მოვიდა ორი სპეციალური გემი ფოთიდან და 31-ში, გათენებისთანავე, დაიწყო გემებზე და მრავალრიცხოვანმა მატარებლებზე მგზავრთა სასწრაფო დაჯდომა და მათზე ტვირთების ატანა. პანიკა, სრულიად გაუგებარი, მოედო იმათ, ვინც უკან იხევდა... ტფილისზე მატარებლები გადიოდა ჯარისკაცებით ისე დახუნძლული, როგორც ბუხებით: ვაგონების სახურავები, ბუფერები, მოედნები მთლიანად გავსებული იყო ადამიანთა სხეულებით; იგივე იყო გემებზეც.

უკანასკნელი კატერით ბათუმი დატოვეს ნ. რამიშვილმა, სათათაბიროს თავმჯდომარე ბულგაკოვმა და გენ. მდივანმა. სარდლობამ გაითვალისწინა მშვიდობიანი მოსახლეობის ინტერესები და არ ააფეთქა წინასწარ დანადგული ფორტები და საწყობები. 1 აპრილს, ადრე დილას დაიწყო ციებ-ცხელებით მოცული ევაკუაციის ბოლო ეტაპი. ვაგზლისკენ მიიწვედნენ დარჩენილი ქართული ნაწილები, აჩქარებით იტვირთებოდა სურსათი. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველებს ბათუმიდან გაჰქონდათ თითქმის მხოლოდ სურსათის მარაგი, სამხედრო მასალა თითქმის მთლიანად დატოვებული იქნა...“ *[ახსცსა, ფ. 67, ან. 1, ს. 14]*.

თურქული ისტორიოგრაფიის მიხედვით, ბათუმისკენ მომავალი, მოიერიშე ოსმალო ასკერების რაოდენობა 7 ათასს აღწევდა. ქალაქის აღების დღეს კი ამ ძალას კავკასიის მეათე დივიზიონიც დაემატა *[Nizamoglu, 2013]*. ასეთ პირობებშიც კი, ვფიქრობთ, ქალაქის შენარჩუნება, სამხედრო თვალსაზრისით, შესაძლებელი იქნებოდა, რომ არა ტრაპი-

ზონში მიმდინარე მოლაპარაკებების შედეგები, საერთო რევოლუციური ფონი და ჯარის ნაწილებში შექმნილი მძიმე ვითარება, რაზმის თავის მოგონებებში მიუთითებს გენ. გიორგი მაზნიაშვილიც. იგი ქალაქის დაცემამდე ორი დღით ადრე ბათუმის შემოვლითი რაზმის ხელმძღვანელად დაინიშნა და სამების ფორტის უსაფრთხოების უზრუნველყოფა დაევალა. იგი წერს:

„ბათუმში დაბანაკებული ქართული ჯარები თითქმის მთლად შესღებოდნენ ფრონტზე მყოფ ძველი ჯარისკაცებიდან, რომელთაც მოვალეობდა და დისციპლინა არ სწამდათ და ვერ შეეგნოთ, რომ საშიშარი მტერი ბათუმის დაჭერით არ დაკმაყოფილდებოდა.. ოფიცრები შეძლებისდაგვარად სცდილობდნენ აეხსნათ ჯარისკაცებისათვის, თუ რა სერიოზული საკითხი იდგა ქართველების წინაშე, მაგრამ ყურს არაავინ იბერტყავდა... მთავრობის წევრნი მოდიოდნენ ბათუმში პოზიციების დასათვალიერებლად, მაგრამ იმის მაგივრად, რომ აეხსნათ ჯარისკაცებისათვის რა ხიფათი მოელოდა საქართველოს, შეიარაღებული მტრის თვალწინ მართვადნენ განუწყვეტელ მიტინგებს და ელაპარაკებოდნენ რევოლუციის მონაპოვარზე...“ *[მაზნიაშვილი, 2007: 16-17]*

ბათუმში ოსმალთა გამოჩენის შემდეგ, დაახლოებით დღის 12 საათისთვის სათათბიროს შენობაში შეიკრიბნენ ბათუმში დარჩენილი ხმოსნები და ზოგიერთი ცნობილი მოქალაქე; გადაწყდა, თურქებთან გაეგზავნათ ქალაქის დელეგაცია, უმთავრესად იმისათვის, რომ გაეფრთხილებინათ ისინი ქალაქის ქუჩებში შეიარაღებული მილიციელების არსებობის შესახებ, რომლებსაც წესრიგის დაცვის მიზანი ამოძრავებდათ და, რა თქმა უნდა, არანაირი მტრული განზრახვა არ გააჩნდათ თურქების მიმართ. დელეგატებად არჩეული იქნენ: ხმოსანი (სოც.-რევ.) ლორთქიფანიძე, გავლენიანი სახლის მეპატრონე თავბერიძე და ბერძენი სახლის მეპატრონე დიმიტრიადი. პარლამენტარები, რომლებსაც ჰქონდათ უზარმაზარი თეთრი დროშა, ავტომობილით გაემართნენ თურქების პოზიციებისკენ. დაახლოებით 1,5 საათის შემდეგ ისინი დაბრუნდნენ წარმოსადგე თურქ პოლკოვნიკთან ერთად, რომელიც შემოვიდა სათათბიროს სხდომათა დარბაზში, ზრდილობიანად მიესალმა შეკრებილთ და თურქულად განაცხადა:

„არმიის სარდალ ვეჰიბ-ფაშის ბრძანებით და მისი სახელით მადლობას ვუხდით ბათუმის მოსახლეობას დელეგაციის გამოგზავნისა და ქალაქის დაცვისათვის მიღებული ზომების გამო. ჩვენ ვთხოვთ მილიციელ-ობივატელებს დარჩნენ თავის ადგილებზე, მაგრამ დაბინდებისას წავიდნენ თავის სახლებში, რათა თავიდან აიცილონ გაუგებრობები, დაკავშირებული ჯართან (თურქეთის). ჩვენი ჯარები იკავებენ ქალაქს და ჩვენ ვთხოვთ მოქალაქეებს განაგრძონ თავისი ჩვეულებრივი საქმიანობა და დაიცვან სრული სიმშვიდე; არაფერი ემუქრება

მათ უსაფრთხოებას, თუ ისინი ჩვენს მიმართ ლოიალურად განწყობილნი იქნებიან“ *[ახსცსა, ფ. 67, ან. 1, ს. 14; უზუნაძე., 2013: 86]*.

მოსახლეობისადმი პირველ თავის მიმართვაში თურქებს პოლიტიკური ხასიათის განცხადება არ გაუკეთებიათ. ქალაქ ბათუმის კომენდატურის სახელით გაკეთებული და უკვე 2 აპრილის დილას ქალაქში გამოკრული მიმართვა 3 პუნქტს შეიცავდა: 1. ბრძანებას და მოწოდებას დაიცვან სიწყნარე და წესრიგი; 2. ამ პირობების დამრღვევთა მიმართ, განსაკუთრებით მძარცველთა და მკვლელებისადმი, სამხედრო სასამართლოთი მუქარას; 3. ბრძანებას, ჩააბარონ მთელი ცეცხლსასროლი იარაღი ქალაქის გარკვეულ პუნქტებში, ამ ბრძანების შეუსრულებლობისათვის კი გათვალისწინებული იყო სასტიკი დასჯის მუქარა. ბრძანება გამოიცა ჯერ მხოლოდ თურქულ ენაზე, მაგრამ უკვე სადამოსთვის გამოჩნდა ამ ტექსტის ქართული და რუსული ვარიანტებიც.

ქუჩებში გაჩნდა თურქული პატრულები; თითქმის ყველა დუქანი გაიღო, ქალაქმა თითქმის ნორმალური სახე მიიღო; მხოლოდ ქუჩების კუთხეებში გროვად დაყრილი იარაღი, რომელიც ასქერების დაცვის ქვეშ იყო, შეახსენებდნენ ომის შესახებ.

პირველივე ღამეს თურქთა კომენდატურამ მოძებნა და გამოიძახა თავისთან რამდენიმე ყოფილი რუსი ოფიცერი ბათუმის ციხე-სიმაგრის შტაბის შემადგენლობიდან და მათთან ერთად მოიარეს ქალაქი და მისი გარეუბნები და აიძულეს ეჩვენებინათ მათთვის აქ მდებარე სურსათის, იარაღის და ტანსაცმლის უმთავრესი საწყობები. ბათუმში შესვლის შემდეგ, თურქების პირველი და უმთავრესი ამოცანა გახდა გამოვლენა და აღწერა იმ უზარმაზარი სამხედრო ქონებისა, რომელიც მათ ხელში ჩაუვარდა. გარდა სურსათისა, მათ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ნავთობპროდუქტებს, როგორც სახაზინო საწყობებს, აგრეთვე მთელ კერძო მარაგს და აკრძალეს მათი გაყიდვა და გატანა ნებართვის გარეშე *[იქვმ]*.

ბათუმში თურქების ყოფნის უკვე მესამე დღეს მთავარსარდალმა ვეჰიბ ფაშამ ქალაქისა და ოლქის სამხედრო გუბერნატორად დანიშნა პოდპოლკოვნიკი ჰამიდ ბეი, რომლის ერთერთი მთავარი საზრუნავი იყო როგორც ჯარების, ისე მოსახლეობის სიწყნარის, წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა, რაშიც მას პრობლემები არ შექმნია. ეს კი უნდა მიეწეროს არა იმდენად გუბერნატორის მიერ მიღებულ ზომებს, რამდენად ფსიქოლოგიურ გავლენას თვით ფაქტისა, რომ ბათუმი აღებულია და მასში არის ოსმალეთის რეგულარული ჯარები.

ოსმალური წესრიგი ბათუმში შენარჩუნდა 1918 წლის დეკემბრამდე, ვიდრე მსოფლიო ომში დამარცხებული ოსმალეთი იძულებული არ შეიქმნა ქალაქი და მთელი ოლქი ინგლისელებისთვის დაეთმო.

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

ასსცსა, ფ. 67, ან. 1, ს. 14 – აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 67, ანაწერი 1, საქმე №14 (მასლოვი პ., ბათუმი 1917-1920 წლებში).

**მაზნიაშივილი, 2007:** – მაზნიაშივილი გ., მოგონებები (1917-1925), თბილისი.

**სვანიძე, 2003:** – სვანიძე მ., დიპლომატიური ბრძოლა ბათუმისა და ბათუმის ოლქისათვის 1918-1921 წლებში, ქართული დიპლომატია, №10, თბილისი.

**სიორიძე, 2002:** – სიორიძე მ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 1914-1918 წლებში (სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება), ბათუმი.

**სიორიძე, 2011:** – სიორიძე მ., ნარკვევები ბათუმის ისტორიიდან, თბილისი

**ტრაპიზონის საზავო კონფერენცია., 1998:** – ტრაპიზონის საზავო კონფერენცია (დოკუმენტების კრებული), მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ნ.ზოსიძემ, ბათუმი.

**უზუნაძე, 2001:** – უზუნაძე რ., ნაოსნობა ბათუმის ოლქში (სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ასპექტები), ბათუმი.

**უზუნაძე, 2013:** – უზუნაძე რ., სურმანიძე რ., ზოსიძე ნ., ბათუმი (ისტორია და თანამედროვეობა), თბილისი.

**Мирный договор., – Мирный договор между Германией, Австро-Венгрией, Болгарией и Турцией с одной стороны и Россией с другой** (<http://doc.histrf.ru/20/brestskiy-mir/>).

**Nizamoglu, 2013:** – Nizamoglu Yüksel, Vehip Paşa (Kahramanlıktan sürgüne), İstanbul.

**Irakli Baramidze (Batumi, Georgia)**

### Ottoman Occupation of Batumi in 1918

#### Summary

According to the treaty of Brest-Litovsk (3<sup>rd</sup> of March 1918) Russia lost her influence on the districts of Artaani, Karsi and Batumi. At the same time against the will of the residents, Turkey began their occupation and restoring the Russian-Turkey frontier of the year 1877.

At the Trebizond conference held between March and April 1918, Turkey demanded from the government of Transcaucasia the recognition of the treaty of Brest-Litovsk. The situation changed for the worse. The revolutionary background, the army without discipline and strategical and tactical activities of Turkey had their results. On 14<sup>th</sup> of April, the Ottoman occupation regime was established in Batumi and it lasted until December of 1918 when defeated Turkey in the WWI was forced to leave the city and yield it and the whole district to the English.

## ქალაქ ბათუმის ხელახალი დაბადება

ბათუმი თავისი ბუნებრივი პირობებითა და გეოსტრატეგიული მდებარეობით ყველა დროში იქცეოდა ყურადღებას, მაგრამ მისი ზრდა-განვითარების მასშტაბები სხვადასხვა დროში განსხვავებული იყო.

ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისით საინტერესო იქნება გავიზიაროთ და გავანალიზოთ ბათუმის საქალაქო ცხოვრების თუნდაც ბოლო ორი ასეული წლის მონაკვეთი, რომ საშუალება მოგვცეს, არასრულყოფილად მაინც, გამოვყოთ და წარმოვაჩინოთ მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აღმავლობა-დაქვეითების მიზეზები, რათა ქალაქის განვითარების წარსული გამოცდილება საფუძვლად დაედოს მისი მომავალი ზრდა-განვითარების ახალ კონცეფციებს.

ბათუმი, როგორც მნიშვნელოვანი ზღვისპირა საქალაქო დასახლება, გამორჩეულია მისი ზომიერი სუბტროპიკული კლიმატით, ღრმა და ქარებისაგან დაცული ნავსაყუდელით, მდიდარი ფლორითა და ფაუნით, მიმდებარე ადგილების კონტრასტული რელიეფით და, რაც მთავარია, მსოფლიო მნიშვნელობის სახმელეთო და საზღვაო გზებზე მდებარეობით. ეს ბუნებრივი და გეოგრაფიული პირობები მისი არსებობის ორ ათასზე მეტი წლის განმავლობაში არსებითად არ შეცვლდა, მაგრამ თუ ქალაქის განვითარების ისტორიას თვალს გადავაფლავებთ, აშკარად ჩანს მისი აღმავლობა-დაქვეითების ეტაპები, რომლებიც, ვფიქრობთ, მხოლოდ პოლიტიკურ კატაკლიზმებთან როდია დაკავშირებული.

ბათუმს მისი არსებობის მანძილზე სასოფლო დასახლებიდან ქალაქურ დასახლებად ამაღლების არაერთი ეტაპი თუ მონაკვეთი გააჩნია, მაგრამ ჩვენ მკითხველის ყურადღებას მხოლოდ ორზე შევჩერებთ, რადგან მათზე გაგვანია საჭირო და აუცილებელი ინფორმაცია, ისტორიული წყაროები იმ მიზეზებისა და ტენდენციების გასანალიზებლად, რომელმაც ხელი შეუწყო მის ზრდა განვითარებასა და მნიშვნელოვან ქალაქად გადაქცევას.

**პირველი, ეს არის XIX საუკუნე**, როცა ბათუმის ქალაქად ჩამოყალიბების საფუძველი გახდა დიდ იმპერიათა მიერ ამ ქალაქით განსაკუთრებულად დაინტერესება. შესაბამისად, მისი ზრდა-განვითარების პროგრამაში მათი ინტერესები იყო ჩადებული, ამ ქალაქის ბუნებრივი და გეოგრაფიული პირობებისა თუ სხვა მონაცემების გათვალისწი-

ნებით. ეს პერიოდი ხანგრძლივი გამოდგა და გაგრძელდა XX საუკუნის 90-იან წლებამდე, საბჭოთა კავშირის დაშლამდე.

**მეორე ეტაპი** დაიწყო ახალი, მესამე ათასწლეულის დასაწყისიდან, დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში, როცა მძიმე 90-იანი წლების შემდეგ, ახლებურად უნდა გააზრებულიყო ამ ქალაქის ფუნქცია და ადგილი ქვეყნის ცხოვრებაში და ამის მიხედვით შემუშავებულიყო მისი მომავალი განვითარების მიმართულებანი.

წარმოდგენილი ნაშრომი სწორედ ამ საკითხების გაანალიზების მცდელობაა.

აჭარის ზღვის სანაპირო ზოლის 20-30 კილომეტრიან მონაკვეთს გონიო-აფსაროსიდან ფიჭვნარამდე (კიკნოსი) მკვლევრები, ერთნაირი ბუნებრივი პირობების გამო, ერთ კონტექსტში განიხილავენ და თვლიან, რომ ჩვენი უძველესი წინაპრები მსოფლიო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ამ რეგიონის ადგილისა და მნიშვნელობის მიხედვით ცვლიდნენ კონკრეტული ცენტრის ლოკალიზაციას (ფიჭვნარი, გონიო-აფსაროსი, პეტრა-ციხისძირი, ბათუმი) ისე, რომ წინა ცენტრის ფუნქციას ინარჩუნებდა მომდევნო, ახალი ფუნქცია-დატვირთვის შედეგით **[ღიასამიძე, 2012: 3]**, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ჩვენს წინაპრებს ძველთაგანვე გააზრებულ-გაცნობიერებული ჰქონდათ ჩვენი შავიზღვისპირა მონაკვეთის ბუნებრივ-გეოგრაფიული და სტრატეგიული მნიშვნელობა და კონკრეტულად იმ ადგილის დასახლება-დაწინაურებას უწყობდნენ ხელს, რომელიც ისტორიის ამა თუ იმ ეტაპზე იყო ხელსაყრელი და პერსპექტიული. ბათუმის სასოფლო, შემდეგ ქალაქური დასახლება, წერილობითი წყაროებითა და არქეოლოგიური მასალით, ანტიკური ხანიდან ჩანს **[ყაუხჩიშვილი, 1987: 109-115; ინაიშვილი, 1965: 69-75; კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989; კახიძე, 2007: 248-249]**; XII-XIII საუკუნეებში მას ხალხმრავალ ქალაქად **[ბერაძე, 1981: 167; უზუნაძე, 2009: 158-159]**, ხოლო XVI-XVII საუკუნეებში ვილაეთის ცენტრად, ანუ მნიშვნელოვან ქალაქად მოიხსენიებენ **[შაშიკაძე, 2009: 24-25]**.

XVIII საუკუნის ბოლომდე ქალაქი მდებარეობდა მდინარე ყოროლისწყლის ზღვასთან შეერთების მიდამოებში, დღევანდელი თამარის (ბენზე) დასახლების ადგილას. XVIII საუკუნის 40-იან წლებში, ვახუშტის დახასიათებით, ბათუმი ყოფილა “მცირე ქალაქი და ციხე კარგი” **[ქცა, 1973: 176]**. შემდეგ ქალაქის ცენტრმა ბათუმის ყურესაკენ გადმონაცვლა და ეს პროცესი, ძირითადად, XIX საუკუნის 60-იან წლებში დასრულდა. აქ აშენდა მეჩეთი, რომელიც შემდეგ სულთან აბდულ აზიზის სახელს ატარებდა (აზიზიეს მეჩეთი), საკარანტინო შენობა, ხის ნავმისადგომი, წმინდა ნიკოლოზის სახელობის მართლმადიდებლური ეკლესია, დაიწყო ბათუმთან დამაკავშირებელი გზების (ბათუმი, ყარსი, ბათუმი-ახალციხე, ბათუმი, ოზურგეთი) გაყვანა

*[ილდიზთაში, 2012: 265, 269, 273, 275, 277, 281, 287; დიასამიძე, 2013: 50-54; დიასამიძე, 2013<sup>1</sup>: 138-145; დიასამიძე, 2013<sup>II</sup>: 74-81]* და სხვა. 60-იანი წლების ბოლოს ქალაქის მოსახლეობა 5000-ს აღწევდა, თუმცა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ იგი 3000-დე შემცირდა *[ლისოვსკი, 2015: 154]*.

ქ. ბათუმის ზრდა-განვითარება და, შეიძლება ითქვას, მისი ხელახალი დაბადება ხდება 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, როცა იგი რუსეთის ხელისუფლების დაქვემდებარებაში გადავიდა. ამ დროიდან გამოიკვეთა მისი განვითარების ძირითადი მიმართულებანი. მას რუსეთისთვის უნდა შეესრულებინა მნიშვნელოვანი საზღვაო პორტის, აქედან უცხოეთში ბაქოს ნავთობის, ჭიათურის მარგანეცისა და სხვა პროდუქციის გატანა-შემოტანის, სამხრეთის საზღვრის გამაგრებისა და დაცვის და ახალი ტერიტორიების შემოერთების საქმეში წამყვანი პლაცდარმის ფუნქცია. ამ ამოცანის განხორციელებას ისახავდა მიზნად ბათუმის საზღვაო პორტის რამდენჯერმე რეკონსტრუქცია, რომ რაც შეიძლება მეტ და დიდი წყალწვეის გემებზე შესაძლებელი გამხდარიყო მომსახურება, ბაქო-ბათუმის ნავთობსადენისა და თბილისი-ბათუმის რკინიგზის მშენებლობის დასრულება. ასე რომ აშკარად გამოიკვეთა ქალაქის განვითარებაში სამრეწველო წარმოების პრიორიტეტულობა. ამას მოყვა ქალაქის მოსახლეობის სწრაფი ზრდა. ბათუმის შემოერთებიდან ოთხი წლის შემდეგ, 3000 სულიდან მოსახლეობა 1882 წელს 8671 სულამდე გაზრდილი, 1890 წელს ბათუმში 18123 სული ცხოვრობდა, ხოლო 1897 წლის ქალაქის მოსახლეობის აღწერით იგი 28156-დეა გაზრდილი *[...1906: 460]*. მოსახლეობის უმეტესობა არაქართველები: რუსები, სომხები, ბერძნები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები არიან. რუსი სამხედრო მოხელე ვლ. ლისოვსკი ბათუმს „რუსულ ქალაქად“ მოიხსენიებს *[ლისოვსკი, 2015:1 55]*. ქალაქში 1870-იანი წლების „უბადრუკი ქოხების“ ნაცვლად წამოიშართა ორ და სამ სართულიანი ევროპული სტილის ნაგებობანი. ბათუმით დაინტერესდნენ ევროპის წამყვანი ქვეყნები და აქ თავიანთი საკონსულოები დააარსეს. 1890 წელს ბათუმში უცხო ქვეყნის 10 საკონსულო მოქმედებდა, 1902 წელს კი – 15 *[სიორიძე, 2009: 67]*.

როგორც მოსალოდნელი იყო, ქალაქის განვითარებაში სამრეწველო მიმართულება ჭარბობდა საბჭოთა ხანის 70-წლიან პერიოდშიც. ბათუმი, ამიერკავკასიაში, დიდხანს, სამრეწველო განვითარების თვალსაზრისით, მესამე იყო ბაქოსა და თბილისის შემდეგ. აქ მოქმედებდა მანქანათმშენებელი, ქიმიური, კვების მრეწველობის, გემთმშენებელი, გადამამუშავებელი, თამბაქოს, ფეხსაცმლის ფაბრიკა-ქარხნები, გაიზარდა და გაფართოვდა ბათუმის პორტი, შეიქმნა საქართველოს საზღვაო სანაოსნო, რომლის საკუთრებაში ათობით

დიდი და საშუალო წყალწვევის გემი იყო. გაიზარდა ქალაქის მოსახლეობა: **1939 წელს** იგი შეადგენდა 70019 სულს (აქედან 28724 ქართველი (41%), 17686 რუსი 25,3%), 12052 სომეხი (17,2%), 3803 ბერძენი (5,4%) და სხვ.), **1989 წელს** – 136 960 სულს (აქედან: ქართველი – 90250 (65,8%), რუსი – 21050 (15,3), სომეხი – 13420 (9,7), ბერძენი – 2740 (2,0%) და სხვ.) *[აჭარა, ტურისტული., 2016: 258]*, საბჭოთა 70-წლიანი პერიოდის პირველი 50 წლის განმავლობაში განსაკუთრებულად იზღუდებოდა ქ. ბათუმში ქართველების მუდმივ მცხოვრებლებად ჩაწერა, განსაკუთრებით კი აჭარის მთის რაიონებიდან ჩამოსულების. ქალაქი მოსახლეობის რაოდენობითა და ბიუჯეტით რესპუბლიკაში მეოთხე ადგილს იკავებდა თბილისის, ქუთაისის და რუსთავის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ თვით ქალაქი და მისი შემოგარენი (მახინჯაური, მწვანე კონცხი, ჩაქვი, გონიო) ტურიზმის განვითარების კარგ პირობებს ქმნიდა, აქ პირველი ტურისტული სასტუმრო 1930 წელს გაიხსნა, ხოლო ტურიზმისა და ექსკურსიების ერთიანი სამსახური მხოლოდ 1963 წელს შეიქმნა და მოგვიანებით აშენდა სასტუმრო კომპლექსები „მედია“ – 70-იან წლებში, „მესხეთი“ – 80-იან წლებში; ასე რომ, **ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტულ დარგად კვლავ მრეწველობა რჩებოდა. ამას თავისი ახსნა ჰქონდა: ბათუმი ჩართული იყო დიდი იმპერიის – საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ სისტემაში, რაც აქ წარმოებული სამრეწველო პროდუქციის გასაღების საშუალებას და მოსახლეობის დასაქმების პირობებს ქმნიდა.**

თუ ბათუმის განვითარების თითქმის წინა 2-საუკუნოვან ისტორიას დავაკვირდებით და გავაანალიზებთ, აშკარად ჩანს, რომ განვითარების ყველა ეტაპზე ითვალისწინებდნენ მის ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებს (მოხერხებული საზღვაო ნავმისადგომი, მსოფლიო მნიშვნელობის სახმელეთო და საზღვაო გზებზე მდებარეობა, ზომიერი სუბტროპიკული კლიმატი) და მეურნეობის იმ დარგს აძლევდნენ პრიორიტეტს, რომელიც მეტად შეუწყობდა ხელს ქალაქის განვითარებას, მეტ შემოსავალს მისცემდა ქვეყანას და მოსახლეობის დიდი რაოდენობის დასაქმების პირობებს შექმნიდა.

XX საუკუნის 90 წლებიდან, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ისე როგორც მთლიანად პოსტსაბჭოურ სივრცეში, საქართველოში და მათ შორის ბათუმშიც, მოიშალა ეკონომიკა და ინფრასტრუქტურა, განადგურდა სამრეწველო საწარმოები, გაწყდა ადრინდელი ეკონომიკური კავშირები ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან, გაუქმდა და განადგურდა საზღვაო სანაოსნო, ასე რომ ქალაქმა დაკარგა თავისი ადრინდელი ფუნქცია. ახალ პირობებში, დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში მას განვითარების ახალი მიმართულება და პრიორიტეტები უნდა აერჩია. განვითარების საბაზისო საშუალებად რჩებოდა მისი ოდინდელი გეოგრაფიული და სტრატეგიული მდებარეობა, მდი-



დარი, ღვთით ბოძებული ბუნებრივი პირობები და თავისუფალი არჩევანის საშუალება. გადაწყვეტილება ამის მიხედვით უნდა მიღებულიყო.

ბათუმის და მისი მიმდებარე ადგილების ახალი სიცოცხლე, მისი გეოპოლიტიკური და ბუნებრივი პირობების ახლებური გააზრება და ამის მიხედვით მისი განვითარების დაგეგმვა მესამე ათასწლეულის დასაწყისიდან დაიწყო, როცა იგი გააზრებულ იქნა როგორც პერსპექტიული საერთაშორის მნიშვნელობის საკურორტო და კულტურულ-საგანმანათლებლო სანაგსადგურო ქალაქი. განხორციელება უნდა დაეწყო საუკუნეზე მეტი ხნის წინ ბათუმში ნამყოფი მოგზაური-მკვლევარების შეფასება-სურვილს: „**ბათუმი თავისი შემოგარენით გახდება ერთი საუკეთესო კურორტი... ბათუმში ერთმანეთს ერწყმიან რიგიერას ბრწყინვალეობა და შევიცარიის დიდებული მთები, რომლებიც ჰარმონიას ქმნიან**“; „**საჭიროა ხელისუფლებამ შეაგროვოს საჭირო სახსრები და ქალაქის კეთილმოწყობა-გაფართოებას მოახმაროს**“ (ნიკოლოზ ვერუ, გლეხ უსპენსკი, არტურ ლაისტი).

ბათუმის მიმართ ადრე გაკეთებული შეფასებებისა და თანამედროვე ურბანული განვითარების კანონზომიერებათა გათვალისწინებით, დაიწყო მისი, როგორც საკურორტო და კულტურულ-საგანმანათლებლო ქალაქის ზრდა-განვითარებისა და განაშენიანების, კომუნიკაციებისა და ინფრასტრუქტურის, სოციალურ-კულტურული და საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა, ინვესტიციების მოზიდვა, ქალაქის პრესტიჟის და ცნობადობის ამაღლებისათვის ზრუნვა. ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ ბათუმში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების რეზიდენციების დაფუძნება, სამთავრობო შეხვედრების, საერთაშორისო სიმპოზიუმების, კონფერენციების, სპორტული ასპარეზობების გამართვა-ჩატარება, შოუ-კონცერტები და სპექტაკლები მსოფლიო ვარსკვლავთა მონაწილეობით და სხვა.

მნიშვნელოვანი ინვესტიციები განხორციელდა ტურიზმის განვითარებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად. ქალაქის დიდ ნაწილში მოწესრიგდა ქუჩები და სკვერები, მნიშვნელოვნად გაიზარდა და გალამაზდა ქალაქის მშენებლობა ზღვისპირა ბულვარი, მოეწყო ატრაქციონები და სპორტული მოედნები, სრული რეკონსტრუქციის შემდეგ, ექსპლოატაციაში შევიდა აკვარიუმი და დელფინარიუმი, სრული დატვირთვით მუშაობს საბავირო გზა, ქალაქს ამშვენებს საერთაშორისო დონის ბრენდები „შერატონი“, „რედისონი“, „ჰილტონი“ და სხვა მაღალი დონის სასტუმროები. ბათუმელთა და სტუმრების დასვენება-გართობას ემსახურება ბათუმის ხელოვნებისა და მუსიკის ცენტრი, ახალ ბულვარში, ევროპის მოედანსა და პიაცაზე შოუ-კონცერტებისათვის შექმნილი შესაბამისი ტექნიკური და ესთეტი-

კური გარემო და სხვა *[დასაბამი, 2013: 5]*. ამ მოკლე დროში – 10-12 წელიწადში – ბევრი რამ გააკეთდა ბათუმის ტურისტულ ცენტრად გადაქცევისათვის, მაგრამ აშკარად ჩანს ამ მიმართულებით ბოლო წლებში საქმიანობის ტემპების შენელება, არადა, თანამედროვე ურბანულ-ტურისტული განვითარების ექსპერტთა და ამ სფეროს მკვლევარ-მეცნიერთა აზრით, დასახული მიზნის სრულად განხორციელებისათვის აუცილებელია: ა) შავი ზღვის ბათუმის სანაპირო ზოლის სანიტარულ-ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესება და ნაპირგამაგრებითი სამუშაოების ჩატარება, ბ) გასართობი ინფრასტრუქტურის გამრავალფეროვნება, რომ ტურისტებისთვის ნაკლებგამაღიზიანებელი გახდეს აქაური უხვალექიანობა; გ) მოსახლეობის საშუალო ფენაზე ორიენტირებული სასტუმროების მშენებლობა, დ) ფასების დარეგულირება, რაც ტურისტთა შენარჩუნება-მოზიდვას შეუწყობს ხელს და მრავალი სხვა. ამასთან, ალბათ დადგა დრო ჩვენი წინაპრების ორიბთასწლის წინანდელი ჩანაფიქრის თუ ოცნების განხორციელებისა, როცა შავიზღვისპირა 30-35 კილომეტრიან მონაკვეთს (გონიო-ბათუმი-ფიჭვნარი) ერთ მთლიანობაში განიხილავდნენ და საერთაშორისო სიტუაციის გათვალისწინებით ხან ფიჭვნარ-კიკნოსის, ხან პეტრა-ციხისძირის, ხან ბათუს-ბათუმის და ხანაც გონიო-აფსაროსის დაწინაურება-ადმშენებლობას უწყობდნენ ხელს. ახლა, მესამე ათასწლეულის დასაწყისში, როცა ექსპლואატაციაში შესულია მახინჯაურ-ჩაქვის გვირაბი, სულ მალე ციხისძირის გვირაბიც დასრულდება და ამ მონაკვეთის ავტომობილით დაფარვას ნახევარი საათიც არ დასჭირდება, საჭიროა შემუშავდეს მეცნიერულად გააზრებული და დასაბუთებული გრძელვადიანი (8-10 წელი) ერთიანი გეგმა ამ ღვთის მიერ ყოველმხრივ შემკობილი ზღვისპირა მონაკვეთის ტურისტულ მექად ქცევისა, რომელშიც განსაკუთრებულ ადგილს დაიკავენ ახლა ყურადღების მიღმა დარჩენილი ქობულეთი. ეს იქნება საქართველოს შავიზღვისპირეთის ერთიან ტურისტულ მხარედ გადაქცევის ფართო გეგმის შემადგენელი ნაწილი, ისტორიის ახალ და უახლეს დროში ქალაქ ბათუმის ზრდა-განვითარების მესამე ეტაპი, რომელიც ხელს შეუწყობს მის, როგორც საერთაშორისო საკურორტო, სატრანზიტო, საბანკო-საფინანსო და საკრუიზო-სანავსადგურო ქალაქის მნიშვნელობის ზრდას და მისი ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ამაღლებას არა მარტო აჭარის, არამედ საერთო სახელმწიფოებრივ ბიუჯეტში. ამ იდეის განხორციელება იქნება ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი პროექტი ჩვენი მხარისათვის, რადგან იგი თავისთავად მოითხოვს ჩვენს რეგიონში სოფლის მეურნეობის, გადამამუშავებელი მრეწველობის და ტურისტული ინფრასტრუქტურის არსებითად გაუმჯობესებას. ეს იქნება ქალაქ ბათუმის ხვალისდელი დღე და ხელახალი დაბადება!

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

**აჭარა, ტურისტულ.., 2016:** – აჭარა, ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები, ბათუმი.

**ბერაძე, 1981:** – ბერაძე თ., ზღვაოსნობა ძველ საქართველოში, თბილისი.

**დიასამიძე, 2013:** – დიასამიძე ბ., ბათუმი – მომავლის ქალაქი, – კრ. „ბათუმი-წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), III, ბათუმი.

**დიასამიძე, 2013:** – დიასამიძე ბ., ოსმალური წყაროები „ახალი ბათუმის“ განაშენიანების შესახებ, – კრ. „ბათუმი-წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), III, ბათუმი.

**დიასამიძე, 2013<sup>I</sup>:** – დიასამიძე ბ., ბათუმ-ყარსის გზის მშენებლობის შესახებ (XIX ს-ის 60-70 წლებში), – კრ.: „ბათუმი-წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), IV, ბათუმი.

**დიასამიძე, 2013<sup>II</sup>:** – დიასამიძე ბ., ახალი ოსმალური დოკუმენტები ბათუმის წმ. ნიკოლოზის ტაძრის მშენებლობის შესახებ, – კრ.: „ჩვენი სულიერების ბალაგარი“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), V, თბილისი.

**ილდიზთაში, 2012:** – ილდიზთაში მ., საქართველო და ქართველები ოსმალურ სარქივო დოკუმენტებში, სტამბოლი.

**კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989:** – კახიძე ა., ხახუტაიშვილი დ., მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის (წინაანტიკური და ანტიკური ხანა), სდსმ, 18, თბილისი.

**კახიძე, 2007:** – კახიძე ა., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი ძვ.წ. VI-IV სს., სდსინ, I, ბათუმი.

**ლისოვსკი, 2015:** – ლისოვსკი ვ., ჭოროხის მხარე, თარგმნა და ავტორის ბიოგრაფია, კომენტარები, შენიშვნები დაურთო რამაზ სურმანიძემ, ბათუმი.

**სიორიძე, 2009:** – სიორიძე მ., უცხოეთის ქვეყნების საკონსულოები ბათუმში, – კრ.: „ბათუმი-წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), I, ბათუმი.

**უზუნაძე.., 2012:** – უზუნაძე რ., უზუნაძე მ., ცნობები ბათუმისა და მისი შემოგარენის შესახებ (XIX ს-ის დამდეგი-70-იანი წლები), – კრ.: „ბათუმი-წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), II, ბათუმი.

**შაშიკაძე, 2009:** – შაშიკაძე ზ., ბათუმი XVI ს-ის მეორე ნახევარში, – კრ.: „ბათუმი-წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), I, ბათუმი.

**ქცა, 19773:** – ქართლის ცხოვრება, IV, თბილისი.

.., 1906: –

, 25-

**Bichiko Diasamidze (Batumi, Georgia)**

### **The Rebirth of Batumi City**

#### **Summary**

The article presents development trends and directions of Batumi in the XIX-XX centuries and shows that the city's future development was defined by its geographic location, natural conditions and economic, social and political benefit of the key economic sector in the city life.

From the beginning of XIX until the 90-ies of the XX, under the power of the Great Empires (Turkey, Russia, the Soviet Union), Batumi's vital segment was industry, because the inclusion of the city in their economic systems created the conditions of industrial product realization and employment for Batumi.

From the beginning of XXI century, within independent Georgia, Batumi has been thought out as a potential international resort, cultural and educational port city and according to that, its future development has been planned. Now the time has come to develop the concept of the resort area of Adjara Black Sea section (Gonio-Batumi-Tsikhisdziri-Phichvnari) during the 10-15 year period, which will turn the city into an international resort, transit, banking and financial port city. It will be a rebirth of Batumi.

**შორენა ვაშაძე, მიხეილ ართმელაძე**  
(ბათუმი, საქართველო)

## ბათუმი და ონაოლოგიური სამსახურის ისტორია

საუკუნეების მანძილზე, აბრეშუმის გზა, კვეთდა რა მთელ საქართველოს, აღმოსავლეთსა და დასავლეთ სამყაროს აკავშირებდა. იგი კულტურათა დიალოგის საუკეთესო ნიმუში იყო ყველა დროში. ამ გზას ხშირად მტერიც მოჰყვებოდა, ეს კულტურული მიმოცვლის ერთერთი მნიშვნელოვანი რესურსი იყო. ჩინეთიდან ევროპამდე მოგზაურ ვაჭრებს, სასულიერო პირებს, მეცნიერებსა თუ უბრალოდ მოგზაურებს გადაჰქონდათ სამედიცინო ცოდნა, გამოცდილება, წამლები, ახალი შეხედულებები და ურყევი ჭეშმარიტებები. ეს ყველაფერი კარგად აისახა ქართულ კულტურასა და მედიცინაში. საქართველო უძველესი კოლხეთის ისტორიული და კულტურული ტრადიციების მემკვიდრეა, მისი გენეტიკური კოდის მატარებელი. კოლხეთის მეფის, აიეცის ქალიშვილის, მედეას მითთანაა დაკავშირებული. ერთ-ერთი პირველი მინიშნებებიც მედიცინას, ფარმაციას, სიკვდილ-სიცოცხლის, მარადიულობის პრობლემებსა და ღვთიურ სიბრძნეს ეხება.

საქართველო სამკურნალო მცენარეების ქვეყანაა. ძველი ბერძენი, რომელიც მწერლები და ისტორიკოსები ამას ხშირად აღნიშნავენ თავიანთ ნაშრომებში. ქართველ მეცნიერებს 500-ზე მეტი შუასაუკუნეების სამედიცინო ხელნაწერი აქვთ აღმოჩენილი და შესწავლილი. მრავალსაუკუნოვანი სამედიცინო ტრადიციები. აქ ახლაც ძალზე ძლიერია: ხშირად იქმნება ახალი წამლები ხალხური მედიცინის გამოცდილებისა და ადგილობრივი რესურსების გამოყენებით. ამ მხრივ აჭარას, ბათუმს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

1878 წელს, ბერლინის ტრაქტატის საფუძველზე, მეფის რუსეთს ერგო აჭარა. თურქეთის ბატონობის დროს აჭარაში არც ერთი სამკურნალო დაწესებულება და არცერთი ექიმი არ ყოფილა.

ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის გაყვანის შემდეგ ბათუმიდან დაიწყო ნავთობის გატანა საზღვარგარეთ. ბათუმში თანდათან მატულობდა მოსახლეობის რიცხვი. თუ 1867-72 წწ. ბათუმში 5 000 კაცი ცხოვრობდა, 1905 წ. მოსახლეობას 35 000 კაცი შეადგენდა. მათ კვალიფიციური სამედიცინო დახმარება ესაჭიროებოდათ.

1902 წლის 3 ოქტომბერს გაიხსნა ქ. ბათუმის ერთადერთი საავადმყოფო (ამჟამად რესპუბლიკური საავადმყოფო). საავადმყოფოს გახსნასთან არის დაკავშირებული აჭარაში ავთვისებიან სიმსივნეთა მკურნალობის პირველი ნაბიჯები და მაშინ დაიწყო მათი ერთგვარი რეგისტრაცია. ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის გრიგოლ ვოლსკს.

ისტორიულ წყაროებში მოვიძიეთ ცნობები იმ ექიმების შესახებ, ვინც ბათუმელებს სამედიცინო დახმარებას უწევდა, ქობულეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია იმ დროინდელი სამედიცინო პერსონალის ფოტოსურათი. ბათუმში ტარდებოდა საკმაოდ რთული ოპერაციები. მაგ. 1902-12 წწ. ქ. ბათუმის საავადმყოფოში ზოგადი გაუტკივარებით ტარდებოდა იმდროისათვის ისეთი რთული ოპერაციები, როგორც არის: ჰემიკოლექტომია, რადიკალური მასტექტომია ხოლსტედის წესით, საშარდე ბუშტის კედლის რეზექცია ურეთერონეონასტამოზით, საშვილოსნოს ექსტერპაცია და სხვა. იმ პერიოდისათვის გამოქვეყნებული იქნა ნაშრომები ონკოლოგიაში ბ. ფილკენშტეინის, კ. მხეიძის და ვ. პრიანიშნიკოვის მიერ, რომლებიც ეხებოდა კიბოთი ავადობას აჭარაში. პირველი და მეორე მსოფლიო ომის დროს და 30 წლებში სამედიცინო დოკუმენტაციის რეგისტრაცია არ ტარდებოდა. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის უცნობია კიბოს ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა ამ პერიოდისათვის [ღვამიჩავა, 2010: 59-81; Финкельштейн, 1905: 60-613; Финкельштейн, 1905: 104-105].

ჩვენს მიერ მოძიებული იქნა ქ. ბათუმის საავადმყოფოს წლიური ანგარიშები, რომლებიც მოიცავენ 1902-1912წწ. (1905წ. გამოკვლებით). წლიური ანგარიშების მეშვეობით შეიქმნა კიბოთი ავადობის ცხრილი №1. XX საუკუნის 50-60-ან წლებში კიბოთი ავადობის შესასწავლად გამოყენებული იქნა რ. ინაიშვილის, ლ. ჩარკვიანის და რ. ქიქავას ნაშრომები. XX საუკუნის დასასრულის და XXI საუკუნის დასაწყისის კიბოთი ავადობის შესწავლისათვის ძირითადად გამოყენებული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ონკოცენტრის არქივში არსებული სამედიცინო დოკუმენტაცია.

ქვემოთ წარმოვადგენთ კიბოთი ავადობის სტრუქტურას წლების მიხედვით:

**1. კიბოთი ავადობის სტრუქტურა ქ. ბათუმის საავადმყოფოს წლიური ანგარიშების მიხედვით 1902-1912 წლები**

	ლოკალიზაცია	1902–1904	1906	1907	1908	1909	1910	1911	1912	ჯამი	რეიტინგი
1	ტუჩი		2	2	4	3	3	2	7	23	III
2	საყლაპავი	1	1	2			1			5	VIII
3	კუჭი	3	2	2	1	1	1	1	1	12	V
4	სწორი ნაწლავი		1	1			1	1		4	X
5	ხორხი		1		2			1		4	XI

6	ფილტვები									0	
7	საშვილოსნოს	1	2	5	9	8	8	13	9	55	I
8	სარძევე ჯირკვავი	4	2	4	3		5	3	1	22	IV
9	ება-სახე	4	2			3				9	VII
10	თვალი	2	4	1			1		1	9	VIII
11	მუცლის ღრუ	1	4	2	4		1	1	3	16	VI
12	რბილი ქს, კანი ძვალი		3	2	5	15	7	3	3	38	II
13	სხვადასხვა	3	6	8	4	4	6	4	3	38	
14	ჯამი	19	30	29	32	34	34	29	28	235	

როგორც ცხრილიდან ჩანს, XX საუკუნის დასაწყისში 1902-1912 წწ. აჭარაში კიბოთი ავადობის სტრუქტურაში I ადგილი ეკავა საშვილოსნოს ყელის კიბოს, II კანის და რბილი ქსოვილების, III ტუჩის და პირხახის კიბო, IV ძუძუს კიბო. V კუჭის კიბო. ყურადღებას იპყრობს ის რომ ამ პერიოდში არ იყო გამოვლენილი ფილტვის კიბოს არცერთი შემთხვევა. 1902-1912წწ. ფილტვის კიბოს დიაგნოსტიკა ვერ ხერხდებოდა, ვინაიდან პირველი სიმენსის ფორმის რენდგენ აპარატი ქ. ბათუმის საავადმყოფოში ჩამოიტანეს და დაამონტაჟეს მხოლოდ 1912 წელს [ , 1971].

1945 წ. ქალაქ ბათუმის №1 პოლიკლინიკასთან შეიქმნა ონკოპუნქტი, ამ დღიდან აჭარაში სიმსივნის წინააღმდეგ ორგანიზებული ბრძოლა დაიწყო. 1951 წელს ბათუმის პირველი საავადმყოფოს ონკოლოგიური პუნქტის ბაზაზე დაარსდა აჭარის ა/რ ონკოლოგიური დისპანსერი. დაარსების დღიდან დისპანსერი აჭარა-გურიის რეგიონს და მთლიანად საქართველოს ემსახურება. 1965 წ. გაიხსნა ონკოლოგიური სტაციონარი, პუშკინის ქ. №118-ში ახლანდელი მედიცინის ტერიტორიაზე. ჯანდაცვის რეფორმამ ონკოლოგია ერთ-ერთ პრიორიტეტად აღიარა და 1997-98 წლებში ამოქმედდა ონკოლოგიური სახელმწიფო პროგრამები, რითაც ნაწილობრივ მოიხსნა ონკოლოგიური სამსახურის დაფინანსების პრობლემები. მოსახლეობისათვის ონკოლოგიური მომსახურება ხელმისაწვდომი გახდა. სამედიცინო დაწესებულებების ახალი ისტორია 2013 წლიდან იწყება. ჩატარდა კლინიკის რეკონსტრუქცია რეაბილიტაცია, დაემატა მესამე და მეოთხე სართული, საწოლების რაოდენობა გაიზარდა და გახდა 50-საწოლიანი, განახლდა სამედიცინო აპარატურა და რადიოლოგიური სამსახური, მოხდა პერსონალის გადამზადება, უცხოეთიდან მოწვეული სპეციალისტები კი კონსულტაციებსა და ოპერაციებს მუდმივად ატარებენ.

მედცენტრში დანერგილი ახალი სამედიცინო აღჭურვილობა, მაღალ-კვალიფიციური პერსონალი და თანამედროვე სამედიცინო მეცნიერებათა საშუალებას აძლევს პაციენტებს მიიღონ ის სამედიცინო სერვისი, რაც აუცილებელია ეფექტური მკურნალობისთვის.

ამრიგად, აჭარაში 1902-2012 წწ. (110 წელი) იცვლებოდა გარემოსა და ცხოვრების წესთან დაკავშირებული ფაქტორები და მათი მოსახლეობაზე ექსპოზიციის დონეები. პერიოდულად იცვლებოდა კიბოს გამომწვევი ეთიოლოგიური ფაქტორების ზემოქმედება მოსახლეობაზე, რამაც გამოიწვია კიბოთი ავადობის აღნიშნული სტრუქტურა და დინამიკა.

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

ღვამინავა, 2010: – ღვამინავა რ., შავდია მ., ავთვისებიანი სიმსივნეების ეპიდემიოლოგია, ონკოლოგია, თბილისი.  
, 1905: – . . .  
, 1905: – . . . 4  
, 1957: – . . . ;  
, 1971: – . . . “

**Shorena Vashadze, Mikheil Artmeladze**  
(Batumi, Georgia)

### Batumi and Oncology Service History

#### Summary

At the Congress of Berlin (June 13 – July 13, 1878), taking into account a revision of San Stephano peace treaty, Russia managed to maintain main territorial acquirement. In this way Adjara was returned to Mother- Georgia.

In 1902, the hospital opened in Batumi 1902. Under the auction terms, the owner should ensure rehabilitation of the Oncology Center no later than Dec.20, 2013 and during the period of preservation of the for the.



## რუსეთის იმპერიის აოლონიური პოლიტიკა აჭარაში

დაპყრობილი ხალხების მიმართ რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას საერთო ნიშნები ჰქონდა და მონოთნიკური იმპერიის შექმნის მიზნებს ემსახურებოდა. მაგრამ იგი ცალკეული ქვეყნების და კიდევ უფრო მეტი, მათი ცალკეული რეგიონების მიხედვითაც კი, სერიოზული თავისებურებებით ხასიათდებოდა. ასე იყო საქართველოშიც. განვითარების საერთო დონის მიუხედავად, მის ცალკეულ მხარეებს ბუნებრივ-გეოგრაფიული, ისტორიულ-ეთნოლოგიური, სამეურნეო-ეკონომიკური თუ სხვა სახის თავისებურებანი ჰქონდა, რომელთა გათვალისწინებლობა დამატებით სირთულეებს უქმნიდა რუსეთის ადგილობრივ ხელისუფლებას და ანტირუსულ განწყობილებას ასაზრდოებდა. რუსული მმართველობა იძულებული იყო თავისი კოლონიური პოლიტიკა ცალკეული რეგიონებისათვის მოერგო და ამით უზრუნველყო მისი განუხრელი გატარება. ამის გამო, ამ პოლიტიკის რეგიონალური ნიშნით შესწავლა საშუალებას გვაძლევს უფრო ღრმად ჩაეწვდეთ იმპერიის პოლიტიკის მძარცველურ-დიდმპყრობელურ არსს და გლობალურ ხასიათს.

ქართველ ხალხს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობასთან ერთად წაართვეს საკუთრების უფლება ეროვნულ ტერიტორიასა და ბუნებრივ რესურსებზე. მათ რუსეთი დაეუფლა და იმპერიის სახელმწიფო ქონების ნაწილად გამოაცხადა. XIX საუკუნეში თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებად ქცეულ საქართველოში სახელმწიფო ანუ სახაზინო ქონება რუსეთის იმპერიის საკუთრებას ნიშნავდა და მისი ინტერესებისათვის გამოიყენებოდა. ტერიტორიას, ბუნებრივი სიმდიდრეების, შემოსავლების ძირითად ნაწილს რუსეთის სახელმწიფო განკარგავდა და მოიხმარდა. საიმპერიო ხაზინას გადაეცა ქართლ-კახეთის და იმერეთის სამეფოების, გურიის, სამეგრელოს, აფხაზეთის და სვანეთის სამთავროების, სამეფო და სამთავრო ოჯახების წევრთა ქონება და მამულები. თურქეთთან ომებში გამარჯვების შემდეგ, რუსეთმა ისტორიული სამცხე-საათაბაგოს, აჭარის და აფხაზეთის ტერიტორიიდან მასობრივად აყარა მაჰმადიანი ქართველები, რომლებიც იძულებული გახდნენ თურქეთში გადასახლებულიყვნენ *[ვაჭრიძე, 2006: 420-421]*.

კონკრეტულად განვიხილოთ აჭარის რეგიონის მიმართ რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ცალკეული ასპექტები. სახელმწიფო ქონების

შექმნის პროცესში ყალიბდებოდა მისი მართვის სამსახურიც, რომელიც თანდათანობით კავკასიის რუსული ადმინისტრაციის ერთ-ერთი ძირითადი რგოლი გახდა. მის უპირველეს ფუნქციას საერთოიმპერიულ ეკონომიკურ სივრცეში საქართველოს ძალდატანებითი ინტეგრაცია წარმოადგენდა. სახელმწიფო ქონების მართვის დაწესებულებებში, რომელთა თანამშრომლები ძირითადადში უცხოელები იყვნენ, გაბატონებული იყო მექრთამეობა და ბიუროკრატიზმი, რაც ქართველ კაცს სამეურნეო საქმიანობაში გადაულახავ დაბრკოლებებს უქმნიდა. 1888 წელს გამოიცა კანონი, რომელიც შეეხებოდა სამხედრო-სახალხო მმართველობის სახაზინო მიწების სახელმწიფო ქონების სამინისტროს განკარგულებაში გადასვლას, რომელიც მუჰაჯირთა მიწებსაც შეეხო *[ზარამიძე, 1999: 138]*. ამის საფუძველზე, 1889 წელს ადმინისტრაციულად ქუთაისის გუბერნიაში მყოფი ბათუმის ოკრუგის სახელმწიფო ქონება, რომელსაც აქამდე სამხედრო-სახალხო მმართველობა განაგებდა, სახელმწიფო ქონების ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს დაექვემდებარა *[ქცხა, ფ. 18, აღწ. 1, ს. 2610, გვ. 24-25]*. 1893 წელს სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ბრძანებით, სახელმწიფო ხაზინის საკუთრებაში უნდა გადასულიყო მოსახლეობის მფლობელობა-სარგებლობაში მყოფი ყველა ის მიწის ნაკვეთები, რომელზეც მათ არ გააჩნდათ საკუთრების დოკუმენტები. იმის გამო, რომ დიდ უმრავლესობას არა თუ საკუთრების, არამედ მფლობელობის დოკუმენტებიც კი არ გააჩნდა, მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია *[ბენდიანიშვილი, 2008: 69]*. სახელმწიფო ქონების მართვაში მომხდარმა ამ ცვლილებამ კიდევ უფრო გააუარესა აჭარის მოსახლეობის ისედაც მძიმე მდგომარეობა. აქ ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული ოსმალურ საადგილმამულო ურთიერთობათა რუსულით ჩანაცვლების პროცესი. სამხედრო-სახალხო მმართველობის სისტემა, რომელიც სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლების ელემენტების თავისებურ ნაზავს წარმოადგენდა და იმ დროს ჩამოყალიბდა, როცა რუსეთი ბრძოლას აწარმოებდა მთიელთა დასამორჩილებლად, წმინდა რუსული მმართველობით იცვლებოდა, ხოლო ოსმალური კანონმდებლობა რუსულით. ამ გარდამავალ პერიოდში, როცა რუსეთის ასიმილაციური პოლიტიკით გამოწვეული შიში და უნდობლობა ახალი ადმინისტრაციისადმი აჭარის მოსახლეობას აიძულებდა სამშობლოდან აყრილიყვნენ და ოსმალეთში გადასახლებულიყვნენ, სახელმწიფო ქონების მართვის ორგანოს ბათუმიდან ქუთაისში გადატანა აჭარაში რუსეთის ეკონომიკური გაბატონებისათვის ერთ-ერთი ხელისშემწეობი ღონისძიება იყო. აჭარაში რომელიმე მთიან სოფელში მცხოვრებ გლეხს, რომელიც დიდი დაბრკოლებების გადალახვით ჩადიოდა ბათუმში, ამიერიდან ყოველ გოჯ მიწაზე თავისი საკუთრების უფლების დადასტურება ქუთაისის საოლქო

სასამართლოში უხდებოდა. რუსეთის მთავრობა კი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს კოლონიზაციის ფართო გეგმებს ამუშავებდა და იმპერიის შიდა გუბერნიებიდან ჩამოსულებს ქართულ მიწას გულუხვად ურიგებდა.

1903 წელს სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით, ბათუმის ოკრუგი ადმინისტრაციულად ქუთაისის გუბერნიიდან გამოიყო, ბათუმის და ართვინის ოკრუგები გაერთიანდა და შეიქმნა ბათუმის ოლქი [ - , 1884-1914: 1-2]. მიუხედავად ამისა, ბათუმის ოლქის სახელმწიფო ქონების მართვა 1917 წლამდე ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს გამგებლობაში დარჩა.

რუსული ხელისუფლებისათვის სახელმწიფო ქონების შექმნის და მართვის პროცესში, სახელმწიფო მიწების და საღალღო შემოსავლების იჯარით გაცემის წესების შემუშავებას და განხორციელებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. საიჯარო პოლიტიკაზე ბევრად იყო დამოკიდებული ადგილობრივი ბიუჯეტის შევსება, რეგიონის ეკონომიკურ ცხოვრებაში წამყვანი მდგომარეობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო მიწების, რუსეთიდან, უპირატესად შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებულთათვის მიცემის საშუალებით, მყარი რუსული მოსახლეობის შექმნის პრობლემის გადაწყვეტა.

XIX საუკუნის 80-90-იანი წლებიდან მთავრობამ საიჯარო ფონდში ჩართო აჭარიდან თურქეთში გადასახლებულ მუჰაჯირთა მიწები, რომელთა ძირითადი ნაწილი უცხოელი კოლონისტების და მოიჯარეების ხელში გადავიდა. 1882 წელს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის მიერ გამოიცა განკარგულება, რომლითაც ადგილობრივ ადმინისტრაციას დაევალა გაერკვია, აღეწერა და მიეღო გადასახლებულთა მიერ დატოვებული მიწები და შენობები ხაზინის საკუთრებაში **[ზარამიძე, 1999: 98-99]**, რომლის დიდი ნაწილი, როგორც ვთქვით, იჯარის წესით გაიცა. ამ პროცესის ამსახველი მრავალრიცხოვანი მასალებიდან შეიძლება დავასახელოთ ბათუმის ოკრუგის, კინტრიშის უბანში 1887 წელს იჯარით გაცემულ მუჰაჯირთა მიწების უწყისი, რომლითაც სოფელ აჭყვაში 30 მუჰაჯირის მიერ დატოვებული მიწებიდან 25-ის მიწები იჯარით აიღო გადამდგარმა პოდპოლკოვნიკმა სოლოვცევმა **[ქცსა, ფ. 18, აღწ. 1, ს. 2302, გვ. 1-10]**.

ხაზინის დავა მიწათმფლობელებთან რუსული მმართველობის დამყარებისთანავე დაიწყო და საუკუნეზე მეტხანს გაგრძელდა. იგი წარმოიშვა სახელმწიფო ქონების შექმნის პროცესში და განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო მიწების სავალდებულო სახელმწიფო გამიჯვნასთან დაკავშირებით. ხაზინის წარმომადგენლები მთელ გასამიჯნავ მიწას სახელმწიფო საკუთრებად აცხადებდნენ, რაც დავების არნახელი რაოდენობის მიზეზი ხდებოდა, ხოლო შემდეგ სასამართლო პროცესებზე, უამრავი წერილობითი საბუთის წარდგენით, მათი

შინაარსის ყოველგვარი კრიტიკული ანალიზის გარეშე, მოითხოვდნენ ხაზინის უფლების ცნობას ისეთ მიწაზე, რომელიც აშკარად კერძო პირს ეკუთვნოდა *[ვაჭრობე, 2006: 176]*. რუსეთის ადგილობრივმა ხელისუფლებამ მალევე დაივიწყა ჯერ კიდევ შეერთებამდე აჭარის პრივილეგირებული კლასის წარმომადგენლებისადმი მიცემული პირობა, რომ აგრარულ ვითარებას ხელუხლებლად დატოვებდა *[ზარამიძე, 1999: 81]*.

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც ბათუმის ოლქი ქუთაისის გუბერნიას შეუერთდა, სახელმწიფო ქონების ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს მოქმედების ასპარეზი ამ მიმართულებით კიდევ უფრო გაფართოვდა და მის არეალში აჭარაც მოექცა. აქ რთული ვითარება იყო – როგორც ითქვა მიმდინარეობდა თურქული მიწათმფლობელობის კანონმდებლობის რუსულით ჩანაცვლება, მოსახლეობის ერთი ნაწილი ტოვებდა მშობლიურ მიწა-წყალს და თავის უძრავ ქონებას სხვას უტოვებდა. მიწის სახელმწიფო ფონდის გაფართოებისათვის მებრძოლ ხაზინას კერძო მიწათმფლობელებთან დავაში სერიოზული პრობლემები გაუჩნდა. ამის ერთი ტიპური მაგალითია ხაზინის დავა ძმებთან ივანე და ნიკოლოზ მირზოევებთან. მათ 1883 წელს ნასყიდობის აქტით, ბათუმში მცხოვრებ ევენდი ზადესგან მიწის ნაკვეთი შეიძინეს. ხაზინამ მირზოევებს დავა დაუწყო და თავის სარჩელს ასე ასაბუთებდა: გამყიდველი მიწის ნაკვეთს ფლობდა მისი მესაკუთრის კადირ ალა აჰმედ ოღლის სახელით, ხოლო ამ უკანასკნელმა რუსეთსა და ოსმალეთს შორის 1879 წელს სტამბულში დადებული ტრაქტატის მეშვიდე მუხლით თავის ადგილმამულზე ყოველგვარი უფლება დაკარგა. დასახელებული მუხლის შინაარსი ასეთი იყო: რუსეთის იმპერიისათვის გადაცემული ტერიტორიის მოსახლეობას შეეძლო ადგილზე დარჩენილიყო, რუსეთის ქვეშევრდომობა მიეღო ან გადასახლებულიყო თურქეთში და თავისი უძრავ-მოდრავი ქონება 3 წლის განმავლობაში გაეყიდა. კადირ ალა თურქეთში გადასახლდა, მაგრამ მიწა არ გაუყიდა, ამის გამო იგი ხაზინის საკუთრებად იქცა. მირზოევების ადვოკატმა ხაზინის სარჩელი უსაფუძვლოდ მიიჩნია, რადგან კადირ ალა თურქეთში გადასახლდა ოცდაათი წლის წინათ და ამ ხნის მანძილზე მიწას ყოველგვარი დავის გარეშე, მშვიდობიანად ფლობდა მუფტი ასან ევენდი. ამიტომ მას უფლება ჰქონდა ეს მიწა გაეყიდა. ქუთაისის საოლქო სასამართლომ ეს მოსაზრება გაიზიარა და 1890 წელს ხაზინას სარჩელზე უარი უთხრა. გუბერნიის ხელმძღვანელობამ სააპელაციო საჩივრით მიმართა თბილისის სასამართლო პალატას, რომელმაც იხელმძღვანელა კანონით – მიწის ფლობის ხანდაზმულობა მასზე საკუთრების უფლებას არ წარმოშობს და ქუთაისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება არ დაამტკიცა. მირზოევებს ნაყიდი მიწა ჩამოართვეს

და ხაზინას გადასცეს. მათ საკასაციო საჩივარი შეიტანეს სენატში, რომელმაც კონსტანტინეპოლის ტრაქტატის მეშვიდე მუხლი საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით განიხილა. სენატის განმარტებით, აღნიშნულ პუნქტში ლაპარაკია უძრავი ქონების გაყიდვაზე სამი წლის განმავლობაში, მაგრამ არაფერია ნათქვამი ამ ვადის გასვლის შემდეგ თურქეთში გადასახლებული მოქალაქის ქონების კონფისკაციის შესახებ. თბილისის სასამართლო პალატამ ფაქტობრივად ქონების კონფისკაცია მოახდინა, რაც სენატის აზრით, მეშვიდე მუხლის სულისკვეთებას არ შეესაბამებოდა. ამიტომ მან გააუქმა პალატის გადაწყვეტილება და ხაზინის სასარგებლოდ ჩამორთმეული მიწის ნაკვეთი მყიდველს დაუბრუნა, რასაც ათი წელი დაჭირდა [ქცსა, ფ. 18, აღწ. 1, ს. 1406, გვ. 195-199].

სენატის გადაწყვეტილებაზე, სავარაუდოა, გარკვეული გავლენა მოახდინა აჭარის საზოგადოების შეშფოთებამ იმასთან დაკავშირებით, რომ დაბეჯითებით ვრცელდებოდა ხმები, რომ რუსეთის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს მასზე გადაცემულ რეგიონში მთელი მიწები სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადოს. ეს შეშფოთება საფუძველს მოკლებული არ იყო. მართლაც ხელისუფლება აქტიურად ცდილობდა აჭარაში ოსმალური საადგილმამულო კანონმდებლობის ძირითადი პრინციპების გამოყენებას და მთელი მიწების სახაზინოდ გამოცხადებას. ამ პოლიტიკის იდეოლოგთა აზრით, რაკი სულთნის ხელისუფლების სამართალმემკვიდრეს რეგიონში რუსეთის სახელმწიფო წარმოადგენდა, მიწების მთელი ფონდიც, რომლის ერთადერთ მესაკუთრედ უზენაესის – ალაჰის შემდეგ სულთანი, იმამი ფლობდა, რუსეთის სახელმწიფო ხაზინის საკუთრებად უნდა ჩათვლილიყო [ზარამიძე, 1999: 103]. რუსეთის ხელისუფლების ეს მისწრაფება აშკარა იყო ხაზინის დავებიდან ბათუმის და ართვინის ოკრუგებში მცხოვრებ მიწათმფლობელებთან. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია იასონ იოსელიანის მამულების საქმე.

პოდპოლკოვნიკმა ი. იოსელიანმა 1880 წელს ბათუმში მცხოვრებ ბეგების – აბაშიძეებისაგან ნასყიდობის აქტით, ბათუმის მიდამოებში 457 დესეტინა მიწა შეიძინა. 1888 წელს ხაზინამ მასზე ქუთაისის საოლქო სასამართლოში სარჩელი აღძრა. საგუბერნიო ხელისუფლების დავალებით, იოსელიანის მიერ შეძენილი მიწა აზომეს და აღმოჩნდა, რომ სადავო მიწიდან მხოლოდ 33 დესეტინა იყო მოქცეული ქალაქის, ყოფილი პორტო-ფრანკოს ფარგლებში, ხოლო დანარჩენი მდებარეობდა ქალაქის გარეთ. აჭარაში მიწათსარგებლობის მაშინ არსებული დროებითი წესების მიხედვით, მიწების ყიდვა-გაყიდვა დაშვებული იყო მხოლოდ ბათუმის ტერიტორიაზე. მის გარეთ ერაზი-მირიეს ანუ სახელმწიფო კატეგორიის მიწები მდებარეობდა და აბაშიძეებს ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე არ შეეძლოთ მათი გა-

ყიდვა. საგუბერნიო ხელისუფლება მოითხოვდა იოსელიანის მიერ შექმნილი მიწის ის ნაწილი, რომელიც ქალაქის გარეთ მდებარეობდა, ხაზინას გადაცემოდა. ამ საქმეში ბევრი საინტერესო მასალა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ქალაქ ბათუმის საზღვრების დასადგენად.

ქუთაისის საოლქო სასამართლომ საქმე 1896 წელს განიხილა და იოსელიანის სასარგებლოდ გადაწყვიტა, რაც თბილისის სასამართლო პალატაში იქნა გასაჩივრებული. ამ უკანასკნელმა ეს გადაწყვეტილება არ დაამტკიცა. იოსელიანის მემკვიდრეებს წინადადება მისცეს მათი მამის მიერ შექმნილი ბათუმის გარეთ მდებარე მიწები ხაზინისათვის გადაეცათ *[ზარამიძე, 1999: 90-91]*.

ქართველი მიწათმფლობელებისადმი რუსული მმართველობის დამოკიდებულება კარგად ჩანს იმ ფაქტიდან, რომლის შესახებ თედო სახოკია მოგვითხრობს. მას შემდეგ, რაც აჭარა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა, აჭარელთა ერთ-ერთმა ყველაზე თვალსაჩინო თავკაცმა და ანტიურქული მოძრაობის მეთაურმა შერიფ ბეგ ხიმშიაშვილმა მთავრობას თხოვა, რომ მისი მამულები რუსული კანონმდებლობით დაემტკიცებინათ. რუსული მმართველობა, როგორც აღინიშნა, თვლიდა, რომ აჭარაში ოსმალეთის ბატონობის დროს მთელი მიწა სახელმწიფო საკუთრებას შეადგენდა და ახლაც ასევე უნდა დარჩეს. ამის გამო, ხიმშიაშვილს საკუთრებაში მხოლოდ 16 დესეტინა მიწა დაუმტკიცეს. მამის გარდაცვალების შემდეგ შვილებმა განაგრძეს მემკვიდრეობის ძიება. ისინი სავსებით კანონიერად აყენებდნენ საკითხს. თედო სახოკია წერს: ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რა ჭკუაში მოსასვლელია, რომ მხარის უფროსს 16 დესეტინა მიწის მეტი არ ჰქონოდა *[სახოკია, 1985: 274]*. რუსეთის ხელისუფლებას კი მიაჩნდა, რომ ეს მიწები ხაზინას ეკუთვნოდა, ხოლო შერიფ ბეგი მათი მფლობელი იყო მხოლოდ.

რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო, აგრეთვე რუსებზე და უცხოელებზე მიწების გადაცემა, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიას და ბუნებრივ სიმდიდრეებს მტაცებლურად და ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ძარცვავდნენ. უგულველყოფილი იყო ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები. მთელი ყურადღება გადატანილი იყო მომპოვებელი მრეწველობის განვითარებასა და ნედლეულის იმპერიის სხვადასხვა რეგიონებსა და საზღვარგარეთ ექსპორტზე. საქართველო ნედლეულის მწარმოებელი და მეტროპოლიაზე ეკონომიკურად დამოკიდებული ქვეყანა უნდა ყოფილიყო, რუსეთის უზარმაზარი იმპერიის განაპირა მხარე. საქართველოს მთელ ტერიტორიას რუსეთის მთავრობა განიხილავდა, როგორც საკუთარ მამულს და თვითნებურად განკარგავდა მის ბუნებრივ რესურსებს *[ვაჭრიძე, 2006: 304]*.

XIX საუკუნის 80-90-იან წლებში შავი ზღვის აჭარის სანაპიროს მიწების დაუფლების აურაცხელი მსურველი მიაწყდა. ისინი სარგებლობდნენ მუჰაჯირთა მძიმე მდგომარეობით და თურქეთში გადასახლებულ ქართველ მაჰმადიანთა მიწებს მუქთად იგდებდნენ ხელში, ხოლო შემდეგ სარფიანად ყიდდნენ მას. ამის ტიპური მაგალითია აზნაური მეჩისლაე დე ალფონსი, რომელმაც 1878-1881 წლებში ჩაქვის და აჭკუას მიდამოებში მუჰაჯირებისგან 123 დესეტინა მიწა შეიძინა და შემდეგ სხვადასხვა პირებს მიყიდა [ქცსა, ფ. 18, აღწ. 1, ს. 2859, გვ. 11-22]. სახელმწიფო ქონების ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოში ასობით განცხადება შემოდიოდა ბათუმის მიდამოებში მიწების გამოყოფის შესახებ. მთხოვნელთა აბსოლუტური უმრავლესობა რუსები იყვნენ.

XIX საუკუნის ბოლოს ბათუმის ოკრუგში აღრიცხეს 345.594 დესეტინა მიწა, რომლის უდიდესი ნაწილი სახელმწიფო ხაზინის საკუთრებად იყო გამოცხადებული. მცირე რჩებოდა გლეხების სარგებლობაში და მხოლოდ 13.500 დესეტინა დამტკიცებული ჰქონდა საკუთრებად რუსებს და უცხოელებს [ბენდიანიშვილი, 2008: 170].

#### გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

**ბენდიანიშვილი, 2008:** – ბენდიანიშვილი ა., დაუშვილი ა., სამსონაძე მ., ქოქრიშვილი ხ., ჭუმბურიძე დ., ჯანელიძე ო., რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბილისი.

**ქცსა, ფ. 18, აღწ. 1, ს.** – ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი, 18 აღწერა 1, საქმე №1406, №2302, №2859, №2610.

**ბარამიძე, 1999:** – ბარამიძე ი., საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ბათუმი.

**ვაჭრიძე, 2006:** – ვაჭრიძე გ., დასავლეთ საქართველოში რუსეთის სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის ისტორიიდან, ქუთაისის.

**სახოკია, 1985:** – სახოკია თ., მოგზაურობანი, გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი, ბათუმი.

, 1884-1914: –

1887

1913 .  
1884-1914.

**Russian Empire's Colonial Policy in Adjara**

Summary

The Russian colonial policy was characterized by the common features to the invaded peoples and served the purpose to create monoethnic empire. Nevertheless, the Russian Empire had to take into account local peculiarities to fit the policy in with a certain region and moreover, to provide the implementation of their policy. Adjara along with the whole Georgia had to become an inextricable part of Empire and Russian province as well that would have been economically profitable and politically reliable.

Russia was gradually becoming the owner of the property of Georgian people. The Empire fought against anti-Russian forces. The estates and property of Georgian kingdoms and principalities, of massively exiled muslim Georgians – Muhajir, churches of Georgia were handed over to the Empire Treasury. By 1885 43 % of Kutaisi Gubernia lands had been owned by Treasury. The lands used to be settled by foreigners, especially Russians.

The process of forming the State property and administration service took place at the same time which became one of the important parts of Russian administration in Caucasia. Its major duty was to forcefully intergrate Georgia in the Common Empire economic space. In 1868-1917 agricultural and state property Kutaisi Gubernia headquarter used to be functioning, which made an effort to faithfully protect and enlarge the State property of Russian Empire.

The Russian colonial policy in Georgia cleared the way to foreign capital to steal our natural resources. The Russians considered the occupied territory as its own homeland and gave thousands dessiatina of lands to foreign businessmen, Russian officials and the retired military serviceman. In order to precipitate the assimilation of Georgian people and strengthen Russian elements the lands were given especially to Russians. The colonization spread up to Adjara.



## 1920 წლის 4-11 ივლისის მოვლენები ბათუმში

პირველმა მსოფლიო ომმა რუსეთის იმპერიაში საშინელი ეკონომიკური კრიზისი, ქაოსი, ნგრევა და განუკითხაობა გამოიწვია. ამას დაემატა ისიც, რომ დროებითმა მთავრობამ ხალხთა მასებში ავტორიტეტი ვერ მოიპოვა, რადგან იგი პრაქტიკულად ვერ წყვეტდა ქვეყნის დემოკრატიული გარდაქმნების ამოცანებს. სწორედ ეს გახდა მიზეზი ბოლშევიკთა გააქტიურებისა, რასაც ახალი მდელვარების ტალღა და 25 ოქტომბერს (ძვ. სტ.) პეტროგრადში დროებითი მთავრობის დამხობა მოჰყვა.

ბრესტ-ლიტოვსკში მოწვეულ საზავო კონფერენციაზე ოსმალები იმედოვნებდნენ ფორმალურად ზავის რუსებისაგან მიღებას. 1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში ხელი მოეწერა სამშვიდობო საზავო ხელშეკრულებას. რასაკვირველია, თბილისში პასუხი ამაზე არ დააყოვნეს და იმავე დღეს ამიერკავკასიის კომისარიატის სახელით ე. გეგეჭკორმა და ნ. ჩხეიძემ პროტესტი გაუგზავნეს საზავო ხელშეკრულების ხელმოწერ სახელმწიფოებს. მაგრამ პროტესტი დაგვიანებული დარჩა. საბჭოთა რუსეთის დელეგაციის გადაწყვეტილება ოსმალეთისათვის დაეთმო: არდაჰანი, ბათუმი, ყარსი ბოლშევიკური რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ლ. კარახანის დეკლარაციით ეცნობა თბილისს *[ზოსიძე, 1993: 12]*.

შექმნილ ვითარებაში ერთადერთი გამოსავალი იყო დამოუკიდებელი მოლაპარაკების დაწყება ოსმალეთის მთავრობასთან. კონფერენციის ჩატარების ადგილად განისაზღვრა ქალაქი ტრაპიზონი. ტრაპიზონის (1918 წლის 14 მარტი-5 აპრილი) კონფერენციაზე ამიერკავკასიისა და ოსმალეთის დელეგაციებს შორის ცილობის საგნად იქცა არა მხოლოდ ბათუმი, ყარსი და არტაჰანი, არამედ XIX საუკუნეში დაბრუნებული ტერიტორიებიც.

ტრაპიზონის საზავო კონფერენცია მიმდინარეობდა ძალთა უთანასწორობის პირობებში, ამიერკავკასიის დელეგაციას არ გააჩნდა მტკიცე არგუმენტები ბრესტის ზავის მიუღებლობაზე. წინათ დაშვებული შეცდომები დამოკლეს მახვილივით დააწვა ამიერკავკასიის დელეგაციას. ოსმალეთს მიეცა სრული შესაძლებლობა, კონფერენცია მისთვის სასურველი მიმართულებით წარემართა და მათ შემდგომი შეთანხმების საფუძვლად ბრესტის ხელშეკრულება მიიჩნიეს. რაც შეეხება ყარსის, არტაჰანისა და ბათუმის ოლქებს, ოსმალთა მხარე მათ საერთოდ არ მიიჩნევდა განსჯის საგნად. მათი აზრით, ოტომ-

ნიის იმპერიას ამ ტერიტორიების მიერთების უფლება ჰქონდა მოპოვებული *[სცსა, გ. 1819, აღ. 1, ს. 17, ფურ. 25]*.

1918 წლის 12 აპრილს მათ დაიკავეს ყარსი, მიიტაცეს ბათუმიც... ქართველი ერი ჩაება სამშობლოს გადარჩენისათვის უთანასწორო ბრძოლაში. სასწრაფოდ შეიქმნა ქართველ მოხალისეთა დიდი ლაშქარი. ლოზუნგით - „ან ბათომი ან სიკვდილი“! სასტიკი ბრძოლები გაიმართა მდ. ჩოლოქთან, ოზურგეთთან...

ქართველი დიპლომატები იმედებს ამყარებდნენ მოლაპარაკებებზეც. ტრაპიზონის (1918 წლის 14 მარტი - 5 აპრილი) და ბათუმის (გაიხსნა 1918 წლის 11 მაისს) კონფერენციებზე ამიერკავკასიისა და ოსმალეთის დელეგაციებს შორის ცილობის საგნად იქცა XIX საუკუნეში დაბრუნებული ტერიტორიებიც. საგარეო გართულებებმა გააღრმავეს ბზარი ამიერკავკასიის სახელმწიფოში. ქართველი დიპლომატები გერმანელებს დაუკავშირდნენ. მალე დამოუკიდებელი ამიერკავკასია ეროვნული ნიშნით დანაწილდა. 26 მაისს იშვა დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველო.

ამის მიუხედავად, საქართველოს მთავრობა მაინც იძულებული შეიქმნა დაზავებოდა ოსმალეთს. საამისო ხელშეკრულება 1918 წლის 4 ივნისს ბათუმში გაფორმდა, თუმცა ის რატიფიცირებული არ ყოფილა *[ზოსიძე, 1995: 52]*.

გერმანიისა და მისი მოკავშირეების დამარცხების გამო, 1918 წლის 30 ოქტომბერს ოსმალებმა მუდროსის ნავსადგურში ინგლისელებთან ხელი მოაწერეს დროებით ზავს. ამ ზავის ერთ-ერთი პუნქტით, დამარცხებულ მხარეს უნდა გამოეყვანა ჯარები ომის დროს დაპყრობილი ტერიტორიებიდან. ასე რომ, ოსმალეთი იძულებული გახდა დაეტოვებინა საქართველოს კუთვნილი ბათუმის ოლქი.

მოკავშირეთა ინტერესებს საქართველოში, ძირითადად, ინგლისელები გამოსატავდნენ. ისინი ბათუმს ამ ეტაპზე არ განიხილავდნენ საქართველოს ტერიტორიულ ერთიანობაში, არამედ მას დამარცხებულ ოსმალეთზე ჩამორთმეულ ქალაქად მიიჩნევდნენ. 30 დეკემბრისათვის ბათუმში დასრულდა ინგლისელი ჯარისკაცების შემოსვლა, რომელთა რაოდენობა 15 ათასს შეადგენდა *[იქვე, 65]*.

ამ დროისათვის ბათუმში ფარული თუ აშკარა ანტიქართული კამპანიები მიმდინარეობდა. მათ წარმმართველ ძალას წარმოადგენდა როგორც რუსული ეროვნული საბჭო, ასევე ოსმალეთის დიპლომატიური წარმომადგენლები. რუსთა ეროვნულმა საბჭომ ფრანგულ ენაზე შეადგინა მოხსენება, რომელშიც ბათუმის ოლქის წარსული ფალსიფიცირებული იყო. რუსები აჭარას რუსეთის ერთიანი იმპერიის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდნენ, აჭარელებს კი თავიანთ მოკავშირეებად. ინგლისელი ჯარისკაცების ბათუმში შემოსვლის შემდეგ რუსთა ეროვნული საბჭოს მუშაობა უფრო აქტიური გახდა. ინგლისელ ოფიცერ უსბსტერთან

საუბარში პ. მასლოვმა დაადასტურა მზადყოფნა ბათუმის მართვა-გამგეობის სადავეების ხელში ასაღებად. ჯერ კიდევ 1918 წლის ნოემბერში პ. მასლოვმა, სარანჩევმა და ანისიმოვმა შეადგინეს ამ მხარის მომავალი სახელმწიფოებრივი მართვის გეგმა, რომლითაც ბათუმის ოლქი ცხადდებოდა გუბერნიად და მას გუბერნატორი განაგებდა. ამ თანამდებობაზე დასახელებული იყო გენერალ ა. დენიკინის კანდიდატურა. რუსთა ჩანაფიქრი უფრო შორს იყო გამიზნული. მათ სურდათ ბათუმი გადაექციათ „ღობროარმიის“ ცენტრად, ცენტრად იმ არმიისა, რომელიც ბოლშევიკებს ებრძოდა. თუ რუსეთში ბოლშევიზმთან ბრძოლა წარმატებით დასრულდებოდა, ამ შემთხვევაში ბათუმში არმიისათვის შეიქმნებოდა ძლიერი ბაზა და საჭიროების შემთხვევაში მას ამიერკავკასიაში იმპერიის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად გამოიყენებდნენ *[ახსცხა, ფ. 67, ხ. 15, ფურ. 222]*.

1919 წლის იანვრიდან ბათუმში დაიწყო ინგლისელთა საოკუპაციო რეჟიმის ფუნქციონირება. გენერალ უოკერს შეხვდნენ თურქოფილური ძალების წარმომადგენლები. ისინი მოითხოვდნენ ოსმალთა დარჩენას ბათუმში. გენერალმა არც კი მოუსმინა მათ. აჭარის დელეგაციამ უოკერს გადასცა მემორანდუმი, რომელშიც ასახული იყო მთელი ოლქის სწრაფვა დელასამშობლოსთან შესაერთებლად. თავის მხრივ, რუსები თავიანთ პეტიციაში ბათუმის მათ მფლობელობაში გადაცემას ითხოვდნენ. აქაურთა განწყობილების გათვალისწინებით, ინგლისელებმა თავიანთ განცხადებაში ხაზი გაუსვეს ერთ გარემოებას: რამდენადაც რუსი მოსახლეობა აჭარაში უმცირესობას წარმოადგენს და უმრავლესობის აზრია დელასამშობლოსთან შეერთება, ამდენად, რუსთა ნაციონალურ საბჭოს არა აქვს იურიდიული უფლება ამ მხარის მართვაზე განაცხადოს პრეტენზიით *[იქვე, ფურ. 229-230]*.

ინგლისის საოკუპაციო ჯარების მთავარსარდლობამ ქალაქ ბათუმისა და ბათუმის ოლქის გუბერნატორად დანიშნა გენერალი კუკ კოლისი. ახალი ხელისუფლება შეუდგა ისეთი ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ ინგლისელთა პოლიტიკური კურსის განმტკიცებას, ხოლო მათ მიერ ამ მიმართულებით გაწეული მუშაობა ხშირად ანტიქართული ხასიათის მატარებელი იყო.

ბათუმის გუბერნატორის ნებართვით, ამიერკავკასიის ბონებთან ერთად მიმოქცევაში შევიდა ღონის ფულადი ნიშნები. ინგლისელთა საოკუპაციო რეჟიმის განსამტკიცებლად ხელისუფლებამ გამოსცა ბრძანებები, რომელთა მიხედვითაც ბათუმს განაგებდა სამხედრო გუბერნატორი, შეიქმნა მუდმივი სამხედრო სასამართლო. ერთ-ერთი მუხლით, ხელისუფლება თავისი შეხედულებისამებრ ქმნიდა სამოქალაქო სასამართლოს. სამხედრო ძალებთან ერთად ბათუმში ჩამოყალიბდა საქანდარმო კორპუსი, რომელიც ძირითადად სხვა ეროვნების

მოქალაქეებისაგან დაკომპლექტდა. საკომუნიკაციო ქსელის დაზიანებისათვის მართლმსაჯულება დამნაშავეებს მკაცრად სჯიდა.

სახელმწიფო აპარატის ფორმირებისას უპირატესობას რუსულ ელემენტს ანიჭებდნენ. ამ მხრივ, ნიშანდობლივია გენერალ უოკერსა და მასლოვს შორის გამართული საუბარი, რომლის მიზანს შეადგენდა დაზუსტებულიყო ბათუმის მართვის საბჭოს შექმნის დეტალები. „ჩვენს საერთო მიზანს რუსეთში ბოლშევიზმის დამხობა და ნორმალური ხელისუფლებისა და ცხოვრების აღდგენა წარმოადგენს. „დობროარმიის“ შედარებითი სისუსტის გამო ვიკავებთ კავკასიას წესრიგის უზრუნველყოფისა და ამ მხარის რუსეთისათვის შესანარჩუნებლად, კერძოდ, მე გადავწყვიტე ბათუმში არსებითად აღვადგინო რუსული ხელისუფლება და მივცე უპირატესი გავლენა რუსულ ელემენტს, მაგრამ დარწმუნებული ხართ თქვენ, რომ ფორმით წმინდა რუსული ხელისუფლება ისარგებლებს საჭირო ავტორიტეტით? ხომ არ დარჩება იგი ჰაერში გამოკიდული, ან მოწყვეტილი მოსახლეობის უმრავლესობისაგან, რომელიც ასე ჭრელია თავისი ეროვნული შემაღგენლობით.. ჩვენ ყველანი მივესალმებით გენერალ დენიკინს, რომელსაც ყოველმხრივ მხარს ვუჭერთ და რომლის საბოლოო წარმატების გეგვრა“ – აღნიშნა ინგლისელმა გენერალმა *[იქვე, ფურ. 230]*. მან მასლოვს შესთავაზა შეექმნა მმართველობის აპარატი მისი ხელმძღვანელობით და მასში შეეყვანა სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები. ამით საზოგადოებრივი აზრიც დაწინარდებოდა, ხოლო ხელისუფლება ფაქტობრივად რუსების ხელში გადავიდოდა.

ეკატერინოღარში, სადაც დენიკინელთა მთავარი შტაბი იყო დისლოცირებული, ბათუმიდან ჩავიდა გენერალი ტერმენი. თავის მოხსენებაში, რომელიც მხოლოდ ინფორმაციულ ხასიათს ატარებდა, მან წარმოაჩინა ბათუმში არსებული მდგომარეობა. დაახასიათა მოქმედი ყველა პოლიტიკური მიმართულება. რუსული ეროვნული საბჭოს სხდომაზე ითქვა, რომ ინგლისელთა მხარდაჭერით ბათუმში განხორციელდებოდა ყველა ღონისძიება პოლიტიკურ თანამოაზრეთა წრის გაფართოებისათვის. გენერალმა ა. დენიკინმა დადებითად შეაფასა პ. მასლოვისა და მისი კაბინეტის საქმიანობა *[ზოსიძე, 1995: 70]*.

თავის საქმიანობაში პ. მასლოვის საბჭო მხოლოდ დენიკინელებზე დახმარებით როდი იფარგლებოდა. მისი ხელმძღვანელობით დაიწყო გარდაქმნები, რომლებიც აშკარა რეაქციულ ხასიათს ატარებდნენ. სახელმწიფო აპარატი მთლიანად მეფის დროინდელი ჩინოვნიკებით დაკომპლექტდა. სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა სახელმწიფო ქონების დატაცება. ბათუმსა მის შემოგარენში მასლოვის უშუალო ხელმძღვანელობით მოხდა სახაზინო მამულების გაყიდვა, განსაკუთრებით, შავიზღვისპირა საკურორტო ზონაში. ბათუმში მოქმედი ქართული ეროვნული საბჭოს კატეგორიული მოთხოვნით, ოლქის გუბერნა-

ტორმა კუკ-კოლისმა უბრძანა ცხრათა საბჭოს, რათა შეეწყვიტა სახელმწიფო მიწების უკანონო გასხვისება (აქ მიწებს, ძირითადად, რუსები ისაკუთრებდნენ).

ეროვნული მოძრაობის გამარჯვებით დამთავრდა ბათუმის თვითმმართველობის არჩევნებიც, რომელიც გაიმართა 1920 წლის 29 თებერვალს. 36 სადეპუტატო ადგილზე 20 ქართველი აირჩიეს. საარჩევნო კანონი კუკ-კოლისმა დაამტკიცა. საარჩევნო კამპანიას ხელმძღვანელობდა საოკუპაციო ხელისუფლების წარმომადგენელი. გუბარნატორის მიერ მოწვეულმა კომისიამ არჩევნების შედეგები კანონიერად სცნო. ხელისუფლება მაინც არ ჩქარობდა ახალი საბჭოს უფლებამოსილების დამტკიცებას.

1920 წლის 19 მარტს დამფუძნებელი კრების სხდომაზე აღინიშნა, რომ ბათუმის საკითხი საქართველოს ყოფნა-არყოფნას ეხებოდა. ამ პოზიციიდან ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლების საქმიანობა აჭარაში შეფასდა, როგორც საქართველოს ეროვნული ინტერესების უგულვებლყოფა. დამფუძნებელი კრების სახელზე გაგზავნილ წერილებში აღნიშნული იყო ბათუმის საკითხის დაუყოვნებლად მოგვარების აუცილებლობა [გაზ. „საქართველო“, 1920: 61]. 1920 წლის თებერვლიდან ბათუმში შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის რწმუნებელის ინსტიტუტი მ. ხოჭოლაგას მეთაურობით. 1 მარტიდან გადაწყდა ჯარის შეყვანა მთელს ოლქში.

1920 წ. თებერვლის დასაწყისში ბათუმიდან დიდი ბრიტანეთის საოკუპაციო ძალების გაყვანამ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ხელში ჩაგდების მოსურნე ანტიქართული ელემენტები გააქტიურა. საქართველოს მთავრობამაც, წესრიგის და სტაბილურობის აღსადგენად, გადაწყვიტა ამ მხარეში თავისი ჯარების შემოყვანა [სედინ, 2008: 499].

საქართველოს ჯარი ორი მიმართულებით მოიწვედა ბათუმისაკენ – ნატანებისა და ახალციხის მხრიდან. ნატანებთან იგი შეაჩერეს ინგლისელმა სამხედროებმა. სამაგიეროდ, ახალციხიდან წარმატებით მოიწვედნენ ეროვნული არმიის ნაწილები, რომლებმაც დაიკავეს არტანუჯი და არტაანის ნაწილი. მიუხედავად კუკ-კოლისის პრინციპული მოთხოვნისა, საქართველოს ხელისუფლებამ ამ ტერიტორიებიდან არ გამოიყვანა სამხედრო ძალა. პირიქით მალე ქართული ჯარის მცირე ნაწილი შევიდა და განლაგდა დაბა ხულოშიც. მოსახლეობამ რეალურად აღიქვა ერის გამთლიანებისათვის გადადგმული ნაბიჯი და ქართულ ჯარს თანაგრძნობით შეხვდა. ამან დიდი გავლენა მოახდინა საზოგადოებრივ ძალებზეც. ეროვნულ პოზიციაზე გადმოსული ე.წ. „გაერთიანებულ მუსლიმანთა საბჭო“ ოლივერ უორდროპისადმი ნოტაში აღნიშნავდა: „სარწმუნო წყაროებიდან ვიცით, რომ აზერბაიჯანის აგენტები აშკარად აძლევენ ყაჩაღებს ფულს, რათა თავდასხმა მოაწყონ ქართველ ჯარზე. ჩვენი ხალხი საქართველოს ჯარს ელის

აღფრთოვანებით და სიყვარულით, რათა დაიცვან ძველი საქართველოს“ [გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, 1920: 321]. მთავრობის ღონისძიებები მოიწონა საქართველოს პარლამენტმაც და დაადგინა- „1. მიენდოს მთავრობას მტკიცე ნაბიჯი გადადგას მოკავშირეთა მიმართ, რათა ბათუმი და მისი ოლქი საქართველოს დაუბრუნდეს. 2. დაევალოს პრეზიდენტს მიმართოს მოკავშირეთა პარლამენტებს, რათა მათ მხარი დაუჭირონ ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესების განხორციელებას ბათუმის ოლქის საქართველოსათვის დაბრუნების საკითხში [საქართველოს დამფუძნებელი., 19.03.1920: 59].

1920 წლის 19 მარტს საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომაზე სიტყვით გამოვიდა სოციალ-ფედერალისტი სიმონ მდივანი. მან საქართველოს მთავრობას მოუწოდა გააქტიურებულიყო ბათუმის დაბრუნების საქმეში და გამოეყენებინა შექმნილი სიტუაცია. მისი თქმით: „თქვენი დანაშაული ისაა, როდესაც გამოცხადდა ინგლისელები სტოვებენ ბათუმსო, როდესაც თქვენთან მოვიდნენ და გითხრეს ინგლისელები მიდიან, ბათომი თქვენ უნდა დაგეკავათ; მართალია არ ყოფილა ისეთი მომენტი, რომ ინგლისის მცირე ნაწილი მაინც არ დარჩენილიყო ბათუმში, რათა შერჩენოდან საბუთი ეთქვათ წავედიოთ და კიდევ არც წავსულვართო, მაგრამ ხსენებულ მომენტში შეიძლებოდა მეტი ენერჯის გამოჩენა“ [საქართველოს დამფუძნებელი., 1920: 12].

იმავე სხდომაზე, სიმონ მდივანს პასუხი გასცა საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გეგეჭკორმა – „...დარწმუნებით შემიძლია მოგახსენოთ, რომ მთავრობას არ გაუშვია არც ერთი შემთხვევა გაეშუქებინა ბათუმის საკითხი ანტანტის ყველა ავტორიტეტულ წარმომადგენელთა წინაშე“ [იქვე, 15].

სიტყვით მრავალი ორატორი გამოვიდა კიდევ. საბოლოოდ, კი, დამფუძნებელმა კრებამ დაადგინა შემდეგი: „დამფუძნებელი კრება მიესალმება დედა-საქართველოს სახელით მის განუყოფელსა და ავტონომიურ ნაწილს სამუსლიმანო საქართველოს, უთვლის ვაშას ბათუმის ოლქში მდგომ შეაირადებულ ძალებსა და მთელ ჯარსა და სახალხო გვარდიას და ადგენს: 1. მიენდოს მთავრობას მტკიცე ნაბიჯი გადადგას მოკავშირეთა მიმართ, რათა ბათუმი და მისი ოლქი საქართველოს დაუბრუნდეს. 2. დაევალოს პრეზიდენტს მიმართოს მოკავშირეთა პარლამენტებს, რათა მათ მხარი დაუჭირონ ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესების განხორციელებას ბათუმის ოლქის საქართველოსათვის დაბრუნების საკითხში“ [იქვე, 59].

საქართველოს ხელისუფლებისადმი მოსახლეობის ერთსულოვანმა მხარდაჭერამ აიძულა მოწინააღმდეგე ძალები შეკავშირებულიყვნენ და ჩაეშალათ აჭარაში საქართველოს საჯარისო შენაერთების შესვლა, მოეხდინათ მოსახლეობის პროვოცირება და გამოეწვიათ კონფლიქტი ქართულ ჯართან. ამის უშუალო ორგანიზატორი ოლქის გუ-

ბერნატორი გენერალი კუკ-კოლისი იყო. მისი ხელმძღვანელობით სოფლებში გაშალეს პროპაგანდა ქართული ჯარის აჭარაში ყოფნის წინააღმდეგ. კუკ-კოლისმა საქართველოს მთავრობასაც მიმართა ოლქის საზღვრებიდან ჯარების გაყვანის მოთხოვნით. „თუ... ამგვარი ბრძანება არ იქნება გაცემული, მე ვიტოვებ უფლებას, მივიღო ისეთი ზომები, როგორსაც საჭიროდ ვცნობო“, – წერდა კუკ-კოლისი **[სცსა, პმფ, ს. 394, ფურ. 262]**.

მისივე მითითებით დაიწყო იარაღისა და ტყვია-წამლის დარიგება, აგრეთვე, მოსახლეობაში საქართველოსთან შეერთების საწინააღმდეგო ხმების მოგროვება ანტანტის უმაღლესი საბჭოს კონფერენციისათვის გადასაგზავნად **[გაზ. “საქართველო“, 1920: 58]**.

ბათუმის ოლქში ქართული ჯარის შემოსვლის შემდეგ, მტრული ძალები აქტიურ მოქმედებაზე გადავიდნენ. ქესკინ-ზადეს ტიპის სედაიმილეთელები ფინანსურად და მორალურად ცდილობდნენ ხალხზე ზეგავლენის გაძლიერებას. არ ერიდებოდნენ შანტაჟსაც. ქართული ჯარის ნაწილები ნატანებიდან დაიძრა ქობულეთისაკენ. ინგლისის წარმომადგენლობასთან შეთანხმების შემდეგ, საქართველოს მთავრობის ბრძანებით ისინი შეჩერდნენ მდინარე ჩოლოქთან. ასეთი პასიურობით ისარგებლეს იქ ჩასაფრებულმა ავანტიურისტებმა და ატეხეს სროლა. ჩოლოქის ოპერაციის ორგანიზატორი იყო კუკ-კოლისი. მას მხარს უბამდნენ აზერბაიჯანის საკონსულოს და რუსთა ეროვნული საბჭოს ხელმძღვანელობა, „სედაი მილეთის“ უკიდურესი მემარცხენე ფრთა ქესკინ-ზადეს ხელმძღვანელობით, აგრეთვე, ყოფილი დენიკინელები **[სცსა, პმფ, ს. 416]**. ანგორის მთავრობას კარგად ესმოდა შექმნილი ვითარების სიმწვავე, დაინტერესებულ მხარეთა პოზიციები და შესაძლებლობები. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა მე-15 კორპუსის სარდლის ქიაზიმ ყარაბეჭირის ინფორმაცია, რომელიც ეხებოდა ინგლისელთა მიერ ბათუმის ოლქიდან ჯარების ევაკუაციას. იგი შესაძლებლად მიიჩნევდა ამ რეგიონში სამხედრო ნაწილების შეყვანას **[Arşiv basbakanlık Türkiye Cumhuriyeti, BEO 346468, s. 16]**. აღნიშნულ ინფორმაციაზე დართული თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს რეზოლუციით ჩანს, რომ ვითარების სათანადოდ გარკვევამდე ანგორის მთავრობა ცდილობდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ფრთხილად ემოქმედა **[იქვე, 18]**. ამგვარი პოზიცია იმაზეც მიუთითებს, რომ ჯერ კიდევ სუსტ თურქეთს არ შეეძლო აჭარაში მსხვილი სამხედრო შენაერთების გადმოსროლა. სამაგიეროდ, გახშირდა წვრილი ბანდების და სამხედრო კონსულტანტების შემოგზავნა, რომლებიც მონაწილეობდნენ ქობულეთისა და ხულოს ინციდენტებში.

ზემო აჭარის მცხოვრებლები ატყობინებდნენ საქართველოს მთავრობის საგანგებო რწმუნებულს ბათუმში მ. ხოჭოლაყას სოფელ ჭვა-

ნაში მტრების მიერ დაწყებულ სამზადისზე და თხოვდნენ გაეძლიერებინა ხულოსა და არტანუჯ-ართვინის რაზმები *[სცსა, პმფ, ს. 416]*.

ასეთ ვითარებაში გაცხადდა ანტანტის უმაღლესი საბჭოს წინასწარი გადაწყვეტილება ერთა ლიგის მანდატით ბათუმისაგან თავისუფალი ქალაქსახელმწიფოს შექმნის შესახებ. ამან გამოიწვია ქართული საზოგადოებრიობის მძაფრი პროტესტი. სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისმა 23 აპრილის რეზოლუციაში დაგმო ეს ფაქტი და ხაზგასმით განაცხადა, რომ „შეუწყნარებლად თვლის ბათუმის და მისი ოლქის საკითხის საერთაშორისო საკითხად გადაქცევას“ *[იქვე]*. საჭიროა მოკავშირეებმა ბათუმ-აჭარის ბედი გადაწყვიტონ მის მკვიდრ მცხოვრებთა სურვილის საფუძველზე და ეს რეგიონი საქართველოს დაუბრუნონ *[აბაშიძე, 1998: 221-223]*.

ასეთ პირობებში გააქტიურდა რესპუბლიკის მთავრობაც. მან დამატებითი ძალები შემოიყვანა ბათუმის ოლქში. ამან დაძაბა ურთიერთობა დიდი ბრიტანეთის სარდლობასთან. ქართველებმა მოკავშირეებს შესთავაზეს პრობლემის გადაწყვეტის კომპრომისული ვარიანტი – ბათუმის ოლქში შესული ჯარები დაქვემდებარებოდნენ ინგლისის სარდლობას. უმაღლესმა კომისარმა ოლივერ უორდროპმაც მოუწოდა თავის მთავრობას ბათუმის ოლქში ქართველებთან სამხედრო თანამშრომლობისკენ. ეს პოზიცია გარკვეულად გაიზიარეს ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროშიც, მაგრამ აღმოსავლეთში დიდი ბრიტანეთის ჯარების სარდლობა და ბათუმის ოლქის საოკუპაციო ხელისუფლება კვლავ ძველ პოზიციებზე რჩებოდნენ და კატეგორიულად მოითხოვდნენ საქართველოს ჯარის უკან გაყვანას, თუნდაც ძალით *[სურგულაძე, სიორიძე, 1996: 77-80]*.

1920 წ. 7 მაისს გაფორმდა და გამოქვეყნდა რსფსრ-საქართველოს ხელშეკრულება, რომელიც აღიარებდა საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტს ბათუმის ოლქზე და სცნობდა მის შემადგენლობაში. სანაცვლოდ, საქართველოდან უნდა განედევნათ უცხო სახელმწიფოების „ანტანტის“ ჯარები. შექმნილ ვითარებაში, რაც დიდი ბრიტანეთის ბათუმის ოლქის საოკუპაციო ხელისუფლების ანტიქართული ქმედებებითაც იყო განპირობებული. რესპუბლიკის მთავრობამაც მკვეთრად ანტიინგლისური პოზიცია დაიკავა. ამიტომ ლონდონში მიზანშეწონილად ჩათვალეს ბათუმის დატოვება და მისი საქართველოსთვის ჩაბარება. ასეთივე გადაწყვეტილება მიიღო საფრანგეთის მთავრობამაც.

29 ივნისს დამფუძნებელ კრებაზე ე. გეგეჭკორმა განაცხადა, რომ: „...ბათომი ორი წლის წინ დაკარგეთ, მაგრამ ყველა ჩვენგანს, ვისაც სწამდა და სწამს ჩვენი ბრწყინვალე მომავალი, ეჭვიც არ დაბადია იმაში, რომ სამართლიანობა გაიმარჯვებს და ბათომი და მისი ოლქი, ეს განუყოფელი ნაწილი საქართველოსი, ბოლოს დედა სამშობლოს



დაუბრუნდებოდა. დღეს ასრულდა ნებისყოფა მთელი საქართველოსი, შეთანხმების სახელმწიფობა და კერძოდ ინგლისმა ფორმალურად აღიარეს, რომ ბათომი დაუბრუნდეს საქართველოს და ასეთი მათ მიერ განცხადება დოკუმენტალურად არის ჩვენ წინაშე“ *[საქართველოს დამფუძნებელი., 1920: 5-7]*.

ქართული ჯარის წინსვლა ბათუმისკენ დაიწყო 1920 წ. 1 ივლისიდან. იმავე დღეს ქობულეთში გაიმართა მიტინგი, რომელიც დასრულდა სამხედრო ნაწილების პარადით. 4 ივლისს ბათუმის გარეუბანში, ბარცხანის დასახლებაში, ეროვნულ არმიას შეხვდნენ დამფუძნებელი კრებისა და მეჯლისის წევრები, ქალაქის ინტელიგენცია.

მშობლიურ კერაზე ბათუმის მშვიდობიანად დაბრუნება ზემოთ აღინიშნა. 7 ივლისს ქართული ჯარები შევიდნენ ბათუმში, სადაც მოეწყო აღლუმი, მთავარსარდალ გენერალ გ. კვინიტაძის მეთაურობით. აღლუმს მოუძღოდა აჭარის მეჯლისი მემედ აბაშიძის ხელმძღვანელობით. აქვე იყვნენ საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრები პ. საყვარელიძე, გრ. ვეშაპელი, ს. ფირცხალავა, ი. გობეჩია. დაშვებულ იქნა ინგლისისა და საფრანგეთის დროშები და საზეიმო ვითარებაში აღიმართა საქართველოს ბაირაღი. „ინგლისის ფლოტმა მისცა სალუტი და ორკესტრმა შეასრულა ეროვნული ჰიმნები. საღამოს გაიმართა გამოსათხოვარი ბანკეტი ზღაპრული სუფრითა და უხვი სადღერგძელოებით“ *[სურგულაძე, სიორიძე, 1996: 81]*. იმავე დროს ჯარის ერთი ნაწილი შევიდა ბორჩხაშიც. ამით დასრულდა საოკუპაციო ხელისუფლების მმართველობა.

გაზეთები აღტაცებით იუწყებოდნენ ამ სასიხარულო ამბავს. პრესაში დაიბეჭდა მისასალმებელი წერილები, პატრიოტული ლექსები. ვასილ რუხაძე, გიორგი ქუჩიშვილი და მხატვრული სიტყვის სხვა ოსტატები აღფრთოვანებას გამოხატავდნენ ბათუმის დაბრუნების გამო და იმედოვნებდნენ, რომ ამიერიდან მაინც „საქართველოს მიწა-წყალს ვეღარავინ გადმოსთელავდა“.

ბათუმიდან ანტანტის ჯარების გაყვანის შემდეგ საქართველო მარტოდმარტო დარჩა მოახლოებული თურქული და ბოლშევიკური საფრთხის წინაშე. ამის გარეგნული მიზეზი თითქოს იყო საქართველოს მთავრობის ანტინგლისური პოზიცია, მაგრამ მთავარი ფაქტორი, რამაც დააჩქარა მათი ევაკუაცია, იყო აზერბაიჯანის გასაბჭოება -1920 წ. აპრილი. ამის შემდეგ მოკავშირეებმა უპერსპექტივოდ ჩათვალეს გარნიზონის დატოვება ბათუმში, რაც საბოლოოდ საბედისწერო აღმოჩნდა ქვეყნისათვის.

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

- აბაშიძე, 1998:** – აბაშიძე მ., თხზულებანი, გამოსცა გ. შარაძემ, თბილისი.
- სცსა, ფ. 1819, ან. 2, ს. 17** – საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1819, ანაწერი 2, საქმე №17.
- სცსა, ჰმფ, ს. 394, 416** – საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ჰარვარდის მიკროფირების ფონდი, ს. №394, №416.
- ასსცსა, ფ. 67, აღ. 2, ს. 15** – აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 67, აღწერა 2, საქმე №15.
- გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, 1920:** – გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, 1920 წლის №321.
- გაზ. „საქართველო“, 1920:** – გაზ. „საქართველო“, 1920 წლის №58.
- საქართველოს დამფუძნებელი.., 19.03.1920:** – საქართველოს დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ანგარიში, 1920 წლის 19 მარტი, თბილისი.
- საქართველოს დამფუძნებელი.., 1920:** – საქართველოს დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ანგარიში, წიგნი პირველი, თბილისი.
- სდსინ, 2008:** – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები – აჭარა, III, ბათუმი.
- სურგულაძე, სიორიძე, 1996:** – სურგულაძე აბ., სიორიძე მ., პორტო-ფრანკო ბათუმში, ბათუმი.
- ზოსიძე, 1993:** – ზოსიძე ნ., ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში 1919-1920 წლებში, თბილისი.
- ზოსიძე, 1995:** – ზოსიძე ნ., პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში 1918-1920 წლებში, ბათუმი.
- Arşiv basbakanlık Türkiye Cumhuriyeti,, BEO 346468, s. 16; 18.**

**Nugzar Zosidze**  
*(Batumi, Georgia)*

#### **4-11 June, 1920 Year's Events in Batumi**

##### Summary

Year 1920, In early February the withdrawal of British occupation forces from Batumi activated southwest Georgia's anti Georgian elements seeking to capture it. Georgia's government, in order to restore stability and order, decided to deploy its troops in this region.

The population actually perceived the nation's step of unification and the Georgian army was met with compassion. The unanimous support of the Georgia's government by the population pushed the opponent forces to unify and log in to disrupt the forces of their time to provoke the population and lead to a conflict with the Georgian army.

Despite a lot resistance the right position of local people was still the main factor that led to the events that not only accelerated, but also converted into the national interests' limits. Georgian troops began to move forward towards Batumi on 4<sup>th</sup> of July 1920. The same day, a meeting was held in Kobuleti, which ended with a parade of military units. On July 7, on the outskirts of Batumi, Bartskhana settlement, the national army was met by members of Parliament and members of the Adjara Mejlis, the city's intellectuals. Peaceful return of Batumi to the Native heart became the biggest public feast.

After this, allies decided without any prospect to leave the garrison in Batumi. After withdrawal of Entente troops from Batumi, Georgia was left alone in the forthcoming Turkish and Bolshevik threat, which eventually turned out to be fatal for the country.

## ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ისტორია

რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეების სოციალურ-ეკონომიკურ ათვისებაში, რუსულ ორგანიზმთან მიერთებაში ცარიზმი განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა სამეურნეო-საგანმანათლებლო და სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებებს. ამ სახის საზოგადოება-დაწესებულებანი სათავეს იღებს XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. 1765 წელს საფუძველი ჩაეყარა რუსეთის თავისუფალ-ეკონომიკურ საზოგადოებას. იგი იმპერიაში სოფლის მეურნეობის პირველი საზოგადოება გახლდათ. 1796 წელს ესტონეთში შეიქმნა სოფლის მეურნეობის მეორე საზოგადოება (ლიფლანდიის საერთო სარგებლობის საზოგადოება იურიევში).

სოფლის მეურნეობის საზოგადოებები მეწარმეთა და სპეციალისტების პირადი ენთუზიაზმით იქმნებოდა. ასეთი წამოწყებანი რუსეთის მთავრობის მხარდაჭერით სარგებლობდა, რადგან მთლიანად პასუხობდა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მოთხოვნებს: აჩქარებდა იმპერიის მხარეების სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ათვისებას. 1850 წელს კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებაც ჩამოყალიბდა. 1861 წლამდე რუსეთის იმპერიაში სოფლის მეურნეობის 21 საზოგადოება შეიქმნა.

საგლეხო რეფორმის შემდეგ სოფლის მეურნეობის საზოგადოებებისა და დაწესებულებების ჩამოყალიბება დაჩქარდა. ცხადია, ეს გამოწვეული იყო კაპიტალისტური და სასაქონლო-ფულადი წარმოების დაჩქარებით. XIX საუკუნის 80-იან წლებში უკვე ამ სახის 93 ორგანიზაცია ითვლებოდა. მომდევნო 10 წლის მანძილზე (1898-1907) რუსეთის იმპერიაში 1020 სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება შეიქმნა და 1908 წლის პირველი იანვრისათვის მათი რიცხვი 1233-მდე გაიზარდა. მათ შორის 898 სოფლის მეურნეობის საერთო, ხოლო 335 სპეციალური საზოგადოება იყო [ *X, 1909, N.5: 156*].

რუსეთში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილება იყო. XVIII საუკუნიდან მოყოლებული ამ საქონლის იმპორტი წლითიწლოებით იზრდებოდა. მაგალითად, რუსეთში ჩაის პროდუქციის იმპორტი XVIII საუკუნის ბოლოს 20 ათასი ფუთიდან XIX საუკუნის დასასრულს 2995 ათას ფუთამდე, ხოლო 1908 წელს - 532 ათას ფუთამდე, ე.ი. 264-ჯერ გაიზარდა. ჩაის იმპორტისა და ერთ სულ მოსახლეზე მოხმარების მახასიათებლით რუსეთი

მსოფლიოში მხოლოდ ინგლისს ჩამორჩებოდა. რუსეთში ასევე დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ ციტრუსები. მაგალითად, 1898 წელს შემოიტანეს 2394 ათასი, 1905 წელს - 2697 ათასი, ხოლო 1908 წელს - 5167 ათასი ფუთი ციტრუსოვანთა ნაყოფი. ჩაისა და ციტრუსების იმპორტისათვის რუსეთი დიდხალ თანხას იხდიდა. 1898 წელს საამისოდ გაიღეს 48,1 მილიონი, ხოლო 1908 წელს - 74,3 მილიონი მანეთი. ამ უკანასკნელ წელს 164 ათასი ფუთი ზეთუნის ზეთი შემოიტანეს, რომლის ფულადი ღირებულება 459 ათას მანეთს შეადგენდა [  , **1910:42-43**;  , **1914: 18**].

ყოველივე ამან გამოიწვია კერძო ბიზნესმენებისა და მთავრობის დაინტერესება საკუთარი წარმოების ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების განვითარებისათვის. სოფლის მეურნეობის საზოგადოებაში ისინი ხედავდნენ ახალი დარგების განვითარების მთავარ შტაბს. საზოგადოების მეშვეობით ინტელექტუალური პოტენციალი, მეწარმეთა ენთუზიაზმი და პრაქტიკული საქმიანობა ერთმანეთს შერწყმოდა. ეს მართლაც ასე იყო. მოახალშენე მეწარმეებმა რუსეთის მთავრობის წინაშე საკმაოდ არგუმენტირებული წინადადება შეიტანეს ბათუმის ოლქში სოფლის მეურნეობის საზოგადოების დაარსების შესახებ.

მოახალშენე მეწარმეთა და ენთუზიასტთა ამ წამოწყება რუსეთის მთავრობის კავკასიის მეფისნაცვალთა ვორონცოვ-დაშკოვი სიამოვნებით დათანხმდა ყოფილიყო ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების საპატიო თავმჯდომარე. 1908 წლის ივლისში ამ ორგანიზაციის პრეზენტაცია მოხდა: დაფუძნდა ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოება. საზოგადოება დამფუძნებელ 143 კაცს შორის იხსენიება მხოლოდ ერთი აჭარელი - ჯემალ შერიფის ძე ხიმშიაშვილი [ *X* , **1908, N.8: 3-4**].

ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების პირველ თავმჯდომარედ აირჩიეს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი ბ. რომანოვსკი-რომანკო. იგი აღნიშნულ საზოგადოებას 1917 წლამდე ხელმძღვანელობდა. საზოგადოება მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს სისტემაში შედიოდა და მის წინაშე იყო ანგარიშგაღებულ. 1908 წელს ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ გამოსცა თავისი ყოველთვიური ორგანო „ბატუმსკი სელსკი ხაზაინ“. 4 წლის შემდეგ ჟურნალს შეეცვალა სახელწოდება, ეწოდა „რუსსკიე სუბტროპიკი“, რომელიც 1918 წლამდე გამოდიოდა.

საზოგადოების შექმნის მიზანს შეადგენდა საქართველოში, კერძოდ, აჭარაში ჩაის, ციტრუსების, ბამბუკის და სხვა კულტურათა დაჩქარებული განვითარებისათვის საჭირო პირობების შექმნა, წარმოების რაციონალური მოწყობა. ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების, მისი ქვედანაყოფების საქმიანობა მკაცრად რეგლამენტირებული იყო. ყველა მათგანი საკუთარი წესდების ფარგლებში

მოქმედებდა. ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების სტრუქტურას, მიზანს, შემადგენლობას, საქმიანობის მიმართულებას, წევრების უფლება-მოვალეობას, მართვა-გამგეობის ფორმებს წესდება არეგულირებდა.

პირველი წესდება 1908 წელსაა მიღებული, რომლის თანახმად ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოება შედგებოდა საპატიო წევრების, ნამდვილი წევრების, თანამშრომლებისა და კორესპონდენტებისაგან. საზოგადოების ნამდვილ წევრად არჩევის უფლება იმას ჰქონდა, ვინც რუსეთის სახელმწიფო ქვეშევრდომი იყო და ბათუმის ოლქში სოფლის მეურნეობას მისდევდა. საზოგადოებაში შედიოდნენ აგრეთვე იურიდიული წევრები (დაწესებულებები, ამხანაგობები).

საზოგადოების მართვა-გამგეობის ფორმებს შეადგენდა საერთო კრება, საბჭო, გამგეობა და სარევიზიო კომისია. საერთო კრება საზოგადოების უმაღლეს ორგანოდ ითვლებოდა, რომელსაც წელიწადში ერთხელ იწვევდნენ. იგი იხილავდა და სწვევტდა მთავარ საკითხებს, კერძოდ, წესდებაში ცვლილებების შეტანას, საზოგადოების ახალი განყოფილების გახსნა-დახურვას, უძრავი ქონების შექმნა-გასხვისებას, ხელმძღვანელი ორგანოების არჩევას. საზოგადოების მიმდინარე ორგანიზაციულ საქმიანობას საბჭო და გამგეობა განაგებდა. საბჭო სამი წლით ირჩეოდა ფარული კენჭისყრით [ **1912: 7, 10-17**].

საზოგადოებაში მოახალშენე მეწარმეებთან ერთად სოფლის მეურნეობის კვალიფიციური სპეციალისტებიც გაერთიანდნენ. ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების საქმიანობაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს მაღალი კლასის აგრონომებმა ს. ანისიმოვმა, ა. ვასილევსკიმ, ფ. პენკოვმა, გ. გამხარაშვილმა, ნ. ნორკინმა, ნ. უპენკოვმა, ი. ჩხაიძემ, ფ. უშაკოვმა, გამოჩენილმა მეცნიერებმა ნ. კრასნოვმა, ე. პავლოვმა, ა. ვოევკოვმა, ი. პალიბინმა. მიწათმოქმედების დეპარტამენტისა და საუფლისწულო უწყების ინსპექტორებმა ნ. ტიმოფეევმა და ი. კლინგენმა. სპეციალისტთა ეს ჯგუფი დიდ ინტელექტუალური ძალა იყო და საკმაო გამოცდილებაც ჰქონდა. მაგალითად, ფ. პენკოვი იყო პირველი კლასის აგრონომი, დამთავრებული ჰქონდა სოფლის მეურნეობის აკადემია, დიდი გამოცდილება გააჩნდა: კურსკის, ბაქოს, სარატოვის გუბერნიებში დიდხანს მუშაობდა აგრონომად. იგი ჯერ სმეკალოვკის სოფლის მეურნეობის საზოგადოების თავმჯდომარე, შემდეგ კი ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე (ამხანაგი) იყო.

ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოება მოკლე დროში ავტორიტეტული გაერთიანება გახდა. 1915 წლის დასაწყისში იგი 216 კაცს აერთიანებდა და მასში შესვლის მსურველთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდებოდა. 1909-1911 წლებში, მაგალითად, საზოგადოებას 53 ახალი წევრი შეემატა. საპატიო თავმჯდომარის თანამდებობა

კვლავ ეკავა კავკასიის მეფისნაცვალს ვორონცოვ-დაშკოვს. საგულისხმოა, რომ ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების საპატიო წევრი იყო სენატორი ე. ბატიცი. საზოგადოების წევრად 13 ქართველი ირიცხებოდა. საზოგადოების წევრთა უმრავლესობა რუსები იყვნენ. სომხები და ბერძნებიც აქტიურობდნენ. აღსანიშნავია, რომ 1911 წელს ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების შემადგენლობაში 10 სომეხი შედიოდა. აჭარიდან საზოგადოების საქმიანობაში მონაწილეობდნენ რეჯებ ნიჟარაძე, ფ. აბაშიძე, დ. ქიქავა, შ. ჯიჯავაძე, ჯ. ხიმშიაშვილი. ეს იყო და ეს. აჭარლების აბსოლუტური უმრავლესობა სოფლის მეურნეობის ძველებური წესებითა და არქაული შრომის იარაღებით ეწეოდა. მათ მხარი ვერ აუბეს კაპიტალისტურ მეწარმეობას.

აჭარისადმი რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების ინტერესი ძლიერდებოდა. ამიტომ რუსეთის მთავრობის მაღალი ჩინის მოხელეები, თვალსაჩინო მეცნიერები სისტემატურად ჩამოდიოდნენ ბათუმის ოლქში. ეცნობოდნენ მეურნეობის ახალ დარგებს, იძლეოდნენ რჩევადარიკებებს. მაგალითად, 1911 წელს ბათუმში ჩამოსულა პროფესორი ა. ვოევოკოვი, 1913 წელს - პროფესორი ი. პავლოვი. ისინი მონაწილეობდნენ ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების საბჭოს სხდომის მუშაობაში. 1912 წელს აჭარას ეწვია მიწათმოქმედების დეპარტამენტის დირექტორი დ. სლობოდჩიკოვი, რომელიც ასევე დიდი ინტერესით გაეცნო ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების განვითარების მდგომარეობას.

ასეთი დაინტერესება როგორც რუსეთის მთავრობისა, ისე უცხოელი მეწარმეების, სოფლის მეურნეობის პრაქტიკოსი სპეციალისტების, მეცნიერებისა იმით იყო გამოწვეული, რომ ბათუმის ოლქი რუსეთის იმპერიაში ჩაის, ციტრუსებისა და სხვა სამხრეთული კულტურების განვითარების მთავარი ბაზა გახდა. ამასთან, ისახებოდა ახალი პერსპექტივები დასავლეთ საქართველოში აღნიშნული კულტურების ფართო მასშტაბით განვითარებისათვის. ამ ამოცანის გადაწყვეტაში მთავარ როლს ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოებას აკისრებდნენ.

საზოგადოებას თავის გარშემო უნდა შემოეკრიბა ინტელექტუალური ძალები: მეცნიერები, პრაქტიკოსი აგრონომები, აგრეთვე ბიზნესმენები, რათა საერთო ძალისხმევით ფართო ასპარეზი მომზადებულიყო სამხრეთული კულტურების (ჩაის, ციტრუსების, ბამბუკის და სხვ.) განვითარებისათვის. საზოგადოების საქმიანობაში მთავარი იყო სოფლის მეურნეობის შესახებ მეცნიერული ცოდნის პროპაგანდა, ახალი კულტურების გაშენების, მოვლა-პატრონობის, სამრეწველო გადამუშავების წესების პრაქტიკაში დანერგვა.

მართალია, საზოგადოების მთავარი საზრუნავი სუბტროპიკული კულტურები იყო, მაგრამ იგი, ამასთან ერთად ოლქის სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარებითაც იყო დაინტერესებული. ამიტომ 1909 წელს საზოგადოებასთან 14 სექცია შეიქმნა, ხოლო მათი რაციონალური გაძღოლის მიზნით ცალკე ჩამოყალიბდა სასოფლო-სამეურნეო იარაღების, მცენარეთა მანებლებთან ბრძოლისა და სასუქების, მეურნეობათა მიმოხილვის, გამოფენის მოწყობისა და პროპაგანდის, საადგილმამულო ურთიერთობის, იურიდიული, ეკონომიკური, საკურორტო, საკომისიო სექცია [ , 1912: 29].

თითოეულ სექციას მუშაობის საკუთარი პროგრამა ჰქონდა, რომელსაც საზოგადოების საერთო კრება ამტკიცებდა. მაგალითად, ძვირფასი სამრეწველო მცენარეების სექციის პროგრამა ითვალისწინებდა ამ კულტურების განვითარებისათვის მსოფლიო პრაქტიკის შესწავლას, მოწინავე გამოცდილების გადმოღებას და ადგილობრივ პირობებში დანერგვას, ახალი ჯიშების გამოფენას, გამოყვანას და მასობრივად გავრცელებას. სექცია აგრეთვე ზრუნავდა აღნიშნულ კულტურათა მოსავლის სამრეწველო გადამუშავების პროგრესული წრეებისა და მეთოდების პრაქტიკაში დანერგვისათვის და სხვ. [ , 1909: N.5: 33].

გამოცდილებამ ცხადყო, რომ ბათუმის ოლქში და მთლიანად დასავლეთ საქართველოში სუბტროპიკული კულტურებიდან ყველაზე უფრო პერსპექტიულია ჩაი და ციტრუსები. ამიტომ 1911 წელს ცალკე ჩამოყალიბეს ჩაისა და ციტრუსების სექცია და მისი საქმიანობის პროგრამა დაამტკიცეს [ , 1911: N.8: 366]. საზოგადოებასთან შეიქმნა სასაწყობო და სანერგე მეურნეობა, სასოფლო-სამეურნეო მუზეუმი და კლუბი, მეტეოროლოგიური სადგურები, ბიბლიოთეკა, ცნობათა ბიურო, ადგილობრივი განყოფილებები, საკრედიტო ამხანაგობა, ბოტანიკური ბაღი და სხვ. ყველა ამ ქვედანაყოფის მუშაობა მიმდინარეობდა სპეციალური პროგრამებისა და ინსტრუქციების მიხედვით, რომლებიც საერთო კრების მიერ იყო დაამტკიცებული, საბჭოს წევრები პერსონალურად პასუხისმგებელი იყვნენ მათ მუშაობაზე.

ადგილობრივი განყოფილებებს დიდი უფლებები ენიჭებოდათ. მათ თავიანთი მოქმედების რეგიონში უნდა უზრუნველყოთ საზოგადოების მიერ დასახული პროგრამის განხორციელება. უწინარესად ადგილობრივი განყოფილებების მოვალეობა იყო მოსახლეობაში ცოდნის შეტანა და პრაქტიკული დახმარების გაწევა [ , 1914: 3-14]. საზოგადოების ადგილობრივი განყოფილებების გახსნა მხოლოდ ართვინსა და არტანუჯში მოხერხდა (1914 წელს).

ადგილობრივი კლიმატური პირობების შესწავლა ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო. 90-იანი წლების ბოლოს ჩაქვის ხეობაში სამი მეტეოროლოგიური სადგური მოეწყო (ჩაქვში, ხალასა



და სახალვაშოში). 1912-1914 წლებში საზოგადოების მიერ ახალი მეტეოროლოგიური სადგურები გაიხსნა სარფში მწვანე კონცხზე, ქობულეთსა და ქედაში. ამის შემდეგ ადგილობრივი კლიმატური პირობების შესწავლა უფრო ინტენსიურად დაიწყო. საზოგადოებასთან საკრედიტო ამხანაგობაც ჩამოყალიბდა, რომელსაც სახელმწიფო ბანკი აფინანსებდა. კრედიტებს ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოება აძლევდა თბილისის თავადაზნაურთა საადგილმამულო ბანკიც. ყველა ეს კაპიტალი ჩადებული იყო მხარის კოლონიური ათვისებისათვის.

საზოგადოების საქმიანობაში პრიორიტეტული ადგილი დაიკავა სუბტროპიკული კულტურების შესახებ მეცნიერული ცოდნის პროპაგანდას. საზოგადოების ჟურნალი („ბატუმსკი სელსკი ხოზიანი“, 1912 წლიდან „რუსსკიე-სუბტროპიკი“) მრავალმხრივ საინტერესო მასალებს ბეჭდავდა სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული გადაამაშუშავებელი მრეწველობის, საადგილმამულო ურთიერთობისა და სხვათა შესახებ. წერილების მეტი ნაწილი ჩაის კულტურას, ციტრუსებს, ბამბუკს, ზეთისხილს ეხებოდა.

მნიშვნელოვანი სამეცნიერო-საგანმანათლებლო მუშაობა გაიშალა ბათუმის ბოტანიკურ ბაღში, რომელიც 1912 წელს დაარსდა. ამ დროისათვის მსოფლიოში ტენიანი სუბტროპიკული კულტურების ხუთი ბაღი არსებობდა (ცვილონზე, სინგაპურში, იავაზე, კალკუტაში, ჰიმალაიში). ბათუმის ბოტანიკური ბაღი განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო. იგი მსოფლიოს ყველა კონტინენტის მცენარეულობას მოიცავდა. ბაღის დაარსების ინიციატივა ეკუთვნის თვალსაჩინო მეცნიერს ანდრეი ნიკოლოზის ძე კრასნოვს. მისთვის აჭარა მეორე სამშობლო გახდა, ხოლო ბოტანიკური ბაღი სამუდამო განსასვენებელი. ა. კრასნოვი დიდად განსწავლული მეცნიერი, მრავალი წამოწეების ინიციატორი და ორგანიზატორი იყო.

1909 წელს მან პეტერბურგში მიწათმოქმედებისა და მიწათმოწყობის უწყების წინაშე დააყენა საკითხი და სათანადოდ არგუმენტირებული პროექტიც წარადგინა აჭარაში ბოტანიკური ბაღის დაარსების შესახებ. მისი აზრით ეს ბაღი იქნებოდა არა მარტო რუსეთის იმპერიაში, არამედ მთელ ევროპაში ტენიანი სუბტროპიკული კულტურების პირველი სამეცნიერო-საცდელი და საგანმანათლებლო-საჩვენებელი დაწესებულება. ბოტანიკური ბაღის დაარსებით დაინტერესებული იყო ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოებაც. ეს საკითხი აღნიშნულ საზოგადოებაში 1911 წლის ნოემბერში, 1912 წლის თებერვალში განიხილეს და პრაქტიკული მოქმედების გეგმაც შეადგინეს [ , 1913: N.9: 1-2].

ა. კრასნოვი გატაცებით სწავლობდა სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების, ამერიკის, ამიერკავკასიისა და სამხ-

რეთ რუსეთის მცენარეულობას. არაერთხელ ეწვია ჩინეთს, ინდოეთს, იაპონიას, ცვილონს, იავას და საყურადღებო მასალები შეაგროვა. ა. კრასნოვი მონაწილეობდა საუფლისწულო უწყების მიერ 1895 წელს მოწეობილ ექსპედიციაში. ცხადია, მის რეკომენდაციებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების განვითარებისათვის. ბოტანიკური ბაღის დაარსებით დაინტერესებული იყო ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოებაც.

1911 წელს ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ თავისი რწმუნებული ი. ვერუ პეტერბურგში მიაგვლინა ბოტანიკური ბაღისა და საცდელი სადგური დაარსების თაობაზე. ი. ვერუ ხარკოვში ა. კრასნოვს შეხვდა, მისგან რჩევა-დარიგებები მიიღო, შემდეგ კი პეტერბურგს ეწვია. რუსეთის მთავრობა დაინტერესებულ გამოემხურა აჭარაში ბოტანიკური ბაღის შექმნის წინადადებას. მთავრობის დადგენილებით ბაღის დაარსებისათვის სპეციალური კომისია შეიქმნა, რომელშიც შევიდნენ პროფესორი ა. კრასნოვი, თბილისის ბოტანიკური ბაღის დირექტორი ა. როლოვი, მიწათმოქმედების დეპარტამენტის წარმომადგენელი აგრონომი ს. ტიმოფევი, ამავე უწყების საცდელი დაწესებულებების უფროსი გ. ვიტმერი [ , 1911: N.11: 394].

იმავე წლის ნოემბერში მიწათმოქმედების დეპარტამენტმა ბათუმში სპეციალური თათბირი გამართა, სადაც კიდევ ერთხელ დადასტურდა ბოტანიკური ბაღის, საცდელ სადგურისა და პონტოს ფლორის განყოფილების დაარსების აუცილებლობა. ბაღისათვის საჭირო მიწის ნაკვეთიც შეარჩიეს ზღვის სანაპიროზე ჩაქვსა და მახინჯაურს სორის. აღნიშნული მიწის ნაკვეთი საუფლისწულო უწყებას ეკუთვნოდა. ნიკოლოზ მეორის 1912 წლის 24 ოქტომბრის ბრძანებით ჩაქვის საუფლისწულო მამულის 65 დესეტინა მიწა ბათუმის ბოტანიკური ბაღის მოწყობისათვის სახელმწიფო ხაზინას გადაეცა. სამაგიეროდ, საუფლისწულო უწყება სახელმწიფო ხაზინისაგან მიიღებდა შესაბამის მიწის ნაკვეთს ბათუმის ოლქში თუ რუსეთის, ანდა 100 ათას მანეთს [ , 1912: N.10: 604].

ბათუმის ბოტანიკური ბაღის პირველი დირექტორი ა. კრასნოვი იყო, რომელიც ამ თანამდებობაზე სიკვდილამდე (1914 წლის 19 დეკემბერი) მუშაობდა. იგი ამავე დროს ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობასაც ასრულებდა. 1915 წლიდან ბოტანიკური ბაღის დირექტორად ასევე თვალსაჩინო მეცნიერი ი. პალიბინი დაინიშნა. იგი 1917-1920 წლებში ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოებასაც თავმჯდომარეობდა. ბათუმის ბოტანიკური ბაღის ორგანიზაციაში პროფესორ ა. კრასნოვის როლი, მიუხედავად იმისა, რომ ის მცირე ხანს იყო დირექტორი, ძალზე დიდა. მან განსაზღვრა ბაღის ამოცანები, ჩამოაყალიბა მისი სტრუქ-

ტურა, სწორი მიმართულება მისცა მეცნიერულ კვლევა-ძიებას და პრაქტიკულ საქმიანობას.

თავდაპირველად ბათუმის ბოტანიკური ბაღის კოლექტივი 11 კაცისაგან შედგებოდა (დირექტორი, მეცნიერი, 3 პრაქტიკოსი მეზღვე, 6 მუღმივი მუშა [ , 1912: N.7: 399]. ა. კრასნოვმა 1913 წელს ბათუმის ბოტანიკურ ბაღში მეზღვე-სპეციალისტის თანამდებობაზე მიიწვია იასონ გორდუხიანი, რომელსაც საფრანგეთში ჰქონდა მიღებული უმაღლესი აგრონომიული განათლება და ევროპის ქვეყნებში მუშაობის მნიშვნელოვანი დამსახურება აქვს ბათუმის ზღვისპირა პარკისა და ბოტანიკური ბაღის განვითარებაში. დიდი მასშტაბის ფიზიკურ სამუშაოს დაქირავებული მუშახელი ასრულებდა. მიწათმოქმედების დეპარტამენტის გადაწყვეტილებით ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების საბჭო პარალელურად ბოტანიკური ბაღის სამეცნიერო საბჭოს ფუნქციას ასრულებდა.

ა. კრასნოვის განსაზღვრით, ბათუმის ბოტანიკური ბაღის წინაშე ორი მთავარი ამოცანა იდგა: პირველი, წმინდა მეცნიერული, მეორე პრაქტიკული. მეცნიერული ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთის საზოგადოებისათვის გაეცნო ტენიანი სუბტროპიკული ქვეყნების მცენარეულობა, მათი ნათესაური კავშირი აჭარის ზღვისპირეთის კლიმატთან. პრაქტიკული ამოცანა უფრო მნიშვნელოვანი იყო, რადგან იგი ითვალისწინებდა ადგილზე სუბტროპიკული კულტურების ახალი ჯიშების გაზრდას, მათი განვითარებისათვის საჭირო პირობების შექმნას [ , 1912: N.7: 399].

ამ ამოცანების გადაწყვეტისათვის ბოტანიკური ბაღი მიზანმიმართულ და საინტერესო მუშაობას ეწეოდა. აქ უკვე 1913 წლისათვის სუბტროპიკული ქვეყნების მცენარეულობის ექვსი განყოფილება ფუნქციონირებდა: ამერიკის, აზიის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, ჩილესა და ტროპიკული მთიანეთის. თითოეულ მათგანს სამეცნიერო-დეკორაციული და სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები ეჭირათ [ , 1914: N.6: 9]. მომდევნო წლებში ორი ახალი განყოფილება დაემატა: სამრეთ ევროპის (ხმელთაშუა და შავი ზღვის სანაპირო ქვეყნების) და ჩინურ-ამერიკული მცენარეულობისა. ამ რვა განყოფილებას 1921 წელს 30 დესეტინა ეკავა [სუისცა, ფ.1915, ან.1, ს.1269, ფ.18] ბაღთან მოეწყო ბოტანიკური კაბინეტი, ბიბლიოთეკა, მუზეუმი, მეტეოროლოგიური სადგური.

ბოტანიკური ბაღი სახელმწიფო დაწესებულება იყო და, ცხადია, სახელმწიფო ხაზინა აფინანსებდა. 1912 წელს სახელმწიფომ ბაღის მოწყობისათვის 50 ათასი მანეთი, 1913 წელს 25 ათასი, ხოლო 1914 წელს 40 246 მანეთი გამოყო [ , 1912: N.7: 339; , 1913: N.4: 47; , 1914: N.2: 52-53]. მსოფლიო ომთან დაკავშირებული სიძნელეების გამო 1916 წელს ბოტანიკური ბაღის ბიუჯეტი 19 700 მანეთამდე შემცირდა

(17 200 მანეთი მიწათმოქმედების დეპარტამენტმა, ხოლო, 2500 მანეთი ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ გამოყო) [ , 1917: 4; , 1917: 27-30], იგი მინიმალურადაც არ კმაროდა ბაღის წინაშე დასახული ამოცანების შესრულებისათვის. მიუხედავად ამისა, ბოტანიკური ბაღის კოლექტივი ნაყოფიერ მუშაობას განაგრძობდა.

მოკლე დროში ბათუმის ბოტანიკურმა ბაღმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა, რუსეთსა და მსოფლიოში მას მრავალი თაყვანისმცემელი და ქველმოქმედიც გამოუჩნდა. 1912 წელს ბაღმა სანუქრად მიიღო მრავალნაირი სუბტროპიკული მცენარეების თესლი და ნერგი. ისინი გამოავზავნეს ჰიმალაიდან, სამხრეთ ევროპიდან, ამერიკიდან, იაპონიიდან, სოხუმის საცდელი სადგურიდან, ბათუმის საქალაქო ბაღიდან, ბათუმის ოლქის კერძო მეწარმეებმაც. მაგალითად ჰიმალაიდან და სამხრეთ ევროპიდან 75 სახის მცენარის თესლი, ხოლო იაპონიიდან სუბტროპიკული კულტურების 300-მდე ნერგი მიიღო [ , 1913: N.2: 52-53]. ბაღის საცდელ ნაკვეთებზე საინტერესო ექსპერიმენტები ტარდებოდა ტენიანი სუბტროპიკული მცენარეების გამოზრდისათვის. 1915 წელს თესლი გამოცდის სადგური და მცენარეთა მანებლების წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური კომისია შეიქმნა. იმავე წელს საცდელ სადგურში 17 სახის თესლი შეამოწმეს და ადრესატს გაეგზავნა. 1916 წელს სამკურნალო მცენარეთა სანერგე მოეწყო. წლის ბოლოსათვის აქ 30 სახის 2500 სამკურნალო მცენარე ხარობდა. სანერგესთან ლაბორატორიაც გაიხსნა, სადაც ეთეროვანი ზეთების თვისობრივ შემადგენლობას სწავლობდნენ [ , 1917: 4; , 1917: 27-30].

სამეცნიერო მუშაობის ცენტრი ბოტანიკის კაბინეტი იყო. მუზეუმის მუშაობაც ამ კაბინეტს უკავშირდებოდა. მუზეუმში კოლხეთში ადრეულ ხანაში გავრცელებული სუბტროპიკული მცენარეულობის ნიმუშებს აგროვებდა. დაიწყო ადგილობრივი ხილის კოლექციების შექმნაც. ბოტანიკის კაბინეტის მეშვეობით საინტერესო დაკვირვებები მიმდინარეობდა მცენარეთა მორფოლოგიაზე, სწავლობდნენ როგორც სუბტროპიკული ქვეყნების კულტურულ, ისე შავი ზღვის სანაპიროს ველურ მცენარეულობას.

ომთან დაკავშირებული სიძნელეების მიუხედავად, მსოფლიოს შესაბამის დაწესებულებებთან ურთიერთობა არ გაუწყვეტიათ. ბაღმა ცოცხალ მცენარეთა კოლექციები და თესლები მიიღო ლონდონის სამეფო ბაღიდან, ვაშინგტონის გამოყენებითი ბოტანიკის ბიუროდან, პეტერბურგისა და თბილისის ბოტანიკური ბაღებიდან, სოხუმის ბაღისა და სასოფლო-სამეურნეო საცდელი სადგურიდან, დასავლეთ ამერიკიდან, პარიზიდან, როსტოვიდან და სხვ. იყო გამოგზავნილი [ , 1914: N.6: 46-47].

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ტექნიკურ კომისიას, რამდენადაც სუბტროპიკული კულტურების, კერძოდ, ციტრუსების დაავადებამ ბათუმის ოლქში მასობრივი ხასიათი მიიღო. 1915 წელს ბათუმის ოლქში ციტრუსოვანი კულტურების 900-მდე ბაღი აღირიცხა, სადაც 300 ათასი ნარგავი ითვლებოდა. ცხადია, სოკოვანი დაავადებით გამოწვეული ზარალი უდიდესი იქნებოდა, ამიტომ ციტრუსების ნარგავთა მკურნალობას საგანგებო ყურადღება დაეთმო.

მართალია, ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოებასთან ფუნქციონირებდა მცენარეთა მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის კომისია, მაგრამ მისი მუშაობა ეფექტიანი არ გამოდგა. აღნიშნული კომისიაც კი, რომელშიც ოლქის საერო ბოტანიკური ბაღის დირექტორი, ჩაქვის საუფლისწულო მამულის მმართველი, ავტორიტეტული სპეციალისტები და მეწარმეები შედიოდნენ, უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ. ისინი მოითხოვდნენ ამ დარგში მომუშავე ყველა ორგანიზაციის გაერთიანებას. ცხადია, ბათუმის ბოტანიკური ბაღის კომისიას დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანა დაეკისრა. ცხადია, ტექნიკური კომისია ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა. 1915 წელს ორი ათკაციანი ჯგუფი ჩამოყალიბდა, რომლებმაც ციტრუსოვანთა ბაღების მკურნალობისათვის 289 დღე იმუშავეს (მკურნალობა სულ 19 ბაღში ჩატარეს). 1916 წელს ასეთი სახის სამუშაოები 107 ბაღში მოეწყო, რისთვისაც საზოგადოებამ 2675 მანეთი გაიღო [ , 1917: N.5, 7, 14-15; , 1917: 15].

ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების საწყობი 1911 წელს მოეწყო. მას უნდა უზრუნველყო ბათუმის ოლქისა და ქუთაისის გუბერნიის სოფლის მეურნეობის სასოფლო-სამეურნეო იარაღებითა და ინვენტარით, მინერალური სასუქებით, ნარგავებით, ნერგითა და სხვ. იგი აქაური მხარის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციასაც გაასაღებდა [ , 1914: N.6: 46-47].

საზოგადოების სასაწყობო მეურნეობა გაწეული მუშაობის შედეგად ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქვედანაყოფად გადაიქცა. საგრძნობლად გაიზარდა მისი საბრუნავი კაპიტალი და მომსახურების სფერო. მაგალითად, 1912 წელს საწყობის საბრუნავი კაპიტალი ათასი მანეთი იყო, 1914 წლის ივლისისათვის თითქმის 9-ჯერ და მეტად გაიზარდა და 9035 მანეთი შეადგინა.

როგორც სხვა დანაყოფებს, ასევე საწყობს კურირებდა ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების საბჭოს ერთ-ერთი წევრი. საწყობს საჭირო საქონელი მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან შემოჰქონდა. 1915 წელს საწყობის მეშვეობით 34 500 მანეთის, ხოლო 1916 წელს 51 700 მანეთის საქონელი გაიყიდა.

საქონლის ასორტიმენტი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. კერძოდ, მომხმარებელს მიეწოდა სასოფლო-სამეურნეო იარაღები, მცენა-

რეთა მავნებლებთან ბრძოლის ქიმიური საშუალებები, ხელსაწყო-პრეპარატები, სანერგე-მეურნეობის მოწყობილობანი, მცენარეთა ნერგები და თესვები, სასოფლო-სამეურნეო-ლიტერატურა, ადგილობრივი წარმოების ჩაი, ციტრუსები, ბამბუკი, ხილი და სხვ. საწყოები აღნიშნული პროდუქციით არა მარტო ბათუმის ოლქს, არამედ ამიერკავკასიას, შავიზღვისპირეთის გუბერნიას, ყირიმსა და სხვა მხარეებს ამარაგებდა საწყოებთან გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო მანქანების გასაქირავებელი პუნქტი, ართვინში დაარსდა აღნიშნული საწყოების ფილიალი [ , 1912: N.1: 54; , 1913: N.4: 69; , 1914: N.7-8: 61; , 1917: 25-26].

ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ 1912 წელს სოფელ ახალშენში (ბათუმის შემოგარენი) საკუთარი სანერგე მოაწყო, რომელსაც თავდაპირველად ოთხი სანერგე ეკავა, რომელიც მიწათმოქმედების დეპარტამენტმა ამ მიზნისათვის სპეციალურად სახაზინო მიწის ფონდიდან გამოყო. 1914 წელს დამატებით შეარჩიეს მიწის ახალი ნაკვეთები და მისი ფართობი 7 დესეტინამდე გაიზარდა. სანერგეს მნიშვნელობას ისიც მოწმობს, რომ მისი საშტატო განრიგი 7 კაცს ითვლიდა [სცსსა, ფ.243, ან. 7. ს.878, ფურც. 5-7]. სანერგეში სეზონურად სამუშაოდ დროებით მუშებსაც იწვევდნენ. სანერგეს შემოსავალი გასავალს ვერ ფარავდა. მაგალითად, 1917 წელს შემოსავალი 10 132 მანეთს, ხოლო გასავალი 14 812 მანეთს შეადგენდა, მაგრამ მთავრობისათვის ეს არაფერს ნიშნავდა. მთავარი ამოცანა იყო ფართო ასპარეზი გახსნოდა ახალ კულტურებს. ამიტომ მიწათმოქმედების დეპარტამენტი სანერგეს ყოველწლიურად 4680 მანეთს აძლევდა.

სანერგეში სამხრეთული მცენარეების, ძირითადად კი სუბტროპიკული კულტურების ნერგები გამოჰყავდათ. ამ ნერგებით ბათუმის ოლქთან ერთად მთელ დასავლეთ საქართველოს ამარაგებდნენ. 1917 წელს, მაგალითად, სანერგეში გამოჰყავდათ ფორთოხლის 12 ჯიშის, ლიმონის 7 მანდარინის სამი ჯიშის ნერგები. აქ გამოჰყავდათ აგრეთვე დაფნის, ეკალიპტის, ყვავილების, ხეხილის, ახალი ჯიშების ნერგები. ძირითადად იაპონური ჯიშის მანდარინის გამოყვანას მოჰკიდეს ხელი. 1915 წელს საზოგადოების სანერგემ ბათუმის ოლქისა და ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობას 30 ათასამდე ძირი ნერგი მიაწოდა. უმეტესად მანდარინ უნშიუს ნერგები (26 705). 1916 წელს თითქმის ორნახევარჯერ მეტი 75 284 ნერგი გაიყიდა. მათ შორის მანდარინი უნშიუ 71 939 [ , 1917: 14-15].

განზრახული იყო ხეხილის სანერგე ზემო აჭარაშიც შექმნილიყო. ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ ამაზე 1912 წლის 29 იანვრის სხდომაზე იმსჯელა. საამისოდ ხულოში 1,5 დესეტინა მიწის ნაკვეთიც შეარჩიეს, რომელიც ჯ. ხიმშიაშვილმა საზოგადოებას საჩუქრად გადასცა [ C, 1912: N.1: 97], მაგრამ ეს წამოწყება ბოლომდე ვეღარ მივიდა.

1915 წელს ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოებას გადაეცა და უშუალოდ ბოტანიკურ ბაღს დაექვემდებარა ართვინის ზეთისხილის სანერგე. აღნიშნული სანერგე 1899 წელს მოეწყო მდინარე ჭოროხის მარცხენა ნაპირზე, სოფელ ლომაშენში, რომლის ფართობი 2 დესეტიანს შეადგენდა. სანერგეს დაარსების ინიციატორად გამოვიდა მიწათმოქმედების დეპარტამენტის განყოფილების უფროსი მასალსკი. 1896 წელს მან ყირიმსა და საქართველოში იმოგზაურა, რათა აქაურ სოფლის მეურნეობას, კერძოდ, სამხრეთულ კულტურებს გასცნობოდა. მთავრობის ამ მაღალი ჩინის მოხელის დიდი ინტერესი გამოუწვევია ზეთისხილის კულტურას, რომელიც რუსეთის უზარმაზარ იმპერიაში მხოლოდ ართვინში ხარობდა.

ამ მოგზაურობის შემდეგ მასალსკიმ მთავრობაში საკითხი დააყენა ართვინში ზეთისხილის სანერგეს მოწყობის შესახებ. მის ინიციატივას მხარი აუბეს რუსეთის მიწათმოყობისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში და კავკასიის მხარის შესაბამის უწყებაში. სანერგესათვის შეარჩიეს სოფელ ლომაშენში მცხოვრებ ახმედ ბაირახტაროღლის მიწის ნაკვეთი. ახმედი 1881 წელს მუჰაჯირად გადაიხვეწა. მიწის ნაკვეთს მისი და ფატიმა დაეპატრონა. მაგრამ რუსეთის მთავრობამ ფატიმას აღნიშნული მიწის ნაკვეთი ძალით წაართვა და სანერგეს მოწყობას შეუდგა. საამისოდ 1898 წელს სახელმწიფო ხაზინიდან 1800, ხოლო 1899 წელს - 1480 მანეთი გამოიყო.

რუსეთის მთავრობის გეგმით სანერგეს უნდა უზრუნველყო მოსახლეობა ზეთისხილის ნერგებით, რათა ამ ძვირფასი კულტურის განვითარებისათვის ფართო აპარეზი გახსნილიყო. აქ ცდებიც ჩატარდებოდა მსოფლიოში საუკეთესო ზეთისხილის ნერგების ადგილობრივ პირობებში გამოზრდისა და შემდეგ მასობრივად გავრცელებისათვის.

მართალია, ზეთისხილის ნერგების გამოზრდა სანერგეს მთავარი ამოცანა იყო, მაგრამ იქ სხვა მცენარეთა ნერგების გამოყვანაც დაიწყო (ვაშლი, მსხალი, ატამი, ციტრუსები, ლეღვი, ყურძენი, და სხვ). გარდა ადგილობრივებისა, სანერგეში საზღვარგარეთის საუკეთესო ჯიშის ნერგებიც გამოჰყავდათ. მაგალითად, 1912 წელს აქ იზრდებოდა იტალიური ათი და ფრანგული თერთმეტი ჯიშის ზეთისხილის ნერგები. ზეთისხილის ნერგებს კავკასიის სხვა რეგიონებშიც აგზავნიდნენ.

ართვინის ოკრუგის სოფელ ლომაშენში ზეთის სახდელი ქარხანაც დაარსდა. მანქანა-დანადგარები და სხვა მოწყობილობანი საფრანგეთიდან შემოიტანეს. 1911 წლის ცნობით ქარხანა წლიურად 150-200 ფუტამდე ზეთუნის ზეთს აწარმოებდა. აღნიშნულ საწარმოში ხილის კონსერვების წარმოებაც დაიწყო 1913 წელს ქარხნის ახალი შენობა ააგეს და მანქანა-დანადგარებიც განაახლეს. ზეთისხილის გაშენებისა და ნარგავების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების მიზ-

ნით სანერგესთან სპეციალური სკოლაც გაიხსნა, სადაც ადგილობრივი ახალგაზრდები სწავლობდნენ. სკოლასთან საცდელი-საჩვენებელი ნაკვეთებიც მოეწყო.

სანერგეს ემსახურებოდა ერთი გამგე და ორი მუდმივი მუშა. ძირითადი სამუშაოები კი დროებით დაქირავებული მუშების მეშვეობით სრულდებოდა. როგორც სახაზინო დაწესებულება, სანერგეს სახელმწიფო აფინანსებდა. 1901 წელს მისი ხარჯები 1902 მანეთს, 1904 წელს - 2100 მანეთს, ხოლო 1905 წელს - 2400 მანეთს შეადგენდა. დაახლოებით ასე იყო სხვა დროსაც.

მსოფლიო ომის დაწყების შედეგად ლომაშენის ზეთისხილის სანერგე მნიშვნელოვნად დაზარალდა. თურქებმა სანერგე ორჯერ დაარბიეს, გაძარცვეს და გაანადგურეს. მისი გამგე ა. ანდრონაკი მოკლეს (დაწვეს). თურქების განდევნის შემდეგ სანერგე აღადგინეს. მისი გაფართოების ამოცანაც დაისახა. 1917 წელს ბათუმის ბოტანიკური ბაღის ხელმძღვანელობამ კავკასიის ადმინისტრაციის წინაშე დააყენა საკითხი, რათა ლომაშენის ზეთისხილის სანერგე რვა დესეტინამდე გაზრდილიყო, მაგრამ შეცვლილი მდგომარეობის გამო ეს მოთხოვნა განუხორციელებელი დარჩა.

ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოება მებოსტნეობისა და მეცხოველეობის განვითარებისთვის იყო დაინტერესებული. 1913 წელს სალიბაურსა და გონიოს ციხის ტერიტორიაზე (ბათუმის შემოგარენი) სპეციალური საბოსტნე მეურნეობა მოაწყო, რომელსაც 4 დესეტინა ეკავა.

სოფლის მეურნეობის საზოგადოების მეცხოველეობის სექციამ თავის 1912 წლის სხდომაზე იმსჯელა ბათუმის ოლქში რუსეთის მეთხეობის საზოგადოების განყოფილების დაარსების შესახებ. ასეთი განყოფილება მართლაც შეიქმნა. რუსეთიდან და საზღვარგარეთიდან საუკეთესო ჯიშის თხების გამოწერაც დაიწყო [ , 1912: 93], მაგრამ წამოწყება ვერ განხორციელდა. დღესაც შეიძლება ამ წამოწყების განხორციელება აჭარის მთიანეთში მეთხეობის განვითარებისათვის ყველაზე უფრო გამოსადეგი ბუნებრივი პირობებია.

ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოება ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა უცხოეთის გამოცდილების შესასწავლად. უცხოეთის მიღწევების შესწავლის მიზნით 1915 წელს გაიგზავნა ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების მდივანი აგრონომი ხ. ნორკინი. იგი ეწვია ნეაპოლს, მარსელს, სიცილიას, ნიცას, რომს, ალჟირს, ჩინეთს, იაპონიას. ამ ქვეყნებში ხ. ნორკინმა სამ თვეზე მეტი დაჰყო. იგი გაეცნო სუბტროპიკული კულტურების საერთო მდგომარეობას, მათი გაშენების, მოვლა-პატრონობის, პროდუქციის წარმოების წესებსა და მეთოდებს [ , 1911: N.8: 363]. ასეთი მივლინებები სხვა დროსაც ეწეობოდა.



სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელებისათვის მრავალნაირი ღონისძიებები ტარდებოდა. მათგან აღსანიშნავია გამოფენები, საგამომცემლო საქმიანობა, სასოფლო-სამეურნეო ცოდნის სკოლები და კურსები და სხვა. სოფლის მეურნეობის საზოგადოების ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით 1909 წელს ბათუმში მოეწყო ბაზარი-გამოფენა. ორი წლის შემდეგ 1911 წელს კი ბათუმის ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოფენა თბილისშიც მოეწყო, რომელმაც დამოვალიერებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. საზოგადოებას, საკუთარი ყოველთვიური ჟურნალის გარდა, გამომცემლობაც ჰქონდა, რომელმაც საყურადღებო წიგნები და ბროშურები გამოსცა. რუსეთის, ცენტრალური კავკასიის სამხარეო, იმპერიის სხვა რეგიონების პრესაც დაინტერესებული იყო ბათუმის ოლქში სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების განვითარებით და მათ შესახებ მასალებს სისტემატურად აქვეყნებდა.

საზოგადოების გამომცემლობამ თავისი არსებობის მანძილზე არაერთი წიგნი და ბროშურა გამოსცა. ისინი უშუალოდ ეხება სუბტროპიკული კულტურების ისტორიას, აგროქიმიას, ბიოლოგიას, საზღვარგარეთის გამოცდილებას, საადგილმამულო ურთიერთობას. მათში მიმოხილულია მოახალშენეთა მეურნეობები და სხვა. აღნიშნულ გამომცემლობაში დაისტამბა ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოებების, ბოტანიკური ბაღის, სხვა ქვედანაყოფების წლიური ანგარიშები, წესდებები, ინსტრუქციები და სხვ.

სასოფლო-სამეურნეო ცოდნის პროპაგანდისათვის იყო გამიზნული საზოგადოების კლუბი და მუზეუმი, რომლებიც 1912 წელს გაიხსნა. აქ სისტემატურად ეწყობოდა ლექცია-მოსხენებები, საუბრები, კონსულტაციები. საზოგადოებამ 1914 წელს გახსნა მეზღვე მუშების მოსამზადებლად სპეციალური სკოლა, რომელიც ყოველწლიურად 25 კაცს ამზადებდა. მისი შენახვის ხარჯი 7 ათას 800 მანეთს შეადგენდა [ , 1912: N.1: 28-33; 1913: N.4: 33-43]; 1914: N.2: 52].

საზოგადოების ინიციატივითა და უშუალოდ ხელმძღვანელობით 1912 წელს ბათუმში სოფლის მასწავლებელთა მოკლევადიანი კურსები მოეწყო. იგი 22 ივნისიდან 12 ივლისამდე მიმდინარეობდა. კურსებზე ბათუმის, ართვინის, ოკრუგებისა და ოზურგეთის მაზრიდან მოწვეული იყო 40 მასწავლებელი. აღნიშნული ღონისძიების მიზანს შეადგენდა მოსახლეობაში სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელება. კურსებზე ლექციები წაიკითხეს მემინდვრეობის, მეაბრუშემეობის, ზეთისხილის, მესაქონლეობის, მეფრინველეობის, მეფუტკრეობის, სატყეო მეურნეობის, ვეტერინარული მომსახურების, ნიადაგმცოდნეობის, მეტეოროლოგიის, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების და სხვათა შესახებ. მსმენელთა წინაშე ლექციებით გამოვიდნენ თვალსაჩინო მეცნიერო პროფესორი ა. კრასნოვი, მიწათმოქმედების განყო-

ფილების სპეციალისტები ლ. რედკო, ა. კლანტარი, ს. ტიმოფევი, გ.ჯაფარიძე, ი. ქუთათელაძე, ნ. სმირნოვი, ა. ვერმიშევი, ა. ანდრონაკი (ართვინის ზეთისხილის სანერგეს გამგე), სოფლის მეურნეობის საზოგადოების წევრები, აგრონომები, ს. ნორნიკი, ი. დიადუშა, ნ. უპენევი, ი. ლიონიძე და სხვები [ , 1912: 6-18].

ეს არ იყო ერთჯერადი ღონისძიება, 1914 წელს მიწათმოქმედების დეპარტამენტმა სოფლის მასწავლებელთა კურსებისათვის 1400 მანეთი გამოყო. სპეციალისტებიც იყო შერჩეული, მაგრამ მსოფლიო ომის შედეგად შექმნილი მდგომარეობის გამო მისი შესრულება ვეღარ შეძლეს.

ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოება 1913 წლიდან მოყოლებული იბრძოდა ჩაის ფაბრიკის აგებისათვის. საგულისხმოა, რომ ჩაის მოსავლის ზრდის შედეგად მოახალშენე მეწარმეები სერიოზული სიმძლავრის წინაშე აღმოჩნდნენ. მართალია, 1912 წელს აჭარაში ჩაის გადასამუშავებელი 6 ფაბრიკა აღირიცხა, მაგრამ ოთხი მათგანი მცირე სიმძლავრის, ფაქტობრივად კუსტარულ საწარმოდ ითვლებოდა. ისინი ვერ აუდიოდნენ ნედლეულის გადამამუშავებას. მთავრობის ორგანოებში საკითხის არაერთხელ დაყენების შედეგად 1913 წელს ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოებას ჩაის ფაბრიკის ასაგებად მიწათმოქმედებისა და სახემწიფო ქონებათა სამინისტრომ 15 ათასი მანეთი, ხოლო 1914 წელს 3 დესეტიანზე მეტი მიწის ფართობიც გამოუყო.

1914 წელს პირველი სამუშაოები ჩატარდა. გაიწმინდა ფაბრიკის ასაგები ტერიტორია, გზებიც გაიყვანეს, ხარჯთაღრიცხვაც შეადგინეს, ინგლისის შესაბამის მანქანათსაშენ ფირმას ჩაის ნედლეულის გადასამუშავებელი მანქანებიც შეუკვეთეს. ხარჯთაღრიცხვის მიხედვით ფაბრიკის აგება 95 390 მანეთი ჯდება. მის სიმძლავრეებს 60 ათასი გირვანქა მზა პროდუქტის დამზადება შეეძლო, მაგრამ მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ სამუშაოები შეჩერდა, თუმცა ჩაის ფაბრიკის აგების საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა.

1916 წელს საზოგადოებამ ბათუმში მოიწვია ინგლისის მანქანათმშენებლობის ფირმის „დევიდსონ ბელფასტის“ წარმომადგენელი ხანინი. იგი საზოგადოების საბჭოს მუშაობაშიც მონაწილეობდა. 1917 წლის 2 იანვარს ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების თავმჯდომარემ და ბოტანიკური ბაღის დირექტორმა ი პალიბინმა ჩაის ფაბრიკის აგების საკითხი დააყენა პეტერბურგში უმაღლესი ხელისუფლების წინაშე. იმავე წლის 25 მაისს ეს საკითხი პეტერბურგის ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში მთავრობის აგრონომმა ა. ვასილევსკიმ აღძრა [სცხსა, ფ. 243 ან 7, ს 878, ფურც.9; , 1917; 1917: 12], მაგრამ ყველა მცდელობა, ცნობილ მიზეზთა გამო განუხორციელებელი დარჩა.

აჭარაში სოფლის მეურნეობის მეორე საზოგადოება 1909 წელს შეიქმნა ქობულეთში. მასში ძირითადად გლეხური მოსახლეობა გაერთიანდა, უმეტესად ფიჭვნარში მცხოვრები მოახალშენე რუსები. იგი ცნობილია სმეკალოვსკის სოფლის მეურნეობის საზოგადოების სახელწოდებით. წლის ბოლოსათვის საზოგადოება 120 წევრს აერთიანებდა. საზოგადოების თავმჯდომარე იყო აგრონომი ნ. უპენეკი. იგი ამავე დროს ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ინსტრუქტორად მუშაობდა. სმეკალოვსკის სოფლის მეურნეობის საზოგადოების საქმიანობაში ქართველებიც აქტიურად მონაწილეობდნენ. ნიშანდობლივია, რომ 1913 წელს საზოგადოების საბჭოს 8 წევრიდან ხუთი ეროვნებით ქართველი იყო [ , 1910; 1911, 71-72].

სმეკალოვსკის სოფლის მეურნეობის საზოგადოების მოქმედების არეალი შეზღუდული იყო. მისი საქმიანობა ვრცელდებოდა ციხისძირიდან დაწყებული ჩოლოქამდე მდებარე ტერიტორიაზე. საზოგადოების შექმნის მიზანი ყოფილა მეხილეობის, მებოსტნეობის, მეაბრეშუმეობის, მეყვავილეობის, მეფრინველეობის, ციტრუსების, ბამბუკისა და ჩაის კულტურების განვითარებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა. ხილის კონსერვებისა და ხმელი ხილის წარმოება, საამისოდ მოსახლეობის მომზადება.

მიწათმოქმედების დეპრტამენტის დაფინანსების წყალობით და ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების დახმარებით სოფელ ფიჭვნარში (სმეკალოვკა) 1910 წელს ხილის სახმობი კუსტარული საწარმო მოაწყეს. საწარმოში 6 მანქანა დაიდგა და 12 კაცი მუშაობდა. აქ იაპონურ ხურმას, ატამს, ვაშლს ახმობდნენ. დასაწყისში ხილის ხმობის ტექნიკურ პროცესებს ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ინსტრუქტორი ნ. უპენეკი ხელმძღვანელობდა **[*ОД-СОСХ, 1911: 246-247*]**. შემდგომში საჭირო სპეციალისტები ადგილზეც მოამზადეს.

ხილის ტექნოლოგიურ გადამუშავებას და კონსერვების დამზადებას საცდელ-საჩვენებელი ხასიათი ჰქონდა. მისი დანიშნულება იყო ამ საქმით მოსახლეობის დაინტერესება. მათ მიერ ტექნოლოგიური პროცესების შესწავლა და შემდგომში მისი მასობრივად გავრცელება. ფიჭვნარის ხილსახმობი საწარმო წამგებიანი ყოფილა. 1913 წელს აღნიშნულმა საწარმომ 8716 გირვანქა ხილი, 547 გირვანქა ბოსტნეული კონსერვებად გადაამუშავა, და ამასთან ერთად 1617 გირვანქა ნედლი ხილი გაახმო. საწარმოს ფულადი შემოსავალი 393 მანეთს, ხოლო გასავალი 520 მანეთს შეადგენდა. როგორც ვხედავთ, გასავალი შემოსავალს 129 მანეთით ჭარბობდა. მაგრამ საზოგადოებისთვის ამას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა. 1914 წელს ხილის სახმობი მანქანები სოფლებში კვირიკესა და წყაროვკაშიც დაიდგა.

საზოგადოებასთან სანერგე მეურნეობა, საწყობი და საცდელ-საჩვენებელი ნაკვეთები მოეწყო. საზოგადოება მოსახლეობას უფასოდ და შეღავათიან ფასებში ემსახურებოდა. 1913 წელს, მაგალითად, მოსახლეობას 2000 ცალი პომიდვრის ნერგი უფასოდ გადაეცა. 1914 წლისათვის საცდელ-საჩვენებელი ნაკვეთები მოწყობილი ყოფილა წყაროკაში, კვირიკეში, ალამბარში, დაგვასა და რომანოვკაში. მართალია, მათ მცირე ფართობი ეკავათ (100-დან-200 კვადრატულ მეტრამდე), მაგრამ ახალი ჯიშის ნერგების გამოსაყვანად ჯერჯერობით საკმარისი იყო. ამ ნაკვეთებზე საინტერესო მუშაობა მიმდინარეობდა – იაპონური ხურმის, ატმის, ციტრუსებისა და სხვა კულტურულ მცენარეთა ნერგები გამოჰყავდათ. საზოგადოება მოსახლეობას ამარაგებდა სასოფლო-სამეურნეო იარაღებით, სასუქებით, მცენარეთა მევენებლებთან ბრძოლის ქიმიური საშუალებებით.

აჭარა, განსაკუთრებით კი მისი ზღვისპირეთი, უცხოელებს იზიდავდა, როგორც საუკეთესო საკურორტო მხარე. უცხოელების მიერ აქ აგარაკების მოწყობა XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო. მოკლე დროში მახინჯაური, მწვანე კონცხი, ციხისძირი, ქობულეთი უცხოელების საკურორტო დასახლებად გადაიქცა. მათი უმრავლესობა გენერლები, ოფიცრები და რუსეთის სახელმწიფოს მაღალი რანგის მოხელეები იყვნენ. მაგალითად, ქობულეთში მოაგარაკეთა შორის 14 გენერალი იყო. ციხისძირში აგარაკი 85, მახინჯაურში – 70, ხოლო მწვანე კონცხზე – 23 უცხოელს ჰქონდა [სცხსა, ფ.13, ან. 10, ს.604, ფურც. 12-48; 4B, 1908] მრავალი მათგანი მხოლოდ დასასვენებლად ჩამოდიოდა.

აგარაკების მოწყობისა და მეურნეობის რაციონალურად გაძღოლის მიზნით მოახალშენებმა ამხანაგობები და საზოგადოებები ჩამოაყალიბეს, მაგალითად, 1907 წელს ციხისძირისა და ქობულეთის, ხოლო 1909 წელს მწვანე კონცხის მოაგარაკეთა საზოგადოებები შეიქმნა. ციხისძირის საზოგადოება 22 მოაგარაკეს, ხოლო მწვანე კონცხისა – 12 კაცს აერთიანებდა [ , 1912: 94-95].

მოაგარაკეთა საზოგადოებანი თავიანთი წესდების ფარგლებში მოქმედებდნენ. მაგალითად, ციხისძირის მოაგარაკეთა საზოგადოების წესდება, რომელიც ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა 1907 წელს დაამტკიცა, ითვალისწინებდა: საკურორტო ადგილებში გზების, ბილიკების, ხიდების, ნავმისადგომების მშენებლობას, აგარაკების მოვლა-პატრონობას, ზღვის სანაპიროს დაცვასა და გამაგრებას, სანიტარიული და კულტურული მომსახურების გაუმჯობესებას, ჭაობების ამოშრობას, სკვერების, ხეივნების, რკინიგზის ბაქნების, საცურაო აუზებისა და სხვათა მოწყობას [ , 1907: 1-2].

მართლაც, ქობულეთის ზღვის სანაპირო, ციხისძირი, მწვანე კონცხი, მახინჯაური და სხვა საკურორტო ადგილები შესანიშნავად

მოეწყო. საზოგადოების შემოსავალი იყო საწევრო შესატანები, შემოწირულობანი აგრეთვე წარმოებიდან მიღებული ფულადი სახსრები. აღნიშნულმა საზოგადოებებმა თავიანთი ამოცანების განხორციელებისათვის მნიშვნელოვანი ღონისძიებანი გაატარეს. ქობულეთის ზღვის სანაპირო, ციხისძირი, მწვანე კონცხი, მახინჯაური და სხვ საკურორტო ადგილები შესანიშნავად მოეწყო. აჭარაში 1916 წელს მოახალშენეთა ახალი სამეწარმეო ამხანაგობა ჩამოყალიბდა. მასში გაერთიანდნენ ნ. ბილუსკი, ვ. ტრიანტაფილიდისი, ნ. საბაევი, ი. მელია, ნ. ვოლკოვი, ი. იაღიუშა. ამ საზოგადოების მიზანს შეადგენდა თავიანთი მეურნეობების განვითარების, საჭირო საგნებით და ნივთებით მომარაგების და პროდუქციის გაღებისათვის ერთობლივი ზრუნვა.

ათუმის ოლქის სოფლის მეურნეობის საზოგადოების საქმიანობის საყოველთაო აღიარება მოხდა პეტერბურგის 1913 წლის გამოფენაზე. რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებით 1913 წლის ნოემბერ-დეკემბერში პეტერბურგში მოეწყო კავკასიის შავიზღვის სანაპიროს სასოფლო-სამეურნეო და კულტურულ-სამრეწველო გამოფენა („რუსსკაია რივიერა“). ამ გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებად ბათუმის ოლქში მუშაობა 1912 წლის დამდეგიდან გაიშალა. შეიქმნა ერთი საოლქო და ორი საოკრუგო კომიტეტი. საოლქო კომიტეტში 16 კაცი გაერთიანდა. სამი მათგანი ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების თანამშრომელი იყო. კომიტეტის თავმჯდომარეები იყვნენ ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების საბჭოს წევრები. თავდაპირველად გენერალი პორაი-პოშიცი, შემდეგ კი აგრონომი ა. ანისიმოვი. გამოფენაზე ბათუმის ოლქი ფართო ჩვენებით იყო წარმოდგენილი. იქ ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ წარადგინა თავისი ორგანო-ჟურნალების „ბატუმსკი სელსკი ხოზიანი“, „რუსსკიე სუბტროპიკის“ 1903-1913 წლების ეგზამპლიარები, მცენარეთა ფოტოსურათები, ჩაისა და ციტრუსების განვითარების მაჩვენებელი დიაგრამები, ცოცხალ მცენარეთა კოლექციები, აჭარელთა სასოფლო-სამეურნეო იარაღები, ბამბუკის ავეჯი, თესვები, ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების პროდუქცია.

სმეკალოვკის (ქობულეთის) სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ გამოფენაზე გაიტანა ხმელი ხილი, ხილისა და ბოსტნეულის კონსერვები, ართვინის ზეთისხილის საერგემ - ზეთისხილის ცოცხალი მცენარე, კონსერვები, ზეთუნის ზეთი, ხილი, ბოტანიკურმა ბაღმა 50-მდე ჯიშის ვეკალიპტის ნერგები, ციხისძირის მოაგარაკეთა საზოგადოებამ - ციხისძირის რაიონის აღწერის მაჩვენებლები.

„რუსსკაია რივიერას“ საგამოფენო კომიტეტმა და ექსპერტთა საბჭომ ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების, ბოტანიკური ბაღის, ართვინის ზეთისხილის სანერგის მიერ გაწეულ მუშაობას მა-

დალი შეფასება მისცა. სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების დარგში გაწეული მუშაობისა და სამაგალითო მიღწევებისათვის ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოება დიდი ოქროს მედლით, ხოლო ბოტანიკური ბაღი და ართვინის ზეთისხილის სანერგე პატარა ოქროს მედლით დააჯილდოვა. დიდი ოქროს მედლით დააჯილდოვეს ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების წევრები, მოახალშენე მეწარმეები. კ. რედკო და ი. დიადუშა, პატარა ოქროს მედლით – ვ. ბარათოვი. აღსანიშნავია, რომ სულ დაწესებული იყო 17 დიდი და 14 პატარა ოქროს მედალი [ , 1914: 53-171; , 1913: 59-67].

აჭარის გასაბჭოების შემდეგ სოფლის მეურნეობის საზოგადოების ლიკვიდაცია მოხდა. მათი საქმიანობა ისტორიის კუთვნილება გახდა. მხოლოდ ბოტანიკური ბაღი გადაურჩა განადგურებას და იგი საბჭოთა ხელისუფლების დროს მნიშვნელოვან სამეცნიერო დაწესებულებად გადაიქცა.

ისტორიის გამოცდილება ამტკიცებს: ნებისმიერ საქმეში, მითუმეტეს სამეწარმეო-ეკონომიკურ სფეროში – ბიზნესში აღმასვლა, მყარი წარმატების მოპოვება მაშინაა შესაძლებელი, როდესაც ერთად მოქმედებს სამი მთავარი ძალა: კერძო ინიციატივა და ენთუზიაზმი, როგორც პრაქტიკული ქმედება. სახელმწიფო ყველა თავისი მექანიზმით და ინტელექტი. ამ უკანასკნელს არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება. მასზეა დამოკიდებული ბიზნესის სამეცნიერო-ტექნიკური, სამეურნეო-ეკონომიკური, სოციოლოგიურ-ფსიქოლოგიური, ესთეტიკური და საპოპულარიზაციო მხარეების უზრუნველყოფა. ამ მხარეების უზრუნველყოფა ყველა წამოწყებას, კერძოდ ბიზნესის ჩაკვდომას გამოიწვევდა. იგი სპეკულაციის მახეში გაებმებოდა, რასაც საბოლოოდ სოციალური აფეთქება მოჰყვებოდა.

ცხადია, ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოება მაშინდელ პირობებში მნიშვნელოვან ინტელექტუალურ ძალას წარმოადგენდა, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ თვალსაჩინო მეცნიერები, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები და მეწარმეები. კოლონიური ინტერესებიდან გამომდინარე, ამ ძალებს ყოველმხრივ მხარს უჭერდა რუსეთის მთავრობა. სწორედ ამ ფაქტორებმა განაპირობეს ბათუმის ოლქში სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების განვითარება, სამეწარმეო საქმიანობის აღმავლობა. თანამედროვე ეტაპზე ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოება ისტორიის კუთვნილებაა, მაგრამ მისი ისტორიის შესწავლა არის ცოდნა და გამოცდილება, რომელიც დიდად წაადგება აღმშენებლობას.

**გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:**

**სცსსა, ფ.243, ან.7, ს.878:** – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი ფონდი (ფ.) 243, ანაწერი (ან.) 7, საქმე (ს.) 878.

**სცსა, ფ.13, ან.10, ს.604:** – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 13, ანაწერი 10, საქმე 604.

**სუიცსა, ფ.1915, ან.1, ს.1269:** – საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1915, ანაწერი 1, საქმე 1269.

- , 1909: – (1909, 1,5,9,11).
- , 1910: – 1908 , I. .-
- , 1910
- , 1912: –
- 1908-1912 . .-
- , 1912: – , 1912
- , 1912: – 1910 . 1912
- , 1914: –
- . , 1914.
- , 1912: – , 1,2,7,10.
- , 1913: – ,, 2,4,6,9,13.
- , 1914: – , 6,7-8,9.
- , 1907: –
- , 1908: – , 21 .
- , 1914: –
- « , .
- , 1913: – - « ».

( , )

○

1908 . . .

1908-1918 .  
 , 1921 ,

## ბათუმის აბრეშვილი თამი XIX საუკუნის გეოგრაფიკული ნახატი\*

რუსეთის იმპერიულ ადმინისტრაციულ პოლიტიკაში ქალაქ ბათუმს განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება. ნიკოლოზ I-ის გარდაცვალების შემდეგ (1855 წ.), რომელიც „ებრაელთა შემვიწროებლად“ იწოდებოდა, იუდეველებს გაუფართოვდათ მათი „განსახლების ზოლი“. მან მოიცვა სამხრეთ კავკასიის რუსეთს ახლახან მიერთებული მიწა-წყალი. დღის წესრიგში იდგა მთელი „სამუსლიმო საქართველოს“ მიერთების საკითხი. 1856 წელს ბათუმში გაიხსნა რუსეთის საკონსულო, რომელმაც 1878 წლის 25 აგვისტომდე იარსება. საკონსულომ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ბათუმის ოლქის და მთლიანად „ლაზისტანის ფაშალიკის“ რუსეთთან შემოერთების საქმეში. ამ საკონსულოს არქივის გამოვლენა ჩვენი ისტორიოგრაფიის საშური საქმეა.

იმდროინდელი თურქეთის, ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის თანახმად ბათუმის ოლქი და მისი „მთავარი ქალაქი“ ბათუმი შედიოდა ტრაპიზონის გუბერნიის, უფრო ზუსტად, „ლაზისტანის ფაშალიკის“ შემადგენლობაში. 1873 წელს, ე.ი. დედა სამშობლოსთან აჭარის და საერთოდ „სამუსლიმო საქართველოს“ შემოერთებამდე 5 წლით ადრე, თბილისში გამოვიდა „საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მოამბის II ტომი [Заметки о Батуме, 1873]. მასში სათაურით „შენიშვნა ბათუმზე“ დაიბეჭდა უსახელო, ანონიმური პუბლიკაცია. რედაქტორის (დ. ი. კოვალევსკის, ავტ.) შენიშვნის თანახმად ეს წერილი „მიღებულია იმ პირთაგან, რომლებიც თავად მონახულებდნენ ბათუმს და ცნობებიც თავად შეაგროვეს“ [Заметки о Батуме, 1873: 110]. ამ დროისთვის სახელმწიფო საზღვარი ორ აგრესიულ იმპერიას შორის საქართველოზე, მათ შორის ადმინისტრაციულ შავიზღვისპირეთის სამხრეთში ქობულეთთან, მდ. ჩოლოქზე გადიოდა. „შენიშვნის“ ავტორისა თუ ავტორების მონაცემების თანახმად ბათუმის ოლქის სიგრძე (თურქეთის მფლობელობის პერიოდში) ზღვის გაყოლებზე 36 ვერსი,

\* ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სახელმწიფო სამეცნიერო ფონდის „უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტის“ პროექტით.



დაახლოებით 38 კმ ყოფილა (1 ვერსი=1,0668 კმ, ავტ.), სიგანე კი 27 ვერსს აღწევდა. დასავლეთიდან ბათუმის ოლქს 18 ვერსის დაშორებით მდ. ჭოროხი ესაზღვრებოდა. „აღმოსავლეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან დაბალი მოგრეხილების რიგი პარალელურად რომ გასდევენ ზღვის სანაპირო ხაზს. ის თანდათანობით შორდება სანაპიროს“.

ჩურუქ სუსთან (ქობულეთი, ავტ.) მდ. ჭოროხი ზღვას ბათუმიდან 13 ვერსის დაშორებით ერთვის. „ინფორმატორი“-ს დაკვირვებით ბათუმის ყურეს როგორც აღმოსავლეთის, ასევე დასავლეთის მხრიდან „ქვიშრობზე“ იმუამად სასიმაგრო ნაგებობების რიგი შენდებოდა, რომელთა „დასრულება“ მეთვალყურის დასკვნით „სამ-ოთხ წელიწადზე ადრე არ იქნებოდა“, ისევე როგორც „ყარსი-ბათუმის დამაკავშირებელი გზის-ო. მზვერავი-ინფორმატორი იძლევა ბათუმის ყურეს ზუსტ დახასიათებას. მისი მონაცემებით ყურე 5 ვერსზეა გადაჭიმული, მისი სიღრმე ნაპირთან 10 საუენია (1 საუენი უდრიდა 1,52 მ), რომელიც მისგან დაშორებთ კიდევ უფრო ღრმავდებოდა. ყურე ჩრდილო აღმოსავლეთი მხრიდან ღია გახლდათ, „თუმცა აქ არ იცის ძლიერი ქარი. ერთადერთი ქარი ჩრდილო-დასავლეთისაა, მაგრამ არაა საშიში იმ გემებისათვის, რომელთაც საიმედო ღუზები და მაგარი ბაგირები გააჩნიათ“ **[Заметки о Батуме, 1873: 109]**.

ლაზისტანის ფაშალიკი იმართებოდა მუთესარიფით ანუ გუბერნატორით, რომელიც „პირდაპირ პორტას ექვემდებარებოდა“, „ხოლო არაპირდაპირ ტრაპეზუნტის გენერალ-გუბერნატორის მიერ“. ის „შედგებოდა 11 ოლქისაგან ანუ კაზასაგან“ **[Заметки о Батуме, 1873: 110]**. ამ უცნობი „მზვერავის“ მიერ შეგროვილი მონაცემებიფთ ბათუმის ოლქში, მის აღნიშნულ მიწა-წყალზე უცხოვრია 8327 სულ ადამიანს, რომელთა შორის 3087 მუსლიმია. დარჩენილი (8327 – 3087 = 5240) მოსახლეობის დიდი ნაწილი „3324 ემიგრანტი ჩერქეზებია“ **[Заметки о Батуме, 1873: 110]**, ასევე მუსლიმები. თუ ამ რიცხვს გამოვაკლებთ მკვიდრი მოსახლეობის რაოდენობას, დარჩება 3087 სული. აქედან 186 მართლმადიდებელი ბერძენი ყოფილა, 93 სომეხი გრიგორიანელი და 11 კათოლიკი სომეხია, ანუ საერთო ჯამში 290 სული. ჩვენი აზრით დანარჩენი რაოდენობა ქართველმა ქრისტიანებმა და იუდეველებმა უნდა გაიყონ. „ცნობა“ შეიცავს ადგილობრივი ეკონომიკის, მისი პოტენციალის ანალიზსაც **[Заметки о Батуме, 1873: 112]**, თუმცა ავტორი აღიარებს, რომ მას უძნელდება სავაჭრო-სასაქონლო დარგების „ზუსტი განსაზღვრება“. მისი სიტყვებით, თავად „წერილ ვაჭრებისგან მიღებული ცნობებით“, შემონატილი უცხოური საქონლის მოხმარება ძალზე შეზღუდული ყოფილა. ვაჭართა დიდი ნაწილი უცხოელებია. მათ შორის ავტორი ასახელებს „სამ რუს ადამიანს ახალციხიდან“, რომლებშიც რუსი ებრაელები უნდა ვიგულისხმეთ. მათ ბათუმში თა-

ვიანთ სავაჭრო დუქნებთან არსებულ პატარა ოთახებში უცხოვრიათ. ნიშანდობლივია „მზვერავის“ დასკვნა, რომ ბათუმის მცხოვრებნი ძალზე მამაცნი არიან. ისინი „ჩვეულებრივ ერთმანეთთან ქართულად საუბრობენ **[Заметки о Батуме, 1873: 112]**, მეტ-ნაკლებად ცუდ თურქულზეც“. იმის წყალობით, რომ გახშირდა და გაიოლდა გემებით ნაოსნობა, „ადგილობრივი წვრილმანი ვაჭრობა კარგ შემოსავალს იძლევა“. აქვე საუბარია ქრისტიანების მძიმე უფლებრივი მდგომარეობის შესახებ **[Заметки о Батуме, 1873: 118]**.

შენიშვნის ავტორი აღნიშნავს: „მდინარე ჭოროხი სანაოსნოა თითქმის მთელი წლის განმავლობაში“ ბრტყელძირა გემებისათვის („судов“), რომლებსაც ის „კაიუკს“ („каюк“) უწოდებს **[Заметки о Батуме, 1873: 114]**. მას მოჰყავს „კაიუკების“ ზომები: სიგრძე 50 ფუნტი (ფუნტი = 30,48 სმ) ყოფილა, სიგანე კი 5 ფუნტამდე. მათ 6-დან 8 ტონამდე ტვირთის გადაზიდვა შეეძლოთ. ართვინიდან მათ ჩამოჰქონდათ აგური, კრამიტი და კირი, მიჰქონდათ მანუფაქტურული ნაწარმი. თუ „კაიუკები“ ართვინში ასვლას სამ-ოთხ დღეს ანდომებდნენ, დაბრუნებას 8-10 საათში ახერხებდნენ. ბათუმთან ვაჭრობაში საქართველოც ყოფილა ჩართული. აქედან შემოდის: „შაქარი, ყავა, პილპილი და სხვა კოლონიალური ნაწარმი, სხვადასხვა ხარისხის სასმელები“. რუსეთის იმპერიაში ბათუმის გადასვლის შემდეგ, 1883 წელს, ბათუმი მონახულა განათლებით სამხედრო ინჟინერმა ოფიცერმა, შემდგომ პეტერბურგის თეატრის მსახიობმა, მწერალმა და მოგზაურმა მ. ვლადიკინმა (1828-1887). მისი დაკვირვებით: „ბათუმის შედარებით მომცრო, მაგრამ ღრმა, სრულყოფილი დახურული ყურე (ბუხტა) სრულად აკმაყოფილებს კომერციულ მოთხოვნებს“. „ამ ნავსადგურში უამრავი გემი ჩამოდგებოდა, რასაც ბათუმის სტატუსი „პორტოფრანკობა“ უწყობდა ხელს. აქ იაფად შეიძლებოდა ზღვისიქეთიდან მოტანილი საქონლის შექენა. მეწვრილმანეებში ბევრი გაიძვერაა, სოლიდური მოვაჭრენი კი ცოტა. ქალაქის მოსახლეობა „სავესებით აზიურია“, მათ შორის ის გამოჰყოფს „ტანწერწეტა გურულებს“, აღწერს მათ ჩაცმულობას, გურული „ყაბალახები“ ჰქონდათ ჩაღმის მაგივრად თავზე შემოკრული, ტანზე ემოსათ ღამაზი, მოქარგული ქურთუკები და ეკეთათ ფართო ქამრები, მასში გარჭობილი იარაღით. მათ შემდეგ ის ასახელებს ქურთებს, თურქებს და „ყველგან მსუფვე (вездесущие) თავხედ და საძაგელ ებრაელებს – გეშეფტიმახერ\* ებრაელებს, რომელთაც უკვე იყნოსეს საშოვარი“ **[Владыкин, 1885: 335]** „და ამ ხმაურიანი ჩონჩქოლით მოძრავი ბრბო მიუთითებს თავისუფალი პორტის სიახლოვეზე“-ო, დასძენს, იმპერიაში პოპულარული სქელტანიანი

\* ეს დამამცირებელი სიტყვა ნაწარმოებია გერმანული „Geschaffemacher“-იდან, რაც ნიშნავს სპეკულიანტს, ჩალიჩას, საქმოსანს ცუდი, უარყოფითი გაგებით, რითაც მოიხსენიებდნენ ხოლმე ებრაელებს ანტისემიტები.

წიგნის „გზამკვლევი და თანამოსაუბრე კავკასიაში მოგზაურთათვის“ ავტორი. მისი სიტყვებით: „კავკასია... მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო მხარეა. აქ ყველაფერი მიმზიდველია: ქვეყანა, ბუნება და ხალხი“. ის დიდხანს ცხოვრობდა შვეიცარიაში, გახლდათ თავისი კუთხის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, რომელსაც ხუთჯერ უმოგზაურია კავკასიაში. მისი დაკვირვებით, ბათუმი, სულ 5 წლის განმავლობაში, თურქული, ბინძური, ნახევრად დანგრეული დაბიდან „სავსებით ევროპული ყაიდის ქალაქად იქცა“ **[Владыкин, 1885: 335]**. ჩვენი მხრიდან დაგუმატებდით, რომ მის აღმავლობაში გარკვეული წვლილი ებრაულმა კაპიტალმაც ითამაშა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა თუ როგორ იზრდება თანდათანობით ებრაული მოსახლეობის რიცხვი XIX ს-ის ბოლო მეოთხედისათვის ქალაქში. თუ ვერწმუნებით სანკტ-პეტერბურგში 1903 წელს გამოცემული „ებრაული ენციკლოპედიის“ ცნობას, 1890 წლისთვის ბათუმში მხოლოდ 31 ებრაული ოჯახია რეგისტრირებული, არაოფიციალური მონაცემებით მათი რიცხვი თურმე ასსაც კი აღწევდა. მათი უმრავლესობა ხელოსნები და გადამდგარი „დაბალი ჩინის“ სამხედრო მოსამსახურეები, ე.ი. რეკრუტები, ჯარისკაცები ყოფილან. 1899 წლისთვის ებრაელი ოჯახების რიცხვს 290-მდე მიუღწევია, რაც ქალაქის სამრეწველო პოტენციალის ზრდით გახლდათ გამოწვეული. ამავე ენციკლოპედიის თანახმად **[Еврейская Энциклопедия, 1991: 892]**, ებრაული თემი ბათუმში, მისი რუსეთის გამგებლობაში შესვლიდან სულ მალე, 1879 წელს, უნდა შექმნილიყო. ამ წლით არის დათარიღებული სინაგოგის „პინხოსში“ (დავთარში) შეტანილი ჩანაწერი. ამ დროს განეკუთვნება ებრაული ეპიტაფიები ბათუმის ებრაულ სასაფლაოზე.

1882 წლის 19 მაისს ბათუმში, ოლქის მაშინდელ სამხედრო გუბერნატორ ა.მ. სმეკალოვს ჩაუტარებია „ერთდღიანი მოსახლეობისა და უძრავი ქონების აღწერა“, რომლის შედეგები გამოქვეყნდა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების ჟურნალ მოამბეში **[Численность народонаселения., 1884-1885: 92]**. გამოირკვა, რომ ბათუმის ოლქში 13000 კაცი ცხოვრობდა, ხოლო ბათუმში 8671. აქედან, „კავკასიის სტატისტიკური კომიტეტის“ (მთავარი რედაქტორი ნ.კ. ზეიდლიცი) მონაცემებით, 6931 კაცია, ხოლო 1740 ქალი. ასეთი მკვეთრი დისპროპორცია იმით უნდა ყოფილყო გამოწვეული, რომ სამრეწველო ბუშთან დაკავშირებით (რკინიგზის ხაზი სამტრედია-ბათუმი, 1883 წელი, ნავთსადენი ბაქო-ბათუმი, ნავსადგურის რეკონსტრუქცია და სხვ.) ბათუმს უცოლშვილოდ მიაწვდა მრავალი ხალხი. „კავკასიის 1882 წლის კალენდრის“ მონაცემებით, ერთდღიან გამოკითხვამდე ბათუმის მკვიდრთა რაოდენობა 3479 ყოფილა. ამ აღწერამ კი ბევრად მეტი დააფიქსირა. ამჯერად ჩვენთვის მნიშვნელოვანია ბათუმის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა ქალაქის ცენტრ-

ღურ ხუთ უბანში: 1) რუსები – 980, 2) ქართველები (მეგრელები, გურულები, იმერლები, ლაზები ერთად) 1156, 3) თურქები – 603, 4) აფხაზები – 377 და სხვ. ებრაელების რაოდენობა 179 სულია. სარწმუნოების მიხედვით, 3158 ბათუმელი უკვე მართლმადიდებელი ქრისტიანია, 435 სომეხი – გრიგორიანელი, 316 სომეხი – კათოლიკე, სხვა კათოლიკე (ალბათ მათ შორის ქართველი კათოლიკეები) – 176, მუსლიმები – 1282 (მათ შორის ქართველები!) და სხვა აღმსარებლობის, იუდეველები – 179 **[Численность народонаселения., 1884-1885: 94]**. ამ მოსახლეობის 2731 სული განათლებულია, 3000 – გაუნათლებელი ანუ წერა-კითხვის უცოდინარი. ყველაზე მრავალრიცხოვანნი ქალაქში ხელოსან-ვაჭრები ყოფილან – 584 კაცი. ბათუმში იმ დროისათვის უცხოვრია 110 დურგალს, რომელთა შორის 43 ლაზია. ებრაელებს შორის იყვნენ ექიმები, აფთიაქარები, მასწავლებლები, ბანკირები, ადვოკატები და სხვა თავისუფალი პროფესიის ადამიანები. ქალაქში აგებული ყოფილა 305 ახალი ნაგებობა, მათ შორის 89 ქვისა: 8016 შენობა კრამიტით ყოფილა გადახურული, 49 თუნუქით, აქედან მხოლოდ 233 სახლია ორსართულიანი **[Численность народонаселения., 1884-1885: 95]**. ამ ერთდღიან აღწერას აქვს დანართი: ბათუმის ნავსადგურში 1880/1881 წწ. შემოსული გემების შესახებ“. ამ პერიოდში ყურეში შემოსულა 4212 უცხოური ხომალდი, დაუტვირთავი 1409 გემი. შთამბეჭდავია საკაბობაუ ანუ სანაპირო ხაზზე ნაოსნობის ინტენსივობა. პორტი მომსახურებია 4154 გემს. გადაზიდვის ფირმები საარქივო მასალების მიხედვით, ებრაელების ხელში ყოფილა.

1897 წელს, 17 ივნისს მთელ რუსეთის იმპერიაში ჩატარდა მოსახლეობის I საყოველთაო აღწერა, რომელსაც წინ დიდად მნიშვნელოვანი მოსამზადებელი პერიოდი უძღოდა. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ და ცენტრალურმა სტატისტიკურმა კომიტეტმა პეტერბურგში გამოსცეს სტატისტიკური მონაცემები რუსეთის იმპერიისა. 1905 წლის გამოცემაში ქუთაისის გუბერნიას ეძღვნება LXVI მონაკვეთი. ჩვენ აქედან გვინტერესებს მოცემული XII პუნქტის – „მოსახლეობის დაყოფა აღმსარებლობის მიხედვით“ – XXV დამატება **[Первая всеобщая перепись., 1905: 86-87]**, რომლის თანახმად ებრაელების შესახებ ნათქვამია, რომ ბათუმში ამ დროს უცხოვრია დიდინ-პატარიანად (1 წლიდან მოყოლებული) 1116 ადამიანს. აქ შეიმჩნევა მცირე ცდომილება. XII პუნქტში ებრაელების რიცხვი განსაზღვრულია სულ 613 მამაკაცითა და 523 დედაკაცით ანუ ჯამში 1136 ადამიანით. თუ ამას დაუმატებთ ბათუმის ოლქში მაცხოვრებელ იუდეველებს, 642 კაცსა და 523 ქალს, ანუ 1165 სულს, დავრწმუნდებით აჭარის ებრაული თემის სიმძლავრეში: საქართველოს, მათ შორის აჭარის არქივებში დაცული უნიკალური საარქივო დოკუმენტები ნათლად მეტყველებენ თუ რა დიდი ძალისხმევა ესაჭი-

როებოდათ თემის წინამძღოლებს, გალუტის, ებრაული დიასპორის მესვეურებს („როშ გა გოლა“) გაეხსნათ „სალოცავები“, სინაგოგებთან დაწყებითი სკოლები (თალმუდ თორა) და სხვ. სასწავლებლები, რათა მათ შთამომავლობას არ დაევიწყა მშობლიური ენა და ტრადიციები.

ცენტრალურ სახელმწიფო ეროვნულ საისტორიო არქივში დაცულია 1895 წლის 21 ივლისით დათარიღებული ქუთაისის გუბერნატორის ... მიმართვა კავკასიის მეფის ნაცვალისადმი. წერილში აღნიშნულია, რომ ბათუმის ცენტრალურ ნაწილში უპირატესად ცხოვრობენ დიდი რაოდენობით ებრაელები. მათ ეკუთვნით მაღაზიების დიდი ნაწილი, მათივე ხელშია ბათუმის ბანკების აქციების დიდი ნაწილი. ამ ადამიანებს სურთ ჰქონდეთ საკუთარი სინაგოგა. ამის გამო გუბერნატორთნ მიმართვის დაწერის წინ მოსულან ბათუმელი ებრაელების წარმომადგენლები ათი კაცი. მათ მოუტანიათ მომავალი სინაგოგის პროექტი. გუბერნატორის სიტყვებით: „ისინი მზად არიან გადაიხადონ დიდი ფული, რათა ეს საქმე ბოლომდე იქნას მიყვანილი, ხოლო რაც შეეხება [მათ] პოლიტიკურ მსოფლმხედველობას, ჩვენთვის ის მისაღებია (подходит...) ჩვენთვის არ არიან სახიფათონი“-ო **[სცსა, ფ. 13, ა. 11, ს. 76, გვ. 263]**. ბათუმში ქვის სინაგოგის მშენებლობა მიმდინარეობდა 1900-1904 წწ. (არქიტექტორი ს. ლ. ვოლკოვიჩი). რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ 1904 წლის 30 ივნისის უზენაესი ბრძანებულებით ნება დართო მისი საერო გახსნისა. სინაგოგამ, რომელმაც 1921 წლამდე იმუშავა, დიდი წვლილი შეიტანა ებრაული თემის სულიერ აღორძინებაში.

**გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:**

**ასსცსა, ფ. P-4, აღ. 1, ს. 35:** – აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი P-4, აღწერა 1, საქმე №35, გვ. 324, 325.

**სცსა, ფ.13, ა. 11, ს. 76** – საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, კავკასიის მთავარმართებლის კანცელარია, ფონდი 13, აღწერა 11, საქმე №76.

, **1883:** – . . .  
 , . VI, .  
 , **1885:** – M.,  
 , I-II, .

, 1991: –  
, 1903.  
, III,  
, 1874: –  
, II, 5,  
, 1873: –  
, II, 3,  
, 1905: –  
, LXVI,  
. XII.  
, 1884-1885: –  
1882  
« , VIII, IV. » , 19 1882

**Guram Lortkipanidze** (*Tbilisi, Georgia*)

**Iakob Ophir-Epremashvili** (*Jerusalem, Israel*)

### **Batumi Jewish Community in the Second Half of XIX Century**

#### Summary

“Muslim Georgia”, including city of Batumi played very important role in the eastern policy of the Russian empire since the second half of XIX century. In 1878 after end of the Russian-Turkish War under Berlin treaty Georgian historic provinces, including Ajara and city of Batumi were possessed by Russia. Under new political and administrative colonial arrangement of the empire “Batumi country” and its center city of Batumi constituted a structural part of Kutaisi province. Since then cultural and economical renaissance of old Georgian town Batumi and development of the Jewish (Ashkenazi) community began. By data of “the Jewish Encyclopedia”, in 1878/79 first Jewish graves were noted on Batumi cemetery and relevant records in synagogue “pinkhos” (volume III, the second edition, M, 1991, p. 892. Brokgauz-etron). 31 Jewish families were officially registered in Batumi in 1890. In 1899 they were 230 Jews in Batumi. Probably, some of them were Georgian Jews (Sefards) who were named “native Jews” in archive documents. By available data, Georgian Jews actively participated in people’s voluntary corps (militia) during Russian-Turkish wars, which were held during the second half of XIX century.

Shortly after liberation from the Turkish yoke Batumi was visited by a famous Russian actor, writer and traveler M. Vladikin (1828-1887). By his words, “Batumi is town of future”, “the town under construction”. During 5 years only it’s done very much. The railway was constructed, the port “is quite suitable for commercial purposes”. He considered various “quite Asian” population a characteristic property of this “free port: “Slender Gurians” (Georgians). Kurds, Turks and “omnipresent insolent and naughty Jews who have picked up the smell of trophy...”. (pages, 335,336). We may conclude from this message of the notorious Anti-Semite that the Jewish capital played important role in the economical development of Batumi.

On 19 May of 1882, a daily census of population was conducted by Kutaisi province Batumi region Military Governor M. Smekalov’s decree, its outcomes showed that inhabitants of Batumi were 1156 Georgians, 980 Russians, 630 Turks... and 179 Jews.

By results of the first census entire of the Russian empire population, on 17 June of 1897 inhabitants of Batumi were 1136 Jews. 642 of whom were men and 523 were women. By archive data both synagogues of Ashkenazi (European Jews) and Sefards (Georgian Jews) were opened in Batumi. The Jewish community paid big attention to traditional bringing up of young generation the community funded Jewish Saturday schools and colleges, “prayer homes”. They were semi-legal for a long time; afterwards in 1899 there were authorized by the Highest decree by Ministry of Foreign Affairs of the Russian empire. In 1904 construction of a stone Ashkenazi synagogue was over (architect S.L. Volkovich), which exists at present and is an architectural decoration of town, center of a spiritual life of the small Jewish community.

## ჰონბოლ ბარქანთა უაუმიგრაციის ისტორიისათვის (1920-1921 წლები)<sup>3</sup>

XX საუკუნის დასაწყისში სამხრეთ კავკასიაში მსოფლიოს დიდ სახელმწიფოების ინტერესთა თანაფარდობისა თუ შეუთავსებლობის პრობლემა განსაკუთრებით შესამჩნევი და წინააღმდეგობრივი გახდა. ამას რუსეთში მიმდინარე რევოლუციური პროცესებიც დაემატა, რომლის ფონზეც გაძლიერდა ევროპის არაერთი ქვეყნის სურვილი – სამხრეთ კავკასიაში შექმნილი პოლიტიკური პროცესებიდან „კუთვნილი“ ეკონომიკური სარგებელი მიეღო. მეორეს მხრივ, პირველი მსოფლიო ომი და ომის შემდგომი პერიოდი, თანმხლები ბობოქარი პოლიტიკური პროცესებით, საქართველოს უახლესი ისტორიის ძალზე საინტერესო მონაკვეთი გახდა. მოახლოებული ომის ფონზე არა მხოლოდ რუსეთში, არამედ ოსმალეთის იმპერიაშიც ეკონომიკური, ეთნიკური და რელიგიური პოლიტიკა შესამჩნევად დაიძაბა. დაძაბულობა, რომელიც ბევრ სხვა მიზეზთა შორის განაპირა ჭრელი ეთნორელიგიური თემებისადმი უნდობლობითაც ხასიათდებოდა, ოსმალეთის იმპერიის საზღვრისპირა არათურქი მოსახლეობის ყოველდღიურ სტაბილურობას არღვევდა და მათ ახალი საცხოვრისის ძიებისაკენ უბიძგებდა. პირველი მსოფლიო ომის შემდგომ სამხრეთ კავკასიაში ჩამოყალიბებული დამოუკიდებელი რესპუბლიკების ფონზე მსოფლიოს დიდ სახელმწიფოთა ეკონომიკური ინტერესები უფრო გამომავლად გახდა. სამხრეთ კავკასიაში ახალშექმნილი რესპუბლიკების რთული, შეიძლება ითქვას, გამოუვალი მდგომარეობა ინგლის-ამერიკის, გერმანიისა თუ სხვა ქვეყნების პროტექტორატის მიზნებს პირდაპირ პასუხობდა, რაც აისახა კიდევ ჯერ ამიერკავკასიის, ხოლო შემდგომ საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და საკუთრივ ოსმალეთის იმდროინდელ ისტორიულ რეალიებში. ეს პროცესები მნიშვნელოვნად განსხვავებული რელიგიური კუთვნილების მქონე ეთნოსთა დაპირისპირებებსაც განაპირობებდა, რაც განსაკუთრებულად მკაფიოდ ოსმალეთის და შემდგომში მის საფუძველზე აღმოცენებული თურქეთის რესპუბლიკის ეთნიკურ და რელიგიურ პოლიტიკაში გამოიხატა.

<sup>3</sup> სტატია მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის *“პონტოელი ბერძნები – წარსული და თანამედროვეობა”* ფარგლებში.



პონტოელ ბერძენთა უკუმიგრაცია, რომელსაც 1920-1921 წლებში ჰქონდა ადგილი, სამხრეთ კავკასიაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებასთან უშუალოდ იყო დაკავშირებული, რომელმაც ახალი საცხოვრისის ძიების პროცესში არაერთი ეთნიკური ჯგუფის ტრაგიკული ბედი განაპირობა. ბერძნულ ეთნოსთან დაკავშირებით რამდენადმე განსხვავებული სურათი იხატება. ისინი წარსულში სომხეთისა და არდაგანის ტერიტორიაზეც ცხოვრობდნენ. მართალია სამხრეთ კავკასიაში განვითარებულმა საომარმა მდგომარეობამ მათ მიგრაციისაკენ უბიძგა, მაგრამ მაინც ისინი თავიანთ სამშობლოში ბრუნდებოდნენ. ეს გარემოება კი იმავე რეგიონში მცხოვრები სხვა ეთნოსებისაგან მათ მდგომარეობას მნიშვნელოვნად განასხვავებდა. ამას ემატებოდა ისიც, რომ საბერძენეთის ხელისუფლება მათზე ზრუნავდა, რაც მიგრაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს მნიშვნელოვნად აუმჯობესებდა.

1920 წლის ნოემბერში მუსტაფა-ქემალის არმია ყარსსა და ალექსანდროპოლში შეიჭრა. ეს საომარო მოქმედებები მხოლოდ საბჭოთა რუსეთის მეშვეობით შეჩერდა, თუმცა სანაცვლოდ სომხეთმა დამოუკიდებლობა დაკარგა და საბჭოთა რესპუბლიკად გადაიქცა. საომარი მოქმედებები პონტოელი ბერძენებით დასახლებულ პუნქტებსაც შეეხო, რამაც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბერძენეთის ხელისუფლებებს შორის ბათუმის გავლით მათი სამშობლოში დაბრუნების შეთანხმება განაპირობა.

1920 წლისათვის ბათუმში, ინგლისელთა ბათუმის ოკუპაციის აღწერის დროინდელი მონაცემების მიხედვით, 43.348 სული სახლობდა, რომელთაგან დაახლოებით 8.598 ბერძენი იყო, ხოლო 1922 წლისათვის ბათუმში 7.629 ბერძენი ცხოვრობდა *[სტატისტიკური., 1924: 3; საქართველოს., 1930]*. ამ ციფრებიდან ქალაქში ბერძენთა რაოდენობის მკვეთრი შემცირება იკვეთება, რაც ვფიქრობთ, სწორედ კავკასიასა და ანატოლიაში მიმდინარე პოლიტიკური კატაკლიზმების შედეგი იყო. XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში ბერძენთა უკუმიგრაციის პროცესებს ერთგვარ „მფარველობას“ და „მზრუნველობას“, მათი სამშობლოში დაბრუნების ორგანიზებას ბერძნული ორგანიზაცია „დახმარებისა და რეპატრაციის ბერძნული მისია“<sup>4</sup> უწევდა. ეს ორგანიზაცია შესაბამის მიგრაციულ საკითხებზე მოლაპარაკებებს სახელმწიფო დონეზე აწარმოებდა და, შესაბამისად, ბერძენთა ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების ორგანიზებასა და კონტროლს ახორციელებდა. „ბერძნულ მისიას“ თავისი საქმიანობის განსახორციელებლად ბათუმის ოლქში წარმომადგენელი – ივანე კონსტანტი-

<sup>4</sup> „დახმარებისა და რეპატრაციის ბერძნული მისია“. ბერძნულად: „

„რუსულად: «Эллинская королевская миссия Призрения». ტექსტში ყველგან შემოკლებით გამოყენებული იქნება „ბერძნული მისია“.

ნეს ძე კანჯიევი ჰყავდა. მის სახელზე განსაკუთრებული რწმუნებულის მიერ 1921 წლის 21 იანვარს (წერილი №641) „ბერძნული მისიის“ წარმომადგენლობის დამადასტურებელი მოწმობა იქნა გაცემული, რომლის თანახმადაც „ბატონი კანჯიევი“ უფლებამოსილი იყო ადგილობრივი ხელისუფლებისაგან ბათუმის ოლქის მასშტაბით – ბორჩხიდან ბათუმამდე ლტოლვილთა უსაფრთხო გადაადგილების მიზნით დახმარება მიეღო. მოწმობას ხელს აწერდნენ გენერალი მდივანი და საქმეთა მმართველი მკურნალი *[სცსა, ფ. 1872, ან. 1, ს. 16, გვ.13]*.

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული მასალების მიხედვით, „ბერძნული მისია“ სომხეთიდან და არდაგანიდან ლტოლვილი ბერძნების მფარველობისა და ევაკუაციის თაობაზე, 1920 წლის 16 დეკემბერს ბათუმსა და ბათუმის ოლქში საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის საგანგებო რწმუნებულს თხოვნით მიმართავდა. წერილიდან ჩანს, რომ აღნიშნული მხარეების ბერძენთა შესახებ „ბერძნულ მისიას“ სანდო ინფორმაცია გააჩნდა, რაზედაც იმავე წერილში არაერთგან ხაზგასმითაა მითითებული. „ბერძნული მისია“ აკონკრეტებს, რომ საუბარია მხოლოდ სომხეთისა და არდაგანის ოლქში მცხოვრებ ბერძენთა მფარველობაზე. იქვე დაზუსტებულია არდაგანის ოლქის სოფლები, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდა და საიდანაც, საბერძნეთში ემიგრაციის სურვილით, ბერძნები ქალაქ ბათუმისაკენ გადაადგილდებოდნენ. წერილში არდაგანის ოლქის შემდეგი სოფლებია დასახელებული: **ხანახა** (Ханаха), **ფახრელა** (Фахрела), **ბებერეკა** (Беребека), **გოროსხევა** (Горосхева), **ხასკეა** (Хаскея).<sup>5</sup> „ბერძნული მისია“ თავის თავზე ბათუმში შეკრებილი ბერძნების ემიგრაციის შესახებ სრულ პასუხისმგებლობას იღებდა. მოცემულ წლებში ბერძენთა უკუმიგრაცია მხოლოდ კონკრეტულ გეოგრაფიულ გარემოში მცხოვრებ ბერძნებს ეხებოდა, რადგანაც საბერძნეთის სახელმწიფო „ბერძნული მისიის“ პირით კატეგორიულად მიუთითებდა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი გეოგრაფიული რეგიონების გარეთ მცხოვრებ ბერძნებს მფარველობას არ გაუწევდა. ამასთან დაკავშირებით „ბერძნული მისია“ 1920 წლის დეკემბრისათვის საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელს ბათუმში სთხოვდა სპეციალური განკარგულება გამოეცა და საქართველოს მოქალაქე ბერძნებისათვის, გადასახლების მცდელობის მიზნით, ქალაქ ბათუმში გადაადგილება მკაცრად აეკრძალა *[სცსა, ფ. 1872, ან. 1, ს. 16, გვ.1, 1-ა]*

მიუხედავად იმისა, რომ ბერძენთა უკუმიგრაციის პროცესი საბერძნეთისა და საქართველოს სახელმწიფოების შესაბამისი სამსახურების ზედამხედველობასა და კონტროლის პირობებში მიმდინარეობ-

<sup>5</sup> სოფლების სახელწოდებები ტექსტში რუსულადაა მოცემული, ამიტომ ქართული ვარიანტიც რუსულის შესაბამისობაში დავტოვეთ.

და, როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, იგი ადვილად ორგანიზებადი სრულიად არ ყოფილა. ორგანიზაციას ის გარემოება ართულებდა, რომ ბერძნებს სამშობლოში როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა რქოსანი საქონელი და ცხენები მიჰყავდათ. ეს რაც დოკუმენტურად ჩანს. გარდა ამისა, ბუნებრივია, მიგრანტებს სხვა ტვირთიც ექნებოდათ. დღემდე დაცულ მასალებში არ ჩანს, თუმცა აშკარაა ბერძნებს ბარგის სახით სხვა სახის ქონებაც თან რომ მიჰქონდათ. ცხადია ასეთი ვითარება უფრო მეტ სამგზავრო გემს საჭიროებდა, რითაც „ლტოლვილი ბერძნები“, როგორადაც წყაროებში არიან ისინი მოხსენიებულნი, საბერძნეთის სახელმწიფოს მიერ რეალურად უზრუნველყოფილნი უნდა ყოფილიყვნენ. „ბერძნული მისია“ „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განსაკუთრებულ რწმუნებულთან ქალაქ ბათომსა და ბათომის ოლქში“ – გიორგაძესთან ყველა საკითხს წინასწარ ათანხმებდა. ამგვარ შეთანხმებში დაზუსტებულია და ქართული მხარისაგან გაცემულია თანხმობა საბერძნეთიდან მოსულ კონკრეტულ გემზე დასატვირთი საქონლის ანდა ადამიანთა რაოდენობის შესახებ. მაგალითად, 1920 წლის 16 დეკემბერს ბათომის საგანგებო რწმუნებული – გიორგაძე „ბერძნულ მისიას“ ატყობინებდა, რომ რაიმე დაბრკოლებას ვერ ხედავს, რათა კერძო გემზე «Клеопатра»-ზე<sup>6</sup> ბერძენი ლტოლვილების 108 თავი საქონელი აეყვანათ. ირკვევა, რომ ლტოლვილ ბერძენთა ეკონომიკურად შეძლებული ფენა კერძო გემებსაც ქირაობდა. «Клеопатра» ერთ-ერთი ასეთი გემი ყოფილა. ბათომის საგანგებო რწმუნებული დასძენდა, რომ იგი არათუ თანახმა იყო, არამედ მიესალმებოდა კიდევ თუ ლტოლვილ ბერძენთა ნაწილი საბერძნეთში დამოუკიდებლად გადაადგილებას შესძლებდა. „ბერძნულ მისიას“ და მთავრობის საგანგებო რწმუნებულს შორის დადებული ამგვარი შეთანხმებები აღსასრულებლად ქალაქის პორტის უფროსსაც და ბათუმის საბაჟოს მმართველსაც ეგზავნებოდა. გიორგაძე გასცემდა ნებართვას თუ რომელი გემი რა სახის საქონლით დაეტვირთათ *[სცსა, ფ. 1872, ან. 1, ს. 16, გვ. 2-ა, 3, 3-ა]*

საბერძნეთსა და საქართველოს სახელმწიფოთა შორის არა მხოლოდ ბერძენთა რაოდენობა, არამედ საქონლის, მათ შორის ცხენების, საერთო რიცხვიც წინასწარ იყო შეთანხმებული, რადგან, როგორც აღინიშნა, „ბერძნული მისია“ ყოველი დატვირთული გემის შესახებ ინფორმაციას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის განსაკუთრებულ რწმუნებულს – გიორგაძეს აწვდიდა. მაგალითად, 1921 წლის 3 იანვარს ბათუმის პორტიდან გემით «»-ში გაგზავნილი იქნა 2532 თავი მსხვილფეხა საქონელი. იქვე მითითებულია, რომ მომდევნო დღისთვის 3398 თავი იყო დარჩენილი. იმავე წლის 2

<sup>6</sup>აქ და სხვა შემთხვევაშიც გემის სახელწოდებები რუსულ ენაზეა მითითებული, რამდენადაც თავად ტექსტებშიც ისინი რუსულადაა გადმოცემული.

იანვარს ბათუმის პორტში შემოსულა მესამე გემი – «        »-სი. ამ დროისათვის პორტში იდგნენ გემები «Лимнос»-სი და «Дафни»-სი. სამივე გემი იმ დროისათვის ბათუმში მყოფი არდაგანის ოლქის ლტოლვილი ბერძნებისათვის იყო გათვალისწინებული. მათ სათვალავში არ შედიოდნენ ის ბერძნები ვინც ავად იყო ანდა საავადმყოფოში იმყოფებოდა. იმავე გემებით უნდა გაეგზავნათ ცხოველებიც. საბოლოო ჯამში, როგორც ჩანს გემების რაოდენობა არ იყო საკმარისი და ვარაუდობდნენ, რომ დაახლოებით 1400 თავი ისევ დარჩებოდა გაუგზავნელი, რის გამოც ახალ გემს უნდა დალოდებოდნენ. 1921 წლის იანვრის დასაწყისისათვის „ბერძნული მისია“ ვარუდს გამოთქვამდა, რომ არდაგანის ოლქიდან 2500 ლტოლვილს, 2000 მსხვილფეხა საქონელთან ერთად კვლავ მოელოდნენ, რომლებიც ორი გემით უნდა გაეგზავნათ. ლტოლვილ ბერძენთა ევაკუაცია კი, როგორც ეს დოკუმენტებშია აღნიშნული, 15 იანვრისთვის უნდა დასრულებულიყო.

ბერძენთა უკუმიგრაციის ორგანიზაცია, მართალია, სახელმწიფოთა შორის შეთანხმების საფუძველზე ხორციელდებოდა, მაგრამ ეს შეთანხმება საქართველოს მოქალაქეობაში მყოფი ბერძნების უკუმიგრაციას არ ითვალისწინებდა. თითქმის ყველა წერილში „ბერძნული მისია“, როგორც ზემოთაც მივუთითეთ, საზგასმით სწერდა საქართველოს ხელისუფლებას, რომ საქართველოს მოქალაქეობაში მყოფ ბერძნებზე „ბერძნული მისია“ პასუხისმგებლობას არ იღებდა და სთხოვდა ბათუმისაკენ მათი გადაადგილება არ დაეშვა. „ბერძნული მისიის“ ინფორმაციით 1921 წლის იანვრის დასაწყისისათვის ბათუმში საქართველოს მოქალაქეობაში მყოფი 1500 ბერძენი იმყოფებოდა, რომლებმაც სხვადასხვა გზებით, კერძოდ, სოხუმიდან – ზღვის საშუალებით ბათუმში შეღწევა მოახერხეს. „ბერძნული მისია“ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლობას ბათუმში ამჯერადაც, განმეორებით სთხოვდა, რომ გამოეცა განკარგულება და მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად ზომები მიეღო. 1921 წლის 3 იანვრის წერილის რეზოლუციებიდან ჩანს, რომ მთავრობის საგანგებო რწმუნებული ბათუმში ფოთისა და სოხუმის ქალაქების მესვეურებს მიუთითებდა საქართველოს მოქალაქე ბერძნების ბათუმისაკენ გადაადგილება არ დაეშვათ და აღეკვეცათ *[სცსა, ფ. 1872, ან. 1, ს. 16, გვ. 7, 7-ა.]* საქართველოს მოქალაქეობაში მყოფ ბერძენთა ემიგრაციის შესახებ საბერძენთსა და საქართველოს ხელისუფლებას შორისაც შეთანხმება არსებობდა, რაც წერილებშიც არაერთხელ დასტურდება, საკითხისადმი მათი დამოკიდებულების გამო, ფაქტია, „ქართველი ბერძნები“ სამშობლოში დაბრუნების დიდ სურვილს ამჟღავნებდნენ და ბათუმში მოსახვედრად ყველანაირ ხერხს იყენებდნენ. 1921 წლის 17 იანვარს ბათუმის ქალაქის გამგეობას და მთავრობის საგანგებო

რწმუნებულს ბათუმში, დაინტერესებული პირები სწრაფი შეტყობინების სახით მიმართავდნენ და ამტკიცებდნენ, რომ იმავე წლის 13 იანვარს სოხუმიდან ბერძენი ხიზნებით დატვირთული ხუთი მოტორიანი ნავი ჩასულა. „ბერძნულ მისიას“ მათთვის, ანუ „საქართველოს ტერიტორიიდან“ ჩასულებისათვის დახმარებაზე უარი განუცხადებია, რადგანაც მსგავსი დავალება საბერძნეთის ხელისუფლებისაგან არ ჰქონიათ მიღებული. ასეთი შემთხვევის გამო ისინი ზღვაში გაჩერებულან, რადგანაც მათ „ბერძნული მისია“ და ბათუმის ადგილობრივი ხელისუფლება არ ღებულობდა. თავის მხრივ, ბათუმის გამგეობაც სთხოვდა „ბერძნულ მისიას“ მიეღოთ ზომები, რათა ნაგებით ბათუმში ჩასული ბერძნები უკან გაებრუნებინათ. გარდა ამისა, ქართული მხარე მიუთითებდა, რომ გაზაფხულის მოახლოებასთან ერთად ქალაქში ეპიდემიის გავრცელების საშიშროებაც იდგა და ხიზნები შესაძლოა ყოველგვარი სენის წყარო გამხდარიყვნენ. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ქალაქ ბათუმის გამგეობა მთავრობის საგანგებო რწმუნებულთან და, შესაბამისად, მთავრობის წინაშე შუამდგომლობის აღძრას მოითხოვდა, რათა ბერძნებისათვის, როგორც ხმელეთის, ისე წყლის მისადგომებიდან ბათუმში ჩასვლა აეკრძალათ. მოტივაცია ისიც იყო, რომ სანიტარული თვალსაზრისით ბათუმი დიდ გასაჭირში ჩავარდებოდა. იმ დროისათვის ბათუმში თავს იყრიდა ბერძენთა დიდი რაოდენობა. მასალებიდან ჩანს, რომ მიჰყავდათ მსხვილფეხა პირუტყვი, ცხენები და, რამდენადაც დაგეგმილი იყო უკუმიგრაციის პროცესი, ბუნებრივია, მათ სხვა სახის ტვირთიც თან მიჰქონდათ. ამ პროცესში ჩართული იყო ქალაქ ბათუმის სანიტარული სამსახური, რომელიც „ბერძნულ მისიას“ ხვდებოდა, იმ მიზნით, რომ ბერძენთა ბანაკებში რაიმე სახის ეპიდემია არ გავრცელებულიყო. ხუთი მოტორიანი ნავით სოხუმიდან წამოსული ბერძნების ბათუმში შემოსვებისათვის, არ შემოსვების საკითხების შეთანხმების მიზნით, იმავე წლის 13 იანვარს ბათუმის სანიტარული სამსახურის ინსპექტორი – ექიმი ჭიჭინაძე „ბერძნულ მისიას“ შეხვდა და ესაუბრა. აქაც წინა პლანზე წამოიწია გაზაფხულის მოახლოებასთან ერთად ბათუმში ბერძნების შემოსვების საკითხმა იმ არგუმენტებით, რომ ხმელეთზე მათი გადაადგილება ეპიდემიის საშიშროებას გაზრდიდა. ამ საუბრიდანვე ირკვევა, რომ ბათუმის სანიტარული სამსახური ჩამოსული ბერძნების ქალაქში დაყოვნების საკითხსაც მეთვალყურეობდა, რათა ისინი დიდხანს არ შეჩერებულიყვნენ ქალაქში და ამას დაავადების გავრცელება არ მოჰყოლოდა *[სცსა, ფ. 1872, ან. 1, ს. 16, გვ.17, 17-ა]*.

საერთოდ, XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში ბერძენთა ყოველი გადაადგილება ბათუმის მიმართულებით სახელმწიფო სტრუქტურების მიერ კონტროლდებოდა. ამის დასტურია ართვინის მაზრის მმართველის ჩიმურ ოღლისადმი ბათუმის განსაკუთრებული

რწმუნებულის შეტყობინება. მას სთხოვდნენ, რომ ბათუმისაკენ 1986 ლტოლვილი გაეშვა და მათი მშვიდობიანი მგზავრობისათვის ეზრუნა. წერილი 1920 წლის 4 იანვრითაა დათარიღებული, რომელსაც ხელს გენერალი მდივანი აწერდა *[სცსა, ფ. 1872, ან. 1, ს. 16, გვ.8]*.

მიუხედავად იმისა, რომ ბერძენ ლტოლვილთა გადაადგილებისა თუ მათი ბათუმში ბინადრობის შესახებ რიგი საკითხი საბერძნეთისა და საქართველოს მხრიდან სახელმწიფოებრივი რეგულირების დონეზე იყო აყვანილი, ჩანს გარკვეულ ექსცესებსაც ჰქონდა ადგილი. მიმოწერებიდან ირკვევა, რომ 1921 წლის დასაწყისში ბერძენთა წასაყვანად განკუთვნილი გემების შეფერხებას და ბათუმის პორტში მათ დაგვიანებით შემოსვლას ჰქონდა ადგილი. როგორც ჩანს, ალბათ ამ გარემოების გამო ლტოლვილ ბერძენთა ერთ ნაწილს ვინმე მ. ი. თუმანოვის ქონება დაუზიანებია. ამის თაობაზე ქონების მეპატრონეს მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებულისათვის მიუმართავს, რომელიც, თავის მხრივ, აღნიშნულ საკითხს „ბერძნულ მისიას“ ატყობინებდა. „ბერძნული მისიაც“ ითხოვდა, თუმცა დოკუმენტში არ იკითხება ვისგან, რომ უახლოეს დღეებში თუმანოვის პრეტენზია დაეკმაყოფილებინათ და ლტოლვილთა გემების შეფერხება აღმოეფხვრათ *[სცსა, ფ. 1872, ან. 1, ს. 16, გვ.11]* ამ საკითხზე 1921 წლის 21 იანვარს ზარალის განმსაზღვრელი კომისიის შეკრება შემდგარა, რომელშიც ბათუმის საგანგებო რწმუნებულისა და „ბერძნული მისიის“ წარმომადგენლობა მონაწილეობდნენ *[სცსა, ფ. 1872, ან. 1, ს. 16, გვ.25]*.

ბერძენ ლტოლვილთა ბათუმში დიდი რაოდენობით თავმოყრა ქალაქის ხელისუფლებას გარკვეულ პრობლემებსაც უქმნიდა, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა გემების დაგვიანების გამო ბერძნები იძულებული იყვნენ ქალაქში დაგეგმილზე მეტ ხანს გაჩერებულიყვნენ. ეს ჩანს იქედანაც, რომ ბერძენი ლტოლვილების ბათუმში დროებითი ცხოვრების პირობების გამო გარკვეულ პრობლემებსაც ჰქონდა ადგილი. მაგალითად, 1921 წლის 11 თებერვალს „ბერძნულ მისიას“ სასწრაფო წესით ატყობინებდნენ, რომ დაუყოვნებლივ აღედგინათ ბათუმის პორტის ღობე, რომელიც ბერძენმა ლტოლვილებმა დაანგრეს ანდა სანაცვლოდ სთხოვდნენ 12 თებერვლის 12 საათამდე ბათუმის პორტის სამმართველოს საღაროში 1,268,076 რუსული რუბლი შეეტანათ და გადახდის დამადასტურებელი ქვითარი მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებულისათვის წარედგინათ *[სცსა, ფ. 1872, ან. 1, ს. 16, გვ.13]* აქვე საუბარი იყო ბერძენთა მიერ ბათუმის პორტის ხის ღობის დაწვის – შეშად გამოყენების თაობაზე. ღობის საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ბათუმში საქართველოს მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებულის პატაკი. მასში ნავსადგურში მომხდარი ამბები დეტალურადაა მოთხრობილი. კერძოდ, 1920 წლის 14 დეკემ-

ბერს ბერძენ ლტოლვილებს ბათუმის პორტში 33 საჟენის<sup>7</sup> მანძილზე დაუშლიათ და დაუწვავთ ხის ღობე. თავის დროზე, ამ საქმის შესახებ, მიყენებული ზარალის მითითებით (524,979 მანეთი და 52 კაპიკი), შესაბამისი ოქმიც შეუდგენიათ, რომელიც პატაკს თან ერთვოდა. ეს „ბერძნული მისიისათვის“ უცნობებით, მაგრამ, როგორც ჩანს, ამას შედეგი არ გამოუღია. განსაკუთრებულ რწმუნებულს დახმარების მიზნით ამჯერად ბათუმის ნავსადგურის სამმართველო მიმართავდა. პატაკში აღნიშნულია, რომ ამ ამბის შემდეგ ისევ ბერძენ ლტოლვილებს 528,500 მანეთის ღირებულების 24 საჟენი ღობე და ორი სადარაჯო „ბუდკა“ დაუნგრევიათ და დაუწვავთ. პატაკში მითითებულია, რომ 1920-იანი წლებისათვის, როგორც მასალა, ისე ხელფასი მუშახელზე 100%-ით გადიდებულია და იმისათვის, რომ ნავსადგურს ეს დეფექტი თავისი ხარჯით შეეგოს, მას ერთი იმდენი ხარჯის გადახდა სჭირდებოდა. პატაკის მიხედვით ირკვევა, რომ შესაბამისი უწყებები ბათუმის ნავსადგურის ტერიტორიის დასუფთავებასა და დანგრეული ღობეების აღსადგენად საბოლოო ჯამში 1,268,076 მანეთს მოითხოვდნენ. პატაკზე თანდართული ოქმიდან ჩანს, რომ ბათუმის ნავსადგურის უფროსი გვარად « » ყოფილა, ნაწილის (უჩასტკის) კომისარის ხელწერა კი არ იკითხება, „რევიზორის“ თანაშემწე ყოფილა « . »-ი, ხოლო ნავსადგურის საქმის მწარმოებელი „შ. ცომაია“ *[სცსა, ფ. 1872, ან. 1, ს. 16, გვ. 54, 54-ა. 59]*. ბათუმის პორტის სამხრეთი სანაპიროს ღობის შესახებ მიმოწერები 1921 წლის თებერვლის ბოლომდე გაგრძელებულია. საბოლოოდ, როგორც ჩანს „ბერძნულ მისიას“ ღობის საკუთარი ძალებით აღდგენა გადაუწყვეტია, რის შესახებაც საქართველოს მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებული ბათუმში 1921 წლის 17 თებერვალს აცხადებდა, რომ თუ „ბერძნული მისია“ ღობეს აღადგენს საწინააღმდეგო არაფერი ექნებოდა და, შესაბამისად, საკითხი ღობის აღსადგენად ფულის გადახდის შესახებ გაუქმდებოდა *[სცსა, ფ. 1872, ან. 1, ს. 16,*

<sup>7</sup> **საჟენი** - ძველი რუსული სიგრძის საზომი ერთეული. XI-XVII საუკუნეების ისტორიულ წყაროების მიხედვით, საჟენის ზომა იყო 152 და 176 სმ. ეს იყო **სწორი საჟენი**, რომელიც განისაზღვრებოდა ადამიანის გაშლილი ხელების სიგრძით - ერთი ხელის თითების ბოლოდან მეორე ხელის თითების ბოლოებამდე განისაზღვრებოდა. ე. წ. **ირიბი საჟენი** ზომით 216 და 248 სანტიმეტრი იყო. იგი მოიცავდა სიგრძით ტერფის ძირიდან დიაგონალურად გაშლილი ხელის თითების ბოლოს. 1835 წლის ბრძანებულებით საჟენი შეიდი ინგლისური **ფუტი** ანდა ოთხმოცდაოთხი **დიუმით** განისაზღვრა. ეს სამ არშინს ანდა ორმოცდარვა **ვერშოკს** უდრიდა (213,36 სმ). საჟენისგან წარმოებულია **კვადრატული საჟენი**, რომელიც ცხრა კვადრატული **არშინის** ტოლი იყო და **კუბური საჟენი**, რომელიც ოცდაშვიდ კუბურ არშინს უდრიდა. 1918 წელს **რსფსრ**-ში საზომთა მეტრული სისტემა შემოიღეს, თუმცა როგორც ჩანს საჟენის გამოყენება ინერციით კვლავ გრძელდებოდა.

**გვ.65, 65-ა]** თუმცა აღნიშნულ საარქივო საქმეში არ ჩანს საბოლოოდ ბათუმის პორტის ღობე აღადგინეს თუ არა.

1921 წლის იანვრის შუა ნახევარში „ბერძნულ მისიას“ საქართველოს რესპუბლიკიდან საბერძნეთში გასაგზავნი – ოფიციალურად ნებადართული რაოდენობის „ლტოლვილი ბერძნების“ დაგაყვანა ძირითადად უკვე დასრულებული ჰქონდა. ამის შესახებ ბერძნული მხარე ქართულ მხარეს წერილობით აცხობინებდა. იმავე წერილიდანვე ჩანს, რომ ბოლო ასეთი გემი «Дарни» და «Ада» იყო, რომლითაც დარჩენილი 2709 თავი საქონელი, მათ შორის, ცხენები გადაიყვანეს. იმავე წერილში ერთგვარი შემაჯამებელი ცხრილია მოცემული, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ 1920-1921 წლებში ბათუმის პორტიდან საბერძნეთში 24 ათასზე მეტი ბერძენი და 6285 საქონელი გადაიყვანეს, თუმცა იქვე ბოლოში აღნიშნულია, რომ იმ დროისათვის, კერძოდ, 1921 წლის 16 იანვრისათვის, ბათუმში 600 ჯანმრთელი და 400 ავადმყოფი ბერძენი დარჩა. მოსალოდნელი იყო, რომ ბათუმში კიდევ 2600 ბერძენი ჩამოსულიყო, მათ შორის, 1000 სოხუმიდან. ამდენად, ბათუმიდან საბერძნეთისაკენ გასაგზავნი კვლავ 3600 ბერძენი რჩებოდა **[სცხა, ფ. 1872, ან. 1, ს. 16, გვ.39, 39-ა]** „ბერძნული მისიის“ მიერ წარმოდგენილი ამ შემაჯამებელი ანგარიშის საფუძველზე მთავრობის განსაკუთრებულმა რწმუნებულმა 1921 წლის 16 იანვარს ბრძანება გამოსცა, სადაც დაზუსტებულია, რომ სულ ცხრა გემით 24 ათასამდე საქონელი და 6285 ბერძენი გადაუყვანიათ. იქვე მითითებულია, რომ საბერძნეთის ხელისუფლების შუამდგომლობის საფუძველზე საქართველოს მთავრობისაგან ნებადართული იყო ბათუმის პორტიდან ლტოლვილთა 10 ათასი საქონლის უბაჟოდ გაშვება. მესამე პუნქტში აღნიშნულია, რომ გაგზავნას 4 ათასი ადამიანი ექვემდებარება. ამ რიცხვში ართვინიდან მომავალი ლტოლვილი ბერძნებიც შედიოდნენ. „ბერძნული მისიის“ მიერ გაკეთებული ანგარიშიდან ჩანს, რომ ართვინიდან 3600 ბერძენ ლტოლვილს მოელოდნენ. იქვე დაზუსტებულია, რომ 2709 თავ საქონელსაც უბაჟოდ გადაიყვანდნენ. განსაკუთრებული რწმუნებული – გიორგაძე მიუთითებდა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტელეგრამების საფუძველზე „ბერძნულ მისიას“ საქმიანობაში დაბრკოლება არ უნდა შექმნოდა. მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებულის დადგენილებით „ბერძნულ მისიას“ წინადადებაც მიეცა, საიდანაც ირკვევა, რომ მას შემდეგ, რაც საქართველოს მოქალაქეობაში მყოფმა ბერძნებმაც სამშობლოში დაბრუნება მოისურვეს, მთავრობის განსაკუთრებულმა რწმუნებულმა საქართველოს მოქალაქე ბერძნების საცხოვრებელი ადგილის დატოვების აკრძალვის ბრძანება გამოსცა, ხოლო იმ ბერძნებს ვინაც ბათუმში აღნიშნული ბრძანების გამოცემამდე მოვიდნენ, ნება ეძლეოდათ საბერძნეთში წასულიყვნენ, იმ პირობით, რომ საზღვარგარე-



თის პასპორტები ბათუმში – საქართველოს მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებულის სამმართველოდან უნდა მიეღოთ **[სცსა, ფ. 1872, ან. 1, ს. 16, გვ.40]**. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე განსაკუთრებული რწმუნებულება ნება დართო „ბერძნულ მისიას“ გემ „ადა“-ზე ლტოლვილთა 1000 სული საქონელი დაეტვირთა, მათ შორიც, ცხენებიც, რომლებიც სომხეთიდან ტრანზიტით მოდიოდნენ და მთავრობის მიერ უბაჟოდ გადაყვანის ნებადართულ საერთო რაოდენობაში ირიცხებოდნენ. აღნიშნული მიმართვის ასლი ბათუმის პორტის უფროსს და ბათუმის საბაჟოს სამმართველოსაც გადაეგზავნა. ამგვარი სანებართვო წერილები მთავრობის რწმუნებულს განსაზღვრულ რაოდენობებზე ცალკე-ცალკე ჰქონდა გაცემული, თუმცა მთლიანობაში მათი რაოდენობა 2709 თავს შეადგენდა **[სცსა, ფ. 1872, ან. 1, ს. 16, გვ.41-47]**.

1921-1922 წლების შემდეგაც არსებობდა კომისიები, რომლებიც ბერძენთა პრობლემებით იყვნენ დაკავებულნი. მაგალითად, ცნობილია, რომ 1923 წლის 24 ივლისის ლოზანის მოლაპარაკებების ფარგლებში ნაწილობრივ მოგვარდა მცირე აზიის ბერძენ ლტოლვილთა მტკივნეული საკითხები, კერძოდ, ერთა ლიგის ფარგლებში შეიქმნა და 1930 წლის ბოლომდე მოქმედებდა „ლტოლვილთა გადმოსახლების კომიტეტი“. მიგრაციული პროცესებიც 30-იანი წლებით შემოისაზღვრა **[Maurogordato, 1931: 64]**.

ამდენად, პირველი მსოფლიო ომის დროს და შემდგომ პერიოდშიც სამხრეთ კავკასიაში შექმნილმა არასტაბილურმა მდგომარეობამ, რომლის არსებითი შედეგი ოსმალეთის იმპერიის დაშლა და ახალგაზრდა თურქეთის „გადარჩენა“ იყო, პონტოელ ბერძენთა დიდი რაოდენობის ბათუმში კონცენტრაცია და ბათუმიდან სამშობლოში დაბრუნება განაპირობა.

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

**საქართველოს...** 1930 – გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №918, 30 მაისი, 1930.

**სცსა, ფ. 1872, ან. 1, ს. 16** – საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1872, ანაწერი 1, საქმე №16 (ტექსტში ყველგან მითითებულია გვერდები).

**სტატისტიკური...** 1924: – სტატისტიკური კრებული (1913-1923 წლები), ბათუმი.

**Maurogordato, 1931:** – Maurogordato J., Modern Greece, London.

**Nugzar Mgeladze, Temur Tunadze**  
*(Batumi, Georgia)*

**Reverse migration of Pontic Greeks from Batumi (1920-1921)**

Summary

The issue of reverse migration of Greeks which took place in 1920-1921 was directly related to the political situation in the South Caucasus. The processes of reverse migration of Greeks was organized by "Hellenistic Mission of Assistance and Repatriation". This organization of migration was negotiating the issues of migration with the Republic of Georgia at the state level and controlled the returning of Greeks to the motherland. This activity was headed by the representative of district of Batumi - Ivan Kanjiev. He was entitled to move refugees safely from Borchkha to Batumi. In 1920-1921 ten thousand Greeks returned from Greek to Batumi. The article concerns the material protected in the National Archives of Georgia.

## ბათუმი 1917-1921 წლებში

სტატიაში საარქივო მასალების ანალიზის საფუძველზე, ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესებთან კავშირში შესწავლილია 1917-1921 წლებში ბათუმში არსებული პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული ვითარება.

1917 წლიდან ბათუმში იყო რთული, პოლიტიკურად დაძაბული საომარი მდგომარეობა. ბათუმში მკვიდრდებოდა და იცვლებოდა უცხო სახელმწიფოთა ძალაუფლება. ბათუმში პოლიტიკური სიტუაციის ცვლას განაპირობებდა რუსეთში არსებული ორხელისუფლებიანობა და სამხედრო რევოლუციური გადატრიალებები.

1918 წელს საქართველოში დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას, ბათუმში ეროვნული საკითხის აღორძინება მოჰყვა. ბათუმში შეიქმნა ეროვნული საბჭოები, ქალაქის სათათბირო აერთიანებდა ბათუმში მცხოვრებ ყველა ეროვნების წარმომადგენელს. მკვლევართა ერთი ნაწილი თავიანთ ნაშრომებში მიუთითებს ამ პერიოდში ბათუმში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებთან შედარებით ქართული მოსახლეობის უმრავლესობაზე, რაც 1917 წელს ბათუმში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მასალებით არ დასტურდება. 1917 წელს ბათუმში ჩატარებული მოსახლეობის აღწერა შემდეგ სურათს იძლევა: ქართველი - 9530, რუსი - 10187, სომეხი - 7078, ბერძენი - 3997, ებრაელი - 1144, ირანელი - 703, პოლონელი - 631, გერმანელი - 172, სხვადასხვა - 689, მუსლიმთა რაოდენობა - 559 *[ასსცსა, ფ. 0-7, ან. 1, ს. 705, გვ. 10]*.

1918 წელს ქალაქის თვითმმართველობასთან საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა უკრაინის რადას. უკრაინის რადას ქალაქის სათათბირო ორგანოში თავისი წარმომადგენლები ჰყავდა, ესენი იყვნენ: დ.მ კრასიცკი, ა.ა. სკალევი, ი.ი. გარცკევიჩი, ს.პ. კოვანკო, ი.დ. კროპივიანსკი, პ.ქ. ჩუმაჩენკო, ი.ი. გარცკევიჩი ბათუმში ცხოვრობდა სვიატოპოლსკ-მირსკის ქუჩაზე, ს.პ. კოვანკო ქუთაისის და ლორის-მელიქოვის ქუჩების კუთხეში, პ.ქ. ჩუმაჩენკო სმეკალოვის ქუჩაზე №12-ში *[ასსცსა, ფ. 0-7, ან. 1, ს. 704, გვ. 9]*.

ამ პერიოდში რუსთა ღალატში ბრალდებული აჯარღების დაცვის საქმეში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოების ბათუმის განყოფილებას, რომლის თავმჯდომარე იყო ე. კრინიცკი *[სიორიძე, 2002: 142]*.

1918 წელს ბათუმში არსებული „პოლონური სახლის“ მიმართვის საფუძველზე ქალაქში მცხოვრებ პოლონელებისგან ქალაქის სათათბიროშიაირჩიეს სამოქალაქო ინჟინერი იოსებ რემუალდეს ძე პანასევიჩი, ინჟინერ-ტექნოლოგი გიორგი კონსტანტინეს ძე კერსნოვსკი, პედაგოგი სიგიზმუნდ ვოიცეხის ძე დემეზური. ი.რ. პანასევიჩს ბათუმში ერისთავის ქუჩაზე გააჩნდა საკუთარი სახლი *[ახსცსა, ფ. 0-7, ან. 1, ს. 701, გვ. 10]*.

1918 წლის 17 ივლისს მუსლიმთა ყრილობამ ქალაქის სათათბიროში 5 ხმოსანი აირჩია *[ახსცსა, ფ. 0-7, ან. 1, ს. 704, გვ. 11]*.

1878 წელს ბათუმში არსებობდა მხოლოდ ერთი ბერძნული სკოლა, რომელსაც ერქვა „ვეროპული“ და ასევე მეჩეთთან არსებული რამდენიმე რელიგიური სკოლა. 1918 წლის სექტემბრიდან ბათუმში არსდება ორი ქართული სკოლა, ორი რუსული, ერთი სომხური, ერთი ბერძნული, ერთი ებრაული. ქართულ სკოლასთან ფუნქციონირებდა მუსლიმური აღმსარებლობის მქონე ბავშვებისთვის განკუთვნილი მოსამზადებელი განყოფილება და ერთი საეკლესიო სკოლა. ბათუმის 1-ლი ქართული სკოლა აერთიანებდა 120 მოსწავლეს, მე-2 სკოლა 260 ბავშვს, ა. პუშკინის სახელობის 1-ლი რუსული სკოლა აერთიანებდა 270 მოსწავლეს, გოგოლის სახელობის მე-2 რუსული სკოლა 180 ბავშვს, ბერძნული 280 მოსწავლეს, სომხური 250, საეკლესიო სკოლა 50 მოსწავლეს, სულ ქალაქში იყო ორივე სქესის 1410 მოსწავლე (აცსა, ფონდი 0-7, ანაწ.1, საქმე 705, გვ. 11). იყო ფასიანი სკოლებიც, სადაც გადასახადი შეადგენდა 500 მანეთს წელიწადში *[ახსცსა, ფ. 0-7, ან. 1, ს. 705 გვ. 5]*.

1919 წლის 19 მარტს ქალაქის სათათბიროს სხდომაზე განიხილეს მუსლიმურ სკოლასთან დაკავშირებული საკითხი, რომელიც მოემსახურებოდა სხვადასხვა ეროვნების მუსლიმ ბავშვთა აღზრდას, სინამდვილეში ეს იყო სპეციალური თურქული სკოლა და ის გაიხსნა თურქების ბათუმში შემოსვლისას, სმეკალოვის და შერემეტიევის ქუჩების კუთხეში. თურქულ სკოლაში სწავლობდა 175 მოსწავლე და სწავლა მიმდინარეობდა თურქულ ენაზე. ქალაქის სათათბირომ თურქული სკოლა გადაიტანა პერიფერიაში *[ახსცსა, ფ. 0-7, ან. 1, ს. 744 გვ. 1-8]*.

1918 წლის 1 დეკემბრის მუდროსის ზავის საფუძველზე (1918.წ.30. X) ბათუმი დატოვესთურქებმა და ქალაქში შემოვიდა ინგლისის არმია. ინგლისელებმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ნებართვის გარეშე დაიკავეს ქალაქი ბათუმი და ბათუმის ოლქი და შექმნეს ბათუმის საგენერალ-გუბერნატორო. *[სილაგაძე, 1998: 6]* მოსახლეობა იძულებული გახდა მიეტოვებინა საცხოვრებელი სახლები და გაქცეულიყო. 1918 წელს ბათუმში წესრიგს იცავდა ქართული ბატალიონი, სომხური დაშნაკცუტუნის ასეული, უკრაინული

რაზმი და რუსეთის არმიის ნაწილი. როგორც თურქეთი ისე ინგლისი ხელს უშლიდა საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ პროცესებთან აჭარის ინტეგრაციას. ქართველების მიერ მიტოვებულ სახლ-კარს თავის სურვილისამებრ განაგებდა დამპყრობელი. აღსანიშნავია, რომ რთულ საომარ მდგომარეობაშიც კი ქალაქის თვითმმართველობა აგრძელებდა საქმიანობას. ბათუმის სათათბირომ 1918 წლის 14 აპრილს განიხილა მოსახლეობის მიერ მიტოვებულ ჩაის პლანტაციებში მოსავლის აღების საკითხი, შეიქმნა სასურსათო კომისია, რომელიც ხელმძღვანელობდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებას, ყიდვას და გაცვლას. ბათუმში მოქმედი ამხანაგობა „კომერსანტი“ აწარმოებდა ყველა სახის პროდუქციის აღწერას. ქალაქის მოსახლეობაზე პროდუქტების განაწილება ხდებოდა დაწესებული ნორმის ფარგლებში. ქალაქის სათათბირომ მკაცრი კონტროლი დააწესა პირველადი მოთხოვნილების საგნებზე **[ახსნცსა, ფ. 0-7, ან. 1, ხ. 695, გვ. 17]**. ქალაქის სათათბირომ გაქცეული მოსახლეობის ქონების დაცვის მიზნით შექმნა სამეთვალყურეო კომიტეტი, რომელიც აწარმოებდა მიტოვებული სახლების არენდით გაცემას და ამით ავსებდა ქალაქის ბიუჯეტს.

ქალაქის სათათბიროს 1918 წლის 25 იანვრის სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე ბათუმი გახდა სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის წევრი **[ახსნცსა, ფ. 0-7, ან. 1, ხ. 710, გვ. 1]**.

ამ პერიოდში სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა ბათუმ-ტრაპიზონის სამხედრო-სარკინიგზო გზის მშენებლობას, რომელმაც რეგიონი დააკავშირა მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს. ბათუმ-ტრაპიზონის სამხედრო გზის მშენებლობის მიზნით თვითმმართველობამ მიიღო გადაწყვეტილება ბათუმიდან 12 კილომეტრზე, მდ. ჭოროხზე აეგო ჰიდროელექტროსადგური. პროექტის მიხედვით სარკინიგზო ელექტრო ხაზები უნდა გამართულიყო ართვინის გზატკეცილიდან პეტროგრადის, ვოზნესენსკის, მარინის პროსპექტის, თბილისის მოედნის, კათოლიკურ და სანაპიროს ქუჩების გასწვრივ. სარკინიგზო ხაზის მშენებლობას აწარმოებდა სამხედრო ინჟინერი ლაზარევი **[ახსნცსა, ფ. 0-7, ან. 1, ხ. 651, გვ. 1]**.

როგორც სამხედრო-სტრატეგიული, ისე სატრანზიტო-სავაჭრო, თუ სამრეწველო ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბათუმი - ყარსის სარკინიგზო ხაზის მშენებლობას, ეს სარკინიგზო ხაზი ბათუმის გავლით დააკავშირებდა ამიერკავკასიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს ჩრდილოეთ ირანთან. ამ გზის მშენებლობის საქმეში აღსანიშნავია სამხედრო ინჟინერ დიმიტრი სვიშჩევსკის ღვაწლი. დიმიტრი სვიშჩევსკი ბაიაზეთიდან ბათუმსა და პეტროგრადში აგზავნიდა დეპეშებს, სადაც საუბარი იყო აღნიშნული გზის სამხედრო სტრატეგიულ მნიშვნელობაზე **[ახსნცსა,**

*ფ. 0-7, ან. 1, ს. 632, გვ. 11* ამავე პერიოდში ბათუმში სამხედრო დანიშნულების საომარ იარაღს აწარმოებდა პიტოვეის სამხედრო ქარხანა, რომელიც აღჭურვილი იყო საუკეთესო ტექნიკური დანადგარებით და კარგად განსწავლული სამუშაო ძალით. სამუშაო ძალას ავსებდა ევროპიდან ჩამოსულები *[ახსცსა, ფ. 0-7, ან. 1, ს. 633, გვ. 4]* დიდი ყურადღება მიექცა სპილენძის წარმოებას.

ბათუმში არსებული წყალდიდობების გამო ხელისუფლებამ განაგრძო არსებზე ხიდების მშენებლობა. აუცილებელ საქმედ ჩათვალეს ხიდის მშენებლობა ჟილინსკის არხზე, რომელიც ჭაობის დასახლებიდან მიემართებოდა ურეხისკენ, სადაც მოსახლეობას ბოსტნები გააჩნდა და მათგან ქალაქი მარაგდებოდა ბოსტნეული კულტურით. ინჟინერმა ვ. ჭიჭინაძემ წარმოადგინა პროექტი 6 საუნიანი ხიდის მშენებლობის შესახებ. ანალოგიური ხიდები ააგეს ჭაობში, მენავთობეთა დაბაში და პავლოვის არხზე *[ახსცსა, ფ. 0-7, ან. 1, ს. 655, გვ. 11]*

1917 წლის 23 იანვრის ბათუმის თვითმმართველობის სხდომაზე განიხილეს საკითხი არხების გაწმენდის შესახებ. არხების გაწმენდა მიმდინარეობდა ერთი წლის განმავლობაში და მას ხელმძღვანელობდა ინჟინერი ო. სერაფიმოვიჩი *[ახსცსა, ფ. 0-7, ან. 1, ს. 651, გვ. 19]* ამ პერიოდში ბათუმში ააგეს შემდეგი არხები: ანდრეევის, კარცევსკის, ჟილინსკის, პუშკინის, პავლოვის სახელობის, ასევე არხები ააგეს კაპლანის ქარხანასთან, სასაფლაოს, თბილისის მოედნის, ბურუნ-ტაბიეს უბნებზე.

1918 წელს ბათუმში დამკვიდრდა მუშა ჩინელების არტელი, ისინი ძირითადად დაკავებულნი იყვნენ ქალაქის დასუფთავებით. ჩინელები არ წარმოადგენდნენ იაფ სამუშაო ძალას. მათი გამოყენება განაპირობა ქალაქში სამუშაო ძალის უკმარისობამ. ბათუმში არ აღმოჩნდა ექვსი კაციც კი, რათა შეეცდოთ სახანძრო რაზმის შტატი *[ახსცსა, ფ. 0-7, ან. 1, ს. 701, გვ. 10]*

1919 წელს ბათუმი გაფიცვებმა მოიცვა. გაფიცვების მთავარი მიზეზი იყო, გაზეთ „ბათუმისუწყებების“ დახურვა და რეპრესიები მოსახლეობის წინააღმდეგ.

აპოლონ სილაგაძე და ვახტანგ გურული აღნიშნავენ, რომსაქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ და დამფუძნებელმა კრებამ ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო დროული და გადაამჭრელი ღონისძიებები ვერ გაატარა აჭარაში შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, მოსახლეობასთან დამოკიდებულების საქმეში დაუშვა გაუმართლებელი შეცდომა და ამით დაუპირისპირდა აჭარაში არსებულ ქართული ორიენტაციის ძალებს *[სილაგაძე, 1998]*. 1920 წელს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ აჭარაში არსებული ვითარების შესასწავლათ გამოაგზავნა პეტრე გელეიშვილი. მართალია მან დეტალურდ შეისწავლა აჭარაში არსე-

ბული ვითარება და 1920 წლის 8 ოქტომბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს საკმაოდ მისაღები და საინტერესო მოხსენებითი ბარათიც წარუდგინა, მაგრამ ამას მდგომარეობის გამოსასწორებლად არავითარი ღონისძიებები არ მოჰყოლია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ ბათუმის ოლქის კომისრად ბენია ჩხიკვიშვილის დანიშვნასაც არ მოჰყოლია სასურველი შედეგი.

ჯერ კიდევ XIX 90-იანი წლებიდან, თურქეთის 300 წლიანი ბატონობის შემდეგ ბათუმში აღორძინებას იწყებს თეატრალური ხელოვნება. განსაკუთრებით დიდია ამ საქმეში დავით კლდიაშვილის დამსახურება, რომელმაც 26 წელი იცხოვრა ბათუმშიდა მხურვალე მონაწილეობას იღებდა ბათუმის თეატრალურ ცხოვრებაში, როგორც ორგანიზატორი, რეჟისორი, აღმზრდელი, მრჩეველი. **[ჩხარტიშვილი: 2009: 210]** მკვლევარი ლელა სარალიძე აღნიშნავს, რომ 1918 წელს ოსმალთა ოკუპაციის პერიოდში ბათუმის თეატრი უღიმდამოთ აგრძელებდა თავის არსებობას, რომლის სცენაზე ძირითადათ მოყვარულებისა და უმუშევრად დარჩენილი მსახიობებისგან სახელდახელოდ, შეკოწიწებული დასები გამოდიოდნენ **[სალარიძე: 2009: 130]**.

1921 წლიდან ბათუმში ისევ აღორძინდა თეატრალური ხელოვნება. ამ პერიოდში ბათუმში მოქმედებდნენ ქართული (ხელმძღვანელი ვასო ურუშაძე) ბერძნული, სპარსული, სომხური, რუსული დრამატული და საოპერო არაპროფესიული დასები **[შენხია, 2009: 224]**. 1921 წელს ბათუმის მოსახლეობისთვის წარმოდგენებს მართავდა თეატრი „პელმელი“ (დირექტორი ლანსკი) და ბერძნების სალიტერატურო დრამატული საზოგადოება „პრომეთე“ **[ახსცსა, ფ. 0-7, ან. 1, ს. 751, გვ. 11]**.

1921 წლის 11 თებერვალს ბათუმში აღინიშნა ქართველი სტუდენტის დღე. ქალაქში გამოიცემოდა გაზეთი „ესო ბათუმი“ **[ახსცსა, ფ. 0-7, ან. 1, ს. 751, გვ. 48]**.

ბათუმის სათათბირო დიდ ყურადღებას იჩენდა ღარიბი მოსახლეობის დასახმარებლად. სათათბირო მდიდარ რესტორნებს ავალებდა გადაერიცხათ მოშიმშილეთა ფონდში მოგების 1%.

მრიგად, ზემოდ მოტანილი საარქივო მასალის ანალიზის საფუძველზე ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ რუსეთის ხელისუფლება 1917-1921 წლებში ბათუმში წარმოებული სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული ღონისძიებების საფუძველზე მოსახლეობაში ავტორიტეტს იმაღლებდა და ამით იმტკიცებდა თავის ძალაუფლებას.

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

ასსცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. – აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი ი-7, ანაწერი 1, საქმე №№632, 633, 651, 655, 695, 701, 704, 705, 710, 744, 751.

**სარალიძე, 2009:** – სარალიძე ლ., ოსმალეთი ოკუპაციის პერიოდის ბათუმის ისტორიიდან, – კრ.: ბათუმი წარსული და თანამედროვეობა (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), I, ბათუმი.

**სილაგაძე, 1998:** – სილაგაძე ა., გურული ე. პოლიტიკური სიტუაცია აჭარაში (1920 წელი), თბილისი.

**სიორიძე, 2002:** – სიორიძე მ., სამხრეთ დასავლეთ საქართველო 1914-1918 წლებში, ბათუმი.

**მესხია, 2009:** – მესხია ე., ბათუმის თეატრის სათავეებთან, – კრ.: ბათუმი წარსული და თანამედროვეობა (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), I, ბათუმი.

**ჩხარტიშვილი, 2009:** – ჩხარტიშვილი ც., ბათუმის კულტურული ცხოვრება XIX საუკუნის 80-90-იან წლებიდან, – კრ.: ბათუმი წარსული და თანამედროვეობა (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), I, ბათუმი.

**Merab Megrelishvili (Batumi, Georgia)**

### **Batumi Between 1917 and 1921**

#### Summary

The article deals with the political, socio-economic, and cultural situation in Batumi between 1917 and 1921 in the context of its relevance and connection to the building of the democratic state ongoing in that period.



**პირველი ქართველი მეცანები მრავალუბი -  
ზუბალაშვილები  
დიდი აბრეშუმის გზიდან ანკიის დიდ  
ნავთობამდე**

„...თუ ოდესმე საქართველოს ვრცელი ისტორია დაიწერა, თუ აღი-  
ნუსხა ქართველი ერის ყოველი ნაბიჯი განვითარებისა და გამეცნები-  
სა, ცხადია, რომ ზუბალაშვილების სახელი ღირსეულ ადგილს დაიმ-  
კვიდრებს... ქართველთ ახალთაობა ასეთ მამულიშვილებს შესაფერის  
პატივს მიაგებს... დრო და მისი მიმდინარეობა ბევრი შეძლებული კა-  
ციის შეძლებასა და სახელს შესჭამს, ბევრს შემდგომ გმობის დარიც  
დაესმება, მაგრამ ზუბალაშვილების სახელს ყოველთვის მედიდურად  
მოიხსენებს მთელი ქართველი ერი და საქართველო“... – ასე წერდა  
XX საუკუნის დამდეგს ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე ზა-  
ქარია ჭიჭინაძე იმ ადამიანების ღვაწლზე, რომლებიც უსამართლოდ  
აღმოჩნდნენ ჩრდილში და მთელი 70 წლის მანძილზე მათ ხსოვნა-  
საც კი სასტიკად ებრძოდნენ. ზუბალაშვილების საქმიანობასა და  
ქველმოქმედებას ტაბუ ჰქონდა დადებული.

ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ძალზე იშვიათია მეორე ისეთი გვარი,  
რომლის წარმომადგენლებს უშურველად ეთესათ იმდენი სიკეთე,  
როგორც ზუბალაშვილებს. დღევანდელი გადასახედიდან მხოლოდ გა-  
ოცებას იწვევს ამ წარმატებული ვაჭრებისა და მრეწველების შორს-  
მჭვრეტელობა. მომგებიანი და სარფიანი საქმიანობისათვის მათ უამთა  
სიავის გამო უფუნქციოდ მიტოვებული აბრეშუმის გზა და, მოგვიან-  
ებით, კასპიის უმდიდრესი ნავთობის საბადოები აირჩიეს.

გვარი ზუბალაშვილი ქართულ საისტორიო წყაროებში XVII-  
XVIII საუკუნიდან მოიხსენიება. ისინი ქართლები არიან, ძირითა-  
დად გორიდან და კასპიდან. XVII საუკუნის ბოლოდან აქტიურად  
ჩაებნენ სავაჭრო-ხელოსნურ საქმიანობაში და უკვე XIX საუკუნის  
დამდეგს შეძლებულ საგვარეულოდ წარმოჩინდნენ.

ზუბალაშვილები მართლმადიდებლები იყვნენ. XVIII საუკუნეში  
რუსეთ-თურქეთის ომის დროს ამ გვარის რამდენიმე წარმომადგენელი  
თურქებმა ტყვედ აიყვანეს. მათ თავი დააღწიეს ტყვეობას და კათო-  
ლიკურ ეკლესიას შეეფარნენ. მერე კათოლიკური აღმსარებლობაც მი-  
იღეს. ასე გაჩნდა ზუბალაშვილების გვარის ორი შტო – მართლმა-  
დიდებლური და კათოლიკური. მართლმადიდებლები ძირითადად მეს-

ტამბეები იყვნენ, ვახტანგ VI-ისა და ერეკლე II-ის კართან საკმაოდ დაახლოებულნი.

კათოლიკე ზუბალაშვილები კი ვაჭრობასა და სამრეწველო საქმიანობას მისდევდნენ. მალე დაწინაურდნენ და დიდი ქონებაც დააგროვეს. XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დამდეგს სტეფანე ივანეს ძე ზუბალაშვილი გაცხოველებული ვაჭრობდა თურქეთში, ირანში, შუა აზიაში, ინდოეთში... ამ ისტორიული გზით შემოჰქონდა საქართველოში აბრეშუმის, შაქარი (მოგვიანებით შაქრის ლერწამიც), ყავა, სანელებლები, თვალ-მარგალიტი... ინდოეთში მცხოვრებ ქართველ და სომეხ ვაჭრებს დაუახლოვდა და მოგვიანებით თავადაც იქ დასახლდა. გარდაცვალების შემდეგ უკვალოდ დაიკარგა მისი დიდი ქონება...

XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან ვაჭრობასა და მეწარმეობაში განსაკუთრებით დაწინაურდა სტეფანე ივანეს ძის ძმა – იაკობ ზუბალაშვილი (1792-1864). მან არყის გამოსახდელი ქარხნები გახსნა ქუთაისსა და მის შემოგარენში. 1837 წელს თბილისში, ძირითადად, ინდოეთიდან შემოტანილი შაქრის ლერწმით, ამუშავა ამიერკავკასიაში პირველი შაქრის ქარხანა (პეტრიაშვილის ქუჩაზე, სადაც დღეს ღვინის ქარხანაა). მალე ისეთი დიდი ქონების პატრონიც გახდა, რომ იმავე წელს სასტუმრო „პალასში“ (იგი თავად ააშენა და მერე საჩუქრად ქალაქს გადასცა, ამჟამად აქ საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი) ნადიმი გაუმართა საქართველოში სტუმრად ჩამოსულ იმპერატორ ნიკოლოზ პირველს, ხოლო სასტუმროს მოპირდაპირე მხარეს, საკუთარ სახლში (ამ სამსართულიანი აგურის შენობის ადგილას „ცეკავშირის“ შენობა იყო უკანასკნელ პერიოდში) მათი ოჯახი აღექვსანდრე დიუმას მასპინძლობდა.

იაკობ ზუბალაშვილის ვაჟიშვილები – კონსტანტინე და ანტონი, კეთილშობილთა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, მამის კვალს გაჰყვნენ, და კიდევ უფრო გააფართოეს მისი წარმოება; 1878 წელს ცნობილი მრეწველის – როტშიდლისაგან ნავთობით მდიდარი კუნძული ბიბი-ეიბათი შეიძინეს ბაქოს მახლობლად. ვინ იფიქრებდა, რომ სანაგვედ ქცეული ეს ადგილი ოდესმე „ოქროს ფსკერი“ გახდებოდა. ნავთობი ამ კუნძულზე მიწის ძალიან ღრმა ფენებში იყო. სარეწების ამუშავება დიდ თანხებსა და დროს, მტკიცე ნებისყოფას მოითხოვდა. ზუბალაშვილებმა შეუძლებელი შესძლეს; გაზეთი „ივერია“ იმხანად წერდა: „თითქოს მთელი ჩვენი ეროვნული ძალა, ჯერჯერობით უტყვი სავაჭრო-სამრეწველო სამფლობელოში, აქ მოგროვილიყო, დიდი ხნის განმავლობაში მდორი, დაგუბებული, აქ, ამ უცხო ადგილას აღმოსეთქილი, იგი, ვით მედგარი, შეუპოვარი შადრევანი ნავთისა და ჩვენ სასახელოდ აჩვენებს ყველას, რომ ქართველსაც შეუძლია დიდი საქმის შექმნა-წარმოება“.

ქართველი მრეწველების სახელი გასცდა საქართველოს საზღვრებს. ზუბალაშვილები მსოფლიოში სახელგანთქმული მრეწველების ნობელებისა და როტშილდის საიმედო და თანასწორუფლებიანი პარტნიორები გახდნენ.

ქართველ მენავთობეთა მუშებს მაღალი ხელფასი, მათი ოჯახის წევრებს უფასო სამედიცინო მომსახურება, უფასო ბუფეტი და სასადილო ჰქონდა. მუშა ქალიშვილს რომ ათხოვებდა, მზითევს პატრონის ოჯახი უმზადებდა, თუ ვაჟიშვილი ქორწინდებოდა – ქორწილს უხდიდა, სწავლა-განათლების მიღებაშიც ეხმარებოდა, და საბოლოო გზაზეც აცილებდა (დასაფლავების ხარჯსაც პატრონი იხდიდა)... სწორედ ამის გამო იყო, რომ 1905-1907 წლების რუსეთის რევოლუციის დღეებში, როცა ბაქოს ნავთობის სარეწებიც გაიფიცა, ყველა მეპატრონე გაიქცა ზუბალაშვილების გარდა; მათ საწარმოებში ჩვეული სიმშვიდე და სიწყნარე იყო. ასე შემოიტანეს ზუბალაშვილებმა პირველებმა „პატრონალიზმის“ იდეა ევრაზიის საზღვარზე.

საქართველოს ისტორიას ძირითადად კონსტანტინეს შვილები შემორჩნენ. მას 5 ვაჟი და 3 ქალიშვილი ჰყავდა. კონსტანტინეს მეუღლემ – ელისაბედ თუმანიშვილმა, მწიგნობარმა და ქართული კულტურის მოჭირნახულე ქალმა, თავის ვაჟიშვილებს – ლევანს, სტეფანეს, პეტრეს, იაკობს (ერთი ადრე გარდაიცვალა) ყველას შესაფერისი განათლება მისცა.

ძმებმა წარმატებით გააგრძელეს მამის დაწყებული საქმე. ბაქოს ნავთობის სარეწებიდან მიღებული აურაცხელი ქონების დიდი ნაწილი საქართველოში შემოიტანეს და ქვეყნის კეთილდღეობას მოახმარეს.

მერე ეს დიდი გვარი თანდათან გაიფანტა. ზოგი უშვილოდ გადაეგო, ზოგის შვილი უგზო-უკვლოდ დაიკარგა, ზოგიც ბოლშევიკური რეპრესიების მსხვერპლი გახდა, ბევრი მათგანის საფლავიც კი გაანადგურეს...

კონსტანტინე ზუბალაშვილის დიდ ოჯახს პირდაპირი შთამომავალი არ დარჩენია. წინა საუკუნის მიმწუხრს თბილისში ცხოვრობდა და აქვე გარდაიცვალა ამ სახელოვანი გვარის ერთადერთი მემკვიდრე, კონსტანტინეს ბიძაშვილის, დავითის ქალიშვილი ანასტასია ზუბალაშვილი-კოკონაშვილისა.

შეუძლებელია, ერთმა წერილმა დაიტოს ზუბალაშვილების ის დიდი ღვაწლი, რაც მათ ქველმოქმედების სახით გაიღეს მშობელი ქვეყნის კეთილდღეობისათვის. ამას, ალბათ, ქველმოქმედებაც არ ქვია, არც მეცენატობა, ეს რაღაც სხვა არის, უფრო მნიშვნელოვანი და ამაღლებული...

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს წინაშე, ალბათ, არ წამოჭრილა არც ერთი ისეთი პრობლემა თუ საკითხი, გნებავთ, სატიკვარი, რომლის მოგვარებასა თუ გადაწყვეტაში აქტიური მონა-

წილები არ მიეღოთ კონსტანტინე ზუბალაშვილსა და მის ვაჟიშვილებს, რომელთაგან ყველაზე დიდი ქველმოქმედი სტეფანე გახლდათ (1860-1904). იგი 44 წლისა გარდაიცვალა (დაკრძალულია თბილისის კათოლიკურ სასაფლაოზე), მაგრამ მაინც ბევრის გაკეთება მოასწრო.

ძმები ზუბალაშვილები უშუალოდ მფარველობდნენ ქართულ კულტურასა და მეცნიერებას. ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ილია ჭავჭავაძესთან და როცა ილიამ თბილისში საადგილმამულო ბანკი გახსნა, ერთ-ერთმა პირველებმა საკმაოდ დიდი შესატანი გაიღეს; სოლიდურ ფინანსურ დახმარებას უწევდნენ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. ამ მეცენატების ხელშეწყობითა და დახმარებით არაერთი ქართული სკოლა გაიხსნა კათოლიკურ ეკლესიებთან. სტეფანე ზუბალაშვილმა დიდალი ფული გაიღო ქართველ თავადაზნაურთა გიმნაზიის (ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) და მუსიკალური სკოლის (ამჟამად თბილისის კონსერვატორია) მშენებლობისთვის. ზუბალაშვილების სტიპენდიით მრავალმა ქართველმა ახალგაზრდამ მიიღო განათლება უცხოეთში, მათ შორის იყვნენ ჩვენი ერის სახელოვანი შვილები: გერონტი ქიქოძე, სარგის კაკაბაძე, გიორგი ჩიტაია, ალექსანდრე ჯანელიძე, აკაკი ფაღავა, პავლე ინგოროყვა, შალვა ამირეჯიბი... პარიზში, სორბონის უნივერსიტეტში ლიტერატურასა და ხელოვნების ისტორიას ეუფლებოდა მიხეილ ჯავახიშვილი. ზუბალაშვილების ხელშეწყობით ვატიკანში მუშაობდა და თავის შრომებს გამოსცემდა მიხეილ თამარაშვილი. მათი პირადი ინიციატივით დაიბეჭდა მრავალი წიგნი, აფინანსებდნენ გაზეთ „ივერიისა“ და საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილის“ გამოსცემებს. გარდა ამისა, „ივერიის“ რედაქციას გადასცეს შენობა, სადაც შემდგომ თავად ილიამ დაიდო ბინა. ზუბალაშვილების სახლში (სოლოლაკში) ცხოვრობდა ნიკო ნიკოლაძე, ამჟამად აქ მისი სახლ-მუზეუმი.

დღეს ბევრმა ისიც არ იცის, რომ ზუბალაშვილების აშენებულია თბილისის პირველი საავადმყოფოს ძირითადი კორპუსი, რომელიც უსასყიდლოდ გადასცეს ქალაქს. არადა, ამ საავადმყოფოს რატომღაც მხოლოდ „არამიანცის“ სახელი შემორჩა, მაშინ, როცა არამიანცმა მხოლოდ ერთი კორპუსი ააგო და ისიც... მიჰყიდა ქალაქს. უპატრონო და ინვალიდი მოხუცებისათვის ზუბალაშვილებმა „უპოვართა სახლი“ (შემდგომში ბავშვთა საავადმყოფო ათარბეგოვის ქუჩაზე, ამჟამად ზუბალაშვილების ქუჩაზე) ააშენეს. კოჯრის გზის დასაწყისში კი ღარიბთათვის უფასო სასადილო „სამადლო“ ჰქონდათ.

ამ საგვარეულომ ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო თბილისის ევროპული ნაწილის მშენებლობას. მათი ხარჯითა და ზრუნვით აგებული უმშვენებელი შენობები მიმოფანტულია მთელს ქალაქში.

ახლანდელი რუსთაველის გამზირზე ცხრა არქიტექტურული ნაგებობა (რომელთაგან ხუთიღა შემორჩა) მათი აშენებული იყო. სტეფანე ზუბალაშვილის აგებული დღევანდელი მარჯანიშვილის თეატრის შენობა, თავდაპირველად აქ იყო სახალხო სახლი ბიბლიოთეკითა და უფასო სასადილოთი.

იქნებ ისიც სიმბოლურია, რომ საქართველოს საელჩომ ბინა აზერბაიჯანში, სწორედ იმ სახლში დაიდო, რომელიც ოდესღაც ბაქოში პირველ ქართველ მენავთობეებს ეკუთვნოდათ.

ზუბალაშვილები ეწეოდნენ ფართო საეკლესიო აღმშენებლობას. სტეფანეს აგებულია ბათუმის უმშვენიერესი კათოლიკური ეკლესია; ხოლო მათი შემწეობით თბილისის, ახალციხისა და გორის კათოლიკური ეკლესიები, სტამბოლში – კათოლიკური ტაძარი.

„...მიბინდული საზოგადოების ღამპარს“ შეადარა გაზეთმა „ივერიამ“ მათი ქველმოქმედება...

უჩვეულო კრძაღვისა და მადლიერების გრძნობამ მიიყვანა ზუბალაშვილების ერთადერთ მემკვიდრესთან – ქალბატონ ანასტასიასთან. სტეფანე ზუბალაშვილის ქველმოქმედება ჩემი დიდი ბაბუის – გულო კაიკაციშვილის ოჯახსაც გადასწვდა აჭარაში. მამაჩემის ბიძა (დედის ძმა), მემედ კაიკაციშვილი, აჭარის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე და მერე უფროსი ძმაც ჰუსეინ ნაკაიძე, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის პირველი რექტორი, ზუბალაშვილის სტიპენდიანტები იყვნენ. ორივენი 1937 წელს დახვრიტეს.

ბედმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ არაჩვეულებრივი ოჯახის წევრებთანაც შემახვედრა. ქალბატონი ანასტასიას მეუღლე, ნიჭიერი ქართველი ქიმიკოსი და ბრწყინვალე პედაგოგი, პროფესორი ვიქტორ კოკონაშვილი ლექციებს მიკითხავდა. იგი წლების განმავლობაში ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტშიც კითხულობდა ლექციებს. წელთა სიმრავლემ ზუბალაშვილების ბევრის მომსწრე და მნახველ შთამომავალს ვერ გაუხუნა ხსოვნა დიდებული წინაპრებისა, ვერ გააკრთო მოგონებები...

– ბედნიერი და უდარდელი ბავშვობა მქონდა, – მიყვება ქალბატონი ტასო (ანასტასია), მამაჩემი დავით ზუბალაშვილი, კონსტანტინეს ბიძაშვილი გახლდათ; იგი ბაქოს ნავთობის სარეწების მმართველი იყო. 1920 წელს, როცა ბოლშევიკები აზერბაიჯანში შევიდნენ, ყველაზე ბოლოს მან დატოვა ბიბი-ეიბათის კუნძული. მამა საბანკო საქმის კარგი მცოდნე იყო და ალბათ ძალიან სჭირდებოდა კომუნისტებს, თორემ 1937 წლის რეპრესიებს ვერ გადაურჩებოდა. ჩემი ერთადერთი ძმა ანტონი, გენერალ ოდიშელიძის ადიუტანტი, 17 წლისა ნოე ჟორდანიას გაჰყვა ემიგრაციაში. ის მეორე მსოფლიო ომის დროს, პარიზის გათავისუფლებისათვის ბრძოლაში ფაშისტებმა მოკლეს, როგორც „წინააღმდეგობის“ მოძრაობის აქტიური წევრი.

...პატარა ვიყავი, მაგრამ მაინც კარგად მახსოვს 1921 წლის 25 თებერვალიც. მე-11 არმია კოჯრის გზით შემოვიდა თბილისში და პირველსავე დღეს ზუბალაშვილების „სამადლოს“ მოადგა. მამა მიაშობდა, რომ გაჭირვების დროს ლობიანი პურების ნაცვლად ლობიან მჭადებს აცხობდნენ. დამშეულ რუსის ჯარისკაცებს უფიქრით, შოკოლადიან ბისკვიტებს აკეთებენო და აღშფოთებული შეძახილებით: – ჩვენ გვშია და ქართველები ბისკვიტებს ხეთქავენო, სულ დაარბიეს იქაურობა. მერე ჩამოივაკეს და „უპოვართა სახლიც“ გააპარტახეს. ეს შენობა ნიკოლოზმა – მამაჩემის ბიძაშვილმა ააშენა და მერე ქალაქს აჩუქა. თბილისის თვითმმართველობამ მაშინ მადლიერების ნიშნად მისი ბიუსტი გააკეთებინა მწვანე მარმარილოსაგან და თავშესაფრის შესასვლელში დადგა. ამ უღამაზეს, კეთილმოწყობილ სამსართულიან შენობაში ყველა მარტოხელასა და უბინაოს შეეძლო სიმშვიდის პოვნა. ისეთი პირობები იყო, ვერავინ დაიწუნებდა. აქ თურმე ივანე ჯავახიშვილის მასწავლებელი აღექსანდრე ცაგარელიც კი ცხოვრობდა.

მახსოვს, ატირებული მოსამსახურე შემოვარდა ოთახში, – მიამბობდა ქალბატონი ტასო, – თქვენს სახლს არბევნო... მამა გაიქცა და ცოტა ხნის შემდეგ შინ აღელვებული დაბრუნდა. ხელში მწვანე მარმარილოს სამი ნატეხი ეჭირა, მიუახლოვდა საწერ მაგიდას, გამოაღო უჯრა და დამსხვრეული ბიუსტის ნაწილები უხმოდ შეინახა. მერე, ხშირად მინახავს, როგორი სევდიანი სახით, ცრემლმორეული შეავლებდა ხოლმე ხელს ძვირფას რელიკვიას...

ქალბატონი ანასტასიას სახელოვანი წინაპრები ქართულ საისტორიო წყაროებს მარტო წარმატებულ მრეწველებად და ვაჭრებად როდი შემორჩნენ, ბევრმა მათგანმა ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართული წიგნის ბეჭდვისა და ახალფეხადგმული ქართული მეცნიერული მედიცინის განვითარებას...

ვახტანგ VI კარის მღვდელი გიორგი ზუბალაშვილი, სარწმუნოებით მართლმადიდებელი, პირველი ქართული სტამბის დაარსების სათავეებთან იდგა და საღმრთო სჯულის წიგნების ერთ-ერთი პირველი გამომცემელ-რედაქტორი იყო.

ერეკლე მეორის მეფობის დროს თბილისში განახლებული სტამბის მუშაობას სათავეში ჩაუდგა ზუბალაშვილების კიდევ ერთი წარმომადგენელი – რომანოზი; თავად მწიგნობარმა და სასტამბო საქმის ჩინებულმა მცოდნემ ქართულ ენაზე დაბეჭდა „ლოცვანი“, „ზატიკი“, „სახარება“, „ჟამნი“, „სამოციქულო“ და მრავალი სხვა. მეფე ერეკლემ ამ ღვაწლისათვის რომანოზ ზუბალაშვილს აზნაურობა უბოძა. მანვე გამართა 1796 წელს ქალაქ მოზდოკში ცნობილი ლიტერატორისა და დიპლომატის გაიოზ რექტორის ინიციატივით დაარსებული სტამბა, სადაც დაიბეჭდა ქართული ანბანი (ასომთავრული, ხუცური და მხედ-

რული შრიფტი), მოგვიანებით თავად გაიოზ რექტორის ქართული „დრამმატიკა“ და მრავალი სხვა.

ქართული წიგნის ბეჭდვას კათოლიკე ზუბალაშვილები საზღვარგარეთაც ეწეოდნენ. ქალბატონი ტასოს დიდმა ბებია, ანამ გასული საუკუნის 50-იან წლებში ვენეციაში გამოსცა საღვთო წიგნები, მათ შორის „წმიდანთა ცხოვრება“...

ქართული მედიცინის აღორძინებასა და განვითარებას შეაღწია თავისი სიცოცხლე კავკასიის სამედიცინო საზოგადოების ერთ-ერთმა დამაარსებელმა ზაქარია ზუბალაშვილმა.

როცა წინაპართა ქველმოქმედებას შეეხო, ქალბატონმა ანასტასიამ დანაწიებით გაიხსენა საქართველოს ფარგლებს გარტ დარჩენილი ზუბალაშვილების უნიკალური კოლექციები. მამას ბიძაშვილი, კონსტანტინეს უმცროსი ვაჟი, იაკობ ზუბალაშვილი (1876-1941 წ) მარტოხელა იყო და პარიზში ცხოვრობდა (იქვეა დაკრძალული). მას საუკუნის დასაწყისში ქართული ენციკლოპედიის 15-ტომეულის გამოცემა ჰქონდა განზრახული, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ შეაფერხა. მერე ემიგრაციის მძიმე წლებიც დაიწყო და...

იაკობი თავგამოდებული კოლექციონერი გახლდათ. როგორც ბატონმა ექვთიმე თაყაიშვილმა მიაჩნო, იხსენებდა ქალბატონი ტასო, იგი თავის ფასდაუდებელ კოლექციას – ფაიფურის უნატიფესი ნაკეთობებისა და თანამედროვე მოდერნისტული ხელოვნების უამრავ ნიმუშს, ანდერძით საქართველოს უტოვებდა (ეს ანდერძი ბატონ ექვთიმესთან ინახებოდა!). მაგრამ ერთ დღეს თანამემამულეებზე ძლიერ განაწყენებულმა (იგი გაძარცვეს ქართველებმა!), ანდერძი უკან წაიღო, გაანადგურა და ახალი ანდერძის თანახმად კოლექცია საფრანგეთს აჩუქა. დღეს მცირე ლუვრისა და სხვა მუზეუმების დარბაზებს იაკობ ზუბალაშვილის კუთვნილი 581 ხელოვნების ნიმუშიც ამშვენებს; მათ შორის არის დეგას, სეზანის, მაიოს, მატისის, მონეს, პიკასოს და სხვათა ნახატები, როდენის მარმარილოს და სხვა ავტორთა ბრინჯაოს, კერამიკის, ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობანი (სხვათა შორის მას მიღებული ჰქონდა საფრანგეთის უმაღლესი ჯილდო – საპატიო ლეგიონერის ორდენი). ასე დაეკარგა საქართველოს ეს უნიკალური კოლექცია.

მამას უფროსი ბიძაშვილი – ლევანი (1853-1914), იაკობისა და სტეფანეს ძმა, ძირითადად მოსკოვში ცხოვრობდა. ლევანმა მოსკოვთან ახლოს, უსოვოში კარ-მიდამო შეიძინა. იტალიელ არქიტექტორებს ოჯახისათვის და სტუმრებისათვის ორი ულამაზესი სახლი ააშენებინა, რომელთაგან გასაბჭოების შემდეგ ერთში 1953 წლამდე სტალინი ცხოვრობდა (სხვათა შორის მამაჩემი გორში გაიზარდა, იგი ბავშვობაში თურმე ხშირად თამაშობდა პატარა სოსო ჯუღაშვილთან), ხოლო მეორეში – მიქოიანი. ოღონდ სტალინს შენობიდან ზუბალაშვი-

ლის მთელი სიმდიდრის გატანა მოუთხოვია. სვეტლანა აღილუევა მიამბობდა, რომ მათი ოჯახი თურმე ცარიელ კედლებში ცხოვრობდა, რასაც ვერ იტყვდი მიქოიანზე.

1915 წელს, გარდაცვალების წინ, ლევანს თავისი ქონების ნაწილი და უსოვოს აგარაკი (ამ ადგილს მერე ზუბალოვოს ეძახდნენ) მოსკოვის თვითმმართველობისათვის უანდერძებია. ლევანს შემკვიდრე არ დარჩენია; ორი შვილი ადრე გარდაეცვალა, ხოლო ერთადერთი ქალიშვილი – იულია, რევოლუციის შემდეგ უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

ლევანიც მგზნებარე კოლექციონერი იყო. მას ხატების (XI-XV სს), ფერწერული ტილოების, ფაიფურის, გობელენის, მარმარილოს ნაკეთობების და კარეტების უნიკალური კოლექციებიც კი ჰქონდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მთელი ეს ფასდაუდებელი სიმდიდრე „ნაციონალიზებული“ იყო და რუსეთის სხვადასხვა მუზეუმშია განთავსებული. დღეს ლევანის ხატების უმდიდრესი კოლექცია ამშვენებს მოსკოვის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმს, იარაღთა პალატას (აქვეა კარეტების კოლექცია), კრემლის მუზეუმსა და ნეტარი ვასილის ტაძარს; დასავლური ფაიფურის უბრწყინვალესი ნიმუშების ბაზაზე შეიქმნა კუსკოვოს ცნობილი სახლ-მუზეუმი, ხოლო ცნობილ მხატვართა ნამუშევრებმა შეავსეს პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმი.

90-იან წლებში, როცა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში მოსკოვს ეწვია, მას პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმში 14 უნიკალური ხატი აჩვენეს, რომელთაგან 11 ლევან ზუბალაშვილის კოლექციიდან იყო. იმ პერიოდში მეც მოსკოვში გახლდით და მიამბეს, თურმე ბატონი ჯორჯ ბუში ხატებით გამოწვეულ აღფრთოვანებას ვერ ფარავდა...

ქალბატონ ტასოს თვალეში ცრემლი ჩაუდგა და ოდნავ ათრთოლებული ხმით დაასრულა საუბარი: – ჯერ კიდევ გვიან არ არის, დაგუბრუნოთ საქართველოს მისი კანონიერი კუთვნილება, ლევან ზუბალაშვილის უნიკალური კოლექცია, რაც კი გადარჩა. იგი ჩემს დიდ წინაპარს რუსეთისთვის არც სიცოცხლეში უჩუქებია და არც ანდერძით დაუტოვებია... მწამს, ყველაფერი ეს ქართველი ხალხის საკუთრებაა და თუ ქვეყნად სამართალი არსებობს, ჩვენს ერს უნდა დაუბრუნდეს!

„ყოველი კაცი მოვალეა თავის ძმათ, მეგობართ და გაჭირვებულთ დაეხმაროს... კაცმა კაცს სიკეთე იმიტომ კი არ უნდა უყოს, რომ მერე აქონ და ადიდონ. ვინც ღირსია შველისა, მოვალენი ვართ, ვუშველოთ“. ეს სიტყვები სტეფანე ზუბალაშვილს ეკუთვნის.



### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

**გუგუშვილი, 1962:** – გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში, V, თბილისი.

**ფეიქრიშვილი, 2011:** – ფეიქრიშვილი ქ., ზუბალაშვილები ეროვნული მრეწველობისა და მეცენატობის სათავეებთან, თბილისი.

**ჭიჭინაძე, 1906:** – ჭიჭინაძე ზ., მრეწველობის წარმომადგენნი და ისტორია ზუბალაშვილების გვარისა, ტფილისი.

**Liana Nakaidze**

*(Tbilisi, Georgia)*

### **The First Georgian Industrialists – Zubalashvili**

#### Summary

It is a pity that contemporary Georgian society is less knowledgeable about their respectable compatriots – three centuries long history of entrepreneurship and charity of Zubalashvili dynasty, first Georgian maecenas entrepreneurs and industrialists is still to see full daylight and obtain public appreciation.

Zubalashvilis were at the origins of modern type commerce and entrepreneurship in Georgia; they revived Silk Road, long-term dysfunctional by the reverses of fortune and started to exploit abundant Caspian oil fields. Georgia has never seen any philanthropist of Zubalashvilis' scale, "...no one can match them in charity." (Niko Nikoladze).

## ღვინის მწარმოებელთა ღინასტიის წარმომადგენელი პირველი დანელიაზი ბათუმში

„ვაზის კვირტში სული ფეთქავს“! – ეს სიტყვები ეკუთვნის ქართული ღვინის მწარმოებელთა ძველი ღინასტიის წარმომადგენელს, ბათუმის მკვიდრს, საქართველოს ღირსეულ მამულიშვილს გელა შალვას ძე დანელიას.

დანელიათა გვარი ერთ-ერთი უძველესია საქართველოში. მას უკავშირებენ დანიელ წინასწარმეტყველის სახელს. **დანიელი ებრაულად ნიშნავს „ღმერთია მსაჯული ჩემი“**. დანელიები უძველესი დროიდან სამეგრელოში, სოფ. ლეხაინდრაოსა და ნაჯავახოში სახლობდნენ. დანელიებს ახლო ურთიერთობა ჰქონიათ სამეგრელოს მთავარ დადიანთან. ერთ-ერთი დანელიათაგანი მეფე სოლომონსაც ხლებია ამაღლაში, როცა მან საქართველო დატოვა და ტრაპიზონს შეაფარა თავი.

დანელიები ტრადიციულად ქართული ღვინის მწარმოებლები ყოფილან. საეკლესიო მიწებზე ვაზს ახარებდნენ და საუცხოო ღვინოს ამზადებდნენ. დანელიებს საკუთარი ეკლესია ჰქონიათ, ეკლესიის შიგნით ვეებერთელა ქვევრი იყო ჩაფლული და აღდგომა დღეს ხსნიდნენ. ღვინის წარმოებასთან ერთად, ისინი საგვარეულო ტექნოლოგიით, თაფლისა და ფიჭის გამოყენებით, აწარმოებდნენ საბარძიმე ღვინოსაც; ამ საგვარეულო ღვინის ტექნოლოგიის საიდუმლოებას სათუთად ინახავდნენ და თაობიდან თაობას გადასცემდნენ. საქართველოს მეღვინეობის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მევენახეთა და მეღვინეთა კავშირის ჟურნალის „ვაზი და ღვინო“ მთავარი რედაქტორი თემურ ღლონტი 2000 წელს სტატიაში „ქართული მრეწველობისა და ვაჭრობის ისტორიის ფურცლები“ წერდა, რომ დანელიების საეკლესიო ღვინის წარმოების „ტექნოლოგია უნიკალურია და მსოფლიოში ანალოგი არა აქვს“.

ღვინის მწარმოებელი პირველი დანელია – ნიკოლოზი – ბათუმში 1898 წელს დასახლდა. იგი ფრიად განსწავლული, რუსული ენის კარგად მცოდნე და მწიგნობარი კაცი ყოფილა. მან თავის შვილს, ვლადიმერს (დაბ. 1880 წ.) კარგი განათლება მიაღებინა. ვლადიმერმა რამდენიმე უცხო ენა შეისწავლა, ჩაერთო კომერციულ საქმიანობაში და ბოლოს საკუთარი საქმის წამოწყება გადაწყვიტა, მით უფრო, რომ კარგად იცნობდა ქართული ღვინის წარმოების წესებს და საგვარეუ-

ლო საეკლესიო ღვინის დამზადების საიდუმლოებასაც. 1907 წელს მან დაარსა ღვინის მწარმოებელი და ექსპორტიორი ფირმა „დანელია და კომპანია“. ეს იყო ერთ-ერთი პირველი ქართული კომპანია ბათუმში. კომპანიის ოფისი მდებარეობდა შეპელევის (ნიკოლოზ II-ის გენერლის) ქუჩაზე, №54-ში (ახლანდელი ვაჟა-ფშაველას ქუჩა). ღვინის ჩამოსასხმელი ქარხანა კი კოოპერაციის ქუჩის №4-ში განათავსა (შემდეგში საკონდიტრო ფაბრიკა ჭავჭავაძის ქუჩაზე). სხვადასხვა დასახელების ღვინოების წარმოებასთან ერთად, იგი საგვარეულო ტექნოლოგიით აწარმოებდა საეკლესიო ღვინოსაც და ტექნოლოგიის კომპონენტთა გამოყენებით შექმნა კომპანიის სასაქონლო-სავაჭრო ნიშანიც. მასზე, ვაზთან და ყურძნის მტევანთან ერთად, გამოსახა ფუტკარი; დამცველ ნიშნად კი მასზე განათავსა სიტყვა – შეკველი, რაც დასახული მიზნის განხორციელებას ნიშნავდა. ვლადიმერ დანელიას 1913 წლისათვის ბათუმში 30-მდე სავაჭრო ობიექტი და ღვინის ჩამოსასხმელი საამქრო ჰქონდა. მან ისე გააფართოვა თავისი საქმიანობა, რომ სავაჭრო ობიექტები გახსნა ხოფაში, რიზესა და ტრაპიზონში, ასევე, მარსელში. მას მინიჭებული ჰქონდა მრეწველისა და დიდი გილდიის ვაჭრის ტიტული. „დანელია და კომპანია“ თავის პროდუქციას სხვადასხვა ქვეყნებში ბათუმის ნავსადგურიდან აგზავნიდა. კომპანია ვითარდებოდა და იზრდებოდა. იზრდებოდა კაპიტალი და საფირმო მდლაზიათა რაოდენობაც. ვლ. დანელიამ რამდენიმე რესტორანი და სასტუმრო შეიძინა ბათუმში. ამ პერიოდში ბათუმში უკვე 16 საკონსულო და წარმომადგენლობა იყო: ავსტრია-უნგრეთის, ბელგიის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის, საბერძნეთის, რუსეთის, თურქეთის, ესპანეთის, იაპონიისა და სხვ.

შედგებული მეწარმე იყო უმუშრველი ქველმოქმედი და მეცენატი: ეხმარებოდა ეკლესიას და ხელმოკლე თანამემამულეებს. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ხოფაში, რიზესა და ტრაპიზონში მცხოვრებ თანამემამულეებთანაც, რომელთა სურვილი იყო, ენახათ გაერთიანებული და ძლიერი საქართველო. ვლ. დანელია ხშირად ჩადიოდა მათთან, გიდობას და მასპინძლობას უწევდა ძველი ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების სანახავად ჩასულ დელეგატებს. 1916 წელს ახლდა ბათუმის მაშინდელი ქალაქის თავის ივანე ანდრონიკაშვილის თაოსნობით შემდარ დელეგაციას, მეცნიერთა და მკვლევართა ჯგუფს, რომელმაც, სხვა ღირსშესანიშნაობებთან ერთად, მოინახულა მეფე სოლომონ II-ის საფლავი ტრაპიზონში. მეფეს პანაშეიდიც გადაუხადეს და ფოტოც გადაიღეს. სწორედ ეს ფოტო დაეხმარა შემდგომში საქართველოს მთავრობას, მოეძებნა და დაედგინა მეფის საფლავის ადგილსამყოფელი.

მრავალი საფრთხე და გასაჭირი გადაიტანა დანელიების ოჯახმა პირველი მსოფლიო ომის, ინგლისური თუ თურქული ინტერვენციის

დროს. მრავალჯერ დაესხნენ თავს, გაძარცვეს. თვითონ ვლადიმერ დანელია დაჭრეს და სასწაულად გადაურჩა სიკვდილს. 1921 წლის გასაბჭოების შემდეგ მანამდე არსებული ღვინის მწარმოებელი საგვარეულო დინასტიების ასოციაციების: სარაჯიშიელების, ანდრონიკაშიელების, ბაგრატიონ-მუხრანელების და სხვათა მსგავსად, თითქმის მთელი ქონება ჩამოართვეს. 1926 წელს ჩამოართვეს ის სახლიც იმერეთის ქუჩა №10-ში (ახლა ასათიანის 29), რომელშიც ცხოვრობდნენ. ეს შენობა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს გადასცეს. საბჭოთა პერიოდში ვლადიმერ დანელიას ოჯახი ბათუმის გარეუბანში, ე.წ. ჭაობში, ადრე კონსპირაციის მიზნით ნაყიდ, სახლში ცხოვრობდა.

ჩემს ბავშვობაში სწორედ ამ სახლში დავეყავი ჩემს მშობლებს მუსიკის მასწავლებელთან მშვენიერ, დარბაისელ მანდილოსანთან ლენა დანელიასთან.

ლენა ვლადიმერის ქალიშვილი იყო. ვლადიმერს კიდევ ჰყავდა ქალიშვილი ზინაიდა და ვაჟიშვილი შალვა.

ვლადიმერი არაფერს იშურებდა შვილების აღზრდისათვის, მათი სრულფასოვანი განათლებისათვის. ელენე 1926 წელს თბილისის კონსერვატორიის სტუდენტი გახდა. როგორც წარჩინებული და კარგი მონაცემების მქონე, 1930 წელს მოსკოვის კონსერვატორიაში გადაიყვანეს. კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ ელენე მოსკოვის დიდ თეატრში მუშაობდა. 1937 წელს, მამის „შავ სიაში“ შეყვანის გამო, ელენე სამუშაოდან დაითხოვეს და ბათუმში დაბრუნდა.

ვლადიმერის მეორე ქალიშვილი ზინაიდა პატარა ბავშვთან ერთად, ყაზახეთში გადაასახლეს.

ვლადიმერის ვაჟი შალვა 1936 წელს მოსკოვის მიწათმოწყობის ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. 1937 წ-ში ისიც ძლივს თბილისის ინდუსტრიულ ინსტიტუტში გადმოიყვანეს. მან 1942 წელს დაამთავრა ინსტიტუტი და როგორც სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ინჟინერი, თბილისის საავიაციო ქარხნის მშენებლობაზე-სამხედრო ობიექტზე გაამწესეს. იქ მუშაობა ფრონტის ხაზზე ყოფნის ტოლი იყო. ომის შემდეგ ჯანმრთელობაშერყეული შალვა ბათუმში დაბრუნდა. იგი დაქორწინებული იყო რეპრესირებული ოჯახის სერგო ჯინჭარაძის ქალიშვილზე, მარიაზე (სულიკო). ქ-ნი სულიკო დიდად განათლებული, პოეტური ბუნების ქალბატონი იყო. გაზარდა ორი შვილი: მანოლა და გელა.

შალვა დანელია, შექმნილი ვითარების გამო, ჩამოშორდა მეღვინეობის საქმეს. მისი შვილი გელა, კი, ბაბუის, ვლადიმერ დანელიას გარდაცვალებისას, 1975 წელს, პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მშენებლობის ფაკულტეტზე კვების მრეწველობის მანქანებისა და აპარატების სპეციალობას ეუფლებოდა. უკვე ჰქონდა გარკვეული

ცოდნა ღვინის ტექნოლოგიაზე, მისი წარმოებისათვის საჭირო მანქანა-დანადგარებზე. ამიტომ ძალიან დაინტერესა ბაბუა ვლადიმერთან ღვინის ტექნოლოგიაზე საუბრებმა, მაგრამ იმ პერიოდში კერძო საქმის წამოწყებასა და კომპანიის აღდგენაზე ფიქრი კი არა, ოცნებაც უშედეგო იყო, რადგანაც, როგორც ბ-ნი გელა აღნიშნავს, საბჭოთა პერიოდმა კომპანია ძირფესვიანად გაანადგურა. გელა დანელიას კი არ ტოვებდა ფიქრი კომპანიის აღდგენაზე, რომელიც ოცნებად გადაექცა. არც ახლობლებს სჯეროდათ ამ ოცნების განხორციელებისა. ამის არც პოლიტიკური და არც ფინანსური შესაძლებლობები არსებობდა.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ბათუმში დაბრუნებული გელა დანელია სხვადასხვა დროს სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა: იყო ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის ინჟინერ-მექანიკოსი, მექანიკური ქარხნის ტექნიკური განყოფილების უფროსი, საწარმოო უბნის უფროსი; ხელმძღვანელობდა ბათუმის აღმასკომის ტერიტორიულ-დარგთაშორის განყოფილებას, იყო ბათუმის ხილეული წყლებისა და ლუდის ქარხნის დირექტორი და სხვ. შემდეგ კი... შემდეგ იყო ომი, უმუშევრობა, უსახსრობა...

ოცნება კომპანიის განახლებაზე მაინც არ ტოვებდა ბ-ნ გელას. მაგრამ საჭირო იყო იმ ძველი დოკუმენტების მოძიება, რომელთაც იურიდიული საფუძველი ექნებოდათ. ვლ. დანელია იმ ავადმოსაკონარ 1937-ში ყოველ წუთს დაპატიმრებას ელოდა და ამიტომ ყველა საბუთს ანადგურებდა. შვილს, შალვას, მოწონებია საგვარეულო ღვინის ეტიკეტი, ასევე, მარკადაკრული ნასყიდობის ქაღალდიც და რომელიღაც წიგნში გადაუმაღლავს – და როგორც საგვარეულო რელიქვიას, სათუთად უვლიდა და ინახავდა. მოგვიანებით გამოჩნდა ეტიკეტის კიდევ ერთი ეგზემპლარი: ძველ ბათუმელთა თამარ ფეიქრი-შვილისა და ვანო გოგიბერიძის ოჯახში საოჯახო ალბომში ჩაკრული „საეკლესიო ღვინის“ 1914 წლის ეტიკეტი. ეს დოკუმენტები საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ გელა დანელიას დაეწყო კომპანიის იურიდიული მხარის აღდგენა. მან დააპატენტა საეკლესიო ღვინის ეტიკეტი, ტექნოლოგია, სასაქონლო ნიშნები და სხვ. და გადაწყვიტა, საგვარეულო ტექნოლოგიით დაეწყო ღვინის ჩამოსხმა. მანამდე თბილისში ეწვია მეღვინეთა პატრიარქად წოდებულ ბ-ნ გოგი თუშმაღვიშვილს. როგორც ბ-ნი გელა აღნიშნავს, „გოგი თუშმაღვიშვილთან გატარებული რამდენიმე საათი მისთვის დაუვიწყარია. ბ-ნ გოგის ძალიან მოწონებია საეკლესიო ღვინის საგვარეულო ტექნოლოგია, ეტიკეტი და აღუნიშნავს, „რომ იშვიათია, როდესაც სასაქონლო სავაჭრო ნიშანი მთლიანად შეესაბამება ტექნოლოგიას... აუცილებლად უნდა განახსნოთ ამ უნიკალური ღვინის დამზადება“.

1999 წელს სააქციო საზოგადოება „სამებაში“ დაიწყო „საეკლესიო ღვინის“ ჩამოსხმა. პროდუქციის რეკლამირებაში ძალიან დაეხმარნენ მსახიობი ბორის წიფურია და, შემდეგ, მოსკოვში, ცნობილი რეჟისორი გიორგი (გია) დანელია.

გელა დანელიას ბევრი დაბრკოლების გადალახვა მოუხდა, თუმცა სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. დაიწყო ფიქრი „ღვინის ძველი სახლის“ აღდგენაზე. ფართის დაბრუნებას დიდი დრო და ოთხი სასამართლო პროცესი დასჭირდა. ბოლოს დანელიათა ექსკლუზიური პროდუქციის დამზადების თაობაზე ხელშეკრულება გააფორმა სააქციო საზოგადოება „ვაზიანთან“. „ვაზიანმა ეს პროდუქცია სხვადასხვა დეგუსტაციაზე წარადგინა.

ბ-ნმა გელამ 2005 წლის მარტში ბათუმის ერთ-ერთ უძველეს სავაჭრო ქუჩაზე – მიხაილოვის ქუჩაზე – ახლა ზვიად გამსახურდიას №43-ში, თავის ძველ შენობაში აღადგინა „ღვინის ძველი სახლი“, სადაც წარმოდგენილია „დანელია და კომპანიის“ პროდუქცია, მათ შორის, საგვარეულო ტექნოლოგიით დამზადებული საეკლესიო ღვინოები, ასევე, ღვინის ძველი ეტიკეტები, 1907 წლის პროდუქციის ასლები, ისტორიული ფოტოები, მასალები ძველი მეწარმეების შესახებ და სხვ. ეს არის ერთადერთი ძველი დინასტიური ქართული კომპანია, რომელიც ფუნქციონირებს საქართველოში და გელა დანელია არის მეწარმე, რომელიც აგრძელებს მეღვინეთა ძველ დინასტიას. ამჟამად დანელიათა საეკლესიო ღვინის ბოთლებში ჩამოსხმული ნიმუშები განთავსებულია ინგლისში, ლონდონში, „ვინოპოლისში“. ესაა მუდმივმოქმედი ქალაქი-გამოფენა, რომელსაც ღვინის ოდისეასაც უწოდებენ. გელა დანელია არის აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრი; მონაწილეობას ღებულობს საერთაშორისო გამოფენებში მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში. ამ კომპანიას თავისი წვლილი შეაქვს საქველმოქმედო საქმიანობაში, ექსპონატები ამ კომპანიის შესახებ მოთავსებულია ბათუმის ხარიტონ ახვლედიანის მხარეთმცოდნეობისა და ტექნოლოგიურ მუზეუმებში. დასმულია საკითხი, რომ დანელიათა საგვარეულო ტექნოლოგიას მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის ინტელექტუალური ძეგლის სტატუსი.

ვლადიმერ დანელიას შესახებ დაწერილია წიგნებიც, რომელთა ავტორია ბონდო კალანდაძე. მრავალი სტატიაა გამოქვეყნებული ამ კომპანიისა და საგვარეულო ტექნოლოგიის შესახებ ადგილობრივ, რესპუბლიკურ თუ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გაზეთებში. მას იცნობს „ღვინის სამყარო“, მაგრამ მას არ იცნობს საქართველოს ფართო საზოგადოება და ბ-ნ გელას ბევრი ჩანაფიქრიც ჯერ კიდევ აუსრულებელია. მისი სურვილია, თბილისშიც გახსნას „ღვინის ძველი სახლი“, მამის ტექნოლოგიით დაამზადოს არაყი „დანილოვი“ და ცქრილა ღვინო „ელენი“ და სხვ. ყველაფერი ეს კი მომავლის

საქმეა, თუ გამოჩნდება მეცენატი, ვინც ამ იდეების განხორციელებაში დაეხმარება.

დედასავით პოეტური ბუნება დაჰყვა გელა დანელიას. მშვენიერი ლექსების ავტორი არის წინაპართა ღირსეული შთამომავალი, საქართველოს ღირსეული მოქალაქე, მამა და ბაბუა, ბათუმის ჩოხოსანი კოლორიტი, შესანიშნავი თამადა. იმედოვნებს, რომ მამა-პაპათა და მის კვალზე წავლენ მისი შთამომავლებიც ისინი არ დაივიწყებენ წინაპართა ღვაწლს და უანგაროდ იღვაწებენ სამშობლოსა და ხალხისათვის.

**Nanuli Noghaideli, Thea Tavberidze**  
*(Batumi, Georgia)*

**A Representative of the Wine Producer Dynasty  
The First Danelias in Batumi**

Summary

Since the ancient times, the Danelias have been living in Samegrelo. They used to produce different kinds of Georgian wine, as well as they made so-called church wine.

The first representative of the dynasty – Nikoloz Danelia settled in Batumi in 1898. His son, Vladimir, continued the family traditions and in 1907 he founded the wine producing and exporting enterprise “Danelia and Company”.

The Danelia family suffered a lot. In the Soviet period the family assets was confiscated and the company was destroyed.

The business of Vladimir Danelia has been revived by his grandson, Gela Danelia. He is the entrepreneur, who has given a new life to the old dynasty of winemakers.

## ხილავ ერთხელ ბრახტის, მოსაოვისა და ყარსის ხელშეკრულებების შესახებ

ცნობილი ქართველ საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწე კიტა აბაშიძე 1916 წელს გაზეთში “მეგობარი” წერდა, რომ “ქართველი ერის გამთლიანებას XX საუკუნის დასაწყისში ხელს უშლიდა ორი რამ: პოლიტიკური სერვილიზმი და პოლიტიკური ავანტიურიზმი. პოლიტიკური დანაგრეულობა ჰქმნიდა მონურ ფსიქოლოგიას, რაც ასე იგრძნობოდა ჩვენს ერში. დამონებულსა და დაბეჩავებულ ადამიანს სწევია სულ იმაზე ფიქრი, რომ რაღაც სასწაული მოხდება და ვიღაც იხსნის მას მონობისაგან, რომ სადღაც, სიზმარეთის ქვეყანაში არის ვიღაც დევეგირი და იგი მის ჩაგვრას ბოლოს მოუღებს... ასეთი მონა თავის დღეში გარკვეულ გზას ვერ დაადგება. იგი ყოველთვის პოლიტიკური ავანტიურისტების ყმა იქნება”. ერმა თვით უნდა იბრძოლოს და მიიღოს თავისუფლებაო... მას მიაჩნდა, რომ ასე წლის მონობამ გადააჩვია ქართველი ხალხი საღ აზროვნებას, გონივრულ პოლიტიკურ მსჯელობას [ჭუმბურიძე, 2007: 99]. აღნიშნული მოსაზრების გამოთქმიდან ზუსტად 100 წელია გასული, მაგრამ საქართველოს ისტორიის საბჭოთა და თანამედროვე პერიოდმა არა თუ აღმოფხვრა ზემოთ აღნიშნული დიდი ეროვნული სატკივარი, არამედ ახალი, მრავლისმეტყველი შტრიხები შესძინა მას ქართულ ხასიათში გამოვლენილი სიბარიტიზმის და კიდევ უფრო ღრმად გამოხატული კოლაბორაციონიზმის სახით, რაც თავისებურ პრობლემად იქცა ქართული ეროვნული თვითშეგნებისა და ცნობიერების, და რაც მთავარია, ისტორიული მოვლენების სწორად გაგებისათვის არა მარტო საქართველოში, არამედ უცხოეთში მცხოვრები ზოგიერთი ქართველისათვის.

რამდენიმე ხნის წინ ჩვენმა აწ გარდაცვლილმა კოლეგამ სიმონ გოგიტიძემ მოგვიტანა “აჭარის კულტურული ასოციაციის” მიერ ქართულ ენაზე თარგმნილი თურქეთში გამოცემული თავისებური სამახსოვროს პირველი ნომერი [The cultural association..., №1, p.1-10]. აქ აღარაფერს ვიტყვით მასში საქართველოს ისტორიის რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხების გადმოცემისას დაშვებულ შეცდომებსა და ლაფსუსებზე, მაგრამ გვერდს ვერ ავუვლით აქვე დაფიქსირებულ მოსაზრებას, რომ “სარფის საზღვრის გახსნის შემდეგ ორივე მხარის მცხოვრებმა აჭარლებმა გაიგეს მოსკოვის პროპაგანდის სიყალბე, რომელიც მათ ქართველებთან აერთიანებდა...” [იქვე, 1]. “...ბრესტ-



ლიტოვსკის ზავის თანახმად... ბათუმი დაუბრუნდა თურქეთს...” ასევე “ბრესტ-ლიტოვსკის ზავის მე-4 მუხლის თანახმად 1918 წლის 12 ივნისს ჩატარდა პლენისციტი ქალაქებში – ბათუმში, ყარსსა და არდაგანში. (პლენისციტი ჩატარდა დასახელებული ოლქების თითქმის მთელ ტერიტორიაზე და არამარტო ამ ქალაქებში – ავტორი). “ბათუმის, ყარსის და არდაგანის მიღება (თურქეთის შემადგენლობაში – მთარგმნელი) მოხდა ხმების დიდი უმრავლესობით... მაგრამ სისარული ხანმოკლე აღმოჩნდა [იქვე, 3]... სტალინის გარდაცვალების შემდეგ სამშობლოში დაბრუნების უფლება მიეცათ იმ აჭარლებს, რომლებიც იწერებოდნენ ქართველებად. დღეისათვის გადასახლებულ აჭარელთა რეპატრიაცია და გაქართველება ხდება... [იქვე, 7]. აქვე მოხსენიებულია 1921 წლის 16 მარტის მოსკოვისა და 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულებები, მათში დაფიქსირებული აჭარის ოფიციალური სტატუსი და თურქეთზე ბათუმის პორტში მინიჭებული შეღავათები [იქვე, 8].

აჭარელთა გაქართველებასა და მათ ქართველებად ჩაწერაზე მისი აბსოლუტური აბსურდულობის გამო, ყურადღებას აღარ შევამჩნევრებთ, ხოლო 1918 წლის 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის ზავს, 1921 წლის 16 მარტის მოსკოვისა და ამავე წლის 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულებათა უახლოეს წინარე ისტორიასა და პირადად მათ შესახებ ვეცდებით შედარებით უფრო ღრმად და შინაარსეულად ვისაუბროთ, მითუმეტეს, რომ აღნიშნულ შეთანხმებებს მეტად მიზანმიმართული ტენდენციურობითა და ვოლუნტარული თვალსაზრისით ეხება ზოგიერთი ქართველი “ექსპერტ-მეგლეგარიც”.

უნდა ითქვას, რომ ბათუმსა და ბათუმის ოლქში ამ პერიოდში ჯერ თურქეთისა და გერმანიის, შემდეგ კი, განსაკუთრებით ინგლისის ბატონობის დროინდელი ვითარების დასახასიათებლად მეტად მნიშვნელოვანია დოკუმენტები, რომელთაგან რამდენიმე ჩვენი თემისთვის საინტერესო მონაკვეთს ნაშრომში დასამოწმებლად მოვიხმობთ. პირველი არის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ ევ. გეგეჭკორის საუბრის სტონოგრაფიული ჩანაწერი ინგლისის განსაკუთრებულ კომისართან კავკასიაში სერ ოლივერ უორდროპთან, სადაც საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი უხსნის რა ქვეყანაში არსებულ ვითარებას სტუმარს, ამბობს: „...კიდევ ერთი მტკივნეული ადგილი ჩვენი მთავრობის ცხოვრებაში ეს არის ბათუმის ოლქის და ქ. ბათუმის საკითხი. ამ საქმის ისტორიული მხარე ასეთია: მე ვიყავი ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე, როდესაც ჩვენ ბათუმი დაგვარგეთ. მისი დაკარგვა მაშინდელი ჩვენი სისუსტის შედეგს წარმოადგენდა. ჩვენ ომი გამოვუცხადეთ თურქეთს რათა მოგვეხდინა ბრესტ-ლიტოვსკის სამარცხვინო ხელშეკრულების პარალიზება (მაგრამ, სამწუხაროდ არიან ავტორები, რომ-

ლებიც ცდილობდნენ ბრესტ-ლიტოვსკის აღნიშნულ ხელშეკრულებაში საქართველოსთვის რაიმე დადებითი დაინახონ – უ.ო.), რომლის ცნობა ამიერკავკასიის ხალხებს არ სურდათ და არც შეეძლოთ. ამიერკავკასიის კომისარიატის ასეთმა გამოსვლამ მას თავს დაატეხა თურქეთისა და გერმანიის რისხვა... ჩვენ სუსტნი ვიყავით და ამის მიზეზი იყო რუსი ჯარისკაცების შეიდასათასიანი ბოლშევიკური არმია, რომელიც ბრუნდებოდა კავკასიის ფრონტიდან და იმყოფებოდა ჩვენს ზურგში. შევინარჩუნეთ რა წესრიგი ამ მიმართულებით, არ გვეყო ძალები ბათუმის დასაცავად. იგი აიღეს, ხოლო ამის შემდეგ ჩვენ დავკარგეთ ოზურგეთი. მხოლოდ მდ. ჩოლოქთან შეკველით თურქეთის შეტევის შეჩერება, გავანადგურეთ რა მისი დივიზია... უცნობია თუ რით გათავდებოდა ყველაფერი თუ არა გერმანელების მოსვლა, რომლებმაც თავისი ჩარევით ომი შეწყვიტეს. ჩვენ ვფიქრობდით, რომ გაითვალისწინებდნენ ყველაფერს მომხდარს და ამიერკავკასიაში მოსული მოკავშირეები ბათუმს ჩვენ გადმოგვცემდნენ მაგრამ სამწუხაროდ ეს ასე არ მოხდა. ინგლისის ხელისუფლებამ დაიკავა ქალაქი, არ გვენდო რა ჩვენ ბათუმის ოლქის მმართველობის ორგანიზება დაავალა იქ დარჩენილ რუს ჩინოვნიკებს. ვინ იყვნენ ეს ბატონები და როგორია მათი პოლიტიკური ფიზიონომია, თქვენ შეგიძლიათ დაადგინოთ იმ ფაქტიდან, რომ ისინი პირველნი მიესალმნენ თურქებს და თავის დროზე იყვნენ მათი მეგზურები ბათუმის აღებისას.

მათ მიერ ბათუმის ოლქის სამმართველოდ შექმნილი საბჭო სულ მალე დაითხოვა ინგლისის სამხედრო სარდლობამ სრული განუკითხაობის გამო, რომელიც ამ მხარეში გამეფდა. დღეს იქ გაბატონებულია სრული უმართაობა და რა თქმა უნდა ჩვენი საერთო ინტერესები აუცილებლად გვკარნახობს დავამყაროთ ბათუმის ოლქში საჭირო წესრიგი“ [«

» ..., 1928: 85].

ფაქტიურად, ამ დოკუმენტის გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს ”საქართველოს სოციალისტური დედეგაგის მემუარი ლიუცერნის კონფერენციაზე თემთა პალატის ფრაქციისათვის“, სადაც ნათქვამია: ...არ დაკმაყოფილდნენ რა იმით, რომ მოკავშირეები უხვად ამარაგებენ გენერალ დენიკინის მოხალისეთა არმიას ფულით, იარაღით და ამუნიციით, ბრიტანელი გენერლები თბილისში უკან არ იხევენ იმის წინაშეც, რომ ქ. ყარსიდან გამოიტანონ ციხესიმაგრის არტილერია და საქართველოს ტერიტორიის გავლით დემონსტრაციულად გაიტანონ გენერალ დენიკინზე გადასაცემად. იგივე ბედი ეწია ქართულ ქალაქ ბათუმს, საიდანაც გაიტანეს და დენიკინს გადასცეს მძიმე შეიარაღება... ქ. ბათუმი და ბათუმის ოლქი დროებით ოკუპირ-

ეზულია ბრიტანეთის ჯარების მიერ თურქეთთან შეთანხმების საფუძველზე. ცნობილია, რომ ბათუმის მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას შეადგენენ ქართველები, მაჰმადიანები და ქრისტიანები. ამასთან თვით ქ. ბათუმი ძირითადად დასახლებულია ქართველი ქრისტიანებით. რას აკეთებს ბრიტანეთის გენერალ-გუბერნატორი იქ? მან ბათუმის მუნიციპალიტეტის მმართველობა გადასცა ე. წ. 9-თა საბჭოს, რომელიც მთლიანად რუსი რეაქციონერებისგან შედგება. როცა ქართველებმა პროტესტი გამოთქვეს ამ უსამართლობის წინააღმდეგ, ბრიტანეთის გენერალმა მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობით დაუშვა მათი მონაწილეობა ქალაქის თვითმმართველობაში. რაც შეეხება ქალაქის ახალი თვითმმართველობის დემოკრატიულ არჩევნებს, რომელიც ქართველებმა მოითხოვეს, ბრიტანეთის გენერალ-გუბერნატორმა მათ ამაზე გადაჭრით უთხრა უარი. ასე რომ ქალაქის მოსახლეობა მოკლებულია იმ ელემენტარულ უფლებებსაც, რომლითაც იგი სარგებლობდა ცარიზმის დროს, როდესაც ქალაქის თვითმმართველობა მიუხედავად რუსეთის ნაციონალისტური პოლიტიკისა ძირითადად ქართველების ხელში იყო.

კიდევ უფრო ცუდად არის საქმე პროვინციებში, სადაც უბნებისა და ოლქების მმართველებად... ინიშნება მხოლოდ რუსი რეაქციონერები, რომლებიც გადმოსულნი არიან სამსახურში გენერალ დენიკინისაგან. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მეფის დროინდელი ბათუმის გენერალ-გუბერნატორი რომანოვსკი-რომანკო აღდგენილია მის აღდგენულ თანამდებობაზე“... *[იქვე, 88-89]*

მაინც რამ განაპირობა ინგლისელების ასეთი დამომობლობა დენიკინელებისადმი? ჩვენი აზრით, ამის პირველი და მთავარი მიზეზი იყო ის, რომ ინგლისელები ისევე როგორც ყველგან, ბათუმის ოლქშიც მოქმედებდნენ თავიანთი მრავალნაწილი პოლიტიკით, „გათიშე და იბატონე“. ადგილობრივ მოქმედი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მიმდინარეობების, სხვადასხვა ერებისა და ეთნიკური ჯგუფების ერთმანეთზე წაკიდებით და ამის შედეგად ქვეყნის შიგნით შექმნილი გართულებებით ინგლისელები ცდილობდნენ ესარგებლათ და ამ გზით ვარაუდობდნენ ბათუმის ოლქსა და საერთოდ ამიერკავკასიის რეგიონში თავისი გავლენის განმტკიცებას. უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისი ფორმალურად მხარს უჭერდა ამ კუთხის აღდგენილი, განუყოფელი რუსეთისათვის შენარჩუნებას“. ამასთან ინგლისისათვის ამიერკავკასიის, ამ შემთხვევაში კი ბათუმის ოლქის შენარჩუნება უზრუნველყოფდა მისი გავლენის განმტკიცებას მთელ მახლობელ აღმოსავლეთზე და, რა თქმა უნდა, კავკასიაზე. აქედან გამომდინარე ინგლისელები ყოველ დონეს ხმარობდნენ, რომ ბათუმის

ოლქი არ დაბრუნებოდა მის კანონიერ მფლობელს, საქართველოს და თავად დარჩენილიყო აქ მდგომარეობის ბატონ-პატრონი. ამ მიზნის მისაღწევად მათ სცადეს დენიკინელების და სხვა, მაშინ ბათუმში კონცენტრირებული ანტიქართული ორიენტაციის ძალთა გამოყენება. ისინი ფიქრობდნენ მათი დახმარებით მიეღწიათ იმისათვის, რომ ბათუმის ოლქს უარი განეცხადებინა საქართველოსთან შეერთებაზე და პარიზის სამშვიდობო კონფერენციისათვის წარედგინათ შესაბამისი წერილობითი მემორანდუმი. ამასთან, ინგლისის ხელისუფლებას კარგად ესმოდა, რომ შექმნილ ვითარებაში მის მიერ ამ პროვოკაციული გეგმის განხორციელების ინიციატორად აშკარად გამოსვლა მარცხის მეტს არაფერს მოუტანდა. სწორედ ამიტომაც ცდილობდა ამ მიზნის მისაღწევად ბათუმში თავმოყრილი დენიკინელების და სხვა რეაქციონერების გამოყენებას.

შექმნილი ვითარებით შეშფოთებულმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გეგეჭკორმა საპროტესტო ნოტა გადასცა 1919 წლის 8 ოქტომბერს ამიერკავკასიაში ანტანტის უმაღლეს კომისარს ო. უორდროპს. მასში ნათქვამი იყო: ქ. ბათუმი და ბათუმის ოლქი უკანასკნელ ხანს ფაქტიურად გადაიქცა მოხალისეთა ჯარის აგენტების ფართო ასპარეზად, რომლებიც ბათუმის ოლქის ინგლისელთა ადმინისტრაციის თანამდებობის პირთა სახელით სარგებლობენ, დაუსჯელად აკეთებენ თავის საქმეს და ეწვევიან პროპაგანდას თავისი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად... კავკასიაში მოკავშირეთა მოსვლის შემდეგ საქართველოს მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ ბათუმის ოლქი შეუერთდებოდა საქართველოს, მაგრამ ეს ასე არ მოხდა და ამჟამად შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომლის ძალითაც ბათუმი და ბათუმის ოლქი მოხალისეთა აგენტებით გაივსო. ასეთმა მდგომარეობამ არ შეიძლება არ გამოიწვიოს უკმაყოფილების გრძნობა, როგორც ბათუმის ოლქის მკვიდრ ადგილობრივ მაჰმადიანთა (იგულისხმება ქართველი მაჰმადიანები – უ. ო.), ისე მთელი ქართველი ხალხის მხრივ“ [*გაზ. “ერთობა”, №230, 1919*]. მაგრამ “საქართველოს მთავრობის პროტესტებს ინგლისელები დიდ ანგარიშს არ უწევდნენ და ბათუმის ოლქში ადრინდელ პოლიტიკას განაგრძობდნენ“ [*სიოროძე, 1991: 65*]. მათვე დააარსეს ე. წ. მუსლიმანთა კომიტეტი, რომლის მიზანსაც ქართველ მაჰმადიანთა ეროვნულ თვითშეგნებასთან ბრძოლა წარმოადგენდა და რომელსაც ჰქონდა თავისი ბეჭდვითი ორგანო თურქულ ენაზე გაზეთი “სედაი მილეთი”, მის ირგვლივ შემოკრებილი თურქოფილებით. მათი ერთი ნაწილი ოსმალეთისაკენ იყურებოდა, მეორეს კი დენიკინელთა იმედი ჰქონდა ბათუმის ოლქში თავისი გავლენისა და გაბატონებული მდგომარეობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის საქმეში, რადგან დარწმუნებული იყვნენ რომ დემოკრატი-

ული საქართველოს ფარგლებში მიზნის მიღწევის ნაკლები შანსი ჰქონდათ, ამიტომაც ისინი მიმართავდნენ ყოველგვარ პროვოკაციას საქართველოს წინააღმდეგ *[სემიმა, ფ. 4, ს. 87, ფურც. 78-80]*.

ეს პროვოკაციები სათანადო ფაქტებზე დაყრდნობით ამხილა გაზეთმა "სამუსლიმანო საქართველომ" და ამასთანავე გაბედულად შეუტია ინგლისის საოკუპაციო რეჟიმს ბათუმის ოლქში. რა ეწოდება ასეთ საქციელს? – კითხულობს გაზეთი – ჩვენ ვამტკიცებთ, რომ დენიკინური ადმინისტრაცია ბათუმის ოლქში დენიკინის პოლიტიკას ემსახურება და ამისათვის არაფერს ერიდება... მითუმეტეს აქ ბათუმის ოლქში, რომელიც დიდი ბრიტანეთის ოკუპაციაშია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დიდი ბრიტანეთის სარდლობას ადმინისტრაცია აქ იმისთვის არ ჰყავს რომ მან დენიკინის ზრახვებს ემსახუროს" *[სემიმა, ფ. 4, ს. 87, ფურც. 107-109]*. –აცხადებს იგი.

ასე, რომ ბრიტანეთის ადგილობრივი ხელისუფლება, დენიკინელები თუ ბათუმში თავმოყრილი სხვა რეაქციონერები, ბათუმის ოლქში შეთანხმებულად მოქმედებდნენ. ძალ-ღონეს არ იშურებდნენ იმისათვის, რომ ეს მხარე საქართველოს არ დაბრუნებოდა. განსაკუთრებით აგულიანებდნენ და აქეზებდნენ ოსმალეთის ორიენტაცია ის იმ მიზნით, რომ ანტანტისათვის დაენახვებინათ, თუ რა ძლიერია აქ ოსმალეთისადმი ლტოლვა და ოსმალეთისგან უზრუნველსაყ ოფად საჭირო და გამართლებულია ამ ოლქის დენიკინელი მოხალისეებისათვის გადაეცემა *[გაზ. "ერთობა", №224, 1919]*.

ბრიტანეთის საოკუპაციო ხელისუფალთა და მასთან შეხმატებულ რეაქციონერთა საქმიანობა ბათუმის ოლქში, ეს იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართული კარგად გააზრებული პოლიტიკის შედეგი და მათთვის ადგილობრივი მოსახლეობის ნამდვილ ნება-სურვილს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ასეთმა დამოკიდებულებამ ისე გაათამამა ბათუმში დროებით თავშეფარებული თუ აქ მოღვაწე ბოლშევიკები რომ მათ ადგილობრივი მოსახლეობის დაუკითხავად გადაწყვიტეს მიეღოთ რეზოლუცია აჭარის საბჭოთა რუსეთთან შეერთების შესახებ, რამაც ქართველ მაჰმადიანთა სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია და მათმა წარმომადგენელმა საკადრისი პასუხი გასცა ამ ავანტიურას: "... არსად და არასოდეს არ ყოფილა ისეთი შემთხვევა – აღნიშნავს გაზეთი "ერთობა", – რომ ბათუმის საკითხის შესახებ დღეს, რომელიმე პასუხისმგებელ ორგანიზაციას უკამათოდ, საკითხის ყოველგვარად გაუმუქებლად მიეღოს რაიმე რეზოლუცია, ამასთან შეუძლებელია მოსულმა ელემენტმა მკვიდრთა დაუკითხავად, რომელიმე მხარის ბედი გადაჭრას. ეს იქნებოდა სწორედ სხვისი ნება-სურვილის ადგილობრივ მცხოვრებთათვის თავს მოხვევა, რის წინააღმდეგაც ბოლშევიკები

ილაშქრებენ თავიანთ რეზოლუციასში... შეუძლებელია, რომ ორიოლის, კურსკის მცხოვრებნი, თუნდაც ის მუშა იყოს ადგილობრივ მცხოვრებთა დაუკითხავად სწვევტდეს მისი ოლქის ბედს“. ქართველმა მუსლიმანებმა წერილობითი პროტესტი განაცხადეს აღნიშნული რეზოლუციის მიმართ და მათი სახელით სიტყვით გამოვიდა ჯემალ ქიქავა. მან თქვა: ”უპირველეს ყოვლისა, მე გამოვთქვამ ღრმა აღშფოთებას ამ მაღალი კრებისადმი, რომელსაც ვითომდა ბევრი კარგი სურს აჭარისათვის და ამავე დროს შეძლებას არ აძლევს აჭარის მკვიდრს ორიოდ სიტყვა სთქვას იმის შესახებ, თუ რას ფიქრობს აჭარა...

გასაოცარია, რომ ის ხალხი რომელსაც არაფერი აქვს საერთო ჩვენს მცხოვრებთან, რომელიც არ არის მასთან შეკავშირებული არც ეთნოგრაფიულად, არც ისტორიულად და შეადგენს მხოლოდ სტუმრად ჩვენში მოსულ ელემენტებს, სხვადასხვა ქვეყნიებიდან ბედის საძებრად გადმოხვეწილებს, წყვეტს აქ ბედიბაღს ქალაქის და მთელი ოლქისას, სწვევტს ისე, რომ არც კი ეკითხება ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომლებიც 95 პროცენტს შეადგენენ მთელ მცხოვრებლებისას, სწვევტს ისე, რომ დიდი უმეტესობა მცხოვრებლებისა არავითარ მონაწილეობას არ იღებს საკითხის გადაჭრაში.

აჭარის მშრომელთა მასამ უკვე გამოთქვა თავისი შეურყეველი ნებისყოფა გასული წლის 31 აგვისტოს, როცა თავისი წარმომადგენლობის სახით, თავის და ქვეყნის წინაშე განაცხადა, რომ ბათუმში და ბათუმის ოლქი, როგორც განუყრელი ნაწილი დედასამშობლო საქართველოსი ავტონომიურად უნდა შეუერთდეს საქართველოს. ეს არის კატეგორიული გადაწყვეტილება სამუსლიმანო საქართველოსი და ამ თავის გადაწყვეტილებას აჭარის მშრომელი მასა არასოდეს არ უარყოფს. ... აჭარის მშრომელმა მასამ ... უკვე სთქვა თავისი კატეგორიული სიტყვა: ავტონომიურად გაერთიანება დედა-სამშობლო საქართველოსთან.

გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, გაუმარჯოს ამ რესპუბლიკის ფარგლებში ავტონომიურ სამუსლიმანო საქართველოს!“ [ . . . « . . . », №204, 1919]. გაზეთი, რომელმაც ეს მასალა დაბეჭდა აღნიშნავს, რომ ამ განცხადებამ არასასიამოვნოდ იმოქმედა საბჭოს იმ ნაწილზე, (ბოლშევიკები იგულისხმება – უ. თ.) რომელიც მიჩვეული იყო უცერემონიოდ სხვადასხვა პოლიტიკური რეზოლუციების მიღებას და მათი ბათიმისა და ოლქის მშრომელთა სახელით გასაღებას [სემიძა, ფ., 4, ს. 90, ტ. II, გვ. 56].

აქ ნათლად ჩანს ქართველ მაჰმადიანთაგან პოლიტიკური მომენტის სრული შეგნება და მათი ჭკმმართად პროქართული ორიენტაცია.

ბათუმისა და ბათუმის ოლქის ირგვლივ გაჩაღებულ ამ პოლიტიკურ ბატალიებში ქართულ ორიენტაციას სათავეში ჩაუდგა სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი მემედ აბაშიძის ხელმძღვანელობით. მ. აბაშიძეს კარგად ესმოდა იმ დროს სამუსლიმანო საქართველოს გარშემო შექმნილი პოლიტიკური რეალობი და ამიტომაც აცხადებდა თავის საპროგრამო წერილში, რომ სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის მიზანია სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის უზრუნველყოფა და ამავე სამუსლიმანო საქართველოს თავისუფლების განმტკიცება... და ამიტომაც არის, რომ სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს პოლიტიკური მთლიანობისათვის ვმუშაობთ. მაგრამ რაკი ჩვენი სარწმუნოება და სოციალური ცხოვრება განირჩევა, ჩვენი ქვეყნის მთავრობის სახეც სხვა იქნება, რასაც საქართველოს საზღვრებში სამუსლიმანო საქართველოს ფართო ავტონომია უზრუნველყოფს... ჩვენი ქვეყნის ბატონ-პატრონი ჩვენივე ქვეყნის ხალხი იქნება... ავტონომიის ფორმისა და სისტემის შესახებ ცნობების მოწოდებისათვის, ჩვენი გაზეთი თავის ეროვნულ დანიშნულებას ერთი წუთითაც არ უღალატებს *[გაზ. "სამუსლიმანო საქართველო", №1, 1919]*, რომ მან უნდა განამტკიცოს იდეა სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს პოლიტიკური მთლიანობისა, რომ საქართველოს ფარგლებში ფართო ავტონომიურ ნიადაგზე შევიდეს სამუსლიმანო საქართველო, დაახლოვოს სულიერად ერთმანეთთან მუსლიმანი და ქრისტიანი ქართველები *[გაზ. "სამუსლიმანო საქართველო", №5, 1919]*.

მემედ აბაშიძე მუსლიმან ქართველებს არაერთხელ მიმართავდა – *"ჩვენი ერთადერთი გზა, ერთადერთი ბედნიერება საქართველოსთან ერთობაშია, ფართო ავტონომია საქართველოს ფარგლებში – აი, რა გვიხსნის ჩვენ! სხვა გზა არ არის"* *[გაზ. "სამუსლიმანო საქართველო", №295, 1920]*. სწორედ აღნიშნულმა გარემოებებმა შექმნეს აჭარის ავტონომიური მმართველობისათვის მხარდაჭერის აუცილებლობა გარეშე თუ შინაური რეაქციის წინააღმდეგ საბრძოლველად და საუკუნეების განმავლობაში თურქთაგან მიტაცებულ, საქართველოს ამ ძირძველ ისტორიული მხარეში, ქართული ორიენტაციის საბოლოოდ გასამარჯვებლად. ხოლო რაც შეეხება ბრესტის ზავით გათვალისწინებულსამუსლიმანო საქართველოში ოსმალთა მიერ ჩატარებულ ე. წ. რეფერენდუმს, მისი შედეგები არ სცნო თვით მისმა მოკავშირე გერმანიამ და არც კონსტანტინეპოლის საზავო კონფერენციამ, რის შესახებაც ჩვენ საუბარი გვაქვს არა ერთ ნაშრომში *[ოქროპირიძე, 2001; ოქროპირიძე, 2011: 115-126; ოქროპირიძე, 2014: 159-171]*.

ეს იყო გადამწყვეტი ბრძოლა მაშინდელი სამუსლიმანო საქართველოს, კერძოდ აჭარის, დედასამშობლოს შემადგენლობაში საბო-

ლოდ დასაბრუნებლად, რომელიც ისტორიული სამართლიანობის აღდგენით დასრულდა. ამიტომაც ამ მოვლენათა ზემოთ მოყვანილ ე. წ. სამახსოვროში აღნიშნული თვალსაზრისით განხილვა, არა მარტო ისტორიული ჭეშმარიტების გაყალბება და ვიდაციისთვის სასურველის, სინამდვილედ წარმოჩენის ცდაა, არამედ ჩვენს კუთხეში შეუქცევადად აღორძინებული ქართული ეროვნული თვითშეგნებისა და ზოგადქართული სულისკვეთების შეურაცხყოფაც, რაც სრულებითაც არ ემსახურება ორი მეზობელი სახელმწიფოს კეთილმოსურნეობით ნაკარნახევ, სამომავლო პერსპექტივაზე გათვლილ ურთიერთობებს.

აქვე უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ავტორი სვამდა კითხვას, თუ “რატომ დაემთხვა ერთმანეთს მენშევიკებისა და ბოლშევიკების პოზიცია აჭარისათვის ავტონომიის მიცემის საკითხში?” *[ჩაგლეი-შეილი, 1993: 6]*. ამის შესახებ ავლნიშნავ, რომ პოზიციების გარეგნული დამთხვევა არაფერს ნიშნავს და მენშევიკების (ვგულისხმობთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას – უ. ო.) და ბოლშევიკების პოზიცია ამ საკითხში, არაფრით შეიძლებოდა ერთმანეთს დამთხვეოდა, რადგან მათ ამოძრავებდათ სრულიად განსხვავებული მიზნები: – პირველი, მოზღვაგებული მოძალადეების წინააღმდეგ, იბრძოდა საქართველოს ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის განსამტკიცებლად, – მეორე კი თავად ძალადობით მოსული, თავისივე ხელისუფლების შენარჩუნებისა და განმტკიცების მიზნით, ქართველი ხალხის ზურგს უკან, გაურიგდა სწორედ ამ მოძალადეებს და იკისრა მათ შორის ქართველი ხალხის ნების იგნორირებით დადებული, მისი სუვერენული უფლებების შემლახავი და სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ხელშეკრულებების განაღდება, *[ოქროპირიძე, 2001]*, რომელთა შორის, უპირველეს ყოვლისა, ყარსის ხელშეკრულება იგულისხმება.

1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის ე. წ. ხელშეკრულების ირგვლივ ამ ბოლო დროს ისევ გაღვივდა ვნებათაღელვანი და ერთ-ერთი ქართველი “ექსპერტ-მკვლევარი” სიმონ კილაძე ინტერნეტში მის შესახებ, სხვათა შორის, ისტორიული მასალის საკმაოდ დიდი ნაწილის ობიექტური წარმოჩენის შემდეგ, “კასრი თავლის ერთი წვეთი კუპრით გაფუჭების” პრინციპით, გამოთქვამს შემდეგ მოსაზრებას: “1992 წელს თურქეთთან გაფორმებული ჩარჩო ხელშეკრულება, რომელშიც ჩაიწერა ყარსის ხელშეკრულება ძალაშია... არც ყარსის და არც რუსეთ-თურქეთის მოსკოვის ხელშეკრულებაში, (იგულისხმება 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულება – უ. ო.) საიდანაც გამომდინარეობს ყარსის ხელშეკრულება, არ არის მითითებული ვადა...”, ამასთან, თითქოსდა, “საქართველო ვერ მოახერხებს ყარსის ხელშეკრულების დენონსაციას, იმიტომ რომ მასში ჩართულია მესამე



**მხარეც. მაშინ ამიერკავკასიის რესპუბლიკები – საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი – გამოდიოდნენ ერთ მხარედ...**

საქმე ისაა, – აგრძელებს ბ-ნი სიმონი, – რომ ეს ხელშეკრულება არ არის დამოუკიდებელი დოკუმენტი. **ის დაკავშირებულია მოსკოვის რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულებასთან...** (სწორედ ეს გარემოება ქმნის მისი დაუყოვნებლივ ბათილად ცნობის საერთაშორისო სამართლებრივ საფუძველს, რის შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ – უ. ო.). საქართველოს თეორიულად შეუძლია განაცხადოს, რომ გამოდის ამ ხელშეკრულებიდან, მაგრამ უნდა ვიანგარიშოთ, რა მოჰყვება ამას?!.. გამოდის, რომ საზღვრები გვრჩება უპატრონოდ და მისი დადგენა უნდა დავიწყოთ ხელმეორედ... დაგვეთანხმება ამაზე თურქეთი?! იქვე დადგება აჭარის საკითხიც – ამბობს ავტორი და რეზიუმეს სახით აკეთებს დასკვნას: **“...ყარსის ხელშეკრულების დენონსაციის მოთხოვნა ფანტასტიკის სფეროა...”** [impress/2016/01]. ხოლო იგივე ავტორი გაზეთში “კვირის პალიტრა” ფართოდ განიხილავს საქართველოს ისტორიის სხვა საკითხებთან ერთად ყარსის ხელშეკრულებასა და მასთან დაკავშირებულ პრობლემებსაც და ზემოთ დასახელებული იმავე პრინციპით აკეთებს საბოლოო დასკვნას: **“საქართველომ არც ის უნდა დაივიწყოს, რომ ყარსის ხელშეკრულება, შეიძლება ითქვას “უკვდავია”... იქვე იმეორებს ძველს და ამასთანავე აყენებს შემდეგ ახალ დებულებებს: ა) ცალმხრივად მისი დენონსაცია შეუძლებელია, რადგან საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი დოკუმენტში ერთი მხარის სტატუსით სარგებლობენ. მართალია, დღევანდელი სომხეთი ყარსის დებულებებს სასაზღვრო საკითხებში არ აღიარებს, მაგრამ აზერბაიჯანისათვის ყარსის ხელშეკრულებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს – ნახჭევანის კუთვნილების გამო; ბ) სანამ არსებობს მოსკოვის ხელშეკრულება, იარსებებს ყარსის დოკუმენტის პირობებიც, რადგან რუსეთი და თურქეთი მოსკოვის ხელშეკრულებას ურთიერთობის მომწესრიგებელ უმთავრეს და უპირველეს სამართლებრივ აქტად მიიჩნევენ. მას დღესაც უვადოდ თვლიან. ყოველწლიურად განსაკუთრებულად აღნიშნავენ მისი ხელმოწერის დღესაც და შესაბამისად, გინდაც გაგაუქმოთ, ამით საქმე არ გამოსწორდება, რადგან ძალის თავი მოსკოვშია დამარხული”** [გაზ. “კვირის პალიტრა”, 2011].

აი, თურმე რაში ყოფილა საქმე!.. როგორც ჩანს, “ექსპერტ-მკვლევარის” მიერ მთელი რიგი ისტორიული მოვლენების სტატიაში შედარებით ობიექტური წარმონეხა იმას ემსახურება, რომ ბოლოს დასკვნის სახით ეს „უტყუარი“ დებულება შეეთავაზებინა მკითხველისათვის. მაგრამ საკვირველი ის არის, რომ თურმე **“დღევანდელი სომხეთი ყარსის დებულებებს არ აღიარებს”, ხოლო აზერბაიჯანისთვის მას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონია ნახჭევანის კუთვნილების**

გამო, და მარტო საქართველო ყოფილა ვაღდებული ყოველთვის აღიაროს და ანგარიში გაუწიოს მას, მიუხედავად იმისა, შეიცავს მისთვის რაიმე სასარგებლოს და ლახავს თუ არა მის სასიცოცხლო ინტერესებს. ამასთან, აღნიშნულ ავტორს, როგორც ჩანს, არაფერი გაუგია იმის შესახებაც, რომ საქართველოს სუვერენულ უფლებებზე მოძალადე ბოლშევიკური რეჟიმის პირდაპირმა სამართალმემკვიდრემ, თავად საქართველოს კომუნისტურმა მმართველობამ “საქართველოს უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიაზე დაგმო, დაპყრობა და ანექსია უწოდა 1921 წლის 25 თებერვლის გასაბჭოების ფაქტს. ბათილად გამოაცხადა ყველა კანონი და დეკრეტი, მას შემდეგ მიღებული ქართველი ხალხის სახელით” *[დამოუკიდებლობა, 1990: 4-9]*; ყოველივე ამან სათანადო ასახვა ჰპოვა დოკუმენტებში – 1990 წლის 9 მარტის “საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ” *[საქართველოს სსრ., №3, 1990: 8-10]* და იმავე წლის 20 ივნისის “საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის შესახებ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 9 მარტის დადგენილებაში დამატებების შეტანის თაობა-ზე” *[საქართველოს სსრ., №6, 1990: 11-12]*. რომელთაგან პირველში პირდაპირ ნათქვამია: “მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტის დაცვის გარანტია შეიძლება იყოს თვით რესპუბლიკა...” (როგორც ჩანს, ჩვენი ქვეყნის აღნიშნულ უფლებას არ აღიარებენ ს. კილაძე და მისი მიმდევარნი...). იქვე აღნიშნულია, რომ “საქართველო სსრ უზენაესი საბჭო ადასტურებს საქართველოს და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევას და პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების საკითხთა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს კომისიის დასკვნას და აღიარებს, რომ 1921 წლის თებერვალში საქართველოში საბჭოთა ჯარების შემოყვანა და მთელი ტერიტორიის დაკავება სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენდა სამხედრო ჩარევას (ინტერვენციას) და ოკუპაციას არსებული პოლიტიკური წყობილების დამხობის მიზნით, ხოლო პოლიტიკური თვალსაზრისით – ფაქტობრივ ანექსიას; გმობს საქართველოს ოკუპაციას და ფაქტობრივ ანექსიას საბჭოთა რუსეთის მიერ, როგორც საერთაშორისო დანაშაულს და ესწრაფვის საქართველოსთვის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის შედეგების გაუქმებას და საბჭოთა რუსეთის მიერ ამ ხელშეკრულებით აღიარებული საქართველოს უფლებების აღდგენას.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო აცხადებს უკანონოდ და ბათილად 1921 წლის მუშურ-გლეხურ ხელშეკრულებას საქართველოს სსრ-სა და რუსეთის სფსრ-ს შორის, 1922 წლის 12 მარტის სამოკავშირეო ხელშეკრულებას ამიერკავკასიის სფს-ს რესპუბლიკების შექმნის შესახებ.

დაიწყო მოლაპარაკება საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის შესახებ, ვინაიდან 1922 წლის 22 დეკემბრის ხელშეკრულება სსრ კავშირის შექმნის შესახებ საქართველოს მიმართ არაკანონიერია... ხოლო 1990 წლის 20 ივნისის დოკუმენტში აღიარებულია, რომ "...ინტერვენციისა და ოკუპაციის შედეგად საქართველოში დამყარებული ხელისუფლება – ჯერ არაარჩევითი ხელისუფლება (რევოლუციური კომიტეტი), ხოლო შემდეგ შეზღუდული, ვიწრო კლასობრივ საწყისებზე აგებული საბჭოები – არ გამოხატავდა ქართველი ხალხის ჭეშმარიტ, თავისუფალ ნება-სურვილს; საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო აცხადებს უკანონოდ და ბათილად ყველა აქტს, რომელიც აუქმებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ და სხვა ინსტიტუტებს და ცვლიდა მათ გარეშე ძალაზე დამყარებული პოლიტიკური და სამართლებრივი დაწესებულებებით”...

ყოველივე ზემოთ აღნიშნული საშუალებას გვაძლევს სრულიად დავეთანხმეთ საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანება “მრგვალი მაგიდის პოლიტიკურ კონცეფციაში” ჩაწერილ დებულებას, რომ “საქართველოში 1921 წლის 17 მარტის შემდეგ, როდესაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ დროებით შეაჩერა საქართველოს კონსტიტუცია, ადგილი არ ჰქონია არცერთ კანონიერ სახელმწიფოებრივ აქტს, რის დეკლარირებაც თავად საქართველოს კომუნისტურმა ხელისუფლებამ და მისმა უზენაესმა საბჭომ მოახდინა, რომელიც ზემოთ აღნიშნული აქტებით (თავისი დანაშაულის შეგნებითა და პირდაპირი აღიარებით – უ. ლ.), ბათილად ცნობს, როგორც უკანონოს, ყველა შემდეგდროინდელ სახელმწიფოებრივ დოკუმენტს, მათ შორის საკუთარ თავსაც” *[ქურნ. “გუშაგი”, 1990: 16]*. აქ კი, უპირველეს ყოვლისა, უკანონოდ და ბათილად არის ცნობილი, როგორც 1921 წლის 21 მაისის საქართველოს სსრ-სა და რუსეთის სფსრ-ს შორის დადებული ხელშეკრულება, ასევე 1922 წლის 12 მარტის შეთანხმება ამიერკავკასიის სამოკავშირეო სფსრ რესპუბლიკის შექმნის შესახებ (1921 წლის 13 ოქტომბერს კი, ყარსის ხელშეკრულების დადებისას, ამიერკავკასიის სფსრ არც არსებობდა). ამის შესახებაც აღნიშნულმა “ექსპერტ-მკვლევარებმა” და მათმა ამყობა-დამყობებმა, თითქოსდა არაფერი იციან და არც სურთ იცოდნენ, რადგან მათთვის მთავარია ე. წ. ყარსის ხელშეკრულების “უკვდავება” დაამტკიცონ და არაფრად დაგიდევინ მის გარშემო თუნდაც ამ აქტების მიღების შემდეგ შექმნილ რეალურ ვითარებას; რომ აღარაფერი ვთქვათ 1921 წლის 13 ოქტომბრის განმსაზღვრელ ამავე წლის 16 მარტის მოსკოვის რუსეთ-თურქეთის შეთანხმებაზე, რომლითაც მოხდა მათი ერთობლივი აგრესიის შედეგად მოპოვებული, ჯერ კიდევ ცოცხალი ნადავლის (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს კონსტიტუცია

დროებით შეაჩერა და მისმა მთავრობამ საქართველო დატოვა 1921 წლის 17 მარტს) გაყოფა და მისი პირველი მუხლით თურქეთს გადაეცა საქართველოს კუთვნილი ტერიტორია ართვინ-არდაგანის ოლქი, 13046 კვ. კილომეტრის მოცულობით *[ნათელაშვილი, 1990]*.

ასე, რომ ყარსის ხელშეკრულებამ სათავე დაუდო საქართველოს დაქუცმაცებას, რის შედეგადაც ქვეყნის ტერიტორია 91,1 ათასი კვ. კილომეტრიდან (ეს ტერიტორიები საქართველოს შემადგენლობაში, შესაბამისი ციფრობრივი მონაცემით ცნობილი იქნა ერთა ლიგის მიერ 1918 წელს...), 69,7 ათას კვ. კილომეტრამდე შემცირდა *[სარალიძე, 2016: 286]*.

ეტყობა, “შეკვლევარ-ექსპერტებს” არც ამის შესახებ სურთ რაიმეს გახსენება და, რა თქმა უნდა, არც არაფერს იტყვიან საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით აღნიშნულ ხელშეკრულებათა სრულ უკანონობასა და ბათილად ცნობაზე.

მოსკოვისა და ყარსის ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულებები კი უკანონო და ბათილია დღეს საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმით შემდეგ გარემოებათა გამო: 1969 წლის საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ ვენის კონვენციამ დააკანონა პრინციპი საერთაშორისო ხელშეკრულებების მესამე სახელმწიფოზე გაუზრცელებლობის შესახებ (მუხლი 34). კერძოდ, ორ ქვეყანას შორის დადებული შეთანხმება, რომელიც ლახავს მესამე სახელმწიფოს ინტერესებს, მით უფრო თუ იგი დაფუძნებულია ძალადობასა და აგრესიაზე, ითვლება ბათილად *[ნათელაშვილი, 1990]*.

იმავე კონვენციის 52-ე მუხლის თანახმად, ძალით დადებული ხელშეკრულებები ითვლება ბათილად. იმ დროისათვის საქართველო რომ ძალით იყო დაპყრობილი, უკვე საყოველთაოდ ცნობილია და ეს ამ დანაშაულის ჩამდენ-თანამონაწილემაც აღიარა საქართველოს კომუნისტური ხელისუფლების და მისი უზენაესი საბჭოს სახით; 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს სუვერენული დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ საბჭოთა რუსეთმა, ქემალისტურ თურქეთთან ტანდემში, მოახდინა აგრესია, რასაც შედეგად მოყვა საქართველოს სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის გაქრობა მსოფლიო პოლიტიკური რუკიდან.

ვენის ამავე კონვენციის 52-ე და 53-ე მუხლების თანახმად საერთაშორისო ხელშეკრულება, კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საერთაშორისო სამართლის ისეთ იმპერატიულ პრინციპებს, როგორცაა ძალის გამოუყენებლობა და აგრესიის დაუშვებლობა, საზღვრების ურღვევობა და ხელშეუხებლობა, სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობა.

როგორც ცნობილია, მოსკოვის აღნიშნული შეთანხმება და მისგან გამომდინარე ყარსის ხელშეკრულება ამ მოთხოვნათა დარღვევის

**კლასიკური ნიმუშია.** ამ დოკუმენტების უკანონობა იმდენად აშკარა იყო, რომ სტალინის რეჟიმიც კი, იძულებული გახდა 1945 წლის 19 მარტს მოეხდინა 1925 წლის საბჭოთა კავშირ-თურქეთის ხელშეკრულების დენონსაცია. უარი ეთქვა თურქეთთან სამოკავშირეო ურთიერთობაზე და პოტსდამის კონფერენციაზე ოფიციალურად დაეყენებინა ტერიტორიული პრეტენზია – ყარსისა და არდაგანის რეგიონში საზღვრების გასწორებაზე.

და ბოლოს, ყველაფერ ზემოთ ნათქვამს თავი რომ დავანებოთ, 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულების დადების დროს საქართველო უკვე აღარ იყო საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, ხოლო ასეთი დოკუმენტები შეიძლება დაიდოს მხოლოდ სუბიექტებს შორის *[ნათელაშვილი, №28, 1992]*.

აღარაფერს ვამბობთ 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში მომხდარი სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების შედეგად საქართველოს ხელისუფლებაში მოსულ ე. შვეარდნაძის უკანონო რეჟიმის მიერ 1992 წლის 30 ივლისს თბილისში საქართველო-თურქეთს შორის დადებულ ხელშეკრულებასა და მის სამართლებრივ შედეგებზე, რადგან ზემოთ დასახელებული მიზეზების გამო, მასში ყარსის ხელშეკრულების მოხსენიება საერთაშორისო სამართლებრივი ნონსენსია.

ყველაფერ ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ გავიმეორებთ ჩვენს მიერ აღრევე დასმულ კითხვას: როდესაც ვლადპარაკობთ ურთიერთშორის კეთილმეზობლურ და მეგობრულ ურთიერთობებზე, ნუთუ თურქეთის სახელმწიფოს მესვეურთ არ აფიქრებთ ის ფაქტი, რომ არც 1921 წლის ყარსისა და არც 1992 წლის საქართველო-თურქეთის თბილისის ხელშეკრულებებზე ხელმოწერა არ გაუკეთებია საქართველოს უფლებამოსილ, ლეგიტიმურ, კანონიერ ხელისუფლებას და როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში მან ხელშეკრულება გააფორმა ქართველ ხალხზე აშკარად მოძალადე უზურპატორებთან?! თუ ვიფიქროთ, რომ თურქეთის მთავრობისა და ხელისუფლების წარმომადგენელთათვის სულ ერთია, ოღონდაც დროებით მათთვის რაიმე სასარგებლო მიიღონ და რა გზით, ეს სრულებითაც არ ანადვლებთ?! ანდა, ორივე შემთხვევაში ეს ჩვენთან კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობის მოსურნე ოსმალეთი თუ თურქეთი, რატომ აღმოჩნდა ქართველი ხალხის ნების უარმყოფელთა მხარეს?!

ჩვენ კარგად ვიცით, – ამ უახლეს მეზობელთან (და სხვებთანაც) კეთილმოსურნე და მეგობრულ ურთიერთობას, ალტერნატივა არა გააჩნია, მაგრამ ისიც კარგად ვიცით, რომ იმპერიული სულისკვეთების მატარებელი სახელმწიფოები შეიძლება ისევე გაქრნენ ისტორიის ასპარეზიდან, როგორც ეს წინათაც მომხდარა, – ეს კითხ-

ვები კი დარჩება სამარადისოდ, თუ ქართველი ხალხის ნამდვილ წარმომადგენელთან, რომელიც ამისათვის აუცილებელი ქართველი ხალხის ნდობის მანდატით არ იქნება აღჭურვილი, არ გადაწყდება მათი მოგვარება” [ოქროპირიძე 2014: 159-171 (166-167)].

გვინდა აქვე შევეხოთ ზემოთ ჩვენს მიერ გამოყენებული, თურქეთში გამოცემული კრებულის შესავალში გამოთქმულ მრავალმხრივ დამაფიქრებელ კიდევ ერთ პასაჟს, რომ “აჭარისა და აჭარლების თვითმყოფადობის მომავალს განამტკიცებენ აჭარელი ინტელექტუალები” [The cultural association..., №1: 1]. რა შეიძლება ვთქვათ ამის შესახებ? – რომელი აჭარისა და აჭარლების თვითმყოფადობის მომავლის განმტკიცებაზეა ლაპარაკი და რომელი “აჭარელი ინტელექტუალების” მიერ?!

აჭარამ უკვე კარგა ხანია შეუმცდარად გაიგნო გზა დედა-სამშობლო საქართველოს გულისაკენ და იგი დღეს ქართული სახელმწიფოს, ქართული სოციალურ-პოლიტიკური, ქართული კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების წინმსვლელობის ერთ-ერთი უმთავრესი ბურჯი-ბურჯთაგანია და მას საკუთარი თვითმყოფადობის განსამტკიცებლად არავის ნაძალადევი მეურვეობა არ სჭირდება.

მითუმეტეს, რომ ჩვენ კარგად ვხედავთ, თუ საქართველოს ძნელბედობის ჟამს ზოგიერთი აჭარელი თუ უცხოელი “ინტელექტუალების” მიერ მოტყუებული და მუჰაჯირებად ქცეული, ამასთან თურქეთის საქართველოში მცხოვრები ჩვენი სისხლი და ხორცი, როგორ კარგავს სწორედ საკუთარ ინდივიდუალობას და ეს წარსულში ქართული კულტურის უდიდესი აკვანი, თანდათანობით როგორ ეფლობა ეროვნული გადაგვარებისა და გათურქების პროცესში.

ჩვენ ამ პროცესის შეჩერების გზაზე, დიდ იმედად გვესახებოდა თურქეთში ჯერ კიდევ ძლივს შემორჩენილ ქართულ სოფლებში ქართული სკოლების გახსნა; მაგრამ, როგორც 2015 წლის სექტემბერში თურქეთის საქართველოში (ტაო-კლარჯეთი) ექსპედიციის დროს დავრწმუნდით, ამ იმედს აღსრულება არ უწერია; თურქეთის ოფიციალური ხელისუფლება ამის დეკლარირებას დიდის ამბით ეწევა, მაგრამ, როგორც გავიგეთ, ქართულ სოფლებში სკოლებს საერთოდ აუქმებს და აქაურ მოსწავლეთა კონტიგენტს თავს უყრის საქალაქო ცენტრებში სწორედ ამ მიზნით დაარსებულ სპეციალურ სკოლებში. აქ ბავშვებისთვის ოჯახებში ნასწავლი ქართულის შენარჩუნებაც კი შეუძლებელია, რადგანაც სწავლება მხოლოდ სახელმწიფო, თურქულ ენაზე მიმდინარეობს. შეიძლება სადმე შემორჩენილიც იყოს ერთი-ორი საჩვენებელი ქართული სკოლაც, მაგრამ ქართული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად ეს ზღვაში წვეთია. შეიძლება უმოკლეს დროში მათი ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობისაგან აღარაფერი დარჩეს და მათი საბოლოოდ გათურქების პროცესი სამწუ-

ხარო რეალობად იქცეს. ამის გამო სასტიკად ირღვევა თურქეთის საქართველოში მცხოვრები უძველესი აბორიგენი მოსახლეობის, ამ უნიკალური ისტორიული უნიკუმის საერთაშორისო აქტებით გათვალისწინებული ფუძემდებლური პრინციპები და მათგან გამომდინარე უძირითადესი უფლებები.

აქედან გამომდინარე, თურქეთის საქართველოში და საერთოდ, თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეებისადმი დარღვეულია გაეროსა და სხვა საერთაშორისო აქტებით გათვალისწინებული უფლებები: 1960 წლის 14 დეკემბრის “კონვენცია განათლების დარგში დისკრიმინაციასთან ბრძოლის შესახებ”, კერძოდ, მისი მე-3 მუხლის ა) პუნქტი განათლების დარგში დისკრიმინაციული ხასიათის აღმინისტრაციული პრაქტიკის მიუღებლობისა... ც) პუნქტი, – ეროვნულ უმცირესობათა უფლება, ეწეოდნენ საკუთარ საგანმანათლებლო მუშაობას, ხელმძღვანელობდნენ სკოლებს, იყენებდნენ და ასწავლიდნენ საკუთარ ენას და სხვა [გაეროს ძირითადი დოკუმენტები., 1995: 241];

თუმცა ჩვენ ისიც კარგად ვუწყით, რომ ამავე კონვენციის მიხედვით, “ამ უფლების განხორციელება ხელს არ უნდა უშლიდეს იმ პირთ, რომლებიც ეროვნულ უმცირესობას ეკუთვნიან ესმოდეთ მთელი კოლექტივის კულტურა და ენა და მონაწილეობდნენ მის საქმიანობაში”... და ამასთან, უზრუნველყოფილი იყოს სახელმწიფოს უფლება, რომ “ეს პირს არ გამოუთხრის ქვეყნის სუვერენიტეტს” [იქვე, მე-5 მუხლის c პარაგრაფის I პუნქტი].

აგრეთვე უზღუდებლყოფილია “ევროპის ქარტია რეგიონალური და უმცირესობათა ენების შესახებ” [ადამიანის უფლებათა., 1999: 132-144]; მისი II ნაწილის მე-7 მუხლის I პარაგრაფის a, b, c, h პუნქტები და ამავე მუხლის მე-2 პარაგრაფი, თითქმის მთელი III ნაწილის მე-8 მუხლი, “განათლება”, ამასთან “ჩარჩოკონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ”, მისი მე-4, მე-5 და განსაკუთრებით, მე-14 მუხლი, რომელიც აღიარებს, რომ “ყოველ პირს, ეროვნულ უმცირესობას რომ ეკუთვნის, აქვს უფლება შეისწავლოს თავისი უმცირესობის ენა... ან ისწავლოს ამ ენაზე...” [იქვე, 145-152]; კანონი მიღებულია 1995 წ. 1 თებერვალს. ან კიდევ, “ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის მონაწილე სახელმწიფოთა ვენის შემაჯამებელი დოკუმენტის” [იქვე, 179-185] ეროვნულ უმცირესობათა უფლებებისადმი მიძღვნილი მე-18 და მე-19 მუხლები, რომლებიც ეხება ეროვნულ უმცირესობათა უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვას, მათ შორის, მათთვის ეთნიკური, კულტურული ენობრივი და რელიგიური თვითმყოფადობის წახალისებას [იქვე, 183].

ასე, რომ ყველანაირად გზაგაგნებული და დედა-სამშობლო საქართველოს წიაღში საბოლოოდ დაბრუნებული აჭარისადმი ვერავის პრეტენზიებს სერიოზულად ვერ მივიღებთ; პირიქით, თუ ჩვენთან ამ

სულისკვეთებით ურთიერთობის გაგრძელებას მონდომებს ვინმე, ამან შეიძლება გვაიძულოს ბევრი რამ კვლავ გავიხსენოთ... მაგრამ, სიამოვნებით მინდა ავღნიშნო ერთი რამ: ზემოთ ჩვენს მიერ მოხსენიებული თურქეთის ექსპედიციის დროს მეტად სასიამოვნოდ აღვითქვით ფაქტი, რომ თურქეთის საქართველოს ჩვენს მიერ ნახულ თითქმის ყველა ცნობილ ქართულ ისტორიულ კულტურულ ძეგლზე თურქულსა და ინგლისურთან ერთად, ტრაფარეტის სახით გაკეთებულია ქართულ ენაზე დაწერილი მოკლე ისტორიები, მათი ამშვენებელი ქართველი მეფეებისა თუ ისტორიული მოღვაწეების აღნიშვნით (ხახულის ტაძარზე ეს გაკეთებულია ლათინური ასოებით). საიდანაც კარგად ჩანს, რომ სურვილის შემთხვევაში, ჩვენს ორ მეზობელ ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის ურთიერთპატივისცემასა და კეთილმოსურნეობაზე აგებული ურთიერთობის მიღწევა პრობლემას არ წარმოადგენს. ეს მისასაღმებელია და სამომავლოდ კარგ, იმედის მომცემ პერსპექტივას სახავს ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის გასაგრძელებლად.

რაც შეეხება უცხოელი და განსაკუთრებით, ქართველი “მკვლევარ-ექსპერტების” მიერ ბრესტის ზავის, მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებათა, რბილად რომ ვთქვათ, არაადეკვატურ აღქმას, განსაკუთრებით, ორი უკანასკნელის ხელახლა გამოცოცხლებისა და ”უკვდავად” გამოცხადების ცდებს, ამის არავითარი რეალური საფუძველი არ არსებობს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ უკვე ისტორიის ასპარეზიდან წასული მათი შემოქმედი ძალების სამართალმემკვიდრეთა მიერ აშკარა აგრესიის ისევ დაშვების შესაძლებლობას. თუმცა ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჯერ კიდევ არსებულ პრობლემათა გადაწყვეტას საქართველოს კანონიერ, სრული ლეგიტიმურობით აღჭურვილ ხელისუფლებასთან მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით მოგვარებას, ალტერნატივა არ გააჩნია, რა თქმა უნდა, ურთიერთსასარგებლო კონსენსუსებისა და ერთმანეთის ინტერესთა, შესაძლებლობის ფარგლებში, ყოველმხრივ გათვალისწინების მეშვეობით.

ამასთან, აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ქართველი ე. წ. “მკვლევარ-ექსპერტები”, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ჩარჩენილები არიან საბჭოთა კავშირისა და მისი იდეოლოგიის ინტერესთა სამსახურის ჩარჩოებში და თავიანთი ქმედებებით კვლავ ცდილობენ ქართული საზოგადოებრივი აზრის დაშინებას, საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით არარსებულ საფრთხეებზე მითითებით, რომლებიც ზემოთ განხილული “შეთანხმებების” გამო, თითქოსდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ემუქრება. ამით ისინი, ერთი მხვრივ, იმპერიული საბჭოთა კავშირის მემკვიდრე რუსეთის ინტერესების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, თურქეთისაგან მოსალოდნელი “საფრთხით” გვაშინებენ, მეორე მხვრივ კი, იქეთ თურქეთს უქნევენ ხელს და ამ



“კოზირის” მის სასარგებლოდ გამოყენების შესაძლებლობაზე მიუთითებენ, რაც ასევე ქართული საზოგადოებრივი აზრის დაშინებაზეა გათვლილი. ორივე შემთხვევაში კი, მიზანი ერთია – საქართველოსადმი გარკვეული შესაძლო ფარული პრეტენზიების მქონე ამ ორ უცხო სახელმწიფოებისადმი ჩვენს საწინააღმდეგოდ სამოქმედო გეგმის შეთავაზება, ბლექის ეფექტის გამოყენებით. თორემ ამ “ექსპერტ-მკვლევარებმა” კარგად იციან (ყოველ შემთხვევაში უნდა იცოდნენ, როდესაც ასეთ სერიოზულ და შორს გამიზნულ პოლიტიკურ პრობლემებზე მსჯელობენ – უ. ო.), და უპირველეს ყოვლისა, რუსეთისა და თურქეთის სახელმწიფოთა მესვეურებმა იციან ყველაზე უკეთ, ამ ე. წ. ხელშეკრულებების ნამდვილი ფასი, თუკი ისინი ქართული სახელმწიფოს მიმართ აგრესიას არ ისახავენ მიზნად.

ამ შემთხვევაში კი “მკვლევარ-ექსპერტები”, ეს ჩვენი მარადიული ეფიალტები, ასეთი აგრესიის გასამართლებლად, უბირ ხალხზე გათვლილი საბაბის შექმნას ცდილობენ და აქედან გამომდინარე, თავად განსაჯეთ, ვინ არიან ისინი... სწორედ ამ მიზნით არიან, ეს სიბარიტები, ჩანერგილი ჩვენი ქვეყნის შიგნით უცხო სახელმწიფოთა სპეცსამსახურების მიერ და აქ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ზუსტად ეს არის ამ კასტის მიერ მათი ძვირად ღირებული, პრესტიჟული ცხოვრებისათვის გადახდილი რეალური საფასურიც.

ამ ურთულესი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი – ლუსტრაციის კანონია.

### **გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:**

**ადამიანის უფლებათა., 1999:** – ადამიანის უფლებათა ევროპის აქტები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ბათუმი;

**გაეროს ძირითადი დოკუმენტები., 1995:** – გაეროს ძირითადი დოკუმენტები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, ქართული თარგმანი და ტექსტის რედაქტირება, ვლადიმერ ცეცხლაძისა;

**გაზ. “ერთობა”, №230, 1919** – გაზ. “ერთობა”, №230, 1919 წლის 10 ოქტომბერი;

**გაზ. “ერთობა”, №224, 1919** – გაზ. “ერთობა”, №224, 1919, 3 ოქტომბერი;

**გაზ. “ერთობა”, №76, 1920** – გაზ. “ერთობა”, №76, 1920 წლის 9 აპრილი;

**გაზ. “სამუსლიმანო საქართველო”, №1, 1919** – გაზ. “სამუსლიმანო საქართველო”, №1, 1919 წლის 11 იანვარი;

**გაზ. “სამუსლიმანო საქართველო”, №5, 1919** – გაზ. “სამუსლიმანო საქართველო”, №5, 1919 წლის 17 იანვარი;

**გაზ. “სამუსლიმანო საქართველო”, №295, 1920** – გაზ. “სამუსლიმანო საქართველო”, №295, 1920 წლის 17 თებერვალი;

**გაზ. “კვირის პალიტრა”, 2011** – გაზ. “კვირის პალიტრა”, 2011 წლის 13 ოქტომბერი;

**დამოუკიდებლობა, 1990:** – დამოუკიდებლობა, ჟურნ. “გუშაგი”, 1990 წლის №22, პარიზი;

**ნათელაშვილი, 1990:** – ნათელაშვილი შ., საქართველოს სამართალი და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, გაზ. “სახალხო განათლება”, 1990 წლის 23 აგვისტო;

**ნათელაშვილი, №28, 1992:** – ნათელაშვილი შ., ყარსის ხელშეკრულება: ლენინი, ხრუშჩოვი... ესტაფეტა გრძელდება, გაზ. “7დეი”, №28, 1992 წლის 13-19 აგვისტო;

**ოქროპირიძე, 2001:** – ოქროპირიძე უ., აჭარის ავტონომიის შექმნის ისტორიიდან, ბათუმი;

**ოქროპირიძე, 2011:** – ოქროპირიძე უ., აჭარის ავტონომიის შექმნა, თბილისი;

**ოქროპირიძე, 2014:** – ოქროპირიძე უ., საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, I(14), თბილისი;

**რეგიონალური კონფლიქტები., 2002:** – რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში – სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ (1989-2001), პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, კრებული შემდგენელი და მთავარი რედაქტორი თამაზ დიასამიძე, თბილისი;

**სარალიძე, 2016:** – სარალიძე ლ., ყარსის ხელშეკრულება, საქართველო-თურქეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში, წიგნი II, თბილისი;

**საქართველოს სსრ., №3, 1990:** – საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1990 წლის №3;

**საქართველოს სსრ., №6, 1990:** – საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1990 წლის №6;

**სიორიძე, 1991:** – სიორიძე მ., ბათუმი და სამხრეთ რუსეთის კონტრეკოლუცია (დენიკინი, ვრანგელი), სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები, გამომც. “მეცნიერება”, თბილისი;

**სემიმა, ფ. 4, ს. 87** – საქართველოს ეროვნული მოძრაობის ისტორიის მუზეუმის არქივი, ფონდი 4, საქმე №87;

**სემიმა, ფ. 4, საქმე 90, ტ. II** – საქართველოს ეროვნული მოძრაობის ისტორიის მუზეუმის არქივი, ფონდი 4, საქმე №90, ტ. II;

**ჩავლეიშვილი, 1993:** – ჩავლეიშვილი მ., მემედ აბაშიძე და აჭარის ავტონომია, ბათუმი;

**ჭუმბურიძე, 2007:** – ჭუმბურიძე დ., კიტა აბაშიძე (მოღვაწეობისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ზოგიერთი ასპექტის შეფასებისათვის), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2, თბილისი;

**ჭუმბურიძე, 1999:** – ჭუმბურიძე დ., აჭარის საკითხი 1918-1921 წლებში და ქართული საზოგადოებრივი აზრი, გამომც. “მატიანე”, თბილისი;

« ... »

»

« ... » ;

« ... », 204, 1919 – « ... », #204, 18 1919 ;

**mpress/2016/01** – რატომ განიხილება თურქეთის ვილაეთად აჭარა? – ინტერნეტრესურსი: mpress/2016/01;

**The cultural association...** 1 – The cultural association of Adjara, Iznik-Batum – and the surrounding Areas publication, 1, p. 1-10 (აჭარის კულტურული ასოციაცია, პუბლიკაცია იზნიკი-ბათუმის მახლობელი არეალის შესახებ, №1, გვ: 1-10);

**Ucha Okropiridze**  
(Batumi, Georgia)

### **Once Again, the Brest Treaty, Moscow and Kars**

#### Summary

The article criticized Turkey issued a commemorative fixed some wrong assumptions, mainly concerning the Treaty of Brest-Litovsk (3 March of 1918), Moscow (16 March of 1921) and Kars (13 October of 1921) agreements. Given them by some of the "scientists" erroneous points of view expressed by the documentary and factual material on the basis of international law, the legal disclaimer.

Georgians living in Turkey made a brief analysis of the legal status and proper assessment of the United Nations and the European human rights acts.

The appropriate conclusions.

( , )

,

,

- (1918 . 3.03), (1921 . 13.10) (1921 . 16.03)

,

“ - ”.

,

,

თურქეთის რელიგიური პოლიტიკის ევოლუცია  
აჭარაში და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის  
რეაქცია  
(XX-XXI საუკუნეების მიჯნა)

საბჭოთა იმპერიის ათეისტურ-ანტირელიგიური იდეოლოგია კატეგორიულად კრძალავდა რელიგიასთან მიმართებაში პოლიტიკური სპეკულაციით საკითხების მეცნიერულ გაშუქებას. აღნიშნულმა დამოკიდებულებამ “გარდაქმნის” ეტაპისა და საბჭოთა იმპერიის რღვევის დაწყებისთანავე ცვლილება განიცადა და პოსტსაბჭოთა ეპოქაში განვითარების სათანადო დონეს მიაღწია. თანამედროვე ეტაპზე, საერთაშორისო ასპარეზსა და პოსტსაბჭოთა სივრცეში განვითარებულმა მოვლენებმა, საზოგადოებრივი აზრის თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობამ, ყველანაირი პირობა შექმნა რელიგიასთან მიმართებაში პოლიტიკური სპეკულაციების მიმართულებით კვლევების ჩატარებისათვის.

საბჭოთა იმპერიის დაშლისთანავე, მსოფლიო სახელმწიფოების, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე გავლენის მოპოვების ამბიციებმა მკვეთრად გამოხატული ხასიათი შეიძინა. გარე სახელმწიფოები გააქტიურდნენ პოსტსაბჭოთა სივრცეში რელიგიის დახმარებით შეღწევისათვის. ამ მხრივ, აქტიურობა შეინიშნება როგორც შორეული, ისე მეზობელი სახელმწიფოებიდან *[გიორგაძე, 2015]*.

საბჭოეთის ყოფილ რესპუბლიკებს შორის ზემოაღნიშნულ გავლენას საქართველოს სახელმწიფოც განიცდის, განსაკუთრებით მისი სასაზღვრო რეგიონები: სამხრეთ საქართველო, აჭარა, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი, კახეთის აზერბაიჯანთან სასაზღვრო ზონა. წარმოდგენილ ნაშრომში გაშუქებულია აჭარის რეგიონი, რომელიც ნათლად განიცდის მეზობელი თურქეთის სახელმწიფოს რელიგიურ-პოლიტიკური ზემოქმედების გავლენას.

თურქეთ-საქართველოს ურთიერთობები დინამიურ განვითარებას დაახლოებით გასული საუკუნის 90-იანი წლების შუა პერიოდიდან იწყებს, როდესაც საქართველოში შიდაპოლიტიკური სივრცე მეტ-ნაკლებად სტაბილურდება; რეგულირდება ეთნოპოლიტიკური კონფლიქტური პროცესებიც.

თურქეთისა და საქართველოს ურთიერთობებში ერთ-ერთ პერიოდულად გართულებულ ფაქტორად მოიაზრება აჭარის სტატუსის საკითხი, რომლის მოსახლეობის ნაწილი ისლამს აღიარებს. ეს

პრობლემა პერიოდულად აღმოცენდება კრიზისულ გარემოებებისას, რომელიც თან სდევს ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის დადგინება-აღმშენებლობას. როგორც მკვლევარი ი.მურადიანი აღნიშნავს: "1992-2003 წლებში თურქეთი სამგზის ჩაერთა საქართველოს შიდა საქმეებში და სამჯერვე ერთი და იგივე მიზეზით-აჭარის უფლებების დაკნინება" [The Turkish Yearbook, 2015; , 2008: 113].

ა. აბაშიძის მმართველობის პერიოდში, გეოპოლიტიკური ინტერესებით ორი ძირითადი პოლიტიკური მოთამაშე გამოდის აჭარის რეგიონის ასპარეზზე. მას შემდეგ, რაც აჭარა დატოვა რუსეთის სამხედრო ბაზებმა და საქართველო-რუსეთის ურთიერთობები გაართულდა, თურქეთს საშუალება მიეცა აჭარის ტერიტორიაზე გამხდარიყო ძირითადი შიდაპოლიტიკური მოთამაშე. ასე მაგალითად, თბილისსა და ბათუმს შორის "ვარდების რევოლუციის" შემდეგ, დაძაბულ ვითარებაში თურქეთის მხარემ საკმაოდ მკვეთრად მიანიშნა საქართველოს ახალ ხელისუფლებას, რომ ის დაკვირვებით ადევნებდა თვალყურს მის საზღვართან მიმდინარე პროცესებს. 2004 წლის 17 მარტს, აზერბაიჯანში თურქეთის ელჩმა უჩევიკოზმა განაცხადა, რომ "ყარსის ხელშეკრულების თანახმად, კრიზისული ვითარების შემთხვევაში ანკარა უფლებამოსილია თავისი ჯარი შეიყვანოს აჭარაში", რასაც რუსეთში საქართველოს ელჩმა კ. კემულარიამ უპასუხა, რომ "ყარსის ხელშეკრულება დროის ხანგრძლივობის გამო ძალადაკარგული იყო" [www.regnum.ru.17.03.2004]. იმავე წლის 18 მარტს თურქეთის დელეგაციამ საქართველოში უარჰყო თურქეთის შესაძლო სამხედრო ჩარევის საკითხი აჭარაში შექმნილი სიტუაციის პირობებში - "თურქეთს არასდროს ჰქონია მსაგავსი ქმედების მიზანი" - განაცხადა დელეგაციის ხელმძღვანელმა, თურქეთის საგარეო საქმეთა ექს-მინისტრმა ი.იაკიშმა (www.regnum.ru:2004). მიუხედავად ამისა, ამ ხნის მანძილზე თურქეთის მხარის სტრატეგიული ინტერესები აჭარის რეგიონისადმი არ შეჩერებულა. თავის მხრივ, საქართველოს მხარე საბჭოთა სახელმწიფოს დაშლის დროიდან დიდ ყურადღებას უთმობდა აჭარაში ეროვნული იდენტობისა და ტრადიციული, მართლმადიდებლური ორიენტაციის შენარჩუნება-გაძლიერების საქმეს [ , 2008: 113-114].

დღევანდელი აჭარა საქართველოს მულტიკონფესიური რეგიონია, რომლის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მართლმადიდებლური და მაჰმადიანური აღმსარებლობისაა. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ცნობების თანახმად, დღესდღეობით აჭარის რელიგიური მოზაიკა შემდეგნაირად გამოიყურება: მართლმადიდებლები - 240 552 კაცი, მუსლიმები - 115 161, სომეხი-გრიგორიანელები - 3162, კათოლიკენი - 683, იუდეველები - 161, სხვა კონფესიის მიმდევრები - 6.297 კაცი [www.statistics.ge].

როგორც ისტორიოგრაფიდან არის ცნობილი, აჭარის ისლამიზაცია დაიწყო XVI საუკუნის II ნახევრიდან თურქეთ-ირანის ომების შედეგად ოსმალეთის იმპერიის მიერ აჭარის მიტაცების შემდეგ, და, როგორც მკვლევრები გ.სანიკიძე და ე.უოკერი აღნიშნავენ, "განსაკუთრებით დაჩქარდა აჭარის ისლამიზაციის პროცესი 1820 წლის შემდგომ" [Sanikidze, Walker, 2004]; და მიუხედავად იმისა, რომ აჭარლები ტრადიციულად თავს ქართველებად მოიაზრებდნენ [Sanikidze, Walker, 2004] და ეთნოლინგვისტური კავშირები (აჭარლების მშობლიური ენა ყოველთვის ქართული იყო – ქ.პ.) ჯაბნიდნენ კონფესიურ ფაქტორს, ოსმალურმა მმართველობამ მაინც მიაღწია გარკვეულ დონეზე წარმატებას რეგიონის პოლიტიკური იდენტიფიკაციის მიმართულებით, რამაც გამოიწვია აჭარის მოსახლეობის ერთ ნაწილში პოლიტიკური ორიენტაციის ცვლილება [ , 1998: 242]. აღნიშნულის მაგალითია I მსოფლიო ომის პირობებში, როდესაც ბრძოლების ერთი ეტაპი მიმდინარეობდა აჭარის ტერიტორიის ერთ ნაწილში, მისი მოსახლეობის ნაწილი იბრძოდა თურქეთის სასარგებლოდ რუსეთის კავკასიური არმიის წინააღმდეგ [ , 2003: 160-161].

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, თურქეთის მხარე გააქტიურდა აჭარის მუსლიმთა "დაბრუნების" მიმართულებით, რასაც ხელს უწყობდა ე.წ. "რელიგიის ბუმი", რომელიც მიმდინარეობდა 80-90-იან წლებში.

აჭარის ისლამური მოსახლეობის ერთი ნაწილის კონსოლიდაციას ისლამის გარშემო და მათ მოძრაობას ადგილი ჰქონდა ზ.გამსახურდიას მმართველობის წლებში. ეს მოძრაობა იმდენად ერთმნიშვნელოვნად და ღრმად ვნებდა ქართულ ნაციონალურ იდენტობას მართლმადიდებლობასთან, რომ წარმოუდგენელი იყო ამ პროცესს არ გამოეწვია სერიოზული რეაქცია. 1991 წლის 22-23 აპრილს ბათუმში დაიწყო საპროტესტო გამოსვლები საქართველოს მმართველი ბლოკის "მრგვალი მაგიდის" წინააღმდეგ, სადაც პროტესტანტები აღნიშნავენ აჭარის ძალით გაქრისტიანებას და აჭარის ავტონომიის გაუქმებას [ , 1991].

ა. აბაშიძის მმართველობის პერიოდში, გონივრული პოლიტიკური დაბალანსების პროცესი მიმდინარეობდა ყველა ეთნოკონფესიურ დაჯგუფებებს შორის; მოიძებნა კომპრომისი რეგიონალურ და არარეგიონალურ ცენტრების ძალთა შორის; სოციალურ-პოლიტიკური ვითარება შედარებით დამშვიდდა, თუმცა ეს არ ნიშნავდა იმას, რომ რელიგიურ სფეროში არ მიმდინარეობდა გარკვეული პროცესები. რელიგიისადმი ინტერესი ამოძრავებდა როგორც ოფიციალურ ინსტიტუტებს, ისე სხვადასხვა სახის არაფორმალურ ორგანიზაციებს. აჭარაში შეჭრილ პირველ თურქ პროპაგანდისტებს შორის იყო ნაკლებად ცნობილი ფ.პოლენის დაჯგუფება, რომელიც 37 კაციით ჯერ კიდევ საბჭოთა

კავშირის არსებობის პერიოდში შემოვიდა საქართველოში. ისინი განივრცნენ ბათუმში, თბილისში, ყაზანში, განჯაში, ბაქოში, უზბეკეთში, თურქმენეთში, ტაჯიკეთში, ყაზახეთში. ასე დაიწყო პოლენის თემების მისიონერული მოღვაწეობა [ , 2003: 97]. 2000 წლიდან მათ შეუერთდა აჭარაში მოქმედი ს.თუნახანის მისიონერთა თემები. მათი მოღვაწეობა მრავალმხრივი იყო: ისლამის საკუთარი ინტერპრეტაციით ქადაგება-პროპაგანდა, ახალგაზრდობის რეკრუტიზაცია უცხოეთში სასწავლებლად გაგზავნისათვის, ისლამური ლიტერატურის გავრცელება, ქველმოქმედებითი ღონისძიებები, ძველი მეჩეთების აღდგენა და ახლების აგება, მედრესეების გახსნა და სხვ. 2000 წლისათვის მათ ბათუმში უკვე გააჩნდათ 21 მედრესე [Balci, 2007: 243]. არაფორმალური ორგანიზაციების პარალელურად, აჭარაში ამოქმედდნენ თურქეთის რელიგიათა საქმის წარმომადგენლებიც, რომლებმაც კავშირი დაამყარეს აჭარის მუსლიმთა ოფიციალურ ორგანოსთან – მუფტიატთან. ბათუმში თურქეთის საკონსულოს მეშვეობით დაიწყო ისლამური ლიტერატურის გავრცელება, მეჩეთების სასულიერო პირებით დაკომპლექტება, ახალგაზრდობის სასწავლებლად გაგზავნა თურქეთის უნივერსიტეტების საღვთისმეტყველო ფაკულტეტებზე. უახლესი ცნობების თანახმად, 2006-2008 წლებში 78 ყმაწვილი გაიგზავნა თურქეთში სასწავლებლად [www.sngnews.ge]. ისინი სამომავლოდ აჭარაში თურქეთის კლერიკალური წრეების ინტერესების გამტარებლებად უნდა მომზადებულიყვნენ, რაც შესაბამისად იწვევდა საქართველოს საერო და სასულიერო წრეების შეშფოთებას.

ნიშანდობლივია, რომ ისლამის აჭარაში გავრცელების საქმეში მონაწილეობას იღებს თურქეთის ქართული დიასპორაც. როგორც საქართველოს მუსლიმთა კავშირის ხელმძღვანელი ი.საიდავეი აღნიშნავს: ”უნდა აღინიშნოს თურქეთის ქართული დიასპორის განსაკუთრებული აქტივობა, რომლებიც დაკავებულნი არიან ისლამის ლიტერატურის შემოტანა-გავრცელებით. სამწუხაროდ, ისინი ძირითადად მოღვაწეობენ აჭარაში, ვიდრე საქართველოს სხვა რეგიონებში. მე ვეწვიე მათ ცენტრს სტამბულში და მოვითათობირეთ ჩვენი მოღვაწეობის კოორდინაციაზე და ურთიერთდახმარებაზე” [ , 2002].

90-იანი წლების შუა ხანებიდან, აჭარაში თურქეთის მხარის აქტიურობა განსაკუთრებით შეინიშნება ძველი და ახალი მეჩეთების რესტავრაცია-მშენებლობის მიმართულებით. თურქეთისგან და საქართველოს მთავრობისგან ფინანსურ შემწეობას კატეგორიულად უარჰყოფს მუფტი ბ.ბოლქვაძე [www.ccrghouse.ge]; ვითარება კი საწინააღმდეგოზე მეტყველებს. ”საქართველოსთან მეგობრული ურთიერთობების კავშირის” თავმჯდომარე, ადვოკატი ე.შეკერჩი ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავს: ”თურქეთის ნაციონალურ ინტერესებშია საქართველოს გამაჰმადიანება. თუ ქვეყნის მუსლიმები გაქრისტიან-

დებიან, ისინი თურქეთისა და ისლამის მოწინააღმდეგეები გახდებიან, რადგან დაიცავენ ნაციონალურ იდეოლოგიას. ამიტომ, თურქეთმა უნდა გააგრძელოს მუსლიმებში მუშაობა. თურქეთს ამაზე უფლება აქვს და მის მოვალეობაშიც შედის. ამ რეგიონში ავტონომიის საფუძველი ისლამია. და თუ განუდგებიან ისლამს, ე.ი. გამოეთხოვებიან ავტონომიას” [www.gilligazette.com]. ამრიგად, თურქეთმა დაისახა ტაქტიკური ამოცანები: ისლამის პოლიტიზირება, აჭარის მუსლიმური თემების მხარდაჭერა, საბჭოთა ეპოქაში დაკარგული უფლებების დაბრუნება აჭარის ისლამურ მოსახლეობას შორის. ამ ამოცანების განხორციელებას თურქეთი საქართველოსთან ეკონომიკური კავშირებით ცდილობს, რის შედეგადაც გააძლიერებს გავლენას აჭარის რეგიონზე.

თურქეთის ინტერესები იმთავითვე შეეჯახა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის გავლენას საქართველოს მოსახლეობაზე. თავდაპირველ ეტაპზე, ეკლესიის მოღვაწეობა სინქრონში მიმდინარეობდა 80-იანი წლების ნაციონალურ მოძრაობასთან [ , 2006: 137]. საქართველოს ეკლესიის როლი განსაკუთრებით გაიზარდა ეკლესიის სახელმწიფოს შორის 2002 წლის 14 ოქტომბერს დადებული საკონსტიტუციო შეთანხმების – კონკორდატის შემდეგ. საქართველოს ეკლესიის დიპლომატიით მოხერხდა აჭარელთა სულიერ-კულტურული კონსოლიდაცია საქართველოს დანარჩენ მოსახლეობასთან. აჭარელთა ისტორიული წარსულისაკენ შემობრუნება არ ატარებდა მუსლიმური და ქართული იდენტობის საწინააღმდეგო ხასიათს. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-ემ ბათუმში ერთ-ერთი ვიზიტისას განაცხადა: ”აქ მცხოვრები ხალხი ჩვენი სისხლი და ხორცია. ზოგიერთნი ოდესღაც ძალდატანებით გამაჰმადიანდა, თუმც მათ კარგად უწყით საიდან მოდის მათი ფესვები და რაშია მათი ხსნა. ეს ქრისტიანული რელიგიაა და უფლის წყალობით ეს ხალხი უბრუნდება თავიანთი წინაპრების რწმენას” [გიორგაძე, 2015: 16] ამ სიტყვებით პატრიარქმა დაადასტურა აჭარის მულტიკონფესიურობის ფაქტი და ხაზი გაუსვა აჭარის რეგიონის ძირძველ ქრისტიანობას, გამაჰმადიანებული მოსახლეობის ქრისტიანულ, ტრადიციულ რელიგიაზე შემობრუნებას. მართლმადიდებლობის აქტიური პროპაგანდა ძირითადად განპირობებულია რეგიონის პოლიტიკურ სპეციფიკაში კარგად გარკვევით. ბათუმ-სხალთის ეპარქიის ევანგელიზაციის განყოფილების ხელმძღვანელი ს.ინაიშვილი აღნიშნავდა: ”საბჭოთა ეპოქაში ჩვენ ვიაზრებდით ვინ ვიყავით, საიდან მოვდიოდით და საით უნდა წავსულიყავით, მაგრამ კომუნისტები ვიყავით. ერთის მხრივ, ზოგმა უარყო ისლამი ანტითურქული პროპაგანდის გამო და თურქეთი მაშინ საბჭოთა ქვეყნის მტრად მოიაზრებოდა. მეორეებმა ანტიათეისტური პროპაგანდის გამო უარყო მართლმადიდებლობა” [Pelkmans, 2005: 6].



1991 წელს საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა; შეიცვალა პოლიტიკური სიტუაცია, შესაძლებელი გახდა წარსულის სარწმუნოებაზე დაბრუნება აჭარის ქრისტიანიზაცია დაუკავშირდა საქართველოს ეროვნულ-განმანათლებლებელ მოძრაობას” [ , 2002: 322]. ქართველმა სამღვდლოებამ მუშაობა გაშალა ისლამის მიმდევარ რეგიონებში, კერძოდ ხულოსა და ქედაში, რომლებიც მისიონერობის ძირითად ცენტრებად მოიაზრებოდნენ [Pelkmans, 2005: 6]. ამ რეგიონში დაიწყო მასობრივი ნათლობები, დაარსდა სასულიერო გიმნაზია, ამოქმედდა ეკლესიები [www.regnum.ru:2010].

“ვარდების რევოლუციის” ხელისუფლების მიერ გატარებულმა რიგმა საკანონმდებლო ცვლილებებმა და საქართველოს ეკლესიის სამართლებრივ-პოლიტიკურმა სტატუსმა, ამ უკანასკნელს თავისი შეხედულებების გამოხატვის ლეგალური უპირატესობა; თავად აჭარელთა ტოლერანტობამ, რეგიონის სპეციფიკის კარგად ცოდნამ და უმაღლესი სასულიერო დასის პიროვნულმა ხასიათმა აჭარის ავტონომიას მისცა სიმბოლური ხასიათი და ეკლესიამ მიიღო რეალური უფლება თავის მოსახლეობაზე ზემოქმედების. ამრიგად, საქართველოს ეკლესიამ შეიძინა ახალი იმპულსი და მიზნად დაისახა ორი ამოცანა: აჭარაში ისლამის ფაქტორის მინიმალიზაცია და ქართული სახელმწიფოებრიობის დიდი ხნის პრობლემის გადაჭრა: მართლმადიდებლობის ეგიდით, მის გარშემო სრულიად საქართველოს გაერთიანება. ყველა შემთხვევაში როგორც მართლმადიდებელი, ისე ისლამის აქტივისტთა ქმედება დაკავშირებული იყო არა იმდენად რელიგიასთან, რამდენადაც პოლიტიკასთან; ითვლებოდა, რომ რწმენის შეცვლა გამოიწვევდა ნაციონალურ, ან პოლიტიკურ იდენტიფიკაციას [ , 2003: 216].

უახლეს წლებში, თურქეთის მხარე კვლავ გააქტიურდა, რისი ნიშანიც არის საქართველო-თურქეთის მოლაპარაკებები კულტურული მემკვიდრეობის ზოგიერთი ძეგლის ირგვლივ ორივე მხარის ტერიტორიაზე. წყაროებით ცნობილი გახდა, რომ თურქეთის მხარემ მზაობა გამოთქვა ჯავახეთში ორი მეჩეთისა და აჭარაში ერთი მეჩეთისა და ჯამეს აღდგენაზე, რამაც ქართველ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ამ მოლაპარაკებებს პირველი საქართველოს ეკლესია გამოეხმაურა. 2010 წლის 18 იანვრის პატრიარქის წერილობით მიმართვაში აღინიშნა: ”მივიჩნევთ, რომ იმ დროს, როდესაც საქართველოში მოქმედებს 240 ჯამე და მეჩეთი, 8 მედრესე, მათ შორის აჭარაში 140, ხოლო თურქეთის ტერიტორიაზე არც ერთი მომქმედი მართლმადიდებელი ტაძარი არ არის, შეთანხმებაზე ხელმოწერა ამ ეტაპზე მიუღებელია” [ , 2011]. საქართველოს საზოგადოების შეშფოთება ამ საკითხზე განპირობებული იყო თურქეთის აჭარაზე გავლენის მოპოვების საფრთხით [ , 2011]. აკადემიკოსი ნ.ბოლქვაძე აღნიშნავს: ”აჭარის მოსახლეობა, მათ შორის

მუსლიმები ეწინააღმდეგებიან აზიზეს მეჩეთის აგებას ბათუმში” [ , 2011]. 2011 წლის 23 მარტს ბათუმში ჩატარდა 2.000 კაციანი გამაფრთხილებელი საპროტესტი აქცია, სადაც მიღებულ იქნა რეზოლუცია საქართველოსა და თურქეთის ხელისუფლებისადმი, რომელშიც ნათქვამი იყო: ”მოლაპარაკებები საქართველოსა და თურქეთს შორის კულტურის ძეგლების თაობაზე უნდა იყოს საჯარო და კონკორდატის გათვალისწინებით. მივესალმებით ორი ქვეყნის მზაობას კულტურის ძეგლთა დაცვისათვის” [ , 2011].

ამრიგად, როგორც მოვლენათა მსვლელობანი აჩვენებს, რელიგიური პროცესებით გაჯერებული პოლიტიკური ინტერესები კვლავინდებურად აქტუალურ პოზიციაზეა. გარდა ამისა, თუ მხედველობაში მივიღებთ აჭარის სტატუსის საკითხს, რომელიც დაკავშირებულია რეგიონის ისლამური მოსახლეობის შენარჩუნებასთან, მაშინ ნათელი იქნება, რომ მიუხედავად რელიგიურ საბურველით ვითარების პოლიტიზირებისაკენ, ხოლო რელიგიური გრძნობებით მანიპულირება ერთობ სახიფათო შედეგს იძლევა. ნებისმიერ შემთხვევაში, ფაქტია, რომ აჭარაში აქამდე ადგილი არ ჰქონია რელიგიურ ნიადაგზე შფოთს და ამაში უდიდესი დამსახურება მიუძღვის არა პოლიტიკურ ძალებს, არამედ რიგით აჭარლებს, რომელთა ერთი ნაწილი მათ ისტორიულ რელიგიას-ქრისტიანობას აღიარებს, მეორე კი - ისლამს.

**გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:**

**გიორგაძე, 2015:** – გიორგაძე ლ., ქართული საზოგადოებრივი აზრი და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია XX ს-ის 90-იან წლებში, თბ.  
**, 1998:** – „...“  
**, 1991:** – „...“, 18(68), 29.04.1991.  
**, 2011:** – „...“  
 . www.kavkazoved.info/ntws/2011/04/17  
**... , 1960:** – „...“, .4,  
**, 2003:** – „...“, XXI .  
 „...“, 2(60), .  
**, 2002:** – „...“  
**, 2005:** – „...“  
 „...“  
**, 2008:** – „...“  
 - - - „...“  
**, 2006:** – „...“  
 „...“  
 „...“, .2,

**Balci, 2007:** – Balci B., Motilka R., Religion et politique dans le Caucase post-sovietique. Paris.

**Pelkmans, 2005:** – Pelkmans M., Baptized Georgian: Religious conversion to Christianity in Autonomous Ajaria. Max Plank Institute for Social Anthropology, Working Papers, 71,

**Sanikidze, 2004:** – Sanikidze G., Walker E.W., Islam and Islamic practices in Georgia: University of California. Institute of Slavic, East European and Eurasian studies.

**The Turkish Yearbook, 2015** – The Turkish Yearbook, v. XXXV, Istanbul

**www.caicaz.com** – Balci B., Is there a place for Islam in Michael Saakashvili's Christian Georgia? [www.caicaz.com](http://www.caicaz.com)

**www.regnum.ru.17.03.2004**

**www.regnum.ru.25.06.2010**

**www.religio.ru.10.05.2005**

**www.religions.am/index.php?option=com\_content&view=article&id=2999**

**www.golos.am.22.07.2008**

**www.Islam.ru**

**www.milligazette.com.4.11.2006**

**www.Islam.ru/pressclub/gost/saldaev/**

**www.sngnews.ru.25.01.2006**

**www.statistics.ge**

**www.patriarchate.ge/\_en/**

**www.api.ning.com**

**Ketevan Pavliashvili**

*(Tbilisi, Georgia)*

**Evolution of Turkey's Religious Policy in Adzharia  
and Reaction of Georgian Apostolic Church  
(At the turn of XX-XXI centuries)**

Summary

Atheistic and antireligious ideology of Soviet Empire was strictly forbidding elucidation of political issues in religious context. The above attitude changed immediately after Soviet Empire had been destroyed and “restructuring” began; in Post-Soviet epoch this attitude achieved appropriate level of development. At present, events that took place in Post-Soviet space and abroad, make possible to express public opinion freely and conduct surveys regarding political speculations connected with the religion.

Immediately with the destruction of Soviet Empire, world States started attempts for gaining influence over former Soviet republics. Different states were trying their best for encroaching post-Soviet space by means of religion. Keen interest was revealed not only by neighbor countries, but by the remote ones as well. Georgia was also subjected to such influence, particularly its boundary regions such as: South Georgia, Adzharia, Abkhazia, Tskhinvali, Kakheti-Azerbaijan boundary zone. Given work elucidates Adzharia region, which obviously undergoes religious-political influence of the neighbor Turkey.

## ბათუმის სახითხი ქართულ ემიგრაციულ პრესაში

1921 წელს, რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, ქართული პოლიტიკური ელიტა, ბათუმიდან კონსტანტინოპოლის გავლით, ევროპაში გაემგზავრა, საიდანაც გააგრძელა ბრძოლა დამოუკიდებლობის აღსადგენად. ბოლშევიკების მიერ გავრცელებული სიცრუის წინააღმდეგ და სიმართლის დასამტკიცებლად, აქტიურად იბრძოდა ქართული ემიგრაციული პრესა, რომლის ფურცლებზეც, საბჭოთა საქართველოში არსებულ რეალურ ვითარებაზე, არაერთი საინტერესო სტატია დაიბეჭდა.

ემიგრაციაში მოღვაწე ქართველი პოლიტიკოსები და საზოგადო მოღვაწეები, ბათუმს, მისი გეოსტრატეგიული მდებარეობის გამო, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. თვით ბოლშევიკებიც კი ხმამაღლა აცხადებდნენ, რომ მათი მთავარი მიზანი ბათუმის ბაქოსთან დაკავშირება იყო *[სცსა, ფ. 1864, ს. 635, ფურც. 1]*.

1927-1939 წლებში, პარიზში, ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ჟურნალი – „ახალი ივერია“, გამოდიოდა. სულ გამოიცა ჟურნალის 12 ნომერი *[შარაძე, 2001: 517-518]*. ჟურნალის რედაქტორ-გამომცემლები მტკიცედ იდგნენ საქართველოს, როგორც ეროვნული მთლიანობის შენარჩუნების, ისე მისი ტერიტორიული საზღვრების დაცვის სადარაჯოზე. ჟურნალის ერთ-ერთი დამფუძნებელი ალექსანდრე ცომაია (1907-1956 წწ.) იყო. იგი 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ, იძულებული გახდა უცხოეთში გახიზნულიყო. ჯერ კონსტანტინოპოლში, შემდეგ საფრანგეთში და გერმანიაში მოღვაწეობდა, სადაც აქტიურად თანამშრომლობდა ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ქართულ ემიგრაციულ პრესაში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ა. ცომაია საცხოვრებლად აშშ-ში გადავიდა, სადაც 49 წლის ასაკში გარდაიცვალა. დაკრძალულია ნიუ-იორკში.

ჟურნალმა „ახალი ივერია“ 1939 წლის №12-ში გადმობეჭდა პავლე ინგოროყვას მიერ 1918 წელს კონსტანტინოპოლში გამოქვეყნებული ნაშრომის – „საქართველოს საზღვრები“ – ერთი ადგილი – „მესხეთის პროვინცია“, რომელსაც წინ უძღოდა ემიგრაციაში მოღვაწე ქართველი პუბლიცისტის – ალექსანდრე ცომაიას წერილი. იგი მიმართული იყო პარიზში გამომავალი ჟურნალ „კავკაზის“ და მისი რედაქტორის ჰაიდარ ბამატის წინააღმდეგ. ჰ. ბამატმა ეჭვქვეშ დააყენა საქართველოს ისტორიული საზღვრები და ბათუმი კავკასიის ქალაქად გამოაცხადა. ალექსანდრე ცომაია თავის წერილში, აკრიტიკებს,

ასევე, ემიგრაციაში მყოფ თანამემამულეებს. მისი აზრით, მშობლიურ მიწა-წყალს მოწყვეტილებმა, არსებობისა და მუშაობის უჩვეულო პირობებში მყოფმა ქართველებმა ვერ შეინარჩუნეს ეროვნული ბრძოლის ტრადიციები და სისხლით შედუღებული ეროვნული ერთობა, უცხოეთში პარტიულ, ჯგუფურ და პიროვნულ კინკლაობამდე დაიყვანეს, რითაც ერთმანეთს მორალური და მატერიალური ზარალიც მიაცენეს. ავტორი გულდაწყვეტით აღნიშნავს: „მარადიულს და უზენაეს ეროვნულ ინტერესებს ხშირად პირადი სარგებლიანობის საზომით მიუვლექით და ეროვნული დამოუკიდებლობისა და ბრძოლის ბევრი ძირითადი საკითხი – საუკუნეების გასწვრივ ეროვნული პოლიტიკისათვის მუდამ უდავოდ მიჩნეული – დღეს სადავოდ გადავაქციეთ“ **[ცომაია, 1937].**

ჟურნალ „კავკაზი“-ს გამოსვლას, ქართველი ემიგრანტები თავდაპირველად თანაგრძნობით შეხვდნენ, რადგან იგი კავკასიის კონფედერაციის იდეის მქადაგებლად გამოდიოდა. 1930 წელს, ემიგრაციაში მყოფმა ა. ჩერმოვემა და კ. ბამატმა, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკის მეთაურთა სახელით, აზერბაიჯანის წარმომადგენელ მირ იაკუბთან ერთად, ოფიციალურად მიმართეს ევროპაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ელჩს – აკაკი ჩხენკელს, რათა მას ეშუამდგომლა საქართველოს ეროვნულ მთავრობასთან კავკასიის კონფედერაციის შექმნასთან დაკავშირებით. შექმნილ საერთაშორისო პოლიტიკურ სიტუაციაში, კავკასიის წარმომადგენელთა ძალების გაერთიანებას, ისინი სასიცოცხლოდ მიიჩნევდნენ **[სცსა, ფ. 1864, ს. 882, ფურც. 6].** თუმცა, მალევე გაირკვა, რომ ჟურნალის ხელმძღვანელს – ჰაიდარ ბამატს, კავკასიის ერთა თანამშრომლობა და კონფედერაცია ცუდად ესმოდა. ბამატი მოუწოდებდა ქართველ ემიგრანტებს, ოსმალებთან მეგობრობის ნიშნად, ქართულ მიწა-წყალზე უარი ეთქვა და იგი თურქეთის საკუთრებად ელიარებინა. აღექსანდრე ცომაია, აკრიტიკებს რა ბამატს, აღნიშნავს, რომ ყარსის ხელშეკრულება არ გამოხატავს ქართველი ერის ინტერესებს და იგი არ ცნობს რუსეთის მიერ ძალით დამყარებული საოკუპაციო ხელისუფლების არც ერთ დოკუმენტს და დასძენს, ბოლშევიკებს იმდენივე უფლება ჰქონდათ საქართველოს სახელით ელაპარაკათ, რამდენიც ამჟამად ჰაიდარ ბამატს აქვს. ა. ცომაიას მიაჩნია, რომ საქართველოს საზღვრების გასაყვანად და მეზობლებთან რაიმე შეთანხმების მისაღწევად, ერთადერთი უფლებამოსილი ორგანო, მომავალი საქართველოს ეროვნული მთავრობა იქნებოდა. ავტორი მკაცრად აკრიტიკებს კ. ბამატს ბათუმის საკითხის გამო, რადგან მას ქალაქი ბათუმი არა ქართულ ქალაქად, არამედ კავკასიის კუთვნილებად მიაჩნდა. იგი წერს: „ბატონი ბამატი არ კმაყოფილდება ამ საკითხების გადაჭრით, მას საქართველოსთან სხვა ანგარიშებიც ჰქონია: ის ვერ ურიგდება,

რომ ბათუმი ქართული ქალაქია. მისი გაგებით, ბათუმი ერთობ კავკასიის კუთვნილება ყოფილა და არა საქართველოსი. მაგრამ ეს დებულება მხოლოდ შესავალია მთავარი აზრის სათქმელად. ბათუმი კავკასიის საერთო კუთვნილებად იმიტომ აქცია, რომ თვითონაც წილი დაიდოს – ეს კი უფლებას ანიჭებს ამ ქალაქის ბედის გადაჭრაში მონაწილეობა მიიღოს. ასეთი გზით ბათუმის მესაკუთრედ ქცეული ბ-ნი ბამატი ბრძანებს: „ბათუმი, ჩვენის წარმოდგენით, არა იმდენად ნაჭკერია ქართული ტერიტორიისა, რამდენადაც უმთავრესი პორტი საერთო კავკასიური მნიშვნელობისა. ბათუმი, რომელიც გამოსავალია ბაქოს ნავთისათვის, ადერბაიჯანისათვის არა ნაკლებ საინტერესოა, ვიდრე საქართველოსათვის. ბათუმი ერთადერთი პორტია კავკასიის მთელი სომხური ჰინტერლანდისა... მაგრამ მოვიყვანოთ ჩვენი აზრი აქაც ლოდიკურ ბოლომდე და ვადიაროთ, რომ ბათუმს აკრავს ვრცელი რაიონები ყარსისა და არდაგან-ართვინისა – და მომავალ ეროვნულ კავკასიას უთუოდ დასჭირდება ოსმალეთთან გამონახოს ისეთი მოდუს ვივენდი, რომელიც მისცემს ამ რაიონებს სავაჭრო გზას დიდი კავკასიური პორტისაკენ-ო“ *[ცომაია, 1937]*.

ალექსანდრე ცომაია აკრიტიკებს ბამატს და დასძენს: „ჩვენის აზრით, ბამატის მთელი სული და გული ამ უკანასკნელ დებულებაშია და ბათუმის კავკასიურობაც ამის სათქმელად დასჭირდა. ჯერ ძველთაძველი ქართული მიწა-წყალი წაიღო და ქართველთა დაუკითხავად გაასაჩუქრა; ესლა ბათუმსაც ეწვია, რადგან მის მიერ გატაცებულ ყარსისა და არდაგან-ართვინის ვრცელ რაიონებს თურმე ზღვაზე გასასვლელი გზა და პორტი სჭირდებათ! ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბ-ნი ბამატი მიუხედავად დაპირებისა, თავის აზრს „ლოდიკურ დასრულებას“ არ აძლევს. მისი სტატის ბუნება, ყოველი დებულების არსი და სული აშკარად ამბობს, რომ ყარს-არდაგან-ართვინთან ერთად ბ-ნი ბამატს ურჩევნია ბათუმიც ოსმალეთს გადასცეს, მაგრამ ახდლიად ვერ ამბობს, შუა გზაზე ჩერდება და მიუდგომელი არბიტრის პოზით, ფარისევლურად „მოდუს ვივენდის“ დაეძებს... ბ-ნი ბამატი ივიწყებს, რომ ჩვენი საზღვრების დღევანდელი მოხაზულობა შედეგია ქვეყნის ავაზაკურად დაკავებისა, სამხედრო ოკუპაციისა“ *[ცომაია, 1937]*.

ალექსანდრე ცომაია აკრიტიკებს, ასევე, ქართველ ემიგრანტებს – შალვა ამირეჯიბს და ზურაბ ავალიშვილს, რომლებსაც განსხვავებული აზრი ჰქონდათ ყარსის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. იგი წერს: „ბ-ნი ბამატი თავის საქმეს აკეთებს, თავის ქვეყანას ემსახურება, მაგრამ ვის საქმეს აკეთებენ და ვის ინტერესებს ემსახურებიან შ. ამირეჯიბი და ზ. ავალოვი? ემიგრაციაში ბევრი რამ მოხდა სამწუხაროდ მოსაგონარი, მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ, ყველა მიმართულებასა და ყველა ჯგუფს თავის უმაღლეს და ძირითად მოვალეობად

მიანდა საქართველოს ეროვნული და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა. ეს არ იყო სადავო საკითხი არც ერთი ქართველისათვის. ეს იყო უწმინდესი ღირებულება, ქართული ნაციონალიზმის საფუძველი და ეროვნული ემიგრაციის რეზონ-დეტრიც. ამირეჯიბ-ავალოვმა სწორედ, ამ ურყევ ნიადაგს შეუტეეს და მტრებისათვის შეუვალ სიმაგრეს შიგნიდან ღრღინან. საქართველოს ისტორიას ახსოვს მაგალითები, როცა პირადი ანგარიშებით გონებადასშული, ამბიციებით გაბოროტებული ფეოდალები სპარსეთსა და ოსმალეთს საქართველოს ნაწილს უთმობდნენ თავისი პრეტენზიების გასანადღებლად. მაგრამ ეს საშიშარი ძველი სენი ძველმა დრომ წაიღო და ქართული მიწა-წყლით მოვაჭრე თავადებს საქართველოს ისტორიამ მოღალატის დაღი დააკრა. ბ-ნ შ. ამირეჯიბის ისტორიის ასეთი განაჩენი არ აფიქრებს და ჩვენს დროში ამ თავადების ტრადიციას აცოცხლებს. მაშინ, როდესაც ქართულ ტერიტორიაზე პრეტენზიებისათვის მოსკოვის ერთგული ჯალათი ბერია სომხების მეთაურს აპატიმრებს, ნაციონალისტი ამირეჯიბი, ბამატის კარნახით, ქართული მიწა-წყლის ერთ მესუთედზე გულდამშვიდებით ხელს იღებს. იგივე ბერია აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე ლაკობას აპატიმრებს: „აფხაზეთში ქართულ გავლენას აბრკოლებდაო“, ხოლო ემიგრაციაში ზ. ავალოვი ნეტარსენებული ვოსტორგოვის აღმოჩენას „მეცნიერულად“ ასაბუთებს და მეგრელებსაც ქართველობას ართმევს“ *[ცომბია, 1937]*.

1934 წელს, პარიზში, მთიელთა რესპუბლიკის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ჰეიდარ ბამატის ინიციატივით, ნაციონალისტური ორგანიზაცია „კავკასია“ შეიქმნა. ორგანიზაციის წევრები სხვადასხვა დროს იყვნენ შალვა ამირეჯიბი, ზურაბ ავალიშვილი, ვლადიმერ ახმეტელი, დავით საღირაშვილი, გენერალი გიორგი კვინიტაძე, მიხეილ კედია და სხვები. აღნიშნულ ორგანიზაციაში ქართველების და აზერბაიჯანელების გარდა, კავკასიის სხვა ეროვნების (ლეკები, ჩეჩნები და სხვა) წარმომადგენლებიც შედიოდნენ. ორგანიზაცია აშკარა ანტისაბჭოთა ხასიათის იყო და პოლიტიკური და ორგანიზაციული თვალსაზრისით, ძირითადად თურქეთზე იყო ორიენტირებული, თუმცა იმედებს გარმანიაზეც და იაპონიაზეც ამყარებდა. თავდაპირველად, „კავკასიის“ შექმნას გერმანელებმაც დაუჭირეს მხარი. 1937 წელს, ბერლინში, ორგანიზაციის ფილიალი შეიქმნა. ორგანიზაცია ქართულ ენაზე გამოსცემდა ჟურნალს – „კავკასია“, რომელშიც ისეთი შინაარსის სტატიები ქვეყნდებოდა, რომლებიც ქართველი ემიგრანტების უკმაყოფილებას იწვევდა. ჟურნალ კავკასიის ქართული ვერსიის რედაქტორი იოსებ გვარამაძე (1894-1959 წწ.) იყო *[ჯერვალთიძე, 2012: 229]*.

ჟურნალის ერთ-ერთ სტატიაში წამოყენებული იყო მაჰმადიანებით დასახლებული ტერიტორიების, კერძოდ, ბათუმის და ყოფილი ბათუმის ოლქის, ასევე, ყოფილი ართვინის ოლქის, ახალციხისა და ახალ-

ქალაქის მაზრების თურქეთისათვის დათმობის იდეის მხარდაჭერა. ასეთმა განცხადებამ თითქმის მთელი ქართული ემიგრაციის გაღიზიანება გამოიწვია. მოეწყო ჰ. ბამატის თანამოაზრეთა საწინააღმდეგო შეკრებები, სადაც საპროტესტო რეზოლუციები მიიღეს. ჟურნალი „კავკასია“ გამოდიოდა კავკასიის ხალხთა, ასევე, ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ და თურქულ ენებზეც. ქართველი ემიგრანტები მიხვდნენ ჰ. ბამატის ავანტიურისტულ მიზნებს და მასთან კავშირი გაწყვიტეს. თურქეთის ხელისუფლებას აწყობდა ჰ. ბამატის და მისი თანამოაზრეების საქმიანობა, თუმცა მასთან კავშირს უარჰყოფდა. თურქეთის ხელისუფლება აცხადებდა, რომ მალე ორგანიზაციის წევრები მათ ტერიტორიას დატოვებდნენ. სინამდვილეში, ორგანიზაციის ჟურნალი – „კავკასია“ წარმატებით გამოდიოდა თურქეთში, არა მარტო თურქულ, არამედ აზერბაიჯანულ ენაზეც. მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, ბამატმა შეხედულებები შეიცვალა, რადგან მიხვდა გერმანიის ხელისუფლება კავკასიის ხალხს დამოუკიდებლობას არ უბოძებდა და მთელი იმედები თურქებზე გადაიტანა, თუმცა წარუმატებლად. 1939 წელს ორგანიზაცია „კავკასია“ დაიშალა. მანამდე კი, 1937 წელს გერმანელებმა ამ ორგანიზაციას საკუთარ ქვეყანაში მოღვაწეობა აუკრძალა, რაშიც დიდი როლი ქართველმა პოლიტიკურმა ემიგრანტებმაც შეასრულეს. ამისთვის მათ მაქსიმალურად გამოიყენეს გერმანიის მმართველ წრეებთან საკუთარი კავშირები.

ქართველი ემიგრანტები მტკივნეულად განიცდიდნენ, ბოლშევიკების გამყიდველური პოლიტიკის წყალობით, ქართული ისტორიული მიწა-წყლის დაკარგვას. ემიგრაციული პრესის ფურცლებზე, მათი ცბიერი პოლიტიკის წარმოსაჩენად, კრიტიკული წერილები ხშირად იბეჭდებოდა. საფრანგეთში მოღვაწე ცნობილი ეროვნულ-დემოკრატი – ელისე პატარიძე (1896-1975 წწ.), პარიზში გამომავალ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ჟურნალში – „სამშობლო“ ბეჭდავს სტატიას სათაურით: „საქართველოს ტერიტორიის საკითხი“. ავტორი გულისტკივილით საუბროს დაკარგულ ქართულ ტერიტორიებზე, რამაც განსაკუთრებით ბოლშევიკების მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იძულებით გასაბჭოების შემდეგ, ინტენსიური ხასიათი მიიღო. ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოს მტრებს გარკვეული მიზანი ამოძრავებდათ, რათა საქართველოს დანარჩენი ტერიტორია კიდევ დაენაწილებინათ, ჯერ ავტონომიური რესპუბლიკების სახით და შემდეგ კი სრულიად მოეგლიჯათ ეს ნაწილები საქართველოს სხეულიდან. იგი აკრიტიკებს ჰაიდარ ბამატს ბათუმის საკითხის გამო და წერს: „ბამატმა დაიწყო ამ მისიის აღსრულებისათვის მოღვაწეობა ბათუმის საკითხის დაყენებით და შეიძლება ბამატმავე განაახლოს თავისი ძველი მოღვაწეობა, რომელსაც ის ჩვენი დამოუკიდებლობის დროს აფხაზეთში აწარმოებდა ოსმალების დავალებით... ტერიტორია



ფუძეა ეროვნული ცხოვრებისა. მხოლოდ საკუთარს ტერიტორიაზედ დასახლებული ერი არის ერი ნამდვილი ამ ცნების მნიშვნელობით. ერის მიერ მისი საკუთარი ტერიტორიის დაკარგვა მისი ეროვნული მეობის დაკარგვას უდრის“ *[პატარიძე, 1932: 39-42]*. ელისე პატარიძე ხაზს უსვამს რუსეთის ხელისუფლების ინტერესებს ამიერკავკასიაში და აღნიშნავს, რომ რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის დროს, საქართველო საბჭოთა რუსეთთან უთანასწორო ბრძოლაში იყო ჩაბმული და ქართული ჯარი ბათუმისაკენ იხევდა. ოსმალეთის ხელისუფლება, თითქოსდა ქართველებს ეხმარებოდა, სინამდვილეში ბათუმში ჯარები შემოიყვანა და ქალაქში გამაგრდა, როგორც შემდეგ გამოირკვა ბათუმის საქართველოსგან ჩამოსაგლეჯად. საბჭოთა რუსეთთან ბრძოლაში დამარცხებულმა ქართულმა ჯარებმა ბათუმიდან ოსმალეთის ჯარი გამორეკეს და ბათუმი საქართველოს შეუნარჩუნეს. ასეთ ვითარებაში ჰაიდარ ბამატი, თურქეთის ინტერესებს იცავს და ჟურნალ „კაკაზ“-ში წერს: „არავითარი ტერიტორიული უთანხმოება, არც ოსმალეთთან და არც სპარსეთთან. ჩვენ საბოლოოდ დაუბრუნებელივ ვცნობთ 1921 წლის ყარსის ხელშეკრულებას დადებულს კავკასიის საზღვრებზე“ *[პატარიძე, 1932: 39-42]*.

ელისე პატარიძე აკრიტიკებს ბამატის მავნებლურ შეხედულებებს საქართველოს ტერიტორიებთან დაკავშირებით და წერს: „ბათუმი საქართველოს განუყოფელი ნაწილია. საქართველოს უდავო საკუთრებაა, მისი ნაეთსადგურია, მისი კარებია დასავლეთ ევროპისაკენ გამოსავალი. მისი ბედიც ქართული ეროვნული პოლიტიკის საქმეა და არა მთიელ კუმიკის ბამატის, რომელსაც ვურჩევთ, თავისი საკუთარი ქვეყნის სადაო საზღვრებზედ იფიქროს და იზრუნოს, რომ მოსარიგებელი ენა მონახოს მის მეზობელ ყაზახთა მომავალ სახელმწიფოსთან. ამ უკუდო ხარისთვის არც ბუზების შემოსევა გვიცნობებია და არც მათი მოგერიება გვითხოვია. ბამატი უცხო ქვეყნის მთებიდან ჩამონადენი მღვრიე წყლის ტალღებს ჩამოყოლილია და იგივე წყალი წაიღებს მას უცხო ზღვისაკენ“ *[პატარიძე, 1932: 39-42]*. ელისე პატარიძე ქართველ ემიგრანტებსაც აკრიტიკებს: „...პროფესორ ავალიშვილს და მის თანამშრომლებს ვინა სთხოვთ ან ვინ ეკითხებათ რომ მოსკოვ-ოსმალეთის ხელშეკრულებას პარიზში ხელს აწერენ და ბათუმსაც სადავოდ გვიხდიან. დღეს გამოფხიზლებული ქართველი კომუნისტებიც კი არ არიან კმაყოფილნი ამ ხელშეკრულებით და ყოველ შემთხვევაში გააფრთხილებით იცავენ საქართველოს ფარგლებში დარჩენილ ტერიტორიას... ბატონი ავალიშვილის აზრით, ქართველ ერს არავითარი ეროვნულ-პოლიტიკური ინტერესი არა აქვს სამუსულმანო საქართველოში, ლაზისტანში და მტკვრისა და ჭოროხის სათავეების მიდამოებში, რომელთაც მხოლოდ ჩვენი ძველი კულტურის ნაშთების აღმოსაჩენ ადგილებად აცხადებს.. ჩვენი ეროვნული ცხოვ-

რების უდიდესი ვარსკვლავის შოთა რუსთაველის დაბადებიდან 750 წლისთავზედ, ჩვენი რუსთაველისტი პროფესორი ავალიშვილი შოთა რუსთაველის მხარეს „ფეშქაშად“ ათათურქს სთავაზობს“ *[პატაროძე, 1932: 39-42]*.

ელისე პატარიძის წერილს, მასში წამოჭრილი საჭირობოლო საკითხების გამო, აქტიურად გამოეხმაურა ქართული პოლიტიკური ემიგრაცია. 1937 წლის 4 დეკემბერს, პარიზის ქართველთა საზოგადოების კრება შედგა, სადაც მოისმინეს საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილის პროფესორ ექვთიმე თაყაიშვილის მოხსენება, რომელმაც გააკრიტიკა ის პოზიცია, რომელიც რუსულმა ჟურნალმა – „კავკაზი“, დაიკავა 1921 წლის წარსის ხელშეკრულების გამო, რომლის მიხედვით საბჭოთა რუსეთმა ოსმალეთს გადასცა საქართველოს ტერიტორიის ნაწილი: ართვინ-არტაან-ოლთისის და ბათუმის რაიონები. კრებაზე, ასევე, გამოვიდნენ: ი. ზურაბიშვილი, კ. ქავთარაძე, ა. ასათიანი, გ. გვაზავა, ი. ნუცუბიძე, ი. მანჭკავა, რ. არსენიძე, ვ. ნოზაძე, გ. კერესელიძე, ჟურნალ „კავკაზ“-ის თანამშრომელი გ. ჭაჭიშვილი, ს. მდივანი *[შარაძე, 2004: 284-285]*. ორატორებმა გააკრიტიკეს ჟურნალის პოზიცია, რომელიც ემიგრანტი პოლიტიკოსების მხრიდან ბოლშევიკური წარსის ხელშეკრულების აღიარებას და ბათუმის საკითხის ოსმალეთის სასარგებლოდ გადაწყვეტას მოითხოვდა. მათ, ასევე, უარყვეს ჟურნალის გერმანულ გამოცემაში გამოქვეყნებული ყალბი ცნობა, თითქოს 1921 წლის თებერვალ-მარტის რუსეთ-საქართველოს ომის დროს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ბათუმი ოსმალეთს გადასცა, რაც თავისთავად სიცრუე იყო. კრებაზე აღექსანდრე ასათიანმა აღნიშნა: „...ბამატი მოგეთხოვს ქართველობას საქვეყნოდ განცხადებასა და საშვილიშვილო ანდერძით დატოვებას, რომ ოსმალეთის სამუდამო კუთვნილებად ვთვლით საქართველოს იმ ოლქებს, რომელნიც საბჭოთა რუსეთმა გადასცა ოსმალეთს, თანახმად წარსის ხელშეკრულებისა. მისი ჟურნალი დიდ საყვედურსაც გვიცხადებს იმისთვისაც, რომ ჩვენ ხელი შევეუშალეთ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მთლიანად განარღვებას და ასევე მოითხოვს ჩვენგან, რომ ვიცნოთ ახალი კონცესიების საჭიროება, შესახებ ბათუმისა და მისი ოლქისა. ბამატის ჟურნალი ამას მეცნიერულადაც გვისაბუთებს – ართვინ-არდაგანის და ოლთისის ოლქებში ქართულად მოლაპარაკეც აღარავინ აღმოჩენილა ოსმალეთის 1927 წლის აღწერილობის მიხედვით და ამ ოლქებს ქართველებისათვის მხოლოდ არქეოლოგიური ინტერესიდა შერჩენიათ... ოსმალეთმა უწყის, რომ ჩვენ არ ვცნობთ და ვერ ვიცნობთ საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს მიწა-წყლის დარიგებას, ოსმალეთმა უწყის ასევე კარგად, რომ ამ ოლქებს საუკუნეთა მანძილზე ფლობდნენ მრისხანე სულთნები და იქ ამასაც ვერ აღმოუფხვრია ქართვე-

ლობა და ქართული ენა, რასაკვირველია, ასეთი რამ არ ჩაუდენია ახლანდელი ოსმალეთის მთვრობას და 6 წლის მანძილზე არ მოუსპია ის, რაც ვერ მოსპო ძველი ოსმალეთის გავლენამ და მმართველობამ ექვსი საუკუნის მანძილზე“ *[შარაძე, 2004: 287-294]*.

ემიგრანტთა კრებამ მიიღო რეზოლუცია, რითაც მიუღებლად მიიჩნია ჟურნალ „კავკაზი“-ის თანამშრომელთა აზრი, თითქოს საქართველომ საბოლოოდ უნდა აიღოს ხელი მოსკოვის ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ ყარსის ხელშეკრულებით გაცემულ უდავო ქართულ მიწა-წყალზე. მით უმეტეს, რომ ისინი აღნიშნული ხელშეკრულებით, საქართველოს ფარგლებში დარჩენილ ბათუმს და მის ოლქს ახალი დათმობებისა და საეჭვო კომბინაციების საგნად აცხადებდნენ. კრების რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ ყოველი სადავო საკითხის გადაწყვეტა ორ მეზობელ სახელმწიფოთა შორის, მეგობრული და მშვიდობიანი გზით უნდა მიღწეულიყო.

ყარსის ხელშეკრულების მიძიმე შედეგებს საქართველოსათვის, ფართო გამოსმაურება მოჰყვა ქართველ ემიგრანტებს შორის. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი – გიორგი გვაზავა ემიგრაციული პრესის ფურცლებზე აკრიტიკებდა ზურაბ ავალიშვილს, რომელიც ჟურნალ „კავკაზი“-ს ფურცლებზე, ასე აფასებდა ყარსის ხელშეკრულებას: „სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ საზღვრები ოსმალეთთან, რომლებიც ყარსის ხელშეკრულებამ უზრუნველჰყო, გაცილებით სასიკეთონი არიან, ვიდრე ის საზღვრები, რომელზედაც ხელი მოაწერეს 1918 წელს რამიშვილმა, გვაზავამ, რცხილაძემ და ოდიშელიძემ“ *[სარაღიძე, 2010: 126-128]*. 1937 წლის 4 დეკემბერს, პარიზში გაერთიანებულ პარტიულ ყრილობაზე შეკრებილი ქართული ემიგრაციის წინაშე გამოსვლისას მან აღნიშნა, რომ „ყარსის ხელშეკრულება იყო არა საქართველოს ტერიტორიის დაჭრა, არამედ მხოლოდ გაცილებით „სასიკეთო საზღვრების“ გაყვანა. ზ. ავალიშვილს მხედველობაში ჰქონდა, 1918 წლის 4 ივნისს, ბათუმში დადებული „ზავისა და მეგობრობის“ ხელშეკრულება, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ოსმალეთის იმპერიას შორის, რომლის ძალით, ოსმალეთმა მიიღო მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, მთელი მესხეთი აჭყურისა და აბასთუმნის გამოკლებით *[ნოზაძე, 1989:33]*. ბათუმის ხელშეკრულებაზე ხელისმომწერთა შორის ერთ-ერთი ემიგრაციაში მოღვაწე ეროვნულ-დემოკრატი, გიორგი გვაზავა იყო. აღნიშნული ბრალდებისთვის მან საჭიროდ მიიჩნია პასუხი გაეცა. გვაზავა წერს: „ხელისმომწერა ოსმალეთის ზავზე (1918 წლის 4 ივნისს – ლ.ს.) ჩვენთვის იყო მხოლოდ დროის მოგება. რატიფიკაცია არ მომხდარა და თვით ოსმალეთი იძულებული გახდა დაეცალა სამუსულმანო საქართველო. ასე ჩაბარდა ისტორიას ბათუმის ხელშეკ-

რულება: იმან სარგებლობა დიდი მოგვიტანა, ზიანი კი – არავითარი“  
*[გვაზავა, 1938: 4-6]*

ემიგრაციული პრესის ფურცლებზე დაბეჭდილი სტატიები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიული საზღვრების დაცვისკენ იყო მიმართული, დღესაც აქტუალურია, ვინაიდან მტრული ძალების მიერ, ქვეყნის საზღვრები დღემდე დარღვეულია, გრძელდება მცოცავი ანექსია, რაც საქართველოსთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს.

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

**გვაზავა, 1938:** – გვაზავა გ., *ვინ გასცა საქართველოს მიწა-წყალი (პასუხად ზურაბ ავალიშვილს)*, გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“, №142, პარიზი.

**ნოზაძე, 1989:** – ნოზაძე ვ., *საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო*, თბილისი.

**პატარიძე, 1932:** – პატარიძე ე., *საქართველოს ტერიტორიის საკითხი*, ჟურნალი „სამშობლო“, პარიზი.

**სარაღიძე, 2010:** – სარაღიძე ლ., *ყარხის ხელშეკრულება და ქართული ემიგრაცია*, კრებულში დიდაჭარობა, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, გამომცემლობა სეზანი, თბილისი,

**სცსა, ფ. 1864, ს. 635** – საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე №635.

**სცსა, ფ. 1864, ს. 882** – საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე №882.

**შარაძე, 2001:** – შარაძე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტომი II, თბილისი.

**შარაძე, 2004:** – ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტომი V, თბილისი.

**ცომაია, 1937:** – ცომაია ა., საქართველოს საზღვრები, ჟურნალი „ახალი ივერია“, №6, პარიზი.

**ჯერგალიძე, 2012:** – პარიზიდან ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით, გამომცემლობა პეგასი, თბილისი.

**Lela Saralidze**

*(Tbilisi, Georgia)*

### **The Issue of Batumi in Georgian Emigration Press**

#### Summary

On the basis of the archive and emigration press materials, Georgian emigration politicians views about of the territorial borders of Georgia, as well as the issue of Batumi discussed in the article. Georgian emigration press is actively fighting against Russian Bolsheviks the spread of lies and for restoration of Georgia's territorial integrity.

Georgian politicians and public figures, attached great importance to the issue of Batumi. The Bolsheviks also acknowledged that, one of the main goals of the occupation the Democratic Republic of Georgia was to connect Baku to Batumi. The article deals with the emigration figure Alexander Tsomaia article, which printed in magazine „New Iveria“. Magazine published in Paris in the years 1927-1939. The article concerns the issue of the territorial borders of Georgia. The author criticizes the article printed by Haidar Bamat - Mountaineers Republic representative, emigration figure. H. Bamati suspects the issue of presence the Batumi in Georgia's borders. He considers Batumi as a Caucasian city. Alexander Tsomaia on the basis of historic documents approved, that Batumi is an inseparable part of Georgia. He also criticizes the Georgian emigration politicians figures, who considered Kars agreement as a favorable for Georgian people. Elise Pataridze, known immigrant, member of the National Democratic Party published in emigration magazine - „Samshoblo“ an article: „The issue of Georgia's territory“. He also criticizes H. Bamats for his mistaken views about of the Georgian borders. Georgian emigrants, their patriotic publicist letters were served the Georgian people, who lived under the Bolshevik occupation. The issue is still relevant today, because the territorial boundaries of Georgia are still violated by various hostile forces.

## გრაჯი-სციპიონების უანასკნელი შთამომავალი ბათუმი

1804 წელს თვალსაჩინო იტალიელმა პოეტმა, კლასიციზტმა ვინ-ჩენცო მონტიმ დაწერა პოემა „გაიუს კრაკუსი“, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე III-II საუკუნეში მცხოვრები ძმების ცხოვრებამოღვაწეობას ასახავდა.

პოემა მრავალი ხალხის ენაზე თარგმნეს, პიესადაც გადააკეთეს. იგი ჩვენს სცენებზე „კაი გრაჯის“ სახელწოდებით იღვმებოდა.

აღბათ ძნელია იმის გაფიქრებაც კი, რომ ჩვენს დროში ძველი რომის პლემების (დაბალი წრის) წარმომადგენელი, აგურ სადღაც XX საუკუნეში საქართველოში იქნებოდა და მას ჩვენი თანამედროვენიც მოესწრებოდნენ.

ძმები გრაჯების, ტიბერიუსის და გაიუსის დედა კორნელია ძველი რომის კორნელიათა პატრიციული, ე.ი. პრივილეგირებული წრის, სციპიონ აფრიკელი უფროსის ასული იყო. ამიტომ გრაჯებმა დედის გვარი აირჩიეს და მთელი მათი მოდგმა **სციპიონად** იხსენიება. მონათმფლობელური წყობილების დროს სციპიონების გვარიდან მრავალი დიდი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე გამოვიდა. კორნელიას მამამ **პუბლიუს კორნელიუს სციპიონ აფრიკელმა** (235-183 ძვ. წ.-ა.) 206 წელს ესპანელი კართაგენელები შეავიწროვა, ხოლო 202 წელს, პანიბალზე გამარჯვების შემდეგ, ზამთან დაასრულა მე-2 პუნიკური ომი. მან სიცოცხლის უკანასკნელი წლები ლიტერიუმში, საკუთარ აგარაკზე გაატარა.

**სციპიონ ემილიან აფრიკელი უმცროსი** (185-129 ძვ. წ.-ად) ძველი რომის მთავარსარდალი, კონსულად აირჩიეს. მან 146 წელს დაანგრია კართაგენი, დაიპყრო ნუმანცია და დაასრულა მე-3 პუნიკური ომი. მომდევნო წლებში ესპანეთი რომს მიუერთა. სციპიონ უმცროსი ხელმძღვანელობდა ე.წ. სციპიონის წრეს, სადაც მუშავებოდა მიწის რეფორმა. იგი მტრულად შეხვდა თავისი ცოლისძმის **გრაჯი ტიბერიუსის** რეფორმას. თუმცა, გრაჯების მსგავსად, ისიც ცდილობდა სახელმწიფო მიწების გლეხებზე გადაცემას, იყო ძველი რომის პატრიარქალური ტრადიციების ერთგული, დიდ სიყვარულს იჩენდა ელინური კულტურის მიმართ.

„სციპიონის წრის“ წევრი მწერლები ცდილობდნენ ბერძნული პოეზიის ჟანრი რომაულ ნიადაგზე გადაეტანათ. ამაში სციპიონ უმცროსს გვერდით ედგნენ მისი ბერძენი მეგობრები ისტორიკოსი პოლი-

ბიუსი, ფილოსოფოსი პანეციუსი, აგრეთვე რომაელები სატირიკოსი ლუცილიუსი და კომედიოგრაფი ტერენციუსი. სციპიონ უმცროსის პიროვნებას და მის მოღვაწეობას დიდად აფასებდა ციცერონი. სციპიონ უმცროსი გარდაიცვალა მოულოდნელად, სახალხო კრებაზე გამოსვლის წინ.

სციპიონების ისტორიას მიეძღვნა იტალიელ, გერმანელ, რუს და სხვა ქვეყნების მეცნიერთა შრომები [ , 1906: 2346].

სციპიონთა ცალკეული წარმომადგენლის საქმიანობა იმდენად გახმაურებული იყო, რომ 22 საუკუნის მანძილზე არ განელებულა ხალხის მესხიერებაში. მათ ხშირად ისხენებდნენ სხვადასხვა ქვეყნის ლიდერები და ისინი ზოგჯერ თავის მოღვაწეობასაც ადარებდნენ.

სიკვდილის წინა დღეებში თურმე ნაპოლეონ ბონაპარტმა გაისვენა სციპიონების, კეისრების და ჰანიბალების საგმირო საქმეები: იმ ქვეყანას რომ წავალ, მათ ჩემს ლაშქრობებზე ვუამბობო, უთქვამს საფრანგეთის იმპერატორს.

ქართველ მეცნიერთაგან, ვინც პირველი შეეხო სციპიონთა ცხოვრებას, იყო **დავით გიორგის ძე ბატონიშვილი**, ერეკლე მეორეს შვილიშვილი. მონტესკიეს „კანონთა არსის“ ქართულ თარგმანზე (1816 წ.) დართულ სქოლიოთა შორის ერთ-ერთში ნათქვამია: „გრაკნი იყვნენ ძენი სემრონიოს გარკხისიანი და ასულის წულნი სციპიონისა აფრიკელად წოდებულისანი, რომელთაც ეწოდებოდათ ტიბერიოს და კაიოს. იხილე რომის ისტორია“ [გორდანი, 1967: 500].

ამგვარად, ირკვევა, რომ სციპიონთა შესახებ საქართველოში ცნობილი იყო ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში, როცა ბატონიშვილები დავითი და თეიმურაზი ეზიარნენ ისტორიულ მეცნიერებას და მრავალი საყურადღებო შრომაც დაგვიტოვეს.

სციპიონთა გვარს და წარმომავლობას მიეძღვნა ცნობილი მწერლისა და ისტორიკოსის **ლევან სანიკიძის** შრომები, რომელთა შეკუმშული ვარიანტი გამოქვეყნდა „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ [ქსე, 1985: 625].

ავტორთა უმრავლესობა ხაზს უსვამდა ამ გვარის ერთ ფიზიკურ თავისებურებას, კერძოდ, ექვსთითანობას, რომელიც მათ ათეული საუკუნის მანძილზე, მამაკაცთა შტოში (იშვიათად ქალებშიც) მოღვაშა და ჩვენს დრომდეც მოაღწია.

მრავალთითანობა, ანუ პოლიდაქტილია თანდაყოლილი ანომალიაა, რომელიც შეიძლება განვითარდეს როგორც ხელის მტკვანზე, ისე ტერფზე. მისი გამომწვევი მიზეზებიდან ბოლო დრომდე მირებული იყო ატავიზმის თეორია, რაც დამატებითი თითების რუდიმენტულად შენარჩუნებას გულისხმობდა [ , 1962: 711-712].

დღემდე არავინ იცოდა, რომ საქართველოში გვეოლია სციპიონთა შთამომავალი, რომელმაც 2200 წლის წინანდელი გვარი შეინარჩუნა და გააჩნდა ის ანომალია, რომელიც მისი გვარისთვის, მთელი ამ ხნის მანძილზე დამახასიათებელ ნიშნად დარჩა.

ოცდაათი წლის წინ აჭარის მედიცინის ისტორიის არქივში შემოვიდა რუსულად, ლამაზი ხელით დაწერილი დღიურები. როგორც მოგვიანებით დავადგინეთ, ისინი ეკუთვნოდა ბათუმის ჰოსპიტლის უფროსს, სამხედრო ექიმს, პოდპოლკოვნიკ **ი. მ. ერლიხმანს**. 1947 წლის 11 მაისს მან აჭარის ექიმთა საზოგადოების სხდომაზე წაიკითხა მოხსენება პოლიდაქტილიაზე და თან გამართა ავადმყოფის დემონსტრაცია, რომელსაც ზემო და ქვემო კიდურებზე გააჩნდა 6-6 თითი. დღიურში ვკითხულობთ:

„აჭარის ექიმთა საზოგადოების ქირურგიული სექციის სხდომაზე სამედიცინო სამსახურის პოდპოლკოვნიკმა ერლიხმანმა გააკეთა ინჟინერ **გ. მ. სციპიონის** ექვსთითიან (პოლიდაქტილია) მტევნისა და ტერფის დემონსტრაცია. ამ შემთხვევისადმი ინტერესი იმაში გამოიხატება, რომ ინჟინერი სციპიონი თავის გენეალოგიას იწყებს ცნობილი სარდლის, ჰანიბალზე გამარჯვებული სციპიონ აფრიკელისგან, რომელიც, როგორც ისტორიული ანალებიდან ირკვევა, თავადაც იყო ექვსთითა.

ინჟინერი სციპიონის მონათხრობით, მისი ბაბუა დაიბადა 1813 წელს. იყო პოლონეთის 1831 წლის აჯანყების მონაწილე, რის გამო 75 წლით გადაასახლეს ციმბირში. გარდაიცვალა 1913 წელს. მისი ვაჟი, ისე როგორც მამა, გამოირჩეოდნენ ტერფისა და მტევნის პოლიდაქტილიით. ეს ანომალია გვარში გადაეცემოდა მამაკაცთა მოდგმას. აღწერილია მხოლოდ ერთი შემთხვევა, როცა ამ გვარში ქალსაც აღმოაჩნდა პოლიდაქტილია.



1931 წელს ამერიკულ ჟურნალში გამოქვეყნდა სტატია ჩვენს ავადმყოფზე, მ.გ. სციპიონზე და მის გენეალოგიაზე“  
*[ხელნაწერი]*

დღიურის გაცნობით ირკვევა, რომ სციპიონთა გვარის ერთ-ერთი წევრი, პოლონეთის 1831 წლის აჯანყებაში მონაწილეობის გამო, 75 წლით ციმბირში გადაუსახლებიათ. ჩვენთვის უცნობია, როგორ დაადწია თავი მან ამ ხანგრძლივ გადასახლებას. თუმცა ის კი ვიცით, რომ 100 წელი იცოცხლა. როგორც ირკვევა, მისი შვილი მიხეილი საქართველოში დამკვირდა, ხოლო შვილიშვილს მ.გ.



სციპიონს 1916 წლიდან ბათუმში ვხედავთ. განათლებით ინჟინერი ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმის პედაგოგია, ასწავლის ელექტროტრანსპორტის (ტრამვაის) საქმეს. მისი ფოტო შეტანილია ტექნიკუმის პირველი გამოშვების კოლექტიურ სურათში, რომელიც გადმოგვცა აწ განსვენებულმა ექიმმა გურამ ნადარეიშვილმა.<sup>8</sup>

აჭარის ექიმთა საზოგადოებაში დემონსტრაციის შემდეგ, მოსალოდნელი იყო, რომ მ. ვ. სციპიონს გაუკეთებდნენ რუდიმენტის ოპერაციას, მაგრამ ასე არ მოხდა. როგორც ირკვევა, იგი საზოგადოების წევრი ექიმების წინაშე საჩვენებლად მიიყვანეს. მან მედიკოსებს მოუთხრო თავის გვარზე, ასხენა თავისი შორეული წინაპარი, სციპიონ აფრიკელი, რომელიც ასევე ექვსთითა ყოფილა. უფრო მეტიც, ინჟინრის მამასაც და ბაბუასაც ჰქონდათ ტერფის და მტევნის პოლიდაქტილია.

ამ უნიკალური შემთხვევით დაინტერესებულა ერთ-ერთი ამერიკული ჟურნალი, რომელსაც 1931 წელს ინჟინერ მ. ვ. სციპიონზე და მის გენეალოგიაზე გამოუქვეყნებია სტატია. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცნობთ ამერიკულ ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიის შინაარსსა და გამომხაურებას მასზე. დარწმუნებული ვართ, რომ მასში გაცილებით ობიექტურად იქნებოდა შეფასებული ატავიზმის გენეტიკური ფაქტორი, რასაც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა იმდროინდელი საბჭოთა ბიოლოგიური მეცნიერება, რომელიც ებრძოდა მისივე მოგონილ „ვეისმან-მენდელ-მორგანის“ თეორიებს. ალბათ სწორედ ეს გაბატონებული ცრუ მეცნიერება იყო მიზეზი, რომ დღიურებში და აჭარის ექიმთა საზოგადოების შრომებსა და ოქმებში არსად არაა ნახსენები პოლიდაქტილიის გადაცემაში მემკვიდრეობითი როლი. ამიტომაც იყო, რომ მ. ვ. სციპიონის მეექვსე თითის მეცნიერული საიდუმლოება აჭარის ექიმთა საზოგადოებას და სამხედრო ჰოსპიტლის კედლებს არ გასცილებია.

სამწუხაროდ, მ. ვ. სციპიონის შემდგომ ბედზე, მის დაბადება-გარდაცვალების თარიღებზე არაფერი ვიცოდით. ერთად-ერთი რაც შემოგვრჩა, ესაა ცნობილი მწერლის და ჟურნალისტის **ნუგზარ ჯაფარიძის** მოგონება, რომელიც მან თავის განთქმულ წიგნში, „მოგზაურობა ბათუმში“ შეიტანა [*ჯაფარიძე, 1997: 135-136*].

ნუგზარის მამა მიხეილ ჯაფარიძე ინჟინერი იყო და მას ხშირად სტუმრობდნენ კოლეგები: ძმა უშანგი, ვიარაგთა სციპიონი, ვლადიმერ აბულაძე, გიორგი ერქომაიშვილი, გიორგი ტრაუბე, ბოგდან კირაკოსიანი და სხვ.

ავტორი იგონებს თავის ბავშვობის წლებს და სტუმრებს, ჩვენს გმირს კი „სციპიონ ბათუმელს“ უწოდებს: „თუ რამ საოცრება მას-

<sup>8</sup> ფოტოსურათის ასლი ჩვენთან ინახება – რ.ს.

სოვს ბავშვობის წლებიდან, – მისი ხელი, რომელზეც, განსხვავებით ყველა დანარჩენი ადამიანებისგან, ხუთის ნაცვლად ექვსი თითი ჰქონდა... მე მონუსხულივით შევეურებდი ამ აღმოჩენას, რამდენჯერ არ შევეკითხე მამაჩემს, არ მიპასუხა, ასეა საჭირო და კაცს საათობით ხელზე ნუ უყურებ, სირცხვილიაო, დამარიგა.

მერე ბიძაჩემმა მომიყვა მოკლედ სციპიონის ისტორია... ეს კაცი სციპიონის უკანასკნელი შთამომაველია, ექვსი თითი კი მათი გვარის ყველა წევრს ჰქონდა ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრეო.“

მეგობრის მოგონებიდან რამდენიმე საყურადღებო რამ გავიგე: პირველ რიგში ცნობილი ხდება, რომ ნუგზარის ბავშვობაში, ალბათ 1955-60 წლებში სციპიონი ცოცხალია და ჩვეულებრივ საინჟინრო საქმიანობას ეწევა. მეორეც, მას თავისი რუდიმენტი მთელი სიცოცხლე ჰქონდა და ოპერაცია არ ჩაუტარებია; მესამე, სციპიონთა ეს ფიზიკური ნაკლი „დიდი ხნით ადრე“ რომ მოდიოდა, ეს ბათუმშიც იცოდნენ.

ნუგზარ ჯაფარიძე კიდევ ერთ მომენტს აღნიშნავს მისი ოჯახური ცხოვრებიდან: „უცოლშვილოდ (რაც არასწორი აღმოჩნდა) გადაეგო ბრწყინვალე გვარის, ორიათასსუთასწლოვანი ისტორიის უკანასკნელი ნაშიერი, ბათუმელი ინჟინერი სციპიონი“-ო. ეს იყო და ეს. ჩვენთვის საინტერესო პიროვნებაზე მეტი არაფერი ვიცოდით ბათუმს თავსშემოფარებულ ერთ უცხო კაცზე სციპიონზე, რომლის გვარი და მოდგმა ჩვენი ორიათასწლოვანი ქალაქის თანატოლი ყოფილა. ჩვენთვის თითქმის უცნობი იყო ვ. მ. სციპიონის ბიოგრაფია და მისი მოღვაწეობა ბათუმში, არ ვიცნობდით მის ოჯახურ მდგომარეობას, თუმცა გვქონდა მოგონებები, რომლითაც მკვლევარის წინაშე იშლება ფართო ასპარეზი.

აჭარის სახელმწიფო არქივიდან მივიღეთ საკმაოდ ზუსტი ცნობები ვ. მ. სციპიონის სამსახურებრივი საქმიანობის შესახებ (მზია სურმანიძე, ნინო გოგიტიძე) *[ახსცსა, ფ. 329, აღ. 2, ს. №288, №385]*. გარდაცვალების თარიღის დადგენაში დაგვეხმარა ბათუმის სამოქალაქო რეესტრის სამსახური. ამის შემდეგ რესპუბლიკურ საჯარო ბიბლიოთეკის ფონდებში გადავსინჯეთ ნეკროლოგები, სამგლოვიარო განცხადებები, ბათუმში მივაკვლიეთ აგრეთვე ვ. მ. სციპიონის მოსწავლეებს მეზღვაურთა სასწავლებლიდან (ბ. ორაგველიძე, ნ. ფაღავა), მათგანაც მოვისმინეთ მოგონებები და დავადგინეთ ამ პიროვნების ბიოგრაფია.

**ვიაჩესლავ მიხეილის ძე სციპიონი** დაიბადა 1888 წელს ჩუვაშეთის ქალაქ ჩებოქსარში, აზნაურის ოჯახში, სადაც ნახევარი საუკუნის წინ დამკვიდრდა პოლონეთის 1831 წლის აჯანყების აქტიური მონაწილე და 75 წლით ციმბირში გადასახლებული მისი ბაბუა. ჩვენთვის უცნობია ვ. სციპიონის მშობლების ცხოვრება და საქმიანობა.

ვ. მ. სციპიონი სწავლობდა ვოლოგდის რეალურ სასწავლებელში, ერთდროულად მუშაობდა ვოლოგდა-ვიატკის რკინიგზის მშენებლობაზე უფროს მუშად.

1907 წელს ჩაირიცხა პეტერბურგის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, აქაც აგრძელებდა შრომით საქმიანობას, მუშაობდა რუსეთის რკინიგზების მშენებლობის საძიებო პარტიის ჯერ მიჯნის დამდგენ ტექნიკოსად, შემდეგ უფროსად. 1912 წელს დაამთავრა ინსტიტუტი და მიენიჭა ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

1914 წელს ვ. მ. სციპიონი გაიწვიეს მეფის არმიაში, მსახურობდა 221-ე ქვეითი პოლკის პირველ საავიაციო პარკში, ომის დამთავრების შემდეგ, 1916 წლიდან ბათუმი-ტრაპიზონის რკინიგზის მშენებლობაზე. აქ მან გაიცნო ქართველი ოფიცერი **დავით კლდიაშვილი** (შემდგომში მწერალი, კლასიკოსი), აგრეთვე ექიმი **სერგეი სოლოვიკინი**, რომელთა რჩევით ბათუმში ჩამოვიდა, დამკვიდრდა და ჩვენი ქალაქის განვითარებაში საკმაოდ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში ვიაჩესლავ სციპიონი საქმიანობდა ბათუმის საქალაქო თვითმმართველობაში სხვადასხვა საინჟინრო-ტექნიკურ თანამდებობაზე. მას ეკუთვნის ბათუმში ჯერ კიდევ 1895 წელს დაგეგმილი ცხენის ტრამვაის, 1904 წლიდან ელექტროტრამვაის ხაზების გაყვანის პროექტის აღდგენის იდეა. მომზადდა ახალი მონახაზებიც, მაგრამ მისი განხორციელება ბოლშევიკური გადატრიალების გამო აღარ მოხერხდა.

საბჭოთა პერიოდში ვ. სციპიონი დაკავებული იყო ბათუმის სხვადასხვა უბნის საინჟინრო-გეოდეზიური საქმიანობით, 1941 წლიდან იგი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გზათა მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველია. 1959 წლიდან მონაწილეობდა ბათუმში ნიაღვარსაშვები სისტემის ახალი სქემის პროექტის შემუშავებაში.

ვ. სციპიონი ბათუმში ეწეოდა დიდ პედაგოგიურ საქმიანობას. 1926 წლიდან იგი ასწავლიდა გეოდეზიას და სხვა სპეციალურ დისციპლინებს ახლადგახსნილ ინდუსტრიულ ტექნიკუმში, შემდეგ ერთდროულად სამშენებლო, კომუნალურ, საზღვაო, რკინიგზის ტექნიკუმებში და ბათუმის საზღვაო სასწავლებელში, რაც 1956 წლამდე გაგრძელდა.

საზღვაო სასწავლებლიდან პენსიაზე გასვლის შემდეგ, ვ. სციპიონს არ შეუწყვეტია შემოქმედებითი საქმიანობა. იგი აქტიურად მუშაობდა საპროექტო ინსტიტუტის ბათუმის ფილიალში, თევზის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით სადგურებში, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საპროექტო ბიუროში და ცენტრალურ ლაბორატორიაში.

**ვიაჩესლავ სციპიონი გარდაიცვალა 1960 წლის 26 დეკემბერს [ბათუმის სამოქალაქო რეესტრის...].** სამგლოვიარო განცხადებებს, ზემოთ

დასახელებული სასწავლებლის და უწყებების გარდა, ადგილობრივ გაზეთებში აქვეყნებენ კერძო პირები, მეგობრები და ოჯახის წევრები.

ირკვევა, რომ ვ. სციპიონი დაოჯახებული ყოფილა, ჰყავდა მეუღლე და ვაჟი, რომლებიც ადრე გარდაიცვალნენ, აგრეთვე ქალიშვილი ნინა, დები ოლღა და ლიუდმილა, რძალი ქრისტინა, დისშვილები: კონსტანტინე, ემილია, ეკატერინე, ნატალია და ირინა [«

», 1960: 4].

სამოქალაქო პანაშვიდი და გამოსვენების ცერემონიალი გაიმართა ბათუმში, მარქსის (ამჟამად ვაჟა-ფშაველას) ქუჩის № 31 სახლში, როგორც ჩანს ქალიშვილის ბინაში, რადგანაც ვ. სციპიონის პირად საქმეში აღნიშნულია, რომ იგი ცხოვრობს ბათუმში, გორკის (ამჟამინდელი გორგილაძის) ქუჩის № 10 სახლში. ამჟამად ამ სახლებში სციპიონთა გვარი გამქრალია და ახალმოსახლეებს იგი აღარც ახსოვთ.

როგორც ჩანს, ვიანესლავ სციპიონის გარდაცვალების შემდეგ სწორედ ბათუმში გაქრა გრაკი-სციპიონების 2200-წლიანი გვარიც და მისი ხანგრძლივი ისტორიაც.

#### გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

ასსცსა, ფ. 329, აღ. 2, ს. №288, №385 – აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 329, აღწერა 2, საქმე №288, №385.

ბათუმის სამოქალაქო რეესტრის... – ბათუმის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის ცნობა № 17167002262 (დედანი ჩვენთან ინახება – რ.ს.).

ჟორდანია, 1967: – ჟორდანია თ., ქრონიკები, III, თბილისი.

ქსე, 1985: – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 9, თბილისი.

ხელნაწერი – ი. მ. ერლიხმანის ხელნაწერი (ასლი ჩვენთან ინახება – რ.ს.).

ჯაფარიძე, 1997: – ჯაფარიძე ნ., მოგზაურობა ბათუმში, ბათუმი.

«...», 1960: – ... «...», 255, 29

1960 .

, 1962: –

, .25,

, 1906: –

**Ramaz Surmanidze**

*(Batumi, Georgia)*

### **Grakhi-Scipions' Last Descendant in Batumi**

#### Summary

The author presents a rare case in which the story refers to the year 2200 grakhi-Scipiones' genus. In particular, the engineer from Batumi V. M. Scipione, whose grandfather took part in Poland (Cracow) rebellion in 1830, leaving in place and there is the Ural region settled. educated as an engineer, M. Stsipione friends' advice came in 1916, established and passed away. Attention to detail - all the seed of Scipios is known with manyfingered (poludaktylos), thus V. M. Stsipione as well.

## ერთი ინფექციური დაავადების გამომწვევი მიჯიში ძველ ბათუმში

მთელ მსოფლიოში ყოველწლიურად აღირიცხება 200-500 მილიონამდე მალარიით დაავადებული. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით ყოველწლიურად მალარიით ავადდება 350-500 მილიონამდე ადამიანი და მათგან მილიონიდან მილიონ სამას ათასამდე (უმეტესად 5 წლამდე ბავშვები) ამ დაავადებისაგან კვდება.

მალარია მსოფლიოში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს და გლობალურ კლიმატური ცვლილებებისა და სულ უფრო მზარდი მიგრაციის ფონზე სულ უფრო მეტი ქვეყნის წინაშე დგება. მალარია ძველი დროიდან ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში, იგი წარმოადგენდა საშიშროებას ეროვნული უსაფრთხოებისათვის, იწვევდა მაღალ სიკვდილიანობას და უზარმაზარ ეკონომიურ დანაკარგებს. გასული საუკუნის 20-იან წლებში მოსახლეობის დაახლოებით 30% იყო დაავადებული მალარიით კოლხეთის დაბლობსა (დასავლეთ საქართველო) და ალაზნის ველზე (აღმოსავლეთ საქართველო) და მაღალი სიკვდილიანობით მიმდინარეობდა.

1924 წელს დაარსდა პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის ინსტიტუტი. სპეციალიზებული სამედიცინო ქსელის შექმნამ და ინსტიტუტის ხელმძღვანელობით მალარიის საწინააღმდეგო კომპლექსური ღონისძიებების ჩატარებამ განაპირობა მალარიის მკვეთრი შემცირება. თუმცა საბოლოო წლების დინამიკამ აჩვენა რომ ბოლო წლების სოციალურ-ეკონომიურმა ცვლილებებმა, რეგიონის მოსაზღვრე ქვეყნებში მალარიის ეპიდემიებმა, ხელი შეუწყო საქართველოში მალარიის ადგილობრივი კერების გაჩენას.

მაღალი რისკის ჯგუფები არიან აღმოსავლეთით, აზერბაიჯანის საზღვართან და დასავლეთით, შავი ზღვისპირას მდებარე ტერიტორიების მოსახლეობა.

გასულ საუკუნეში მალარიის ერთ-ერთ საშიშ რეგიონად აჭარაც მოიაზრებოდა. კერძოდ ბათუმის შემოგარენი (კახაბრის დაბლობის ჩათვლით) ჭაობებით იყო სავსე. ქალაქის სამხრეთით დიდი დაჭაობებული ნაკვეთი იყო, ერთი-ორი ბუჩქით. დასავლეთით მდინარე ანგისა საცხოვრებელ უბანს მიბჯენილი ჭაობიანი ნაპირებით მდინარე ანგისას ძალიან მდორე დინება ჰქონდა და ზღვის ძლიერ დეფლაციას

მდინარე უკანვე ბრუნდებოდა, გუბდებოდა, იქაურობას აჭაობებდა და მალარიის მიკრობების ბუდე ხდებოდა.

პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის ინსტიტუტის ექიმ ტომოლენ ტრიანდა ფილიდისის დიდი მეცადინებით, მალარიით დაავადების შემთხვევები ქალაქის ცენტრალურ ნაწილში გაიშვიათდა, მაგრამ განაპირა უბნებს ძველებურად ტანჯავდა.

ბათუმი აღარ იყო პონტო-ფრანკო, ქალაქის ძირითადი ნაწილი გაშენებული იყო, განაპირას უკვე იდგა ახალი რკინიგზის სადგური და კათოლიკური ტაძრის მშენებლობა იწყებოდა. ქალაქის კედელთან ჰყავდა ჭაობი მიმწყდელი თუ პირიქით. სხვა გზა აღარ იყო, იმსჯელეს სათათბიროზე და გადაწყვიტეს, ჭაობზე იერიში მიეტანათ. პროექტის შედგენა დაევალა გენერალ ჟილინსკის, რომელსაც მსგავსი გამოცდილება ჰქონდა 1883 წლიდან. ჟილინსკიმ საფუძვლიანად შეისწავლა საკითხი და დაადგინა, რომ ჭაობის გაჩენას მთიდან ჩამონადენი წყლების დაგროვება განაპირობებდა, რასაც უხვი ატმოსფერული ნალექები ერთვოდა თან. მისი გეგმა სწორედ ამ ფაქტორის აღმოფხვრას ითვალისწინებდა. კერძოდ, სანიაღვრე არხების მეშვეობით ჭაობი უნდა შეერთებოდა მდინარე მეჯინ-სუს, რომელიც მდინარე ანგისის დასავლეთით მიედინება (მას ახლა მეჯინისწყალი ჰქვია). ამ არხში უნდა მიემართათ წყლები, რომლებიც საზღვაო ბატარეის ახლომახლო და მდინარე ანგისის ნაპირებზე გროვდებოდა. ართვინის გზატკეცილს, ქალაქს და ზღვას შორის მიქცეული ადგილი კი ისე უნდა მოეზვინათ, რომ წყალი თვითდინებით ჩაღვრილი ჟილინსკის ახალ არხში. ერთი სიტყვით, ჭაობის დასაშრობად არხების მთელ ქსელის გაყვანა იყო საჭირო *[ბათუმი, 2015: 92]*. საბოლოოდ, ეს პრობლემა მოგვარდა და უკვე საჭირო გახდა ბრძოლა, კერძოდ, დაავადების წინააღმდეგ.

**მალარია** (იტალ. malaria < mala aria) – ცუდი ჰაერი (წინათ ფიქრობდნენ, რომ დაავადებას იწვევს ცუდი ჰაერი) — მწვავე პროტოზოული დაავადება, რომელიც ხასიათდება ცხელების შეტევებით, ანემიით, ღვიძლისა და ელენთის გადიდებით; შესაძლებელია რეციდივები *[მარუაშვილი, 1983: 383-384]*. მალარიას იწვევს ერთუჯრედიანი ორგანიზმი – ლაზმოდოიუმი, რომელიც გადააქვს მალარიის კოლოს – ანოფელესს. მალარია გავრცელებულია აფრიკის, აზიისა და სამხრეთ ამერიკის ზოგიერთი რაიონის ჭაობიან ადგილებში. ადამიანებში აღრიცხულია მალარიის 4 ფორმა: სამდლიანი (იწვევს **ლასმოდოიუმ ვივანს**), ოთხდლიანი (**ლასმოდოიუმ მალარიაე**), ტროპიკული (**ლასმოდოიუმ ფალციპარუმ**) და მალარია-ოვალე (**ლასმოდოიუმ ოვალე**), რომელიც მხოლოდ დასავლეთ ტროპიკული აფრიკის ქვეყნებში გვხვდება. ყველაზე მძიმედ მიმდინარეობს მალარიის ტროპიკული ფორმა, რომე-

ლიც მაღალი ლეტალობით ხასიათდება და ენდემურია ტროპიკული და სუბტროპიკული ქვეყნებისათვის [<http://ncdc.ge/Category/Article/189>].

მალარია (Malaria), როგორც აღენიშნეთ პროტოზოული დაავადებაა, მწვავე ინფექციური სნეულება, მას იწვევს მალარიის პლაზმოდები, რომლებიც გადადის ანოფელექსიის გვარის წარმომადგენლებით, დასნებოვნებელი კოდოს კბენით.

მალარიის მეცნიერული შესწავლის ისტორიაში პირველ თარიღად აღიარებულია. 1640 წ. როდესაც ესპანელმა ექიმმა ხუან დელ ვეგომ მალარიის მკურნალობის მიზნით წარმატებით გამოიყენა ქინაქინის ხის ქერქის ნაყენი [*ბოცვაძე, 1987: 359*].


მალარია მიეკუთვნება დაავადებათა რიცხვს, რომლებიც ცნობილია უძველესი დროიდან. ჯერ კიდევ XVIII საუკუნის დასაწყისში იტალიელმა ლანჩიზიმ წამოაყენა მალარიის წარმოშობის მიაზმატური (Malaria – გაჭუჭყიანებული ჰაერის) თეორია, და დიდი ხნის განმავლობაში მალარიის დასნებოვნების მიზეზად თვლიდნენ ჭაობის მავნე აორთქლების მოქმედებას. 1886წ. ვ. ი. დანი ლევსკიმ აღმოაჩინა ფრინველის მალარიის გამომწვევი, რომელიც შემდგომ გამოყენებულ იყო ექსპერიმენტულ მოდელად მალარიულ დაავადებათა ქიმიოთერაპიის შესწავლის დროს მალარიის პლაზმოდუუმის აგებულება შესწავლილ იქნა, ადამიანის სისხლში მისი ეოზინით და მეთილენის ლილით ორმაგი შეღებვის მეთოდის გამოყენების შედეგად, რომელიც შემუშავებულ იქნა რუსეთში 1891 წელს დ. ლ. რომანოვსკის მიერ. ამან შესაძლებელი გახდა პლაზმოდუუმის ბირთვის დიფერენცირება პროტოპლაზმისაგან. ანოფელესის გვარის კოდოს როლი გადადებისას დამკტიცებელი იქნა ინგლისელი ექიმის რ. როსის მიერ, რომელმაც დაადგინა კოდოს სხეულში პლაზმოდუუმის განვითარების ციკლი, ეს დაკვირვებანი გააგრძელა იტალიაში გრასიმ, რომელმაც გარდა ამისა დაამტკიცა ადამიანის მალარიით ექსპერიმენტულად დასნებოვნების შესაძლებლობა [*ბუნინი, 1961: 245*].

გამომწვევის სახის მიხედვით არჩევენ: 1. სამდლიან მალარიას – Malaria terbiani, რომელსაც pvivax იწვევს, 2. ოთხდლიანი მალარიას – malaria questiana – იწვევს p malariae, 3) ტროპიკული მალარია – malaria trop, ca იწვევს p faleiparum, 4) plasmodium ovale ძირითადი სიმპტომები დაა-ის არის ცხელება, რომელიც შედგება 3 სტადიისაგან. 1) შემცივნება, 2) სიცხისა და 3) ოფლის დენის სტადია. ძირითადად გავრცელებულია მალარიის სამდლიანი და ტროპიკული ფორმა, რომლებიც ძირითადად ლეტალურად მთავრდება.

მალარიით დაავადებული ადამიანის ორგანიზმში პლაზმოდუმი გადის განვითარების უსქესო ციკლს (შიზოგონია), ინფექციის გადატანის – კოდო ანოფელესის სხეულში კი სქესობრივ ციკლს. დაავადების ადრეულ სტადიებში, ერთროციტების შიგნით, განვითარებამ-



დე სამდღიანი და ტროპიკული მაღარიის პლაზმოდები უნარი აქვთ განვითარდნენ მათ გარეშეც – ქსოვილის ციკლის ფორმით, რომელიც დამახასიათებელია ავადმყოფი ადამიანის ორგანიზმში პლაზმოდების პარაზიტირების პირველი სტადიებისათვის. მაღარიით დაავადებული ადამიანის სისხლის შეწოვისას კოლო ანოფელესი სისხლთან ერთად შეიწოვს როგორც შიზოლენებს, ისე პლაზმოდუმის სექსობრივ ფორმებსაც – მაკროგამეტოციტებს და მიკროგამეტოციტებს. უკანასკნელნი კოლოს მუცელში იშლებიან ძადისებურ ფორმებად, შემდეგ იწყება მაკროგამეტის განაყოფიერება მიკროგამეტით, ამასთან იქმნება მოგრძო ფორმა – ოოკინეტა, რომელიც შედის კოლოს კუჭის კედელში და თანდათან გარდაიქმნება ბურთისებრ ფორმად – ოოციტათ, შემდეგ იქმნება თითისტარისებური ფორმები – სპოროზოიტები (ყველაზე ახალგაზრდა ფორმა პლაზმოდების) მომწიფების გარკვეულ სტადიაში ხდება, სპოროზოიტები მიმოიფანტება ჰემოლიმფის ნაკადით და აღწევს კოლოს სანერწყვე ჯირკვალში მაღარიის პლაზმოდებით დასნებოვნებულ კოლო ანოფელესის კბენისას ჯანსაღი ადამიანის ორგანიზმში კოლოს ნერწყვთან ერთად ხდება უამრავი სპოროზოიტები, რომლებიც გაივლიან რა ქსოვილის განვითარების სტადიებს, ჩაინერგებიან ერთროციტებში, აქ პლაზმოდები იღებენ რგოლისებურ ფორმას და გაივლიან შიზოგენიის თანმიმდევრულ სტადიებს შიზონტების გაჩენასთან ერთად.



მთელი რიგი მკვლევარების ნაშრომებმა გვიჩვენა, რომ პლაზმოდუმების ქსოვილოვანი ფორმები პარაზიტობენ შემავრთებელ ქსოვილში, სისხლის კაპილარების ენდოთელიუმში, კუპფერისა და ღვიძლის უჯრედებში მაღარიის ძირითადი გადამტანია. ნოჰჰელეს მაცულნიპენის – დედალი კოლო (ამ კოლოს ფრთებზე აქვს ლაქები). ანოდელესის ჯიშის კოლოები ბინადრობენ ჭალის მდელოებში, წყალსაცავებში, ტბებზე, ბრინჯის დატბორილ მინდვრებში, ყურეებში და

ჭაობებში, დებენ კვერცხებს გაუმდინარე ან მდორედ მიმდინარე წყალსაცავებში.

კოლოს ორგანიზმში მალარიულ პლაზმოდების განვითარება (სპოროგონია) შესაძლებელია მხოლოდ ისეთი გარეგანი ტემპერატურისას, რომელიც  $15^{\circ}$  – აღემატება, მომწიფებისათვის საჭიროა  $28^{\circ}$ , ასეთ ტემპერატურაზე სპოროგონია მთავრდება 7-8 დღის განმავლობაში, როდესაც ჰაერის ტემპერატურა  $17^{\circ}$  უდრის, მაშინ 35-40 დღის შემდეგ.

ავადმყოფის ინკუბაციური პერიოდი შეადგენს 9-დან 17 დღემდე. დაავადება იწყება ციებით, მაღალ ტემპერატურით 39- 41<sup>0</sup>-მდე და გრძელდება 8-9 დღე, ახასიათებს თავის ტკივილი, ტაქიკარდია, ზოგჯერ გულისრევა და ღებინებაც კი უახლოეს დღეებში იწყებს გადიდებას ღვიძლი და ელენთა. 10-12 დღის შემდეგ ვითარდება სკრლერებისა და კანის სიყვითლე, ხშირად სახის კანზე ცხვირის არემი, ზედა და ქვედა ტუჩზე ჩნდება ბუშტუკოვანი (ჰერპესული) გამონაყარი. იცვლება სისხლის სურათი. მე-12 დღეს აღენიშნება პროგრესირებადი ჰიპოქრომიული ანემია, თრომბოციტოპენია, მკაფიო ლეიკოპენია ნეიტროპენიასთან, ლეიკოციტების ნეიტროფილური ჯგუფის გადახრა მარცხნივ, ედს-ის აჩქარება.

მალარია შეიძლება გართულდეს მალარიული შოკით. მალარიის გართულებებს შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ნეფროზო-ნეფრიტი, მალარიული ჰეპატიტი, ჰემოგლობინური ცხელება.

დიაგნოზის დროულად დასმისა და ენერგიული მკურნალობისას მალარიის ყველა შემთხვევა გამოჯანმრთელებით მთავრდება [ *, 2007: 5].*

პროფილაქტიკისათვის – ინფექციის წყაროს მიმართ ატარებენ შემდეგ ღონისძიებებს:

1) ავადმყოფისა და პარაზიტმატარებლის დროულ გამოვლინებებს სასწრაფო შეტყობინებას, ავადმყოფის ჰოსპიტალიზაციას და სრულ მკურნალობას.

2) კოლოების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით წყალსატევებს საცხოვრებელ ბინებს, ცხოველთა სადგომებს ამუშავებენ დღე-თი, მალარიონით, პირეტრუმით.

3) მოსახლეობის ქიმიოპროფილაქტიკისათვის იყენებენ ჰემატოში-ზოტროპულ საშუალებებს [*ბოცვაძე, 1987: 380].*

დღესდღეობით საქართველოში ბოლო ათეული წელი არ დაფიქსირებულა მალარიის შემთხვევები, და ეს პრობლემა ძირითადად აღმოფხვრილია, მაგრამ არის დიდი რისკი დაავადების შემოტანის მეზობელი დიდი ქვეყნებიდან, სადაც ეს პრობლემა არ არის სრულად მოგვარებული.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, 2013 წელს მალარიით 198 მილიონზე მეტი ადამიანი დაინფიცირდა, აქედან სავარაუდოდ, 584 000 შემთხვევა ფატალურად დასრულდა. 5 დაღუპულიდან დაახლოებით 4 ხუთ წლამდე ბავშვი იყო. მსოფლიო მასშტაბით მალარია ასამდე ქვეყნისა და ტერიტორიისათვის წარმოადგენს საფრთხეს და დაახლოებით 3,2 მილიარდ ადამიანს აყენებს რისკის ქვეშ.

დღეს, ჩვენდა საბედნიეროდ, არათუ აჭარაში, არამედ საქართველოში მალარიის ადგილობრივი შემთხვევები ნაკლებად ფიქსირდება. მსოფლიო ჯანდაცვისა და საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევით, მალარიის გამოსატყუი ფორმა არ ფიქსირდება. აჭარაში მალარიის შემთხვევების მრავალწლიანმა დინამიკამ იკლო, ხოლო იმ ტერიტორიებს, სადაც უკვე მოხდა მალარიის ელიმინაცია, ყურადღება ექცევა ამ სტატუსის შენარჩუნებას. განსაკუთრებული აქცენტი კი გარემოს ეკოლოგიის დაცვას ეხება.

ჩემი აზრით მკაცრად უნდა იყოს ეს პროგრამა შემუშავებული და ქვეყანაში, ყოველი შემოსული ემიგრანტი თუ ტურისტი მკაცრად იქნას შემოწმებული, რათა თავიდან ავიცილოთ დაა-ის ეპიდემია და დაგიცვათ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა ამ მიმე დაავადებისაგან.

#### **გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:**

**ბოცვაძე, 1987:** – ბოცვაძე, ინფექციური დაავადებები, გამ. „საქართველო“, თბილისი.

**ბუნიანი, 1961:** – ბუნიანი კ. ვ., ინფექციური დაავადებანი, გამ. „საქართველო“, თბილისი.

**ბათომი, 2015:** – ბათომი, გამომც. “ბათუმელები”, ნანა კვაჭაძის საერთო რედაქტორით, რედაქტორი ანა ჭაბაშვილი, ბათუმის.

**მარუაშვილი, 1983:** – მარუაშვილი გაქართველი საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 6, თბილისი.

, 2007: – . . . . .

<http://ncdc.ge/Category/Article>.

**Maya Kartsivadze**

*(Kharkov, Ukraine)*

### **One of the Infectious Diseases in Batumi**

#### Summary

There are up to 200-500 million registered people who suffer from the disease of malaria. According to the data of World Health Organization every year about 350-500 million people get sick with malaria and nearly 1.3 million people (mostly children under five) die from the disease.

In the previous centuries Adjara was thought to be one of the dangerous regions in accordance with the malaria infection. Particularly, the outskirts of Batumi (including Kakhaberi valley) was full of marshland. The disease was in peak in the last century. Luckily, nowadays no local cases of malaria have been noticed in Adjara, as well as throughout Georgia.

Nowadays, with the effort of Georgian and World Health Organizations, there is not any distinguished form of malaria. The dynamics of long-term incidents has been significantly reduced in Georgia. The territories, where the disease has been eliminated, are paid a great attention in order to keep the status; particular accent is drawn to the protection of environmental ecology.

The represented work concerns to the reasons causing the disease of malaria, which was the greatest problem I the last century.

## რეალური ინფორმაციის ნახაზობა სამშობლოს მონაცემთა თურქეთის ქართულთა შორის და თანამედროველთა შრომითი მიგრანტების როლი ბათუმსა და აჭარის სინამდვილეში<sup>9</sup>

გამარჯობა... მოგესალმებით ყველას, დიდი სიხარულით და პატივისცემით... აქ ჩემ უსაყვარლეს ხალხთან ერთად ყოფნა და ჩემთვის სამკურნალოდ მოქცეულ მშობლიურ ენით თქვენთან საუბარი როგორც ყოველთვის ძალიან მიხარია...

დღეს ფაქტი ისაა, რომ ყველაზე ახლო მეზობელი თურქეთია და ყველაზე მჭიდრო ურთიერთობა აქვს თურქეთთან საქართველოს სახელმწიფოს და მოსახლეობასაც კი. ამასთანავე, 25 წელია საქართველოს ოფიციალური პირები ეცდებიან სავაჭრო, კულტურული, პოლიტიკური, სამხედრო ან სხვა სახის ურთიერთობების განვითარებისათვის. დიდი გზა არის გავლილი და ამას რა თქმა უნდა ვერ უარყოფს ვერავინ...

მე როგორც ვიცი, საქართველოს მოსახლეობას გარკვეული ინფორმაცია აქვს დღევანდელ თურქეთზეც და წარსულის შესახებაც კი... თურქეთიდან ბევრი ხალხი ჩამოდის განსაკუთრებით ბათუმში. ბოლო წლებში თურქულ არხებში ბევრჯერ აჩვენეს ბათუმიც და თბილისიც. ამან უფრო მიმზიდველიც გახადა ტურისტულად ჩემი სამშობლო... მაგრამ თურქეთის მოსახლეობას ინფორმაცია მაინც აკლია ან ბევრ არასწორ ინფორმაციას ფლობს...

მე მინდა ვისაუბრო ქართველი წარმოშობის მილიონებით თურქეთელისა და რა თქმა უნდა თურქეთის დანარჩენი მოსახლეობის, არაქართველების ინფორმაციის ნაკლებობაზე ან არასწორ ინფორმაციაზე.

ამ მხრივ იქ კეთდება კარგი ბევრი საქმე კი, შეძლებათა გვარად სხვა და სხვა ღონისძიებებიც ხორციელდება თურქეთელი ქართველების მიერ, ზოგი სოციალურ ქსელებით სარგებლობს და საჭირო ინფორმაციებს თან სწავლობს და თან ავრცელებს... მისასალმებელია მათი დამოკიდებულება, ვინც ყველა ამას აკეთებს... კარგი ღონისძიებები და შეხვედრები შედგა სტამბულში, საქარიაში, დუზჯეში, ინეგოლში ამ მხრივ... ერთი კარგი მაგალითი უნდა მოგიყვებო, უკვე მეოთხედ ჩატარდა ქართული ზეიმი ამჯერად ბურსას პროვინციის

<sup>9</sup> ავტორის სტილი დაცულია.

გემლიკის რაიონის ერთ სოფელში... ეს ზეიმი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ეძღვნება...



4. Gürcü Şenliği organizasyon komitesi / მე-4 ქართული ზეიმის საორგანიზაციო კომიტეტი



და კიდევ შეიძლება ბევრი რამ ითქვას სტამბოლის შესახებ რაც ჩემთვისაც მოსაწონი და მისასალმებელია...

მარა ზოგი კი ისეთ ღონისძიებებს აკეთებს ქართულ სახელით რო მე თუ მკითხავთ უფრო აფუჭებს საქმეს და ესაა ჩვენთვის პრობლემა. იყო წარსულში ეგეთი მაგალითები რაც არაფერი სიკეთის მომტანი არაა და არ აძლევს ხალხს სწორ ინფორმაციას და მიმარ-



თულებას. უარყოფითი ბევრი მაგალითი არსებობს მაგრამ მე მხოლოდ სტამბულიდან ორ მაგალითზე მოგიყვებით, ოღონდ მოკლედ...

პირველი, დროზე თუ არ ვცდები, 2 წლის უკან ჩატარდა. თემა იყო „თურქების ეფექტი ქართულ ხელოვნებაში“ ... ეს არ იყო დღევანდელი იქაური გურჯების ხელოვნებაზე, ეს იყო თქვენი წინაპრების ხელოვნებაზე თურქების ზეგავლენა თუ ეფექტზე... ვინმეს თუ წარმოუდგენია მერე ამისხნას, ეს რატო დაფინანსდა საქართველოდან... ნეტა, ჩვენ იქაურებმა ყველაფერი შევისწავლეთ, თან ქართული ხელოვნებაც და, ეს გვაკლოდა? თან ეს რეალობაა? ანუ იმას თუ არ ემსახურებოდა ეს რო, ქართული ხელოვნება, ორნამენტები და სხვა ელემენტები ვითომ თურქული წარმოშობისაა? ეს არაა ეგრე ხო? მაგრამ რაც გაკეთდა ეს ღონისძიება, იქ ეგეთი შთაბეჭდილება მოახდინა. იქით ვინც ამბობს საქართველო თურქი მოდემის ხალხების ძირძველი ტერიტორიაო და თან აჭარლები და დანარჩენი ქართველების დიდი ნაწილი წარმოშობით არ არიან ქართველებიო, მათ კარგად დაემსახურა ეს ღონისძიება... და ვინც ამ საქმეში მიიღო მონაწილეობა ალბათ მათზე მადლობელი იქნებიან ისინი ვისაც ესია მოვნივბოდა ეს ღონისძიება... ეს რო ნამდვილად რეალურ სურათს აჩვენებოდეს, მე არაფერს ვიტყვოდი. პირიქით, გამიხარდება სხვა და სხვა ხალხებთან ნათესაობა...



მეორე მაგალითი უფრო ახალი, რამოდენიმე თვის ამბავია; ჩატარდა სტამბულში კონფერენცია, თემის ნაწილი კი იყო ისლამის მომავალი საქართველოში და კონფერენციის სათაურშიც ეს ეწერა.

აქედანაც ჩავიდა ბევრი და მონაწილეობა მიიღო. ჩავიდნენ საქართველოდანაც. ერთ აქაურ პატიოსანი მეცნიერის მოხსენება წინასწარ ნანახი მაქვს, ის მოხსენება კარგი იყო. დანარჩენი აქედან ჩასულეებსაც საჭირო და სწორ ინფორმაცია მიწოდებული ექნებათ და კარგი მოხსენებებით გამოვიდოდნენ. კი ეს მჯერა და არ მინდა ისინი სხვანაირად გამიგონ, თვითონ ისედაც იციან რო მე მათ პატივს ვცემ, მათი გამოსვლაზე არაა ჩემი საუბარი... თან სხვა თემებზეც შეიძლება იყო იქ მოხსენებები...

ცოტა პირიქით რო ვიფიქროთ; ანუ ჩავთვალოთ თურქეთის ერთ სასახლდრო კუთხეში ქრისტიანი მოსახლეობა არსებობდეს, მერე კი აქეთ, საქართველოში ასეთი თემით კონფერენცია ჩატარდებოდა „ქრისტიანობის მომავალი თურქეთში“. აი ამ სიტუაციაში რას იტყვოდა თურქეთის საზოგადოება და სტრუქტურები? სადაა მაგდენი დემოკრატია მცირე აზიაში? აი, ეს გაკეთდა სტამბულში. იქნება ვერე ვერ აზროვნებს იქაური ორგანიზატორები. ან მე ვცდები ამ და მსგავსი შემთხვევებში... როცა საუბარია მსგავსი თემებზე მე ვამბობ იმას და ვურჩევ მეგობრებს, რო დავანებოთ თავი ამ რელიგიური განსხვავებას და მით უმეტეს ნუ ჩავერევით, ჭკუას ნუ ვასწავლით ძმებს და მეზობლებს. ყველამ თავისუფლად აირჩიოს თავისი გზა. ამას, რა თქმა უნდა, აქაურებსაც ვეუბნები... ჩემი აზრით, ამ თემით და სათაურით კონფერენციის ჩატარება თუ საჭირო იყო, ეს აქ შეიძლებოდა გაკეთებულიყო და არა თურქეთში. თან ეს იმ საზოგადოებას საქმე არ უნდა ყოფილიყოს, რომელიც არც აქ ცხოვრობენ არც ქართულს ერკვევიან და არც თავისი შვილებს აინტერესებს ქართული ენა და კულტურა ერთ-ორ მაგალითის გარდა

ახლა ვიტყვი სხვა რამეს, საიტკენ არის იქაური ხალხი ორიენტირებული? იქაური ხალხი რო ავიღოთ; უმრავლესობას მიმართულება აქვს ევროპისაკენ, ანუ უკეთესი პირობებისაკენ და ნაწილს კი შუა აღმოსავლეთისაკენ - საერთო აღმსარებლობის გამო... მათ თვალში საქართველო გეოგრაფიულად არის აღმოსავლეთში, პატარა, არა მდიდარი, არა მუსულმანი და ა. შ....

ყველამ ხომ ვიცით, მდინარები მიდის ზღვისკენ და ამ ხალხის ინტერესებიც და მისზე მიწოდებული ინფორმაცია, განათლება და პროპაგანდა ბუნებრივია ამას ისახავდა მიზნად.


თან ისიცაა, ყველგან ეს ასეა, ყველა დღევანდელი მდგომარეობას უყურებს და აკეთებს თავისი შეფასებას. ამ თვალსაზრისით იქაური ხალხის თვალში განვითარებული ევროპული ქვეყნებისა თუ იაპონიის, სამხრეთ კორეის ან ამერიკის იმიჯი სხვაა და დანარჩენის კი სხვა...

მაგრამ ამჟამად იქაურებში სულ ეგრეც არაა საქმე... იცვლება ნელ-ნელა სიტუაცია, არის უკვე რაღაც საშუალებები... ბევრმა აქედან ჩასულ ხალხმა და მეცნიერმაც შეძლებათა გვარად გააცნო სამშობლო, აჩვენა რეალობა, ესაუბრა წარსულზე, აჩვენა რო საერთო ენა გვაქვს. იქიდანაც ბევრი ჭკვიანი ჩამოვიდა სამშობლოში, გაარკვია და აიწია მათი ნაწილის დონემ, ვისაც სურდა რეალური სურათის ნახვა... ნაწილის აიწია ცოდნა მარა დიდ ნაწილს კი რა თქმა უნდა ჯერ არა.

როცა ქვეყანა ჩამოყალიბებული და მდიდარია, მაშინ მიმზიდველიცაა და ამ შემთხვევაში არაა პრობლემა არც განსხვავებული



კულტურა ან რელიგია და არა აქვს მნიშვნელობა მის დროშაზე თუ არსებობს ჯვარი ან სხვა სიმბოლო.



ამას ფრჩხილებში ვამბობ და იმიტო გეუბნებით, რო, მიუხედავად 12 ან 16 წლის სწავლისა, მაინც ბევრი ბნელი ადამიანი ათასობით კილომეტრ შორიდან წახდება ჩემი საქართველოს დროშაზე არსებულ ჯვართ, მიუხედავად იმისა, რო თვითონ არანაირი კავშირი არა აქვს, არაა საქართველოში ნამყოფი, არ იცის არც თავისი წარსული, არა აქვს ჰუმანიტარული შეხედულება და ა. შ... ეს რა მისი საქმეა, ძმებო? მაგრამ ამნაირი ადამიანები როცა მოხდებიან ევროპაში, რა თქმა უნდა, არაფერს ამბობენ, მაგალითად, შვეიცარიის ან ნორვეგიის დროშაზე. ზოგიც კი მაგალითად თურქეთიდან ჩასული მორწმუნე თურქეთელი შვეიცარიაში იმ დროშის ქვეშ ცხოვრობს, რაც ჯვარია ზედ, ამაზე არ ფიქრობს და იქიდან აქეთ ჭკუას ასწავლის და აკრიტიკებს საქართველოს დროშას, თან ქართულიც არ იცის და თურქულ ენაზე, ვითომ არ მოსწონს თავისი მშობლიურ გურჯისტანის დროშა, თან აკრიტიკებს საქართველოს ქრისტიანულ დამოკიდებულებას...

მაგრამ არის ბევრი პატიოსანი ხალხიც, არაქართველი თურქეთის მოსახლე და თურქეთელი ეთნიკური ქართველიც, პატივს სცემს ყველას, ყველა ხალხის თუ სახელმწიფოს არჩევანს და სიმბოლოებს, რა თქმა უნდა... ზოგადად, კარგი ხალხი ვართ და არაფერი ჩვენი ხალხის ბრალი არაა.. ასე ჩამოყალიბდა უბრალოდ.. უფრო სწორად, ვისაც ჰქონდა ძალა, მათ ასე ჩამოაყალიბეს...

სათქმელი ბევრია, მარა ყველაფერს, რაზეც საჭიროა ფართოდ საუბარი, აქ დაწესებულ დროში, რა თქმა უნდა, ვერ მოგიყვებით...

ჩვენს პატარა საქართველოს აქვს დიდი ისტორია, კულტურა, ვართ უძველესი ხალხი და ა.შ... იქით უმრავლეობამ, გინდ ქართველი

იყოს გინდ არაქართველი, ბევრმა არ იცის ამის შესახებ და არც დღევანდელობაზე.

და ამიტომ ძალიან ბევრს ვფიქრობ, როგორ გავაგებინოთ მაგალითად, ცხინვალის რეგიონიდან, თავისი ძირძველი სოფლებიდან დევნილების ტკივილი? ზემოთ მოხსენებული ინფორმაციის ნაკლებობას თუ ვერ მოერევა, წარმოდგენა ვერ ექნება იქაურ ქართველს და ვერ გაიგებს, რა ხდება აქეთ, მით უმეტეს, ენგურის ხილთან ან აფხაზეთში, ან გორთან ახლოს...

და ბევრმა არ იცის თავისი სახელმწიფოს, ანუ თურქეთის ტერიტორიის შესახებ, რა:

- ადგილობრივი ქართველები ოდიდგანვე ცხოვრობდნენ თავის მიწა-წყალზე, ისინი არ არიან იქ ჩამოსულები;

- ბევრი ისტორიული ძეგლია იმ კუთხეში და ისინი არის გურჯების წინაპარი ქართველების მიერ აგებული საუკუნეების წინ;

- ზუსტად ამიტომაც არ შეიძლება რო ჩაითვალოს ქართველები თურქეთში ჩამოსული ხალხად, ამ მხრივ არ შეიძლება ქართველების შედარება, მაგალითად, ბოსნიელებთან, ალბანელებთან, ჩერქეზებთან თუ სხვა ჩრდილო კავკასიელებთან, იმიტომ რომ მათი მშობლიური მიწა-წყალი არაა თურქეთის დღევანდელი ტერიტორიის ნაწილი. მარა რა თქმა უნდა თურქეთის პატრონია მთელი თურქეთის მოსახლეობა ყველას ჩათვლით... მე სხვა რამეს ვამბობ...

მიგრანტები.... თურქეთში ჩასული შრომითი მიგრანტების შესახებ სინამდვილეში არ მინდა ბევრი საუბარი. რა თქმა უნდა, ეს არავის უხარია და არც მე. მე ვისურვებ ჯერ ახალი მიგრანტები არ გამოჩნდეს - არ გავიდეს შრომით მიგრანტად ხალხი და მერე კი ნელ-ნელა ჩასულების ნაწილი მაინც დაბრუნდეს უკან, თავისი სამშობლოში. ჩემი აზრით, სამწუხაროდ, მათი გარკვეული ნაწილი არასოდეს დაბრუნდება, როგორც უფრო ადრე თურქეთიდან ევროპაში ჩასული თურქი შრომითი მიგრანტები...

თუ ყოველდღე ასობით ადამიანი ჩადის რთულ სამუშაოებში სამუშაოდ თურქეთში და თუ მხოლოდ ამ სიტუაციას ხედავს და სხვა არაფერი იცის ქართველებზე, წარმოიდგინეთ, რა იმიჯი ექნება თურქეთელის თვალში საქართველოს? თავის დროზე თურქებიც მიდიოდნენ ევროპაში იგივე მიზნით და მათ ეს მალე დაავიწყდათ... ეს კი ჩვენი მწარე სიმართლეა და გვაწუხებს, მარა მაინც ფაქტია...

ამ ხალხში უამრავია უფრო ნიჭიერი, კულტურული და ღირსეული, ვიდრე ვისაც ემსახურებიან, მაგრამ რას იზამ, რო შენ არა გაქვს საშუალება და მას აქვს, ვისაც ემსახურები, ვისთანაც მუშაობ. ეს ცხოვრებაა... ძალიან სანერვიულოა, რო ქართველები იქცნენ სხვა ხალხების მოსამსახურედ!

ეს ჩვენთვის არასასიხარულო სიმართლეს ემატება არასწორი ინფორმაცია თურქეთის მოსახლეობისა და თურქეთელი ეთნიკური ქართველების უცოდინრობას ვინც არ იზრუნებს რო მიიღოს სწორი ინფორმაცია.

მსგავსი შემთხვევების გამო ზოგჯერ ტყუილად გამოდის ჩვენი ანუ ჩემნაირი იქაურების ზრუნვა.

ჩემთვის შემაწუხებელი კიდევ ერთი ფაქტის ისაა, რო წარმატებული სპორტსმენი ახალგაზრდები აქედან ჩადიან მოწვევით, მათ იღებენ ეროვნულ გუნდებშიც, ოღონდ ისინი სახელს იცვლიან და მერე არავენ არ იცის, რო ის ქართველია. ორ ახალ მაგალითს მოგიყვებით; მე რამოდენიმე თვის წინ გავიგე, რო თურქეთის ძიუდოს ეროვნულ ნაკრების წარმომადგენლები ეკირ ზლ და მირჰან ცელ'ი ქართველი ყოფილან, ახალი ჩასულები. მათი ნამდვილი სახელი კი სხვაა... ეკირ ზლ - ბეთილ შუკვანი-ა, მირჰან ცელ კი - ამირან იანვარაშვილი. უფრო მეტად ის არ მომწონს, რო სახელს იცვლიან.

ზოგადად, თურქეთელი ხალხს ისედაც არ უყვარს წიგნების ან სტატიების წაკითხვა და მარტივად აკეთებს შეფასებას ყველა მხრივ... სამწუხაროდ, შეფასებისათვის ითვალისწინებენ ეკონომიურ მდგომარეობას და რელიგიას...

20 წლის წინანდელი პირობებში კი მქონდა კრებული და ამჟამად არა გვაქვს ჩვენ იქაურებს არც ერთი ჟურნალი ან გაზეთი ან კარგი საიტები. ეს ძირითადად ჩვენ იქაურების ბრალიცაა...

მე და ბევრი ჩემნაირი მეგობარი ვეცდებით რო თვითონ მივიღოთ ინფორმაცია ქართულ საიტების, ტელეარხების და სოციალურ ქსელებში ქართველი ფრენდების მიერ გაზიარებულ პოსტების საშუალებით. მარა ხალხს რო არ ესმის ქართული, მათ რა უნდა ქნან, ნაწილს მაინც თუ სურს მიიღოს ინფორმაცია? ხანდახან ვთარგმნით რაღაცაებს და ვიზიარებთ, მარა ეს არაა საკმარისი.

პირადად მე რამოდენიმე დოკუმენტური ფილმი ვთარგმნე და აქ ბათუმში გავახმოვანეთ თურქულად;


- ერთი მათგანი ბათუმის წარსულს და დღევანდელობას აცნობებს მნახველს, ეს დევს ინტერნეტში, რომელსაც “ბათუმური ქრონიკები” ჰქვია. ფილმის რეჟისორი პატივცემული ზურაბ ქავთარაძე არის და გახმოვანების რეჟისორიც თვითონაა.



- კიდევ ვთარგმნე და გაგახმოვანე ტაო-კლარჯეთის შესახებ გადაღებულ დოკუმენტური ფილმი, რომელიც ჩემი უფროსი ძმას და მეგობარის, ვაჟა დავითაძის მიერ დაფინანსებული და რეჟისორი ზურაბ ქავთარაძის მიერ გადაღებულია და ეხება ისტორიულ ძეგლებს.



- გარდა ამისა, რამოდენიმე მოკლე ისტორიული ვიდეო არის ჩემს მიერ გადათარგმნილი და აღნიშნული ბათუმელების ხელშეწყობით გახმოვანებული: ქართველთა ეთნიკური ისტორია, ფარსმან ქველი, ვახტანგ გორგასალი, რუსეთ-საქართველოს ისტორია და ა.შ. ეგენიც დევს ინტერნეტში.



3 წლის უკან დავაფუძნე და ვამუშავებ ორენოვანი საიტს [www.gurcu.org](http://www.gurcu.org)-ს. საიტი ინფორმაციას აძლევს, მარა ეს არაა ყოველდღიური ამბების საიტი და არსივის ფუნქციას ასრულებს. ბევრი სარგებლობს ამ საიტით და იღებს ინფორმაციას, მარა ეს არაა ჩვენთვის საკმარისი. საიტში არის თურქულ ენაზე გადათარგმნილი ან პირდაპირ თურქულად დაწერილი და მერე ქართულად გადათარგმნილი მასალები.

საიტიდან რამოდენიმე მაგალითს გეტყვით....

- იქ არის დედა ენის სახელმძღვანელო,
- ვიდეოები, რომელიც ქართულ ენას ასწავლის,
- მასალები ქართველების ვინაობის შესახებ,
- სტატიები ქართული მატერიალური კულტურის შესახებ,
- თურქეთში ქართული ხელოვნების შესახებ,
- რამოდენიმე მასალა საქართველოს შესახებ,

-საქართველოს კონფლიქტური ზონების შესახებ სტატიები, ერთი მათგანი კი ჩემი დაწერილი,

-აფხაზეთის ისტორიის შესახებ, და ა.შ.

ეს ყველაფერი მიზანს ისახავს საზოგადოებას სწორ ინფორმაციას მიწოდებას და დეზინფორმაციასთან ბრძოლას... მარა როგორც ვთქვი არაა საკმარისი და რა თქმა უნდა სხვა მეგობრებიც ბევრ კარგ საქმეს აკეთებენ და მეც მენხმარებიან საჭიროების შემთხვევაში. მაღლობა ყველა მათგანს... ამათ დიდი დრო სჭირდება რა თქმა უნდა და ეს ყველა რაცაა უანგაროდ და ჩვენი ხარჯებით გაკეთდა ზემოთ

მოსხენილი ქართული ზეიმის ჩათვლით. თან არავისი თხოვნით თუ მოთხოვნით არაა გაკეთებული. ეგრეც უნდა ყოფილიყო...

დროა ახლა ჩემი ერთი აზრი აქ გამოვთქვა სხვა საკითხზე; მიუხედავად ყველა სირთულეებისა, არის ჩვენთან ისეთი ქართველები, რო მათ უნდათ საქართველოში ცხოვრება. საქართველოს სტრუქტურების ადგილას რო ვიყო, 1-2 მათგანს მაინც ავიყვანდი სახელმწიფო სტრუქტურებში ან უნივერსიტეტებში თუ ინსტიტუტებში, ვისაც აქვს სწორი დამოკიდებულება. რა თქმა უნდა, განათლების და კიდევ ბევრი რამის თვალსაზრისით. მე ამის ერთი მაგალითიც არ ვიცი თურქეთელი ქართველებისა... წარმომიდგენია, რა კარგ შთაბეჭდილებას დატოვებდა თურქეთელ ქართველებთან. ერთი კარგი მაგალითია, ოლონდ აზერბაიჯანელი ქართველი პატივცემული თემურ ტარტარაშვილი დიასპორის საკითხებში სახელმწიფო სამინისტროში... თურქეთიდან ჩამოსული ბევრია ბიზნესში ან სხვა საქმეს ეწევა. ეს კარგია, მარა მე სხვა რამეს ვამბობ. შეგახსენებთ, რო ამას აკეთებენ სხვები და კარგ შედეგსაც მიაღწიეს... მე კი ყველას არ ვიცნობ, მარა არის ღირსეული და განათლებული ბევრი პიროვნება იქაც და იქიდან ჩამოსული აქაც. თქვენ თუ გექნებათ ამის სურვილი, მიუხედავად თურქეთთან შედარებით რთული სამუშაო პირობებისა, ნახავთ ეგეთებს...

მე ამით დაგასრულებ ჩემ გამოსვლას...

მადლობა ყურადღებისთვის....

## ბათუმში 1924 წლის აჯანყების ისტორიიდან

1924 წლის აჯანყება საქართველოს რამდენიმე ქალაქსა და სოფელში ერთდროულად უნდა დაწყებულიყო. ეს გეგმა ჩეკისტების კარგად გათვლილი ოპერაციით წარუმატებელი აღმოჩნდა, თუმცა, საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ გამოსვლები მეტ-ნაკლები სიძლიერით მაინც განხორციელდა. შემდეგში ნოე ჟორდანიამ ეს აჯანყების დადებით მხარედ ჩათვალა, რადგან ყველა აჯანყება მხოლოდ ერთ ადგილზე იწყება და მთავრდება, საქართველოში კი მას უფრო დიდი გეოგრაფიული არეალი და სამხედრო-პოლიტიკური მასშტაბი ჰქონდა. ბათუმი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო აჯანყებულთა გეგმაში, ამას მისი სამრეწველო თუ ადმინისტრაციული დანიშნულება განსაზღვრავდა. ბათუმში გაიგზავნენ პარტიკულ კომიტეტისა და აჯანყების მონაწილე პარტიების წევრები, თუმცა, ჩეკას მიერ იქაც ყველაფერი წინასწარ იყო მომზადებული, რათა არა მარტო ჩაეხშოთ გამოსვლა, არამედ ეროვნული ძალების სრული დისკრედიტაცია მოეხდინათ.

ბერიასა და მისი თანამოაზრეების კარგად გათვლილი გეგმით, რასაც ხელისუფლების მხრიდან ავანტიურა, ცილისწამება, კლასობრივი და სოციალური დაპირისპირება, ხალხის წაქეზება და ერთმანეთზე მისევა ემატებოდა, ყველაფერმა ისე ჩაიარა, როგორც ეს ოკუპანტ მეთაურებს, საბჭოთა რუსეთის ერთგულ ლაქიებს აწყობდათ.

როგორც ამ ამბების მონაწილე სოლომონ ზაღდასტანიშვილი წერს, დამკომის მიერ ბათუმში აჯანყების ხელმძღვანელებად დანიშნენ გენერალი ფურცელაძე, სამხედრო კომისიის წარმომადგენელი ჩიტაიშვილი და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი – მგალობლიშვილი *[ზაღდასტანიშვილი, 1989: 21]*.

დამკომი რწმუნებულებს ისეთ დიდ რაინებში ნიშნავდა, სადაც პარტიკულ კომისიის შექმნა ვერ მოხერხდებოდა. ასეთი იყო ბათუმის ოლქი, სადაც დამკომის ერთადერთი სრულუფლებიანი წარმომადგენელი გიორგი (გიზო) ანჯაფარიძე იყო.

საქართველოს საგანგებო კომიტეტი (ჩეკა) აქტიურად მუშაობდა და 1924 წლის დასაწყისშივე დააპატიმრა აჯანყების ზოგიერთი მეთაური: საზღვარგარეთიდან ჩამოსული ყოფილი მიწათმოქმედების მინისტრი – ნოე ხომერიკი, გოგიტა ფაღავა, გიორგი წინამძღვრიშვილი, გოგიტა ფაღავას შემცველი ლ. ბელთაძე, ნ. კახიანი, ამას მოჰყვა ბენია ჩხიკვიშვილის, ვალიკო ჯუღელის და სხვა ლიდერების დაპატიმრება.

აჭარაში აჯანყების წინააღმდეგ მოქმედება ევალებოდა აჭარის ბოლშევიკური ხელისუფლების საგანგებო კომისიას, რომელსაც კილაძე მეთაურობდა. შემდეგში კილაძემ ხელისუფლებასა და ჩეკას მიაწოდა ცნობა 28-30 აგვისტოს მოვლენებზე ბათუმსა და აჭარაში. აი, რას ვკითხულობთ ამის შესახებ კილაძის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაში, რომელიც გაზეთმა „კომუნისტმა“ დაბეჭდა: „საგანგებო კომისია თავს დაესხა შეთქმულებს სულ უკანასკნელ მომენტში გამოსვლების წინ, რის გამოც გულმოდგინეთ მომზადებული მოძრაობა ერთბაშად იქნა ჩაქრობილი. პარიტეტული კომიტეტის მიერ დანიშნულ ვადაზე ერთი დღით ადრე საგანგებო კომისიამ შესძლო მენშევიკური პარტიის ბათუმის არალეგალური კომიტეტის დაპატიმრება მთელი შემაღლებლობით. დაპატიმრებული იქნა აგრეთვე ბათუმის სამხედრო ორგანიზაციის შტაბი მისა საბაშვილის მეთაურობით, რომელიც იყო მენშევიკების ცეკას წევრი, ბათუმის კომიტეტის წარმომადგენელი, პარიტეტული კომიტეტის წევრი და უკანასკნელის რწმუნებული აჭარისტანში მოძრაობისთვის ხელმძღვანელობის გასაწევად. სხვათა შორის საბაშვილს საგანგებო კომისია ეძებდა 3 წლის განმავლობაში. გარდა ამისა, დაპატიმრებული იქნა ცნობილი მენშევიკური მუშაკი გურიში, ბათუმის კომიტეტის წევრი, აჭარისტანის სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე ჩიტაიშვილი“ [„კომუნისტი“, 1924: 201].

აჭარის საგანგებო კომისიამ დააპატიმრა სახალხო გვარდიის ერთ-ერთი ყოფილი მეთაური აკაკი რამიშვილი, რომელიც იყო ბათუმის სამხედრო შტაბის წევრი. მასთან ერთად დაპატიმრებული იქნა პარიზიდან სპეციალურად აჯანყების ორგანიზებისათვის ჯუღელთან ერთად ჩამოსული ბიქტორ ცენტერაძე, – დამფუძნებელი კრების ყოფილი დეკუტატი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცეკას წევრი. ცენტერაძესთან ერთად ასევე აიყვანეს გენერალ-მაიორი ყარაღაშვილი, რომელიც, „კომუნისტის“ ცნობით, „უკვე დანიშნული იყო მენშევიკების მიერ საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად“.

იმავე 28 აგვისტოს საგანგებო კომისიამ მიიღო ცნობა ბათუმში სოციალ-ფედერალისტების სამხედრო ორგანიზაციის შესახებ, რომელიც ადგილობრივ აჯანყების გეგმას ანხორციელებდა. ეს ორგანიზაცია, კილაძის აზრით, თავისი შტაბითურთ უნდა გადასულიყო ბათუმიდან ქობულეთში, „სადაც მათ შეუერთდებოდნენ ბანდები საღურ ნატანებიდან, რისთვისაც მათთვის საჭირო იყო წინასწარ ამ საღურის დაკავება. ამ რაზმს გაერთიანებული ძალებით უნდა დაეწყო სამხედრო მოქმედება და წასულიყო ბათუმის მიმართულებით. ამ ცნობების მიღების შემდეგ საგანგებო კომისიამ გაგზავნა ქობულეთში ბათუმელი კომუნისტების რაზმი და წითელარმიელები, სულ 120 კაცი.“ ამ რაზმს კილაძე მეთაურობდა, რომელიც თავს დაესხა სოციალისტ-ფედერალისტების შტაბს და ყველა დააპატიმრა. დაპატიმ-



რებულებს შორის იყვნენ: შტაბის თავმჯდომარე, პარიტეტული კომიტეტის რწმუნებული, მასწავლებელი გიგო ჩიქოვანი, ქობულეთის სამხედრო უბნის სარდალი, გენერალ-მაიორი ფურცელაძე და შტაბის წევრი, ლეიტენანტი ვლადიმერ ახვლედიანი.

29 აგვისტოს, ღამის 4 საათზე, ბათუმის საგანგებო კომისიის რაზმმა კილაძის მეთაურობით მიიღო ცნობა ბათუმიდან, რომ რაზმები ახლო სოფლებიდან მიემართებოდა ნატანებისკენ. რაზმმა ქობულეთელების მეთვალყურეობის ქვეშ დატოვა დაპატიმრებული ხალხი და ნატანებისკენ წავიდა. კილაძის ცნობით, 200 კაცამდე „ბანდიტი“ მცირე შეტაკების შემდეგ დააპატიმრეს, მის რაზმს ეხმარებოდნენ სოფლებიდან მოსული ღარიბი გლეხები. მხოლოდ ერთი მენშევიკების მომხრე მოგვალით, რადგან სოფლელი კომუნისტის მკვლეელი იყო, „ბანდიტები უკან დახევის დროს ძარცვავენ ადგილობრივ მოსახლეობას“, – ასეთი წინადადებით მთავრდებოდა ბოლშევიკ კილაძის ინფორმაცია.

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება გამარჯვებას ზეიმობდა, ის მთლად დამშვიდებული ვერ იქნებოდა, ამას მოწმობს ბათუმში ფილიპე მახარაძის სასწრაფო ჩასვლა და მისი გამოსვლა ხალხის წინაშე. ეს ხალხი მათი ერთგული ბოლშევიკი მუშები, დაშინებული მოსახლეობა, ახლად გაბოლშევიკებული ძველი სოციალ-დემოკრატები, უშიშროების მუშაკები და რუსული ბოლშევიკური საოკუპაციო ჯარის წარმომადგენლები იყვნენ. მახარაძემ და მანამდე კომუნისტების იდეოლოგიურმა დროშამ – გაზეთმა „კომუნისტმა“ აჯანყება მუშებისა და გლეხების განადგურების სურვილით ახსნა და თითქოს ამას აკეთებდა ქართველი თავადაზნაურობა საკუთარი სიმდიდრის შენარჩუნებისათვის. ერთი-ორი დღით დაიკავეს გამარჯვებულის ადგილი და წართმეული სახლები და მიწები დაიბრუნესო, – აცხადებდა გაზეთის მოწინავე. გამოდიოდა, რომ ჩოლოყაშვილი სიმდიდრისთვის იბრძოდა, მისი რაზმელები ყველა თავადი იყო, რაც სინამდვილეს ოდნავაც არ შეეფერებოდა. გაზეთი იმასაც ივიწყებდა, რომ თავისი ქონება თავადაზნაურობამ ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის გამოცხადებიდანვე თავისი სურვილით გადასცა ხალხს და ეს გამოაცხადა საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ 1917 წლის ნოემბერში. ამ აღამიანებს რომ არ სდომოდათ ქართველი ხალხისთვის ქონების გადაცემა, ამას არ გააკეთებდნენ და იმ დრომდე მაინც შეინარჩუნებდნენ მას, სანამ არავინ ჩამოართმევდა. უნიჭო ბოლშევიკური ხელისუფლებისათვის ტყუილი და ძალადობა, – ბრძოლის მთავარი იარაღი და რუსეთიდან გადმოღებული ბოლშევიკური ბრძოლის მეთოდი იყო. რა ხდებოდა რუსეთში, რა საშინელებას მიმართავდნენ ბოლშევიკები, ამაზე ჯერ კიდევ 1918-1919 წლებში წერდნენ არა მხოლოდ ქართული გაზეთები, არამედ რუსული პრესა, წერდნენ ცნობილი მწერლები და მოაზროვნეები. მათ შორის მაქსიმ გორკის ერთი შთამბეჭდავი წერი-

ლიც დაიბეჭდა გაზეთ „ერთობაში“ [*ერთობა*, 1918: 5]. რუსულ ბოლშევიკურ ტერორზე საუბრობდნენ საქართველოში გადმოხვეწილი ინტელიგენციის წარმომადგენლებიც.

როგორც ცნობილია, ე.წ. „წითელი მეჯლისის“ მიერ 1921 წლის 21 დეკემბრის დადგენილებით, მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სისტემის ახალი მოწყობა ჩამოყალიბდა. მასში შედიოდა ერთი ქალაქი (ბათუმი) და ხუთი მაზრა (ზემო აჭარა, ქვემო აჭარა, აჭარისწყალი, ბათუმისა და ქობულეთის მაზრები). უცვლელი დარჩა ცარიზმის დროინდელი სასოფლო ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობა [ , 1963 : 293].

ამავე დროს ჩამოყალიბდა სასოფლო, სათემო, სამაზრო და საქალაქო საბჭოები. 1922 წლის 10 იანვარს გაიხსნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბჭოების I ყრილობა. ის ძალზე პარადოქსულ ხასიათს ატარებდა, რაც ზოგადად იყო დამახასიათებელი ბოლშევიკურ-კომუნისტური ხელისუფლებისთვის.

აჭარის ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს ვლადიმერ ლენინი, მიხეილ კალინინი და ფილიპე მახარაძე. მისასალმებელი დეკლარაციები გაეკზავნა ლენინს, კომუნისტურ ინტერნაციონალს, საქართველოს რევკომს, მიხეილ ცხაკაიას. აი, რას ვკითხულობთ აჭარის ისტორიის ნარკვევების IV ტომში: „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბჭოების I ყრილობა, როგორც კომუნისტების სხვა ფორუმები, მოჭარბებულად პროპაგანდისტულ ხასიათს ატარებდა და გათვლილი იყო მოსახლეობაზე ფსიქოლოგიური და პოლიტიკური ზემოქმედებისათვის. ხუთი დღის განმავლობაში კომუნისტი ხელმძღვანელი აქტივისტები ღვარძლიანად თავს ესხმოდნენ თავადაზნაურებს, კაპიტალისტებს, სასულიერო წოდებას, საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და დემოკრატიული ხელისუფლების ხელმძღვანელობას. ამ კრიტიკის ამოცანა ის იყო, რომ აჭარის მოსახლეობის ცნობიერებიდან ამოეძირკვათ სიმპათია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიისადმი და განემტკიცებინათ კომუნისტური რეჟიმი“ [*სდსინ*, 2012: 69].

მსგავსი სიტუაცია იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბჭოების II (1922 წ., 3-5 XII), III (1923 წ., 23-29 I) და IV (1925 წ., 23-28 III) ყრილობებზეც. იდეოლოგიური ბრძოლა, უსამართლო სოციალური შანტაჟი, მოწინააღმდეგეების მიმართ უკომპრომისობა, ბრძოლის აკრძალული ხერხების გამოყენება ჩვეულებრივი სტრატეგია გახდა ბოლშევიკი კომუნისტებისთვის. 1924 წლის მოვლენები ამ ფონზე მეტად მკაცრად და დაუნდობლად წარიმართა.

ბათუმში ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ „საგანგებო ხუთეული“ შექმნა აჯანყების სალიკვიდაციოდ. გაზეთმა „კომუნისტმა“ ბათუმში განვითარებული მოვლენები თავისებურად, მისთვის ჩვეული ყალბი ინფორმაციით, დამცინავი ტონით, მოვლენათა ჰიპერბოლიზებული წარმოსახვით მიაწოდა მკითხველს. გაზეთს არც ეროვნულ ძალთა მუშებისა და გლეხების მტრად გამოცხადება დაჰვიწყნია, არც მუშების გმირობა, რომლებმაც „მოლაღატე მენშევიკებს“ პასუხი მოსტხოვეს და ჩადენილი დაღატი არ აპატიეს. თითქოს საქართველოში მიმდინარე ეროვნული ძალების მიერ ორგანიზებული მოძრაობა მუშებისა და გლეხების დასასჯელად, („დასახვერტად“) მიმდინარეობდა და არა იმ საშინელი რეპრესიებისა და განუკითხაობის გამო, რასაც თავად ოკუპანტი ხელისუფლება ატარებდა მთელ ქვეყანაში. აი, როგორ სატირულად აღწერდა გაზეთი ამ მოვლენას: „29 აგვისტოს, თბილისის მუშების დახვერტის დღეს, ბათუმში მუშაობა შეწყდა. დიდიდანვე ვიღაც ბნელმა პირებმა დაიწყეს პროვოკაციული ხმების გავრცელება „დიდი აჯანყების“ შესახებ, რომელიც თითქოს მთელ საქართველოს მოედო. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბათუმელი ჭორიკნები შეიკრიბენ ზღვისპირას და გაჰყურებდნენ ჰორიზონტს, ხომ არ გამოჩნდება იქიდან უცხოეთის ფლაგიო. შუადღისთვის ქალაქის ქუჩებში გაკრული იყო ბრძანება №1, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ ადგილებში მენშევიკების ბელადები შეეცადნენ მოეწყოთ გამოსვლა და რომ ამ გამოსვლების ჩასაქრობად მოეწყო საგანგებო ხუთეული. ქალაქში სამხედრო წესები გამოცხადდა. განწყობილება ერთბაშად გამოირკვა. მიუხედავად იმისა, რომ მთელი დღე არ მოსულა მატარებელი თბილისიდან, მუშები მტკიცედ იყვნენ დარწმუნებული ამ ბანდების ლიკვიდაციაში.

30 აგვისტოს, ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობის გათავების შემდეგ თავი მოიყარა 500-მდე მუშამ, რომლებიც თავისი ინიციატივით, მწყობრი რიგებით გამოემართნენ პროფსაბჭოს შენობისაკენ და საგანგებო ხუთეულს დელეგაცია გაუგზავნეს. დელეგაციამ განუცხადა, რომ მუშები ვერ დარჩებიან განზე პარტიისაგან იმ დროს, როცა მოლაღატე მენშევიკები მუშური ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლებს ამზადებენ. მუშების სახელით დელეგაციამ მოითხოვა მუშების შეიარაღება, რომ დაუყონებლივ წასულიყვნენ ბანდების სალიკვიდაციოდ *[„კომუნისტი“, 1924, №20]*. ხუთეულმა მუშები შეაიარაღა, შეადგინა საბრძოლო რაზმები, „გაგზავნა ნავთის რეზერვუარების, ქალაქის საზოგადოებრივი ადგილების და დაწესებულებების დასაცავად“.

ნაშუადღევს სამ საათზე გაიმართა მუშების საერთო კრება, სადაც ერთხელ კიდევ დაემუქრნენ საბჭოთა ხელისუფლების მტრებს. გაზეთის ამ პუბლიკაციიდან ჩანს, თუ როგორ იყენებდა გუდლუბრევილო, ზოგჯერ სრულიად გაუნათლებელ მუშათა რიგებს ხელისუფ-

ლება საკუთარი მიზნების შესასრულებლად. კიდევ რომ აღმოჩენილიყვნენ მათ შორის მოვლენების ნამდვილი შემფასებელი, ისინი ამას ვერ გაბედავდნენ, ტოტალიტარულ ძალას ვერ დაუპირისპირდებოდნენ. „ერთბაშად მიღებულ, თვით მუშების მიერ წარმოდგენილ რეზოლუციებში – ვკითხულობთ ამავე სტატიაში, – კავშირის წევრები სასტიკ პროტესტს გამოსთქვამდენ გახრწნილი მენშევიზმის საზიზღარი ნაშთების ავანტიურის წინააღმდეგ და აცხადებდენ, რომ ისინი იმყოფებიან ხუთეულის სრულ განკარგულებაში“.

ჩანს, როგორ დარაზმა ბათუმის რეკომმა მუშები და როგორ ჩააბა საკუთარ პოლიტიკურ ავანტიურაში. 2 სექტემბერს ამ ინიციატივიანი მუშათა ჯგუფის წინაშე სიტყვით გამოვიდა ბათუმში ჩასული ფილიპე მახარაძე. ეს სიტყვა საგულისხმოა და სრულად შეესაბამება იმ იდეოლოგიას, რაც ახალ ხელისუფლებას ჰქონდა და რაც მის პრესაში ხშიანდებოდა. ამ სიტყვით ნათელი ხდება ის ორი მხარე, რაც ახასიათებდა ერთი მხრივ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, მეორე მხრივ კი – იმ ბოლშევიკურ ხელისუფლებას, რომლის წინააღმდეგაც იბრძოდნენ დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ინტერესების დამცველი პატრიოტები.

წერილში ის აზრი დევს, რომ ფილიპე მახარაძე თითქოს შემთხვევით ჩავიდა ბათუმში, ეს გაიგეს იქაურმა მუშებმა და სთხოვეს მოხსენების გაკეთება მიმდინარე ამბების შესახებ. ისიც დათანხმდა, რადგან მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მუშების მოთხოვნილების დაკმაყოფილება იყო. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ეს ასე არ ყოფილა. ბათუმში წარმოთქმული ფილიპე მახარაძის სიტყვიდან მოკლე ნაწყვეტს მოვიტანთ: „თქვენ დღეს შეიკრიბებით განსაკუთრებულ პირობებში. ვის შეეძლო ეფიქრა, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ვინმე გაბედავდა თავს დასხმოდა მშრომელებს?“

ჩვენ ჩავებით აღმშენებლობით მუშაობაში.

ჩვენ ძალიან ღმობიერად ვეპყრობოდით მენშევიკებს იმ რწმენით, რომ დღეს, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება განმტკიცდა, როცა ჩვენთან ხელშეკრულებას სდებენ მტრულად განწყობილი ქვეყნებიც, არ მოინახებოდენ უგონო ადამიანები, რომლებიც შეეცდებოდნენ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას. მენშევიკებთან დავა ძველი დავაა, რომელიც 20 წლის განმავლობაში გრძელდება. იმათ გამოამუღავენს თავისი თავი, როგორც მუშათა მოწინააღმდეგეებმა, როგორც ბურჟუაზიასთან შემთანხმებლებმა, რომლებიც თებერვლის რევოლუციასაც კი ეწინააღმდეგებოდნენ.

აი, ამხანაგებო, ვისთან გვქონდა ჩვენ საქმე! ჩვენი შემოქმედებითი მუშაობის დროს, როდესაც ბურჟუაზიულმა ქვეყნებმაც კი უარი სთქვეს ჩვენს წინააღმდეგ აშკარა ბრძოლაზე, იმათ მიმართეს ნაცად საშვალებას – პროვოკაციას. მე კი ვაცხადებ: საბჭოთა ხელისუფლე-

ბამ 3 წლის განმავლობაში ბევრი გააკეთა მუშებისა და გლეხებისათვის, მაგრამ ჩვენი მტრები ანგარიშს არ უწევდნენ ამას, სცდილობდნენ შეესუსტებინათ ჩვენი ხელისუფლება და ყოველი წერილმანებით მოქმედებდნენ შეუგნებელ მასებზე. ჩვენ დაუშვით ჩვენს წრეში ის ადამიანები, რომლებიც, გვეგონა ყოველგვარ ბოროტ ზრახვების გარეშე იმუშავებდნენ მშრომელთა სასარგებლოდ. ჩვენ არ ვუხდით მათ სამაგიეროს წარსულისათვის. ჩვენს ნდობაში მოტყუებული დავრჩით. ჩვენს დაწესებულებებში მოკალათების შემდეგ ისინი გამცემლები აღმოჩნდნენ, უკანასკნელი მათი ავანტიურა მძიმე გავლენას მოახდენს მშრომელებზე. ჩვენ არ დაუშვებთ, რათა პროლეტარიატმა უდიდეს ტერიტორიაზე ხელში ჩაგდებული ძალაუფლება დაუთმოს ვისმეს. ყოფილმა თავადებმა და გენერლებმა მენშევიკებთან გაერთიანების დროს იცოდნენ, რომ მათ რამდენიმე საათითაც არ შეუძლიათ ძალაუფლების ხელში ჩაგდება. ცხადია, აქ ადგილი ჰქონდა ავანტიურას, მათ მოატყუეს ხალხი, როდესაც უთხრეს, რომ ძალაუფლება ყველგან მათ ხელში გადავიდაო. თქვენ, მუშებო, უნდა იცოდეთ, რომ კაპიტალისტებისა და მემამულეების ძალაუფლების გარდა იმათ თქვენთვის არაფრის მოცემა არ შეუძლიათ. ესეა ყველა პატიოსანმა მუშებმა და გლეხებმა ერთად უფრო მჭიდროდ უნდა შეკრან თავიანთი რიგები. მაშინ უფრო უზრუნველყოფთ რა ჩვენს საერთო მუშაობას, შევასრულებთ მთავარ მორიგ ამოცანას – გაგნთავისუფლებით სილატაკისაგან და გაერთიანებული ძალებით შევუდგებით კომუნისტური წეს-წყობილებს დამყარებას.“

მახარადის სიტყვის შემდეგ ბევრი ბათუმელი მუშა გამოვიდა სიტყვით. ესენი იყვნენ რკინიგზელები, მშენებლები, ნავსადგურის მუშები, კომუნალური მეურნეობის, კვების მეურნეობის მუშები და სხვ. როგორც „კომუნისტი“ წერდა, „მუშები აცხადებდნენ მრისხანე პროტესტს მენშევიკების საზიზღარი ავანტიურის წინააღმდეგ“. გაზეთს მოაქვს ამონარიდი მტვირთავი მუშის – გეგელაშვილის სიტყვიდან : „მენშევიკებს უნდოდათ ჩვენი მოტყუება, ამღვრეულ წყალში თევზის ჭერა, მაგრამ ეს იმათ ვერ მოახერხეს. ლენინიზმს ისინი ვერასოდეს ვერ მოსპობენ. ჩვენ, უპარტიო მუშები, აღშფოთებული ვართ და მოვითხოვთ მუშათა საქმის ვერავი გამცემლების სასტიკათ დასჯას. აჭარისტანის საგანგებო კომისია სავსებით სწორად მოიქცა, როდესაც მათი მეთაურები გაგზავნა სადაც ჯერ არს. ჩვენ ყოველთვის ვივლით ჩვენს წინამძღოლ კომპარტიასთან ხელიხელ ჩაკიდებულნი“. ამ სიტყვით დაასრულა გეგელაშვილმა გამოსვლა, მივიდა მახარადესთან და ხელი ჩამოართვა.

კრების თავმჯდომარემ ფილიპე მახარადეს მიმართა, რომ ძალიან ბევრი მუშა იყო აშფოთებული, ითხოვდა სიტყვას, მაგრამ ამის საშუალება აღარ იყო, თუმცა, მათ საერთო სურვილს ის აბარებდა

საქართველოს რევკომისა და სხვა პარტიული ორგანოებისა და პირებისთვის გადასაცემად. ეს იყო ბათუმელ მუშათა მთავარი სურვილი: „ბანდიტების სასტიკად დასჯა“. ამ განცხადებას მხურვალე ტაში მოჰყვა, კრებამ მიიღო სათანადო რეზოლუცია, სადაც ეწერა: „ბათუმელი მუშები, აღნიშნავენ რა მენშევიკური ავანტიურის ბანდიტურ ხასიათს, რომელსაც შედეგად მოჰყვა გლეხური მეურნეობის ნგრევა და უდანაშაულო სისხლის ღვრა, მოითხოვენ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისაგან ავანტიურის მეთაურებისა და ყველა აქტიური მონაწილეების სასტიკად დასჯას. რეზოლუცია წინადადებას იძლევა მხედველობაში იქნას მიღებული მომავალში ის გარემოება, რომ მენშევიკები არიან მშრომელთა მტრები, ამიტომ მათი ადგილი საბჭოთა დაწესებულებებში კი არა, სულ სხვაგან არის“.

კრება „ინტერნაციონალის“ სიმღერითა და ოვაციებით დასრულდა, მუშებმა ფილიპე მახარაძე ხელში აყვანილი მიიყვანეს სამთავრობო მანქანასთან.

აი, რა შეიძლება გამოვეყოთ მახარაძის სიტყვიდან და ბათუმის კრების გამართვის ფაქტიდან: 1. ბათუმი იყო საპორტო-სამრეწველო ქალაქი, ამასთან ის სასაზღვრო პუნქტიც იყო, აქედან მყარდებოდა კავშირი და იგზავნებოდა საქართველოს მოვლენებზე ინფორმაციები როგორც სტამბულის, ასევე პარიზისა და ვეროპის სხვა ქალაქებში მყოფ ქართულ ემიგრაციასთან. აქ დაიჭირეს ჩეკისტებმა ნოე ჟორდანიას მიერ საქართველოში, დამოუკიდებლობს კომიტეტისადმი გამოგზავნილი წერილი და რეპრესიების მოტივაცია გაეზარდათ. მთავრობა თვლიდა, რომ ბათუმში ყველაზე მკაცრი ღონისძიებები იყო საჭირო და იქ სპეციალურად გაიგზავნა ფილიპე მახარაძე; 2. 1921-1924 წლების მოძრაობა იყო ეროვნული სახელმწიფოს აღდგენისა და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად დაწესებული მოძრაობა, სადაც გაერთიანდნენ იდეოლოგიურად სხვადასხვა თვალსაზრისის პარტიები და საზოგადოებრივი ძალები, რომელთაც ეროვნული ინტერესები ამოძრავებდათ და არა სოციალურ-კლასობრივი, ან რაიმე სხვა. ამიტომ ტყუილია მახარაძე, როდესაც ანტისაბჭოთა გამოსვლის არსსა და მიზანს სოციალურ-კლასობრივი მოტივით ხსნიდა; 3. დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლება და მმართველი პარტია არასდროს თვლიდა თავს თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის დამცველად, ის ისევე აღიარებდა მუშურ-გლეხურ პარტიად თავს, როგორც ბოლშევიკები და მისი ერთ-ერთი ლიდერი – ფილიპე მახარაძე; ავანტიურა იდო მახარაძის სიტყვაში, როდესაც ის მუშებს ამ საბაბით აქეზებდა მენშევიკების წინააღმდეგ; 4. საბჭოთა რუსეთის ოკუპანტ ხელისუფლებასა და მის ქართველ თანამოაზრეებს ლოიალური პოლიტიკა არასდროს გაუტარებია ყოფილი ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის მიმართ. ამას მუშებზე ზეგავლენის გასაძლიერებლად აღ-

ნიშნავდა მომხსენებელი; 5. უდანაშაულო სისხლის ღვრა და მეურნეობის ნგრევა გამოიწვია ბოლშევიკური არმიის ტერორმა, მათმა შურისძიების პოლიტიკამ იდეოლოგიურ მოწინააღმდეგეთა მიმართ და არა იმ ძალამ, რომელიც ამ ტერორის წინააღმდეგ იბრძოდა და მოუწოდებდა მსოფლიოს პროგრესულ ქვეყნებს ამ სამართლიან ბრძოლაში დასახმარებლად. სამწუხაროდ, „უცხოური ფლაგით“ დამხმარე ძალა არ გამოჩენილა და ეს ტრაგედია იყო მთელი ქართველი ხალხისა და მისი ეროვნული ინტერესების კრახის მომასწავებელი. მომდევნო 70-წლიანმა ტოტალიტარულმა სისტემამ ეს კრახი გარდუვალი გახადა; 6. კრების მიერ რეზოლუციის მიღება და ყოფილი ხელისუფლებისა და მათი მომხრეების წინააღმდეგ მოწოდება იმ მეთოდებს ჰგავდა, რასაც მოგვიანებით ფაშისტურ იტალიასა და ნაცისტურ გერმანიაში ჰქონდა ადგილი;

სინამდვილეში იმას, რაც საქართველოში ხდებოდა, კარგად გადმოსცემს საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის 1923 წლის 25 მაისის მიმართვა ხალხთა ლიგისადმი. მიმართვაში ეწერა:

„...შეუძლებელია სიტყვიერათ გადმოცემა იმ ვაებისა, იმ წამების, რომელსაც დღეს განიცდის საქართველო. ქართველ ერს საუკუნეების განმავლობაში ჰქონია თავისი სახელმწიფოებრივი წესწესობილება, თავისი მმართველობა და გამირულად იცავდა თავის სამშობლოს. ასოცი წლის წინათ რუსეთმა ფეხქვეშ გასთელა საქართველოსთან დადებული ხელშეკრულება და შეუღდა ქართველი ერისა და მისი კულტურის განადგურებას. მაგრამ ქართველ ერს ისეთი ძლიერი კულტურა აღმოაჩნდა, რომ ველიკორუსული ნაციონალიზმი მასთან ვერას გახდა. 1918 წლის 26 მაისს საქართველომ წართმეული დამოუკიდებლობა და სუვერენობა აღიდგინა. მან შექმნა ეროვნული კრება, მთავრობა, ადმინისტრაცია, ჯარი, სასამართლო და სხვ. ევროპის სახელმწიფოებმა ჯერ ფაქტიურად და შემდეგ იურიდიულად იცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა. 1921 წლის თებერვალში რუსის ჯარი მოულოდნელად შემოესია პატარა საქართველოს, ქართველმა ერმა შემოსეულთა წინააღმდეგ თავგამოდებით იბრძოლა, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში ის დაეცა, რუსეთმა ის კვლავ დაიჭირა. დღეს საქართველო რუსეთის ოკუპაციის ქვეშ არის, ეს ოკუპაცია არ შეედრება ისტორიაში დღემდე ცნობილ არცერთ ძალდატანებას.

რუსეთმა ფაქტიურად მოსპო საქართველოს დამოუკიდებლობა, განათლებული კაცობრიობის თვალისასახვევად მან შექმნა ოთხსართულიანი „საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი“, რომელიც უდიდესი სიცრუეა ბოლშევიკური სახელმწიფოებრივი შემოქმედებისა. ნამდვილად საქართველოს განაგებს რუსეთის კომპარტის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს საკანონმდებლო ორგანო, ფული, ჯარი და სხვა არ არსებობს, ყოველივე ეს წაშალა მოსკოვმა და კომუნისტურ-

მა ოლიგარქიამ, ხოლო საქართველოში გაამეფა უსაშინლესი კულტურული და ფიზიკური ტერორი. დღეს საქართველოს განაგებს რუსეთის ჩეკა და დამსჯელი რაზმები, დღეს საქართველო სასაკლავოთ არის გადაქცეული. რუსეთის ჩეკა, რომელიც საქართველოში მძვინვარებს, ეს უსაშინლესი სირცხვილი და ლაქაა XX ს-ში. ამ დაწესებულებებში განუკითხავათ, გაუსამართლებლათ, დაუკითხავათ იხვრიტება ქართველი ერის საუკეთესო შვილები, ინტელიგენცია, მხედრობა, მუშები, გლეხები და კოოპერატორები. მსხვერპლს ჯერ შიმშილით ასუსტებენ, შემდეგ თავში ჩაქუნის ჩარტყმით აყრუებენ, ხელფეხშეკრულთ საბარგო მანქანებზე ყრიან და ქალაქგარეთ ხვრტყენ. ამ გზით ქართველმა ერმა დაკარგა არა ერთი და ორი ასეული საზოგადო მოღვაწე და პატრიოტი. გმირებს ნაჩქარევით, ზერეღეთ მოთხრილ ორმოებში ყრიან და მათ ლეშებს ძაღლები ათრევენ სასაფლაოზე. მშობლებს, ნათესავებს, ამხანაგებს არა აქვთ საშუალება დაასაფლავონ დახვრეტილ-ნაწამებნი. რუსეთის ჩეკამ და დამსჯელმა რაზმებმა ამ ორი წლის განმავლობაში ააოხრეს, ცეცხლს და მახვილს მისცეს საქართველოს მთელი ოლქები: კახეთი, სვანეთი და გურია. ამ ორი თვის წინათ, გურია – ეს საქართველოს საუკეთესო და კულტურული ნაწილი სამხედრო ექსპედიციებმა მთლად გაანადგურა. აქ ჩეკამ გაგზავნა დამსჯელი რაზმების მეთაურებათ ყოფილი ყაჩაღი, რომელმაც გადასწვა მთელი სოფლები, დახვრიტა უდანაშაულო ხალხი, ცეცხლში დასწვეს ახალგაზრდა 15 წლის ვაჟი. ეს ვერაგი მოკლეს და ამ მკვლელობას დამპყრობლებმა იმით უპასუხეს, რომ ღამით, 13 თებერვალს, 1923 წელს, 92 კაცი გამოიყვანეს თბილისის ციხიდან და დახვრიტეს. გურიაში დახვრეტილია რამდენიმე ასეული კაცი. ზოგიერთი ოჯახები სულ ამოწყვიტეს, ზოგი დასწვეს და დაანგრიეს. ასეთივე მდგომარეობაშია კახეთი – თიანეთის და თელავის მაზრები. ოკუპანტები ანადგურებენ ყველა კულტურულ ძაღებს. ამ წლის 20 მაისს რუსეთის ცეკამ გაუსამართლებლათ დახვრიტა 15 მხედარი, ქართველი მხედრობის ხელმძღვანელები, გენერლები და შტაბის ოფიცრები, სახელგანთქმული მეომრები და პოლიტიკური მოღვაწენი. გარდა ამ ფიზიკური განადგურებისა, რუსეთი სპობს ერის კულტურას: ისპობა და ნიაღვრება საუკუნოებით შექმნილი კულტურული ნაშთები, საქართველოში არ გაისმის არა თუ თავისუფალი სიტყვა და აზრი, მორწმუნე ხალხს ღოცვაც აღარ შეუძლია; ბოლშევიკურმა რუსეთმა დაანგრია ეკლესია-მონასტრები და მორწმუნე ხალხი სასოწარკვეთილებამ მოიცვა. განუკითხავათ არიან ჩაყრილნი სარდაფებში სარწმუნოების საუკეთესო წარმომადგენელები. ხალხის სიმდიდრეს იტაცებენ და ითვისებენ უცხო ეღემენტები. ყველა წრისა და პროფესიის ადამიანები ავაზაკურათ იცარცვება, ხალხის ნაოფლართ ოკუპანტები განცხრომაში ცხოვრობენ. არცერთ მშრომელს,



არცერთ მწარმოებელს აღარ ეკუთვნის არც სიცოცხლე და არც მისი ოფლით შექმნილი დოვლათი. ყველაფერს ოკუპანტების ხიშტებით იტაცებენ. ქალაქის მცხოვრებლები იმდენად დაბეგრილნი არიან, რომ უკანასკნელ საოჯახო ნივთებს ყიდიან, რომ გადასახადები გაასწორონ. ასეთივე დღეშია გლეხობა, მთელი მისი ავლადიდება ოკუპანტების განკარგულებაშია და ის სულს დაფავეს გაჭირვებისაგან. გლეხს, რომელიც არ არის მომხრე ბოლშევიკების, ყველაფერი წართმეული აქვს, სახლიც და სამუშაო ინვენტარიც. წართმეულს ურიგებენ თავის მომხრეებს, ასეთივე უღლის ქვეშ გმინავენ ქართველი მუშები. საქართველოს ციხეები მუშებით არის სავსე, ეს არ იკმარეს და რუსეთის ცივ მხარეებში ერეკებიან ასობით ადამიანს სამშობლოდან. აძევებენ ყველას, ვინც თავისი ქვეყნის მოღალატე არ არის და მოძალადეთა მომხრე არ არის. ოკუპანტები საშინელ წამებას აყენებენ მუშებს და გლეხებს, რომ მათ ხელიდან გამოგლიჯონ მათი რეჟიმის მოწონება და მხარდაჭერა. ზოგნი ვერ უძლებენ ამ მეოცე საუკუნის ინკვიზიციას და უწერენ ხელს ჩეკაში შედგენილ საშინელ ცილისწამებებზე ქართველ ერზე. ქართველი ერი შეგნებულად ებრძვის თავდამსხმელთ და იცავს თავის კულტურას და დამოუკიდებლობას...

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს იმედი აქვს, რომ ერთა ლიგა, ეს სამართლიანობის უმაღლესი ორგანო აღიმაღლებს თავის ავტორიტეტულ ხმას ამ მიმართვაში აღწერილ საშინელ დანაშაულობათა წინააღმდეგ, რომელსაც სჩადიან რუსეთის დღევანდელი ბატონები ქართველი ერის მიმართ. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი. 25 მაისი, 1923 წელი“ *[სცსა, ფ. 1831, აღ. 2, ს. 114, ფურც. 1-7]*

ასეთი ორი სინამდვილე წარმოისახა ბათუმში წარმოთქმულ ფილიპე მახარაძის სიტყვასა და ერთა ლიგისადმი საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის მიმართვაში. რადგან სიმართლე ერთია, ის იმ ადამიანების მხარეზე იყო, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობისათვის უთანასწორო, საბედისწერო ბრძოლაში ჩაება და ბევრმა თავი გასწირა ამ დიდი მიზნის მისაღწევად. ერის ისტორიული მესხიერება სწორედ მათ სახელებს შეინახავს და არა მათი ჯალათებისას.

## გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

- ზაღდასტანიშვილი, 1989:** – ზაღდასტანიშვილი ს., საქართველოს 1924 წლის ამბოხება, თბილისი.
- „კომუნისტი“, 1924:** – „როგორ ჩატარდა „აჯანყება“ საქართველოში და აჭარისტანის საზღვარზე“, გაზეთი „კომუნისტი“, №201, 4 სექტემბერი.
- „ერთობა“, 1918:** – გაზეთი „ერთობა“, 1918 წლის 30 მაისი.
- სდსინ, 2012:** – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, ბათუმი,
- „კომუნისტი“, 1924:** – „მენშევიკური ავანტიურის ლიკვიდაცია ბათომში“, გაზეთი „კომუნისტი“, №201, 4 სექტემბერი,
- სცსა, ფ. 1831, აღ. 2, ს. 114** – საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე №114.
- , 1963:** –

**Dodo Chumburidze, Zviad Tkeshelashvili**

*(Tbilisi, Georgia)*

### **Rebellion of 1924 in Batumi**

#### Summary

In Batumi, as well as in the rest of Georgia, the uprising began a day before, instead of August 29, 1924. The article described the Batumi rebellion plans, the facts of organizers arrest, arrival of the head of the Soviet government – Philippe Makharadze in Batumi and his speech here. The authors show in Makharadze's speech existing false information, they represent address of the independence Committee to the League of Nations, where is described the real action of the Russian occupation government.

## 1878 წლის აგვისტოს დღეები ბათუმში

ბათუმი, თავისი მოხერხებული გეოსტრატეგიული მდებარეობითა და პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობით, ადრიდანვე იქცევა და რუსეთის მზარდი სახელმწიფოს ყურადღებას. 1804 წელს გენერალი პავლე ციციანოვი წერდა იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრს ჩარტორიციკის, რომ ბათუმი „ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე უნდა გვეკუთვნოდეს ჩვენ და იგი ჩვენს ხელში უნდა იყოს“. ბათუმის შემოერთების საკითხი რუსეთის იმპერიის წინაშე დაისვა 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დროსაც. თვით ნიკოლოზ პირველს უთქვამს, რომ „ბათუმი და ყარსი ღირს იმად, რომ მათვის გაეწიროთ რამდენიმე მილიონი“-ო.

XIX საუკუნის II ნახევარში რუსეთი უკვე დიდი შესაძლებლობებისა და პრეტენზიების ქვეყანას წარმოადგენდა. შესაბამისად, დიდი იყო მისი მისწრაფებები ტერიტორიული გაფართოებისაკენ. ტრადიციულად, რუსეთის ექსპანსიონისტურ პოლიტიკაში განსაკუთრებული ადგილი ოსმალეთის იმპერიის ვრცელ მიწებს ეკავა. XVIII-XIX საუკუნეებში მან ოსმალეთის წინააღმდეგ წარმატებული ომების სერია ჩაატარა და საკმაოდ გაფართოვდა კიდევ მის ხარჯზე. ასეთი ტენდენცია დასავლეთ ევროპის ქვეყნების, მათ შორის ინგლისის, საფრანგეთის და ავსტრიის შემოფოთებასა და უკმაყოფილებას იწვევდა.

ამიერკავკასიის პოლიტიკურ არენაზე რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირებაში ერთ-ერთ მთავარ პრობლემას ბათუმის საკითხი წარმოადგენდა. „ყოველი თურქული ომის დროს ვესწრაფოდით ხელში ჩაგვგდო ბათუმით“ – გულწრფელად მიუთითებს 1906 წლის საიუბილეო გამოცემაში «  
» შტაბს-კაპიტანი ტ. ტ. სტეფანოვი [ , 1906: 90-91].

ოსმალეთის იმპერიასაც კარგად ესმოდა ბათუმის მნიშვნელობა და იმ მოსალოდნელი საფრთხის მთელი სერიოზულობა, რაც აღნიშნული ქალაქის დაკარგვის შემთხვევაში შეიძლებოდა შექმნოდა ანატოლიის შიდა რაიონებს. აქედან გამომდინარე, ბრწყინვალე პორტა ძალ-ღონეს არ იშურებდა ბათუმის შემოგარენის სათანადო დონეზე დასაცავად, რაშიც ევროპული სახელმწიფოების მხარდაჭერასაც იყენებდა. სწორედ ამ ძალისხმევის შედეგი იყო ის, რომ მიუხედავად XIX საუკუნის მანძილზე ოსმალეთთან გადახდილი არაერთი წარმატებული ომისა, რუსეთმა ვერაფრით შესძლო ბათუმის დათავისება.

სანუკუარი ოცნების განხორციელება პეტერბურგმა მხოლოდ 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად მოახერხა.

აღნიშნულ ომში, როგორც ცნობილია, ოსმალეთი დამარცხდა და იძულებული გახდა რუსეთისათვის ზავი შეეთავაზებინა. 1878 წ. 19(31) იანვარს მათ შორის დროებითი შეთანხმება დაიდო. მოლაპარაკება სან-სტეფანოში – კონსტანტინოპოლის დასავლეთ გარეუბანში (დღევანდელი ეშილქიოი სტამბულში) გაგრძელდა და 1878 წ. 19 თებერვალს (3 მარტს) ორივე მხარემ ზავს მოაწერა ხელი. ამ ხელშეკრულებით რუსეთი ოსმალეთისაგან სერიოზულ პოლიტიკურ და ტერიტორიულ დათმობებს იღებდა, მათ შორის, ბათუმსაც.

სან-სტეფანოს მოლაპარაკების შედეგები მიუღებელი აღმოჩნდა ინგლისისა და ავსტრიისათვის. ავსტრია ევროპის კონგრესის მოწვევას მოითხოვდა, რომელიც სან-სტეფანოს შეთანხმებას გადახედავდა. ინგლისი მხარს უჭერდა ამ მოთხოვნას. ორივე სახელმწიფო ომისათვის მზადებას შეუდგა. მათგან გამხნეებულმა ოსმალეთმაც ბრძოლის გაგრძელებაზე დაიწყო ფიქრი. თურქი და ინგლისელი ემისრები კონფლიქტის ზონებში ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობის რუსთა წინააღმდეგ ამხედრებასაც უწყობდნენ ხელს [\[http://otherreferats.allbest.ru/history/00059842\\_0.html\]](http://otherreferats.allbest.ru/history/00059842_0.html). ეს პროცესი კარგად ჩანს ამ პერიოდის ინგლისის წარმომადგენელთა ოფიციალურ მიმოწერებში.

როგორც ამ დოკუმენტებიდან ირკვევა, მოსახლეობა ლაზისტანის სანჯაყისა, რომლის ცენტრი იყო ბათუმი და რომელშიც შედიოდა აჭარა, ქობულეთი, მაჭახელი, ლივანა და საკუთრივ ლაზეთი **[ყაზბეგი, 1995: 117]**, პროტესტს გამოთქვამდა ბათუმის რუსეთისათვის გადაცემასთან დაკავშირებით და მოითხოვდა ბრიტანეთის მფარველობაში შესვლას. მოსახლეობის სახელით გამოდიოდნენ და ინგლისელებთან მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ ე.წ. ლაზი დელეგატები, რომლებიც, როგორც დოკუმენტების კონტექსტიდან ჩანს, ადგილობრივი არისტოკრატიის წარმომადგენლები იყვნენ. ადვილი შესაძლებელია, როგორც ხდება ხოლმე ასეთ შემთხვევებში, ისინი არ გამოხატავდნენ ლაზისტანის სანჯაყის მთელი მოსახლეობის თვალსაზრისს, რომლებსაც, სხვათა შორის, ყველას ლაზების სახელით მოიხსენიებს ინგლისური მხარე, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ მათ უკან ამ მოსახლეობის ანგარიშგასაწევი ნაწილი იდგა, რომელსაც რუსეთის ხელში მოხვედრის პერსპექტივა დიდად ნამდვილად არ ახარებდა. აი, ამ პროტესტის დამადასტურებელი ზოგიერთი საბუთი:

1878 წლის 17 აპრილით (ახ. სტილ.) დათარიღებული პეტციით მისი უდიდებულესობის ხელისუფლებისადმი (იგულისხმება ინგლისის დედოფალი – ავტ.შენ.) ბათუმის მოსახლეობა პროტესტს გამოთქვამს რუსების მიერ ქალაქის მოსალოდნელი ანექსიის წინააღმდეგ **[Adjara**

*and the Ottoman Empire, 2003: 668].*

1878 წლის 18 აპრილის წერილით ვიცე-კონსულ ბილიოტი სადამი<sup>10</sup> ლაზი ბეგები დიდი ბრიტანეთის მფარველობას მოითხოვენ *[იქვე, 669].*

19 აპრილის მოხსენებით ვიცე-კონსული ბილიოტი მარკიზ სოლსბერს<sup>11</sup> აცხადებს რუსთა წინააღმდეგ მიმართული ლაზების პროტესტის თაობაზე *[იქვე, 668].*

21 აპრილის მოხსენებით ვიცე-კონსული ბილიოტი ოსტინ ჰ. ლეიარდს<sup>1</sup> აცნობებს, რომ ლაზი დელეგატები მზად არიან წინ აღუდგნენ რუსეთის ანექსიას და ითხოვენ ბრიტანეთის მფარველობას *[იქვე, 670].*

ოსტინ ჰ. ლეიარდის 1878 წლის 4 მაისის მოხსენებით მარკიზ სოლსბერისადმი ირკვევა, რომ, ლაზი დელეგატების შეტყობინებით, 3 მაისს რუსები ზემო აჭარის გავლით ქვემო აჭარაში შესულან, სადაც მოსახლეობას წინააღმდეგობა გაუწევია და იარაღი ჩამოურთმევია მათთვის, და რომ ამ მოსახლეობას ბრიტანეთის ხელისუფლებისა და ხალხის მხრიდან თანაგრძნობის გამოჩენის იმედი აქვს *[იქვე, 673].*

ოსტინ ჰ. ლეიარდი 7 მაისს ტელეგრამას უგზავნის მარკიზ სოლსბერს, რომელიც წინა დღით მიიღო ლაზი დელეგატებისაგან და რომელშიც ლაზები კვლავ ბრიტანეთის დახმარებასა და მფარველობას ითხოვენ *[იქვე].*

ლაზებს სოლიდარობას უცხადებდნენ და ბათუმის რუსეთისათვის გადაცემას აპროტესტებდნენ აგრეთვე ტრაპიზონისა და სხვა მეზობელი მხარეების მცხოვრებლებიც. რაც ყველაზე საინტერესოა, პროტესტანტებს შორის მაჰმადიანების გვერდით ფიგურირებენ ქრისტიანებიც. წარმოგიდგინებ შესაბამისი დოკუმენტის სრულ ტექსტს ინგლისურენოვანი დედნიურთ:

„ვიცე კონსული ბილიოტი ბატონ ლეიარდს

ტრაპიზონი, 25 აპრილი, 1878 წელი, საღამოს 8 სთ

ტრაპიზონის მოსახლეობის წარმომადგენელი 943 მუსლიმისა და ქრისტიანის მიმართვა გენერალ-გუბერნატორმა გადაუგზავნა თურქეთის პრემიერ-მინისტრს, სადაც ნათქვამია, რომ ბათუმის კომერციული და პოლიტიკური ინტერესები ისეა დაკავშირებული ტრაპიზონის იმავე ინტერესებთან, პირველის გადაცემა [რუსეთისათვის] გამანადგურებელი იქნება მეორისათვის და რომ [ტრაპიზონის] მოსახლეობა ვერ დარჩება გულგრილი ლაზების მცდელობის მიმართ ხელი შეუშალონ

<sup>10</sup> ალფრედ ბილიოტი (Biliotti) – ბრიტანეთის ვიცე-კონსული ტრაპიზონში 1873 წლიდან.

<sup>11</sup> რობერტ არტურ სოლსბერი (Salisbury) – მარკიზი, 1878-1880 წლებში საგარეო საქმეთა მინისტრი, 1885-1892 წლებში დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი.

რუსეთის ანექსიას. როგორც ამბობენ, მსგავს მიმართვებს აუცილებლად მოაწერენ ხელს სხვა ადგილებშიც.“

“Vice-Consul Biliotti to Mr. Layard. (Telegraphic.)

Trebizond, April 25, 1878, 8 p.m.

An address, signed by 943 leading Mussulman and Christian inhabitants of Trebizond, has been just forwarded through Governor-General to Turkish Prime Minister, showing that the commercial and political interests of Batoum are so blended with those of Trebizond, that the cession of the former will be the ruin of the latter, and that its inhabitants cannot remain indifferent to the efforts of the Laz to prevent annexation to Russia. Similar addresses are said to be signed in other quarters” [*Adjara and the Ottoman Empire, 2003: 673*].

კონფლიქტის ზონაში მოსალოდნელი პროვოკაციებისა და მათი არდაშეების მიზნით რუსული მხარის მიერ განხორციელებული კონტრ-ზომების შესახებ საუბრობს, აგრეთვე, იმდროინდელი მოვლენების თვითმხილველი და მონაწილე ა. ფრენკელი თავის წიგნში « - » [ , 1879: 5-7].

მოწინააღმდეგე ძალების ასეთი გააქტიურების გამო რუსეთი იძულებული გახდა დათანხმებულიყო ბერლინის კონგრესის მოწვევას და სან-სტეფანოს ხელშეკრულების გადასინჯვას.

ბერლინის კონგრესზე (1878 წ.-ის 1(13) ივნისი – 1(13) ივლისი) რუსეთმა შეძლო სან-სტეფანოს ხელშეკრულების ძირითადი მუხლების შენარჩუნება. ინგლისის თანხმობით და ბერლინის ტრაქტატის ძალით, მასვე დარჩა ბათუმიც. თუმცა, უნდა ითქვას, რომ პეტერბურგში ბოლო მომენტამდე არ სჯეროდათ ოსმალთაგან ბათუმის დათმობის შესაძლებლობისა.

როგორც რუსი მკვლევრები აღნიშნავენ, საიმპერატორო კარზე იცოდნენ ინგლისის შეურიგებელი დამოკიდებულება რუსეთისათვის ბათუმის, ყარსისა და არდაგანის (არტანი) გადაცემასთან დაკავშირებით და იმპერატორი ალექსანდრე II შინაგანად მზად იყო კიდევ ბათუმი ოსმალეთისათვის დაეტოვებინა. ასეთ ვითარებაში ინგლისის მხრიდან გაკეთებულ მოულოდნელ თანხმობას მასში გაოცება გამოუწვევია [ , 2011; , , 2008]. იგივე ავტორთა დასკვნით, ინგლისის უკან დახვევა დიპლომატიურ ჭიდილში როტშილდების მძლავრი კლანის წარმომადგენლის – როტშილდთა პარიზის საბანკო სახლის კულისებსმიღმა ჩარევამ განაპირობა, რამაც განსაზღვრა კიდევ საბოლოოდ ბათუმის ბედი [ , 2011; , - , 2008].

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, კიდევ უფრო შორს მიდის ებრაელი მკვლევარი კლიფორდ შაკი.

თავის ნაშრომში – „The Sabbatean-frankist Messianic Conspiracy Partially Exposed“, იგი ერთგან ასეთ აზრს გამოთქვამს: „1877 წელს, როტ-

შილდებმა, თავიანთ კლიენტებს – თურქეთსა და რუსეთს შორის ომის ორგანიზების შემდეგ, უზრუნველყვეს ბათუმის პორტის (ბაქოს ნავთობის ექსპორტირებაში უმნიშვნელოვანესი რგოლის) შეყვანა რუსეთის შემადგენლობაში<sup>12</sup> [Shack]; მეორე ადგილას კი მიუთითებს: „რუსეთ-თურქეთის ომი გაჩაღებული იქნა იმ მიზნით, რომ ბათუმი მიერთებოდა რუსეთს, სადაც როტშილდებს მძლავრი საბანკო ურთიერთობები გააჩნდათ. მათ ბათუმიდან უნდა მოეხდინათ თავიანთი რუსული ნავთობის გადაგზავნა შორეული აღმოსავლეთის ბაზარზე“<sup>13</sup> [Shack].

როგორც ვხედავთ, ებრაელი მკვლევარი თვით ომის დაწყებასაც კი როტშილდების საგვარეულოს მიაწერს, რაც, როტშილდების შესაძლებლობათა მასშტაბების გათვალისწინებით, სრულებითაც არ უნდა იყოს დაუჯერებელი და წარმოუდგენელი.

ამრიგად, ბერლინის კონგრესის შედეგებით, ბათუმი რუსეთის იმპერიას მიეკუთვნა, თუმცა, თურქული მხარე სულაც არ ჩქარობდა ქალაქის დაცლას და მოწინააღმდეგისათვის მის გადაცემას. რუსეთი გაჭიანურებული მოლაპარაკებებიდან აქტიურ ქმედებებზე გადავიდა. მეფისნაცვლის თანაშემწის სვიატოპოლკ-მირსკის უშულო მეთვალყურეობის ქვეშ შეიქმნა მიღება-ჩაბარების კომისია, რომელსაც თურქთაგან ბათუმის გადმოცემა უნდა უზრუნველყო. მასში შევიდნენ მეფისნაცვლის საველე კანცელარიის უფროსი ტრუბეცკოი, პოლკოვნიკი გრ. გურიელი და რუსეთის ყოფილი ვიცე-კონსული ბათუმში ჯუდიჩი [ , 1879: 6].

მოლაპარაკებების პარალელურად, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, რუსეთმა სამი მხრიდან დაძრა სამხედრო ნაწილები ბათუმის მიმართულებით: გურიიდან – ჩოლოქიბულეთის გავლით, ართვინიდან – ჭოროხის გავლით, ახალციხიდან – ზემო აჭარის გავლით. საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებული იყო სადესანტო ნაწილების გაგზავნა ფოთიდან და ნიკოლაევსკიდან [ , 1879: 6].

ბათუმისკენ დაძრული რუსული რაზმები შემდეგი თანმიმდევრობით შევიდნენ ქალაქში: 25 აგვისტოს (6 სექტემბერს) ქობულეთის მხრიდან – კავკასიის არმიის მთავარსარდლის მოადგილის სვიატოპოლკ-მირსკის მეთაურობით, 30 აგვისტოს (11 სექტემბერს) – ართვინის გზით ჭოროხზე გამოვლით გენერალ კ. კომაროვის, ხოლო 2 (14) სექტემბერს ახალციხის გზით ზემო აჭარის გავლით – გენერალ

<sup>12</sup> In 1877, by arranging a war between their clients, the countries of Turkey and Russia, the Rothschilds ensured that the port of Batumi (an essential link in transport of oil out of Baku) would be incorporated into Russia.

<sup>13</sup> Russian-Turkish War was instigated to incorporate the port of Batum into Russia where the Rothschilds had strong banking connections. It was from Batum that the Rothschilds would soon ship their Russian oil to the Far East Markets.

ტრეიტერის ხელმძღვანელობით [სდსინ, 2008: 54] წინ მათ ადგილობრივი მოსახლეობის დეპუტაციები მოუძღვრათ ზემო აჭარადან შერიფ ხიმშიაშვილის, შავშეთ-იმერხევიდან – ნური ხიმშიაშვილის მეთაურობით [იქვე].

ბათუმის თურქულმა ხელისუფლებამ ქალაქი საზეიმო ვითარებაში გადასცა რუსეთის წარმომადგენლობას. მუსიკისა და ზარბაზნების გრილისა და რუსი ჯარისკაცების ყიჟინას ქვეშ დაუშვეს ოსმალეთის დროშა და მის ნაცვლად რუსეთის იმპერიის დროშა აღმართეს [ , 1879: 51-57].

1878 წლის აგვისტოს, უფრო ზუსტად – 25 აგვისტო (6 სექტემბერი)- 2(14) სექტემბრის დღეებით ბათუმის ცხოვრებაში ახალი ერა დაიწყო. ეს დიდი პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური მნიშვნელობის ქალაქი ოსმალეთს წაერთვა და რუსეთის იმპერიის ხელში გადავიდა. ეს პეტერბურგის დიდი გამარჯვება იყო. აკი მიუთითებდა კიდევ ა. ფრენკელი, რომ ბათუმის და ყარსის ოლქების შექმნა იყო ერთადერთი და რეალური წარმატება რუსეთისა 1877-1878 წლების ომში [ , 1879: 5].

მიმდინარე პროცესების ობიექტური შედეგებით მოგებულ დარჩა ქართველი ერიც – მისმა აქამდე დაცალკავებულმა ნაწილებმა ერთ პოლიტიკურ სივრცეში მოიყარა თავი, რამაც ერთიანი ეროვნული სხეულისა და ცნობიერების აღდგენის პერსპექტივები შექმნა.

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

**სდსინ, 2008:** – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, ბათუმი.

**ვაზბეგი, 1995:** – ვაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი.

**Adjara and the Ottoman Empire, 2003:** – Adjara and the Russian Empire, 1878-1917 (British Archives on the Caucasus, Georgia), Editorial Hugo Greenhalgh, Research Robert L. Jarman, “Archival Publications International,” London.

**Adjara and the Russian Empire, 2003:** – Adjara and the Russian Empire, 1878-1917 (British Archives on the Caucasus, Georgia), Editorial Hugo Greenhalgh, Research Robert L. Jarman, “Archival Publications International,” London.

**, 1906:** – . . . . .  
25 1878 . - . . . . .

25- . . . . .  
, **2008:** – . . . . .  
, ( . . . . . ), 2008, (38)1934; ინტერნეტ-რესურსი: <http://rosvesty.ru/1934/interes/5037-rotshilidi-i-russkaya-nefti/>

**, 2011:** – . . . . .



; ონლაინ-გვერდი: [http://x-doctrines.narod.ru/arc/rot\\_rok.html](http://x-doctrines.narod.ru/arc/rot_rok.html)

, 1879:– ., « - », .

**Shack** – Shack C., The Sabbatean-frankist Messianic Conspiracy Partially Exposed; internet-resursi: <http://ia600506.us.archive.org/3/items/TheSabbatean-frankistMessianicConspiracyPartiallyExposed/TheSabbatean-frankistMessianicConspiracyPartiallyExposed.pdf>  
[\[http://otherreferats.allbest.ru/history/00059842\\_0.html](http://otherreferats.allbest.ru/history/00059842_0.html)

**Oleg Jibashvili, Khatuna Diasamidze**

*(Batumi, Georgia)*

### **August Days of 1878 in Batumi**

#### Summary

Batumi with its geostrategic location and political and economic importance attracted Russia - the growing state from the early period. Despite the successful wars with the Ottoman Empire during the XIX century, Russia never managed to get Batumi. It happened due to the war of 1877-1878. Turkey was defeated and signed the truce with Russia. According to the Treaty of San Stefano Turkey made political concessions to Russia and among them Batumi.

The success of Russia annoyed the European countries. They tried to interfere in the Turkish-Russian relations. The most active was England. She tried to provoke the anti-Russian rebellion among the residents of Batumi. The English and the Russian sources have confirmed that fact. Thus, encouraged Turkey began preparing for the new war. In that situation, Russian was forced to agree with the organizing the Berlin Congress and revision of the San Stefano Treatment.

At the congress, Russia managed to keep the core articles of the treatment, including Batumi.

However, it can be said until the final moment Petersburg did not believe that Russia would get Batumi. The authors of the article insist that the Rothschilds' interfere conditioned the inclusion of Batumi in the Russian Empire. The Rothschilds had their economic interest in Batumi.

On 2<sup>nd</sup> September of 1878 Turkey handed over Batumi solemnly to Russia.

ირინა ვარშლომიძე

(ბათუმი, საქართველო)

### ბიზანტიური მონეტა ბათუმის შემოგარენიდან

შუა საუკუნეების საქართველოს სამონეტო მეურნეობაში დომინანტურ როლს თამაშობდა ბიზანტიური საფასე. ჩვენთან ბიზანტიური ფული შემოდის არკადი კეისრის დროიდან და თითქმის ყველა იმპერატორის ფულადი ნიშანი შემოგვინახა მიწამ. საქართველოში მოპოვებული ბიზანტიური ნუმიზმატიკური ძეგლები, როგორც ისტორიული წყარო, მეტად მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა ამ ორი ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ.

2015 წელს ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში შემოვიდა ბათუმში, მწვანე კონცხის დასახლებაში, ზღვის სანაპიროდან 700-800 მეტრში, ჰორტენზიის ქუჩაზე, დ. ჭეიშვილის საკარმიდამო ნაკვეთში, შემთხვევით გამოვლენილი სპილენძის მონეტა. იგი ციხიძირიდან და ჩაქვიდან ეზოს ასამაღლებლად მოტანილ მიწაში აღმოჩნდა (მონეტა მუზეუმში მოიტანა მ.კანდელაკმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ). შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ესაა ბიზანტიის იმპერატორ იოანე ციმისხეს (969-976 წ.წ.) სახელით მოჭრილი მონეტა.



**შუბლი:** მაცხოვრის ბიუსტი პირდაპირ, თავზე შარავანდედით. ორივე ხელით სახარება უჭირავს, რომელიც მკერდზე აქვს მიღებული.

**ზურგი:** ოთხსტრიქონიანი ბერძნული ზედწერილი

† I H S U S | X R I S T U S | I . S I L | I I A S I L

[აბრამიშვილი, 1966: 88, №307]

X საუკუნეში ბიზანტია-დასავლეთ საქართველოს ოფიციალური ურთიერთობა არ სცილდებოდა მეგობრობისა და მოკავშირეობის ფარგლებს. X საუკუნის მეორე ნახევრიდან ეგრისში ბიზანტიური მონეტების შემოსვლის ნაკადი მატულობს. განსაკუთრებით დიდი ნაკადი შემოდის სპილენძის ანონიზური მონეტების, რომელთა ემისია დაიწყო იოანე I ციმისხეს (969-976 წწ.) დროს და გრძელდებოდა შემდეგაც.

ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი X საუკუნის ბიზანტიური მონეტები ქრონოლოგიურად ასე ნაწილდება: 1. რომანოზ I-ის ერთპიროვნული მმართველობის ხანა (919-921 წწ.) – 6 ცალი; 2. კონსტანტინე VII-ისა და რომანოზისა (919-944 წწ.) – 1; 3. კონსტანტინე VII-ისა (913-959 წწ.) – 5 და 4. იოანე ციმისხესი (969-976 წწ.) – 16 *[დუნდუა, დუნდუა, 2006: 186]*

მონეტების აღმოჩენათა ტოპოგრაფია დასავლეთ საქართველოში ასე გამოიყურება: ოჩამჩირე, ივერიის მთა (ახალი ათონი, გუდაუთის რაიონი), ქობულეთის მიდამოები, ბობოყვათი, ციხისძირი, ზესტაფონის რაიონის სოფელ კლდეეთი, ანაკოფიის ციხის ტერიტორია (ახალი ათონი), სოხუმი, სოფელ აჩანდარა (გუდაუთის რაიონი); სულ აღმოჩენილია ამ პერიოდის სპილენძის 41 მონეტა *[დუნდუა, დუნდუა, 2006: 186]*. მახინჯაურის აღმოჩენამ კიდევ უფრო გაზარდა ამ პერიოდის საფასეთა რაოდენობა. როგორც ჩანს, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ბიზანტიასთან, რომელიც დაიწყო ამ პოლიტიკური ერთეულის გაჩენისთანავე, X საუკუნეშიც გრძელდება.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

- აბრამიშვილი, 1966:** – აბრამიშვილი თ., საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები, თბილისი
- დუნდუა, დუნდუა, 2006:** – დუნდუა გ., დუნდუა თ., ქართული ნუმიზმატიკა, თბილისი.

**Irine Varshalomidze**  
*(Batumi, Georgia)*

### **Byzantine coin from Batumi area**

#### Summary

In 2015 in Makhinjauri village took place an accidental find of a copper coin minted by emperor John I Tzimiskes (969-976). Such kind of coins are very rare on the territory of west Georgia. The find is counted among those ones of big importance.

## ქარვის მძივ-საჩიღები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ანტიური ხანის სამარხებიდან

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ანტიური ხანის ძეგლებზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად ქარვის მძივები ყველაზე დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ფიჭვნარის სამაროვანზე (ძვ.წ. V საუკუნის კოლხურ და ბერძნულ სამაროვნებზე. ასევე, ძვ.წ. IV საუკუნის ბერძნულ ნეკროპოლზე). ერთეული ცალითაა წარმოდგენილი გონიოს ძვ.წ. V საუკუნის კოლხურ სამარხში.

ქარვა ორგანული წარმოშობის მინერალია და მისი ქართული სახელწოდება მომდინარეობს სპარსული სიტყვისაგან „ქაპრუბა“. ქარვა ხახუნისაგან სუსტ ელექტრობას იძენს, რაც სხვადასხვა მსუბუქი ნივთების მიზიდვაში (ჩაღის, ქაღალდის) გამოიხატება. სწორედ ამ თვისების გამო უწოდეს მას „ქაპრუბა“, რაც სიტყვა-სიტყვით „ჩაღის მტაცებელს“ ნიშნავს [მგელიაშვილი, 1981: 73].

ქარვა მოხსენიებულია ანტიური ხანის მრავალ ავტორთა შრომებში, რომლებიც ს. ს. საკევიჩის მიერ იქნა შეკრებილი და გამოცემული [Санкевич, 1970: 11-14]. ქარვის წარმომავლობისა და ანტიურ სამყაროში მისი შემოტანის შესახებ ცნობებს გვაწვდის ისტორიის მამა – ჰეროდოტე. მისი ცნობით, ქარვა ხმელთაშუაზღვისპირეთში „უკიდურესი ევროპიდან“ შემოჰქონდათ [Hdt., Hist., III, 155]. სტრაბონი ბრიტანელებისა და კელტების სავაჭრო ურთიერთობის აღწერისას სპილოს ძვლისა და მინისაგან დამზადებულ სამკაულთან ერთად ქარვასაც ასახელებს [Strabo, IV, 5-3]. ასევე საყურადღებოა პლინიუსის ცნობა სკვითებში ორი სახის ქარვის მოპოვების შესახებ, რაც დადასტურებულია გეოლოგების მიერაც [Санкевич, 1970: 20; Алексеева., 1978: 21]. პლინიუსი აღნიშნავს, რომ ნერონის დროს საგანგებოდ იგზავნებოდა ადამიანი გერმანელებთან ქარვის შესაძენად. ის ამტკიცებს, რომ მდინარე პოს მიდამოებში მცხოვრები მოსახლეობა ქარვას ატარებდა როგორც სამკაულს, რაც მის მასობრივ გამოყენებაზე მიგვანიშნებს. თუმცა აღნიშნავს, რომ ქარვისაგან დამზადებული საკიდი ადამიანის გამოსახულებით იმდენად ძვირი ღირდა, რომ ამ ფასად ჯანმრთელი ადამიანის ყიდვაც შეუძლებელია [Plin., NH, 18-19: 232-234]. განსაკუთრებით საინტერესო ცნობას გვაწვდის ტაციტუსი, რომელიც ახ.წ. I-II სს. შეეხება. ის აღწერს ესტიების ტომს, რომელიც დღევანდელი კალინინგრადის რეგიონში სახლობდა. „ესტიები ზღვის სანა-

პირობე კრეფდნენ ქარვას, რომელსაც ისინი არასდროს იყენებდნენ. კრეფდნენ ბუნებრივ მდგომარეობაში და ჩვენს ვაჭრებთან ყიდდნენ” **[Tac.An, I, 371-372]**. თავის შრომებში ბერძენ-რომაელი ავტორები საუბრობენ ამ ქვის სამკურნალო თვისებებზე, ელექტროობაზე, ფერზე. ზოგიერთი მათგანი ქარვას ფანტასტიკურ და მაგიურ ძალასაც მიაწერდა. კერძოდ, პლინიუსის ცნობით, ქარვა მედიცინაში გამოიყენებოდა ყელის ტკივილის საწინააღმდეგოდ და სიგიჟისაგან დასაცავად **[Plin, NH, 37: 11; 44]**.

ქარვისაგან დამზადებული სამკაული პირველად არქეოლოგიური გათხრების შედეგად ბაბილონში იქნა აღმოჩენილი **[Harling, 2008: 36]**. თავდაპირველად ქარვისაგან თილისმებსა და მძივებს ამზადებდნენ, რომელ ხანაში კი მას ქანდაკებების, ჯაყვისთავეებისა და ავეჯის მოსართავი დეტალების დასამზადებლად იყენებდნენ **[Plin, NH, 9: 99]**. გეომეტრიულ და ორიენტალიზირებულ პერიოდში ქარვა გამოიყენებოდა სპილოს ძვლისა და ოქროს სამკაულების ნაწილადაც. რომის იმპერიაში ფლავიუსებისა და ანტონინუსების დროს მას ლამაზ თვალბუდეში სვამდნენ და ბეჭდად ხმარობდნენ **[Lecomte, 1983: 211-214]**.

გეოლოგიური კვლევის საფუძველზე ცნობილია, რომ ქარვის საბადოები მოიპოვება ბალტიისპირეთში, დანიაში, შვეციაში, პოლონეთში (ღუბლიანასთან ახლოს), უკრაინაში (ღვოვთან) **[Алексеева, 1978: 22; Пыляев, 1950: 378-379]**.

ფიჭვნარის ძვ.წ. V საუკუნის კოლხურ სამაროვანზე დადასტურებული ქარვის ნიმუშები ფორმათა მრავალფეროვნებით არ ხასიათდება. სულ ექვსი ფორმაა წარმოდგენილი. უმრავლესობა წაკვეთილ-ბიკონუსური; გვხვდება, აგრეთვე, მართკუთხა, ოთხკუთხა, პირამიდული, წვრილი რგოლისებური მძივები და ასევე სტილიზებული ცხოველის ფორმის საკიდები. ყველა ნიმუში კოროზირებულია, დაფარულია მოწითალო-ყვითელი ფერის ნადებით. ფიჭვნარის ნიმუშებზე ნახვრეტი ცალმხრივადაა გაკეთებული და არ გააჩნია ჩანახერხები, როგორც სარდიონის და საერთოდ მაგარი ჯიშის ქვებს ახასიათებს. ნახვრეტი მძივებზე, როგორც ჩანს, გავარვარებული მილაკით კეთდებოდა.

როგორც აღინიშნა, ფიჭვნარის ქარვის მძივების უმრავლესობა წაკვეთილ-ბიკონუსური ფორმისაა (72 ცალი). ამ ფორმის მძივები ხუთ სამარხშია (სამარხები №№ 20, 17, 177, 298, 300) დადასტურებული. თითქმის ყველა ცალი ასიმეტრიულია. მათი სიმაღლე 0,9-0,5 სმ შორის მერყეობს, დიამეტრი კი 0,5-0,3 სმ შორის. ნახვრეტის დიამეტრი ორივე მხარეს თანაბარია – 0,2 სმ (ტაბ. I/4). მსგავსი მძივები აღმოჩენილია კოლხეთის ძვ.წ. VII-VI საუკუნეების სამაროვანზე, რო-

გორიცაა წითელი შუქურა (№ 21 სამარხი) [Tranw, 1969: 190, ტაბ. VII-12].

11 ქარვის მძივი ოთხკუთხა ფორმისაა, ისინი ზომებით განსხვავებულია. გვხვდება როგორც მოზრდილი ცალები, ასევე მცირე ნიმუშები.

ა) 2 მძივი დიდი ზომისაა (2X2 სმ). ორივე კარგადაა დაცული (ტაბ.I/3). ორივე სიმეტრიულია, დაფარულია ყვითელი ფერის ნადებით. ნახვრეტი სიგრძივად დატანილი. ნახვრეტის ერთი ბოლო სამკუთხედისებურადაა ამოკვეთილი და შემდეგაა არხი გაკეთებული (სამარხი №301). არხის ბოლოების დიამეტრი 0,1 სმ არის ერთმანეთისაგან განსხვავებული(0,2X0,1სმ).

ბ) 8 ცალი მცირე ზომის მძივია (0,6X0,6 სმ; 0,5X0,5 სმ; 0,3X0,3 სმ, სამარხები №17 და 240). ისინი ფორმითა და მოყვანილობით დიდი ზომის მძივებს ჰგავს იმ განსხვავებით, რომ არხის დასატანად არ აქვს სამკუთხედისებური ფორმის ამოჭრილი. ამასთანვე არხის ბოლოების დიამეტრი თანაბარია – 0,1 სმ(ტაბ.I/10). ასეთივე ფორმისა და ზომის მძივები აღმოჩენილია ფიჭვნარში ძვ.წ. V ს. მეორე მეოთხედის სამარხში ბერძნულ სამაროვანზე [თურმანიძე, 2005: 45, სურ. 1-4].

21 ცალი მძივი მართკუთხედი ფორმისაა. ისინიც კოროზირებულია, კარგადაა დაცული. მძივები სიმეტრიულია, ბრტყელი. როგორც ოთხკუთხა ფორმის მძივებში, აქაც გამოირჩევა რამდენიმე ტიპი ზომისა და ფორმის მიხედვით:

ა) 4 ცალი დიდი ზომისაა (1,8X0,7 სმ; 1,6X1,5 სმ; 2,3X1,3 სმ; 2X1,7 სმ; სამარხი № 216). არხი სიგრძივ, ჰორიზონტალურადაა დატანილი და ბოლოების დიამეტრი თანაბარია – 0,2 სმ (ტაბ.I/1). ამ ნიმუშებსაც არხის ერთი ბოლო სამკუთხედისებურადაა აქვს ამოჭრილი და შემდეგაა ნახვრეტი გაკეთებული. ანალოგიური ქარვის მძივები დადასტურებულია სიონის ძვ.წ. VII-VI საუკუნეების ქვაყუთებში [შენაბდე, 1981: 98, სურ. 419].

ბ) მართკუთხა ფორმის 15 მძივი, მცირე ზომისაა (0,7X0,5სმ: 0,6-0,3X0,4-0,2სმ), ასიმეტრიული. ნახვრეტი ჰორიზონტალურადაა დატანილი და ერთმანეთის სიმეტრიულია. ქარვა მოყავისფრო-წითელი ფერისაა (სამარხები №№ 216, 300). მსგავსი მძივები დადასტურებულია ბრილში (ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, 5-998, 724, 48/69).

გ) 2 მძივი ფორმით ოდნავ განსხვავებულია - ტრაპეციას უახლოვდება, ბრტყელია, მაგრამ აგებულიებისა და დამუშავების მიხედვით ისინი მართკუთხა მძივების იდენტურია(ტაბ.I/2). სიგრძე 1,8–2,2 სმ შორის მერყეობს, სიგანე ერთ მხარეს 1,2–2 სმ-ია, მეორე მხარეს –

0,8-1,2 სმ შორის მერყეობს (სამარხები №№ 342, 283, 264). მსგავსი, ტრაპეციისა და ოთხკუთხედი ფორმის მძივები აღმოჩენილია ურეკის ადრერკინის ხანის სამაროვანზე, №3 ორმოსამარხში. ეს სამარხი ძვ.წ. VII საუკუნის დასასრულითა და ძვ.წ. VI საუკუნით თარიღდება **[მიქელაძე, 1985: 88, ტაბ. XVIII-496]**. მართკუთხედის ფორმის მძივების ანალოგიური ცალები აღმოჩენილია მუხურჩაში, ზედა ტერასაზე განლაგებულ სამარხებში, რომლებიც ძვ.წ. VII საუკუნის მეორე ნახევართა და ძვ.წ. VI საუკუნის დასაწყისით თარიღდება **[გოგაძე, 1977: 63-64, ტაბ. IX-7]**. ვანში, № 11 სამარხში, მიცვალებულის თავის არეში აღმოჩენილია ტრაპეციის ფორმის ქარვის მძივები. სამარხი ძვ.წ. V ს. შუა ხანებითაა დათარიღებული **[გიგოლაშვილი, 1983: 108, კატ. №450]**.

შემდეგ ჯგუფში გაერთიანებულია 39 ქარვის წვრილი, რგოლისებური და ცილინდრული ფორმის მძივი (სამარხი № 216; 0,4-0,2X0,1X0,3-0,2 სმ). მძივები ასიმეტრიულია, ფორმით ისინი მოგვაგონებს მინის სხვადასხვა ფერის იოტებს (ტაბ.I/7). მსგავსი ცალები ცნობილია წითელი შუქურას სამაროვნიდან (№26 სამარხი) **[ტრაპი, 1969: 104, ტაბ. VIII-21]**, ვანიდან (№24 სამარხი). ასევე მსგავსი ცალები წარმოდგებილია სომხეთში, კარჩახპიურისა და არამავირის ძვ.წ. VI-IV საუკუნეების სამარხებში **[Карпетян., 2003: 96, ტაბ. 55/22-23]**.

1 ცალი კასრისებური მძივია, მოყავისფრო-ყვითელი ფერის, ასიმეტრიული, ცილინდრული არხით (სამარხი №264; 0,7X0,1X1 სმ) (ტაბ.I/9). ჩვენი ნიმუში მსგავსია მ. ტრაპშის მიერ გამოყოფილი მე-4 ტიპის მძივისა **[ტრაპი, 1969: 190, ტაბ. VII-5-7]**. ანალოგიური ცალები (2 ცალი) აღმოჩენილია კამარახევის სამაროვანზე, №25 სამარხში, რომელიც ძვ.წ. VI-V სს. თარიღდება **[ჯღარკავა, 1982: 149, სურ. 1013]**.

1 მძივი სამკუთხედისებური მოყვანილობისაა; ბრტყელი, ყვითელი ფერის. ნახვრეტი სამკუთხედის წვერში აქვს დატანილი (სამარხი №342; დმ – 0,2 სმ). მძივის გვერდისა და ძირის სიგრძე 1,4 სმ-ია, ხოლო სისქე 0,9 სმ(ტაბ.I/11). ზედაპირი ოდნავ ამობურცულია. ერთი შეხედვით საკიდს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე მძივს. მსგავსი ცალები დადასტურებულია სამთავროს სამაროვანზე ძვ.წ. VII-VI სს. დათარიღებულ სამარხებში **[დავლიანიძე, 2001: 98]**.

მეტად საინტერესოა 326-ე სამარხში აღმოჩენილი 11 ცალი ოთხკუთხა მძივი. ისინი საკმაოდ სიმეტრიულია, ბრტყელი (სიგრძე 0,7X0,6 სმ, სიმაღლე 0,3 სმ). მძივებს ორი არხი აქვთ დატანილი მოპირდაპირე კუთხეებში, ნახვრეტები ერთმანეთის პარალელურადაა განლაგებული (ტაბ.I/12,20). თავად მძივების ფორმას პარალელი ეძებნება, მაგრამ ამ პარალელებისაგან განსხვავებით ჩვენს ნიმუშებს ორი არხი გააჩნია. საერთოდ ორარხიანი მძივები დამახასიათებელია ელინისტური პერიოდისათვის. კერძოდ, ასეთი მძივები აღმოჩენილია ტანაისში ძვ.წ. II



საუკუნეების სამარხეული კომპლექსებში *[Алексеева, 1978: ტაბ. 52-1, 53-6]*. ორ არხიანი გიშრის მძივები დადასტურებულია ვანში. ისინი გამანაწილებელი მძივის ფუნქციის მატარებლად არის მიჩნეული. ნალოგიურად ფიქრობს გ. მახარაძე, საირხეში აღმოჩენილი გიშრისა და ოქროს მძივის შეწავლის საფუძველზე *[მახარაძე, 2007: 77; Kacharava., 2005: 305-306]*. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ფიჭვნარის ნიმუშიც ამ დანიშნულებით გამოიყენებოდა. ანალოგიური მძივი, ოღონდაც გიშრისაგან დამზადებული, ცნობილია კურჯიპის ყორღანიდან. ეს ყორღანი ძვ.წ. IV საუკუნით თარიღდება. ლ. გალანინა, ამ მძივს როგორც ჩასართავს ისე განიხილავს და იქვე აღნიშნავს, რომ მსგავსი ნიმუშები გაცილებით მრავლად გვხვდება ძვ.წ. III-II საუკუნეების კომპლექსებში *[Галанин, 1980: 82, კატ. 22]*. ფიჭვნარის განსახილველ სამარხში (სამარხი № 326) აღმოჩენილია ადგილობრივი (2 ქოთანი და 2 დოქი) და იმპორტული (იონიური ოინოხოია და შავლაკიანი ბოლსალი, შავლაკიანი ლეკითოსის პირი) თიხის ჭურჭელი, აგრეთვე ოქროს ბიკონუსური საყურე, ორი კოლხური მონეტა, ბრინჯაოს სამაჯური და ბრინჯაოს ისრისპირი. ამ სამარხეული ინვენტარის შესწავლის საფუძველზე სამარხს ა. კახიძე ძვ.წ. V საუკუნით ათარიღებს *[კახიძე, 2005: 4]*.

ფიჭვნარის ძვ.წ. V საუკუნის კოლხურ სამაროვანზე დადასტურდა ქარვისაგან დამზადებული მძივსაკიდები და საყურეები. საკიდებს შორის გვხვდება პირამიდული და მამლის სტილიზებულ გამოსახულებიანი ნიმუშები.

ქარვის პირამიდული საკიდები დადასტურდა 294-ე და 307-ე სამარხებში (3 ცალი) (ტაბ. I/13-14). ეს ნიმუშები მოყავისფრო-ყვითელი ფერისაა, სიმეტრიულია და კარგად დაცული (ფუძე 0,8X0,6 სმ; 0,6X0,5 სმ, 0,6X0,6 სმ). ამ ფორმის სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული საკიდები საქართველოში ძვ.წ. V საუკუნიდან მასიურად ვრცელდება და არსებობას ელინისტური პერიოდის ჩათვლით განაგრძობს. მინისაგან და ეგვიპტური ფაიანსისაგან დამზადებული ამ სახის საკიდები საკმაოდ რაოდენობითაა წარმოდგენილი ძვ.წ. V ს. კოლხურ, ძვ.წ. V-IV სს. ერძნულ და ელინისტური ხანის სამაროვანზე. ქარვის ასეთი საკიდები აღმოჩენილია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთშიც, თუმცა დაუთარიღებელია *[Алексеева, 1978: ტაბი 41, ტაბ. 25-16]*.

როგორც აღინიშნა, ქარვის 1 ცალი მამლის სტილიზებულ გამოსახულებიანი საკიდია აღმოჩენილია ფიჭვნარში (ტაბ. I/15). ამ ცილინდრული ფორმის საკიდის ერთი ბოლო მამლის ბიბილოს მსგავსი გამოსახულებით სრულდება (სამარხი № 311, სიმაღლე 1,4 სმ, სიგანე 0,9 სმ, სისქე 0,6 სმ). ამ ნიმუშს ჩემს ხელთ არსებულ ლიტერატურაში პარალელი ვერ მოვუძებნე.

მეტად საინტერესოა 213-ე სამარხში აღმოჩენილი საყურეები. საველე დავთრის მიხედვით ისინი თავის არეში დაფიქსირდა აქეთ-იქეთ მხარეს. ის შედგებოდა ვერცხლის რგოლისა და ქარვის სტილიზებული საკიდისაგან (ტაბ.I/19). ერთი მთლიანადაა შემორჩენილი, მეორე კი - ფრაგმენტულად. საკიდი სტილიზებულ ბაყაყს მოგვაგონებს. იგი მართკუთხედი ფორმისაა (2X1,1 სმ), ორნამენტი რელიეფრადაა გამოყვანილი. ნახვრეტი საკიდის თავის არეშია დატანილი სიგანეში (დიამეტრი 0,2 სმ). კარგადაა გამოყვანილი ფეხებისა და თვალის არეები. გამოყენებულია ამოკვეთის ტექნიკა. ვერც ამ ნიმუშს მოუძებნე პარალელი ჩემს ხელთ არსებულ ლიტერატურაში.

ძვ.წ. Vსაუკუნის მეორე ნახევრის ბერძნული ნეკროპოლიდან მომდინარე ქარვის მძივები ფორმითაც და რაოდენობითაც უფრო მრავალფეროანია ვიდრე, ძვ.წ. Vსაუკუნის მეორე მეოთხედის სამარხებში აღმოჩენილი ცალეებისა. გვხვდება როგორც მძივები, ასევე საკიდები.

ძვ.წ. V საუკუნის მეორე მეოთხედის ბერძნულ სამაროვანზე ქარვის მძივები რამდენიმე ცალითაა წარმოდგენილი. ოთკუთხა ფორმის – სულ ცხრა ცალი. აქედან, სამი ცალი მართკუთხა ფორმისაა (სამარხი №152), დაფარულია ყვითელი ფერის ნადებით (0,9-0,7X0,2X0,4X0,5სმ), მსგავსია ძვ.წ. V ს. კოლხურ სამაროვანზე აღმოჩენილ მძივისა (სამარხი №216).

ქარვის ექვსი მძივი ოთხკუთხედი ფორმისაა. კარგად დაცული, სიმეტრიული (სამარხი №195; 0,4-0,3X0,1X0,4-0,5 სმ) (ტაბ.I/8); მსგავსია კოლხურ სამაროვანიდან მომდინარე მძივებისა (სამარხი №17, 240)

ძვ.წ. V საუკუნის მეორე ნახევრის ბერძნული სამაროვანიდან მომდინარე მძივებში უმრავლესობა მართკუთხა ფორმის მძივი (11 ცალი). აღმოჩენილია 105-ე და 307-ე სამარხში, ხოლო 1 ცალი – №1 სააღაპო მოედანზე. ის ძალზედ კოროზირებული და დაშლილია (0,9-0,5X0,2X0,7-0,5 სმ); დაფარულია ყვითელი ფერის ნადებით (ტაბ.I/5-6). ეს მძივები ანალოგიურია კოლხური ნეკროპოლიდან მომდინარე მძივებისა. ოთხკუთხედი ფორმის მძივები აღმოჩენილია ურეკის ადრერკინის ხანის სამაროვანზე, №3 ორმოსამარხში, რომელიც ძვ.წ. VII საუკუნის დასასრულითა და ძვ.წ. VI საუკუნით თარიღდება *[მიქელაძე, 1985: 88, ტაბ. XVIII-4696]*; ვანში, №11 სამარხში, მიცვალებულის თავის არეში (სამარხი ძვ.წ. V ს-ის შუა ხანებითაა დათარიღებული) *[გოგოლაშვილი, 1983: 108, კატ. №450]*. მართკუთხედის ფორმის მძივების ანალოგიური ცალეები აღმოჩენილია მუხურჩაში, ზედა ტერასაზე განლაგებულ სამარხებში, რომლებიც ძვ.წ. VII საუკუნის მეორე ნახევრითა და ძვ.წ. VI საუკუნის დასაწყისით თარიღდება *[გოგაძე, 1977: 63-646, მაბ. IX-7]*.

286-ე სამარხში აღმოჩნდა ორი საკიდი. ერთი მათგანი სტყლიზე ბული თევზის გამოსახულებათ, რომელზეც გვერდები (თევზის ფარფლები) კლანილი ხაზითაა გადმოცემული(ტაბ.I/18). არხი თვალის ადგილას აქვს დასმული. მსგავს საკიდს ჩემს ხელთ არსებულ ლიტერატურაში ანალოგი ვერ მოვუძებნე. ამ ქარვის საკიდთან ერთად აღმოჩენილია ქარვისავე ოთკუთხა ფორმის მძივი, რომელსაც ნახვრეტის დატანის ადგილას სამკუთხედისებური ამონაჭერი აქვს, და მსგავსია ძვ.წ. V საუკუნის კოლხურ სამაროვანზე აღმოჩენილი მძივისა, რომელსაც პარალელები ადრერკინის ხანის სამაროვნებში ეძებნება.

ასევე საინტერესო ქარვის საკიდია 307-ე სამარხში. ის წრიული ფორმისაა. ზედა ნაწილი ამობურცული აქვს, ქვემოთ კი ბრტყელია; ზედაპირზე დასმული აქვს „X“-ის მაგვარი ნიშანი, დაზიანებულია, აკლია ყუნწის ნაწილი(ტაბ.I/16). ვერც ამ ნიმუშს მოვუძებნე ანალოგი.

ქარვის მძივსაკიდი პირამიდისებური მოყვანილობისაა, ყვითელი ფერის არხი სიგრძივითაა დატანილი და საკმაოდ ფართოა - 0,4სმ, პირამიდის ფუძის ზომებია 2,5X2,5სმ (ტაბ.I/17). მსგავსი ნიმუში ცნობილია სკვითური ნეაპოლის მავზოლეუმიდან [Поррнова, 1961: ტაბ 37-35].

მცირე რაოდენობითაა ცნობილი ქარვის მძივები გონიო-აფსაროსის სამარხეული კომპლექსიდან. სამარხი 2000 წელს ციხის სამხრეთ კარბჭისთან იქნა აღმოჩენილი. სამარხეული ინვენტარის შესწავლის საფუძველზე სამარხი ძვ.წ. V საუკუნით დათარიღდა და ადგილობრივი მოსახლის საძვალედ იქნა მიჩნეული [კახიძე, 2002: 48-49]. სამარხის კონტურის ზომების მიხედვით გერმანელი მეცნიერები თვლიან, რომ ის ბავშვის სამარხი უნდა ყოფილიყო [პლონტკე-ლიუნინგი, 2002: 79]. აღმოჩენილი 6 ცალი ქარვის მძივი, მართკუთხა ფორმისაა, არხის დატანის ადგილას სამკუთხედისებურადაა ამოჭრილი, სიგრძივ ნახვრეტით. მძივები გამოფიტულია და ადვილად იშლება. ფორმის აღდგენა მხოლოდ საველე დავთრისა და გამოქვეყნებული სტატის დახმარებით ხერხდება [პლონტკე-ლიუნინგი, 2002: 80, ტაბ. 22-1.]. ანალოგიური მძივები აღმოჩენილია ფიჭვნარის ძვ.წ. V საუკუნის კოლხურ სამაროვანზე

ამრიგად, ფიჭვნარის ძვ.წ. V ს. კოლხურ სამაროვანზე ქარვის 6 ფორმის მძივი და 3 ფორმის საკიდი დადასტურდა. ზოგიერთ მათგანს (მართკუთხა და ოთხკუთხა ფორმის მძივები) ზუსტი ანალოგები მოეძებნა ურეკის, მუხურჩის და სიონის სამარხებიდან მომდინარე მასალებში. ასე, რომ პარალელური მასალა უფრო ადრეული ხანის (ძვ.წ. VII-VI სს.) სამარხებშია ფიქსირებული. საერთოდ დასავლეთ საქართველოში ქარვის მძივები საკმაოდ რაოდენობით გვხვდება წინაანტიკური

ხანის სამაროვნებზე<sup>14</sup>. ამ პერიოდის ძეგლებიდან ყველაზე მრავლად ისინი წითელი შუქურას სამაროვანსა [Трапш, 1969: 78-162] და მუხურჩას ზედა მოედნის [Гогодзе, 1977: 60-70] ნეკროპოლზეა დაფიქსირებული. ქარვის მძივები გვხვდება გუადისუს [Трапш, 1969, გვ. 75], ნიგეზიანისა [Микеладзе, 36, 38, სურ. 4] და მერხეულის [ბარამიძე, 1977: 60-61] სამაროვნებზე. ცნობილია ისინი აგრეთვე ბრილიდან [საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდი: 5-998, 549, 724, 750; გობეჯიშვილი, 1952: 103]. რაც შეეხება ანტიკური ხანის ძეგლებს, ვანში ქარვის მძივების აღმოჩენის ერთეული შემთხვევები იყო ცნობილი უკანასკნელ ხანამდე [კაჭარავა, 1986: 31, კატ. №69, სურ. 14, 11-123; გიგოლაშვილი, 1983: 98, კატ. №449, 450]. 2003 და 2004 წლებში გათხრილ №22 და 24 სამარხებში თავი იჩინა ქარვამ საკმაო რაოდენობით (№24 სამარხში 318 მძივი და 174 იოტი აღმოჩნდა). განსაკუთრებით საინტერესოა ქარვის იოტების აღმოჩენა (თანამედროვე ასხმის სიგრძე 0,95 მ-ია). სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ანტიკური ხანის ძეგლებზე (ფიჭვნარი, ციხისძირი,) ქარვის მძივსაკიდები სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი. ყველაზე დიდი რაოდენობით ისინი ფიჭვნარის ძვ.წ. V ს. კოლხურ სამაროვანზე გვხვდება (180 ც.), ორი ეგზემპლარია აღმოჩენილი ციხისძირში (ინახება ბათუმის არქეოლოგიური მიზეუმის ციხისძირის ფონდში), ფიჭვნარში ქარვის მძივების შედარებით დიდი რაოდენობით აღმოჩენა თუ რითაა განპირობებული, ძნელი სათქმელია.

ჩვენში, ისევე როგორც მთელ ანტიკურ სამყაროში, ელინისტურ ხანაში ქარვის მძივები ფაქტიურად ქრება. დასავლეთ საქართველოში ქარვის მძივები კვლავ ჩნდება რომაულ ხანაში – კლდეეთის სამაროვანზე [გლომთათიძე, 1957: 65]. ასეთივე ვითარებაა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, სადაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, ქარვის მძივები ძვ.წ. VI-V სს-ში ერთეული სახითაა დადასტურებული, მათი მასობრივი აღმოჩენა კი რომაულ ხანას უკავშირდება [Алексеева, 1978: 22-23]. ელინისტურ ხანაში ქარვის მძივების გაქრობას უკავშირებენ “ქარვის გზის” ნორმალური ფუნქციონირების შეფერხებას.

<sup>14</sup> კავკასიაში ქარვის მძივები, როგორც პრასკოვია უვაროვა აღნიშნავს, დადასტურდა ყობანური ხანის სამაროვანზე და ფართოდ ვრცელდება ადრესკვიტურ ეპოქაში [Уварова П., 1900: 70].

**გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:**

**ბარამიძე, 1977:** – ბარამიძე მ., მერხეულის სამაროვანი, თბილისი.  
**გიგოლაშვილი, 1983:** – გიგოლაშვილი ე., მძივსამკაული, ვანი, VII, თბილისი, გვ. 96-104;  
**გობეჯიშვილი, 1952:** – გობეჯიშვილი გ., გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბილისი.  
**დავლიანიძე, 2001:** – დავლიანიძე ც., წინა და ადრეანტიკური ხანის მძივები სამთავროს სამაროვნიდან, აკ, III, თბილისი, 2001, გვ. 93-113.  
**თურმანიძე, 2005:** – თურმანიძე მ., მძივსამკაული ფიჭვნარის ძვ.წ. V ს ბერძნული ნეკროპოლიდან, ბამ შრომები, III, ბათუმი, გვ. 45-53.  
**კაჭარავა, 1986:** – კაჭარავა დ., მუავანაძე ზ., ნაქალაქარის ზედა ტერასაზე 1980 წელს ჩატარებული მუშაობის ანგარიში, ვანი, VIII, თბილისი, გვ. 9-34.  
**კახიძე, 2006:** – კახიძე ა., ვიკერსი მ., თავამაიშვილი გ., ფიჭვნარში 2005 წელს ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში, ნაბეჭდი, ინახება ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში.  
**კახიძე, 2002:** – კახიძე ა., მამულაძე შ., ებრაელი ტ., 2000 წელს გონიო-აფსაროსის ციხის სამხრეთი კარიბჭის გარეთ წარმოებულ არქეოლოგიურ კვლევა-ძიების ანგარიში, 2002, გონიო-აფსაროსი III, ბათუმი, გვ. 44-50.  
**ლომთათიძე, 1957:** – ლომთათიძე გ., კლდეეთის სამაროვანი, თბილისი.  
**მახარაძე, 2007:** – მახარაძე გ., წერეთელი მ., საირსე, თბილისი.  
**მგელიაშვილი, 1991:** – მგელიაშვილი თ., საქართველოს გეოარქეოლოგია, თბილისი.  
**მენაბდე, 1981:** – მენაბდე მ., კიღურაძე თ., სიონის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი. **მიქელაძე, 1985:** – მიქელაძე თ., კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები, კავშ, II.  
**პლონტკე-ლიუნინგი, 2002:** – პლონტკე-ლიუნინგი ა., ფელმუთი ნ., გაიერი ა., გონიო აფსაროსის გერმანულ-ქართული ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიცია, გონიო-აფსაროსი III, ბათუმი, გვ. 71-87.  
**ჯღარკავა, 1982:** – ჯღარკავა, თ კამარახევის სამაროვანი, მცხეთა VI, თბილისი, გვ. 189-191.  
**, 1978:** – . . . ,  
. 1-12, . . .  
**, 1980:** – . . . ,  
**, 1977:** – . . . . .  
- , ssmae, , V, . 60-72.  
**, 2003:** – . . . VI-V .  
. . . , 19, .  
;: – . . . VII-VI  
. . . . – - 151, . 33-39.  
**, 1961:** – . . . ,  
, 96, . . 103-222.  
**, 1900:** – . . . , - .  
**, 1950:** – . . . .  
**, 1969:** – . . . , . II, .

, 1900: – . . . .  
VIII, 1900.

**Kacharava, 2005:** – Kacharava D., Recent finds at Vani, Dialogues d' histoire ancienne, Supplement 1, gv. 291-309.

**Lecomte, 1983:** – Lecomte F., Amber, Gold jewelry – Craft style and meaning from Mycenae to Constantinopolis, Louvain – La-Neuve, pp. 211-214.

**Miranda Turmanidze**

*(Batumi, Georgia)*

### **Amber Beads of the Antique Period From the South-Western Sites of Georgia**

#### Summary


In the Greek and Colchian cemeteries of the 5<sup>th</sup> c.BC in Pichvnari have been found 6 types of amber beads and 3 variations of amber pendants. Some of them (those ones of square and rectangular shapes) have the exact analogues among the grave goods of the 7-6<sup>th</sup> cc. BC.

Amber as raw material was imported to Colchis and processed in the local workshops. Half-finished amber goods found in Mukhurchi workshop are one of the evidence to such activity.

Beads discovered in the Greek necropolis of the 5<sup>th</sup> c.BC were most likely imported to Colchis owing to the fact, that they have no parallels among objects have been studied .

In the Hellenistic period in south-western Georgia, like in the whole Classical world, amber beads practically faded out. Finds of such kind beads on a mass scale.

ტაბ. 1



## როგაული საყარო და ახალბერიზაციის პროცესები სამხრეთ-აღმოსავლეთ ზავილვისპირეთში გონიო-აფსაროსის მაგალითზე

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რეგიონი უძველესი პერიოდიდან წარმოადგენდა აზიური და ევროპული ცივილიზაციების შეხვედრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რგოლს. ჯერ კიდევ ძვ.წ II საუკუნის დამდეგიდან დაწყებული რომის აღმოსავლურმა ექსპანსიამ, რომელიც ძვ.წ. 60-იან წლებში პონტოს სამეფოს განადგურებით დამთავრდა, მსოფლიოს პოლიტიკური რუკა ხმელთაშუაზღვისპირული იმპერიის სასარგებლოდ შეცვალა. თავდაპირველად აფგუსტუსის (ძვ.წ. 30 - ახ.წ. 14 წწ) ფრთხილი საგარეო პოლიტიკური დოქტრინის შესაბამისად, ახლად დაპყრობილ ტერიტორიებს ძირითადად კლიენტელური (ვასალური) სახელმწიფოების მეშვეობით აკონტროლებდნენ, მაგრამ ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრიდან, იმპერატორ ნერონის (54-68) აქტიური აღმოსავლური ექსპანსიის შედეგად, ეს სისტემა მოიშალა. ახ.წ. 63 წელს გაუქმდა პოლემონების სახელმწიფო და პონტო კოლხეთთან ერთად რომის იმპერიის უშუალო დაქვემდებარებაში შევიდა. ბუნებრივია, ამ ვრცელი რეგიონის უკეთ მართვისათვის დღის წესრიგში საყრდენი პუნქტების შექმნის აუცილებლობა დადგა სწორედ ამისათვის ახ.წ. I საუკუნის ბოლოდან რომაელებმა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში შექმნეს ერთიანი თავდაცვითი სისტემის ხაზი – ე.წ. „პონტოს ღიმილი“, რომელსაც კავკასიის საზღვარს თუ პონტო-კავკასიის სასაზღვრო ხაზს უწოდებენ. მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რგოლს, ფაზისთან, დიოსკურიასა და პიტუნტთან ერთად, გონიო-აფსაროსი წარმოადგენდა.

თავისი ხელსაყრელი ადგილმდებარეობიდან გამომდინარე აფსაროსის ციხე და მისი შემოგარენი ანტიკურ-ქართული ურთიერთობების კვლევისათვის განსაკუთრებით საინტერესოა. აქ წლების მანძილზე წარმოებული გათხრების შედეგად მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ როგორც ციხის ისე მის გარე ტერიტორიაზე რომაელთა ყოფნით გამოწვეულ უმთავრეს შედეგებზე, განსაკუთრებით კი აკულტურისაციის ფორმებსა და გზებზე. მკვლევართა დიდ ინტერესს წარმოადგენდა ადგილობრივი მოსახლეობის, რომლებმაც ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ შეითვისა ირანული და ბერძნული სიახლეები, დამოკიდებულების შესწავლა



რომაელი სამხედროებისადმი. ასევე დასახლების მოცულობა, არქიტექტურა, ნაგებობათა ფორმები, სამშენებლო მასალა, მდებარეობა, მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივი მოსახლეობის დასახლების თავდაპირველი საზღვრების დადგენა, რათა შეეძლოთ გააზრება რომაული ოკუპაციის შემდგომი ცვლილებებისა. მნიშვნელოვანია ასევე ციხესიმაგრის შემოგარენის დასახლებათა შედარება რომაულ ნაგებობებთან, რათა შეეძლოთ გამოყოფა არქიტექტურის საერთო და განმასხვავებელი ელემენტებისა. პარალელურად მიმდინარეობდა რომაული კერამიკის, მინის ნაწარმის, ლითონის ნაკეთობათა და მათი ადგილობრივი მინაბადების, მონეტების და სხვათა შესწავლა, რითაც შესაძლებელია დადგინდეს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსა და პინტერლანდში (რაიონი, რომელიც ეკვრის სამრეწველო, სავაჭრო ცენტრს, ნავსადგურს და.ა.შ) (ჭოროხის აუზის ქვემო წელი და აჭარისწყლის ხეობა თავისი შენაკადებით) აკულტურიზაციის ხარისხი.

ასევე ძალზე საინტერესოა იმის დადგენა ვრცელდებოდა თუ არა რომაელთა პოლიტიკური ძალაუფლება აფსაროსის გარეთ და ახდენდა თუ არა უცხოური ელემენტების არსებობა რეგიონის კულტურულ „ანექსიას“, შენარჩუნებულ იქნა თუ არა საზოგადოებრივი ცხოვრების, მმართველობისა და ინფრასტრუქტურის დარგები; მოხდა მოდიფიცირება თუ გაუქმება; ეწინააღმდეგებოდა ადგილობრივი მოსახლეობა ახალ ურთიერთობებს თუ პირიქით და. ა. შ.

რომაულ და ბიზანტიურ წყაროებში არაერთგზის მოხსენებულმა ციხემ ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან წლებიდან მიიქცია მეცნიერთა ყურადღება. ჰენრიხ შლიმანი, ნიკო მარი და თევდორე უსპენსკი აღნიშნავენ აფსაროსის არქეოლოგიური შესწავლის მნიშვნელობას მეცნიერებისათვის, მიუხედავად დიდი მცდელობისა მაშინ გონიოში არქეოლოგიური სამუშაოები ვერ განხორციელდა. სახელმწიფო საზღვართან სიახლოვისა და საბჭოთა გარნიზონების დგომის გამო არც XX საუკუნეში მიეცათ მეცნიერებს აფსაროსის საფუძვლიანი შესწავლის საშუალება.

ციხის დაარსებასთან დაკავშირებული ახ.წ. I საუკუნის შუახანების და განსაკუთრებით მეორე ნახევრის გამოკვეთილი კულტურული ფენები კვლევის ამ ეტაპზე აღმოჩენილია ციხის როგორც შიდა, ისე გარე ტერიტორიაზე.

საფორტიფიკაციო ნაგებობის სამხრეთ კედელთან (შტ-IX სექტორი) შესწავლილ ავზებსა და კედლის ზღუდის მონაკვეთს შორის არსებული კულტურული ფენა ზოგადად ახ.წ. I-II საუკუნეებით თარიღდება. ნაპოვნი მასალა (ამფორები, მინის ნაწარმი) შედარებით ზუსტად განსაზღვრავს ფენის ქვედა თარიღს – ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევარი. აქვე გამოვლენილი 1 წყლის ავზიც, რომელიც მონეტის მიხედვით ახ.წ. I საუკუნით თარიღდება (ვ.ჯაფ. გონიო – 3).

კვლევის ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ციხის ცენტრალურ მონაკვეთში ( ჭ-1 სექტორი) გამოვლენილი არქიტექტურული კომპლექსი – პრინციპია. მის 2 და 3 სათავსების იატაკების პრეპარაციისას აღმოჩნდა: ქვაბქოთნის ფრაგმენტები, რელიეფურყურიანი წითელლაკიანი ჯამები ("ასტერნ შიგილატა"), იმპერატორ ნერონის სახელით (54-68 წ.წ) და ახ.წ. I ს მეორე ნახევარში სირია ანტიოქიაში მოჭრილი მონეტები. დაწვრილებით ანგარიშებიდან აშკარაა, რომ ნაგებობა ახ.წ. I საუკუნის შუა ხანიდან იწყებს ფუნქციონირებას.

სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში, გალავნის კედლის გარეთ და შიგნით, ციხის ცენტრალური შემოსასვლელის მარცხენა მხარეს, მე-4 კოშკის მიმდებარე ფართობზე, თუ ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი შენობა-ნაგებობების ნაშთების მიხედვით ჩანს, რომ რომაელუბამდე ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელ ნაგებობათა უმეტესობა ხისაა და ორფერდა სახურავიანია. საძირკვლების გამართვისათვის წინასწარ ამზადებდნენ სამშენებლო დონეს. ზედ ალაგებდნენ საშუალო თუ მოზრდილი ზომის ქვების მთელ რიგ წყობას. ზოგან შემორჩენილია ერთი რიგი, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც შედარებით დიდი ზომის ქვების ორი რიგია დაცული. საპირე ქვებად ხშირად სწორზედაპირიანი ნიმუშებია გამოყენებული. შიდა სივრცე შევსილია შედარებით მომცრო ქვებისა და ტალახის ნარევით. ამ ტიპის ნაგებობათა საძირკვლების მაქსიმალური სიმაღლე 40-50 სმ-ს აღწევს, სიგანე კი საშუალოდ 70-80 სმ-ია. საძირკვლების წყობებში პროპორციულად, მთელს სივრცეზე ჩამაგრებულია ხის ბოძებისათვის განკუთვნილი ბაზები. მათი ზომები საშუალოდ 52×46 სმ-ია. ცენტრალურ ნაწილში დატანილია წრიული ფორმის ფოსოები, რომელთა სიღრმე 5-7 სმ-ია. დანახშირებული მასის, რკინისა თუ აქა-იქ ბრინჯაოს ლურსმნების სიმრავლე მიუთითებს, რომ ნაგებობების გვერდითი კედლები ხითაა შეჭედილი, ხოლო შიდა სივრცე შევსილია შედარებით მცირე ზომის ქვების ნაყართა და ტალახის ნარევით. რაც შეეხება მზიდი კედლების შიდა და გარე ზედაპირს, ის დაფარულია ბათქაშით. ორფერდა სახურავიანი ნაგებობები გადახურული უნდა ყოფილიყო სოლენის ტიპის კრამიტით. ისინი დიდი რაოდენობითაა ნაპოვნი ჩამოწოლილ მასაში, თუმცა თითო-ოროლა დარიანი კრამიტის ნატეხებიც გვხვდება.

რაც შეეხება იატაკს, ისიც საკმაოდ საინტერესოაა გამართული. ძირი მოზინულია 15-20 სმ სისქის ქვიშის ფენით. ზედაპირი კი დაფარულია 5-7 სმ სისქის თიხატკეპნილით. იატაკის დონეზე გვხვდება კრამიტის, აგურის თუ სხვა კერამიკული მასალის ნამტვრევებისაგან სავალი ნაწილის დაფარვის შემთხვევებიც.

ძველზე არქეოლოგიური გათხრების მიხედვით შესანიშნავად ჩანს, რომ რომაელებს ციხის გალავნის კედლების საძირკვლების მშენებლობის დროს ჩაუჭრიათ ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი ნაგებობები. მათი დიდი ნაწილი კასტელუმის კედლებს გარეთ მოექცა, ნაწილი კი შიგნით.

კედლების გარეთ მოქცეულ ნაგებობათა ტერიტორიაზე მომდევნო ეპოქებში რომაელები ყოველგვარ სამშენებლო საქმიანობას წყვეტენ, შიგნით კი ზედაპირის მოსწორებისა და ახალი სამშენებლო დონის მომზადების შემდეგ აგრძელებენ ახალ ნაგებობათა აღმართვას. ასე, რომ ციხის შიგა ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კი გალავნის კედლებთან სიახლოვეს, საშუალება გვეძლევა დავაკვირდეთ ერთსა და იგივე ტერიტორიაზე რომაელებამდელი და რომაელების აქ ყოფნის პერიოდში აღმართულ შენობა-ნაგებობათა არქიტექტურას, იმ სიახლეებსა თუ განსხვავებებს, რაც მათი აქ მოსვლის შემდეგ ხდება თუ მკვიდრდება. ციხის შიგნით თუ ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ტრადიციულ რომაულ ნაგებობებში ადგილობრივ გეოკლიმატურ პირობებს მორგებული არქიტექტურული ელემენტების გამოყენებაც ხდება. თუმცა, ადგილი აქვს პირუკუ მოვლენებსაც. ადგილობრივი მოსახლეობაც იღებს ზოგიერთ იმ სიახლეებს, რაც უმთავრესად ნაგებობათა შიდა სივრცის, იატაკის თუ ეზოების კეთილმოწყობასთანაა დაკავშირებული.

საერთოდ რომაული სამშენებლო ხელოვნება ადგილობრივისგან მრავალმხრივ განსხვავდება. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს პრეტორიუმის, ყაზარმის, საყარაულო პოსტის, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების, თერმების თუ სხვა ნაგებობათა ნაშთების მიხედვით. რომაელთა მიერ აგებული შენობა-ნაგებობები მოცულობით დიდი და მონუმენტურია. მათთვის ძირითადად დამახასიათებელი საკმაოდ ფართე და მიწაში ღრმად ჩაშვებული საძირკვლები. ისინი მოზრდილი ქვათლილებისგანაა ამოყვანილი. ზოგიერთის სიგრძე 1,5 მ-ია. მათზე გამავალი ქვის წყობის როგორც გარე, ისე შიდა ზედაპირი თიხის ხსნარითაა შელესილი.

გადასახურ მასალად ძირითადად, გვხვდება სოლენის ტიპის კრამიტი, თუმცა შედარებით მოგვიანო პერიოდის ნაგებობებში, როგორც ადგილობრივში ისე რომაულში, მატულობს ღარიანი ტიპის კრამიტის გამოყენების შემთხვევებიც. საკუთრივ შენობის შიგნით გვხვდება სამზარეულო და სასადილო ოთახები, ღარიანი კრამიტით გამართული კოლექტორები, გათბობის სისტემები. ზოგჯერ გამტის-რავი შიდა კედლები სოლენის ტიპის კრამიტების წყობითაა ნაშენები. გვხვდება ჰიდრავლიკურხსნარიანი, მოკირწყლული, კერამიკული ფილებით თუ აგურით გამართული იატაკი და ა.შ. განათხარი მასალების მიხედვით ჩანს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა რომაელები-

საგან უკვე ითვისებს იატაკის მოკირწყელის თუ ჰიდრაულიკური ხსნარით გამართვის ტექნიკას. გვხვდება ძველი ტრადიციული ფორმების – ქვიშისა თუ ქვის ყრილზე ზემოდან 5-10 სმ სისქის თიხატკეპნილით დაფარვის შემთხვევებიც.

დღემდე შესწავლილ ნაგებობათაგან გონიო-აფსაროსში რომაული სამშენებლო ხელოვნების ყველაზე კარგ ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოდ სამხრეთ კარიბჭის წინ აღმოჩენილი მონუმენტური ნაგებობის ნაშთები, რომელიც გარნიზონის ყაზარმადაა მიჩნეული. შეიძლება სხვა პარალელების მოტანაც, მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ ახ.წ. დასაწყისიდან გონიო-აფსაროსის ციხის შიგნით არსებული ნაგებობების უმრავლესობა უკვე რომაული სტილით შენდება. თუმცა, ხშირ შემთხვევაში ადგილობრივი მოსახლეობისგან იღებენ იმ ელემენტებს, რაც ადგილობრივ მოსახლეობაში საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრდა და პრაქტიკული თვალსაზრისით მისაღები დარჩა.

სრულიად განსხვავებულია და საერთაშორისო სტანდარტების დონეზეა გამართული რომაული წყალგაყვანილობისა და საკანალიზაციო სისტემა, რომელიც ციხის მშენებლობის საერთო დაგეგმარებაში ზის. (ტაბ. – 6) სასმელ წყლად გამოყენებით ციხის სამხრეთით გამომდინარე მსხვილი დებეტის მქონე შესანიშნავი წყარო. პირველ რიგში აუცილებელია ზომის აუზი, რომლის საფასადო ნაწილი გათლილი ქვებითაა მოპირკეთებული, ხოლო შიგა სივრცე დულაბითაა შელესილი. ამ პერიოდის მსგავსი წყალსაცავი მეორე არცაა ცნობილი საქართველოში. სათავე ნაგებობიდან გაუყვანიათ მსხვილი მილების სამი რიგი, რომელიც შედიოდა ციხის სამხრეთი კარიბჭის ტერიტორიაზე. წყლის მილებით დატოტვილი ჩანს როგორც შიდაციხის, ისე გარე ქალაქის ტერიტორია.

აღსანიშნავია ისიც, რომ წყალმომარაგების სისტემები შესანიშნავად, პირვანდელ მდგომარეობაშია შემონახული. ამ მიმართებით შეიძლება ითქვას ანალოგი არ მოეძებნება საქართველოში. საერთოდ, აფსაროსის წყალმომარაგების სისტემები ეხმაურება ანტიკური სამყაროს რიგ მსხვილ ცენტრებს. თანადროული წყალმომარაგების სისტემების ნაშთები აღმოჩენილია ჩვენს რეგიონის სიახლოვეს მდებარე ჩრდილოეთ და დასავლეთ შავიზღვისპირეთის ძველებზეც: ოლბიაში, ქერსონესში, ხარაკსში, პანტიკაპონში, მირმეკიონში, ნოვაში და ა. შ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რომაელები ადგილობრივი მოსახლეობის მსგავსად იყენებენ არტეზიულ ჭებსაც (მიწისქვეშა წყლები, რომლებიც მოქცეულია სხვადასხვა სიღრმეზე, განიცდის ბუნებრივ წნევას და ჭაბურღილის გახსნისას ამოდის მიწის ზედაპირზე, შადრევნის სახით).

აფსაროსის მაგალითი მნიშვნელოვან კონტრასტს ქმნის რეგიონის მეორე ანტიკურ ძეგლთან, ფიჭვნართან მიმართებაში. ცნობილია,

რომ აქ ადგილობრივი მოსახლეობა და ბერძენი კოლონისტები საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობაში იყვნენ. საერთოდ, რომაელთა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის „გულცივი“ დამოკიდებულება იმპერიის სხვა განაპირა რეგიონებშიც შეინიშნება. მაგალითად, მცირეაზიელები, იმპერიის სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, რომაული ბატონობის დასასრულამდე ბერძნულ დამწერლობას იყენებდნენ, წარმართული კულტის აღსრულებისას, ძირითადად, ღვთაებების ელინურ სახელებს ინარჩუნებდნენ, და სხვ.

ბუნებრივია, ამ თავისებურებას სხვადასხვა მიზეზები გააჩნდა. თუმცა, ჩვენ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საკუთრივ რომაული სახელმწიფოს, მისი კულტურის სპეციფიკის ხაზგასმა. ბერძნული ცივილიზაციისგან განსხვავებით, ის უფრო მილიტარისტული, სამხედრო-სტრატეგიულ მიზნებზე ორიენტირებული იყო, რაც უკვე სხვა, ღრმა კვლევის საგანია.

#### **გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:**

**კახიძე, 2002:** – კახიძე ა., მამულაძე შ., ებრაელიძე ტ., 2000 წელს გონიო-აფსაროსის ციხის სამხრეთი კარიბჭის გარეთ წარმოებული არქეოლოგიური კვლევა ძიების ანგარიში, – გონიო-აფსაროსი III, თბილისი.

**კახიძე, 2004:** – კახიძე ა., მამულაძე შ., სამხრეთ კარიბჭისა და აბანო-თუბნის ტერიტორიაზე 1995-1999 წლებში წარმოებული კვლევა ძიების უმთავრესი შედეგები, – გონიო-აფსაროსი IV ბათუმის.

**ხალვაში, 2002:** – ხალვაში მ., გონიო-აფსაროსის შიდა ციხის ცენტრალური ნაწილის არქეოლოგიური გათხრების შედეგები, – გონიო-აფსაროსი III, თბილისი.

**ხახუტაიშვილი, 1996:** – ხახუტაიშვილი დ., კახიძე ა., მამულაძე შ., ინაი-შვილი ნ., ჯაფარიძე ვ., აფხაზავა ნ., ნონეშვილი ა., ხალვაში მ., – გონიო-აფსაროსის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის 1996 წლის კვლევადიების შედეგები, ბათუმის (ხელნაწერი).

**ვარშალომიძე, 2004:** – ვარშალომიძე ი., სამხრეთ კარიბჭესთან აღმოჩენილი მონეტები, – გონიო-აფსაროსი IV, ბათუმის.

**ხალვაში, 2002:** – ხალვაში მ., კერამიკული ტარა გონიო-აფსაროსიდან, – გონიო-აფსაროსი, II ბათუმის.

**პლონტკე-ლიუნინგი, 2002:** – პლონტკე-ლიუნინგი ა., ჰელმუტი ნ., გაიერი ა., გონიო-აფსაროსის გერმანულ-ქართული ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიცია.

**კახიძე, 2002:** – კახიძე ე., რომის იმპერია და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი-ზღვისპირეთი ახ.წ. I-V სს, თბილისი.

**შალიკაძე, 2004:** – შალიკაძე თ., გვიანანტიკური და ადრეშუასაუკუნეების მინის ნაწარმი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შავი ზღვისპირეთიდან, ბათუმი.

**კახიძე, 2007:** – კახიძე ა., ანტიკური სამყარო და აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთი, ფიჭვნარი II, ბათუმი/ოქსფორდი.

**მამულაძე, 2005:** – მამულაძე შ., ებრაელი ტ., ჭრაქები გონი-აფსაროსიდან, ბსუ-ს შრომები. VIII, ბათუმი.

, **1981:** – . . .  
IV - V . - ., 168, .  
, **1963:** – . . . II ., . . .  
, 95, .

**Braun, 1994:** – Braun D. Georgia in Antiquity, Oxford.

**Robinson, 1961:** – Robinson H.S., Pottery of the Romans Period, The Athenian Agora VII, Princeton (New-Jersey),

**Walters, 1914:** – Walters H.S. Catalogue of the Greek and Roman Lamps in the British Museum, Oxford.

**Sulkhan Mamuladze, Kakhaber Kamadadze**  
(Batumi, Georgia)

### **Roman World and Acculturation Processes in South-East Black Sea in Gonio Apsarus Example**

#### Summary

The paper deals with the Roman world, the influence of the results of the Eastern Black Sea, Gonio Apsarus example, the determination of which not only the architecture of the common and distinctive elements, but also the Roman ceramics, glass products, steel products and their local imitations, coins and others based on the study. This makes it possible to determine the south-eastern Black Sea and the hinterland (the lower basin of the year and its tributaries in the valley Adjaristskali) acculturation quality.

## ქვის ხანის საბრძოლო და სამეურნეო დანიშნულების იარაღები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან

არქეოლოგიური კვლევა-ძიებების შედეგად დგინდება, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო უძველეს დროში საკმაოდ ათვისებულ რეგიონს წარმოადგენდა. პირველყოფილი ადამიანის ნაშთები აქ ჯერ კიდევ ქვედა პალეოლითიდან გვაქვს – კურორტ ბეშუმში *[გრიგოლია, 2008]* და სოფ. ხვარბეთში *[ვაშაკიძე, 1971]*. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კოლექცია საკმაოდ მცირერიცხოვანია და შედგება იარაღ-ანატაკეცების რამდენიმე ეგზემპლარისაგან. უფრო მეტიც, მონაპოვრები შემთხვევითი გზითაა აღმოჩენილი და ჯერჯერობით არ დასტურდება კულტურული ფენების არსებობა. ჩვენი აზრით, მეტად პერსპექტიულია ამ კუთხით სამომავლოდ ჩვენი მუშაობა, რაც სპეციალისტებთან ერთად სადაზვერვო არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარებას გულისხმობს. ამ მხრივ ჩვენ აქტიური კონტაქტები გვაქვს როგორც ქართველ, ისე უცხოელ კოლეგებთან, და ვფიქრობთ, რომ უახლოეს დროში შესაძლებელი გახდება ჩვენი მიზნის განხორციელება.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორია შედარებით კარგად არის წარმოდგენილი ქვის ხანის შემდგომი პერიოდებით: მეზოლით-ნეოლითი (სოფ. ქობულეთი, ხუცუბანი, კვირიკე, ჯიხანჯური *[გლოტიძე, 1978; მისივე, 2008]*, ანასუელი I და ანასუელი II, გურიანთა მამათი *[ნებიერიძე, 1972]* და სხვ.). არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად მოპოვებულია მრავალრიცხოვანი ლითოლოგიური მასალა, სადაც წარმოდგენილია იარაღთა სხვადასხვა კატეგორიები. ამჯერად წარმოგიდგინებთ ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმის და ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდებში დაცულ ქვის ხანის კოლექციებზე. იარაღთა რაოდენობა საკმაოდ დიდია, რაც, აიხსნება იმდროინდელი მონადირე-შემგროვებლის თუ შემდგომში მესაქონლე-მწარმოებელი ადამიანის საცხოვრებელ და სამეურნეო ყოფით.

ქვის ხანის საბრძოლო და სამეურნეო სახის იარაღები ძირითადად რიყის ქვაზე ან კაჟზეა დამზადებული. ჩვენს მიერ შესწავლილ კოლექციებში განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია რიყის ქვისაგან დამზადებული იარაღები – ცულები, სათლელეები, ხელჩაქუჩები, ხელსაფქვავეები,

თოხისებრი იარაღები, საწაფები, შურდულის ქვები და სხვ. ჩვენი შესწავლის ერთ-ერთი ობიექტი ქვის ცულები იყო, რომელსაც ცალკე პუბლიკაციაში მივუძღვევით *[ჩხატარაშვილი, 2011]*. ქვის ცულების რაოდენობა საკმაოდ მრავალრიცხოვანია, თუმცა, შესაძლებელი ხდება მათგან განსაკუთრებული ეგზემპლარების გამოყოფაც. კერძოდ, ესაა: მთლიანად გაპრიალებული ქვის ცული, რომელიც 2012 წ. შემთხვევით იქნა აღმოჩენილი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ჯვარცხმაში *[ჩხატარაშვილი, 2013: 5]*. იარაღის სიგრძე – 17,5 სმ-ია, სიგანე 4,5-7 სმ შორის მერყეობს. იგი მოგრძო სოლისებური ფორმისაა, ყუის მხარეს თანდათანობით ვიწროვდება. აქვს ოვალური და ფართო სამუშაო პირი. დასავლეთ საქართველოს ახალი ქვის ხანის თითქმის ყველა არქეოლოგიურ ძეგლზე (მახვილაური, ანასეული I, ანასეული II, გურიანთა, მამათი, ოდიში, ღუმურიში, ჩხორთოლი, ხევი, პალური და სხვა.) ვხედავთ ქვის მსგავს ცულებს, რომელიც უნივერსალურ იარაღად ითვლებოდა იმ დროინდელი ადამიანისთვის. აღსანიშნავია, რომ ჯვარცხმაში აღმოჩენილ ცულს მთლიანად გაპრიალების თვალსაზრისით ანალოგი არ გააჩნია. იგი შეიძლება ითქვას, რომ „უველურ ნაწარმს“ წარმოადგენს.

ცნობილია, რომ ახალი ქვის ხანის ახალ და უმნიშვნელოვანეს პროგრესს ქვის იარაღთა დამზადებაში გაპრიალების ტექნიკა წარმოადგენს და ამიტომაც ხშირად ამ პერიოდს სამართლიანად უწოდებენ „გაპრიალებულ ქვის პერიოდს“ *[გოგიტიძე, 1978: 80]*. აღიარებულია, რომ გაპრიალებული ცული ხეს კი არ ხლენდა, ჩეხდა ან ფლეთდა, არამედ ჭრიდა. ყოველივე ეს ზრდიდა შრომის ნაყოფიერებას, რაც დიდ როლს თამაშობდა „დამჯდარ“ მეურნეობაზე მცხოვრებთა საქმეში.

ქვის სამეურნეო იარაღთაგან ერთ-ერთი განსაკუთრებულია ბაზალტის ქვაზე დამზადებული თოხისებრი იარაღი, რომელიც ანატკეცხეა შექმნილი. იარაღის ორივე სიბრტყე ამობურცულია, ყუის მხარეს ორივე გვერდზე აქვს ღრმა ამონადარი. ყუას ოვალური გვერდი აქვს. სამუშაო პირი ოვალურია, რომელსაც ეტყობა ხმარების კვალი. იარაღის სიგრძე 10 სმ-ია *[ჩხატარაშვილი, 2013: 6]*.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტიპის იარაღის აღმოჩენა საკმაოდ იშვიათია და ჯერჯერობით მხოლოდ მახვილაურის ახალი ქვის ხანის ნამოსახლარზე გვაქვს მსგავსი ტიპის *[გოგიტიძე, 1978]*. მკვლევართა უმეტესობა მსგავს იარაღებს ე.წ. „სოჭი-ადღერის“ ტიპის თოხებად მიიჩნევს, რომელიც ეპოქალურად რამდენიმე ათასი წლით უფრო გვიანდელია, ვიდრე ახალი ქვის ხანის ძეგლებზე დადასტურებული ეს იარაღები. თუმცა, ეს უკვე ცალკე კვლევის და შესწავლის საგანია, რომელსაც



ეფიქრობთ, რომ მომავალში მკვლევართა და სპეციალისტთა ყურადღება უნდა მიექცეს.

ჩვენს მიერ შესწავლილი კოლექციებიდან შეიძლება გამოვყოთ: ქვის სათლევები, შურდულის ქვები, ქვის სალესები, ქვის საწაფები და სხვ. რაც შეეხება საბრძოლო იარაღებს, მათი რაოდენობა ძალიან მცირეა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ქვის ხანის ძეგლებზე იშვიათად, მაგრამ გვხვდება კაჟის ისრისპირები თუ შუბისპირის ფრაგმენტები, მრავლადაა გეომეტრიული მიკროლითები, რომელიც ჩასართებად გამოიყენებოდა. კაჟის კოლექციაში გვხვდება სხვადასხვა ზომისა და ფორმის დანები, დაკბილული იარაღები და სხვ., რომელთა გამოყენება შეიძლებოდა როგორც სამეურნეო, ისე საბრძოლო დანიშნულების მხრივ.

ქუქუანას მღვიმის ფინალური ზედა პალეოლითის ფენაში მკვლევარ-პალინოლოგებმა (ე.ყვავაძე, ი. მარტყოფლიშვილი) დაადასტურეს სისხლდენის საწინააღმდეგო და ძვლის მოტეხილობის საწინააღმდეგო სამეურნეო მცენარეების ნაშთები (ფიჭვი–Pinus, არყი–Betula, მოცვი–Vaccinium, ეფედრა–Ephedra, ავშანი–Artemisia, ფარსმანდუკი–Achillea, ხვართქლა–Convolvulus, სამეურა–Trifolium, ჭინჭარი–Urtica, მატიტელა–Polygonum, მრავალძარღვა–Plantago m/m, ცაცხვი–Tilia და შქარა–Symphytum asperum), რომელიც დღესაც კი გამოიყენება ხალხურ მედიცინაში. [მარტყოფლიშვილი., 2012: 4]. ამით იმის ხაზგასმა გვინდა, რომ უძველესი ადამიანი თავისი მძიმე ცხოვრების წესიდან გამომდინარე დიდ ყურადღებას აქცევდა როგორც სამეურნეო, ისე საბრძოლო იარაღებს, რაც არქეოლოგიური გათხრების შედეგად დასტურდება კიდევ.

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

**გოგიტიძე, 1978:** – გოგიტიძე ს., სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა, ბათუმი.

**გოგიტიძე, 2008:** – გოგიტიძე ს., კინტრიშის ხეობის ქვის ხანის არქეოლოგიური ძეგლები (ქობულეთის ადრენეოლითური ნამოსახლარი), ბათუმი.

**გრიგოლია, 2007:** – გრიგოლია გ., ქვედა პალეოლითური ძეგლი აჭარის მაღალმთიანეთში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა I, ბათუმი, გვ. 105-112.

**ვაშაკიძე, 1971:** – ვაშაკიძე ნ., გურიანთის ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები, სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ძეგლები, 2, გვ. 5-27

**ნებიერიძე, 1972:** – ნებიერიძე ლ., დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბ.,  
**ჩხატარაშვილი, 2011:** – ჩხატარაშვილი გ., ქვის ხანის გაპრიალებული ცუ-  
ლები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან (გურიანთა), ჟურნ. „ჭოროხი“, # 2,  
გვ. 76-81

**ჩხატარაშვილი, 2013:** – ჩხატარაშვილი გ., ახალი არქეოლოგიური აღმოჩე-  
ნები ჩოხატაურის მუნიციპალიტეტ სოფ. ჯვარცხმიდან, თბ., გვ. 5-7

**მარტყოფლიშვილი, 2012:** – მარტყოფლიშვილი ი., ყვავაძე ე., მეშველიანი  
თ., ჯაყელი ნ., ძუძუნას გამოქვაბულის ფენებში აღმოჩენილი ზოგიერთი  
სამკურნალო მცენარის მტვრის მარცვლები, საქართველოს ეროვნული მუზეუმის  
მაცნე, საბუნებისმეტყველო და პრეისტორიული სექცია, № 4, 2-11

### **ტაბულების აღწერილობა:**

#### **ტაბ. I**




1 – ქვის მთლიანად გაპრიალებული ცული; 2 – თოხისებრი იარაღი; 3-4  
სათლელი (ყველა სოფ. ჯვარცხმა); 5 – ქვის ცულების და სხვა სამკურნეო  
იარაღების რეკონსტრუქცია


#### **ტაბ. II**

1 – შურდულის ქვები (სოფ. ჯვარცხმა); 2-4 კაუის ისრისპირები (ანასეული  
I); 5 – ისრისპირის ან შუბისპირის ფრაგმენტი (სოფ. ჯიხანჯური)



#### **ტაბ. III**

1-3 კაუის ისრისპირები; 4-12 კაუის გეომეტრიული მიკროლითები  
(მახვილაური); 13 – მიკროლითების გამოყენება ჩასართებად, რეკონსტრუქცია







1



5



**Guram Chkhatarashvili**  
*(Batumi, Georgia)*

**Stone Age Weapons and Agricultural Tools from South-western Georgia**

Summary

In this paper we discuss some Agricultural tools and Weapons from stone age sites of South-Western Georgia. We present very interesting and important tools, such as: polished axe, hoe-like tools, arrowheads, geometric microliths and other.

ნარგიზ ახვლედიანი  
(ბათუმი, საქართველო)

## ისევ ერთი ტოპონიმისათვის ბათუმის ჟამოგარეში

ყოველი ენობრივი კოლექტივი გარკვეულ ტერიტორიაზე განლაგებული.

ადგილის საკუთარი სახელი, მისი შემქმნელი კოლექტივის ენობრივი მასალიდან აღებული სიტყვაა და ჩვეულებრივ შეიცავს ინფორმაციას სახელდებული ობიექტის შესახებ.

სამხედრო მოგზაური ა. ფრენკელი თავის მოგზაურობის წიგნში, რომელიც 1879 წელს გამოიცა, წერდა: როცა ციხისძირიდან ბათუმისაკენ მიემგზავრებოდა შეისვენა პატარა დასახლების ახლოს, ეს იყო სოფ. მახინჯაური, სადაც იქაურმა პატარა ბიჭმა თავისი ტყავის ჩანთით წყალი, კიტრი და ყურძენი მიუტანა: «  
»,  
» [ფრენკელი, 1879: 37-41]. იმ დროს მახინჯაურში მხოლოდ რამდენიმე სახლი მდგარა. ფრენკელის მონაცემებით, 75 სახლი და 315 მოსახლე ყოფილა. თურქული მონაცემებით კი – 92 სახლი და 182 მოსახლე. ცნობილი ყოფილა აგრეთვე მახინჯაურის გოგირდოვანი წყლებიც, სადაც ბათუმიდან და თურქეთიდან ხალხი ჩამოდიოდა სამკურნალოდ [ფრენკელი, 1879: 44]. ამ ადგილას იყო ჭაობიანი ტყე. გზის ორივე მხარეს, მახინჯაურის სანაპიროზე იყო სიმინდის ყანა, შემოსაზღვრული ფიჩხის ღობით [ფრენკელი, 1879: 38].

მახინჯაური საქვეყნოდ განთქმული კურორტია შავ ზღვაზე ბათუმთან ახლოს. ქართული ტოპონიმის ცნობილი სპეციალისტი, პროფესორი ხ. ჭუმბურიძე შენიშნავს კიდევაც, გასაოცარია, რატომ ჰქვია ამ ლამაზ კურორტს ასეთი უცნაური, შეუფერებელი სახელი, მახინჯაურს ხომ მახინჯთან საერთო არაფერი შეიძლება ჰქონდესო [ჭუმბურიძე, 1982: 2007].

დღემდე სპეციალისტთა მიერ არაერთი ვარაუდი არის გამოთქმული ამ ტოპონიმის ირგვლივ. ადგილობრივ გავრცელებული ხალხური ეტი-

მოლოგიის მიხედვით, ამ ადგილს ძველად მახინჯი-გიაური რქმევი: ოსმალთა ბატონობის დროს აქ ქრისტიან ხალხს იჭერდნენ, სახეზე ნაჭრილობევებით ამახინჯებდნენ, ამიტომაც იმ ადგილისათვის ხალხს მახინჯი-გიაური უწოდებია, საიდანაც მოგვიანებით მახინჯაური წარმომდგარაო, მიიჩნევა ი. სიხარულიძე [*ბედოშვილი, 2002: 251-252*].

მახინჯაურის ეტიმოლოგია დიდი ხანია იპყრობს მკვლევართა ყურადღებას, ამის თაობაზე არსებობს რამდენიმე ხალხური გადმოცემა, თითო-ორთა ცნობა გამოუნახავს ქართულ და რუსულ სამეცნიერო ლიტერატურასაც.

აი რას გვეუბნება ამ სახელწოდების წარმოშობის შესახებ ზეპირ-სიტყვიერი გადმოცემა: ერთი მათგანი გვაუწყებს, რომ თურქმა მოძალადეებმა მეღვინე ვინააღმდეგობისათვის ამ მიწის მკვიდრი ქართველები დასაჯეს დასახინრებით და მათ უწოდეს მახინჯგიაური; უბრალოდ მსგავსებაში ამ სიტყვიდან „გი“ ამოვარდა და დაგვრჩა მახინჯაური.

მეორე გადმოცემა ამბობს, რომ აქ ცხოვრობდა ერთი ბრძენი ადამიანი, სახელად მახინჯი, რომელთანაც რჩევა-დარიგება მისაღებად მახლობელი სოფლებიდანაც მიდიოდნენ თურმე.

**მახინჯაური** – დაბა (ხელვაჩაურის რაიონი). დ. ბაქრაძე თავის მოგზაურობის წიგნში, რომელიც 1878 წ. გამოიცა ერთგან მოისხენიებს ციხისძირსა და მახინჯურს («»), [*ბაქრაძე, 1878: 13*]. ი. სიხარულიძეს „მახინჯაური“ ზანური წარმოშობის ტოპონიმად მიიჩნია და იქვე ასაბუთებს თავის აზრს: „თუ მას მა-აურ პრეფიქს-სუფიქსური წარმოების სახელად ვიცნობთ, მაშინ ფუძედ დაგვრჩებოდა „ხინჯ“-ი. „ხინჯ“-ი კი ქართული „ხიდ“-ის სახენაცვალნი ფორმაა [*სიხარულიძე, 1958: 4*]. გ. ბედოშვილი შენიშნავს, რომ ტოპონიმი „მახინჯაური“ წარმომდგარი ჩანს „ხინჯ“-მეგრული სიტყვისაგან, რაც ქართულად „ხიდს“ „ბოგას“ ნიშნავს. ამ „მახინჯ“ სიტყვას ვხედავთ ტოპონიმებში: „ხინჯიკარი“ და „ჭუბურხინჯი“. პირველი სოფელი იყო სენაკის მაზრაში [*ციციშვილი, 1914: 404*], ხოლო მეორე ამჟამად სოფლისავე სახელად დასტურდება გალის რაიონში [*სგლ, 1987: 133*]. „ხინჯიკარი“ ხიდისკარს ნიშნავს, „ჭუბურხინჯი“ კი – წაბლის ხიდს [*ბედოშვილი, 1998: 3, 43*]. ჩვენი ვარაუდით, ტოპონიმში უნდა გამოიყოს „ხინჯა“, და არა „ხინჯ“-ძირი, რაც ნიშნავს რკინეულობის წიდას, რიოშს [*ჭარაია, 1997: 180*].

XIX საუკუნეში სოფ. ერგეში (ხელვაჩაურის რ-ნი) ფუნქციონირებდა რკინის სადნობი საამქრო, დღეს მისი მხოლოდ ნანგრევებიღაა შემორჩენილი. 2010 წლის ივლის-აგვისტოში ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქეოლოგების მიერ (ისტ. მეცნ. კანდიდატები ნ. სახუტაი-



შვილი, გ.თავამაიშვილი), აღმოჩენილი იქნა დაბა ჩაქეში რკინის სადნობი ქურები. ადგილობრივი მცხოვრებლების გადმოცემით, სამოსახლო ადგილებთან დიდი რაოდენობით წვავდნენ ნახშირს. გოგირდრვანი წყლებიდან, რომელიც დიდი რაოდენობით რკინის შემცველია განსაკუთრებით აღსანიშნავია მახინჯაურის წყალი, რომლის ბაზაზეც ფუნქციონირებს სანატორიუმი. გოგირდშემცველი წყლები ასევე გვხვდება ქ. ქობულეთსა და ს. ჭახათში. თუმცა უფრო სარწმუნოა აზ. ახვლედიანის ვარაუდი, „მახინჯაურის“ ანთროპონიმული სახელისაგან მომდინარეობისა. მით უმეტეს, რომ მსგავსი სახელის არსებობას ქართულ სახელთა ნომენკლატურაში გვიდასტურებს „ქართლის ცხოვრება“. ჟამთააღმწერელი, ლაპარაკობს რა ვინმე ალათეურის შემოსევაზე (XIII ს. II ნახ.) „სამცხის კერძო“, ამბობს: „მოიწვნიეს ქუენა არტაანს... და მუნ დახვდა მურვან გურკელელი, მახუნჯაგის ძე, წინა შემთხვევა ნადირობას მიმავალი, რომელი შეიპყრეს თათართა და კნინდა მოაკუდინეს“. მაშასადამე, სახელი „მახუნჯაგ“ ქართულ საკუთარ სახელთა ნომენკლატურისათვის დამახასიათებელი ყოფილა და იგი იხსენიება ისეთ საისტორიო წყაროებში, როგორიცაა „ქართლის ცხოვრება“ –დასძენს ავტორი.

აქვე შევნიშნავთ, რომ ამავე აზრისაა პოეტი-აკადემიკოსი გ. ლეონიძე, რომელიც ამბობს: „მახინჯაური“ ხალხური ეტიმოლოგიით წარმოსდგება „მახინჯისგან“, ჩვენის ფიქრით, კი საკუთარ სახელისგან „მახუნჯაგ“ [ახვლედიანი, 1971: 82].

ტოპონიმი „მახუნჯურა“ ადგილის სახელია ქედის რ-ნის სოფელ დოლოგანში. აზ. ახვლედიანის ცნობით, მახუნჯურა ადგილის სახელწოდებად გვხვდება დღევანდელ გალის რ-ნშიც. მისივე ცნობით, ამავე ფუძიდან უნდა წარმოდგებოდეს სოფელ მახუნცეთის სახელწოდებაც. ოღონდ იქ „ურ“-ის ნაცვლად „ეთ“ სუფიქსი დაერთო და მივიღეთ: მახუნჯეთი – მახუნცეთი. ამ შემთხვევაშიც („მახუნცეთი“) იგი ანთროპონიმული წარმომავლობის ტოპონიმი შესაძლოა იყოს (შდრ.: მახინჯაური მწარია (ვაჟა).

ძნელია იმის თქმა, თუ რა დროს შეერქვა მახინჯაურს ეს სახელწოდება, ყოველ შემთხვევაში, მისი ტოპონიმიკის, ონომასტიკონისა და მატერიალური კულტურის ზოგიერთი ნაშთის ზერედე შესწავლაც კი გვაფიქრებინებს, რომ იგი (სოფელი, დაბა) უძველესი წარმოშობისაა. ცნობილია, რომ ტოპონიმთა გარკვეული ნაწილი გენეტიკურად ანთროპონიმებთან არის დაკავშირებული (თავის მხრივ ანთროპონიმთა ფუძეებშიც არაა იშვიათი ესა თუ ის ტოპონიმი). ტოპონიმი მახინჯაური ანთროპონიმული წარმოშობისაა და იგი საკუთარი სახელისაგან მომდინა-

რეობს. რაც შეეხება ამ ტოპონიმის ეტიმოლოგიას, შესაძლოა, ეს ზედმეტ-სახელი შერქმეოდა პიროვნებას ძლიერი, მაგარი (რკინისებური) ხასიათის გამო.

საგვარეულო გადმოცემით, ჯვაროსნული ლაშქრობიდან უკან დაბრუნებისას ერთ-ერთ ჯვაროსან მოლაშქრეს, აბჯაროსან ახვლედიანს მოსწონებია ეს ადგილი და დასახლებულა მახინჯაურში. ბუნებრივია, ჯვაროსნული ლაშქრობაში შესაბამისად აღჭურვილ-შეიარაღებუნი, აბჯარასხმული, „აბჯაროსანნი“, ანუ ჯავშნით შემოსილნი დებულობდნენ მონაწილეობას.

„ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს ოკრიბის საერისთავოში „ნეფე ქვაბულიძე“, ფარჯანიანების და ჩიჯავაძენის შესახებ დაცულ ცნობაზე: „...ნეფე ქვაბულიძე სხვა მთავრებთან ერთად... შედგა ქუთაისს შიგა. ნიანია სხვებზე უფროა ქუთაისის დასამხარზე...“ შეიძლება რაღაც პრეტენზიებითაც („ნეფე ქვაბულიძე“). ქვაბულიძე საკმაოდ ძლიერი ფეოდალია [სავარაუდოდ, ქვაბულიძეები გურიელების უწინ ბატონობდნენ ქობულეთში], ნიკო ბერძენიშვილს ფრიად საინტერესოდ ეჩვენება ვანელი მოსუცის გამოთქმა: „იქ თურმე „ნეფე ქვაბულიძე“ ცხოვრობდა, შემდეგ ამ „ნეფე ქვაბულიძეს“ დაესიძენ ახვლედიანებიო“ *[ბერძენიშვილი, 1990: 439]*. აქ საინტერესოა თვით გამოთქმა „ნეფე ქვაბულიძე“, ბუნებრივად გვაგონებდა „მეფეთა ბაღვაშთა“ გამოთქმა ლიპარიტ-რატების შესახებ. ესენიც ხომ დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი სახლი იყო. ამ ქვაბულიძეებმა, ბაღვივაშებმა (და სხვებმა) ხომ არ მიიღეს მეფის სახელწოდება VI-VIII საუკუნეებში, როცა ლაზიკაში „უმეფობა“ იყო *[ბერძენიშვილი, 1990: 530, 535, 651]*

ლენხუმში ბევრი გვარი გვხვდება, რომელთაც არა აქვთ გადმოცემები მოსულობის შესახებ. ამ გვართა რიცხვს მიეკუთვნება ახვლედიანთა გვარიც. სოფელ აღვში (ლენხუმის რ-ნი) ცხოვრობდა თურმე ერთი მოსახლელე მამუკა ახვლედიანი, მას ციხეც ჰქონია, რომლის ნანგრევი ახლაც ჩანს აღვის ძირში. მამუკას აღვის ჭალაში მიწა-წყალი უხვად ჰქონია *[ახვლედიანი, 1971: 87]*. ლენხუმში, კერძოდ, სოფელ ზოგიშის სამხრეთით, მთის წვერზე დგას ახვლედიანების ციხე *[ბერძენიშვილი, 1983:50]*.

აღსანიშნავია სხვა მნიშვნელოვანი ფაქტიც, რომელიც ახვლედიანთა სვანურ წარმომავლობაზე მიუთითებს. ახვლედიანებს ნასპერში ჰქონდათ თავიანთი სალოცავი ქვა, რომელზედაც გიორგობის დღესასწაულზე სანთელს ანთებდნენ. რას წარმოადგენდა ეს ქვა?

ბ. კოვალევსკის სოფელ მესტიაში, არღევან ნაკინის სახლის სარდაფში უჩვენეს საგვარეულო წმინდა სალოცავი ქვა „კა“. ამ ქვებს (წმინდა

ქვებს) ძალიან დიდი დატვირთვა ჰქონდა და ახვლედიანებმაც შეინარჩუნეს ეს მამა-პაპური წესი, მაგრამ ამ ქვამ ქრისტიანობის შემოღებასთან ერთად სხვა დატვირთვაც მიიღო, თუმცა მნიშვნელობა არ დაუკარგავს *[ახვლედიანი, 1971: 97]*.

ახვლედიანთა სვანურ წარმომავლობაზე გვართავს შეიძლება ვიმსჯელოთ – არა მარტო მისი დაბოლოებით, არამედ სხვა ფაქტიდან გამომდინარე. ზეპირი გადმოცემებით, ახვლედიანების ციხეს ლენხუმში, რომლის მხოლოდ ნანგრევებია შემორჩენილი „კახვილდაში“-ი რქმევია. ჩვენ ზემოთ თქმულსაც თუ გავითვალისწინებთ (სვანების წმინდა ქვებთან დამოკიდებულებას), მაშინ ამ გვარში დალექილ ქვასთან დაკავშირებულ ტოპონიმსაც დავინახავთ: **კა-ხ(ვ) –ილდ-აშ-ი**. „კა“ – ქვა, ქვისა, კა (კაშ, კარალ – ფიქალი ქვა; კერია (გადატანითი მნიშვნელობით, რკინის თხელ ფილასაც უწოდებენ *[თოფურია, 2000: 340]*. „ილდ“ – სვანური კნინობითობის მაწარმოებელი სუფიქსია *[თოფურია, 2000: 283]*, რომელიც კოლხური კულტურისათვის არ იყო უცხო (შდრ., ილდ-ამ-უშ-ი – „ოლხეთის სამეფოს“ სახელი), **აშ** ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტია – „ის“. **კახვილდაში** – „ქვისა ხარ“...

500 წლის წინათ ჩამოსულა ალხამუში შავი ზღვის პირას, მოსწონებია აჭარის მიწა და აქ დასახლება განუზრახავს. ზეპირ გადმოცემებს ცოტა დაეჯერება, მაგრამ როცა მემატრიანეს რაიმე ფაქტი გამორჩება, იმას ლეგენდებითა თუ თქმულებებით ავსებენ, გავიხსენოთ თუნდაც ლეგენდა „ოქროს საწმისის“ – შესახებ (მითი თუ რეალობა?!).

დასავლეთ საქართველოში თავადთა შემდეგ გვარებს ვხვდებით: იმერეთის სამეფოში (რაჭა-ლენხუმის ჩათვლით) – აბაშიძე, ახვლედიანი, ყიფიანი, მხეიძე, წერეთელი, ჩხეიძე, ერისთავი (რაჭის და იმერეთის), ლორთქიფანიძე, ნიჟარაძე, ღოღობერიძე, წულუკიძე, იაშვილი, ჯაფარიძე, ინასარიძე, ლაშხიშვილი, მიქელაძე, ჩიჯავაძე, აგიაშვილი, ფინეზისშვილი (აბაშიძეთა შტო), დაბუაშვილი, ანუ გაბუაშვილი (აბაშიძეთა შტო) *[სოსელია, 1966: 46]*. ზემოთ ჩამოთვლილი მონაცემები ეყრდნობა პირველწყაროებს, დოკუმენტურ მასალებს და თავადთა საგვარეულო საბუთებს. მათი უდიდესი ნაწილი გამოქვეყნებულია და ინახება სხვადასხვა არქივსაცავებში *[სოსელია, 1966: 17]*.

ახვლედიანების პირველსაცხოვრისი მახინჯაურში დღესაც შესანიშნავ, შემადღებულ (ფერდობ) ადგილზეა. რამდენიმე ათეული წლის წინ ამ გვარის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, მახინჯაურის მკვიდრმა, ზვიად ახვლედიანმა, როცა ძველი მამა-პაპის ნამოსახლარზე სახლის მშენებლობა დაიწყო. საძირკველის გათხრის დროს, მიწაში უზარმაზარი ქვე-

რები იპოვა. ასეთივე ქვევრები ადრე ნაპოვნი იყო სხვა დანარჩენი ახვლედიანების სამოსახლოშიც, რაც აქ ქრისტიანობის დროიდან მევენახეობის განვითარებაზე მიუთითებდა.

თავადის დამახასიათებელ ატრიბუტს ქონებრივი თვალსაზრისით, ყმა-მამულთან ერთად, ციხე-სიმაგრის ფლობა წარმოადგენდა. ფეოდალურ ეპოქაში ციხეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა [*სოსელია, 1966: 38*]. სტუდენტობის დროს ხარიტონ ახვლედიანმა, საგვარეულო გადმოცემასთან ერთად, მათი ძველი „ჯიხურის“ ადგილ-სამყოფელი იცოდა (სიხარულიძე, იქვე:18). ეს ადგილი დღემდე ცნობილია მახინჯაურელი ახვლედიანებისათვის. „ჯიხური“ მეგრულ-ლაზური წარმოშობის სიტყვაა და სიტყვა-სიტყვით „საციხურს“ ნიშნავს, სადაც ახვლედიანებს რამდენიმე ათეული კაცის შემადგენლობით ჯარი ჰყავდათ, რომელთა ჭამა-სმა და აღჭურვა, ახვლედიანებს ევალებოდათ და საჭიროების შემთხვევაში საბრძოლველად გაჰყავდათ. მახინჯაურში ახვლედიანებს საგვარეულო სასაფლაო აქვთ. იქ დღევანდელი სასაფლაოს მისასვლელში, სამწვერ გზაზე ხუსეინ-აღა ახვლედიანის საფლავი იყო, რომელსაც დიდი სამკუთხედი ქვა ელო, დღეს ის ქვა იქ აღარ არსებობს, გზის გაფართოების გამო აიღეს.

წარჩინებულ საგვარეულოს დიდი თანამდებობა – სარდლობა ეჭირა. XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე იმერეთის სამეფოში ოთხი სასარდლო არსებობდა: რაჭის, არგვეთის, ვაკისა და ოკრიბა-ლენხუმის, ამათგან ოკრიბა-ლენხუმის სასარდლო მოიცავდა ლაშხიშვილების, ინასარიძეებისა და ახვლედიანების სათავადოებს [*სოსელია, 1973: 223*].

თავადებს ეკავათ სამთავროს უმაღლესი საერო და სასულიერო სახელოები (თანამდებობანი): სარდლის, სახლთუხუცესის, მოურავის, მესტუმრეთუხუცესის, ეპისკოპოსის წინამძღვრის... სარდლის ხელის (თანამდებობის) ბოძება აშკარად თავადობაზე მიუთითებდა, სხვა ხელი კი თავადსაც შეიძლებოდა ჰქონოდა და აზნაურსაც [*გურიის ... 1993: 9-11*].

გურიის თავადთა და აზნაურთა 1850 წლის სია, რომელიც ტრაქტატზეა თანდართული სრული არაა, მაგრამ მასში, აჭარაში მცხოვრები რამდენიმე წარჩინებული გვარი გვხვდება. ამ მხარის შემოერთების შემდეგ რუსეთის ხელისუფლების კეთილი ნების გამოხატვის შემთხვევაში იოლი იყო თავად-აზნაურთა პრივილეგიების აღდგენა, თუმცა ხელისუფლების კეთილი ნების გამოხატვის შემთხვევაში იოლი იყო თავად-აზნაურთა პრივილეგიების აღდგენა, თუმცა ხელისუფლება თავს არ იწუხებდა, რადგანაც მას ხელიდან გამოეცლებოდა სახაზინო მიწების დიდი ნაწილი, გარდა ამისა, მაღალი ფენის მრავალ წარმომადგენელს უნდა დანიშნოდა პენსია, რაც უარყოფითად იმოქმედებდა ხაზინაზე,

ამიტომ მეფის მოხელეები ცდილობდნენ სხვადასხვა მიზეზით შეეფერხებინათ წოდებრიობის დადგენა და მოსახლეობის კანონიერი უფლებების აღდგენა. 1850 წელს შედგენილ სიებში არიან შემდეგი გვარები, რომელთა თანამოგვარეებიც ცხოვრობენ ბათუმის ოლქში. თავადები: აბაშიძე, ახვლედიანი, გუგუნავა, თავდგირიძე, ლორთქიფანიძე, მარშანია, მელიქიშვილი, მიქელაძე, ნაკაშიძე, ნიჟარაძე, ფალავანდიშვილი, ფალავა, ყიფიანი, შალიკაშვილი, შერვაშიძე, ჩიჯავაძე, ჩხეიძე, წულუკიძე, ხიმშიაშვილი, ჯაიანი, ჯაფარიძე, ჯაყელი [სურმანიძე, 2007: 30].

საქართველოში გვარებისაგან ნაწარმოები შემდეგი გეოგრაფიული სახელები გვხვდება. ქვემო ქართლში: საბარათიანო, საორბელიანო, საყაფლანიშვილო, საციციანო, საჯავახიშვილო, საამილახერო, სამაჩაბლო. იმერეთში: საჩიჯავაძო, საჩხეიძო, სანიჟარაძო, სამიქელაძო, საწულუკიძო, საჯაფარიძო, საწერეთლო, საყიფიანო, სალაშხიშვილო, საინასარიძო, საახვლედიანო და სხვა. მკვლევარი ი. სიხარულიძე წიგნში „მოგონებები ხარიტონ ახვლედიანზე“ წერდა, რატომ არ დაერქვა მახინჯაურს საახვლედიანო? [შდრ.: იქვე სიხარულიძე, 1974]. ამ კითხვაზე პასუხი შემდეგში მდგომარეობს: მახინჯაური ზანური ანთროპონიმული წარმომავლობის გეოგრაფიული სახელია. ზემოთ ჩვენ გავაანალიზეთ მისი ზანურიდან მომდინარეობა (ხინჯ-რკინა) და აღვნიშნეთ, რომ, შესაძლოა, ეს ტერიტორია ვინმე ძლიერი (რკინისებური) ხასიათის მქონე პიროვნების კუთვნილი ტერიტორია ყოფილიყო, ამ ჩვენს ნააზრევს მხარს უმაგრებს გვარის „ახვლედიანი“-ს ჩვენული ეტიმოლოგიაც, რაც ქვასთან (გადატანითი მნიშვნელობით რკინასთან) დაკავშირებულ ანთროპონიმს წარმოადგენს (კახვილდაშ – „ფიქალი ქვისა“) ახვლედიანების ამაყ, გაუტყეხელ და ვაჟკაცურ ბუნებაზე არაერთხელ თქმულა და დაწერილა ბევრი რამ. რაც შეეხება ტოპონიმ „მახინჯაური“-ს სახელდების მოტივაციას, შესაძლებელია, იგი „საახვლედიანოს“ ზანური ვარიანტი იყოს.

### გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

**ახვლედიანი, 1971:** – ახვლედიანი ა., ორთაბათუმი, ეტიმოლოგიური შენიშვნა, ჟურნალი „ჭოროხი“, 2, ბათუმი.

**ბაქრაძე, 1878:** – ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, რუსულ ენაზე, სანკტ-პეტერბურგი.

**ბელოშვილი, 2002:** – ბელოშვილი გ., ქართულ ტოპონიმთა ეტიმოლოგიურ-განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი.

**ბერძენიშვილი, 1990:** – ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, მე-2 გამოცემა, თბილისი.

**გურიის., 1993:** – გურიის თავადთა და აზნაურთა ოჯახები, ფოტოტიპირი გამოცემა ზურაბ ჭუმბურიძისა და ქველი ჩხატარაიშვილის რედაქციით, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

**თოფურია, 2000:** – თოფურია ვ., ქაღდანი მ., სვანური თბილისი.

**სგლ, 1987:** – საქართველოს გეოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი.

**სიხარულიძე, 1974:** – სიხარულიძე ი., ხარიტონ ახვლედიანი, ბათუმი.

**სიხარულიძე, 1958:** – სიხარულიძე ი., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმთა, წიგნი I, ბათუმი.

**სოსელია, 1966:** – სოსელია ო., ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბილისი.

**სოსელია, 1973:** – სესელია ო., ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, თბილისი.

**სურმანიძე, 2007:** – სურმანიძე რ., აზნაურობა და მათი ოჯახები ბათუმის ოლქში, თბილისი.

**ცხადაია, 1985:** – ცხადაია პ., მთიანი სამეგრელოს ტოპონიმთა, თბილისი.

**ჭარაია, 1997:** – ჭარაია პ., ჭანურ-მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

, 1914: – „

, - .

, 1879: – „ - . ,

,

( , )

„

, « -

. « » ( ) -

« - ». « »,

( ) .

». , « -  
 , « » -  
 « »).  
 .  
 , , ,  
 « » ( . . , -  
 ).

## ფოლკლორული რეალიები ხალხის მისიერებაში

აჭარელთა მუჰაჯირობის ტრაგიკულ ამბებს არაერთი მეცნიერი და მკვლევარი შეხებია და მასთან დაკავშირებული საკითხები მრავლადაა შესწავლილი და გამოქვეყნებული, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მწერლების მიერ. მუჰაჯირთა ცხოვრების მნიშვნელოვანი დეტალები ვრცლად შემოუნახავს აჭარის ხალხურ სიტყვიერებასა და თურქეთში მცხოვრებ „ჩვენებურთა“ მეხსიერებასაც. მუჰაჯირობამ არა მარტო იმდროინდელი საქართველოს სოციალურ – ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ვითარებაზე იქონია გავლენა, არამედ ბევრი საფიქრალ – საზრუნავი დაუტოვა მომავალ თაობებს ქვეყნის საზღვრებს გარეთ გასახლებულ მოძმეთა შთამომავლებში ეროვნული ცნობიერებისა და სამშობლო ქვეყნისადმი სიყვარულის შენარჩუნება – განმტკიცების თვალსაზრისით **[ღიასამიძე, 2016: 354]**.

აჭარის ფოლკლორში შემონახულ ტრაგიკულ ეპიზოდებში მთელი სიცხადითაა წარმოდგენილი იმდროინდელი ყოფის მოვლენები. კერძოდ: მუჰაჯირთა განცდები, მათი სულიერი და მორალური მდგომარეობას და ბოლოს, მოტყუებულთა სულის ტკივილი, რომელიც საუკუნეების მიუხედავად, არც ჩვენებურთა (თურქეთში მცხოვრებ ქართველების) და არც აქაურთა ცნობიერებაში არ წაშლილა, პირიქით, უფრო და უფრო ტკივილიან მოგონებად რჩება.

სამეცნიერო ლიტერატურაში მუჰაჯირობის მთავარ მიზეზად ზოგიერთი ავტორი რელიგიურ ფაქტორს (მუსლიმურ ფანატიზმს) ანიჭებდა უპირატესობას, ზოგიც – სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურს. სინამდვილეში ყველა ფაქტორი ერთად აღებული განაპირობებდა მოსახლეობის მშობლიური ადგილებიდან აყრასა და უცხოეთში ლტოლვას **[კახიძე, 2004: 14]**. იმავეს ადასტურებენ ამ მოვლენის თანამედროვე ს. მესხი და ალ. ფრენკელიც.

ოსმალთა მმართველობიდან ამ კუთხის განთავისუფლების პერიოდში მოსახლეობის ერთი ნაწილი შექმნილი ეკონომიკური პირობებისა და საომარი სიტუაციის გამო ოსმალეთში გაიხიზნა. ამ პერიოდში აჭარელთა ოსმალეთში გახიზვნა „მუჰაჯირობის“ სახელითაა ცნობილი, რაც, რა თქმა უნდა, არაა სწორი გამოთქმა, ვინაიდან სიტყვა „მუჰაჯირი“ ნება-სურვილით გადასახლებულს ნიშნავს, აჭარელებს კი ოსმალთა რუსეთის ჯარის აჭარაში შემოსვლამდე ძალითაც მიერეკებოდნენ **[შველაძე, 2014: 140]**.



ბერლინის ხელშეკრულების გადაწყვეტილებით რუსეთს შემოუერთდა 250 ათასი მოსახლე, ამავე ხელშეკრულებით ბათუმი გამოცხადდა პორტო-ფრანკოდ. იგივე დოკუმენტი აღგენდა აჭარიდან ოსმალეთში მუჰაჯირად წასვლის ვადასაც – 1879 წლის 8 თებერვლიდან 1882 წლის თებერვლამდე *[ახვლედიანი, 1978: 161]*.

მუჰაჯირები – სხვა ქვეყნებიდან ოსმალეთში ნება-სურვილით თუ მოტყუება-ძალდატანებით გადასახლებული პირები და ოჯახები XIX საუკუნის მეორე ნახევარში მიწის მფლობელის თავისებური, შეღავათიანი განრიგით სარგებლობდნენ. პორტას მთავრობის 1856 წლის კანონით მუჰაჯირების დასახლების ახალი პირობები განისაზღვრა *[სცხია, ფ. 545, ს. 89, ფურც. 2, 3, 3]*.

კანონი მაცდურ და ბოროტ განზრახვას ემსახურებოდა. ისედაც დაბეჩავებულ და შეშინებულ ხალხს ოსმალთს აგენტები უარესად აშინებდნენ, თავად პირობები კი მომხიბლავი და მისაღები იყო.

მუჰაჯირებისათვის კანონით სახელმწიფოს ნოყიერი ადგილები უნდა გამოეყო იმ რაოდენობით რამდენის დამუშავებასაც გაიხიზნულები შეძლებდნენ. მუჰაჯირებისთვის მიწები ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე უნდა მიეზომათ. ისინი ოსმალეთის აზიურ ნაწილში გადასახლებიდან 12 წლის მანძილზე გადასახადებისგან თავისუფლდებოდნენ. მუჰაჯირს გადაცემული მიწის გაყიდვა (დასახლებიდან) მხოლოდ 20 წლის შემდეგ შეეძლო. ოსმალები საუბრებში, წერილებსა და პროკლამაციებში მოსახლეობას ერთი წლის საკვებს, სამოსახლო მიწის საუკეთესო ნაკვეთებისათვის თესლს, სახვნელ იარაღს, ბინების, სკოლებისა და მეჩეთების ასაგებად სათანადო ფულად რესურსს პირდებოდნენ. ოსმალურ ბროშურებში ასევე ნათქვამი იყო: რუსეთის ქვეშევრდომობაში დარჩენილ აჭარლებს „სულითა და ხორციით წარწყმედა ელით“. ბუნებრივია, ეს იყო მაცდუნებელი დებულება, რამაც გარკვეული შედეგი გამოიღო. ოსმალეთში ჩერქეზები, აფხაზები და ქართველები (აჭარლები) მასობრივად გაიხიზნენ *[შგელაძე, 2014: 140]*.

მუჰაჯირობის ტრაგიკული ისტორიის წლებს და მასთან დაკავშირებულ ამბებს აჭარაში ახლაც გულსევდიანად იხსენებენ: „რუსების მოსვლის მერე ხოჯები და ფაშები ხალხს არწმუნებდნენ რომ ოსმალეთში უნდა წასულიყვნენ. თუ არ წავიდოდნენ რუსები ოჯახს ავიწიოკებენო, თურმე ტყუოდნენ. ფაშებს სულთნიდან დავალება ქონიათ, რომ ხალხი გადაესახლებინათ, გაებრიყვებინათ. ყველაზე დიდი ცოდვა კი ალი ფაშას ჰქონია. ბოლოს ხალხს პასუხიც კი მუუკითხია „რაზე მოგვატყვილე და ჩვენი ცოდვა დეიდო“, მუჰაჯირების ნაწილი თურქეთიდან უკან დაბრუნებულა. ზოგი კი გზაში დაღუპულა და საფლავებიც არ დარჩენილა. გამწარებულ ხალხს ალი ფაშა შუუპყრიათ და გამდნარი ოქრო ჩაუსხამთ პირში „ოქრო გიყვარდა და ეგებ ამით გაძღო“. განაწამებ ხალხს ალი ფაშაზე შური უძევიათ“ *[მთქმ.]*

*ნ. მიქელაძე. დაბ. და მცხ. სოფ. ნენიაში, ამჟამად გარდაცვლილი. 1993წ. პირადი არქივი.* მსგავსმა ქმედებებმა მოსახლეობას რეალური სურათი დაანახა და ბევრი მათგანი გადასახლებას გადაარჩინა.

ისტორიულად, როგორც ცნობილია, ადგილობრივთა გასახლების საქმეში ოსმალოები მათ სამსახურში მყოფ ქართველებს იყენებდნენ, რომლებიც დიდი ძალისხმევით არწმუნებდნენ ქართველებს, რომ ოსმალეთში გადასულიყვნენ.

ოსმალთა მომხრეთა აქტიურობასა და ძალადობაზე საუბრობს ს. მესხი: „ქობულეთში ყოფნის დროს ჩვენთან მოვიდა ერთი პატარა 12-14 წლის ქობულეთელი ბიჭი, რომელმაც შესჩივლა თ. გრიგოლს: ნიზამები შემოშპენ სახლში, პაწაი ძამაი, დაი და მამაი წაიყვანეს. მეორემ სთქვა, რომ ჩვენ ყანაში ვიყავით სამუშაოთ და დედაკაცები ძალათ წაათრიეს ბათუმში“ *[მესხი, 2000:109].*

1878 წლის აგვისტოში გენერალ-მაიორი ტრეიტერი კაკასიის მთავარსარდალს სწერდა: ჩვენს ნაწილებს შემოურთდა თავადი ერისთავის ნაწილები და 24 აგვისტოს დავიძარით ბათუმისაკენ, 25 აგვისტოს – გეზი ავიღეთ ზემო აჭარისკენ (ხულო, ფურტიო, ჭვანა, ქედა). აჭარის ფარგლებში, ყველა გზაზე, რაზმის მოძრაობას ზემო და ქვემო აჭარის დეპუტაცია და მოსახლეობა ხვდებოდა პურ-მარილით, ერთი სიტყვით, მცხოვრებთა განწყობილება კარგია... *[*

*..., 1909: 254; მკელაძე, 2014: 140].*

ოსმალეთი ამაოდ იმედოვნებდა, რომ სამუსლიმანო საქართველო რუსეთს აჯანყებით დახვდებოდა. რაკი ვერ შეძლეს მოსახლეობის საყოველთაო ამხედრება, აგენტურამ ახლა აჭარლების ოსმალეთში გადასახლება მოინდომა, ეს პროცესი, ჯერ კიდევ ადრე, XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო. ეს პროცესი აჭარაში, მეტ-ნაკლებად, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე გაგრძელდა, თუმცა, გადასახლებამ – მუჰაჯირობამ მასობრივი ხასიათი 1877 წლიდან, ე.ი. რუსეთ-ოსმალეთის უკანასკნელი ომის დაწყებიდან მიიღო *[მკელაძე, 2014: 143].*

თბილისის პრესა აქტიურად აქვეყნებდა ინფორმაციას მუჰაჯირობის შესახებ: „ბათუმიდან გვამცნობენ, რომ ამ რამდენიმე დღის განმავლობაში, ჩამოსულა იქ ორასამდის მოსახლე კაცი მაჭახლის ხეობიდან, რომელნიც ტრაპიზონიდან გემს უცდიან ოსმალეთში წასაყვანად, ანუ გადასახლებად. საცოდაობა იყო ამათი ნახვა, მშიერ-მწყურვალე დედაკაცები და ბავშვები რამდენიმე დღე ეყარნენ ზღვის ნაპირას, გემს ელოდებოდნენ“ *[ჭიჭინაძე, 1914: 111].* ხალხი სრულ ანარქიას განიცდიდა, არ იცოდნენ ვისთვის დაეჯერებინათ.

მაჭახლელები, ძლიერი ხასიათის მიუხედავად, ავადსახსენებელი მუჰაჯირობის მსხვერპლნი მაინც გახდნენ. ისინი მოსახლეობის მასიურ გადასახლებას ადგილობრივ **სული ბეგს** აბრალებდნენ, რომე-

ლიც ოსმალეთში ადრე ყოფილა გადასახლებული, „ახლა ჩამოვიდა და არია ხალხი“.

**„დროების“** მოწინავე წერილი გვაუწყებს შემდეგს: „გაზაფხულდა და ხელახლა მოგვდის ცნობები, რომ ბათუმის მაზრიდან ხალხი მიდისო, მაჭახლიდან 200 კომლი წავიდა, მიდიან აგრეთვე ქობულეთელები, ზემო აჭარა და ქვემო აჭარა ხომ შარშან დაცარიელდა თითქმის, ხალხი სტოვეებს მამაპაპეულ მიწა-წყალს, სახლ-კარს, რაც გაანინია, არ დასდევს იმას თუ რა მოელის შემდეგში. ასეთი უბედურებისკენ ერთი მხრით, ჩვენი მოხელენიც აქეზებდნენ: „წადით გადასახლდით! ჩვენთვის თქვენ აღარ ხართ საჭირო, თქვენ მაგიერ, აქ ჩვენთვის სხვა ხალხს დავასახლებთო. ერთის მხრით, ამისთანა ჩვენებური მქადაგებელი იყვნენ და მეორე მხრით, მათსავე გვერდით სტამბოლიდან მოსული მოღვაწეები და ხოჯები, რომლებიც ეუბნებოდნენ: „წავიდეთ ოსმალში, აქ თქვენ დასადგომი პირი არ გაქვთ, რუსის ხელში თქვენ ვერ გაძლებით. გიაურთ მართლმსაჯულება მაჰმადიან კაცს არასოდეს შეიწყნარებს. მაჰმადის ბრძანება არის, რომ ვინც გიაურის ქვეყანაში მოკვდება, იგი ედემს ვერ ეღირსება, წარწყმდებაო“ *[ჭიჭინაძე, 1914: 112]*.

1880 წლის 14 მაისს სერგეი მესხი ბათუმიდან გაზეთ კავკასს წერდა: „ამჟამად, ბათუმში 400 სული ჩამოსულა მაჭახლის მთებიდან იმ განზრახვით, რომ აქ ოსმალს გემი მოვიდოდა და წაიყვანდა. ათი დღე თითქმის მშვიერ-მწყურვალნი ხალხი ყოფილა გარეთ, ზღვის ნაპირას, მაგრამ გემი არ მოსულა. ოსმალს კონსულს კი იმათთვის ვერ გაუბედავს პირდაპირ გამოეცხადა, რომ გემს ნუ მოეღიბო. ბოლოს რუსის გემს „როსტოვს“ წაუყვანია ეს ხალხი ნახევარ ფასად. შარშანდელი წასულებიდან შიმშილისა და ტანჯვა-წამების გამო ოსმალეთიდან ნაწილი უკან დაბრუნებულა“ *[იქვე, 113]*.

მუჰაჯირებს პირველად გაჭირვებიან უცხო ბუნებრივ პირობებთან შეგუება, ხშირი ყოფილა ავადმყოფობა და სიკვდილიანობა. ბევრიც გაზაშივე დაღუპულა გემით მოგზაურობისას, ზოგიც კატასტროფაში მოჰყოლია ზღვის დღევის დროს... აი რას იხსენებენ „ჩვენებურები“: „ჩვენ თავზე, წისქვილის ქვა არ დაბრუნებულა მარტო, სხვა ყველამფერი გადაგვხდა, მუჰაჯირობაში დიდი ღეხები გავწიეთ, გაჭირვებისგან დერდით გევეღვეთ, თვალებზე ცრემლი და ზრუგში ოფლი არ შეგვშრობია ცხოვრებაშიო“ *[ფუტკარაძე, 1993: 16]*.

თურქეთის რესპუბლიკის სოფელ აქჩაიში დღესაც ქართული ოჯახები ცხოვრობენ: ლომინაძეები (ლომანოღლები), ხახუტაიშვილები და ჩელებაძეები. მათთან საუბრისას, ერთ-ერთმა მუჰაჯირთა შთამომავალმა, მუჰაჯირობასთან დაკავშირებით თქვა: „მათ რომ დაამიწყდნენ თურქები არ დაამიწყებენ... ასი წელი იქნა, ას ოცი წელი იქნა ჩვენი აქ ჩამოსვლიდან გულში ვერ შეიღვენ...“ მოგვიანებით

თურქების ქართველებთან დამოკიდებულება ერთი წინადადებით გამოხატა: „სახეში გიგიცინებს, უკანედან შეგაგინებს, ან რაცხა ... ჩუმათ – ხმით ვერა“ *[ფაღავა, 2016: 59]*.

თავდაპირველად, ცხადია, დიდ სიღუჭირეში უხდებოდათ ცხოვრების დაწყება. მუჰაჯირები იმედგაცრუებაში დარჩენილან. მათ სხვაგზა არ ჰქონიათ. უმეტესობას უკანასკნელი დანაზოგიც კი არ აძლევდათ უკან დაბრუნების საშუალებას. ისინი იძულებულნი ყოფილან ბედს დამორჩილებოდნენ და ცხოვრება როგორმე გაეგრძელებინათ. მათი ნაამბობიდან გამომდინარე, კარგად ჩანს თუ რა მიმეპირობებში უცხოვრიათ: „დედღე მგემ უნიას, და დამჯდარიყო, სივრისინეგებმა, ბუზებმა შეგვჭამენო და ამოვდენ აქა. ზაფხული კაია და ზამთარში ვერ გეიხედავ გარეთ“ *[ფაღავა, 2016: 68]*.

ქობულეთიდან წასულ მუჰაჯირთა მოგონებები, მათი სიყვარული მშობლიური მიწისადმი, ზღვისადმი მოუშუშებელ ტკივილად და დაუვიწყარ მოგონებად ქცეულა: „მუჰაჯირში წამოსული ჩვენი ოჯახი მთებში ცხოვრობდა, ბაღნები ეზოში ვითამაშებდით. მზის ჩასლიხანს ნენეი გადმოგვძახებდა: ამოით ახლა სახლში, მზეი ზღვაში ჩვედა უკვე, დაღამდაო. მიკვირდა რომე, ჩვენთან მზე მთებს ეფარება საღამოობით, მთებს უკან ჩადის, ნენეი ზღვას რატომ ამბობსო. მერე მივხდი, ნენეს მისი სოფელი ახსოვდა ქობულეთში. იქ ხომ ზღვაში ჩადის საღამოობით მზე“. სინამდვილეში კი ემიგრანტთა მეხსიერებაში დაღეპილი მშობლიური მოგონებები დავიწყებას აღარ მისცემია *[ფაღავა, 2016: 22]*.

ნაშრომში წარმოდგენილი მასალები ერთხელ კიდევ ცხადყოფს, თუ რაოდენ ტრაგიკული ყოფილა მუჰაჯირთა განშორება, ტკივილი, ცხოვრება. დასანანია, როგორც თურქეთში მცხოვრებთა, ასევე აჭარაში დარჩენილთა ხვედრი. ორად გაყოფილი ოჯახი, სოფელი, რაიონი და კუთხე – დიდი დანაკლისია, არა მარტო აჭარის, არამედ საქართველოსათვის.

ვფიქრობ, მუჰაჯირობის თემა ყოველთვის იყო, არის და კვლავ იქნება ამოუწურავი, დაუსრულებელი ისტორია ბედკრული საქართველოსი.

### **გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:**

**ანთოლოგია., 1993:** – აჭარის სახალხო მეღეჟსეთა ანთოლოგია, წიგნი გამოვიდა ემენ დავითაძის რედაქციით, ბათუმი.

**ახვლედიანი, 1978:** – ახვლედიანი ხ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ბათუმი.

**ღიასამიძე, 2016:** – ღიასამიძე ბ., ისტორიული ეტიუდები, II, ბათუმი.

**კახიძე, 2004:** – კახიძე ნ., მუჰაჯირობა – საქართველოს ეროვნული ტრაგედია, – კრ. „საისტორიო მაცნე“, XIII, ბათუმი.

**მგელაძე, 2014:** – მგელაძე ვლ., პეტრე უმიკაშვილი და ოსმალეთის დროინდელი სამხრეთ საქართველო, ბათუმი.

**მესხი, 2000:** – მესხი ს., წერილები აჭარაზე, 1875-1882, შეადგინა, კომენტარები, შენიშვნები, და საძიებლები დაურთო რამაზ სურმანიძემ, ბათუმი.

**სცსია, ფ. 545, ს. 89** – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 545, საქმე №89.

**ფაღავა, 2016:** – ფაღავა მ., მუჰაჯირთა შთამომავლებთან, ბათუმი.

**ფრენკელი, 2012:** – ფრენკელი ა., ნარკვევები ჩურუქ-სუ-სა და ბათუმზე, გამოსაცემად მოამზადა, ავტორის ბიოგრაფია, შენიშვნები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო რამაზ სურმანიძემ, თბილისი.

**ფუტკარაძე, 1993:** – ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, ბათუმი.

**შიოშვილი, 2016:** – შიოშვილი თ., ისტორიული სამხრეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, ნაწილი I, შავშური ფოლკლორი, ბათუმი.

**ჭიჭინაძე, 1914:** – ჭიჭინაძე ზაქარია, ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში მუჰაჯირი-ემიგრაცია, გამოცემული იაკობ ალექსანდრეს ძე მანსვეტაშვილის საფასითა, ტიფლისი.

..., 1909: –

1877-1878 . . . V, - . . .

**Naile Mikeladze**  
(Batumi, Georgia)

### **Folklore Actualities in People's Memory**

#### **Summary**

The significant details of the lives of exiled Georgians to Turkey are kept in the folklore of Adjara and memories “ours” (Chveneburebi) in Turkey. The process of forced exile is one of the heaviest and tragic episodes in the History of Georgia. It influenced not only on the social-economic and demographic situation of Georgia in that period, but also it left a lot of care and trouble for the future generation how to keep and strengthen the national consciousness and patriotism within the descendants of the exiled Georgians.

The work represents the hard life episodes of the trekked, historical facts, etc. kept in Adjarian folklore, as well as the samples of folk poetry distinctly expressing the life of that time.

## ძველი ბათუმის ქუჩების განაშენიანება (მემედ აბაშიძის გამზირი)

მემედ აბაშიძის გამზირის განაშენიანება XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ჩამოყალიბდა. ამ დროისათვის მას, რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე III-ის მეუღლის საპატივცემულოდ, რომელიც ბათუმს 1888 წელს ეწვია, მარიას პროსპექტი ერქვა. ქუჩა პორტის მიდამოებს ქალაქის სიღრმეში მდებარე ნურის ტბასთან აკავშირებდა. განაშენიანების კაზმულობით გამორჩეული პროსპექტი წარმოადგენდა ქალაქის საქმიან ნაწილს. აქ თავმოყრილი იყო ბანკები, სხვადასხვა ქვეყნის საკონსულოები, კინოთეატრები, ფოსტა, სამხედრო გუბერნატორის რეზიდენცია, ცხოვრობდნენ ქალაქის წარჩინებული ფენის წარმოდგენილები. საბჭოთა პერიოდის თორმეტსართულიანი სახლის ადგილას წმინდა მიხეილ მთავარანგელოზის მართლმადიდებლური ეკლესია იდგა. ქუჩის დასასრულს, ნურის ტბის ირგვლივ, გაშენებული იყო ალექსანდრეს პარკი.

საბჭოთა პერიოდში რამდენჯერმე შეიცვალა ქუჩის სახელწოდება: III ინტერნაციონალის, კომინტერნის, სტალინის, ამჟამად მემედ აბაშიძის სახელობის ქუჩა ინარჩუნებს ქალაქის ერთ-ერთი მთავარი ღერძის მნიშვნელობას.

პროსპექტის არქიტექტურა წარმოგვიდგენს XIX-XX საუკუნეების დასაწყისის კლასიციზმის, რენესანსულ-ბაროკული, მოდერნის სტილის შენობებს, XX საუკუნის 30-50-იანი წლების საბჭოთა კონსტრუქტივიზმითა და კლასიციზმით შთაგონებულ ძეგლებს, ასევე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების თანამედროვე რეკონსტრუქციის ინტერპრეტაციებს. ნაშრომის მიზანს მემედ აბაშიძის ქუჩაზე მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე შენობების მხატვრულ-სტილისტური თავისებურებებისა და ისტორიული ურბანული სახის წარმოჩენა შეადგენს.

ძველ ბათუმში შეხვდებით სახლებს, რომლებიც თავიანთი მასსტაბებითა და ზომიერი დეკორით ორგანულად ერწყმიან განაშენიანებას და ქმნიან ფონს თანადროული, უფრო კაზმული შენობების, ისტორიული ანსამბლის წარმოსაჩენად. ასეთია მემედ აბაშიძის ქუჩის დასაწყისში (**№4. სურ. 1**) მდებარე, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე აგებული, ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი. ნაგებობის ფასადის კლასიციზტურ დეკორს ღიობების შემომსაზღვრელი ნახევარსვეტები, სართულების გამყოფი კბილანებიანი საღტე, ასეთივე ფორმის

ლაგვარდანი, სარკმელთა კანელურებიანი პილასტრები და სადა თავსართები ქმნის. მარჯვენა ნაწილში გაჭრილი აჟურულქიშკრიანი გვირაბი ქუჩას შიდა ეზოსთან აკავშირებს. სავაჭრო და საცხოვრებელი ფუნქციის მქონე, ლაკონური დეკორით შემკული ასეთი სახლები დამახასიათებელია ძველი ბათუმის უბნებისათვის.

ქუჩის მჭიდრო განაშენიანებაში ჩართული სახლი (№6. სურ. 2) პირველი სართული, ტრადიციულად, სავაჭრო დარაბებისათვის იყო განკუთვნილი, მეორე კი საცხოვრებლად გამოიყენებოდა. ორსართულიან შენობას მანსარდა მოგვიანებით დააშენეს. სწორკუთხა და მშვილდათაღოვანი დიობებით დანაწევრებული ფასადის მხატვრულ სახეს კლასიციზმისა და ბაროკოს რეპერტუარიდან ნასესხები ელემენტები განსაზღვრავს: რუსტიკა, კორინთული პილასტრები, სარკმელთა საპირეები, ორნამენტული საჭექი ქვები, აჟურული პარაპეტი, ლითონის აივნები და სხვ. ეზოში შესასვლელი გვირაბის შეღესილ კედლებს მოხატულობის კვალი შერჩენია. შიდა ეზო ბათუმური სახლებისათვის დამახასიათებელი “ჩაკეტილი” სტრუქტურისაა, რომელსაც საცხოვრებელი ნაწილი კიბით უკავშირდება. XIX-XX მიჯნაზე აგებული შენობა მემედ აბაშიძის ქუჩის ისტორიული განაშენიანების განუყოფელი ნაწილია.

მემედ აბაშიძის გამზირის №8-ში მდებარე, 1892 წელს აგებული აგურის ორსართულიანი სახლი ძმებ ჩილინგარიანებს ეკუთვნოდა (სურ. 3). 1922 წლიდან 2010 წლამდე შენობაში თურქეთის საკონსულო იყო განთავსებული. ნაგებობის გარეგნული სახე ეკლექტურია. ძირითადად, კლასიციზმის სტილში გადაწყვეტილი ფასადი გაცოცხლებულია ბაროკოსა და მოდერნის ელემენტებით. ფასადის მხატვრული სახე – მრუდხაზოვანი დიობები, ფსევდოორდერული სისტემა, ფრონტონებით დაგვირვინებული რიზალიტები, მძლავრად შვერილი ერკერი, რუსტიკა, აგურისა და შეღესილი სიბრტყეების მონაცვლეობა, შექჩრდილის დინამიკა და სხვა დეტალები არქიტექტორის დახვეწილ გემოვნებას მოწმობს. ქუჩის მჭიდრო განაშენიანებაში ჩამჯდარი ნაგებობა შემამკობელი ელემენტების მკაფიო სტრუქტურითა და მასალის ფერადოვნებით გამოირჩევა.

მემედ აბაშიძის გამზ. №9-ში მდებარე XX საუკუნის დასაწყისში აგებულ ორსართულიან სახლში იოსიფიდის საკუთრებაში არსებული სასტუმრო “რივიერა” იყო განთავსებული (სურ. 4). 17 ნომრისაგან შედგენელი სასტუმროს პირველ სართულზე სავაჭრო ფარდულები იქნებოდა მოწყობილი. 1918-1921 წლებში აქ ქართველი საზოგადო მოღვაწე - მემედ აბაშიძე ცხოვრობდა. 1992 წლიდან შენობის ნაწილში მისი სახელობის სახლ-მუზეუმი მოწყობილი. გვიანდელი გადაკეთებებით სახელდაკარგული პირველი სართულის სადა კედლებს მეორე სართულის ნაძვრი დეკორით შემკული ფასადი ენაცვლება. შენობის

მხატვრული დეტალები: პროფილირებული საპირეები, კრონშტეინებზე დამყარებული არქიტრავეები, რკალური ფრონტონები, ადამიანთა და ცხოველთა სკულპტურული სახეები, ლითონის აჟურულცხაურებიანი აივნები კლასიციზტურ-ბაროკული სტილის ეკლექტიკას ემყარება. შედარებით უხვი შემკულობის მიუხედავად, ნაგებობა ბათუმის ურბანული მემკვიდრეობის უპრეტენზიო ნიმუშია.

მემედ აბაშიძის ქუჩის მეტ-ნაკლებად ავთენტურად შემორჩენილი, ი. გოგებაშვილისა და კ. გამსახურდიას ქუჩებს შორის, განაშენიანება გამოირჩევა XX საუკუნის დასაწყისში გავრცელებული მოდერნის სტილის ნიმუშებით. ისინი შესანიშნავად ეწერება ქუჩის განაშენიანებაში და, XX ს-ის დასაწყისის სხვა ნიმუშებთან ერთად, ეკლექტური არქიტექტურის საინტერესო სინთეზს ქმნიან.

მემედ აბაშიძისა და გენერალ მაზნიაშვილის ქუჩების გადაკვეთაზე (**№10/1. სურ.5**) აღმართული, ორსართულიანი ნაგებობის შეტეხილი კუთხე მანსარდის მაღალი, თაღოვანი ფრონტონითაა აქცენტირებული. ცენტრალური ნაწილის დომინანტური მნიშვნელობა სიმაღლით, ფერადოვანი დეკორით, ლითონის აივნითა და აქვე დატანილი აგების თარიღით – “1912 წელი” – არის ხაზგასმული. XX საუკუნის 20-იან წლებში შენობის ვიტრინებით გახსნილ პირველ სართულზე თამბაქოს მრეწველის – ლაზარე ბინიათ ოდლის თამბაქოს ფაბრიკის მაღაზია და რესტორანი იყო გახსნილი. XX საუკუნის 30-იან წლებამდე შენობა ვაჰანიანისა და მათე რუსიძის კერძო სახლს წარმოადგენდა. შენობის ინდივიდუალური გეგმარება და ფასადის დეკორი (სტილიზებული პილასტრები, ღარები, მცენარეული ორნამენტები, ფერითა და ფაქტურით განსხვავებული ხორკლიანი, გოფირებული და გლუვი სიბრტყეები და სხვ.) მოდერნის სტილის ნიშნებს ავლენს. სახეცვლილების მიუხედავად, ნაგებობა XX საუკუნის 10-იანი წლებიდან გავრცელებლი “არტ-ნუვოს” (მოდერნის) სტილის ერთ-ერთი საინტერესო ნიმუშია ბათუმში.

მემედ აბაშიძის №12-14 / მაზნიაშვილის №2-ში მდებარე, 1912 წელს აგებული ორსართულიანი სახლის ნაწილი გადაკეთებულია (**სურ. 6**). ავთენტურობას, ძირითადად, მეორე სართულის ფასადი ინარჩუნებს. მაღალი ცოკოლის მქონე სახეცვლილი პირველი სართული მარმარილოთა მოპირკეთებული, მანსარდიც მოგვიანოდაა დაშენებული. მოდერნის სტილში შესრულებული ფასადები სწორკუთხა ღიობების გარშემო განთავსებული დეკორატიული ელემენტების რიტმზეა აგებული. ხორკლიანი და სადა სიბრტყეები, სარკმელთა გოფირებული ძირები და ბალაურები, კბილანებითა და ღარებით შემკული მაღალი კარნიზი, ლითონის მოაჯირებიანი აივნები ფასადის მეტყველ ფაქტურას განსაზღვრავს.



მემედ აბაშიძის გამზ. №13 / მაზნიაშვილის ქ. №3-ში მდებარე XX საუკუნის დასაწყისში აგებული, ბრონბერგის საკუთარ სახლში, რომელიც 22 ოთახს შეიცავდა, იტალიის საკონსულო იყო განთავსებული (**სურ. 7**). მესამე სართული ნაგებობას სავარაუდოდ მალევე დააშენეს. სამსართულიან შენობას საკვანძო ადგილი უკავია ქუჩის განაშენიანებაში. ფასადის ლაკონური კომპოზიცია დეკორატიული პილასტრებით სეგმენტებადაა დაყოფილი. საპირეებითა და თარაზული სარტყლებით შემკული ფასადის დომინანტს სივრცეში გახსნილი ლითონის მოაჯირებითა და თაღოვანი ანტაბლემენტით დასრულებული კუთხის აივნები წარმოადგენს. ეზოს ორიგინალური ზღუდეც ინდივიდუალურ გადაწყვეტას აყალიბებს.

მემედ აბაშიძის გამზ. №16 განთავსებული, ქუჩის მჭიდრო განაშენიანებაში ჩართული, ნიკიფორიდის საცხოვრებელი სახლი XX საუკუნის დასაწყისშია აგებული. შენობის პირველ სართულზე განთავსებული იყო ძმებ პოპოვების მაღაზია, რომელთა სახელს აჭარაში ჩაის კულტურის განვითარება და საგანგებოდ ამ საქმისათვის ჩინელი სპეციალისტის – ლაო ჯონჯაოს ჩამოყენა უკავშირდება. ამჟამად მანსარდით დასრულებული შენობის ფასადი უხვადაა მორთული კლასიციისტურ-ბაროკული და მოდერნის სტილის ელემენტებით. თავდაპირველად, ერკერებს შორის წაგრძელებული ლითონის აივანი იყო განთავსებული, რომელიც ამჟამად მორღვეულია. პირველი სართულის თაღოვანი და სწორკუთხა ღიობები სადადაა გადაწყვეტილი. მეორე სართულის თაღოვანი სარკმლებს კი მოდერნის სტილის თავსართები ამკობს. შენობის კბილანებიანი კარნიზი და პარაპეტი ბაროკოს მოტივებითაა გაფორმებული. ნაგებობა XX საუკუნის დასაწყისის არქტიექტურული სტილების საინტერესო ნაზავს წარმოადგენს.

მემედ აბაშიძის ქუჩის საწყისი კვარტლების, ძირითადად XX საუკუნის დასაწყისში განვითარებულ განაშენიანებაში ჩართულია საბჭოთა პერიოდის ერთადერთი ნიმუში, ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლი (**მ. აბაშიძის გამზირი № 18. სურ. 9**). მაღლივი შენობა, ძველი რეგულაციების თანახმად, განთავსებულია პერიმეტრის ხაზიდან სიღრმეში, რითაც არ არღვევს ისტორიული უბნის მასშტაბს და ქმნის მის წინ სივრცეს, ვიწრო ქუჩის ურანულ ქსოვილისა და თავად ძეგლის აღსაქმელად. მსხვილმასშტაბიანი საცხოვრებელი სახლი XX საუკუნის 50-იანი წლებშია აგებული. ქვითა და ბლოკით ნაგები მონოლითური შენობის მკაცრი ფასადი სწორკუთხა და თაღოვანი კარსარკმელთა ღიობებითაა დანაწევრებული. პროფილირებული სარტყლით გამოყოფილი მაღალი პირველი სართული ქუჩის მხარეს კიბეებითა და თაღოვანი გაღერებით იხსნება. ფასადის დეკორი (თაღედები, მრგვალი სვეტები, ჩუქურთმიანი კაპიტელები, რუსტიკა, ქვის წყობით გამოყვანილი საჭექი ქვები და თაღოვანი თავსართები, აივნები, კრონ-

შტეინებს დაფუძნებული ლავგარდანი) კლასიციტური და ქართული არქიტექტურის მოტივებითაა ნასაზრდოები. შენობის რუხი ფერი, მკაცრი არქიტექტონიკა თანადროული ეპოქის გემოვნებას გამოხატავს. პერიმეტრის ხაზიდან ქუჩის სიღრმეში განთავსებული მონუმენტური შენობა ჰარმონიულად ერწყმის XIX-XX საუკუნეების ზომიერი მასშტაბის მქონე ისტორიულ ურბანულ ქსოვილს.

ქალაქის ძველი უბნების – “აზიზიესა” და “ნურიეს” საზღვარზე მდებარე ცნობილი ქართველი მეწარმისა და ბათუმის სათათბიროს დეპუტატის ნიკოლოზ საბაშვილის (საბაევის) კუთვნილი სახლი 1903-1904 წლებშია აგებული (**სურ. 10**). ქუჩათა გადაკვეთაზე მდგომი სამსართულიანი, რენესანსულ-ბაროკული სტილის პომპეზური შენობა, მის ახლომდებარე მასშტაბურ, იმპოზანტურ ნაგებობებთან ერთად (აჭარის მთავრობის ადმინისტრაციის შენობა, გამსახურდიას ქ. №9; საკონსტიტუციო სასამართლოს შენობა, გამსახურდიას ქ. №10; შრომის სახლი, გამსახურდიას ქ. №13 / აბაშიძის ქ. №23), მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქალაქის ამ ნაწილის ურბანულ სახეს. გამორჩეულ იერს ნაგებობას არქიტექტურულ ელემენტებისა (რუსტიკა, კორინთული ნახევარსვეტები, პილასტრები, დიდი ზომის კრონშტეინებს დაყრდნობილი ქვის ბალუსტრადიანი აივნები) და პლასტიკური დეკორის განსაკუთრებული სიუხვე ანიჭებს. თაღოვან ფრონტონებში აქ მუზარადიანი, წვეროსანი ტიტანების თავების უზარმაზარი ქანდაკებებია ჩასმული. ქუჩათა კუთხეზე მრგვალად შვერილი, შპილიანი გუმბათით დასრულებული ერკერი კი ატლანტთა მძლავ ფიგურებსაა დაყრდნობილი. ფასადთა პლასტიკურ გაფორმებაში ცნობილ ქართველ მოქანდაკეს სერაფიმე პოლოლიკაშვილს მიუღია მონაწილეობა.<sup>15</sup>

ამ შენობის მოპირდაპირედ **კ. გამსახურდიასა (№13)** და **მ. აბაშიძის (№23)** ქუჩების გადაკვეთაში მდებარეობდა XIX საუკუნის 90-იან წლებში აგებული ვოლფენზონის საცხოვრებელი სახლი. ამჟამად შენობაში პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანება და სხვა დაწესებულებებია განთავსებული. სოლიდური მასშტაბის სამსართულიანი შენობა აყალიბებს ქალაქის ამ მონაკვეთის გეგმარებით სტრუქტურას. ფასადების დეკორი ხასიათდება აგურისა და მოვარდისფრო თლილი ქვის დეკორატიული ელემენტების შერწყმით. რიზალიტებით აქცენტირებულ კიდურა ნაწილებში ლითონის აჟურულმოაჯირებიანი აივნებია. ფასადის ძირითად დეკორს თაღოვანი სარკმლების საპირეები, სვეტები, შვერილი კაპიტელები, ორნამენტებიანი ქვის ფილები, აგურის ამოზიდული წყობით შედგენილი ჩანართები, სართულების გამყოფი პროფილირებული საღებავები შეადგენს. შენობის კუთხე აქცენტირებულია ლითონის, ტეხილკარნიზიანი

<sup>15</sup> ნიკოლოზ საბაშვილის დაკვეთით აიგო, მისივე მალაზიისთვის განკუთვნილი მოდერნის სტილის შენობა მ. კოსტაეას ქუჩაზე (№20).

მანსარდის სათავსით. ქუჩისა და ეზოს დამაკავშირებელი გვირაბი მოწყობილია მემედ აბაშიძის ქუჩის მხარეს. ეზოს ფასადი, ბათუმური სახლების მსგავსად, შემინული გალერეებითაა წარმოდგენილი. ნაგებობას გამოარჩევს გამოკვეთილი მხატვრული სახე და სამშენებლო ოსტატობის მაღალი დონე.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების თანამედროვე რეკონსტრუქციისა და ინტერპრეტაციის ნიმუშია ერას მოედნის მიმდებარე სახლები *[ჭიჭილეიშვილი, 2013: 334-341]*. 1900 წელს საგანგებოდ ბანკისათვის აგებულ ორსართულიან შენობაში თბილისის კომერციული ბანკის ბათუმის განყოფილება იყო განთავსებული (**მ. აბაშიძის ქ. №25. სურ.12**). ნაგებობამ დღევანდელი სახე XX-XXI საუკუნეებში განხორციელებული რეკონსტრუქციის შედეგად მიიღო. საზგასმულად კაზმული ელემენტები-ბელვედერი, ერკერები, აივნები, გადახურვის შპილიანი, კარვისებური და ბოლქვისებური ფორმები, ოქროსფერი სკულპტურები, ვიტრაჟები, ფასადის ფერადოვანი აქცენტები, კოშკში დამონტაჟებული საათი და სხვ., ქართული და ევროპული ფორმების ეკლექტური ნაზავია. შენობა, თავისი მასშტაბითა და საკვანძო მდებარეობით, ქალაქის მნიშვნელოვან ნაგებობას წარმოადგენს.

**მემედ აბაშიძის №27-ში (სურ.13)** მდებარე, ვაჭარ მნაცაკანოვის ქვის ორსართულიანი სახლი 1887 წელსაა აგებული. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე შენობაში ესპანეთისა და ნიდერლანდების საკონსულო იყო განთავსებული. კლასიციზტური ფასადის რიზალიტებში სადარბაზოები და ეზოში გასასვლელი გვირაბია მოწყობილი. ცენტრალური ნაწილი აქცენტრებულია ფრონტონითა და პარაპეტზე დადგმული ლარნაკებით. მოვარდისფრო ქვით მოპირკეთებული კედლები, კარ-სარკმელთა საპირეები, ლითონის აივნები, დეკორატიული დეტალები შესრულებულია ოსტატობითა და მხატვრული ალღოთი. სადარბაზოს ჭერი და კედლები შემკულია ნაძერწი დეკორით. ეზოს მხარეს შენობა ღია აივნებით იყო მიმართული. მანასარდა და პარაპეტის ჭრელი პანო ფასადს 2008-2010 წლებში დაამატეს.

**მემედ აბაშიძის გამზ. №29-ში** მდებარე XX საუკუნის დასაწყისში აგებული საცხოვრებელი ოღდა კანდელაკის საკუთრებას წარმოადგენდა. ქუჩისაკენ მიმართული ფასადის შემკულობას ფრონტონებით დასრულებული ოღნავ შვერილი რიზალიტები, სწორკუთხა და თაღოვანი კარ-სარკმელთა ღიობები, ნაღესობით გამოყვანილი ზოლები, ბრტყელი პილასტრები, კბილანებიანი კარნიზი და სხვა დეტალები შეადგენს. ფასადის ცენტრი მსუბუქად აქცენტირებულია ლითონის მოაჯირიანი აივნით, თაღოვანი სარკმლების საჭექში დატანებული ქალის სკულპტურული სახეებით, 2008-2010 წლებში დაშენებული მანსარდის ატიკით. ფასადის ლაკონური კომპოზიცია გადაწყვეტილია

ზომიერად გამოყენებული კალსიცისტურ-რენესანსული სტილის ელემენტებით.

**მ. აბაშიძის ქ. №32 / 34 ნ. დუმბაძის ქ. №18-ში** მდებარე ყოფილი აფთიაქის შენობამ არაერთი რეკონსტრუქცია განიცადა (XX ს-ის შუა ხანები, 2008-2010 წწ). ორი ქუჩის კუთხეში მდგარი, მანსარდით დასრულებული ორსართულიანი ნაგებობის ფასადები დატვირთულია რენესანსულ-ბაროკული სტილის ნაძერწი დეკორატიული ელემენტებით. უბნის განაშენიანებაში შენობის დომინანტური მნიშვნელობა კუთხის აქცენტირებით, ფასადის მკაფიო რიტმული სტრუქტურით, დეკორით, შილიანი გუმბათებითა და ოთხქანობა გადახურვებით, პარაპეტის კაზმული დეტალებითაა ხაზგასმული. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე აგებული, თავდაპირველად ერთსართულიანი სახლი იოსელიანისა და ე.აფხაზის საკუთრებას წარმოადგენდა. შენობაში განთავსებული იყო პატკევიჩის ცნობილი აფთიაქი და სოკოლოვის სამკურნალო. საბჭოთა პერიოდშიც აქ აფთიაქი ფუნქციონირებდა.

მემედ აბაშიძის (მარიას) პროსპექტზე, XIX საუკუნის დასასრულს, რუსეთის ქვეშევრდომის, წარმოშობით ფრანგი ვაკიეს მიერ აგებული სახლი ვაჭართა ფენის წარმომადგენლებმა, ძმებმა იაკობა-შვილებმა შეიძინეს და ამ ადგილას ორსართულიანი სახლი ააგეს, სადაც, 1902 წლიდან ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა განთავსდა (**მ. აბაშიძის ქ. № 33, ნ. ბარათაშვილის ქ. № 8**). ფოსტა-ტელეგრაფის თავდაპირველი შენობა ისტორიული ურბანული ქსოვილის მორგანიზებულ აქცენტს წარმოადგენდა. ქუჩების კვეთაში მდებარე მანსარდით დასრულებული ორსართულიანი ნაგებობის ჩამოკვეთილი კუთხე შილიანი (აწ უკვე შეცვლილი) გუმბათით იყო დაგვირგვინებული. ფასადების მორთულობა რენესანსულ-ბაროკული სტილის რეპერტუარს ეფუძნება. სწორკუთხა ღიობებითა და ჰორიზონტალური ღარებით დაყოფილ პირველი სართულის კედლებს შედარებით სადა შემკულობა ახასიათებს. მეორე სართული მეტადაა დატვირთული ორნამენტული დეკორით, სკულპტურული გამოსახულებებით. შენობას ასრულებს წრეების მწკრივით შედგენილი პარაპეტი და თევზის ქერცლისებური საფარის მქონე მაღალი მანსარდა მრგვალი სარკმლებით. მ. აბაშიძის ქუჩის მხარეს განთავსებული შესასვლელების წინ თუჯის სვეტებზე დამყარებული წინფრები იყო მოწყობილი. ამავე მხარეს შემორჩენილია კორინთული კაპიტელებით, მონოგრამითა და კონვერტის გრაფიკული გამოსახულებით გაფორმებული კედლის “საფოსტო ყუთი”. სადარბაზოს ჭერსა და ინტერიერში ნაძერწი დეტალები და თუჯის სვეტები იყო შემორჩენილი. შენობა, ბათუმისათვის დამახასიათებელი სახლების მსგავსად, ეზოს მხარეს შემინულფანჯრებიანი გალერეებით იყო მიმართული. მიმდინარე რეკონსტრუქციის შედეგად ავთენტურობას მხოლოდ შენობის ფასადი ინარჩუნებს. ნ. ბარათაშვი-

ლის ქუჩის მხარეს, ნაგებობას ანალოგიური მოცულობისა და მორთულობის ახლად აშენებული ფლიგელი ერთვის. ინტერიერისა და ეზოს ტერიტორია მაღლივ კორპუსს უჭირავს. მთელი საუკუნის განმავლობაში ფოსტის ყოფილი შენობა წამოადგენდა კავშირგაბმულობის ფუნქციის მქონე ერთ-ერთ უძველეს ნაგებობას საქართველოში.

**მემედ აბაშიძის გამზ. №35-ში** მდებარე, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, ქუთაისელი, ებრაელი ძმების – იაკობაშვილების მიერ აგებული ერთსართულიანი სახლი ქალაქური, “ბელეტაჟის” ტიპის საცხოვრებელია. მაღალი სარდაფის მქონე შენობის ფასადი და ინტერიერი ამჟამად სახეცვლილია. ქუჩისაკენ მიმართულ შეღვესილ ფასადს კლასიციზტური (მცენარეული თავსართები, ჰორიზონტალური დარები, მენდრის ფრიზი, კბილანებიანი კარნიზი) დეკორი ამკობს. მასშტაბით, მოცულობითა და ლაკონური დეკორით შენობა ისტორიული განაშენიანების განუყოფელი ნაწილია.

ქუჩის ამავე მონაკვეთში საინტერესოა ერთსართულიანი, მანსარდით დასრულებული საცხოვრებელი სახლი კლასიციზტურ-ბაროკულ სტილში გადაწყვეტილი ფასადით, რომელშიც 1921 წლამდე ჟანდარმეირია, ბათუმის საპოლიციო სამმართველო და ირანის საკონსულო იყო განთავსებული (**მ. აბაშიძის ქ. №36**) ფასადის ნაძერწი დეკორატიული ელემენტები (ბაროკული, მრუდხაზოვანი ფრონტონები, საპირეები, ჩაღრმავებული პილასტრები, კარნიზი და სხვ.) შესრულებულია ოსტატურად. ნაგებობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს XX საუკუნის დასაწყისის ისტორიულ განაშენიანებაში.

მემედ აბაშიძისა და დ. თავდადებულის (№38/19) ქუჩების გადაკვეთაში მდებარე სამსართულიანი ნაგებობა XX საუკუნის 30-იან წლებშია აგებული. საგანგებოდ პრესის სახლისათვის განკუთვნილ შენობაში 2007 წლამდე გაზეთების (“აჭარა”, “ადჟარია”) რედაქცია იყო განთავსებული. რიტმულად განაწილებული ფანჯრის ღიობები, პილასტრებით დაყოფილი ვერტიკალური სეგმენტები, სარკმელთა ბალიასინები და ფრონტონები, სტილიზებული, ვოლუტებიანი კაპიტელები და სხვა დეტალები განსაზღვრავს კლასიციზტური ფასადის მკაფიო არქიტექტონიკას. მემედ აბაშიძის ქუჩის მხარეს მდებარე ფასადს შუა ნაწილში მცირე შეღრმავება გააჩნია. ფასადის თავდაპირველი რუხი ფერი მკაცრ იერს ანიჭებდა შენობას. აგების პერიოდის კლასიციზტური სულისკვეთება და ფორმათა თავდაპირველი სიხისტე ნაწილობრივ შერბილებულია შენობის რეკონსტრუქციისა და ტერაზიტული ლესვით მიღებული კედლების ღიად დაფერვის შედეგად. ნაგებობა ქუჩის ერთერთი სოლიდური არქიტექტურული ერთეულია (**სურ. 15**).

მემედ აბაშიძის გამზ. № 41-ში მდებარე (**სურ. 16**), XX საუკუნის დასაწყისში აგებული შენობის პირველი სართული სავაჭრო დარა-

ბებს ეჭირა. მეორე სართულზე გერმანელი ფოტოგრაფის - მიხეილ გლაუდანის შუშის ჭერით, მდიდრული ავეჯითა და შავი ქანდაკებებითა მორთული ფოტოატელიე იყო მოწყობილი. მის ფოტოებზე აღბეჭდილი ისტორიული პირები, პერსონაჟები, ქალაქის ხედები და ღია ბარათები, რომლებიც 1911 წლის უჩვეულოდ თოვლიანი ზამთარის მოსაგონებლად შემოგვრჩა, ჩვენი ისტორიის ფასდაუდებელი საგანძურია. შენობის ინდივიდუალური ფასადი მოდერნის სტილის რეპარტუარს ემყარება, მის მორთულობას ვარდულებით შემკული ცენტრალური რიზალიტი, ვერტკალური ღარებისა და ბრტყელი ნახევარსვეტების მწკრივი, დეკორატიულ კრონშტეინებზე დაყრდნობილი ვარდულებიანი კარნიზი და სხვა დეტალები შეადგენს. დახვეწილი პროპორციებისა და საფასადო დეკორის მქონე ნაგებობა ურბანული მემკვიდრეობის საინტერესო ნიმუშია.

მემედ აბაშიძის გამზირი № 43-ში მდებარე, 1892 წელს აგებული შენობა მეორე გილდიის ვაჭარს ფილიპე ფილიპოვს ეკუთვნოდა (**სურ. 17**). 1910-1949 წლებში ამ სახლში ცნობილი ექიმი – პლატონ გიგინეი-შივილი ცხოვრობდა, რომელსაც ლაბორატორია და პაციენტების მისაღები კლინიკა ჰქონდა.<sup>16</sup> გადმოცემით, ეს სახლი იტალიელი არქიტექტორის მიერ ყოფილა აგებული აგებული. მაღალი ცოკოლის სართულზე აღმართულ ორსართულიან შენობას ეზოს მხრიდან ფლიგელი ერთვის. ნაგებობის კლასიციზტური ფასადი გაცოცხლებულია ბაროკული ელემენტებით. კუთხის რიზალიტები, აგურის წყობით გამოყვანილი რუსტიკა, სარკმლების რელიეფური მორთულობა, წყვეტილი პარაპეტი ღარნაკებით, ლითონის აჟურულმოაჯირიანი აივანი და სადარბაზოს წინფრა ფასადის მხატვრულ სახეს ქმნის. ეზოში შესასვლელ ჭიშკარზე ამოტიფრულია შენობის აგების თარიღი. ნაგებობას ეზოს მხარეს შემინული შუშაბანდები, ქვის ორმარშიანი კიბე და პატარა ტერასები გააჩნია. თავდაპირველად, ამ ნაწილში საჯინიბო და სამრეცხაო იყო განთავსებული. შენობა ბათუმისათვის დამახასიათებელი ქალაქური საცხოვრებელი სახლის ტიპური ნიმუშია.

XIX საუკუნის დასასრულს აგებულ, ნ.ფანდივეის სამსართულიანი სახლში (**№44. სურ. 18**) განთავსებული იყო სამეანო და სამასაჟო კაბინეტი, პირველ სართულზე – ცემენტისა და მოზაიკის ნაკეთობათა საწყობი. ფანჯრის ღიობებითა და პილასტრებით დაყოფილ შენობის ფასადზე გამოიყოფა მაღალი პარაპეტით დასრულებული მარცხენა რიზალიტი, ერთ ღერძზე განთავსებული დაკიდული აივნები აჟურული მოაჯირებითა და დეკორატიული კრონშტეინებით. სარკმლების

<sup>16</sup> პ.გიგინეი-შივილის რეცეპტებით ხელმოკლე პაციენტებს წამლის უფასოდ მიღება შეეძლოთ, რადგან წამლის საფასურს თავად იხდიდა. მისდამი მაღლიერების ნიშნად, 1949 წელს, როდესაც ექიმი ავად გახდა, ბათმელებმა მთელ ქუჩაზე თივა დააფინეს, რათა მკურნალი ქუჩის ხმაურს არ შეეწუხებინა.

ირგვლივ თავმოყრილი დეკორით – სანდრიკებით, ქალის თავის მცირე ბარელიეფებითა და სხვა დეტალებით შემკული ნაგებობა ხასიათდება ზომიერი პროპორციებითა და გარემოსთან ორგანული შერწყმით.

**მემედ აბაშიძის გამზირი №45 / ლუკა ასათიანის ქ. №17 მდებარე** ნაგებობა XIX-XX საუკუნეების მიჯნის საცხოვრებელი სახლის ნიმუშია (სურ.19). ქუჩისა და ეზოს მხარეს მიმართული, ნაძერწი დეტალებით შემკული ფასადები კლასიციზტურ-ბაროკულ სტილშია გადაწყვეტილი: ზომიერად გამოყენებული დეკორატიული ელემენტები, ქუჩის მხარეს თაღებითა და აივნით გახსნილი ლოჯიები, ეზოსკენ მიქცეული კაზმული ფასადი შენობის ინდივიდუალობაზე მეტყველებს. კამერული მასშტაბითა და გარემოსთან კავშირით გამორჩეული ნაგებობა ურბანული სივრცის განუყოფელი ნაწილია. იგი, ისევე, როგორც ახლომდებარე თანადროული შენობები, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქუჩის ისტორიულ სახეს.<sup>17</sup>

**მემედ აბაშიძის გამზირი №49-ში მდებარე შენობა<sup>18</sup>** 1936 წლიდან შენობაში თოჯინებისა და მოზარდმაყურებელთა თეატრის წარმოდგენები იმართებოდა, 1980 წელს კი თოჯინების სახელმწიფო თეატრის რეგულარული დასი განთავსდა. სათეატრო ნაგებობის თანამედროვე ადაპტაციის მიზნით, 2011-2012 წლებში, შენობას რეკონსტრუქცია ჩაუტარდა (სურ. 20). ქუჩის გასწვრივ გრძივი ფასადით მიმართული ერთსართულიანი, მანსარდიანი შენობა აგებულია XX საუკუნის დასაწყისში. მის მხატვრულ სახეს განსაზღვრავს ნაგებობის კამერული ფორმები, დახვეწილი პროპორციები, აგურისფერი ქვით მოპირკეთებული კედლები, რუსტირებული ცოკოლი, ფანჯრის საპირეები, კარნიზი, ვოლუტებიანი და თაღოვანი პარაპეტის ნაწილები. მნიშვნელოვანი ელემენტია შენობის პერიმეტრში ჩაწერილი, თაღით გახსნილი აივანი ოვალური დიობითა და აჟურული მოაჯირით. შენობა მოდერნის სტილის დეტალებითაა გაფორმებული და, რეკონსტრუქციის შედეგად დაკარგული ავთენტური ელემენტების მიუხედავად, ხასიათდება ორიგინალური კომპოზიციური გადაწყვეტით, მეტ-ნაკლებად დახვეწილი შესრულებით.

**მემედ აბაშიძის გამზირი №50 / ვაჟა-ფშაველას ქ. № 19 მდებარე** XX საუკუნის დასაწყისში აგებული ორსართულიანი, გასაქირავებლად განკუთვნილი შემოსავლიანი, აკადემიური ფასადით გამორჩეული საცხოვრებელი სახლი ევროპული მხატვრული მორთულობის

<sup>17</sup> XIX საუკუნის დასასრულს აგებულ შენობაში იმ დროისათვის ცნობილი ექიმები – მარკოვი და ბეთანელი ცხოვრობდნენ. მოგვიანებით, აქ იტალიის საკონსული განთავსდა. საბჭოთა პერიოდში შენობას საცხოვრებელი ფუნქცია დაუბრუნდა. ამჟამად მასში კაფეა გახსნილი.

<sup>18</sup> ბიკოვის საკუთარი სახლი, სადაც ოკულისტი ბერშაკვი ცხოვრობდა, 1922 წლიდან განათლების მუშაკთა პროფკავშირს გადაეცა.

ელემენტებით (რუსტიკა, ღიობების პროფილები, სანდრიკები, საჭექი ქვები და სხვ.) საზრდოობს.<sup>19</sup> მ. აბაშიძის ქუჩის მხრიდან შენობას დამატებული აქვს მრუდხაზოვანი ფრონტონით დასრულებული სართული. ნაგებობის კუთხის რიზალიტები შემკულია ფრონტონებიანი პარაპეტით. სადარბაზოს წინფრა, ეზოში შესასვლელი ალაყაფის კარი, აივნების მოაჯირები გაფორმებულია ლითონის აჟურული დეტალებით. ქალაქკეგმარებითი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაგებობა ქუჩის დიდ მონაკვეთს აყალიბებს და განსაზღვრავს ისტორიული უბნის მხატვრულ სახეს. ამჟამად მიმდინარეობს ნაგებობის რეკონსტრუქცია.

**მემედ აბაშიძის გამზირი №53 / ვაჟა-ფშაველას ქ. №20 მდებარე** კუთხის ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლი განსაზღვრავს მთელი კვარტლის განაშენიანების ხასიათსა და მასშტაბს. ქუჩების მიმართულებით განვითარებული შენობის დინამიკური აბრისი, ვერანდითა და და აივნებით შეტეხილი კუთხე, მაღალი, ვიწრო, შემინული რიზალიტები პოსტკონსტრუქტივიზმის სტილის ნიშნებს ავლენს. შენობას პარადულობას მატებს ბეტონის რიკულებიანი აივნები, ქვის იმიტაციის ფეხქვები, კრონშტეინებიანი კარნიზები. ნაგებობა XX საუკუნის შუა ხანების საბჭოთა არქიტექტურის ნიმუშია (**სურ. 21**).

**მემედ აბაშიძის გამზირი №58 / 26 მაისის ქ. № 32** ქუჩათა გადაკვეთაზე მდგომი სამხედრო გუბერანტორის ყოფილი რეზიდენციის ორსართულიანი, მონუმენტური შენობა 1899 წელსაა აგებული. შილიანი გუმბათით დასრულებული კუთხის ერკერი, მის მძლავრ კრონშტეინებს დაყრდნობილი მასიური, მრგვალი აივანი და მსხვილი რენესანსულ-კლასიციზტური ელემენტებით გაფორმებული ფასადები განსაკუთრებულ იმპოზანტურობას მატებენ მასშტაბურ ნაგებობას. ის ქალაქის ურბანული მემკვიდრეობის საინტერესო ნიმუშია (**სურ. 22**).

ამდენად, მ. აბაშიძის ქუჩის განაშენიანებაში, საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა პერიოდში განხორციელებული უსახური ახალმშენებლობების მიუხედავად, კულტურული მემკვიდრეობის არა ერთი ძეგლი შემოგვრჩა. ქუჩის ზოგიერთი მონაკვეთი თუ კვარტალი მეტ-ნაკლებად თანადროულ, ავთენტურობით გამორჩეულ მხატვრულ ანსამბლს წარმოადგენს. ქუჩის ურბანული ქსოვილი XIX-XXI საუკუნის არქიტექტურის განვითარების ყველა ეტაპს შეიცავს. გასული საუკუნის 70-80-იან წლებსა და ბოლო ათწლეულში ჩატარებული რეკონსტრუქციების შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალა და ნაწილობრივ დაკნინდა ისტორიული განაშენიანების ხასიათი. ძეგლის სტატუსის მქონე შენობათა ნუსხაში სასურველია შევიდეს მ. აბაშიძისა და კ. გამსახურდიას ქუ-

<sup>19</sup> შენობა პომერიანცის საკუთრება იყო. საბჭოთა პერიოდში შენობაში მოსახლეობა შეასახლეს.



ჩების მონაკვეთში მდებარე საცხოვრებელი სახლი და ადრინდელი ნიშუშის საფუძველზე აღდგენილი კინოთეატრ “აპოლოს” შენობა. მეტ-ნაკლებად პირვანდელი სახით შემორჩენილი კულტურული თითოეული ძეგლი, ისევე როგორც ქუჩის მთლიანი ანსამბლი, დასაცავ ფასეულობას წარმოადგენს.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

**ჭიჭილეიშვილი, 2013:** – ჭიჭილეიშვილი მ., ძველი ბათუმის რეკონსტრუქციის ზოგიერთი ასპექტი, ბათუმი-წარსული და თანამედროვეობა, IV, ბათუმი.

**Maia Chichileishvili**  
(Batumi, Georgia)

### **Arrangement of the Streets in Old Batumi (Memed Abashidze Avenue)**

#### Summary

Despite the ugly newly-built constructions erected during the Soviet and Post-Soviet periods in Memed Abashidze Avenue, a number of monuments of cultural heritage have still been preserved. Some part or quarters of the street represent more or less modern artistic ensemble distinguished with authenticity. The urban texture comprises all the types of the architectural development of the 19<sup>th</sup>-20<sup>th</sup> centuries. The reconstructions conducted in 1970-80s and the last decade of our century considerably altered or even partially declined the nature of historical arrangement. Each monument of cultural heritage preserved in more or less original form as well as the whole ensemble of the street represents a value to be protected.

## ილუსტრაციები



სურ. 1. სახლი №4



სურ. 2. სახლი №6



სურ. 3. მემელ აბაშიძის გამზირი  
№8



სურ. 4. მემელ აბაშიძის გამზირი  
№9



სურ. 5. მემელ აბაშიძის ქ. №10,  
მაზნიაშვილის ქ. №1



სურ. 6. მემელ აბაშიძის ქ. №12-14,  
მაზნიაშვილის ქ. №2



სურ. 7. მ. აბაშიძის გამზ. №13



სურ. 8. მ. აბაშიძის ქ. №16  
მაზნიაშვილის ქ. №3



სურ. 9. მ. აბაშიძის ქ. №16 სურ.



10. კ. გამსახურდიას ქ. №11 მ.  
აბაშიძის ქ. №22



სურ. 11. კ. გამსახურდიას №13



სურ. 12. მ. აბაშიძის ქ. №25  
მ. აბაშიძის ქ. №23



სურ. 13 მ. აბაშიძის ქ. №27



სურ. 14. მ. აბაშიძის ქ. №35




სურ. 15. მ. აბაშიძის ქ. №38,



სურ. 16 მ. აბაშიძის ქ. №41  
დ. თავდადებულის ქ. №19



სურ. 17. მ. აბაშიძის ქ. №43



სურ. 18. მ. აბაშიძის №44





სურ. 19. მ. აბაშიძის ქ. №45



სურ. 20. მ. აბაშიძის ქ. №49



სურ. 21. მ. აბაშიძის ქ. №53



სურ. 22. მ. აბაშიძის ქ. № 58  
ვ. გვაშველას ქ. №20

რომან აბაშიძე

(ბათუმი, საქართველო)

სასკოლო განათლების სისტემის ფორმირების  
აქტუალური საკითხები აჭარაში  
1878-1921 წწ.

ყოველი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა ადეკვატურად აისახებოდა და აისახება განათლებისა და კულტურის სფეროზე. ამ კუთხით არც საქართველო ყოფილა გამონაკლისი. ჩვენი კვლევის ყურადღების ქვეშ მოექცა საქართველოს განუყოფელი კუთხის-აჭარის სასკოლო განათლების სისტემის ისტორია 1878-1921 წლებში, რომლის ფორმირების პროცესი ისევე რთული იყო, როგორც იმდროისათვის არსებული ამ კუთხის პოლიტიკური ბატალიები. მაგრამ სანამ ამ თემას შევეხებოდეთ, აუცილებელია განვიხილოთ სახალხო განათლების სისტემის მოწყობის პრინციპები.

სახალხო განათლების სისტემისათვის დამახასიათებელია მის ცალკეულ რგოლებს შორის კავშირი, რომლებიც განათლების სხვადასხვა დონეს იძლევა. გამოკვეთილია ორი ძირითადი პრინციპული მიდგომა ამ კავშირების უზრუნველსაყოფად: „ერთიანი სიტემა აგებული მემკვიდრეობითობაზე, რომელიც უზრუნველყოფს განათლების ერთი საფეხურიდან მეორეზე მის ბუნებრივ გადასვლას და დუალიზმი, ე. ი. სასწავლო დაწესებულებათა ორი, პარალელური სისტემის არსებობა, რომლის დროსაც არ არის შესაძლებელი ერთი სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებიდან მეორეზე გადასვლა“ [Ядешко, Сохина, 1978: 74].

მემკვიდრეობით პრინციპებზე განათლების სისტემის მოწყობა ყოველთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის ხარისხიანი განათლების მისაღებად, მაგრამ აჭარაში არსებული პოლიტიკური, კულტურული ვითარება ამის საფუძველს არ იძლეოდა.

როგორც ცნობილია, მეთექვსმეტე საუკუნის ბოლოს აჭარაში თურქთა მმართველობა დამყარდა. უცხო ძალის მიერ აჭარისათვის თავს მოხვეულობა უცხო სარწმუნოებამ, ენამ და საგანმანათლებლო სისტემამ შეაფერხა ადგილობრივი მოსახლეობის კულტურული განვითარება.

აჭარის დედამამშობლოსთან დაბრუნებისთანავე, საქართველოში ფართო მოძრაობა გაიშალა „ბედისაგან მივიწყებულ ძმებთან“ გაც-

ნობა-დაახლოება-შეთვისებისათვის და ეს, პირველ რიგში, ქართულ ენაზე სწავლა-განათლების გავრცელებაში უნდა გამოხატულიყო. ეს იქნებოდა მძლავრი სტიმული ახლადგამოსწილ ქართველ მუსლიმანთა ეროვნული გათვითცნობიერებისა და კულტურული პროგრესის საქმეში. მაგრამ ამ მიზნის განხორციელება ძალიან რთული იყო, რადგანაც აქ უკვე არსებობდა მაჰმადიანური სასკოლო განათლების კერები, რომლებიც ხელს უშლიდნენ ქართული სასკოლო განათლების ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესს. აჭარის მოსახლეობის გამუსლიმანების რეჟიმი ფართოდ იყენებდა ჯამე-მედრესეების ქსელს. ეს იყო იდეოლოგიური იარაღი, რაც ეფექტურად მუშაობდა ოსმალეთის ასიმილაციური პოლიტიკის გასატარებლად. 1873 წლის ცნობების მიხედვით, ლაზისტანის სანჯაყში შემავალი კაზები ჯამე-მედრესეებით იყო მოფენილი: „ბათუმის კაზაში იყო 27 ჯამე და 31 მედრესე, სადაც მოღებეს ამზადებდნენ. ჩურუქსუს კაზაში 17 ჯამე და 26 მედრესე. ზემო აჭარის – “უღიას” კაზაში – 30 ჯამე და 30 მედრესე, ქვემო აჭარის – „სუფლიას“ კაზაში – 39 ჯამე და 32 მედრესე. მაჭახლის – 29 ჯამე და 32 მედრესე, გონიას (გონიო – რ. ა.) – 31 ჯამე და 56 მედრესე. ლაზისტანში 447 მეჩეთი ყოფილა, აქედან მარტო აჭარაზე 200–მდე მეჩეთი და 207 მედრესე მოდიოდა. შამაგიეროდ, აქ არც ერთი სკოლა არ გაუხსნიათ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ბათუმის ბერძნების ეკლესიასთან არსებულ ერთ სამრევლო სკოლას, რომელიც 1861 წელს დაარსდა“ *[ახელედიანი, 143: 44]*.

პირველად ბათუმში, 1881 წლის მარტში, სწორედ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ქართველი მაჰმადიანებისათვის დაარსა პირველი ქართული სკოლა – ორკლასიანი სასწავლებელი. ეს სკოლა იყო ბათუმის კულტურული ძალების თავშესაყარი, სადაც ტარდებოდა ზეიმები; სკოლა ასრულებდა ბიბლიოთეკის, კლუბის, კულტურის სახლის მოვალეობას. ამ სასწავლო დაწესებულებამ უდიდესი როლი შეასრულა აჭარლების ეროვნული გათვითცნობიერების საქმეში, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ, თავდაპირველად, ამ სკოლას სერიოზული პრობლემები ექმნებოდა ხოჯა-მოღების, ასევე რუსი ჩინოვნიკების მხრიდან

ისლამური სამყაროს რეაქციული წრის წარმომადგენლები კვლავაც ცდილობდნენ ისლამიზაციის პროცესის გაღრმავებას, მეფის რუსეთის ჩინოვნიკები კი გარუსებას. ამ კონტექსტში აქ ერთი საინტერესო დეტალია გასათვალისწინებელი: მეფის რუსეთის პოლიტიკა მედრესეების მიმართ მკვეთრად პრაგმატულ ხასიათს ატარებდა, კერძოდ: რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად, მართალია, აჭარა სამხრეთ-დასავლეთის სხვა რეგიონებთან ერთად დაუბრუნდა საქართველოს და რუსეთის შემადგენლობაში შევიდა, მაგრამ უცნაური ის იყო, რომ რუსეთის ახალი მმართველობის სისტემის დამკვიდ-

რების შემდეგ ჯამე-მედრესეები უცვლელი დარჩა. 1878 წლისათვის აჭარაში (ბათუმის ოლქში) არსებულა 207 მედრესე.

XIX საუკუნის 80-იან წლებში მედრესეთა რაოდენობა იწყებს შემცირებას. ეს ის პერიოდია, როცა აჭარის მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა დატოვა მამა-პაპისეული ადგილი და თურქეთში გადაიხვეწა, ბევრი მედრესეც მასწავლებლის გარეშე დარჩა და დაიხურა.

როგორც ცნობილია, რუსეთის თვითმპყრობელობა თავდაპირველად არ ეწინააღმდეგებოდა მედრესეების ფუნქციონირებას, მაგრამ შემდეგში განჭვრიტა ის საშიშროება, რომ მედრესეებთან ლოიალური მიმართებით გაუჭირდებოდა რუსული, ასიმილაციური პოლიტიკის გატარება ამ რეგიონში; ამიტომ მოგვიანებით იგი მტრულად განეწყო მაჰმადიანური სკოლების მიმართ, თუმცა გამოკვეთილი ფორმით არ გაულაშქრია მათ წინააღმდეგ. ცარიზმი დიპლომატიური მეთოდებით ცდილობდა ჯამეებსა და მედრესეებში მოღვაწე ხოჯა-მოლებში შეესუსტებინა ისლამური ფანატიზმი და ისინი რუსიფიკაციური პოლიტიკის გატარების სამსახურში თავისი მიზნების განსახორციელებლად გამოეყენებინა; ასევე ფიქრობდა, საერთოდ კავკასიაში მცხოვრებ მუსულმანთათვის გაეხსნა უმაღლესი სასულიერო სასწავლებელი. ცარიზმი თავისი შესაძლო მოქმედების მოტივაციურ საფუძვლად მიიჩნევდა იმასაც, რომ აჭარაში დაბალი იყო მოლათა მომზადების დონე, რომ ბათუმის, ქობულეთის, ქედისა და ხულოს საშუალო ტიპის მედრესეებს არ გააჩნდათ სწავლების ისეთი ბაზა, რომელიც უზრუნველყოფდა თეოლოგიური ცოდნის მქონე, მაჰმადიანურ კვალიფიციურ სასულიერო პირთა მომზადებას. სინამდვილეში, ცარიზმს სრულიად არ ადარდებდა მედრესეებში მოღვაწე მოლების ინტელექტუალური, თეოლოგიური მომზადების უაღრესად დაბალი დონე. რუსს მოხელეებს სურდათ მაქსიმალურად შეესუსტებინათ თურქეთის ისლამური ფანატიზმის გავლენა აჭარაში და ამ სასწავლებლებში მოემზადებინათ რუსეთის თვითმპყრობელობისათვის საჭირო ქვეშევრდომები აქაური მოსახლეობის გარუსებისათვის. ცარიზმი როცა დარწმუნდა მაჰმადიანი სასულიერო პირებით ვერ შეძლებდა თავისი პოლიტიკის გატარებას, უარი თქვა ამ ჩანაფიქრის განხორციელებაზე.

როგორც აღინიშნა, აჭარაში ცარიზმის დამკვიდრების პირველ წლებში დაიწყო მედრესეთა რიცხვის შემცირება. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი – იანოვსკი ამ საკითხთან დაკავშირებით წერს: „სხვადასხვა წლებში ამ კატეგორიის სკოლების რიცხოვნების შედარებიდან ჩანს, რომ ისინი (მედრესეები) არამარტო არ ვითარდება და არ იზრდება რიცხობრივად, არამედ პირიქით, მცირდება; და ეს მოვლენა უნდა ჩავთვალოთ სწორად ორგანიზებული რუსული სკოლის განვითარების, სახელმწიფო ენის ცოდნის აუცილებლობის შეგ-



ნების შედეგით, აგრეთვე რელიგიური ფანატიზმის შესუსტებით. ასეთი სასწავლებლების რიცხვის შემცირება საწყენი არაა, ზოგიერთი დირექტორის განცხადებით: სასწავლებლები (იგულისხმება მედრესეები რ. ა.) არა მარტო სავსებით უსარგებლოა სასწავლო-აღმზრდელობითი თვალსაზრისით, არამედ მოაქვთ უეჭველი ზიანი“ [

..., 1879: 580].

იანოვსკის მოხსენებით, რომ მედრესეთა რაოდენობა შემცირდა, სიმართლეს შეეფერება, მაგრამ მედრესეთა რაოდენობის შემცირების ძირითადი მიზეზი არ არის მოყვანილი. იანოვსკის მოხსენება თარიღდება 1879 წლით; ეს ის პერიოდია, მუჰაჯირთა რიცხვი მკვეთრად რომ იზრდება, რამაც ბუნებრივად განაპირობა მედრესეთა რიცხვის შემცირება, ამიტომაც ვფიქრობთ, რომ იანოვსკი შეგნებულად არ ასახელებს მედრესეთა რაოდენობის შემცირების ბუნებრივ მიზეზს, რადგანაც მათი რაოდენობის შემცირების დამსახურება მან მიიწეროს; თორემ ერთი-ორი წლის განმავლობაში ცარიზმი ვერანაირად ვერ შეძლებდა ვერც მედრესეთა რიცხვის შემცირებას და ვერც ისლამური ფანატიზმის მაქსიმალურად შესუსტებას.

საარქივო მასალები ცხადყოფს, რომ აჭარაში (ბათუმის ოლქში) 1901 წლის 23 ივნისისათვის არსებულია 133 მედრესე 3434 მოსწავლით. შემდგომ წლებში შეინიშნება მედრესეთა რიცხვის მატება: 1903 წელს იყო 154 მედრესე 3357 მოსწავლით, ხოლო 1913 წლისათვის – 192 მედრესე 4563 მოსწავლით.

რა მოხდა? ცარიზმმა დათმო პოზიციები მედრესეებთან დაკავშირებით?

ჩვენი აზრით, XX საუკუნის დასაწყისში აჭარაში მედრესეთა რიცხვის ზრდა რამდენიმე ფაქტორით უნდა ყოფილიყო განპირობებული: ჯერ ერთი, ცარიზმი პრაქტიკული საქმიანობით არ ეწინააღმდეგებოდა მედრესეთა საქმიანობას, ნდობის მოპოვების მიზნით მედრესეთა რიცხვის ზრდასაც, რადგანაც მის წინააღმდეგ გალაშქრება გამოიწვევდა აჭარის მოსახლეობის წინააღმდეგობას; მეორეც, XX საუკუნის დასაწყისში აჭარის მოსახლეობაში ინტენსიურად დაიწყო ნაციონალური შეგნების ფორმირება. მედრესეებში არსებული იდეოლოგია ხელს უშლიდა მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველების შეკავშირებას, რაც რუსეთის ინტერესებშიც შედიოდა, ამიტომაც სრულიად ბუნებრივია ცარიზმის მოხელეების მიმართება მედრესეთა რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებით.

მედრესეთა და ცარიზმის მიერ აღებული საგანმანათლებლო კურსი უარყოფითად მოქმედებდა ქართულ სასწავლებლებში მოსწავლეთა მიზიდვაზე, მოსწავლეთა საერთო რაოდენობის ზრდაზე, რასაც ერთვოდა ცარიზმის მოხელეების მოწოდება, რომ აჭარლები თურქები არიან და არა ქართველები; რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ გახს-

ნელ სკოლებში ამკვიდრებდნენ იმ აზრს, რომ აჭარლები ქართველი მუსლიმანები კი არა, თურქები არიანო. ადვილი წარმოსადგენია, ასეთ პირობებში როგორი მეთოდებით განხორციელდებოდა აჭარელი ახალგაზრდების ეროვნული ცნობიერების დამახინჯება.

ასეთ ანტიქართულ აგიტაციას ერთვოდა სწავლების რუსულ ენაზე დამკვიდრება, რაც კიდევ უფრო ართულებდა აჭარელი მოსწავლე-ახალგაზრდობის მდგომარეობას.

მაჰმადიან ქართველთა ეროვნული ცნობიერების აღდგენა და განმტკიცება მხოლოდ და მხოლოდ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ახლებურად წარმართვით იქნებოდა შესაძლებელი. სწორედ ამ კუთხით აჭარაში სასკოლო განათლების სფეროში კარდინალური ძვრები მოახდინა ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ, რომლის გამგეობა აცნობიერებდა აჭარაში შექმნილ ვითარებას და მის მიერვე დაარსებულ განათლების კერების მეშვეობით ცდილობდა მაჰმადიან მოძმეთა შორის ქართული ცნობიერების ჩამოყალიბებას.

„ქართული საქველმოქმედო საზოგადოების“ დაარსების დროს, აჭარაში მხოლოდ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სკოლა თუ ასრულებდა თავის დანიშნულებას.

საქველმოქმედო საზოგადოებამ დაინახა აჭარის მოსახლეობის აშკარა მისწრაფება განათლებისადმი და გადაწყვიტა აჭარის მშრომელი მოსახლეობისათვის გაეხსნა პირველდაწყებითი ქართული სკოლები. 1915 წლის 26 ნოემბერს გამგეობას მოუწვევია კრება, რომელმაც დასვა აჭარაში ქართული სკოლების გახსნის საკითხი და პრაქტიკულადაც შეუდგა საქმის განხორციელებას. „ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ“ სკოლების გახსნისათვის ერთდროულად გაიღო 16 ათასი მანეთი, ხოლო ყოველთვიური ხარჯების დასაფარავად 800 მანეთი. გამოყოფილი თანხა საკმარისი იყო წინასწარ გამიზნული ოთხი სკოლის გასამართავად და შენობათა შესაძენად. სასკოლო საქმის პრაქტიკული მოგვარება და საერთო ხელმძღვანელობა დაევა 1915 წლის დეკემბერში თბილისიდან ბათუმში ჩამოსულ ღვაწლმოსილ პედაგოგს იერემია გულისაშვილს. მან მოიარა ხულო და ქედა, დააზუსტა თუ სად იყო საჭირო პირველ რიგში სკოლების დაარსება. მონახულა ჰაიდარ აბაშიძე და სიხარულით აუწყო: „აჭარაში მშობლიური სკოლების გახსნის საკითხზე ვარ გამოგზავნილი“.

საბოლოოდ დაზუსტდა, რომ აჭარის ექვს სოფელში უნდა გახსნილიყო პირველდაწყებითი სკოლები და მართლაც მეცადინეობა მალე დაიწყო შემდეგ სკოლებში: ყოროლისთავში – 4 მარტს (ორკომპლექტიანი), ხუცუბანში – 6 მარტს (სამკომპლექტიანი), ალამბარში – 7 მარტს (ორკომპლექტიანი), ჩხუტუნეთში – 10 მარტს (ერთკომპლექტიანი), ქვედა აგარაში (ქედა) – 15 მარტს (ერთკომპლექტიანი),

ზედა აგარაში (ხულო) – 15 მარტს (ერთკომპლექტიანი), მოგვიანებით გაიხსნა ერთკომპლექტიანი სკოლა წყალსიმერში.

ეს ქართული სკოლები აჭარაში გაიხსნა 1914 წლის პირველი ივლისის კანონის მიხედვით; ამ კანონის თანახმად, ყველა კერძო სკოლას ნება ეძლეოდა სწავლა-აღზრდის საქმე მშობლიურ ენაზე ეწარმოებინა.

1914 წლის კანონი მშობლიურ ენაზე სწავლების უფლებას აღეგნა არასახელმწიფო სკოლებს, რადგან მათ მოსწავლეებს არ ჰქონდათ უფლება საუნივერსიტეტო განათლების მიღებისა. სახელმწიფო სკოლებში კი რუსულ ენაზე უნდა წარმართულიყო სწავლება, რადგან გიმნაზიები რუსული უნივერსიტეტისათვის ამზადებდნენ ახალგაზრდებს.

აჭარაში ქართული სკოლების დაარსებას დიდი სიხარულით შეხვდა აჭარის მოსახლეობა. მიუხედავად მაჰმადიანი სასულიერო პირების წინააღმდეგობისა, სულ მოკლე ხანში ბავშვებით აივსო სკოლები. აი, რას აღნიშნავდა აჭარის განათლების ისტორიის მკვლევარი გრ. ბაბილოძე: „მაშინ როცა სამინისტროს სკოლებში აჭარისწყალზე, მახუნცეთში, ქედასა და ხულოში მოსწავლეთა რიცხვი არ აღემატებოდა 12–15-ს, საქველმოქმედო საზოგადოების მარტო ქვედა აგარის სკოლაში ირიცხებოდა 83-მდე მოსწავლე. სკოლის გახსნის პირველ დღეებში კი აღნიშნულ სკოლაში 30-მდე ბავშვი სწავლობდა. სულ შეიდიოდა ქართულ სკოლაში 424 ქალ-ვაჟი *[ბაბილოძე, 1975: 37]*“

„ქართული საქველმოქმედო საზოგადოების“ მიერ დაარსებული სკოლების მასწავლებლებისათვის შექმნილი იყო პირობები ნაყოფიერი მუშაობისათვის. მათი ჯამაგირი გიმნაზიის მასწავლებელთა ჯამაგირს სჭარბობდა. ამას ადასტურებს აჭარის სახელმწიფო არქივში აღმოჩენილი დოკუმენტი, საიდუმლო პატაკი, რომელიც ბათუმის უბნის უფროსის მიერ ბათუმის ოლქის გუბერნატორისადმი გაგზავნილი. მასში ნათქვამია: „ქართული საქველმოქმედო საზოგადოების“ სკოლების მასწავლებლები, ჩვენს მიერ დაარსებული სკოლების მასწავლებლებთან შედარებით დებულობენ 3-4-ჯერ მეტ ხელფასსო“ *[ახსცსა, ფ. 13, ს. 74, ფურც. 36]*

მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლებს კარგი პირობები ჰქონდათ მუშაობისათვის, მასწავლებლობა აჭარაში მაინც ჭირდა. ამის მიზეზი საკმაოდ ბევრი იყო, კერძოდ: საგაზაფხულო და საშემოდგომო სამუშაოებთან დაკავშირებით, მოსწავლეთა უმრავლესობა არ ცხადდებოდა სკოლაში; აჭარაში დიდი ზამთრის გამო სკოლაში მეცადინეობა თითქმის ერთ თვეს წყდებოდა. მეორე მნიშვნელოვანი მიზეზი იყო ის, რომ ბავშვი სკოლაში შესვლამდე, 5 წლის ასაკიდან, მედრესეში იწყებდა სიარულს, სადაც არაბულსა და ოსმალურს ასწავლიდნენ ხოლო სახალხო სკოლაში – ქართულსა და რუსულს.

სკოლაში შესვლის შემდეგ ბავშვს 4 ენაზე უხდებოდა სწავლა და თავისი ასაკობრივი და ფსიქოლოგიური თავისებურებებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ვეღარ ამჟღავნებდა მზაობას ახალი მასალის ასათვისებლად, რაც სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა მასწავლებლებს.

აღნიშნულ მიზეზებს, როგორც აღინიშნა, ემატებოდა პანთურქული ელემენტების რეაქციული ქმედებანი ქართული სკოლების წინააღმდეგ. მათმა თავგასულობამ იქამდეც კი მიაღწია, რომ 1918 წლის თებერვალში შეიჭრნენ ყოროლისთავის სკოლაში და მთლიანად გაძარცვეს; ადგილობრივი მოსახლეობის დახმარება და მხარდაჭერა რომ არა, მასწავლებლებს ფიზიკური ლიკვიდაციის საფრთხე ემუქრებოდათ.

ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მიერ გახსნილი სკოლების წარმატება რამდენიმე ფაქტორით იყო განპირობებული. XIX საუკუნის მეორე ნახევარში და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში ორი ერთმანეთის საპირისპირო მიმართულების სკოლა იყო ჩამოყალიბებული. პირველი იყო ე. წ. სახელმწიფო სკოლები, რომელიც თითქოსდა მოსწავლეთა განათლების მიზნით, რუსულ ენაზე აწარმოებდა სწავლების პროცესს და მიზნად ისახავდა რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარებას და მეორე სახალხო სკოლები, რომელთა მთავარ მზრუნველად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და ქართული საქველმოქმედო საზოგადოება ედგა სათავეში, ისინი მნიშვნელოვან სახსრებს იღებდნენ არსებული სკოლების შენახვისათვის და განათლებას მშობლიურ, ქართულ ენაზე იძლეოდნენ.

„ამ ორ, პარალელურად არსებულ და ურთიერთდაპირისპირებული სისტემის სკოლებს პრინციპულად განსხვავებული ნიშან-თვისებები გააჩნია: 1) ცარიზმის სკოლა უარყოფს სწავლების დედაენაზე განხორციელებას, აგრეთვე ქალ-ვაჟთა ერთად სწავლების პრინციპს და არ ცნობს სწავლების საყოველთაო ხასიათს. 2) ეროვნული სკოლა თავისი ბუნებითა და შინაარსით არის დედაენაზე სწავლების, აგრეთვე საყოველთაო და ქალ-ვაჟთა ერთად სწავლების სკოლა, რომელიც, ამავე დროს, უფასო განათლებას იძლევა. აქედან გამომდინარე, ამ ორი სისტემის სკოლებს აღზრდის პრინციპულად განსხვავებული მიზნები და ამოცანები ჰქონდათ დასახული“ *[გაზ. „სახალხო განათლება“, 1980, №40]*.

აჭარაში არსებული ქართული სკოლების პარალელურად არსებობდა მედრესეებიც. კონფესიური სასწავლებელი – მედრესეს სახით, უდიდეს ბარიერს უქმნიდა ქართულ სკოლებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ქართული სკოლები მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევდა.

1918 წლის 26 მაისის უმნიშვნელოვანესი თარიღია საქართველოს ისტორიაში. სწორედ ამ დღეს ქართველმა ერმა ხორცი შეასხა საუკუნოვან ოცნებას – აღიდგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა,

როგორც თურქთა, ასევე ინგლისელთა ბატონობის პერიოდში განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ქალთა განათლება. ეს გარემოება უყურადღებოდ არ დარჩენია საქველმოქმედო საზოგადოებას. მის ინიციატივას მხარი აუბა ე.წ. „ეროვნულმა საბჭომ“ და ერთობლივად გადაწყვიტეს ქალებისა და ვაჟებისათვის ქართული გიმნაზიის გახსნა.

1919 წლისათვის ბათუმის ოლქში განათლების სფეროს ხელმძღვანელობდა შავრაზმელი ზაჩინიაევი, რომელიც ეწეოდა ანტიქართულ პროპაგანდას, ყველანაირად ცდილობდა აჭარის მოსახლეობაში ყოველგვარი ქართული, ნაციონალური სულისკვეთების ჩახშობას და კატეგორიულადაც გაილაშქრა ქართული გიმნაზიის გახსნის წინააღმდეგ.

საქართველოს განათლების სამინისტრო უყურადღებოდ არ ტოვებდა სამშობლოსგან დროებით მოწყვეტილ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის ინტერესებს. ამისათვის თავისი რწმუნებულებით კი გააგზავნა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში, რათა ახლოს გასცნობოდნენ სკოლების მდგომარეობას.

აჭარის ცენტრალურ არქივში დაცული მასალები ცხადყოფენ, რომ აჭარის მკვიდრნი ვერ ეგუებოდნენ არსებულ სინამდვილეს. სწორედ აჭარის მოსახლეობის მოთხოვნებით იყო ნაკარნახევი ის ფაქტი, რომ 1919 წლის 1 მარტს ქ. ბათუმში გაიხსნა ქართული გიმნაზია ქალებისა და ვაჟებისათვის, რისთვისაც საქართველოს ცენტრალურმა მთავრობამ, როგორც გიორგი საყვარელიძე წერს წიგნში („მკვდრეთით აღდგომა ქართული სკოლისა 1918-1921 წწ.“ – გაიღო 100000 მანეთი *[საყვარელიძე, 1990: 17]*.

აი, რას გადმოგვცემს გახეთი „ერთობა“: „გიმნაზია გაიხსნა მარტში, ბავშვები ბლომად გამოცხადნენ. ვსთხოვეთ მთავრობას, ბინა მიეუთითეთ ისეთ ბინებზე, რომლებიც ან სულ თავისუფალი იყო, ანდა ზოგ სკოლაში სამოციოდე ბავშვი სწავლობდა. უარი გვითხრეს, მაშინ ვთხოვეთ ნება, რომ შეეფარებიათ გიმნაზია რომელიმე სასწავლებელში, ნასადილეობით, ამაზეც უარი მივიღეთ. ამრიგად, ჩვენი გიმნაზია დარჩა უბინაოთ. ჩვენ იძულებული გავხდით მოგვეთავსებია ნაწილი ქართული სკოლის შენობაში და ნაწილი კერძო სახლში, პატარა ოთახებში, სადაც უჰაერობის გამო მოწაფეებს გული მისდიოდათ და მასწავლებლებიც ძლივს იდგნენ ფეხზე. ქალაქს ქართული გიმნაზია უნდა დაებინავებინა და გუბერნატორმა არ დაამტკიცა, ვინაიდან განათლების გამგეს ბატონ ზაჩინიაევს არ სურდა, თუმცა საბჭოში იუდასაებრივად ამბორ გვიყო. არავითარმა მუდარამ, თხოვ-

ნამ, დელეგაციებმა არ გასჭრა. ამნაირად, ქართული გიმნაზია და ქართული სკოლა დღესაც უბინაოდაა. გიმნაზია, სადაც 600 მოსწავლე სწავლობს, მეცადინეობს ძველ შარშანდელ ბინაზე, ისევე დილა სადამოს განუწყვეტლივ, მარა როგორც მასწავლებლები, ისე მოწაფეები ერთხმად აცხადებენ, რომ თუ ეს ასე გაგრძელდა, თუგინდ ორი თვეც; გიმნაზია უნდა დაიხუროს, რადგან ვერც მასწავლებლები და ვერც მოწაფეები ამ პირობებში მუშაობას ვერ გაუძლებენ. ქალაქის სკოლა კი სრულიად არ მეცადინეობს“ **[გაზ. „ერთობა“, 1919, №233]**.

ქართული გიმნაზიის პირველი დირექტორი იყო, შემდგომში საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მუშაკი, პროფესორი, აკაკი ფადავა. გიმნაზიის მასწავლებლები იყვნენ: დ. ქუთათელაძე, ვ. გალდავა, ლ. ჩიმაკაძე და სხვ.

ბათუმის ოლქში ინგლისელთა მმართველი აპარატი ზაჩინიავეთან ერთად ხელოვნურად ჰქმნიდა ბარიერს სასკოლო განათლების შესაფერხებლად. სასკოლო შენობების უმრავლესობა საოკუპაციო ჯარებს ეკავათ, სკოლები, როგორც აღვნიშნეთ შეხიზნული იყო მათთვის გამოუსადეგარ შენობებში. კერძოდ, მაგალითისათვის მოვიყვანოთ: ბათუმის პირველი ქართული სასწავლებელი მარინეს ქალთა სასწავლებელში, მუსლიმანთა სასწავლებელი სუკოიანის დაქირავებულ ბინაში, ებრაელთა სასწავლებელი დიასამიძის დაქირავებულ ბინაში, მეორე ქართული სასწავლებელი განლაგებული იყო მამუდ ხალილ-ოღლის ბინაში, გოგოლის სახელობის სასწავლებელი-მაზმანოვის დაქირავებულ ბინაში და ა.შ.“ **[კომახიძე, 1995: 123]**.

ზაჩინიავეის ანტიეროვნული პოლიტიკა გამოვლინდა იმაშიც, რომ მან ხელი შეუწყო ექიმ ოსეფეევს (რომელიც თბილისში ანტიქართულ პროპაგანდისათვის საქართველოს მთავრობამ გააძევა) ბათუმში ეკლესიასთან ახლოს გაეხსნა რუსული სკოლა, რისთვისაც საოლქო თანხებიდან გადაერიცხა 280 000 მანეთი.

ზაჩინიავეის მიკერძოებულ საგანმანათლებლო პოლიტიკის წინააღმდეგ გაილაშქრა „სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოებამ“; მას მხარი აუბა 500-600 ქართველმა მოსწავლემ; ისინი მოითხოვდნენ, რომ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ნორმალურად წარმართვისათვის გადაეცა მათთვის ნორმალური შენობა, მაგრამ ამოდ. ასეთ წინააღმდეგობრივ პირობებში რთული იყო ქართული სასკოლო კერები მომრავლებულიყო და არსებულ სკოლებშიც ნორმალურად წარმართულიყო სასწავლო პროცესი. თუმცა 1919 წლის 1 მარტს ბათუმში გახსნილი ქალებისა და ვაჟებისათვის განკუთვნილი ქართული გიმნაზია 1920 წელს გაიყო ქალთა და ვაჟთა ქართულ გიმნაზიებად, რუსული პარალელური კლასებით.

1919 წლის 27 მარტს, ქალაქის საბჭოში უკვე მერამდენედ დაიხვია საკითხი გიმნაზიისათვის სასკოლო შენობის გამოყოფის თაობაზე. საბჭოს რეაქციული შემადგენლობა ზანინიაევის ხელმძღვანელობით უარს ამბობს ქართველი დეპუტატების სამართლიან მოთხოვნაზე. მიუხედავად წინააღმდეგობისა, ხმათა უმრავლესობით ქალაქის საბჭომ მაინც დააკმაყოფილა ქართველი პატრიოტების სამართლიანი მოთხოვნა.

აჭარაში განათლების სფეროში არსებული კრიზისის დასაძლევად, საქართველოს მთავრობამ დამფუძნებელი კრების 1920 წლის 30 მარტის დადგენილებით, ბათუმის ქართულ გიმნაზიას ერთდროული დახმარების სახით 260 000 მანეთი გადაურიცხა.

ყველა იმ ორგანიზაციას, რომელიც ატარებდა აჭარაში ეროვნულ პოლიტიკას და საქართველოს მთავრობის იდეოლოგიური კურსის გამტარებლები იყვნენ, „თავის მხრივ, საქართველოს მაშინდელი მთავრობა (იგულისხმება დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა რ.ა.), ამ ორგანიზაციებს ფინანსურად ეხმარებოდა. მარტო 1918 წლის 25 ოქტომბრიდან 1919 წლის 28 აგვისტომდე, მათ რესპუბლიკის მთავრობის მხრივ 1 მილიონ 975 ათასი მანეთის დახმარება გაუწია“ **[გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №80].**

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად ბათუმის ქართული გიმნაზიის სასარგებლოდ ტარდებოდა საქველმოქმედო, ტრადიციული საღამოები, რისთვისაც იწვევდნენ გამოჩენილ მწერლებსა და მომღერლებს თბილისიდან.

იმ მზრუნველობაზე, რასაც საზოგადოება იჩენდა ინტერნაციონალში, მეტყველებს მისი ხარჯთაღრიცხვაც. 1919 წელს გამგებამ 21 500 მანეთი გამოჰყო. გამგებამ ქალაქ ბათუმში ბიბლიოთეკაც კი დაარსა. პანსიონში აღზრდილმა მოსწავლეებმა, თითქმის ყველამ შეძლო უმაღლესი განათლების მიღება. მათ შორის ბევრმა ასახელა სრულიად საქართველო, მაგალითისათვის: მამია კომახიძე (ექიმი, აკადემიკოსი), ახმედ ნოლაიდელი (ქიმიკოსი, პროფესორი), იუსუფ ცივაძე (იურისტი) და სხვა.

„სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოების, მეოხებით დაწყებითი სკოლები გაიხსნა: „1918 წ. – წყავროკაში, 1919 წ. – ანგისაში, 1920 წ. – აჭარისწყალსა და ერგე-ჯოჭოში, ხოლო 1921 წ. – ფიჭვნარსა და მახინჯაურში“ **[ახსნცსა, გ. რ-5, ს. 106, ფურც. 28-29].**

ქალაქ ბათუმის ეროვნული საბჭო, სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოება ქართული ეროვნული მთავრობის პოლიტიკური კურსის გამტარებელი ორგანიზაციები იყვნენ, რომლებმაც ეროვნული მთავრობის მხარდაჭერით შეძლეს არა მარტო მანამდე

დახურული სკოლების განახლება, არამედ ახალი სასწავლო დაწესებულებების გახსნა.

ბათუმის ოლქში კი ისტორიული ვითარება თავის გავლენას მაინც ახდენდა როგორც ეკონომიკურ, ასევე კულტურის, განათლების ხასიათსა და მიმართულებაზე. ურთულეს პირობებში მაინც მაინც მოხერხდა ქართული სასკოლო ქსელის ამოქმედება, თუმცა „1921 წლისათვის აჭარის 5 ათეულამდე სკოლაში 150 მასწავლებელი მუშაობდა. აჭარის ბელუკუდმართი ისტორიის გამო, მათგან არც ერთი აჭარელი არ ყოფილა. ამ დროისათვის აჭარაში წერა-კითხვა მოსახლეობის 7-მა პროცენტმა იცოდა [წულუკიძე, 2002: 92].

აჭარაში სასკოლო განათლების სისტემა კვლავ რჩებოდა შერეული ხასიათის; აქ მცირერიცხოვანი ქართული სკოლების გვერდით არსებობას აგრძელებდნენ: რუსული, ბერძნული, სომხური, ებრაული სკოლები, მაჰმადიანური განათლების კერები, რომლებიც ეწეოდნენ ანტიქართულ აგიტაციას; საქართველოს ამ რეგიონში საქართველოს იურისდიქციის აღდგენა არ იყო საკმარისი ფაქტორი იმისათვის, რომ ანტიეროვნულ ძალებს მოეხდინათ მათი ვერაგული მიზნების განხორციელება. ისინი ხელს უშლიდნენ ქართულ სკოლებში მოსწავლეების მიზიდვას, აჭარის მოსახლეობაში ეროვნული ცნობიერების განმტკიცებას.

მიუხედავად აჭარის მოსახლეობის დიდი ნაწილის წერა-კითხვის უცოდინარობისა, ამ მართლაც უმძიმეს ხანაში, მათ მიერ გახსნილ სკოლებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აჭარის მოსახლეობისათვის არა მარტო ელემენტარული განათლების მიღების, არამედ მათი ეროვნული გათვითცნობიერებისათვის.

### **გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:**

**ახელედიანი, 1943:** – ახელედიანი; ნარკვევი აჭარის ისტორიიდან (16-19 სს), ბათუმი;

**ასსცსა, ფ. რ-5, ს. 106** – აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-5, საქმე №106.

**ასსცსა, ფ. 13, ს. 74** – აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 13, საქმე №74.

**ბაბილოძე, 1975:** – ბაბილოძე; ნარკვევები განათლებისა და კულტურის ისტორიიდან, ბათუმი.

**გაზ. „ერთობა“, 1919, №233.**

**გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №80.**

**კომახიძე, 1995:** – კომახიძე; აჭარის მოამაგენი, ბათუმი.



საყვარელიძე, 1990: – საყვარელიძე, შკვდრეთით აღდგომა ქართული სკოლისა 1918-1921წწ, თბილისი.

ქინქლაძე, 1980: – ქინქლაძე: მაცხოვარი სხივი განათლებისა,– გაზ. „სახალხო განათლება“

წულუკიძე, 2002: – წულუკიძე: განათლების ისტორიისათვის აჭარაში, ბათუმი.

ჯაფარიძე, 1920: – ჯაფარიძე, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“.

, 1978: – , ; , .

.., 1879: – . . . 1879,

**Roman Abashidze**

*(Batumi, Georgia)*

### **Current Issues of School Education System Formation in Ajara in 1878-1921**

#### Summary

After returning of Ajara to the homeland it was decided to create the Georgian school education system. The social-political situation in Ajara became the reason to create a school education system built on the principles of dualistic. Here there was a Georgian, Muslim, schools founded by Tsarist, whose ideological orientation was quite different from to each other and hampering the education of local, indigenous people. This resistance was not enough to create the Georgian school education system built according to the hereditary principles.

## ბათუმის თეატრის მენაბრის მემორაბ (მურად) ხინიკაძე

- ცხოვრებისეული ეპიზოდები -

მერაბ (მურად) ხინიკაძე იყო ბათუმის სახელმწიფო თეატრის მემატიანე, ქართული სცენის უბადლო ოსტატი, დიდი საზოგადო მოღვაწე, წლების მანძილზე ბათუმის სახელმწიფო თეატრის დირექტორი (1958-1962; 1974-1978 წწ) თეატრალური საზოგადოების აჭარის განყოფილების თავმჯდომარე, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს და ბათუმის სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს არაერთგზის დეპუტატი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი 1943 წლიდან, ხოლო 1955 წელს გახდა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

ის დაიბადა გლეხის ოჯახში, 1912 წლის 28 იანვარს, ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში. მისი ბაბუა მამული მუჰაჯირი ყოფილა, თუმცა მალე დაბრუნებულა უკან, რადგან დიდი გაჭირვება და წვალება გამოუვლია უცხო ქვეყანაში. როდესაც მერაბ ხინიკაძის მამა მემედი თავის ძმებს გამოეყო, ბაბუაც მათთან გადმოსულა საცხოვრებლად, რადგან უნდოდა წაშველებოდა 6 შვილის მამას. მემედ ხინიკაძე თავის მეუღლესთან მერიემ ბაჯელიძესთან ერთად დღე და ღამე შრომობდნენ, რათა შვილებს საჭმელ-სასმელი არ მოკლებოდათ.

მემედი არ ეკუთვნოდა აჭარლების გამუსლიმანების პოლიტიკის ბრმა მიმდევართა რიცხვს და ცდილობდა შვილებისთვის ჩაენერგა სამშობლოს, ქართული კულტურისა და ენის სიყვარული. მემედ ხინიკაძემ ერთმა პირველთაგანმა აიღო ხელი მაჰმადიანური სარწმუნოების წესების დაცვაზე. აღარ ლოცულობდა, მარხვას არ ინახავდა. ამის გამო ზოგი თანასოფელელის რისხვაც კი დაიმსახურა *[დავითაია, 1957: 4]*.

მურადის ბავშვობამ გაჭირვებაში და სიღარიბეში გაიარა. ის ოჯახს პატარაობიდანვე ეშველებოდა სამეურნეო საქმეებში.

მერაბი როცა წამოიზარდა, როგორც წესი, სწავლა უნდა დაეწყო ჯამეში, ლოცვის თავების შესასწავლად. ეს აუცილებელი იყო როგორც ვაჟების, ისე ქალებისათვის. ქალ-ვაჟები ერთად სწავლობდნენ. მედრესეს ერთ დიდ ოთახში, სადაც კუთხეებში ფიცრებისაგან გრძელი საჯდომები იყო გაკეთებული, ისხდნენ ქალები ცალკე და ვაჟები ცალკე. ლოცვის თავებს აზეპირებინებდნენ არაბულ ენაზე. დიდად მონდომებული და რწმენით ავსებული უნდა ყოფილიყავი, რომ მთელი ცხოვრება გელოცა ისე, ერთი სიტყვაც არ გესმოდეს შენი ლოცვის,

ამაზე მეტი სიბრყვე არსებობს?. გარდა გამონაკლისისა, თავად ხოჯებმაც არაბული არ იცოდნენ, ლოცვის თავებს ზეპირად წარმოთქვამდნენ და ჩვენც ასე გვაიძულებდნენ – წერს მერაბ ხინიკაძე *[ხინიკაძე, 1987: 14]*.

მისი ბიოგრაფიიდან საინტერესოა ერთი ფაქტი, რაც მისი ოჯახის ჭეშმარიტ ქართველობაზე მეტყველებს: მემედ ხინიკაძეს ბათუმიდან თურმე ერთი ქართველი მეგობარი ეწვია, რომელიც ამ სტუმრობის შესახებ ასე იგონებს: „ერთ დღეს ერთ აჭარელ გლეხს ვესტუმრე. მე მას ვიცნობდი მეფის დროს ერთად ვმუშაობდით. მასპინძელი შინ არ დამხვდა. ეზოში 5-6 წლის ბიჭს გამოველაპარაკე. იგი ჩემი მეგობრის შვილი (მერაბ ხინიკაძე-ი. ბ.) აღმოჩნდა. მე მას გავეხუმრე, ბიჭიკო, შენ უნდა წაგიყვანო და გაგაქართველო-მეთქი. ბავშვი ჯერ გაკვირვებით მომანერდა, შემდეგ წყრომით მითხრა: „ქართველი რაფრა უნდა გამაქართველოო“ *[დავითაია, 1957: 5]*. ეს სიტყვა პატარა მერაბის პატრიოტული გრძნობის პირველი გამოხატულებაა. მან თავისი ცხოვრების გზაზე, მართალია, ბევრი სიძნელე, გაჭირვება გადაიტანა, მაგრამ არ დაუკარგავს ადამიანური ღირსება და კარგი ქართველის საპატიო სახელი დაიმკვიდრა.

1932 წელს ცნობილმა რეჟისორმა სანდრო ახმეტელმა ახალგაზრდების ჯგუფი წაიყვანა ბათუმიდან რუსთაველის სახელობის თეატრში აღსაზრდელად მათ შორის იყო მურად ხინიკაძე, იუსუფ კობალაძე, ხ. მეგრელიძე და სხვები.

დაიწყო მურადის ცხოვრებაში მსახიობის რთული გზა რუსთაველის თეატრის სტუდიაში. იქ გატარებულმა ოთხმა წელმა, თეატრის სპექტაკლებში მონაწილეობამ, ამ სპექტაკლების რეჟისორების დასწრებამ მას დიდი გამოცდილება შესძინა.

საინტერესოა ერთი ფაქტი: დიდი საზოგადო მოღვაწე მემედ აბაშიძე თურმე ხშირად ჩადიოდა თბილისში, თეატრში შეივლიდა სანდრო ახმეტელს ეტყოდა: „აბა შენ იცი, საშა, ჩემი შვილებია შენთან და კარგად მოუარეო...ერთხელ ახმეტელმა გამოიძახა მურადი. მასთან მემედ აბაშიძე ყოფილა... ის მამაშვილურად მოფერებია მურადს, დაურიგებია კარგად ესწავლა, სამშობლო გაეხარებინა და სირცხვილი არ ეჭამა. ახმეტელისთვის კი უთქვამს: „გვეყო გასტროლებიო, ახლა საკუთარი თეატრი დაგვიარსე, მაგრამ იცოდე, საშა, პირველად აჭარის ცხოვრებიდან უნდა დადგა პიესაო“ *[ხინიკაძე, 1986: 42]*.

სტუდიის დამთავრების შემდეგ ორი წელი მუშაობდა თბილისში შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში.

1937 წელს სხვა სტუდენტებთან ერთად მერაბი ჩამოვიდა ბათუმში და პირველსავე სპექტაკლში (გ. მდივნის „ბრმა“) მთავარ

როლს თამაშობდა. მსახიობმა ყურადღება მიიპყრო გამორჩეული სცენური ოსტატობით. ასე დაიწყო მერაბ ხინიკაძის წარმატებული გზა ბათუმის სახელმწიფო თეატრში.

პიროვნებას, რომელსაც ასე უყვარდა თეატრი და მსახიობობა შეიძლება წარმატებისთვის არ მიეღწია? დიახ, სწორედ თავისი საქმისადმი უდიდესმა სიყვარულმა და თავგანწირულმა შრომამ მურადს მოუტანა წარმატება. სხვანაირად არ შეიძლებოდა. იქ სადაც არ არის სიყვარული არ არის წარმატება. იქ, სადაც არის სიყვარული არის წარმატება. ეს სრული ჭეშმარიტებაა..

სწორედ სცენისადმი დიდმა სიყვარულმა მოუტანა მერაბ ხინიკაძეს აღიარება კიკვიძის როლის შესრულებისთვის. ამიტომაც თეატრ-მცოდნე ე. დავითაია სამართლიანად წერს: „მერაბ ხინიკაძეს მარტო ვასილ კიკვიძე რომ ეთამაშა, მაინც შეეძლოდა ქართული თეატრის ისტორიაში, როგორც ერთ-ერთი უნიჭიერესი მსახიობი. არ არის მაყურებელი, რომ მურადს თავისი „გენაცვალებით“ არ მოეხიბლა. 1942 წლიდან თითქმის ყველა სეზონის რეპერტუარში შედის „კიკვიძე“ და მას მუდამ ურიცხვი მაყურებელი ჰყავს. რა არის ამის მიზეზი?... მსახიობური შესრულება?! აი, მიზეზი, რამაც ბათუმელ და საერთოდ ქართველ მაყურებელს არ მოაბეზრა ეს სპექტაკლი მაშინაც კი, როდესაც პრემიერისათვის დახატული უკანა ფარდა გაცვდა და გახეული ტილოდან სინათლე მოჩანდა **[დავითაია, 1957: 99]**.

„კიკვიძე“ თხუთმეტი წლის განმავლობაში იყო ბათუმის თეატრის რეპერტუარში. მსახიობმა 200-ზე მეტჯერ ითამაშა ეს როლი მაყურებლით გაჭედილ დარბაზში. აი რას წერს პიესის ავტორი ვანიონ დარასელი მ. ხინიკაძეს: „მინდა რომ თქვენი რეპერტუარიდან არ ამოვარდეს. ამბობენ შენს კიკვიძეს ჯერჯერობით არ ჰყავს ბადალი. მე შენს მერე კიდევ ორი სხვა კიკვიძე ვნახე, მაგრამ მართლაც, რომ შენისთანა კიკვიძე იშვიათია. ჰოდა მიიღე ჩემი გულწრფელი სალამი და დიდი სიყვარული, როგორც საუკეთესო „კიკვიძემ“ შენი პატივისმცემელი ვანო დარასელი“ 13.02.1952 თბილისი **[დავითაია, 1957: 42]**.

კიკვიძის როლის მზადებასთან დაკავშირებით მურადი იგონებს შემდეგს: „კიკვიძემ დიდი წარმატება მომიტანა ცხოვრებაში. მთელი მზადების პერიოდში დავდიოდი გალიფე შარვლით, ჩექმებით და ბლუზით. თავზე ჯუბანკა მეხურა. ასე დავდიოდი ცხოვრებაში, ვიდრე პრემიერა არ წავიდა. ერთ დღეს ბაზართან დავინახე ცხენით მოდის სამხედრო ოფიცერი, რომელსაც ძვირფასი გრძელბეწვიანი ნაბადი ეხურა, გავაჩერე, ბოდიში მოვუხადე და ვინაობა გამოვკითხე, თუ სად იდგა მისი ნაწილი. ეს იყო ნაწილი, რომელიც უკან დახეული იყო კავკასიის ბრძოლებიდან. თეატრის დირექტორს მოველაპარაკე და წავედით პოლკის უფროსთან ქვემო გოროდოკში, გამოვაძახებინეთ ის მეთაური და პოლკის უფროსის დახმარებით ვიყიდეთ 100 მანეთად ეს

ნაბადი, რომელიც მას შეუძენია დაღესტანში. სიხარულით ცას ვეწიე. შემდეგ ცხოვრებაში დავდიოდი ამ ნაბდით და ხის კაბურიანი მაუზერით. ხმალი, მაუზერი და ნაბადი შეიქმნა ჩემი განუყოფელი ნაწილი, ისე მივეჩვიე და ისე მოხდენილად ვხმარობდი, რომ თუ რომელიმე არ მქონდა თავს ცუდად ვგრძნობდი და რაღაც მაკლდა **[ხინიკაძე, 1970: 7]**.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ფრიდონ ხალვაშის პიესა „ხიხანის ძახილი“ (სისხლიანი ქვეები). პიესა ეხება აჭარის მოსახლეობის ბრძოლას ოსმალო დამპყრობთა წინააღმდეგ. ამ ბრძოლას სათავეში ედგა აჭარა-ახალციხის ფაშა სელიმ ხიმშიაშვილი. 1815 წლის 3 ივნისს სელიმს თავი მოჰკვეთეს საჯაროდ ხიხანის ძირის მიმდებარე სოფელ ბაკოში. სელიმმა სიკვდილის წინ წარმოთქვა გმირული სიტყვა: “მე მჭრით თავს, მაგრამ გეტყვით, რომ გურჯისტანი ოსმალოს სამუდამოდ არ შერჩება. ამის ხსოვნას მე ჩემს შვილებს დაუტოვებ“. მართლაც ასრულდა მისი დანატოვარი სიტყვა. აჭარა დედა სამშობლოს დაუბრუნდა. და დღეს ამაყია ქართველი ერი, როდესაც სელიმ ხიმშიაშვილის სახელის უკვდავსაყოფად აღინიშნა დაბადების 250 და გმირული სიკვდილიდან 190 წლისთავი და ბათუმში დაიდგა მისი ძეგლიც.

სელიმის როლის შესრულება წილად ხვდა მ. ხინიკაძეს, რომელიც კარგად ჩაწვდა გმირის სულიერ სამყაროს და მაყურებელს აჩვენა თავდადებული მამულიშვილის სახე. მან მაღალი არტისტული ოსტატობით, პატრიოტიზმის გრძნობით წარმოაჩინა სელიმ ხიმშიაშვილის როლი. ამასთან დაკავშირებით გაზეთი საბჭოთა აჭარა წერდა: „მთელი სპექტაკლის გვირგვინს წარმოადგენს სახე ცენტრალური გმირის სელიმ ხიმშიაშვილის, რომელსაც ასრულებდა საქართველოს სახალხო არტისტი მერაბ ხინიკაძე. პირველი გამონიშნისთანავე მსახიობი იპყრობს მაყურებელს, ორგანულად შეჰყავს იგი თავისი გმირის სულიერ სამყაროში, ნათლად აჩვენებს, თუ რამდენად ძლიერია სამშობლოს, ხალხის სიყვარული, როგორ გოლიათებად აქცევს ეს წმინდათა წმინდა გრძნობა უბრალო, გუღმართად ადამიანებს“ **[„საბჭოთა აჭარა“: 1978, 5 მაისი]**. ჩვენ აქ არ შევჩერდებით მერაბ ხინიკაძის მიერ შესრულებულ სხვა როლებზე, მათ დახასიათებაზე, ვინაიდან მას იხილავთ წიგნში „დიდი ხელოვანი მერაბ ხინიკაძე“, რომელიც, იმედია, მალე დაიბეჭდება.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ და არ მოვიხსენიოთ მერაბ ხინიკაძის პუბლიკაციები გამორჩეულ ადამიანებზე – მემედ აბაშიძეზე, სანდრო ახმეტელზე, ალექსანდრე წუწუნავაზე.

ის მემედ აბაშიძეზე წერდა: „სამშობლოსათვის თავდადებული მებრძოლი, დიდი პატრიოტი და მოამაგე იყო მემედ აბაშიძე.

მისი ცხოვრება და მოღვაწეობა იმის მკაფიო მაგალითია, თუ როგორ უნდა იყოს ნამდვილი მამულიშვილი. მემედ აბაშიძემ შეიცნო სამშობლოს ჭირ-ვარაში და ღრმად ჩაინერგა გულში თანამოძმეთა გათვითცნობიერებისა და საქართველოსთან მისი განუყოფელი ნაწილის – აჭარის გაერთიანებისათვის ბრძოლის იდეა. არ დარჩენილა მაშინდელი ცხოვრების არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც მემედ აბაშიძე არ გამოხმაურებოდეს და თავისი ავტორიტეტული სიტყვა არ ეთქვას, იქნებოდა ეს დედა ენის, მისი სიწმინდის დაცვის საქმე თუ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. მისი განსაკუთრებული საზრუნავი იყო მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველების ერთიანობა. ამ საქმეს მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მოახმარა.“ *[კომახიძე, 1994: 173-174]*

მერაბ ხინიკაძე სათანადო შეფასებას აძლევდა რეჟისორსა და მის მასწავლებელს სანდრო ახმეტელს. იგი სამართლიანად წერდა, რომ „სანდრო ახმეტელი თავიდანვე ტრაგიკული პიროვნება იყო. ის იყო ზედმეტი ადამიანის ტიპი, რომლის აზრები, მისწრაფებები, მოწოდება წინ უსწრებდა მაშინდელი საზოგადოების ყოფას. ხალხი არ გაპატიებს, თუ მას არ გვეხარ, ახმეტელი ვერ დაიმგვანეს და დაუწყეს ბრძოლა“ *[ხინიკაძე, 1987: 95-96]*.

არანაკლებ საინტერესოა მისი წერილი ალექსანდრე წუწუნავაზე. „ალექსანდრე წუწუნავა ქართული კინემატოგრაფიის პიონერიცაა წერს იგი. 1917 წელს მან გადაიღო ფილმი „ქრისტინე“, შემდეგ – „ხანუმა“, „ორი მონადირე“, „ჯანყი გურიაში“, „ვინ არის დამნაშავე?“. ეს ფილმები გვხიბლავს მაღალმხატვრულობით, მიზანწრაფული შინაარსით, სიმართლით, თვითმყოფადი ხელწერით. მათგან მონუმენტურობით გამოირჩევა „ჯანყი გურიაში“ *[ხინიკაძე, პირადი არქივი, 1970]*.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო მერაბ ხინიკაძის პირადმა არქივმა, მასში მსახიობის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მრავალფეროვანი მასალაა მოცემული. აქ თავმოყრილია მისი წერილები იმ როლებზე, რომელთა შესრულებას იგი დიდი მონდომებითა და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა. მას ხომ სცენის გარეშე სიცოცხლე არ შეეძლო. იგი წერს, თუ რას წარმოადგენდა მისთვის: ლადო კეცხოველის, კარტაშევის, კიკვიძის, იაგოს, ლორკას, ურიელის, ჰამლეტის და სხვა როლები. არქივში ასევე თავმოყრილია წერილები ბათუმის სახელმწიფო თეატრის გასტროლებზე ქობულეთში, ზუგდიდში, ქუთაისში. ცალკე ყურადღების ღირსია მისი შეფასება ბათუმში სოხუმის სახელმწიფო ქართული თეატრის გასტროლებზე. მას დახასიათებული ჰყავს ცალკეული მსახიობები მთავარი როლის შემსრულებლებიდან ეპიზოდურ როლებამდე. ის ძალიან თბილი სიტყვებით, მოწონებით მოიხსენიებს თითოეულ მათგანს. ერთი სიტყვით, არ

უკარგავს შესრულების მაღალ ოსტატობას, როგორც ძველი, ისე ახალგაზრდა თაობის მსახიობებს.

მის პირად არქივში ვკითხულობთ შთაბეჭდილებებს მის მიერ შესრულებულ როლებზე, სადაც ყველა ერთსულოვნად ახასიათებს მას, როგორც ნიჭიერ და გამორჩეულ მსახიობს, რომელსაც შეეძლო დიდი სიამოვნების მიენიჭება მისი ერთგული მაყურებლისათვის. „ხინიკაძე ის არის, რასაც ვეძებდი მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე“ – წერდა ოსებ იმედაშვილი. რა შეიძლება იყოს ამასზე მეტი შეფასება დიდი მსახიობისათვის?

ამრიგად, მერაბ ხინიკაძემ თავისი თეატრალური მოღვაწეობით სათანადო ადგილი დაიმკვიდრა აჭარის და საერთოდ საქართველოს კულტურისა და ხელოვნების ისტორიაში. იგი გამოირჩეოდა ფართო დიაპაზონით, მაღალი ზნეობით, სამართლიანობით. წარმოსადეგი გარეგნობით, ხავერდოვანი ხმით. მას არასოდეს არ ესაჭიროებოდა თავისი წიგნიერების და განათლების დასაბუთება, ეს ისედაც თვალნათელი იყო. ის საზოგადოებისაგან იმსახურებდა დიდ სიყვარულს თავისი ნიჭიერებით, ადამიანობით, უბრალოებით, თავმდაბლობით, რაც მხოლოდ მაღალი ინტელექტის მქონე ადამიანებს ახასიათებთ. მისი სახელი თაობიდან თაობას გადაეცემა და არასოდეს არ მიეცემა დავიწყებას.

**„შენ იყავი და მარად დარჩები სიცოცხლის,  
სიხარულის, სიყვარულის, სილამაზის,  
მხნეობის და ვაჟკაცობის ტრუბადურად.  
მაღლი შენს გამჩენს“.**

#### **გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:**

გაზეთი „საბჭოთა აჭარა“. 1978 წლის 5 მაისი.

გაზეთი „საბჭოთა აჭარა“. 1956 წლის 15 მარტი.

დავითაია, 1957: – დავითაია ე., ხინიკაძე მ., ბათუმი.

კომახიძე, 1994: – კომახიძე თ., „ისინი შევნიშნენ ქალაქს“, ბათუმი.

ხინიკაძე, 1987: – ხინიკაძე მ., თვალი მიძებნის შენ თავს, ბათუმი.

ხინიკაძე, 1986: – ხინიკაძე მ., სულიერი სიფაქიზე და სიწმინდე, მამულიშვილი, ბათუმი.

**Izolda Beltadze**

*(Batumi, Georgia)*

**Batumi theater chronicler Merab (Murad) Khinikadze**

Summary

Merab Khinikadze his theatrical work and the proper place of the Ministry of Culture and Art History. It is marked by a wide range of high morality and justice. Stately appearance, velvety voice. He never needed to literacy education and study, it was already obvious. A society worthy of the love his talent, humanity, simplicity, humility, just as people tend to have higher intelligence. Its name from generation to generation and will never be forgotten.



## ბათუმი და ზღვის თემატიკა ვიქტორ გაბესკირიას პოეზიაში

„პოეტებს უყვართ ბათუმი“ – ასე ასათაურებს იოსებ ბექერიშვილი თავის საინტერესო წერილს ვიქტორ გაბესკირიას შესახებ 1989წ. ბათუმში გამოცემულ წიგნში „მათი შთაგონების წყარო“. ავტორი მიმოიხილავს აჭარის თემას ქართულ მწერლობაში. იგი აღნიშნავს, რომ აჭარის თემას, მისდამი უებრო სიყვარულს დიდი წარსული მოსდგამს და შემდგომში ეს ტრადიცია გააღრმავებს გამოჩენილმა ქართველმა პოეტებმა, პროზაიკოსებმა და პუბლიცისტებმა. ი. ბექერიშვილი არა მხოლოდ ჩამოთვლის ამ დიდ მოღვაწეებს, კერძოდ, ვალაქტიონ ტაბიძეს, მიხეილ ჯავახიშვილს, გიორგი ლეონიძეს, სიმონ ჩიქოვანს, იოსებ გრიშაშვილს, პაოლო იაშვილს, ტიცინო ტაბიძეს, ვიქტორ გაბესკირიას, იოსებ ნონეშვილს, არამედ ცალცალკე და ზედმიწევნით დეტალურად განიხილავს მათ კავშირს აჭარასთან, მოგვითხრობს როგორც იმ სიყვარულზე, რომელსაც ისინი აჭარისა და მის დედაქალაქ ბათუმის მიმართ განიცდიდნენ, ასევე, იმ დამსახურებაზეც, რომელიც მათ ჰქონდათ ამ დიდებული მხარის წინაშე **[ბექერიშვილი, 1987: 115-124]**.

საინტერესოა ავტორის მოსაზრება იმის თაობაზეც, რომ ქართული კულტურის ბევრ გამოჩენილ ოსტატს აუდგამს ფეხი ბათუმში და გასულა დიდი შემოქმედების გზაზე. ერთ-ერთი ასეთი წერილი, როგორც დასაწყისშივე აღვნიშნეთ, ვიქტორ გაბესკირიასადმი არის მიძღვნილი.

ვიქტორ გაბესკირია – პოეტი, დრამატურგი, ესეისტი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე, 1903 წელს ფოთში დაიბადა. მაგრამ როგორც სამართლიანად აღნიშნავს ი. ბექერიშვილი, იგი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე ბათუმში გამოვიდა. 1924 წ. გაზაფხულზე ბათუმში გამოსვლა დაიწყო სალიტერატურო, სამხატვრო და სამეცნიერო ჟურნალმა „ისპირი“, რომელსაც სრულიად ახალგაზრდა პოეტი ვიქტორ გაბესკირია რედაქტორობდა. მან, როგორც თავის დროზე აღინიშნა, ჩინებულად გაართვა თავი ამ რთულ საქმეს და ჟურნალში დაბეჭდა ი. გრიშაშვილის, კ.კამსახურდიას, შ.დადიანის, კ.მაყაშვილის, ლ.ქიაჩელის, დ.ჩიანელის და სხვათა ნაწარმოებები. აქვე არის დაბეჭდილი მისი ლექსი „ხატიჯე“, რომელიც აჭარის თემატიკას ეხება. ვ. გაბესკირია ცდილობს შეეხმიანოს, დაიახლოვოს თავისი შორეული და – ხატიჯე, ასე ჰქვია ამ ასულს

და ავტორი ლექსს წაუძმდვარებს, რომ ხატიჯე გაბესოდლია, ხოლო მისი აზრით, ისინი გამაჰმადიანებამდე გაბესკირიები ყოფილან:

„ხატიჯე, დაო, შორეულ სისხლის,  
რომ შევხვდებოდით, ეს ვინ იცოდა,  
მოჰყევი, თორემ მე ვერ ავიხსნი,  
თუ რად ჩამოდგა ჩვენს გვარში ცოდვა.“

„რატომ მოშორდით ფშანიან ენგურს და რად მიენდეთ კლდეებში ჭოროსს?“ – ეკითხება პოეტი ხატიჯეს და მიმართავს: „მინდა მოგიყვე ლექსები რბილი, მინდა მოგიყვე მეგრული ოდა“.

მშვენიერ აჭარულ ქალს, ფიქრიეს, მიმართავს პოეტი ლექსში “ფიქ-რიე“.

აი, ნაწყვეტები ამ ლექსიდან:  
ჩადრით, ღიმილით ლოდთან იდექი,  
გრძნობ შენი ტყეა, შენი კუთხეა,  
წყაროსთან ისე მიხვედი დოქით,  
როგორც წიგნებში წამიკითხია,  
შემომხედე და ვიგრძენ სიშორე,  
დამრჩა უთქმელი და ჩუმი დარდი,  
ამ დუმილსა და ამ ლოდებს შორის  
მიიმაღე და გაუჩინარდი.  
უნდა მადარდოს შენმა ამბავმა  
და მთვრალს მეძინოს შენ სახლის ახლოს,  
რომ გარიჟრაჟზე იქ მთიბაეებმა  
მე მზის ისრებით მოკლული მნახონ.

...

მეთქვას, რომ შენი სიცოცხლეც ასცდა  
ქოსს მივიწყებულს, გამდგარს, გათიშულს,  
და ასე შევხვდე მოღიმარს ზღვასთან,  
როგორც გულიკო კაიკაციშვილს.

აქ, ამ ლექსში, როგორც ხედავთ, მოხსენიებულია აჭარაში კიდევ ერთი ცნობილი და სასახელო პიროვნება – გულო-აღა კაიკაციშვილი (ქათამაძე), დიდი პატრიოტი, საზოგადო მოღვაწე, რომელმაც პირველი ქართული სკოლა გახსნა აჭარაში და რომელსაც იჭავჭავაძემ „აჭარის გული“ უწოდა.

ახალგაზრდობის წლებში დაწერილ ლექსებში ხშირად შეხვდებით შავ ზღვას, ძველ კოლხეთს, ბათუმს.. საერთოდ ვიქტორ გაბესკირიას პოეზიაში დიდი ადგილი უჭირავს ზღვის თემატიკას. მისი პირველივე კრებული „ზღვა“ აღიარებული იქნა პოეტური მარინისტიკის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად ქართულ პოეზიაში.

„კოლხური წვიმების მოტრფიალდე, შავი ზღვის მიჯნური, საქართველოს მთა-ბარისა და ზურმუხტოვანი სანახების მხატვარი ჩინებუ-

ლად გრძნობს ჩვენი ხალხის გმირულ წარსულსა და აწმყოს“, წერდა მასზე აკაკი გაწერელია.

დღეს მოდლილ მზერას თუ დავუჯერებ,  
მგონია, ვხედავ ტალღებს შარშანდელს,  
მზე ჩადის, მალე ზღვის სიღურჯეში  
დადგამენ ჩუმად ანთებულ შანდლებს.  
ქარი ცის კიდე ჩასაფრებია,  
სიჩუმეა და სადამოს მკრთალს,  
ადევნებია ხომალდის აფრა –  
მკერდით დაცემულ ფრინველის ფრთა.  
მნათობს ტალღები უკვე ასველებს  
და დღესაც (როგორც ყოველდღე ამ დროს)  
დადის დრუბელი ცის დასავალთან  
და ოდნავ მბუტავ სინათლეს აქრობს.

„სადამო ზღვაზე“

ამ ლექსში ზღვა წყნარი და დადუმებულია. აქ უფრო სიჩუმე ისმის. „აღარც ზღვას შერჩენია თავისი მქუხარება. უფრო მისი იდუმალი სიღრმე და გარინდებული ფსკერი იგრძნობა“ (გ.ნიშნიანიძე) და როგორც აკაკი ბაქრაძე ბრძანებდა ვ. გაბესკირიას პოეზიის შესახებ, ამ ლექსის ციტირების შემდეგ: „მყუდროების, სინაზის და სიწყნარის გარემოში თავად პოეტიც უკეთ გრძნობდა თავს, რადგან „ოცნების თეთრი ხომალდი“ ყოველი ადამიანისთვის მიუწვდომელი რჩება, მას წარმავალი დიდებისათვის ბრძოლას, დავიდარაბას, ფუსფუსს, ჯახს, მღელვარებას,

წუთისოფლის მშვიდი მზერა ერჩია, იმ მშვენიერების შეგრძნება-აღქმა, რითაც მცირე დროით, მაგრამ უხვად ავსებს უზენაესი შემოქმედი ყოველ საგანს, თუნდაც სრულიად უბრალოსა და უმნიშვნელოს.“

ზღვაში ჩაყრილო თეთრო ლოდებო,  
მეგობრობისთვის კვლავ გეტყვი: გმადლობო!..  
იქვე მიბმულო ნუ მელოდები,  
ჩემი ოცნების თეთრო ხომალდო.

. . .

დადუმებულა საგანე ქართა –  
ზღვა, ეგებება ის მზეს გოლიათს,  
მე მივერდნობივარ შენ თეთრ ჭიშკართან  
ხეს მაგნოლიის.

„ზღვასთან“

მაგრამ პოეტს მხოლოდ მშვიდი ზღვა როდი იზიდავს. მისთვის აბობოქრებული ზღვა თავისუფლების, მემამბოხე სულის სიმბოლოა. ამ მხრივ მისი პოეზია დიდად უახლოვდება დასავლეთ ევროპის რომან-

ტიკოსი პოეტების – ბაირონის, სუინბერნის, ე.წ. “ტბის პოეტების“ – უოდსუორთის, კოლრიჯის და საუთის ლექსებს. ეს ის სულისკვეთებაა, როცა პოეტი ახლოს არის ბუნებასთან, ხოლო ბუნებიდან კი ღმერთისკენ მიიღტვის.

ჩემო ხომალდო, ჩემო კარგო, ჩემო პატარავ,  
შემოტრიალდი! თავი ისევ მიეცი ტალღებს!  
ნუ შეშინდები! ისევ ზღვაზე გადამატარე,  
ხომ იცი, ქარი და გრიგალი სულს გაგვიღალღებს.  
„იალქანს“

„საოცარია, რა ძალა ეწეოდა იმ მშვიდი ბუნების დარბაისელ კაცს ბობოქარი ზღვისკენ. ეტყობა, პოეტი გარეგნულად ჩანდა მშვიდი და ჩრდილივით ჩუმი, თორემ სული მოუსვენარი და მშფოთვარე ჰქონდა. სხვაგვარად ძნელია აიხსნას ვიქტორ გაბესკირიას ესოდენი გატაცება ზღვით“. წერდა ვიქტორ გაბესკირიას შესახებ პოეტი ტაგუ მებურიში.

ქარმა სსივებით განაბზარი ღრუბლის სვეტები  
შეარყია და დადუმებულ ზღვაზე გააფთრდა:  
შავად ეცემა ქვიშას წვიმის თეთრი წვეთები  
და თვალს შორდება მოქანცული ხომალდის აფრა.  
ცის დასავალი აიშალა და თითქოს მიდის,  
ზღვაზე დარჩენილ სსივებს ზვირთნი ღრუბლებში ხვევენ.  
ტალღის სინათლე ფრინველივით ფარფატებს ბინდში  
ან მიაშურებს ზღვის ნაპირზე გარიყულ ხეებს.  
ვერძნობ, მიხარია, ზღვის და ქარის დელვას გავხედავ  
მოდიმარი და ნავსადგურში ანთებენ ლამპარს.  
ზღვას დაეშორდები, შეეჩერდები ნაწვიმარ ხესთან  
და ყურს დავეუგდებ მას, ვით ღამით მოსმენილ ზღაპარს.

ქართველი სიმბოლისტებისათვის – ზღვა უსასრულობის სიმბოლოა, ხოლო არგონავტების თემა მათთვის ახლობელია. ძველ კოლხეთსა და არგონავტების თემას არც ვ. გაბესკირიას პოეზიამ აუარა გვერდი.

მაგარ ნისკარტით დადის ყვავი ბალახებს შორის  
მედვას ცრემლებს, ვით ფირუხებს, ეძებს სილაზე,  
უცებ ხომალდი ღრუბელივით განნდება შორით  
იქ, სადაც ბადე გაუშლიათ მუხლმაგარ ლაზებს.  
უცხონი ფეხებს აბიჯებენ ამ ცხელ სილაზე,  
და აჩრდილები თავდახრილნი მისდევდნენ ზვირთებს,  
მოვა ხომალდი, ისევ წავა, როგორც სინაზე,  
მოვა ხომალდი და წაიღებს მედვა მზითევს.  
„მაშინ, როდესაც ამ ზღვას ერქვა პონტოს“

ასევე საინტერესოა ის ლექსები ზღვის ციკლიდან, სადაც პოეტი ბედის უკუღმართობით უცხოეთში გატაცებულ ქართველ ტყვეებზე მოგვითხრობს:

მთლად შეუპყრია იგი შიშსა და ნაზ სიმკრთალეს,  
ფიქრობს: ცხოვრება რად შეიქმნა სასტიკი, მკაცრი?  
ცრემლები მოსავს მის უძილო, ნაწამებ თვალებს,  
ფეხებს და მკლავებს კი ემჩნევა ეკლის ნაკაწრი.  
ვიღაც უცხონი, დასირმულნი, ნავში სხდებიან,  
ის კი ფიქრებით მოიღალა, მთლად მოიქანცა,  
უცხოეთისკენ, შორს, სამგზავროდ ემზადებიან,  
ისმის შხუილი, ზღვის ქარი ქრის, ჭრიალებს ანძა.  
ხომალდზე თეთრი იალქანი იშლება ნელა,  
ასველებს წვიმა ზღვის ნაპირზე ამოყრილ მორებს...  
„სადაური ხარ?“ – ჰკითხავს ვიღაც მოულოდნელად,  
მიხვდება კითხვას, უპასუხებს: „მარგალი ვორექ“.

(„ტყვე ქალი“)

თავის საინტერესო წერილში („ინტიმი, სევდა, სიხარული“) პოეტი შალვა ამისულაშვილი წერს: „ანდრო ლომიძემ პროზაში, ხოლო ვ. გაბესკირიამ პოეზიაში, ბევრი რამ შესძინეს თანამედროვე ქართულ ლიტერატურას ზღვის თემატიკიდან. ლექსში „რატომ ვწერ ლექსებს“ აკი მთელი ხმით აცხადებს კიდევ პოეტი:

„ბედნიერი ვარ, როს ფიქრები სულს მიშფოთებენ,  
ისე, ვით ქარნი ზღვაზე გასულ ხომალდის აფრას...“

ბათუმი და ზღვა მისთვის მართლაც განუყოფელია, „ჩემო ქალაქო“ – სიყვარულით მიმართავს ბათუმს ვ. გაბესკირია და მისადმი მიძღვნილ ლექსს თითქოს სულ პატარა, უმნიშვნელო კენჭად მიიჩნევს:

როცა ფიქრების თეთრი რტოები  
დამრჩა ლექსების პატარა წიგნთან,  
როცა ბათუმის ცა მივატოვე,  
იმ დღესაც წვიმდა!  
მოსდევდა ნაპირს ზღვა და ნამქერი,  
იდგნენ ხეები შემოდარცული,  
დამრჩა ხსოვნაში: ზღვის შავი ფერი  
და თოლიები ნახატი ცარცით.  
როცა წარსული ნისლივით შემრა,  
ჩემო ქალაქო, მოვსულვარ ახლად,  
და მე ის დარდი განმშორებია,  
რაც სიყმაწვილის დღეებში მახლდა.  
თუმცა ლექსები შენზე მას უთქვამს,  
ვინც ამ ნისლსა და ჭავლს შეჩვევია,

მაგრამ რამდენი კენჭები უქმად  
ზღვასაც შთენია!  
ანდა ეს ნაწყვეტები ძველი ლექსიდან:  
ამხანაგებო, ეს ნაპირი, ეს ნავთსადგური,  
რომელსაც ახლა, როგორც ხედავთ, აწვიმს და ათოვს, -  
რომელიც ზღვაზე ის მოსჩანს, ვით თევზის გული,  
გუწოდებთ ბათუმს.

. . .  
ქვებიდან მოდის სურნელება ზღვა და მარილის,  
ვხედავ, აჩრდილი უეცარი და ფერმიხდილი -  
ისე გაეკრა, როგორც ლანდი სამარიელის,  
როგორც მთებიდან მოვარდნილი ღრუბლების ჩრდილი.  
„სიტყვა გემიდან“

ბათუმისადმი რაღაც განსაკუთრებული სიყვარული, სითბო და  
სინახე გამოხატულია ლექსში „ბათუმი მთიდან დანახული“.  
მთიდან დავცქერი ბათუმს, ნაზი კაშკაშებს დილა,  
მზე აბრჭყვიალებს თვალმომჭრელად დღეს ყოველ საგანს,  
ბრწყინავს ზღვისპირი!.. შეგეკმნება შთაბეჭდილება,  
რომ აუგიათ ეს ქალაქი მთლად ოქროსაგან.  
გარინდებულან მის ნაპირთან მთლად ხომალდები,  
მთებზე თოვლი დევს, აქ კი გზაზე, ო, როგორ თბილა!  
მთიდან დავეშვი, ისე რიდით ვუახლოვდები,  
თითქოს არასდროს ამ ქალაქში მე არ ვყოფილვარ.  
ჟურნალ „ლიტერატურულ აჭარაში“ გამოაქვეყნა პოეტმა თავის  
„ოთხ-ოთხი სტრიქონი“, რომლებიც ძირითადად აჭარასა და ბათუმს  
ეძღვნება, მაგალითად:

მტირალა ერქვა იმ მთას, დღეს კი ჰქვია ცისკარა.  
ღრუბლები მაინც მივლენ მასთან, მისი დებია,  
ზოგჯერ წასკდებათ ცრემლი მათ და, ის მთა კი არა,  
ბარში სახლები და ხეებიც ატირდებიან.  
„წვიმა ბათუმში“

გ. გაბესკირია მხატვრული შედარების დიდოსტატი იყო და აქაც,  
ამ ოთხსტრიქონიან ლექსში გემიდან დანახული პანორამა სურათების  
აღბომთან აქვს მოხდენილად შედარებული:

აი, ქალაქი ზღვის ნაპირზე, გამოჩნდნენ მთები  
გამომზირალნი დღეს სულ სხვაგვარ განწყობილებით.  
სჩანან სახლები მრავალგვარნი, ვით სურათები,  
გაშლილ აღბომში უწესრიგოდ ჩაწყობილები.  
„გემიდან“

ერთ-ერთ ადრინდელ და ვრცელ ლექსში, რომელსაც „ღღებები  
ზღვასთან“ ეწოდება, ასეთ სტრიქონებს ვხვდებით:

„სხვაგვარნი სჩანან აქ შაბათობით,  
რამდენჯერ ქარიც გამომედავა...  
ვიცი, პოეტებს უყვართ ბათუმი,  
თორემ აქ მოსვლას ვინ გაბედავდა?“

ბათუმი და აჭარა, როგორც ადრევე ითქვა, მისთვის მეტად ახლობელი და საყვარელი იყო. თბილისიდან იგი ხშირად ჩამოდებოდა ბათუმში, სადაც დედა და დის ოჯახი ეგულებოდა. იგი

ჩართული იყო აჭარის ლიტერატურულ საქმიანობაში და ადგილობრივ ჟურნალებსა თუ გაზეთებში ხშირად აქვეყნებდა ამ კუთხისადმი მიძღვნილ ლექსებსა თუ წერილებს, გამოსცემდა წიგნებს. 1946 წელს ბათუმში გამოიცა ვ. გაბესკირიას დრამატული პოემა „ქეთევან წამებული“, ხოლო იმავე წლებში ბათუმის თეატრში დაიდგა ამავე სახელწოდების სპექტაკლი. იგი დიდი გულსყუროთ ადევნებდა თვალყურს აჭარის ლიტერატურულ ცხოვრებას, მიესალმა ბათუმში ჟურნალ „ლიტერატურული აჭარის“ დაარსებას და გამოაქვეყნა მასში ბათუმისადმი მიძღვნილი ლექსების ციკლი. მას შემოქმედებითი ურთიერთობა აკავშირებდა ბათუმელ პოეტებთან. მისი ახლო მეგობრები იყვნენ პარმენ ლორია, შოთა ქურიძე, ილია რურუა, გიორგი საღუჭვაძე, მოგვიანებით კი ფრიდონ ხალვაში. იგი ინტერესით ეცნობოდა ახალგაზრდათა შემოქმედებას და ნიჭიერ ახალგაზრდებს ამხნევებდა, გზას უღოცავდა. სწორედ ახალგაზრდა ფრიდონ ხალვაშის ერთ ლექსს „გენაცვალე“ მიუძღვნა მან საინტერესო წერილი, რომელშიც აჭარისადმი გულმხურვალე სიყვარულია გამოხატული. ამით მან დიდად შეუწყო ხელი დამწვები პოეტის პოპულარიზაციას, გააცნო იგი ფართო მკითხველს როგორც აჭარაში, ასევე თბილისსა და მთელ საქართველოში.

როგორც ცნობილია, ვიქტორ გაბესკირიამ ასევე დიდი ღვაწლი დასდო ქართულ დრამატურგიას. რუსთაველის, მარჯანიშვილის სახელობის და რესპუბლიკის სხვა თეატრებში წლების მანძილზე იდგმებოდა მისი პიესები. ამ მხრივ არც აჭარა იყო გამონაკლისი. იგი კარგად იცნობდა ბათუმის თეატრის შემოქმედებით პოტენციალს და დიდი სიამოვნებით უთმობდა მას დასადგმელად თავის ახალ პიესებს, რომელთაგანაც ზოგიერთის სცენური სიცოცხლე სწორედ ბათუმის თეატრიდან დაიწყო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბათუმის თეატრში დიდი წარმატებით დაიდგა მისი დრამატული პიესა „ქეთევან წამებული“ და კომედია „მარტოხელა“. ამ დადგმებმა, როგორც თავად ვ. გაბესკირია აღნიშნავდა, მისცა ბედნიერება დაახლოვებოდა თეატრის შესანიშნავ დასს, ბრწყინვალე მსახიობებს. განსაკუთრებით დაუახლოვდა იგი ბატონ მერაბ (მურად) ხინიკაძეს, რომელსაც არა მხოლოდ მსახიობად, არამედ დიდ პატრიოტად და საზოგადო მოღვაწედაც მიიჩნევდა.

ბატონი იოსებ ბექირიშვილის წიგნში ვკითხულობთ; „ვ. გაბესკირია ჩემი, მოკრძალებული პოეტი და მოღვაწე იყო, გამოირჩეოდა დიდი გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით, თბილისში მცხოვრები მწერალი და საზოგადო მოღვაწე ჰაიდარ აბაშიძე იგონებდა, რომ მას ვ. გაბესკირია არაერთხელ სწევვია ოჯახში, მისი მშობლიური მხარის – აჭარისადმი ყურადღებისა და გულისხმიერების გამო ჰაბაშიძეს პოეტისათვის უთქვამს; „შენგან დიდად დავალებულია აჭარა“ ამის გაგონებაზე ვგანესკირიას უპასუხია: „ბატონო ჰაიდარ, ეს მე ვარ დავალებული აჭარისაგან და ღმერთმა ქნას, სამაგიეროს მიგება შევიძლო“ [ბექირიშვილი, 1987: 121].

„პოეტებს უყვართ ბათუმი“ – რითიც დავიწყეთ, იგივე სიტყვებით დავამთავრებთ ამ პატარა მიმოხილვას, რომელიც მიზნად ისახავდა შეგვეხსენებინა თქვენთვის ვიქტორ გაბესკირიას

უნაზესი ლირიკა, რომლის საგრძნობი და საუკეთესო ნაწილი შავი ზღვითა და ბათუმით იყო შთაგონებული.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

- ბექირიშვილი, 1987: – ბექირიშვილი ი., მათი შთაგონების წყარო, ბათუმი.  
გაბესკირია, 1970: – გაბესკირია ვ., თხზულებანი სამ ტომად, I, თბილისი.  
გაბესკირია, 2009: – გაბესკირია ვ., 100 ლექსი, თბილისი.  
გაბესკირია, 2016: – გაბესკირია ვ., ლექსების ალბომი, თბილისი.

**Tsitsino Gabeskiria**

*(Tbilisi, Georgia)*

### **Batumi and Sea Motifs in Victor Gabeskiria's Poetry**

#### **Summary**

The paper deals with the sea motifs in Victor Gabeskiria's poetry. It is noted that his poems are mostly devoted to the Black Sea, Adjara and Batumi. V. Gabeskiria's life and creative activities were closely connected with the cultural life of Batumi. Not only was he the author of a whole cycle of poetic works with marinistic trends, but he was in the centre of literary and theatrical events of Adjara. He was the founder and editor-in-chief of the newspaper "Ispiri". His plays were staged at the Batumi theatre. The words of literary critics, poets and researchers are quoted to attest that most of V. Gabeskiria's lyrical poems were inspired by the Black Sea, Batumi and Adjara.



## 5. თავართქილაძე და ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიიდან ბათუმში

ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია უამრავ საინტერესო მასალას მოიცავს, რომლის გამომზეურება ხდებოდა როგორც XIX საუკუნის ბოლოდან (ზ. ჭიჭინაძე), ისე მთელი XX საუკუნის მანძილზე. ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა XIX საუკუნის 80-იანი წლების ბათუმში წიგნის ბეჭდვის ევოლუცია და იმ პიროვნებათა ღვაწლის ჩვენება, რომელსაც თავის დროზე ეწოდნენ ისინი როგორც „ივერიის“, ისე „დროების“ ფურცლებზე. შემდგომ კი საქართველოს სსრ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების ვეგით გამოცემულ წიგნებში. სტატიაში “ბათუმის საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრება XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე“ (შ. ფუტკარაძე, რ. მაღაყმაძე, ნ. ჩელეაძე, ე. ფუტკარაძე, თ. ლომთათიძე), იხსენებენ ბათუმში გადმოსულ ცნობილ მესტამბესა და გამომცემელს კოწია თავართქილიძეს, რომელმაც იქ არა მხოლოდ მაღაზია, არამედ სტამბაც გახსნა: „მისი სტამბა ქართული წიგნების გამომცემლობის პირველი მაგალითი იყო ბათუმში“ **[ფუტკარაძე, 2014: 263]**. ბათუმში წიგნის მაღაზია და სტამბა, როგორც ზ. ჭიჭინაძე გვამცნობს, უკვე 1878 წლის შემდგომ არსებობს, როდესაც „ოსმალეთის საქართველოს ერთი ნაწილი რუსეთის საქართველოს შემოუერთდა, ამ შეერთების უმაღლეს აქ განხდა ერთი ქართველი კაცი, სტეფანე გრიგოლის ძე მელიქიშვილი, თბილისში ქართული სტამბის მექონი და გახეთ „დროების“ გამომცემელი“ **[ჭიჭინაძე, 1913]**. რამდენადაც სტეფანე მელიქიშვილი ტფილისში ცხოვრობდა, ხშირად ვერ ჩამოდიოდა ბათუმში, მესტამბეც იქაური არ იყო, მისი მუშაობა ვერ აეწყო და სტამბა გადავიდა ალექსანდრე მახარაძის ხელში, თუმცა, როგორც ზ. ჭიჭინაძე შენიშნავს, მახარაძეს ფული არ ჰქონდა და 4000 მანეთი მისცა ვიღაც ოფიცერმა ანთაძემ. „ეს, რასაკვირველია, კეთილი საქმე იყო, ხოლო კეთილი როგორ გათავდა, ამის ჩვენ არ ვიცით რა“ **[ჭიჭინაძე, 1913]**.

ვინ იყო ეს ქველმოქმედი კაცი, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ დავით კლდიაშვილის მემუარებში „ჩემი ცხოვრების გზაზე“ მოიხსენიება ერთი ოფიცერი ესტატე ანთაძე, რომელიც შემთხვევით აღმოჩნდა 1902 წლის 9 მარტის როტშილდის ქარხნის ამბოხებული მუშების ხოცვა-ჟლეტის ორგანიზატორი. ამ ტრაგიკულ ამბავს ძალზე უმოქმედია დავით კლდიაშვილზე, რომელიც მოგვიანებით აკეთებს ასეთ ჩანაწერს, რომ ნიკ. იმნაძემ, ანთაძის გუნდის ოფიცერმა, თავად აღიარა, რომ

თვითონ იყო დამნაშავე, რამდენადაც, როდესაც მუშებმაც ატეხეს სროლა, მას უთხოვია ნებართვა, თავადაც ესროლათ. გულნატკენ და დამწუხრებულ ანთაძეს კი გამოუთქვამს თავისი ღრმა შეშფოთება... „ოზურგეთში სახლი ჰქონდა მას – ერთ დღეს ცეცხლი მისცეს და დაუწვეს. გულწრფელად სწუხდა იგი თავის გამწარებულ მოხუცებულ-ლობას: მწუხარებამ გულის გაგანიერება გამოიწვია და თავისი ბედის მოტირალი, გამოათხოვა ამ სოფელს“ [კლდია შვილი, 1961: 143]. ჩვენი ვარაუდით, იქნებ სწორედ ეს ანთაძე უნდა იყოს ქველმოქმედი ოფიცერი, თუმცა შემდგომმა კვლევამ შეიძლება სხვა მიმართულება მიიღოს. ამავე ესტატე ანთაძეს ეკუთვნის „ლექსნი ომიანობის დროს“ (1854-1877). თბილისი, გამოცემული ნ. ნაკაშიძისაგან, ამბარცუმ ენფიანჯიანის სტ. 1880 წ. (ტექსტის ბოლოს მიწერილია: ესტატე ანთაძე).

რომელ წელს დაარსდა ა. მახარაძის სტამბა ბათუმში, ამაზე ზ. ჭიჭინაძე ინფორმაციას ვერ იძლევა, მხოლოდ შენიშნავს, რომ მის სტამბაში ქართულ ასოებს მცირე ადგილი ეჭირა და ქართულად მხოლოდ განცხადებები იბეჭდებოდა. როგორც „ქართული წიგნის“ (ტ. D) ბიბლიოგრაფია გვამცნობს, აქ ქართული წიგნი დაბეჭდილა 1889 წელს, ეს იყო გერასიმე თევზაძის „ახალი სახალხო ლექსები სედლოზედ, სალდათობაზედ, და ჯიბის ფულზე“. აღნიშნული ეგზემპლარი უნდა ინახებოდეს სალტიკოვ-შჩედრინის ბიბლიოთეკაში. სამაგიეროდ, აქ ბევრმა ისწავლა მესტამბეობა და ზოგიერთმა აქ ცოდნამიღებულმა ფოთშიც და სოხუმშიც გახსნეს სტამბები. 1905 წელს გარდაცვლილა ალექსანდრე მახარაძე და სტამბა დარჩენია მის მეუღლეს ეფემია მარკუხოვის ქალსა და შვილს სანდროს, რომელსაც 1913 წელს შემოკვდომია ასევე ბათუმში დაარსებული ნიკო ხვინგიასა და ვახტანგ ჩანტლაძეს სტამბის (გახსნილია 1910 წელს) უფროსი ვახტანგ ჩანტლაძე, რის შედეგადაც პალატის გადაწყვეტილებით 12 წლით გადაუსახლებიათ კატორღაში. მახარაძის სტამბა (თუმცა ვინ ედგა სათავეში, რომელი მახარაძე?) განაგრძობდა არსებობას ბათუმში თვით 1917 წლამდე, როგორც გვამცნობს „ქართული წიგნის“ ტ. I ბიბლიოგრაფია.

ამის შემდეგ, სავარაუდოდ, 1906 წლიდან (ამაზე ინფორმაციას ვერ მივაგენით ზ. ჭიჭინაძის წიგნში), ბათუმში კიდევ ერთი ქართული სტამბა გახსნილა ბართლომე კილაძისა და თავართქილაძისა: „ამათ სტამბა კარგ ქუჩაზედ ჰქონდათ, სტამბაც კარგად მოაწყვეს, საქმიანობაც კარგი ჰქონდათ, მხოლოდ სხვა და სხვა მიზეზების გამო ამხანაგები ვერ დაშთნენ ერთად, მალე გაიყარნენ, ბართლომე კილაძე თფილისში გადმოვიდა, თავისი სტამბა აქ გახსნა, მისი ამხანაგი თავართქილაძე კი ბათუმში დარჩა, თავისი სტამბა გახსნა, დაიწყო მისი წარგება და ის მალე ფეხზეც დააყენა“ [ჭიჭინაძე, 1913]. ეს თა-

ვართქილაძე, ჩვენი ვარაუდით, უნდა იყოს სხვა, გიორგი ს. თავართქილაძე, რომელმაც ბ. კილაძესთან ერთად დაიწყო წიგნების გამოცემა.

ბათუმში სტამბის დამაარსებელი კონსტანტინე (კოწია) ჩითანის ძე თავართქილაძე (1860- ?) გურული კაცი იყო, წიგნის მოყვარული, შემდგომში მისი გამომცემელი და პოპულარიზატორიც. საოცარ დახასიათებას აძლევს კოწია თავართქილაძეს ზაქარია ჭიჭინაძე, რომელიც პირადად იცნობდა თურმე და ხშირად ბეჭდავდა კიდევ მასთან თავის წიგნებს. კოწიასათვის არ არსებობდა თურმე პრობლემა, შეეძლო საკუთარი ზურგიითაც ეზიდა და მატარებლიდან მატარებელში გადაეტანა წიგნები. ამ საქმეში მას მთელი თავისი ოჯახი ჩაურთავს: დედა ეფროსინე, ძმები სიო (გარდაიცვალა 1902 წ.) და ასლანი (გარდაიცვალა 1903 წელს), ასევე, მეუღლეც, რომლის სახელიც ისტორიამ ვერ შემოგვინახა. ბევრი გაჭირვება გადაუტანია კოწიას, ფული და ქონებაც დაუკარგავს, მეტეხის ციხეშიც მჯდარა, მაგრამ თავი არ დაუნებებია საყვარელი საქმისათვის.

და აი, 1889 წლის თებერვალში განუყრელი მეგობრების, ალფესი მიქელაიშვილისა და კოწია თავართქილაძის თაოსნობით, რომლებიც გაბრიელ ეპისკოპოსის მხარდაჭერით ქუთაისში დაეუფლნენ სტამბური ბეჭდვის ხელოვნებას, იწყება გაცხოველებული მუშაობა ოზურგეთში სტამბისა და წიგნის მაღაზიის გასახსნელად. როგორც 1889 წლის „ივერიის“ №199-ის ინფორმაციიდან ვიგებთ, „ორს ახალგაზრდა კაცს, ბ-ნი ა. მ-ლის და კ. თ-ძეს განზრახვა აქვთ საჯარო ბიბლიოთეკა და ქართული სტამბა გამართონ“ *[„ივერია“, 1889]*

ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის მიერ 1890 წლის 24 ოქტომბრის თარიღით გაცემული №2472 ნებართვის თანახმად, კმაყოფილდება ა. მიქელაიშვილისა და კ. თავართქილაძის თხოვნა, ოზურგეთში იხსნება მიქელაიშვილ-თავართქილაძის ამხანაგობის სახელით პირველი წიგნის მაღაზია და სტამბა, ხოლო თვით კ. თავართქილაძე თავის ბინაზე აარსებს პირველ უფასო წიგნსაცავსამკითხველოს (ს. გუგუნავა). აქ პირველად იბეჭდება 1890 წელს გ-ბ-ის „სკოლა და ოჯახი და ამხანაგები. გადმოკეთებული რუსულიდან №1“.

რომელ წელს გადავიდა თავართქილაძე-მიქელაიშვილის სტამბა ქ. ბათუმში, დასადგენია. თუმცა ზ. ჭიჭინაძე ასახელებს 1904 წელს, „ქართული წიგნის“ ტ. I ბიბლიოგრაფიით, ეს უნდა იყოს 1895 წელი: „სახოკია თ[ედო]. ქალები. I შედგენილი თ. სახოკიას მიერ. ბათომი. კ. თავართქილაძის გამოცემა, №53, თავართქილაძის და მიქელაიშვილის სტ. 1895. კანი 54, გვ. პორტრ. (12X8) 20კ.“ *[ქართული წიგნი, 1941: 211]* ბუნებრივია, ყველა გამოცემა შემონახული არ არის და ბათუმში კ. თავართქილაძე-მიქელაიშვილის სტამბის გადატანის თარიღი შესაძლოა უფრო ადრეულიც აღმოჩნდეს. ერთი რამ კი ძალიან საინტე-

რესო: როდესაც ოზურგეთში გახსნილ სტამბაში ა. მიქელაიშვილმა თავის მიერ პირველად გამოცემულ წიგნს ნუმერაცია, (№1), მისცა, ეს ტრადიცია კ. თავართქილაძესაც უნდა გაეგრძელებინოს. იგი ნომრავს თავის გამოცემებს, იქნება ეს ოზურგეთში (№1) თუ სენაკში, ბათუმში (№53...), თბილისში (გამომცემლობა „ნადეჟდა“), (№186). აშკარაა, კ. თავართქილაძეს არ უღალატია აღფესი მიქელაიშვილთან დაწყებული ნუმერაციისათვის და ამას აგრძელებს როგორც თავად კ. თავართქილაძის, ისე ძმები თავართქილაძეების სტამბებში დაბეჭდილ წიგნებზე აღნიშნული საკითხის კვლევა ძალზე საყურადღებოა ქართული წიგნის საგამომცემლო საქმის ისტორიისათვის.

კოწია თავართქილაძემ საკუთარი თუ ძმები თავართქილაძეების სახელით 1902 წლამდე აარსება სტამბა ბათუმში, დასამოწმებლად მოგვეყავს ერთ-ერთი ბოლო გამოცემა: „ჭონქაძე, დანიელ, სურამის ციხე. მოთხრობა დანიელ ჭონქაძისა. მეოთხე გამოცემა, ბათომი, ძმ. თავართქილაძეების გამოცემა №91 და სტ. 1902. კანი 95, გვ. პორტრ (18X13) 15კ „დანიელ ჭონქაძე (მოკლე ბიოგრაფია)“, გვ. 5-8“ **[ქართული წიგნი, 1941: 260]** ამისი მიზეზი, შესაძლოა, გახდა მისი ახალგაზრდა ძმის, სიო ჩითანის ძე თავართქილაძის გარდაცვალება (1902 წ.) სოხუმის სანატორიუმში.

საერთოდ, ზ. ჭიჭინაძეც აღნიშნავს და სხვებიც, რომ იმ დროს ასოთამწეობა-მესტამბეობა რთულ პროფესიას წარმოადგენდა და 60 წლამდე ძნელად თუ მიადწევდნო ვინმე.

თბილისში კ. თავართქილაძეს გაუხსნია კვლავ სტამბა სახელწოდებით „ნადეჟდა“. როგორც სიმონ გუგუნავა აღნიშნავს, კ. თავართქილაძე რევოლუციური მოღვაწეობითაც გამოირჩეოდა. მას თურმე ამის გამო აეკრძალა ბათუმის ოლქსა და ქუთაისის გუბერნიაში ცხოვრება, თბილისშიც არაერთხელ წაართვეს შრიფტები და ლიტერატურა, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების წლებში „კ. თავართქილაძეს დანიშნული ჰქონდა პერსონალური პენსია“ **[გუგუნავა, 1970]**.

კ. თავართქილაძეს შესანიშნავად ახასიათებს ზ. ჭიჭინაძე: „ამის შემდეგ ბათუმში გაჩნდა კოწია თავართქილაძე, ვის სტამბაშიც პირველად დაიბეჭდა ქართული წიგნი, ბათუმის ეს სამაგალითო მოღვაწე ჩვენ მაშინათვე აღვუხსეთ იმავე დროის გაზ. „კვალში“. „კოწია თავართქილაძის მოღვაწეობას სტამბის ასპარეზზე მე კარგად არ ვიცნობ. ერთმა გამომცემელმა მიაგნო, რომ იმ დროს, როცა ბათუმი სხვა სტამბებს ახრჩობდნენ დასაბეჭდის გადასახადშიო. მე კი ესა და ეს ქართული წიგნი თავართქილაძემ ნისიად დამიბეჭდა და ფულიც იმ დრომდე მადროვა და არ შემინახა, ვიდრე წიგნებს გავყიდდი, ახლადანალებიდან გადავიხდითო. მეორე გამომცემელმა მიაგნო, მაგ გამომცემლობით თავართქილაძემ დამაყენა ფეხზეო. სამი წიგნი დამიბეჭდა ნისიათაო და ამას გარდა ერთი ვრცელი ტომის წიგნის

ქალაქშიც თვით გამომიწერა, და ისიც მანისიავაო. ასეთი საქმით შეგებელი იმ ვრცელი ტომის გამოცემაო“ *[ჭიჭინაძე, 1913: 208-209]*.

როგორც მკვლევრები (შ. ფუტკარაძე და სხვ.) „ივერიის“ (1902 წ.) ინფორმაციაზე დაყრდნობით აღნიშნავენ, სწორედ ბათუმში გამოცემულა ფ. ხუსკივაძის მოთხრობა *[ფუტკარაძე, 2014: 263]*.

უამრავი წიგნი გამოსცა კ. თავართქილაძემ ბათუმში. მათ შორის, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ (ძმები თავართქილაძეების გამოცემა №75) 1899 წელს, სვიმონ გუგუნავას „თამარიანი“ (გამოცემა მესამე №70), ძმ. თავართქილაძეების გამოცემა, 1898 წელს, დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“ და სხვ.

კ. თავართქილაძე ახლოს ყოფილა ეგნატე ნინოშვილთან. ჯერ კიდევ მის სიცოცხლეშივე გამოუცია მწერლის მოთხრობები ოზურგეთში, ხოლო, მოგვიანებით, თბილისში, 1904 წელს თავის სტამბაში დაუბეჭდავს ივანე გომართელის მიერ მომზადებული ე. ნინოშვილის თხზულებათა სრული კრებული, რომელსაც ახლავს მისი „ორიოდე სიტყვა“, ასევე „თეატრსა და ცხოვრებაში“ (№12, 14) 1924 წელს გამოქვეყნებული „ეგნატე ნინოშვილი“ (მოგონება).

თავად ფაქტს ბათუმში სტამბის გახსნისა და ქართული წიგნის ბეჭდვისა მეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ზაქარია ჭიჭინაძე: „შესძენა და გაგება რომ შეიძლებოდეს, მაშინ ჩვენ მამა-პაპათა ძვალნიც კი შეინძროდნენ სიხარულით საფლაგში, რომ მათ ეღირსათ ნატვრის შესრულება და ბათუმში სტამბის გახსნა, ქართული ასოების ბეჭდვა დაწვებულ იქმნა, თვით ჩემი ახალგაზრდობიდან ამის მონატრე ვიყავი და ამ დროს ბევრს სიზმრადაც არ მოგეჩვენებოდა, რომ ოსმალეთის საქართველოში ქ. ბათუმს ამას მოვესწრებოდით“ *[ჭიჭინაძე, 1913]*.

ხოლო, რაც შეეხება კ. თავართქილაძის ღვაწლს, ზ. ჭიჭინაძე აღფრთოვანებით აღნიშნავს: „ამის ასეთ შრომას ისეთი დაუფასებელი მნიშვნელობა აქვს, რომ მასზედ ვეება წიგნი დაიწერება და არა ეს პატარა წერილი, მაგრამ რას ვიზამთ, დრო ისეთი გახლავთ, რომ აქ ესეც უნდა ვიკმაროთ, იქმნან შემდეგ სხვებმან, უკეთ აღნუსხონ. ხოლო ის კი ითქმის, რომ ყველა ასეთი აუტანელი შრომის, სიარულის, წიგნების ტარების, მძიმე ტვირთის ზიდვისა და სხვებისაც. ბევრს ასეთებს, არ ვიცი, ვინ აიტანს, ვინ იკისრებს, თუ არა თავისი ქვეყნისა და ერის სიყვარულით გამსჭვალული კაცი, უფრო ყმაწვილი მუშაკი, თავდადებული მუშაკი და სხვანიც ასეთნი, ნუ დაივიწყებთ ამასთან იმასაც, რომ ასეთ პირს თან სდევს საყოველთაო გაჭირვება, სიღარიბე“ *[ჭიჭინაძე, 1913: 200-201]*.

ჩვენ სწორედ ეს ვცადეთ წინამდებარე წერილში, რაც, ბუნებრივია, გულისხმობს გულისხმიერ კვლევას ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიისა.

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

- ჭიჭინაძე, 1913:** – ჭიჭინაძე ზ., ნიკოლოზ ბესარიონის ძე დოღობერიძე და ქართული სტამბა, 1627-1913 წ. თბილისი.
- ჭიჭინაძე, 1900:** – ჭიჭინაძე ზ., „ისტორია ქართული სტამბისა და წიგნების ბეჭდვისა“, 1626-1900, ტფილისი.
- გუგუნავა, 1970:** – გუგუნავა ს., „წიგნის გავრცელებისა და სასტამბო საგამომცემლო საქმის მოამაგენი ძველ ოზურგეთში“, გაზ. „ლენინის დროში“ (ოზურგეთი).
- ქართული წიგნი, 1941:** – ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია, I, თბილისი.
- ნინოშვილი, 1935:** – ნინოშვილი ე., თხზულებათა სრული კრებული, III, თბილისი.
- კლდიაშვილი, 1961:** – კლდიაშვილი დ., „ჩემი ცხოვრების გზაზე“, მოთხრობები. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.
- ფუტკარაძე, 2014:** – ფუტკარაძე შ., მაღაყმაძე რ., ჩელებაძე ნ., ფუტკარაძე ე., ლომთათიძე ე., „ბათუმის საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრება XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე“, – კრ.: ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), V, ბათუმი.

**Tamar Gogoladze**  
(Gori, Georgia)

### K. Tavartkiladze end From the History of Publishing Georgian Books in Batumi

#### Summary

Publishing affairs of the XIX century takes significant role in the history of publishing Georgian books. In the presented article we deal with publishing Georgian book in a newly joined town-Batumi, as Zakaria Chichinadze notes it is connected with the names of Stepane Melikishvili and Aleksandre Makharadze. Though publishing real Georgian books in Batumi was initiated by Konstantine (Kotsia) Tavartkiladze who opened the first publishing house in Ozurgti and a bookshop in Batumi together with Alfes Mikelaishvili. In the 90s he moved to Batumi where he owned a publishing house by Tavartkiladze and Mikelaishvili, later K. Tavartkiladze's brothers by the name of the Tavartkiladze till 1904 when K. Lortkianidze moves to Tbilisi and continues his publishing affairs.

Publishing and popularization of Georgian books in Batumi is connected with the name of K. Tavartkiladze.

## ეროვნული საოლა აჭარაში და გლობალიზაცია

XX საუკუნე კაცობრიობის ისტორიაში შევა არა მარტო, როგორც სიახლის, აღმოჩენებისა და შენების, ასევე როგორც ძველის ნგრევის საუკუნე, რომელმაც მიზნად მსოფლიოს გარდაქმნა დაისახა. ამ პროცესს მრავლისმომცველი სახელი – გლობალიზაცია ეწოდა.

ცივილიზებული სამყაროს პროგრესი ადამიანთა განათლებაზე არის დამოკიდებული. დღევანდელ განვითარებულ მსოფლიოში დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული ურთიერთობები, რაც გლობალიზაციის წინაპირობას წარმოადგენს, სწორედ განათლების მიზნებისა და პრინციპების თანამხვედრი პროცესებით დაიწყო. კლასიკურ ფილოსოფიაში სწორედ ამიტომ აღმოცენდა მეცნიერება აღზრდის, სწავლებისა და განათლების შესახებ, ანუ პედაგოგიკა, რომელიც პრაქტიკის, ხელოვნებისა და მეცნიერების სინთეზია.

გლობალიზაცია მსოფლიოს ყველა ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესების განმსაზღვრელი გახდა. მან სახე უცვალა თანამედროვე სამყაროს. მრავალ სიახლესთან ერთად შეცვალა დამოკიდებულება მეცნიერების, განათლების, კულტურის მიმართ, სხვა შინაარსი და გაგება შესძინა ამ ცნებებს. მეცნიერება და განათლება იმ დონეზე დაუახლოვა ერთმანეთს, რომ მეცნიერება განათლების უმაღლეს მწვერვალად იქცა.

საქართველოს განათლების სისტემა გლობალიზაციამ სერიოზული გამოწვევის წინაშე დააყენა. თუ რამდენად შეძლებს მცირერიცხოვანი ქართველი ერი თავისი თვითმყოფადობის შენარჩუნებას.

განსაკუთრებულია კაცობრიობის ისტორიაში ის რეალობა, რომელიც გლობალურმა საინფორმაციო სტრუქტურამ შექმნა. ყველა სახელმწიფო მას იყენებს კულტურულ-პოლიტიკური კავშირების, ეკონომიკური პროგრესის ხელშეწყობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და სხვა სასიცოცხლოდ აუცილებელი დარგების განვითარებისათვის.

გლობალიზაციის მიზანი მხოლოდ ეკონომიკური პროგრესი არ არის, მთავარია თანამედროვე ცოდნის ათვისება. გლობალიზაცია და განათლება, მათი ურთიერთდამოკიდებულება რთული პრობლემაა, რომელიც თავის გავლენას აჭარის სკოლებზეც ახდენს.

აჭარაში განათლების სისტემის ყოველი წელი სიახლით, ძიებით გამოირჩევა. წლების განმავლობაში აქ ბევრ სასიკეთო წამოწყებას დაედო სათავე.

დღეისათვის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 6 უმაღლესი სასწავლებელი ფუნქციონირებს, 225 ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა, მათ შორის 4 სკოლა-ინტერნატი, რომლებშიც 54155-ზე მეტი მოსწავლე სწავლობს. მათ სწავლა-აღზრდას 7323 მასწავლებელი ემსახურება. ავტონომიურ რესპუბლიკაში 29 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება და 26 არასახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება მოქმედებს.

აშკარად ჩანს, რომ დღეს არსებული განათლების სისტემა გარკვეულ კითხვებს ბადებს. მიზეზი ბევრია, მთავარი კი ისაა, რომ გლობალიზაციამ გარკვეული დატვირთვა შეიძინა, განსაკუთრებით პატარა, განვითარებადი ქვეყნისათვის. მისი გავლენის შედეგად მიმდინარეობს ისეთ საგანმანათლებლო დაწესებულებებზე შეტევა, რომლებიც აფუძნებენ ეროვნულ ცნობიერებას. თვალნათლივ ვხედავთ, აშკარად თუ შეფარვით, როგორ უშლის ხელს იგი საუკუნოვან ტრადიციებს, კულტურას.

აჭარის განათლების სისტემაში დამკვიდრდა სწავლების ორი მოდელი: 1. ინოვაცია მოდერნიზაცია და 2. ინოვაცია-ტრანსფორმაცია; ინოვაცია-მოდერნიზაცია ითვალისწინებს ტრადიციული (არსებული) სწავლების განახლებას. ინოვაცია-ტრანსფორმაცია ძიებას, კვლევას, პრობლემის დასმას და გადაწყვეტას ნიშნავს.

ახალგაზრდობამ რა შედეგი უნდა დადოს საგანმანათლებლო საფეხურის დასრულებისას? როგორ მონახავს თავის ადგილს 7 მილიარდიან გლობალიზებულ სამყაროში? რას წაიღებს წარსულიდან საგზაოდ, რას შექმნის, რას გადასცემს მომავალ თაობას?

აი, კითხვები, რომლებიც აწუხებს უფროსსაც და უმცროსსაც.

განათლების გლობალიზაციის პრობლემათა შორის განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სწავლებას მსოფლიო საგანმანათლებლო სტანდარტებისა და პროგრამების გამოყენებით, თუმცა ეროვნულ თავისებურებათა გაუთვალისწინებლად უცხოური სტანდარტების დანერგვამ შესაძლოა ეროვნული იდენტობის დაკნინების საფრთხე შექმნას.

როგორც „საქართველოს მატიანეში“ არის აღნიშნული გლობალიზაცია უკავშირდება ისეთ ცნებებს, როგორცაა „სწავლება“, „აღზრდა“, „განათლება“, „პროფესიის განვითარება“. ეს ცნებები პედაგოგიკის ძირითადი კატეგორიებია. სწორედ მათ საფუძველზე ხდება პროფესიის სოციალიზაცია და ამითაც უნდა აიხსნას, რომ პედაგოგიკაში უკვე კარგა ხანია ცალკე დარგად ჩამოყალიბდა „სოციალური პედაგოგიკა“. სწორედ სოციალური პედაგოგიკის პრობლემატიკის წვდომამ რეალურად და უკეთ უნდა დაგვანახოს, როგორი ზიანი შეუძლია მოუტანოს მცირე ერს გლობალიზაციამ. თუ განსაკუთრებით არ გავუფრთხილდით ერის თვითმყოფადობას, არ ვიხელმძღვანე-



ლეთ ილიას სიბრძნით, რომ „ქვეყნის მყოფადი მდგომარეობა იმ მიმართულებაზე გადის, რომელსაც მისცემენ ახალ თაობას“. დღეს ცივილიზებული სამყაროსათვის თვითმყოფადობის შენარჩუნების ყველაზე ნაცადი და ისტორიულად მრავალჯერ დადასტურებული გზაა მშობლიური ენის მოვლა-პატრონობა, მისი სიწმინდის შენარჩუნებისათვის ბრძოლა. ეს პრობლემა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ განვითარებულ ქვეყნებსაც აწუხებს.

პარიზში ჩატარებულ განათლების პრობლემებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე საფრანგეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა ჟაკ-შირაკმა ვერცლად ილაპარაკა და დაასაბუთა, თუ რას ნიშნავს ფრანგი ხალხისათვის ფრანგული ენა და აუცილებლად მიიჩნია მისი მსოფლიო ასპარეზზე გატანა. ჩვენთან კი პრიორიტეტი უცხო ენის შესწავლას ენიჭება. ამგვარი უმსგავსოების გამო დიდი ილია წერდა: „რადგანაც არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული ენაა, ამიტომაც ტლანქი ხელი უმეცარი მოხელეებისა ყველაზე უწინარეს ენას მისწვდა“. „ენა ბურჯია ერისა“, „ბურჯია ქართველობისა“ და ამ პრობლემის მიმართ გულგრილი დამოკიდებულება დაუშვებელია“. ასევე დაუშვებელია უცხოური ენების ინტენსიური შესწავლა საბავშვო ბაღებსა და დაწყებით კლასებში. ამ შემთხვევაში ი. გოგებაშვილის მემკვიდრეობაზე, საერთოდ კლასიკურ პედაგოგიკაზე ვამბობთ უარს და უხეშად ვაზიანებთ ქართველის ქართველად აღზრდის საქმეს.

ერთი და იგივე პრინციპითა და მეთოდით არ შეიძლება სხვადასხვა გარემოში აღზარდო და განავითარო პიროვნება. მოზარდის პიროვნებაზე უდიდესი გავლენა აქვს მის გენეტიკურ ფესვებს, მშობლებს, გარემოს, ქვეყანას, რომელშიც ის ცხოვრობს, ხოლო შემდეგ სკოლას, მასწავლებელსა და სასწავლო საგნის შინაარსს. ეს სრულფასობით არ ნიშნავს სასწავლო საგნისა თუ მთლიანად სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის ვიწრო, ეროვნულ ნაჭუჭში მოქცევას, მით უმეტეს ეს არც მოდის წინააღმდეგობაში გლობალიზაციასთან. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა არ ნიშნავს სწავლების სტანდარტიზაციის, ერთიანი სასწავლო პროგრამებისა და მეთოდური მიმართულებების უარყოფას, პირიქით ეს აუცილებელიცაა. მხოლოდ საჭიროა მსოფლიო საგანმანათლებლო მიღწევებისა და ტენდენციების გათვალისწინებით მათი ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნება.

ცნობილია, რომ ქვეყანა, რომელსაც არა აქვს თავისი იდეოლოგია და ამ იდეოლოგიის გატარების პოლიტიკა, დამოუკიდებელ ქვეყნად ვერ ჩაითვლება, რადგან სწორედ განათლებაში აისახება ნებისმიერი ქვეყნის იდეოლოგია. ქვეყნის პოლიტიკა, სამართლებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური, რელიგიური შეხედულებები და იდეები განათლების სისტემაში, მის შინაარსშია ასახული.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ქვეყანას ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო თუ უმაღლეს სკოლას გამოკვეთილი იდეოლოგია არ გააჩნია, რის გამოც ყველაზე მეტად ახალგაზრდობის აღზრდა და განათლება ზარალდება.

1995 წელს ჩვენმა ქვეყანამ მიიღო განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამა და დაამტკიცა მისი განხორციელების სახელმწიფო გეგმა. შემდეგ მიიღო განათლების ახალი კანონი. ამ დოკუმენტების მთავარი მახასიათებელი განათლების ეროვნულობა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ყოველივე ეს ქაღალდზე დარჩა და რეალურად არც კანონი და არც პროგრამა არ ამოქმედებულა.

მთავარია, თავი ავარიდოთ, ვუფროსილდეთ ნეგატიურ ასპექტებს. გავითავისოთ, რომ გლობალიზაცია შეფარვით ანადგურებს ეროვნულს, ტრადიციულს. გვახსოვდეს, რომ იქ, სადაც ფართო მასშტაბიანი გლობალიზაციაა, ადგილი აღარა აქვს პატრიოტიზმს. არავინ მალავს, რომ ისეთი უბედურებები, როგორცაა, დემოგრაფიული კრიზისი, ნარკომანია, კორუფცია და კრიმინალიზაცია, გლობალიზაციამ კიდევ უფრო გაამწვავა, ასეთ აზროვნებას, სამწუხაროდ, გლობალიზტები დემოკრატიის შებღალვად მიიჩნევენ, გვიმტკიცებენ, რომ დემოკრატია ყველა ქვეყნისათვის ერთია *[კარანაძე, 2015]*.

ქართულ სინამდვილეში აღზრდისადმი ამგვარი დამოკიდებულება იმთავითვე განწირულია. დასაზუსტებელია აზრი დევიზისა – „თავისუფალი მოქალაქის აღზრდა“. რისგან, რა მოვალეობისაგან ვათავისუფლებთ ჩვენ ახალგაზრდებს? ვფიქრობთ, სახელმწიფოსა და მთლიანად საზოგადოების დამოკიდებულება ახალგაზრდობის ზნეობრივი და სულიერი სრულყოფის პრობლემებისადმი რადიკალურად უნდა შეიცვალოს.

უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ბრძანებს: ყველამ ვიცით, რომ ჩვენმა ქვეყანამ დემოკრატიის გზით განვითარების პრინციპი აირჩია და ამ მიმართულებით სერიოზული ნაბიჯებიც გადადგა, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველას არ აქვს გაცნობიერებული, რომ ცხოვრების წესი უცხო ქვეყნების ყოფის ბრმა მიბაძვას არ ნიშნავს, რომ სინამდვილეში ყველა ქვეყანას საკუთარი დემოკრატიული წყობა უნდა ჰქონდეს დაფუძნებული ეროვნულ ტრადიციაზე, კულტურაზე, აზროვნებაზე...

რა საჭიროა გადმოვიდოთ უცხოეთიდან ისეთი ღირებულებები, რომლებშიც უგულვებელყოფილია ზნეობრივი ფასეულობანი, რაც სრულიად შეუფერებელია ჩვენი კულტურის, ჩვენი მენტალობის, ჩვენი იდეოლოგიისათვის.

იქნებ აჯობებს, ვიზრუნოთ ჩვენი განათლების სისტემის, ჩვენი სკოლის, ჩვენი ეროვნული ტრადიციების პოპულარიზაციისათვის. გავიტანოთ ჩვენი გამოცდილება განზოგადების მიზნით ამერიკასა და

ევროპის ქვეყნებში. დარწმუნებული ვარ ინტერესის შემცველი იქნება. ამის საფუძველს მაძლევს განათლების სამინისტროში მოღვაწეობის პერიოდში ჩვენი ვიზიტები ამერიკის ჯორჯიის შტატში, ქალაქ სავანეში, რომელსაც ამერიკის ბავშვთა დახმარების ფონდი „ფრენკი“ აფინანსებდა. ინტერესით ვისმენდით იქაური და აქაური განათლების სისტემის მესვეურები ურთიერთ გამოცდილებას. აღნიშნულის თაობაზე მასალები პრესის ფურცლებზე არის დაბეჭდილი. ვფიქრობთ, საქართველოს განათლების სამინისტროს ერთ-ერთმა სტრატეგიამ ასეთი დატვირთვაც უნდა შეიძინოს.

თუ გვინდა წინ წავიდეთ, პირველ რიგში საქართველოში უმაღლესი განათლება აბსოლუტურად უფასო უნდა იყოს და განათლების სფეროში უცხოელთა ექსპანსიისაგან უნდა გავთავისუფლდეთ.

განათლების სისტემაში გადამწყვეტი სიტყვა მასწავლებელს ეკუთვნის. მასწავლებლის მომზადება, მისი პროფესიული სრულყოფა, მოქალაქეობრივი სტატუსის ამაღლება და სხვა საფუძველია გლობალიზაციის გარდაუვალი პროცესების სწორად წარმართვისა.

ჩვენს ქვეყანასა და მის უძველეს ენას რას მოუტანს გლობალიზაცია? როგორ მოექნებით გამოსავალი, რომ არც დროსა და ეპოქას ჩამოვრჩეთ და საკუთარი თავიც არ დავკარგოთ? ორასი წლის განმავლობაში რუსული ენის უპირატესობამ დაგვიჩაგრა ჩვენი მშობლიური ენა. ახლა კი, როცა დამოუკიდებელი ქვეყნის სახელმწიფო ენად იწოდება, საკანონმდებლო ბაზაც კი ვერ შეიქმნა მისი უფლებების დასაცავად. აი, ასეთ დაუცველ ენას რას შეიძლება უქადდეს გლობალიზაცია, ადვილი წარმოსადგენია.

გლობალიზაციას კარებს ვერ დაუკეტავთ, ადრინდელი, რკინის ფარდა ისტორიის საკუთრებად იქცა. თვითდინებაზე ამ პროცესების მიშვება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება *[გაბეჩავა, 2015]*

დიდი ილია ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გვაფრთხილებდა, რომ ახალ ეპოქაში „ხმლით მომხდურ გამოწვევაზე“ მეტად საშიში ცოდნისა და განათლების გამოწვევა შეიძლება გახდეს.

ყოველი სკოლა უნდა წარმოადგენდეს შესანიშნავ პედაგოგთა გუნდს, რომელიც მზადაა, აითვისოს უახლესი ტექნოლოგიები. სათანადო მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ უწყვეტი განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის განვითარებას *[გუგუნავა, 2015]*

„ფაქტია, რომ ჩვენი ქვეყანა მსოფლიოს ორგანული ნაწილი ხდება. აქედან გამომდინარე, არ ავცდებია ინტეგრაციისა და გლობალიზაციის გავლენა.

ჩვენმა სკოლამ უნდა მიაღწიოს, რომ ჩვენი ჭაბუკებისა და გოგონების სისხლის ძარღვებში მერჩულესა და რუსთაველის, ილიასა და აკაკის, ვაჟასა და გალაქტიონის სტრიქონები მოძრაობდეს.

გლობალიზაცია საქართველოს სინამდვილისათვის ახალი მოვლენა არ არის. ის საუკუნეების წინათ თან ახლდა ქართულ რეალობას. აღნიშნულის დასტურად შეიძლება დავასახელოთ დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობა 1713-1716 წლებში საფრანგეთსა და იტალიაში, თუმც ახლო წარსულში, საბჭოთა პერიოდში, როდესაც „რკინის ფარდამ“ იზოლაციაში მოაქცია არა მარტო საქართველო, არამედ მთელი საბჭოთა კავშირი, ნიჭიერ ქართველთა მთელმა პლეადამ მიგრაცია ამჯობინა, გადაიჭრა შემოქმედებითი საქმიანობის ის სასიცოცხლო არტერია, რასაც თავისუფალი აზროვნება ჰქვია. ეს შეეხო საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს, განსაკუთრებით განათლებას.

ჩვენი საგანმანათლებლო სივრცისა და გლობალიზაციის თანამხვედრ პროცესებზე საუბრისას, მხედველობაში უნდა მივიღოთ ცივილიზებული სამყაროს გამოცდილება. თვითმყოფადობის შენარჩუნების ყველაზე ნაცადი და გამართლებული გზა—მშობლიური ენის, ეროვნული კულტურისა და ტრადიციების დაცვა-განვითარება, ხსოვნა იმისა, რომ ქართულ ეროვნულ სულს დღემდე იარად აჩნია, ცარიზმის შოვინისტური პოლიტიკა ქართული განათლების, მთლიანად საქართველოს მიმართ. ეს გამოცდილება გვარწმუნებს, თუ შენი არ შეიცანი, შეიყვარე და დააფასე, სხვას ვერ გაუგებ.

ეროვნული სკოლა და გლობალიზაცია განსაკუთრებულად ფრთხილ მიდგომას მოითხოვს. ამიტომ მას თავად ერი და გლობალისტთა თანამედროვე და მომავალი თაობები ურთიერთთანხმობითა და სათანადო კანონზომიერებით უნდა ახორციელებდნენ.

ახალი საქართველო ახალი აზროვნების ადამიანებმა უნდა ააშენონ. ახალი აზროვნება ახალ განათლებას მოითხოვს. ახალი განათლებისათვის ახალი მიდგომები და პროგრამებია საჭირო. ეროვნული პოზიციის გაძლიერების კვალობაზე საერთაშორისო ინტეგრირება და სახელმწიფოებრივი პატრიოტიზმია აუცილებელი.

საქართველოს გადარჩენის უმთავრესი გზა არის ძლიერი და გამართული განათლების სისტემა, რომელიც ეროვნულ ფესვებზე იქნება დაფუძნებული.

ჩვენი ძირძველი და უმდიდრესი ქართული ეროვნული კულტურა, ჩვენი დიდი საგანმანათლებლო ტრადიციები გვაძლევს იმის საშუალებას, რომ არცერთ ქვეყანას არ მივსდით ბრმად, უკრიტიკოდ, ანალიზის გარეშე. ჩვენი ქვეყანა, ქართული მეცნიერული პედაგოგიკა შეძლებს თანამედროვე გლობალიზებული სამყაროს შესაბამისი ეროვნული სკოლის ჩამოყალიბებას.

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

- ვასაძე, 2003:** – ვასაძე, ნ., „გლობალიზაცია და ეროვნული განათლება“, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია, მოამბე, №6, თბილისი.
- ვასაძე, 2004:** – ვასაძე ნ., პედაგოგიკის ისტორია, თბილისი.
- კარანაძე, 2015:** – კარანაძე, თ., „საქართველოს განათლების მატრიანე“, თავი IX, „გლობალიზაცია და ეროვნული სკოლა“, თბილისი.
- გაბუნავა, 2015:** – გაბუნავა რ., „საქართველოს განათლების მატრიანე“, თავი IX, „გლობალიზაცია და ეროვნული სკოლა“, თბილისი.
- გუგუნავა, 2015:** – გუგუნავა ნ., „საქართველოს განათლების მატრიანე“, თავი IX „გლობალიზაცია და ეროვნული სკოლა“, თბილისი
- გუგუნავა 1997** – გუგუნავა ნ. „მემედ აბაშიძე განმანათლებელი“, ბათუმ-სტამბული.
- ბალანჩივაძე 2015:** – ბალანჩივაძე რ., თანამედროვე განათლების შუქ-ჩრდილები, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, თბილისი
- დოდაშვილი, 1949:** – დოდაშვილი ს., ლოგიკა, თბილისი
- იამანიძე, 2012:** – იამანიძე ი. გლობალიზაციამ ტრადიციულ სკოლას საფუძველი გამოაცალა. „ჩვენი საუნჯე“, № 4, თბილისი
- იამანიძე, 2012:** – იამანიძე ი. განათლება და XXI საუკუნე. „ჩვენი საუნჯე“, №4, თბილისი.

**Nani Gugunava**  
(Batumi, Georgia)

### National School in Ajara and Globalization

#### Summary

The presented work discusses the changes of the modern world provoked by globalization, which made the achievement of civilization equally accessible for the millions of people?

Many novelties changed the attitude towards the science, education, culture. These commandments acquired quite a different meaning. Georgian education system appeared against the serious provocation, which influenced, of course, on the schools in Ajara. The globalization damage is becoming apparent. We should care for the upbringing of the young people, and the nation's originality and independence. Historically proved wayfor preserving the originality and independence of the nation, is looking after and fighting for keeping native language.

## აჭარა ორი რაიონით, მასმედიის ნარატივის მიხედვით

მიყვებით მასმედიის ნარატივს ჯერ ერთი რაიონით, შემდეგ მეორეთი. მოკლედ, მასმედია რომ სუბიექტების პოზიციას გამოხატავს ეს უდავო ხდება ეგრედწოდებულ „ევროპულ- დემოკრატიულ“ პირობებშიც კი. რაც უფრო თავისუფალია ქვეყანა, მით უფრო ბევრი სუბიექტი იჩენს თავს XXI საუკუნის ტელევიზიებში, ბეჭდურ გამოცემებსა თუ სოციალურ მედიაში. მაგალითად, საბჭოთა პერიოდიკა თავის დროზე კომუნიზმს ქადაგებდა და იშვიათად ვისმენდით განსხვავებულ აზრებს. დღეს მედიაპლურალიზმი ბატონობს, რაც იმას ნიშნავს, რომ „მოვუსმინოთ ყველას, ვისაც ლაპარაკი არ ეზარება“, ზოგ შემთხვევაში მოვუსმინოთ ჟურნალისტებისა და პოლიტიკოსების დებატებს (განსაკუთრებით წინა საარჩევნო პერიოდში) და ასე ნელ-ნელა ყალიბდება მედიის ნარტივი სხვადასხვა რაიონით. სოციალური მდგომარეობის გამო ეგრედწოდებული „პოლიტიზირებული ჩვენი ერი“ უნებლიედ ამ ნარტივის გულმოდგინე მსმენელი ხდება, იმის იმედით რომ გაიგებს: პენსიები გაიზრდება, ხელფასები მოიმატებს, სამუშაო ადგილები გაჩნდება, განათლების დონე აიწევს და ა.შ. ასე ჩნდება პოლიტიკურ-მასმედიური მითები და იქმნება მტრის ხატები. რაც შეეხება მტრის ხატს, აქ უმბერტო ეკოს დავესხსხები : „როგორც ჩანს ადამიანს არ შეუძლია მტრის გარეშე არსებობა. ცივილიზაციის პროცესები მტრის ხატს ვერ შლის. იგი წყნარ და მშვიდობისმოყვარე ადამიანსაც კი სჭირდება. ამ შემთხვევაში, მტრის სახე ადამიანიდან ბუნების რაიმე მოვლენაზე ან სოციალურ ძალაზე ინაცვლებს, რომელიც როგორცაა გვემუქრება და რომელსაც უნდა ვძლიოთ, სულ ერთია, ეს იქნება კაპიტალისტური ჩაგვრა, გარემოს დაბინძურება თუ შიმშილი მესამე სამყაროში. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ „დვთიფ-სათნო“ შემთხვევებია, როგორც ბრეხტი გვეუბნება, უსამართლობის სიძულვილიც ამახინჯებს სახეს“ [გეო, 2015: 33-34].

მიყვით ისევ მასმედიის ნარტივის. ძირითადად ტელევიზიები, პოლიტიკოსების კარიკატურებსაც ძერწავენ, ანუ მათ „დიპლომატიურ“ შესაძლებლობებს ბოლომდე გვიჩვენებენ. ქართული ელექტრონული მასმედიის ნარტივის მიხედვით აჭარას პირველ რიგში „პოლიტიკური პროვინციალიზმით“ დაინახავთ. უხლოეს პერიოდის განმავლობაში აჭარის მედია განსაკუთრებულ ყურადღებას აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს უთმობდა და სტუდიებსა თუ ნიუსრომებში მასე-

დიის პროტოტიპებს ქმნიდა. მაგალითად, „აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ ბერიძე და ქოლგა“, მასმედია აღნიშნულ თემას გარკვეული დროის განმავლობაში ტირაჟირებდა, ბადებდა ახალ სათაურებს როგორც „ვიპ პერსონაჟე“ და ქმნიდა მითებსა თუ რეალობას, მედიაპროდუქციის მომხმარებლისთვის ნაკლებად საინტერესო საკითხებზე. სანაცვლოდ კი ჩნდებოდა აჭარის პოლიტიკური პროვინციალიზმი. აღნიშნულ საკითხს, რომ გაცვეთ მასმედიაში დიდი ყურადღება აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს მედეა ვასაძესაც დაუთმო და გენდერული თანასწორობის დაცვის პირობებში, ქალი პოლიტიკოსი საბავშვო ველოსიპედით და ხმაურიანი განცხადებებით გაგვაცნო. რაც შეეხება პოლიტიკოსს მურმან დუმბაძეს, ის „წინა საარჩევნო წყევლითა და ლოცვით“ მედიის ყურადღების ცენტრში არაერთხელ მოექცა. მასმედიის კონტენტანალიზის მიხედვით ნაციონალური მოძრაობის აჭარის ორგანიზაციის წევრები და ამავდროულად უმაღლესი საბჭოს დეპუტატები მუდმივად ჩხუბის ორგანიზატორებად გვევლინებიან, ხოლო აჭარის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარეები კი უმომქმედო პოლიტიკოსებად და ა.შ. ამ პროტოტიპებს არაერთი სტატია თუ რეპორტაჟი მიეძღვნათ. მასმედიის ნარატივს ჟურნალისტებთან ერთად თავად რეპორტაჟების პერსონაჟები ქმნიან. აქ მასმედია ერთი შეხედვით არაფერ შუაშია. თუმცა, მასმედიის (განსაკუთრებით რეგიონული მედიის) „გადამეტებული“ ყურადღება და მუდმივად აპელირება პოლიტიკოსების მოუმზადებელ გამოსვლებზე და არადიპლომატიურ ქცევებზე „ყვითელი პრესის“ ფუნქციებს გვახსენებს და რეგიონული მედიის პრიმიტიული ინტერესის სფეროს ავლენს.

მასმედიის ნარატივის მიხედვით კი, აჭარას მეორე რაკურსით ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით დავინახავთ. ვესტერნიზაციის პროცესში მყოფი ჩვენი ქვეყნის მასმედია მუდმივად ცდილობს საქართველო ტურისტებისთვის მიმზიდველი ქვეყანა გახადოს. რამდენადაც პარადოქსული არ უნდა იყოს, მასმედიის ნარატივის მიხედვით გადავდივართ დასავლურ რელსებზე, ამავე დროს ჩვენ ეროვნულ კულტურას, ტრადიციებს, ღირებულებებს და საქართველოს ისტორიას უცხოლებს ტელეკამერებისა თუ პრესიის ფურცლებით ვაცნობთ, ეს ჩემთვის, როგორც ქართველისთვის დადებითია, რადგან გლობალიზაციის პროცესში ჩვენი ეროვნული იდენტობის არსებობა, ჩვენი მომავალი ისტორიაა.

ასე რომ, მასმედიის ნარატივის მიხედვით აჭარა მართლაც ტურისტულ რეგიონად იქცა. და ბოლოს, მედიას დიდი წვლილი მიუძღვის ბათუმის, როგორც ტურისტული ქალაქის განვითარებაში. შეიძლება ითქვას, რომ ქართული მედიაპროდუქციის დიდი ნაწილი ტურისტულ პიარკამპანიებს ეთმობა, რაც დადებითად აისახება აჭარის

მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ყოველ შემთხვევაში  
ესეც მასმედის ნარატივია, მეორე რაკურსით.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

ეკო, 2015: – უმბერტო ეკო, მტრის ხატის შექმნა, თბილისი.

**Inga Zoidze**  
(Batumi, Georgia)

### **Ajara with Two Angles, According to Mass Media Narrative**

#### Summary

The theoretical analysis is given along with specific examples and attempt to maximize an objective analysis of reality television. The following article discusses the gaps existed in Adjarian Regional media. The effects of disfigured facts, gossips and purposefull mistakes covered in media, on the consiousness of society is also considered in the thesis.



## ბათუმი ქართულ ჰოჯიაში

ბათუმი ძველი ქალაქია, უფრო ძველი ვიდრე გორგასალის ხოხობი. იგი იხსენიება ანტიკურ წყაროებში სხვადასხვა ეტიმონით, მათ შორის, პლინიუსისა და არიანეს ნაწერებში. თინათინ ყაუხჩიშვილი ბათუმის შესახებ უძველეს წყაროებს არისტოტელესთან ეძებს. თავისი სტრატეგიული მდებარეობითა და უნიკალური ბუნებრივი პორტით, იქცეოდა და იქცევს ძველი და ახალი საუკუნეების მოგზაურთა და გამოჩენილი ადამიანების განუსაზღვრელ ყურადღებას. ხშირად ჩვენი ისტორიული მტრების სამიზნე და მსხვერპლიც იყო, მაგრამ დღეს იგი დედასამშობლოს განუყოფელი ნაწილი და ჩვენი მხარის დედაქალაქია. გონიოსა და პეტრას ციხეები ის ფორპოსტი იყო, რომელიც მედგრად იცავდა საქართველოს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ყველა ჯურის მბრძანებლისაგან. მატათას სავარაუდო საფლავი გონიოში ჩვენი ქრისტიანული სიძველის ნიშანია. შოთა რუსთველი ჩვენი ისტორიული მხარის შვილი იყო, რომელიც გონიოს გავლით გამოეთხოვა საქართველოს. სწორედ, რომ გონიოს გავლით იმოგზაურა სულხან-საბა ორბელიანმა დიპლომატიური მისიით ევროპაში, საიდანაც ხელმოცარული და დათრგუნული დაბრუნდა.

ჩვენამდე მოღწეული ბათუმის ყველაზე უფრო შორეული მეტაფორა XVII საუკუნით ფიქსირდება და ქართული ხალხური გენიის ობოლი მარგალიტია. მისი ავტორი სავარაუდოდ უნდა იყოს ხათუნა ბასილაძე, რომლის მეუღლემ ყოჩაღი ბასილაძემ სამშობლოს უღალატა და სულთანის სამსახურში ჩადგა. ამისათვის მას ფაშობა და სტამბოლში მაღალი სამსახური ებოძა. აღზევებული ქართველი ფაშა ცხმორისში თავის მეუღლეს თვეში 1500 ალთუნს უგზავნიდა. მაგრამ ხათუნს ქმარი უნდოდა და არა – ალთუნი. სწორედ, ხათუნა ბასილაძეს უნდა ეკუთვნოდეს ეს ლექსი: „ფაშავ, ნუ მწერ თათრულსაო, ჩემსას უგდე ქართულსაო, კაცად კაცი მირჩევიხარ, ათას ხუთას ალთუნსაო. სულთანს უთხარ მოვენატრე ცხრომისსა და ბათუმსაო, თელ ქვეყანას ურჩევნია შენი ფაშა ხათუნსაო. შინ ჩამოდი, ასე გიჯობს, სხვის ლაშქარში პანტურსაო, თორემ , ბოლოს, სხვა დაუკრავს, შენს დასაკრავ ფანდურსაო.“ ამის გამგონე ყოჩაღი ფაშას, ჩემმა ხათუნმა არ მიღალატოსო, სულთანიც დაუგდია, მისი ჯამაგირიც და შინ გამოქცეულა. ამ ლექსით ფიქსირდება ბათუმის უძველესი და უპირველესი მეტაფორა.

ბათუმის ბულვარში ახლაც დგას 1883 წლის 21 ოქტომბერს გამოჩენილი დრამატურგის ალ. ოსტროვსკის მიერ დარგული მაგნოლიის ხე. 1883 წელს იმპერატორმა ალექსანდრე III-მ და მისი ოჯახის წევრებმა რამდენიმე ხე დარგეს ახლანდელი მოსწავლე ახალგაზრდობის პარკში. ბათუმის თემას სამი გენიოსი პოეტის კალამი შეეხო, მათ შორის, აკაკი წერეთელი, გალაკტიონ ტაბიძე და ვლადიმერ მაიაკოვსკი. რუსი მწერალი მიხეილ ბულგაკოვი ბათუმის ბაზარში გადაეყარა რუსი მაღალჩინოსნის მეუღლესა და თავისი მომავალი რომანის გმირს – ულამაზეს მარგალიტას, სადაც მომავალი მწერალი შიმშილისაგან თავის დასაღწევად „კერასინებს“ ჰყიდდა. ეს იყო 1928 წელს. მანამდე კი, 1923 წლის სექტემბერში, „რკინის თეატრში“ იცეკვა სერგეი ესენინის მეუღლემ, ამერიკელმა აისედორა დუნკანმა. იგი ბათუმიდან ესენინს წერდა, თუკი ისევ გადაწყვეტ თავის მოკვლას, ბათუმში ჩამოდიო. 1924 წლის დეკემბრის დამდეგს ესენინი მართლაც ჩამოვიდა ბათუმში, აქ, ბულვართან გაიცნო სომხური სკოლის პედაგოგი შაგანე ტალიანი, რომელიც მისი პოეტური შთაგონება გახდა. შაგანე 1976 წელს გარდაიცვალა 76 წლისა. ესენინის საუკეთესო ლექსების ციკლი „სპარსული მოტივები“ ბათუმში ორი თვით შემოქმედებითი ცხოვრების ნაყოფია. სიმბოლურია ისიც, რომ ესენინის ლექსების ქართულ ენაზე საუკეთესო თარგმნები ბათუმში, ბათუმელმა პოეტმა გიორგი სალუქვაძემ მოგვცა. ბათუმმა ერთხელ მაიაკოვსკის ლექსშიც გაიელვა. ეს ლექსია: „

a

! a, , ... , , –  
?“

საინტერესოა ერთი აღუზიაც: 1896 წელს ბათუმში გაიხსნა პირველი ბიბლიოთეკა, რომლისთვისაც საკუთარი წიგნები გამოუგზავნია ლევ ტოლსტოის.

გენიალური აკაკის კალამმა ბათუმის მნიშვნელობა გააფართოვა და საქართველოს საზღვრებს იქით გაიტანა 1915 წელს დაწერილ ლექსში [„ვით სპილო არ მწამს სპილოდა, თუ არ ექნება ხორთუმი, ისე კაკასი კაკასად, თუ არ ექნება ბათუმი“].

გენიალური გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების ერთ-ერთი გამორჩეული ფურცელია ლექსების ციკლი „ოქრო აჭარის ლაჟვარდში.“ ეს ციკლი დიდი სამამულო ომის წლებში დაწერა. პოეტი სპეციალურად ჩამოვიდა ბათუმში და რამდენიმე ხანს სასტუმრო „1 მაისში“ ცხოვრობდა, ახლა იმ შენობაში სასამართლოა. მას ამშვენებს გალაკტიონის მემორიალური დაფა.

1973 წელს „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“ ცალკე წიგნად გამოსცა გამომცემლობა „აჭარამ“, რომელიც რედაქტორი და ხელმოწერელი წინასიტყვაობის ავტორი გახლავართ. წიგნში წარმოდგენილია ლექსი

„ბათუმი,” რომელიც ომის წლების გამოძახილი მეტაფორებითაა საგ-სე, მაგრამ ძალიან მაღალ ხარისხშია აყვანილი მისი ფუნქცია და ადგილი საქართველოს სტრატეგიულ სივრცეში: „რა მშვენიერი ზღვა გაქვს, აჭარა, რა მომავალი ძვირფასი ბედით... ქალაქი – მთელი ქვეყნის ფანჯარა აღმოსავლეთით და დასავლეთით.” მე მგონი, აქ ჩე-მი კომენტარი გააფუჭებს წარმოსახვის სურათს. უკეთესია ისევ პოეტს მოვუსმინოთ: „ბათუმი. მისი ზეცა და გემი, იმისი მიწის ხმა საჯადოქრო, სად დაიბადა სიმღერა ჩემი: „ოქრო აჭარის ლაჟვარდში – ოქრო”.

გალაკტიონის ამ ციკლს ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ცის-ფერყანწელი პოეტების ტიციან ტაბიძისა და პაოლო იაშვილის ლექ-სები, რომლების 1928 წელს დაიწერა. შეიძლება ითქვას, რომ ეს ის დროა, როცა დასასრულს უახლოვდება ცისფერყანწელთა კორპორა-ციის არსებობა. 1918 -1921 წლებში ძალიან მძიმე იყო საქართველოს პოლიტიკური სურათი და ბათუმი გამონაკლისი ვერ იქნებოდა, მით უმეტეს, ათასი ჯურის მტაცებელი დათარეშობდა და ხელიდან ხელში გადადიოდა. პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე არა მარტო მხატვ-რული სიტყვით, ფიზიკურადაც მონაწილეობდნენ ბათუმის განთავი-სუფლებისათვის უთანასწორო ბრძოლებში. 1918 წელს პაოლო იაშვი-ლი თავისი ცეცხლოვანი მეტაფორებით აღანთებს ჩვენს განმათა-ვისუფლებელ მებრძოლებს: „ბრძანება ისმის და სმენა ჩქარა, გაშა-ლეთ გზებზე ჭრიალა ხმები, ან დავიბრუნოთ ჩვენი აჭარა, ანდა ბა-თომთან დავტოვოთ ძელები.”

ტ. ტაბიძის „სენტიმენტალური მოგზაურობა” 1918-1921 წლის მოვ-ლენების შემდეგ შეიქმნა. პოეტი კვლავ ბათუმშია. ამასთან ერთად ჩამოდიან მ. ჯავახიშვილი, პ. იაშვილი, ა. მირცხულავა და აფუძნებენ ბათუმის სამწერლო ორგანიზაციას. ტიციანის ლექსი ბათუმური მაისობის სრულიად ახალი მეტაფორაა: „ მაისი ყველგან არის მაისი, მაგრამ ბათუმში მაინც სხვა არი, და ვხვდები ახლა, რომ სილამაზეს აღარ ჰქონია ქვეყნად საზღვარი.”

ცისფერყანწელების შემდეგ, პირველი პოეტი, რომელმაც ბათუმის თემა ღრმად აბსტრაქტული მეტაფორებით შემოიტანა ქართულ პოე-ზიაში მამია ვარშანიძე იყო. მისი ლექსი „ბათუმი,” რომელიც 1938 წლით თარიღდება. დაამშვენებს ქართული პოეზიის ყველა დროის ან-თოლოგიას. როცა ეს ლექსი წაიკითხა იოსებ გრიშაშვილმა, აღტაცე-ბულმა წამოძახა „ჰაუ, რა მომავალი გაქვს, ალაღ იყოს!” ამ ლექსის ბევრი კომენტარი არსებობს, მათ შორის, ჩემიც. იხილეთ პოეტის რჩეული ლექსების წინასიტყვაობა „სიცოცხლე პოეზიაში.” ამ ლექ-სით მან თავი დაიმკვიდრა ჩვენს მწერლობაში, როგორც ორიგინალუ-რი ხმის შემოქმედმა. შემდგომ წლებში იგი ნებით თუ უნებლიედ, გაემიჯნა აბსტრაქტულ წარმოსახვებსა და რიტმულ-მელოდიურ ანუ

„ამდერებულ“ ჰანგებს მოჭარბებულად მიეძალა. ამ კომენტარის შემდეგ, მინდა ხსენებული ლექსი მთლიანად მოგასმენინოთ, რათა ნათელი წარმოდგენა შეგექმნათ მამია ვარშანიძის პოეტურ აბსტრაქციაზე, რომლის გარეშე, აკაკი გაწერელის სიტყვებით თუ ვიტყვით, პოეზია არ არსებობს:

„მე მაგონდება ჩემი ბავშვობა და ჩადრიანი მშობელი დინჯი, ერთხელ ქალაქში ჩამომიყვანა ზანკლით, ჩაქურით პატარა ბიჭი. მეუცნაურა ქალაქის ნახვა და ჟრუანტელი ტანში მივლიდა, დედამ ღუქნები შემომატარა და მოსირმული ქუდი მიყიდა. მივეყვ, ვიარე, გულში ვშიშობდი, – დედა სოფლის გზას ვედარ მიაგენებს, მივედით ზღვასთან, გულმა იელვა, კრთომით ვუცქერდი გემს და იალქნებს... რამდენი რამე დამვიწყებია, მაშინ რომ გული დაუფიფქია, ვნატრობ ნეტავი სულ მომაგონა, იმ დროს, ბათუმზე რაც მიფიქრია. შემდეგ ცამ ბევრი დღეები დაცრა და გაიფურჩქნა ჩემი მიზნები, მე დავასრულე ზრდა ყმაწვილკაცმა, შენ კი, ბათუმო, კვლავაც იზრდები! ჩემო ბათუმო, შენში ჰყვავიან, ჩემი ტოლების დღე და მიზნები, მრავალი წლის შემდეგ გეტყვი სიმღერით, მე მოვხუცდი და შენ კი იზრდები!“

თავისი ცხოვრების მიმწუხრზე გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ პოეტმა სიმონ ჩიქოვანმა გამოაქვეყნა თავისი ახალი და უკანასკნელი ლექსების ციკლი „შემოდგომის დღეები აჭარაში,“ რომელიც მისი პოეზიის ოქროს ფურცელია. განუმეორებელი საოცრებაა, რომ უსინათლო და თვალდაშრეტილი პოეტი მართლაც განუმეორებელი ფერებით გვიხატავს ბათუმსა და მისი შემოგარენის, მზიური აჭარის წვიმიანი დედაქალის ფერადოვნებასა და ენით გამოუთქმელ მშვენიერებას. აი, თუნდაც ეს სტრიქონები, რომლებიც ჩემი მესხიერების ზედაპირზე არასოდეს წაიშლება: „წითელ-ყვითელი მოჩანს ბორცვები, მზე ჩამავალი გვირგვინს ედრება, მთები აწვდილან, როგორც ლოცვები და ზღვა გართხმულა, როგორც ვედრება.“

ზემთო წვიმიანი დედაქალაქი ვახსენე. აქაური წვიმის სურათები თითქმის ყველა პოეტმა აიტაცა და კინაღამ შაბლონად იქცა, ამიტომაც მისი ეფექტი აღარ არის პირველქმნილი საკვირველება. აქვე მინდა ერთი ჩვენი ბათუმელი პოეტის ლადო სეიდიშვილის ლექსის კომენტარი შემოგთავაზოთ, პოეტისა, რომლის რეიტინგი ბათუმში, არც თუ ისე თვალსაჩინოა, მაგრამ საქართველოს დედაქალაქის ინტელექტუალურ სივრცეში აღიარებულია, როგორც უადრესად აკადემიური და უპირველესი შემოქმედი. მისი „ბათუმის სილუეტები“ ისეთი ლიტერატურული ფაქტია, რომლის წიაღში აბსტრაქტული სამყაროს კასკადებია და როგორც უკვე გითხარით, უკვე შაბლონად ქცეულ ბათუმურ წვიმას, სრულიად ახალი მხატვრული ფუნქცია შესძინა. ესაა „აუწონავი სიმსუბუქე ამ სილამაზის, პროვინციული სახეების სიმშვიდის ფასი – აქ შეიძლება ჩავიაროს გვერდით ჰეგელმა.“

1996 წლის ზაფხულში გაიმართა ბათუმზე შექმნილი ლექსებისა და სიმღერების ფესტივალი. დაახლოებით ორასამდე ლექსი მივიღეთ. უმეტესობაში ძალიან ცოტა იყო პოეზია. რაც შეეხება სიმღერას, მთავარი პრიზი ეკა კვალიაშვილმა დაიმსახურა.

პოეტისა და გამომჩენილი ფერმწერის კორნელი სანაძის ლექსზე შექმნილი დიდი იაშვილის სიმღერა „თუ გაიტრები აჭარის მთებში,“ რომლის მისამღერია „ბათუმს ქათქათას“, ლამის ჰიმნად იქცა. ბათუმზე შექმნილი ლექსებიდან მინდა გამოვარჩიო და მცირე კომენტარი შემოგთავაზოთ წუთისოფლიდან უდროოდ გარდასული პოეტის ზურაბ ზოიძის ერთი ლექსის შესახებ, რომელსაც „მაგნოლიერების ქალაქი“ ჰქვია, მიუხედავად იმისა, რომ ზურაბი ჩემი ძმისწულია და შეიძლება მკითხველმა მიკერძოებად აღიქვას. ეს ის პოეტია, რომელმაც ბათუმი გამოიყვანა წვიმიანი ქალაქის ბურუსიდან და მაგნოლიის ყვავილებით შემოსა: „ჭაჭკავადის თეატრი, ვით ბათუმის ემბლემა, შოთას უნივერსიტეტი – თეთრად მოქათათე, იქით ყვავილების სურნელება იფრქვევა, მაღალი მაგონოლია ყელყელობს აქეთ. სიყვარული მეფეა და ღვთისმშობლის წყალობა, ხეთა კენწეროებს მანანები ესხა. ბაღში წითელფეხება შავი შაშივი გაღობს, დგას ბათუმი – ლოცვასავით გარინდული ფრესკა.“

ციტირებულ ლექსში ჭაჭკავადის თეატრი გააზრებულია, როგორც ბათუმის ემბლემა. გასული საუკუნის 60-იან წლებში იდგმებოდა საეტაპო სპექტაკლები, რომლებმაც სახელი გაუთქვეს თეატრსაც და ჩვენს ქალაქსაც. აქ მინდა კიდევ ერთი აღუზია მოვიშველიო: 1963 წელს საქართველოში ჩამოვიდა და ბათუმსაც ეწვია ამერიკელი მწერალი ნობელიანტი ჯონ სტეინბეკი, რომელმაც ნახა სპექტაკლი „ოიდიპოს მეფე“ და მოიხიბლა იუსუფ კობალაძის თამაშითა და მთლიანად სპექტაკლით. რუსი მწერალი ლ. მალიუგინი, რომელიც მეგზურობდა ამერიკელ მწერალს ჩვენს ქვეყანაში, ერთ-ერთი საკავშირო ქურნალში (ასე ვეძახდით მაშინ – შ.ზ.) გამოქვეყნებულ სტატიაში ამბობს, „სტეინბეკი აღფრთოვანებული იყო სპექტაკლით და მე, საბჭოთა მწერალი, ვამაყობდი იმით, რომ ამერიკელმა მწერალმა ვერ იხილა სოფოკლე ვერც თავის ქვეყანაში, ვერც დიდი დრამატურგის სამშობლოში - საბერძნეთში და იგი ჩვენთან ნახა საბჭოთა კავშირში, არა მარტო დედაქალაქის ვახტანგოვის თეატრის სცენაზე, არამედ პატარა სანავსადგურო ქალაქში, რომელიც ამერიკული წესის მიხედვით განთქმული უნდა ყოფილიყო არა მარტო თეატრით, არამედ დანსინგებითა და ლუდხანებით.“

ბათუმი ყოველთვის იყო ჩვენი გამომჩენილი მოღვაწეების ილია ჭაჭკავადის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, დიმიტრი ბაქრაძის, გიორგი ყაზბეგის, სერგეი მესხის, რაფიელ ერისთავის, თედო სახოკიას, ზაქარია ჭიჭინაძის, დავით კლდიაშვილის, გერონტი ქიქოძის,

ეგნატე ნინოშივილის და სხვათა ყურადღების ცენტრში. რა თქმა უნდა, ქართველი პოეტები პირდაპირ თუ ირიბად ხარკს უხდიან ბათუმის განუყოფელ ზღვისპირეთს. ცხადია, ყველა მათგანი არ არის მეტაფორული სახისმეტყველების ნიმუში, მაგრამ აქვთ არსებობის უფლება. დიდ ტყეში მაღალი ხეების გვერდით პატარ-პატარა ხე-ბუჩქნარებიც ბინადრობენ. აქვე მინდა ერთი ძალიან კარგი ესეისტისა და პოეტის მურმან ჯგუბურიას ლექსიდან, რომელიც გასული საუკუნის 80-იან წლებში დაიწერა, ერთი ბევრისმთქმელი სტრიქონი შემოგთავაზოთ: „შენ უნდა იყო საქართველოს დედაქალაქი.“ ამას იმიტომაც მივაქციე განსაკუთრებული ყურადღება, რომ ავადსახსენებელი გახრწნილი რეჟიმის დროს გამოშიგნეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია და ბათუმს ჩამოართვეს დედაქალაქის სტატუსი და ადმინისტრაციული ცენტრი დაარქვეს. ძალიან შთამბეჭდავი სტრიქონები მიუძღვნა ჩვენს ქალაქს პოეტმა ზაალ ებანოიძემ, ავთ. ყურაშივილმა, ნოდარ ჯალაღონიამ, ნანა გვარიშივილმა, ფრიდონ ხალვაშმა, გიორგი სალუქვაძემ, ზურაბ გორგილაძემ, შოთა როყვამ და ბევრმა სხვამ.

ჩვენს საყვარელ თბილისსა და ქუთაისს საკუთარი სიმბოლური მეტაფორები აქვთ – პირველს ჰქვია „პოეტების სამეფო,“ ხოლო მეორეს – „სავარდო და სამაისო.“ არც ბათუმია გამონაკლისი. მას მეტაფორულად „თეთრი ქალაქი“ ჰქვია. სწორედ, რომ „თეთრი ქალაქი“ დავარქვი პოემას, რომელიც ჯერ ჟურნალ მნათობში, ხოლო შემდეგ გაზეთ „უქიმერიონსა“ და ჩემი რჩეული ნაწერების ორტომეულის პირველ ტომში დაიბეჭდა.

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

**„ცისფერი ყანწები“, 1990:** – ჟურნ. „ცისფერი ყანწები“, 1990 წლის №1, №2, ქუთაისი.

**XX საუკუნის ქართული პოეზია, 1991:** – XX საუკუნის ქართული პოეზია, თხუთმეტ ტომად, XII, თბილისი.

**ტაბიძე, 1971:** – ტაბიძე გ., ოქრო აჭარის ლავარდში, გამომც. „აჭარა,“

**მამულსა საყვარელს** (კრებული), გამომ. „აჭარა,“ 1971წ.

**ყაუხჩიშვილი, 1969:** – ყაუხჩიშვილი თ., ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, II, თბილისი.

**ზოიძე, 2013:** – ზოიძე შ., რჩეული ნაწერები 2 ტომად, II, ბათუმი.

**გვეტაძე, 2015:** – გვეტაძე ო., თეთრი ქალაქის მენესტრელი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“;

( , )

,  
-  
-  
-

1938

,

«

».

## ბათუმის ქალთა სასწავლებლები (XIX საუკუნის მეორე ნახევარი - XX საუკუნის დასაწყისი)

როგორც ცნობილია, XIX საუკუნის მეორე ნახევარში ახალი იდეების გავრცელებამ საქართველოში გავლენა მოახდინა ახალ-გაზრდობის აღზრდა-განათლებაზე. აუცილებელი და საჭირო გახდა ქალის საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლა, გაჩნდა მოთხოვნები – ქალს მონაწილეობა მიეღო კულტურისა და საზოგადოებრივი შრომის სხვადასხვა დარგის განვითარებაში. ქართველი პედაგოგები მოითხოვდნენ ყველა საშუალო სასწავლებლებში ქალთა მომზადებას მასწავლებლად. მიუხედავად ასეთი მიდგომისა, ამ პერიოდში ქალთა საგანმანათლებლო დაწესებულებები ძალიან ცოტა იყო.

1881 წლის 23 მარტს ბათუმში წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დააარსა ორკლასიანი სასწავლებელი, რომელიც იყო პირველი ქართული სკოლა ბათუმში. მზრუნველმა კომიტეტმა ითხოვა ვაჟთა სკოლასთან გახსნილიყო ქალთა პირველდაწყებითი სკოლაც და წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ამ საკითხის გამოსარკვევად ნ. ცხვედაძე მიავლინა, მაგრამ მიუხედავად დიდი მცდელობისა, ქალთა განყოფილების გახსნა ვერ მოხერხდა *[ხუნდაძე, 1960: 32]*.

1886 წელს ბათუმში გაიხსნა ქალთა რუსული ორკლასიანი სასწავლებელი, რომელიც 1890 წელს გადაკეთდა მარიამის ქალთა სასწავლებლად. „მარიამის სახელობისა ეწოდებოდა პავლე პირველის მეუღლე მარიამის პატივისცემის აღსანიშნავად XVIII საუკუნის რუსეთში შექმნილ განსაკუთრებულ უწყებაში შემავალ ქალთა სასწავლებლებს“ *[ზაბილოძე, 1958: 35]*.

1898 წელს გაიხსნა ქალთა ერთკლასიანი ქართული დაწყებითი სასწავლებელი. აღნიშნული სასწავლებელი არსებობდა ქალაქის მმართველობის ხარჯზე. ქალთა ქართულ სკოლას განაგებდა დარია კეკელიძე *[ზაბილოძე, 1958: 36]*.

1895 წლიდან, როცა ლ. ასათიანი ქალაქის თავად აირჩიეს, განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდა ბათუმში და მის ახლომახლო სოფლებში სკოლების, ბიბლიოთეკებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების გახსნას. მისი მოღვაწეობის პერიოდში, 1897 წლის 14 სექტემბერს, სადღესასწაულო ვითარებაში გაიხსნა ბათუმის ვაჟთა კლასიკური გიმნაზია. ბათუმის საზოგადოების მოწინავე ინტელიგენციამ პოლკოვნიკ ნიკოლოზ ანტონის ძე დუმბაძის



ინიციატივით 1897 წელს თვითმართველობის წინაშე დააყენა საკითხი ბათუმში ქალთა გიმნაზიის გახსნის შესახებ. ამ დროს ბათუმში არსებობდა წმინდა მარინეს სასწავლებელი, რომლის კურსებიც ვერ აკმაყოფილებდა საზოგადოების მოთხოვნებს. ეს საკითხი ლ. ასათიანმა ოფიციალურად განიხილა ქალაქის საბჭოს სხდომაზე, აღძრა შუამდგომლობა ოლქის მზრუნველის წინაშე და დაბეჯითებით მოითხოვა ქალთა გიმნაზიის გახსნა, მაგრამ პასუხის მიღებას ორწელნახევარზე მეტი დააგვიანდა.

მეფის ადგილობრივი მოხელეები ბათუმში ქალთა გიმნაზიის გახსნის წინააღმდეგები იყვნენ. ისინი შიშობდნენ, რომ გიმნაზიის გახსნა გამოიწვევდა მასში მთავრობისათვის არასასურველი ახალგაზრდობის ჩაბმას. გამოითქვა აზრი, თუ არ მოხერხდებოდა ქალთა გიმნაზიის დაარსება, მაშინ მარიამის ქალთა სასწავლებელი გადაეტებულიყო ქალთა გიმნაზიად. სასწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი ამის წინააღმდეგი გამოვიდა და მოითხოვა მარიამის სასწავლებლის შენარჩუნება, რამდენადაც ეს უკანასკნელი წარმოადგენდა ქალთა საშუალო სასწავლებლებისაგან მოსახლეობის არაპრივილეგირებული წოდების ახალგაზრდობის ჩამოშორების საუკეთესო საშუალებას *[ბაბილოძე, 1958: 41]*.

საქალაქო სათათბიროს შუამდგომლობაზე ქალაქის თავმა იანოვსკისაგან მიიღო ასეთი პასუხი: არ არის სასურველი გიმნაზიის გახსნა, რადგან იგი მხოლოდ გაამრავლებს ინტელიგენტი ქალების რიცხვს, რაც სასარგებლო არ არის, მით უმეტეს, რომ გიმნაზია აივსება მზარეულების, პარიკმახერების, მეეტლეების, თერძებისა და მათი მსგავსი ხალხის შვილებითო *[კლდიაშვილი, 1947: 711-712]*. ოლქის მზრუნველის ამ პასუხმა კიდევ უფრო გაამძაფრა ბათუმის მოსახლეობის სურვილი – გახსნილიყო ქალთა გიმნაზია.

მთავრობის მოხელეთა დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ლ. ასათიანმა გამონახა ადგილობრივი ბიუჯეტიდან სახსრები, ითხოვანებართვა პეტერბურგის უნივერსიტეტიდან და 1900 წლის 26 სექტემბერს გახსნა ბათუმის ქალთა გიმნაზია. ბათუმის ქალთა გიმნაზიის გახსნას უკავშირებენ ბათუმის მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლების – ივ. მესხის, გრ. ვოლსკის, ნ. ჯაყელის, ნ. დუმბადის, კ. ქიქოძის და სხვათა სახელებს *[მაღლაზონია, 1968: 39]*.

ბათუმის როგორც ვაჟთა გიმნაზიაში, ისე ქალთა გიმნაზიაში დაწესებული იყო საკმაოდ მაღალი ქირა: 1900 წელს – 60 მან., ხოლო 1917-1918 სასწავლო წელს – 150 მანეთი. ასევე ფასიანი იყო მარიამის სახელობის ქალთა სასწავლებელი (გადასახადი იყო 20 მანეთი) *[მაღლაზონია, 1968: 39]*.

სწავლის მაღალი ქირა ხელშემშლელი იყო სწავლით დაინტერესებული ახალგაზრდობისათვის. სწავლის ქირის გადაუხდელობა იწ-

ვევდა სკოლიდან მოსწავლეთა საგრძნობი ნაწილის გარიცხვას. ამიტომ „აჭარაში რუსეთის ბატონობის მთელ მანძილზე ე. ი. 39 წლის განმავლობაში ბათუმის გიმნაზია დაამთავრა მხოლოდ სამმა აჭარელმა, ისიც ბეგ-აღების შვილებმა. ნათქვამიდან აშკარაა, რომ განათლება მეფისდროინდელ აჭარაში მხოლოდ მხოლოდ მდიდართა და ექსპლუატატორთა პრივილეგია იყო.

ასეთი პოლიტიკის გატარების შედეგად ბათუმის სკოლებში ქართველ მოსწავლეთა რიცხვი უმნიშვნელო იყო. მაგალითად, 1913 წელს ქალთა გიმნაზიის 38 კურსადამთავრებულიდან ქართველი იყო მხოლოდ 6, ხოლო მთლიანად 349 მოსწავლიდან – 84 *[ზაბილოძე, 1958: 42]*.

გაზეთ „საქართველოს“ კორესპონდენტი წერილში „ჩვენი ცხოვრება“ წერდა, რომ ვაჟთა გიმნაზიასთან დაარსებული ყოფილა სახელმწიფო დაწესებულება, რომელიც ხელს შეუწყობს ჯარისათვის მასალის დამზადებას და შეგირდებსაც დრო აღარ ექნებათ ქუჩაში სახეტიადლოდ. გარდა ამისა, ქალთა გიმნაზიაში დაამზადებენ შხამიანი გაზის საწინააღმდეგო პირსაფრებს და თეთრეულობასო *[“საქართველოს”, 1915: 4]*.

მოსწავლისათვის ზოგიერთი პრაქტიკული ჩვევის მიცემის მიზნით, ცალკეულ სკოლებში შემოიღეს პრაქტიკული მეცადინეობა. მაგალითად, მარიამის სასწავლებელში ასწავლიდნენ ხელგარჯილობას, საქალაქო სასწავლებელში 1903 წლის დეკემბრიდან გაიხსნა საფოსტო-სატელეგრაფო კლასი.

ქალთა გიმნაზიებში მთელი კურსის განმავლობაში სასწავლო საათები ასე იყო განაწილებული: რუსულ ენასა და ლიტერატურას – 736 საათი, ვაჟთა გიმნაზიაში – 1,280 საათი, მათემატიკას – 736 საათი, ვაჟთა გიმნაზიაში – 1,216 საათი. პროგრამით გათვალისწინებული საგნები ისწავლებოდა გამარტივებული სახით. ქალთა გიმნაზიას ჰქონდა 7 კლასი (მე-8 იყო პედაგოგიური კლასი), ხოლო ვაჟთა გიმნაზიას კი 8 კლასი *[ზაბილოძე, 1958 : 45]*.

პრობლემა იყო მშობლიური ენის სწავლებასთან დაკავშირებით. გიმნაზიაში არ ისწავლებოდა ქართული ენა, ის არასავალდებულო საგნად იყო გამოცხადებული. ქართულ ენას, როგორც არასავალდებულო საგანს აწავლიდნენ მხოლოდ დაბალ კლასებში. ქართული ენისა და სხვა საგნების მასწავლებლებს შორის დიდ განსხვავებას ჰქონდა ადგილი ხელფასის მხრივაც. მათ შტატის მასწავლებლად არ თვლიდნენ. მაგალითად, ბათუმის საქალაქო დაწყებითი სკოლების თითოეულ მასწავლებელს წლიურად ეძლეოდა 800 მანეთი, ამავე სკოლების ქართული ენის მასწავლებლებს კი 360 მანეთი. ქართულ ენას უთმობდნენ მე-5, უფრო ხშირად მე-6 გაკვეთილებს, როცა მოს-

წავლევები მოქანცულები იყვნენ და უხალისოდ სწავლობდნენ *[ზაბილოძე, 1958: 45]*.

რუსული ენა იწავლებოდა პირველი კლასიდანვე მას თითქმის სამჯერ მეტი დრო ეთმობოდა, ვიდრე მშობლიურ ქართულ ენას. კიდევ მეტი, ქართული ენა ცხრილის გარეშე ისწავლებოდა. ეს კი იმაზე მიუთითებდა, რომ ქართული ენა სრულფასოვან სასწავლო საგნად არ ითვლებოდა *[ზაბილოძე, 1958: 46]*.

1870-იანი წლებიდან ქალთა გიმნაზიების შვიდ (1-7) კლასში ერთნაირი, ტიპური სასწავლო გეგმები იყო შემოღებული. ამ გეგმების მიხედვით ისწავლებოდა სავალდებულო საგნები: საღვთო სჯული, რუსული ენა და სიტყვიერება, მათემატიკა, გეოგრაფია, ისტორია, ბუნებისმეტყველება და ფიზიკა, სუფთა წერა, ხელგარჯილობა; არასავალდებულო საგნები: გერმანული ენა, ფრანგული ენა, ხატვა, პედაგოგია. ქალთა გიმნაზიების მე-8, პედაგოგიურ კლასში შემდეგი სავალდებულო საგნები ისწავლებოდა: პედაგოგია და დიდაქტიკა, რუსული ენა (საკლესიო-სლავერით) და სიტყვიერება, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია *[საყვარელიძე, 1958: 145]*.

იმდროინდელ პრესაში ხშირად იწერებოდა: „პროგრამაში არ იხატება ხალხის სული და გული, არ არის ჩვენი ხალხის სულისა და გულის ამალორძინებელი მეცნიერება” *[„იმედი“, 1881: 57]*.

ჟურნალ „განათლების” კორესპონდენტი წერდა: „დიდი აურზაური და შფოთი გამოიარა ორთუბათუმის სკოლამ და სწორედ სასაცილოა ის ამბავი, რომელიც ამ სკოლაში დატრიალდა, წინეთ ამ სკოლაში დანიშნეს ერთი ვინმე ვაჟბატონი მასწავლებელი. მცხოვრებლებმა გაიგეს თუ არა სკოლის გახსნა, შვილები საკმარისად მოიყვანეს. გავიდა დრო და ჟამი. მასწავლებელმა სხვადასხვა ხრიკებს მიმართა. ქართული ენა უარყო სკოლაში და დაუწყო ბავშვებს მარტო რუსულის სწავლება. ბავშვებს არაფერი გაეგებოდათ რუსულის და ვერაფერი გაიგეს მასწავლებლისაგან. როცა მშობლებმა გაიგეს, ატყეს ერთი აურზაური. მასწავლებელი აიძულეს ქართულად ესწავლებინა.

ამის შემდეგ ბავშვების რიცხვმა სკოლაში თვალსაჩინოდ იმატა და სწავლებაც რიგიანად მიმდინარეობდა. „ქართული ენის სწავლება, რომ არ შემოედოთ, დღეს ორთუბათუმის სკოლა დაკეტილი იქნებოდა” *[„განათლება“, 1911: 635-636]*.

სკოლაში ხშირად ქართული ენის მასწავლებლად მოუმზადებელი კადრი ინიშნებოდა. მაგალითად, მარადიდის სკოლაში მასწავლებლად დანიშნეს ბერძენი, რომელმაც ქართული ენა არ იცოდა. მოსწავლეებმა მას ვერაფერი გაუგეს და დაიფანტნენ. მასწავლებელმა არც ქართული იცოდა, ლოთიც იყო და სკოლაც დაიკეტა *[„განათლება“, 1908: 136]*.

ქართული ენის სწავლების ოფიციალური პროგრამა არ არსებობდა, პროგრამას მასწავლებელი თავის შეხედულებით თვითონ ადგენდა. არ იყო მოწესრიგებული სახელმძღვანელოების საკითხი. კლასიდან კლასში გადაყვანისა და სკოლიდან გამოშვების დროს ქართულ ენაში შეფასება მხედველობაში არ მიიღებოდა. ქართული ენის სწავლებისათვის თანხები ბიუჯეტიდან გამოყოფილი არ იყო, მასწავლებლის ხელფასის დასაფარავად ან მოსწავლეებს უნდა შემოეტანათ დამატებითი გადასახადი, ანდა სკოლის სპეციალური სახსრებიდან გადაეხადათ, ქართული ენის მასწავლებელი არ ირიცხებოდა შტატში და არ სარგებლობდა გიმნაზიის მასწავლებლის უფლება-უპირატესობით [სიგუა, 1969: 12]. მიუხედავად ასეთი პირობებისა, ქართული ენის შესწავლის ინტერესი და სიყვარული დიდი იყო მოსწავლეებში.

ბათუმში გახსნილი სკოლები საჭიროებდა მასწავლებელთა კადრების მომზადებას. მასწავლებლებს ამზადებდნენ საქალაქო 6-კლასიანი და მარიამის ქალთა სასწავლებლების პედაგოგიური კლასები და ქალთა გიმნაზიის მე-8 პედაგოგიური კლასი.

1903 წლის სექტემბერში ბათუმის საქალაქო სათათბიროს დადგენილებით, ბათუმის 6-კლასიან საქალაქო სასწავლებელში გაიხსნა ერთწლიანი პედაგოგიური კურსები დაწყებითი სასწავლებლებისათვის მასწავლებელთა მოსამზადებლად. კურსებმა იარსება მხოლოდ ორი წელი. 1905 წლის ივნისში, საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორ სემიონოვის შუამდგომლობის საფუძველზე ქალაქის მმართველობის დადგენილებით აღნიშნული კურსები დაიხურა და სამაგიეროდ, გაიხსნა კომერციული კურსები.

1912 წელს დაიხსნა საკითხი ბათუმში სამასწავლებლო ინსტიტუტის გახსნის თაობაზე. ქალაქის მმართველობამ 24 ნოემბრის სხდომაზე მიიღო დადგენილება ინსტიტუტისათვის შენობის ასაგებად ადგილის გამოყოფისა და საჭირო თანხების გამონახვის შესახებ, მაგრამ დადგენილება მხოლოდ ქალაქში დარჩა. სამასწავლებლო ინსტიტუტი ბათუმში არ გახსნილა. მის ნაცვლად, როგორც იქნა, მოხერხდა მხოლოდ ორწლიანი პედაგოგიური კურსების გახსნა ბათუმის უმაღლეს – დაწყებით სასწავლებელთან. კურსების მუშაობაში საკმაოდ ადგილი ეთმობოდა პედაგოგიურ პრაქტიკას. აღნიშნულ კურსებზე მიიღებოდნენ ქალებიც. აღნიშნულმა კურსებმა იარსება 1917 წლამდე. მან ერთგვარი სამსახური გაუწია დაწყებით სკოლებს პედაგოგიური კადრების მომზადების სახით.

პედაგოგიური განათლების შეუფასებლობის ერთ-ერთი უარყოფითი შედეგი იყო მასწავლებლის აუტანელი უფლებრივი მდგომარეობა. ჟურნალი „განათლება“ წერდა: „მასწავლებელი დაბალ-ღობეთაა ცნობილი, ის ყველა შეურაცხყოფილზე და უუფლებობაზე შეუარაცხოვლი და უუფლებოა. მისი ჩაწიხვლა ყველას დაუსჯელად ჩაუვლის.

შეიძლება ამისათვის მადლობაც მიიღოს ვისგანაც ჯერ არს” *[“განათლება”, 1911: 374]*. მასწავლებლის უფლებობას ემატებოდა მისი აუტანელი მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები. მთავრობა მას ხელფასის მხოლოდ ნაწილს უხდიდა. დანარჩენს აძლევდნენ სწავლის ქირისგან შემოსული თანხებიდან. ისედაც მცირე ხელფასს მასწავლებელი დიდი დაგვიანებით იღებდა.

კიდევ უფრო უარესი იყო ქალი მასწავლებლის უფლებრივი მდგომარეობა. იგი არ სარგებლობდა მამაკაცი მასწავლებლის უფლებებით, ამიტომ მასთან შედარებით ხელფასსაც გაცილებით ნაკლებს იღებდა. მაგალითად, 90-იან წლებში საქართველოს დაწყებით სკოლებში მამაკაცი მასწავლებლის საშუალო ხელფასი წელიწადში შეადგენდა 365 მანეთს, ქალი მასწავლებლისა კი – 289 მანეთს *[ზაბილოძე, 1958: 55]*.

ღარიბთა და უმწეოთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით 1884 წელს ბათუმში შეიქმნა „ბათუმის საქველმოქმედო საზოგადოება“. ამ საზოგადოების საქმიანობის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაძლევს გაზეთი „კვალი“ *[„კვალი“, 1902: 548-550]*.

1900 წელს გაზეთ „ივერიის“ № 152 ნომერში 1900 წელს დაიბეჭდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის ქართული სკოლის მზრუნველი კომიტეტის ასეთი სამადლობელი წერილი: „ბათუმის მზრუნველი კომიტეტი ვაღიარებულა სთვლის გამოუცხადოს უღრმესი მადლობა: ელისაბედ ზ. ასულს გინეულოვისას, ნინო დ. ასულს ქიქოძისას, კნენა სოფიო ნ. ასულს წულუკიძისას, ა. ი. გოგლაშვილისას, ეფემია ი. ასულს საბავეისას, ა. ფილიპოვისას და ფ. ფილიპოვს, რომლებმაც მოიღეს თავიანთს თავზედ შრომა და მოაგროვეს აღნიშნული სკოლის სასარგებლოდ ბაზრის გასამართავად ქვემო აღნიშნული ნივთები და ფული იმ პირთ, ვინც კეთილ ინება და თავაანთ წვლილი ამ საქმეს შემოსწირა“. ქველმოქმედების გამწვეთა სიაში იყვნენ მოსწავლეებიც, მასწავლებლებსაც, მოსახლეობასაც *[„ივერია“, 1900]*.

ამრიგად, საარქივო ფონდებში, პრესაში, მოგონებებსა და ადრინდელ სამეცნიერო ნაშრომებში ქალთა საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ დაცული მასალები მნიშვნელოვანია XIX საუკუნის მეორე ნახევარისა და XX საუკუნის დასაწყისის ბათუმის კულტურული ცხოვრების წარმოჩენად.

### გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

- ბაბილოძე, 1958:** – ბაბილოძე გრ., სახალხო განათლება აჭარის ასს რესპუბლიკაში (1921-1957 წ.წ.), ბათუმი.
- “განათლება”, 1908:** – ჟურნალი „განათლება“, 1908 წლის №1.
- “განათლება”, 1911:** – ჟურნალი „განათლება“, 1911 წლის №9.
- “ივერია”, 1900:** – გაზეთი „ივერია“, 1900 წლის №152.
- “იმედი”, 1881:** – ჟურნალი „იმედი“, 1881 წლის №5.
- “კვალი”, 1902:** – გაზეთი „კვალი“, 1902 წლის №34.
- კლდიაშვილი, 1947:** – კლდიაშვილი დ., ჩემი ცხოვრების გზაზე, მოთხრობები და პიესები, თბილისი.
- მაღაზონია, 1968:** – მაღაზონია ი., ასათიანი ლუკა ნიკოს ძე: სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, კრებული მესამე, თბილისი.
- საქართველო, 1915:** – გაზეთი „საქართველოს“, №44.
- საეგარელიძე, 1958:** – საეგარელიძე რ., ქალთა პედაგოგიური განათლება XIX საუკუნის საქართველოში, თბილისი.
- სიგუა, 1969:** – სიგუა ს., სახალხო განათლება რევოლუციამდელ საქართველოში, თბილისი.
- ხუნდაძე, 1960:** – ხუნდაძე ტ., ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, თბილისი.

**Mariam Koberidze**  
(Gori, Georgia)

### **Batumi Women’s Educational Institutions (Second Part of XIX Century – Beginingof XX century)**

#### Summary

The second part of XIX century and the beginingof XX century is the important period in the history of the culture of Batumi. At this time opened the following Women’s Educational Institutions: women’s one classelementary school, women’s Russian two class school, women’s gymnasium, one-year pedagogical courses existing with the elementary school. ... In the report it is analyzed the condition of education,training plans, programs, teachers problems, the issue of teaching Georgian language and other academic disciplinesin Women’s Educational Institutions on the basis of the archival and press materials of that time.

## 1921 წლის თებერვალ-მარტის ბათუმური მოვლენები ქართულ მხარელოგაში

საბჭოთა რუსეთის შეიარაღებულ ძალთა მიერ 1921 წლის 25 თებერვალს თბილისის დაპყრობის შემდეგ, რასაც შედეგად ჩვენი ქვეყნის გასაბჭოება მოჰყვა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იძულებული გახდა დედაქალაქი დაეტოვებინა და თავი ბათუმისთვის შეეფარებინა, ბოლოს კი ემიგრაციაში გახიზნულიყო. სამწუხაროდ, მტრის მრავალმხრივი შემოტევებისაგან ქვეყნის დასახსნელად და დახმარების სათხოვნელად მთავრობის მესვეურთა მოლაპარაკებებს თურქეთთან და ევროპის სახელმწიფოებთან მაშინ შედეგი არ მოჰყოლია და საქართველო ისევ მოექცა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში.

ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობით დაიმედებულმა ოსმალების ხელისუფლებამ გადაწყვიტა ამ ვითარებით ესარგებლა და კიდევ ერთხელ ეცადა ბათუმისა და მისი ოლქის ოკუპაცია შეიარაღებული გზით. კერძოდ, ვითომცდა დასახმარებლად, „თურქეთის მთავრობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას სთავაზობდა თურქეთის ჯარებით ბათუმის დაცვას რუსეთის მოულოდნელი აგრესიისაგან. **ფაქტობრივად, ეს იყო თურქეთის აგრესიული გეგმების შენიღბული განხორციელების ცდა, რასაც რუსეთთან ომში ჩაბმული საქართველო წინ ვედარ აღუდგა**“ [საქართველოს ისტორია, 2003: 84].

ზემოთ აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებისთვის ვითომცდა დახმარების გასაწევად, თურქულმა საჯარისო ნაწილებმა 1921 წლის 11 მარტიდან უკვე დაიწყეს ბათუმში შემოსვლა.

იმისათვის, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნეს ბათუმში იმხანად შექმნილ ურთულეს მდგომარეობასა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ თურქეთთან ურთიერთობაში დაშვებულ დამღუპველ შეცდომათა არსზე, მოვიშველიებ ფრაგმენტებს ბათუმის მაშინდელი კომენდანტის – ი. ფურცელაძის მოგონებიდან: „4 თუ 5 მარტს (ზუსტად არ მახსოვს) მე მიმიწვიეს გენერალ-გუბერნატორ გ. ტ. გიორგაძესთან, რომელმაც გამიცხადა, რომ ანგორის მთავრობის წარმომადგენელ ქიახიმ-ბეისა და ჩვენი მთავრობის შეთანხმების თანახმად, ქვედალ ფაშას ჯარები უნდა შემოვიდნენ ბათუმის ოლქში და დაიკავონ

ბათუმის ოლქის საზღვრები ოზურგეთისა და ახალციხის მაზრებისაკენ, მაგრამ ბათუმი დაკავებული არ იქნება. ძალაუფლება რჩება ჩვენს ხელში. ოსმალური ნაწილები ბათუმში არ შეჩერდებიან, ხოლო აქ თავს მოიყრიან, მოეწყობიან და წავლენ წინ საზღვრებისაკენ. იმ დღეებში ჩემთან შემოვიდა ოსმალური ჯარების შტაბის უფროსი და წინადადება მომცა შემესრულებინა შემდეგი: 1) მიმეცა ბინა 5 000 ოსმალთა ჯარისკაცისათვის; 2) ამგვარივე რიცხვის ჯარისკაცებისათვის ბინა აჭარისწყალზე; 3) ბინა შტაბისათვის.“

როგორც ი. ფურცელაძის დამოწმებული მოგონებებიდანაც თვალნათლივ ჩანს, ბათუმში შემოსვლიდან რამდენიმე დღეში ოსმალებმა ნიღაბი უკვე ჩამოიხსნეს და რეალურად დაიწყეს მათი დამპყრობლური გეგმის განხორციელება. კერძოდ, „17-ს საღამოს მათ დაიკავეს 40 ფოსტა, ტელეგრაფი და ტელეფონი; ნახევარი საათით გვიან – ქალაქის მილიციის სამმართველო და მილიციის საუბნო სამმართველო... სრულ 12 საათზე ღამით მივიღეთ ქიახიმ-ბეის ბრძანება, რომელშიც მან გამოაცხადა ბათუმის ოლქი ოსმალეთთან შეერთებულად და თავისი თავი კი გენერალ-გუბერნატორად. ჩვენ ჯარებს წინადადება ეძლეოდა 24 საათში დაეტოვებინა ოლქის ფარგლები, დაეყარა იარაღი“ *[ნოზაძე, 1989: 98-102]*.

ი. ფურცელაძის ამ მონათხრობზე დაყრდნობითა და იმუამინდელ მოვლენათა საფუძველიანი გაანალიზების შედეგად, ვ. ნოზაძე მართებულად აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ის, რაც ბათუმსა და მის ოლქში მოხდა იმხანად, „საქართველოს მთავრობის, თუ მისი თავმჯდომარის, გულუბრყვილობა და უსუსურობა იყო,“ მათი „პოლიტიკური სიბეცე და დიპლომატიური მარცხი“ *[ნოზაძე, 1989: 98-103]*.

მას შემდეგ, რაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მესვეურებმა ოსმალთა ნამდვილი მიზანი დაინახეს, ისინი ყველანაირად შეეცადნენ მათ მიერ დაშვებული საბედისწერო შეცდომის გამოსწორებას. კერძოდ, ემიგრაციაში გახიზვნის წინა დამეს, 1921 წლის 20 მარტს, ნ. ჟორდანიას პირადად შეხვდა მისი ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი კომუნისტების ერთ-ერთ ლიდერს და თავის დაქვემდებარებაში მყოფი საჯარისო ნაწილები ახალ მთავრობას გადააბარა. როგორც ცნობილია, ორივე მხარის გაერთიანებულმა სამხედრო ნაწილებმა, რომელთაც სათავეში გენერალი გ. მაზნიაშვილი ჩაუყენეს, მაშინ თურქები დაამარცხეს და ამ დროიდან მოყოლებული, ბათუმიცა და მთელი აჭარაც უკვე სამუდამოდ იქცა საქართველოსგან განუყოფელ ნაწილად.

დღეს უკვე საყოველთაოდ ცნობილი ეს ისტორიული ვითარება აქ იმიტომაც გავიხსენე, რომ იგი არაერთგზის გამხდარა ქართველ მწერალთა შემოქმედებითი ინტერესის საგანი. ამ თემაზე შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებთაგან ყურადღებას ამჯერად ორ მხატვრულ



ტექსტს მივაპყრობ – ალექსანდრე ქუთათელის (1897-1982 წწ.) რომანს – „პირისპირ“ და ვალერიან კანდელაკის (1918-1983 წწ.) პიესას – „დრო ოცდაოთხი საათი.“ მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა პერიოდში დაწერილ ამ ნაწარმოებებში (ოთხი წიგნისაგან შემდგარი ალ. ქუთათელის რომანი დაიწერა გასული საუკუნის 20-იანი წლების ბოლოსა და 30-იანი წლების დასაწყისში, ვ. კანდელაკის პიესა კი - 1970 წელს) ხსენებული ისტორიული მოვლენები იმუამინდელ იდეოლოგიურ მოთხოვნათა გათვალისწინებითაა წარმოსახული, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ამ მოვლენათა უმთავრესი არსი მათში მაინც აისახა დოკუმენტური სიმართლითა და დღესაც ძირითადად მისაღები თვალთახედვით.

აღნიშნულ საკითხზე საუბარს დავიწყებ ალ. ქუთათელის რომანის შესაბამისი ეპიზოდის განხილვით *[ქუთათელი, 1961: 508-525]*. მიუხედავად იმისა, რომ ბათუმში იმხანად შექმნილი ვითარების წარმოსახვის დროს ზოგიერთ ისტორიულ პერსონაჟს ნაწარმოებში გვარი და სახელი შეცვლილი აქვს, მათი უმეტესობის ზუსტი ვინაობის გარკვევა მაინც თავისუფლად შეგვიძლია. მაგალითად, გენერალი აზიზაშვილი იგივე გ. მაზნიაშვილია – ბათუმის განსათავისუფლებლად მებრძოლი ქართული ჯარის სარდალი, ყარაბეკირ-ფაშა – ბათუმში შემოსული თურქული ჯარის სარდალი და ბათუმის ოლქის თვითმარქვია გენერალ-გუბერნატორი ქიაზიმ-ბეი, რევეკომის თავმჯდომარე სერგო ქაჯვარაძე – ს. ქაჯვარაძე და ა. შ.

ალ. ქუთათელის რომანის მიხედვით, ბათუმში თურქეთის საჯარისო ნაწილების შემოსვლა ჟორდანი-რამიშვილისა და თურქეთის მთავრობებს შორის მიღწეული საიდუმლო შეთანხმების საფუძველზე მოხდა. ამ „შეთანხმების თანახმად, თურქების ჯარების დახმარების საფასურში, საქართველო უთმობდა თურქეთს, გარდა მის მიერ უკვე დაკავებული ტერიტორიისა, ბათუმის ოლქსაც. რაც შეეხება ბათუმს, – არწმუნებდა რამიშვილი სარდლობას და დამფუძნებელი კრების დეპუტატებს, – თურქეთის ჯარები ქალაქს დროებით დაიკავენ და მერმე დაუყოვნებლივ დასცლიან მას, მას შემდეგ, რაც საქართველოში ბოლშევიკური საფრთხე აღმოიფხვრებაო“ *[ქუთათელი, 1961: 509]*.

ამგვარი ილუზიებით დაიმედებულმა დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მესვეურებმა, რომლებიც იმდენად კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, რომ თავის გადასარჩენად სხვა გზას ვეღარ ხედავდნენ, თურქეთის ჯარს უკვე ოფიციალურად მისცეს ბათუმში შემოსვლის ნება. აი, როგორაა აღწერილი რომანში ეს ტრაგიკული მოვლენა: „თერთმეტ მარტს ბათუმში თურქეთის ჯარებმა იწყეს შესვლა. ისინი მოათავსეს ბარცხანის

ყაზარმებში, რომლებიც მანამდე სახალხო გვარდიელებს ეკავათ. იმავე დღეს ასკერთა რაზმებმა რადიოსადგური, ფოსტა-ტელეგრაფი, მთელი რიგი დაწესებულება დაიკავეს და „წესრიგის“ დამყარებას შეუდგნენ. ქუჩებში თურქების პატრულები გამოჩნდნენ. თურქი ოფიცრები ისე ქედმაღლურად იქცეოდნენ ბათუმში, როგორც დაპყრობილ ქალაქში. ისინი თვითნებობდნენ და ადგილობრივ ხელისუფლებას თავხედურ მოთხოვნებებს უყენებდნენ და ემუქრებოდნენ“ *[ქუთათელი, 1961: 510]*.

აღ. ქუთათელის რომანში ესოდენი სიმძაფრით წარმოსახული ეს მდგომარეობა ნამდვილად რომ შეესაბამება რეალურად არსებულ ვითარებას და მწერალი ამ მოვლენებს იდეოლოგიზებული თვალთახედვიდან გამომდინარე რომ არ აღამაზებს, ეს ფაქტი გ. მაზნიაშვილისა და ბათუმის მაშინდელი კომენდანტის მოგონებათა ზემოთ დამოწმებული ფრაგმენტებიდანაც ნათლად ჩანს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის (აღ. ქუთათელი მას ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის სახელით მოიხსენიებს ხოლმე) – ნოე ჟორდანიას ეროვნულ-სახელმწიფოებრივ თვალთახედვას მწერალი ბათუმში იმხანად განვითარებულ მოვლენებთან მიმართებით წარმოაჩენს. განსხვავებით საბჭოთა პერიოდში დამკვიდრებულ ოფიციალურ შეფასებათაგან, რომელთა მიხედვითაც ნოე ჟორდანია სამშობლოს მოღალატედ იყო მიჩნეული, აღ. ქუთათელს იგი თავისი ქვეყნის გულმხურვალე პატრიოტად ჰყავს გამოყვანილი. ნათქვამის ნათელსაყოფად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტებს რომანიდან.

როცა თურქეთთან დაკავშირებული ილუზიების უსაფუძვლოებაში დარწმუნდა და საქართველოსთან მიმართებით ამ ქვეყნის აგრესიული მიზნები თვალნათლივ დაინახა, „მაშინ, ნოე ჟორდანიას მოთხოვნით, მთავრობამ შეადგინა და გაგზავნა ქუთაისში დელეგაცია საქართველოს რევოლუციურ კომიტეტთან მოსალაპარაკებლად. მენშევიკური მთავრობა აცხადებდა, თითქო თავისი ნება-სურვილის თანახმად ამბობდა უარს ხელისუფლებაზე და აუცილებლად მიიჩნდა „გარეშე მტრებისაგან“ ქვეყნის დაცვის ორგანიზაცია“ *[ქუთათელი, 1961: 510]*.

მართალია, რეალურად მომხდარ ამ ფაქტს მწერალი რამდენადმე ირონიზებული ფორმით აუწყებს მკითხველს, მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის ამბავი, რომ საბჭოთა პერიოდში ამ მოვლენის თუნდაც ასეთი სახით ტირაჟირებაც კი მკაცრად იყო შეზღუდული და მენშევიკური ხელისუფლების მიერ გაკეთებულ კარგ საქმეებზე საუბარს ტაბუ ჰქონდა დადებული.

ნ. ჟორდანიასადმი ა. ქუთათელის შენიღბულად პოზიტიური დამოკიდებულება კიდევ უფრო მეტად გამოჩნდა რომანის იმ ეპიზოდში, სადაც ემიგრაციაში გახიზვნამდე რამდენიმე საათით ადრე საქართვე-

ლოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თავისი მთავრობის წევრებთან ერთად ციხიდან მასთან საგანგებოდ მიყვანილ სერგო ქავთარაძეს (იმავე სერგო ქავთარაძეს) ხვდება იმჟამად ბათუმსა და მთელს ქვეყანაში არსებულ უმძიმეს ვითარებაზე სასაუბროდ და მისთვის სათანადო რჩევების მისაცემად.

კერძოდ, თავისი მთავრობის სახელით ნ. ჟორდანიამ მას, როგორც კომუნისტური პარტიის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, აუწყა, რომ განთიადისას ისინი უკვე ქვეყანას ტოვებდნენ და ემიგრაციაში მიდიოდნენ. საგანგებოდ მიწვეულ სტუმარს მან ისიც აუწყა, რომ მის მიერ გაცემული ბრძანების შესაბამისად, ქუთაისისკენ უკვე იყო გაგზავნილი მატარებლები იქიდან საბჭოთა ჯარის ბათუმში დაუყოვნებლივ ჩამოსაყვანად, რათა ქალაქი თურქული აგრესიისაგან დაეცვათ.

მოსმენილი ინფორმაციით გაოცებულ ქავთარაძეს ჟორდანიამ ისიც აუწყა, რომ გარდა ამისა, ქუთაისში მან თავისი მოადგილეც გააგზავნა საქართველოს რევოლუციური კომიტეტის ხელმძღვანელებისთვის ოფიციალურად იმის შესატყობინებლად, ისინი ხელისუფლებაზე უარს რომ ამბობდნენ და ამჯერად უკვე მათ უნდა ეზრუნათ თურქებისაგან ჩვენი ქვეყნის დაცვაზე. თუმცა, მწერლის თქმით, „პრეზიდენტმა, რომლის სახელმწიფოს მთელ ტერიტორიას ახლა მხოლოდ ნახევრად ბნელი, ცივი ის ვაგონი წარმოადგენდა, სადაც ეს შეხვედრა გაიმართა,“ იქვე ისიც დაუმატა: „თუ თქვენ ვერ შეძლებთ საქართველოს დაცვას და პატრონობას, დაგვიბრუნეთ ჩვენ იგი“ *[ქუთათელი, 1961: 513]*.

შეხვედრის დამთავრების შემდეგ სამხედრო მინისტრის შეკითხვაზე, – სად წაყვანათ ქავთარაძე, „ჟორდანიამ მწარედ გაიღიმა და მიუგო: – ჯერ იქ, საიდანაც მოიყვანეთ. ხვალ კი ეს ვაგონი, ბათუმი და მთელი საქართველოც მაგისი იქნება.“

აღ. ქუთათელის რომანის ეს ეპიზოდი, რომელიც თითქმის დოკუმენტური სიზუსტით იმეორებს გ. მაზნიაშვილის „მოგონებებში“ მოწოდებულ ინფორმაციას, მოგვიანებით ვალერიან კანდელაკმაც ასახა თავის პიესაში – „დრო ოცდაოთხი საათი.“ მიუხედავად იმისა, რომ დრამატურგის ეს ნაწარმოები, როგორც ლენინის დაბადებიდან ასი და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავთა აღსანიშნავად 1971 წელს გამოცხადებულ რესპუბლიკურ კონკურსზე პრემირებული პიესა, იმდროინდელი იდეოლოგიური ტენდენციურობით აღბეჭდილ მხატვრულ-დოკუმენტურ ტექსტს წარმოადგენს, ხსენებულ ეპიზოდშიცა და საერთოდ, მთელ პიესაშიც, თვალნათლივ ვლინდება საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ქვეყნის მოღალატეებად შერაცხული ისტორიული პი-

როვნებებისადმი ავტორის აშკარად პოზიტიური დამოკიდებულება. ნათქვამის დასტურად და ალ. ქუთათელის რომანის შესაბამის ეპიზოდებთან პარალელის გასავლელად დავიმოწმებ სათანადო ფრაგმენტებს ვ. კანდელაკის პიესიდან.

ემიგრაციაში გახიზვნის წინა დამეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თავმჯდომარემ ბათუმის ციხეში მყოფი სერგო (იგულისხმება რევეკომის თავმჯდომარე სერგო ქავთარაძე) თავისთან დაიბარა და აუწყა, რომ მთავრობის წევრებთან ერთად გამთენიისას იგი უკვე ემიგრაციაში მიემგზავრებოდა და ქვეყნის ბედზე ზრუნვას ისინი ახლა მათ აბარებდნენ.

ისტორიულად ცნობილ ამ ეპიზოდში ალ. ქუთათელი ს. ქავთარაძესა (მწერლის პერსონიფიცირებით, ქავთარაძეს) და ნ. ჟორდანიას შორის გამართულ დიალოგს როგორ წარმოსახავს, ამის შესახებ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. ახლა რამდენიმე სიტყვა იმის შესახებ, ვ. კანდელაკი როგორ წარმოაჩენს ამ ეპიზოდს.

სახელდახელო კაბინეტად ქცეულ ვაგონში მყოფი ნ. ჟორდანიას მასთან მიყვანილ სერგოს (პიესაში იგი მხოლოდ სახელითაა მოხსენიებული) შექმნილი სიტუაციის არსს შემდეგნაირად ამცნობს: „მოგმართავთ, როგორც პასუხისმგებელ პარტიულ პირს. ჩემმა მთავრობამ იარაღი დაყარა; ახლა ჩემი მთავარი ფიქრი და საზრუნავი ის არის, რომ თქვენი ჯარები საჩქაროდ შემოვიდნენ აქ... საბჭოთა ჯარების შემოსვლას ვჩქარობ მე – საბჭოთა წყობილების მტერი. სამშობლოსა და ხალხის წინაშე დაშვებული ჩემი შეცდომა ახლა თქვენ უნდა გამოასწოროთ...“

ჩვენ ვფიქრობდით, ოსმალების მხედრიონთან გაერთიანებული ძალით საქართველოში კომუნისტებს არ შემოეშვებდით. ვფიქრობდით, ისინი იზრუნებდნენ ოსმალებთან და კომუნისტებს შორის ბუფერული სახელმწიფოს შექმნაზე, ე. ი. იზრუნებდნენ დამოუკიდებელ საქართველოსთვის... ოსმალებმა წინდახედულობას ვერაგობა ამჯობინეს და ამ გზით ბათუმის ოლქის ხელში ჩაგდება მოიწადინეს. ჩემთვის ეს ცხადი გახდა, როცა ომი წავაგეთ... ჩვენს შეცდომას თუ თქვენ ახლავე არ გამოასწორებთ, შემდეგ ბათუმი დიდი ომის ფასად დაგიფდებათ “ *[კანდელაკი, 1971: 26]*.

როგორც ვხედავთ, ზემოთ ხსენებულ შეხვედრაზე მენშევიკური მთავრობის თავკაცსა და რევეკომის მომავალ თავმჯდომარეს შორის გამართული დიალოგის ალ. ქუთათელისა და ვ. კანდელაკისეული მონათხრობები იდენტურია და გარდა ნიუანსობრივი დეტალებისა, არსებითად განსხვავებული მათ შორის არაფერია.

ალ. ქუთათელის რომანის ღირსებათა წარმოჩენის დროს განსაკუთრებული ყურადღება აშკარად კეთილგანწყობით იმ დამოკიდებულებასაც უსათუოდ უნდა მოვაქციოთ, რომელსაც მწერალი გენერალ

გიორგი მაზნიაშვილისადმი გამოხატავს. ამ გარემოების ხაზგასმის დროს მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტი, რომ საბჭოთა იდეოლოგიური პოლიტიკის ზეობის პერიოდში, როცა ალ. ქუთათელის ეს რომანი იწერებოდა, 1937 წელს სამშობლოს მოღალატეობის ბრალდებით დახვრეტილი ამ დიდი მამულიშვილის ღვაწლის პოზიტიური კუთხით წარმოჩენა ადვილი საქმე ნამდვილად არ იყო.

ალ. ქუთათელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან, ქართველ მწერალთაგან ერთ-ერთმა პირველმა, დოკუმენტური სიმართლით წარმოაჩინა ის დიდი ეროვნული გმირობა, რომელიც გ. მაზნიაშვილმა გამოიჩინა 1918 და 1921 წლებში თურქი დამპყრობლებისაგან ბათუმის განთავისუფლებისა და დედამშობლოსათვის შემომტკიცების საქმეში. გ. მაზნიაშვილის მამულიშვილური ღვაწლისადმი ალ. ქუთათელის დამოკიდებულების ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ამას იმ პარალელების სიზუსტეც ადასტურებს, რაც რომანის სათანადო ეპიზოდებსა და თავად გ. მაზნიაშვილის მოგონებებს შორის არსებობს.

ნათქვამის ნათელსაყოფად ალ. ქუთათელის რომანიდან დავიმოწმებ რამდენიმე ისეთ ეპიზოდს, რომელთაც გ. მაზნიაშვილიც მოგვითხრობს თავის მოგონებებში.

ემიგრაციაში ნ. ჟორდანიას მთავრობის გახიზვნის შემდეგ, სერგო ქავუარაძემ, როგორც რეკომის თავმჯდომარემ, ბათუმიდან თურქების განსადევნად მობილიზებული ქართული ჯარის სარდლობა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აქტიურად მებრძოლ გენერალ აზიზაშვილს (იმავე მაზნიაშვილს) დაავალა. ეს გადაწყვეტილება მან იმ ოფიცრების რჩევით მიიღო, რომელთაც აზიზაშვილის მხედართმთავრული ნიჭი და შესაძლებლობები მას ასე დაუხასიათეს: „ერთადერთი მეთაური, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ჯარში და შესძლებს ყველა მისი ნაწილის შეკავშირებას, მხოლოდ გენერალი აზიზაშვილი შეიძლება იყოს“ *[ქუთათელი, 1961: 520]*.

მწერლის ხაზგასმით, ოფიცრებისაგან მიღებული ამ რჩევის შემდეგ ქავუარაძემ გენერალი სასწრაფოდ თავისთან დაიბარა და შესთავაზა, ამჯერად როგორც უკვე საბჭოთა ჯარის სარდალი, სათავეში ჩადგომოდა თურქი ასკერებისაგან ბათუმის განთავისუფლებისათვის ბრძოლას. რეკომის თავმჯდომარის მიერ შეთავაზებულ ამ წინადადებაზე თანხმობა გენერალმა ამ სიტყვებით დაასაბუთა: „თუ ჩვენ – სამხედრო პირებს დანაშაულად არ ჩავვითვლება ის, რომ მენშევიკების ჯარში ემსახურობდით და ამისთვის პასუხს არ გვაგებინებენ, მზადა ვართ ახალ ხელისუფ-

ლებას ვემსახუროთ. ჩვენ სამშობლოს ვემსახურებოდით და არა მენ-  
შევიკურ პარტიას.“

აღ. ქუთათელის მიერ წარმოსახული გენერალ მაზნიაშვილის ეს პარტიოტული განცხადება, რომელიც შემდგომში მან ბათუმიდან თურქი ასკერების განსადევნად ჩატარებული მეტად წარმატებული საბრძოლო ოპერაციითაც დაადასტურა, ფაქტობრივად, იმ სიტყვის ზუსტ განმეორებას წარმოადგენს, სინამდვილეში რომ წარმოთქვა თავად გ. მაზნიაშვილმა რევკომის თავმჯდომარის მიერ მისთვის შეთავაზებული წინადადების მიღების შემდეგ: „ქართველი ოფიცრები წარსულში არ ეკედლებოდნენ პოლიტიკურ პარტიებს და არ ერეოდნენ მათ შორის ატეხილ უთანხმოებებში. ისინი ემსახურებოდნენ მხოლოდ სამშობლოს ინტერესებს და თუ საქართველოს ახალი ხელი-სუფლება ბოროტებად არ ჩაგვითვლის სამშობლოსადმი სამსახურს მენშევიკების ბატონობის დროს და მოგვცემს გარანტიას, რომ არც ერთი ჯარისკაცი, გენერლიდან მოყოლებული უბრალო მეომრამდე, უწინდელი სამსახურისთვის არ იქნება დასჯილი, მე მზად ვარ განვაგრძო სამხედრო სამსახური და დღეიდანვე შევუდგები სამხედრო მოქმედებას ოსმალების წინააღმდეგ“ *[მაზნიაშვილი, 1990: 201]*.

როგორც ცნობილია, რევკომის ხელმძღვანელობამ გ. მაზნიაშვილს მაშინ მართლაც მისცა იმის პირობა, ადრინდელ „დანაშაულს“ რომ აპატიებდა. გენერალს ეს პირობა რამდენიმე დღის შემდეგ მის გმირულ ქმედებათა შედეგად განთავისუფლებულ ბათუმში სტუმრად ჩასულმა რუსეთის კომუნისტური პარტიის კავკასიის ბიუროს ხელმძღვანელმა სერგო ორჯონიკიძემაც დაუდასტურა ამ სიტყვებით: „თქვენ იცით, რომ თქვენ კანონგარეშე იყავით გამოცხადებული და თქვენთან შეხვედრის დროს ყველა კომუნისტს ჰქონდა უფლება მოეკალით იქვე, ალაგობრივ, მაგრამ მხედველობაში ვიღებ თქვენს მოქმედებას ბათუმში გადატრიალების კრიტიკულ მომენტში და გეპატიებათ ყველა ბოროტმოქმედებანი, რომელიც ჩაიდინეთ თქვენ მენშევიკების ბატონობის დროს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ“ *[მაზნიაშვილი, 1990: 210]*.

აღ. ქუთათელის რომანში მოთხრობილი ეს ეპიზოდი, რომელიც დოკუმენტური სიზუსტით შეესაბამება ამ მოვლენასთან დაკავშირებით თავად გ. მაზნიაშვილისეულ ნაამბობს, უცვლელად მეორდება გ. კანდელაკის პიესაშიც. თუმცა ხსენებულ ეპიზოდთა ამგვარი იდენტურობა არამც და არამც არ უნდა ჩაითვალოს ლიტერატურულ პლაგიატობად. მათი სიუჟეტური თანხვედრა პირველ ყოვლისა იმ ფაქტმა განაპირობა, ორივე მწერალი რეალურად მომხდარი იმ მოვლენის შესახებ რომ გვიამბობს, რის შესახებაც უფრო ადრე თავად ამ მოვლენის უმთავრესმა გმირმა მოგვითხრო თავის მოგონებებში.

ნათქვამის არსზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტს ვ. კანდელაკის პიესიდან.

თურქული ჯარის მთავარსარდალმა ქიაზიმ-ბეიმ ემიგრაციაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მესვეურთა გახიზვნის შემდეგ ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობით ისარგებლა, თავი ბათუმის ოლქის გუბერნატორად გამოაცხადა და კომუნისტებს, როგორც ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ულტიმატუმი წაუყენა, ოცდაოთხი საათის განმავლობაში დაეტოვებინათ ბათუმიცა და მთელი მისი ოლქიც.

როგორც ითქვა, ასეთი კრიტიკული სიტუაციიდან ქვეყნის გამოსახსნელად და თურქული აგრესიისაგან ბათუმის გადასარჩენად ახალი ხელისუფლების თავკაცები მაშინ იძულებული გახდნენ, ქართული ჯარის მთავარსარდალად მათ წინააღმდეგ აქტიურად მებრძოლი გენერალი გიორგი მაზნიაშვილი დაენიშნათ. მიუხედავად იმისა, რომ გ. მაზნიაშვილს კომუნისტებისადმი თავისი აღრინდელი ნეგატიური დამოკიდებულება არც მენშევიკური მთავრობის ქვეყნიდან გახიზვნისა და ხელისუფლების სათავეში მათი მოსვლის შემდეგ შეუცვლია, ამ გადაწყვეტილების მიღება მას მაინც ერთმნიშვნელოვნად შთააგონა სამშობლოსადმი სიყვარულის უზენაესმა გრძნობამ.

მსგავსად ალ. ქუთათელის რომანისა, ამ გარემოებას ვ. კანდელაკის პიესაშიც ესმება ხაზი და საბჭოთა ხელისუფლების მიერ სამშობლოს მოღალატედ გამოცხადებულ და სიკვდილით დასჯილ გენერალს ვ. კანდელაკიც აშკარად გამოვლენილი სიყვარულით ხატავს.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ბათუმიდან თურქი ასკერების განსადევნად ქართული ჯარის მობილიზება და მთავარსარდალობა სერგომ, როგორც რეკომის თავმჯდომარემ, გ. მაზნიაშვილს დაავალა. ამ ფაქტით გაოცებულმა გენერალმა, რომელზეც კომუნისტებს სიკვდილით დასჯის ბრძანება ჰქონდათ გაცემული, შეთავაზებულ წინადადებაზე თავისი თანხმობა ერთგან ამგვარად დაასაბუთა: „საბჭოთა ხელისუფლება პოლიტიკაა, სამშობლოს მიწა – მთავარი ხატი! მე ხატისთვის ვიბრძოლებ... არ არსებობს ჩემთვის პარტია. მე სამშობლო მიწის ჯარისკაცი ვარ, ბალახის სიმაღლისა!.. ერთი გაბრაზებული თაობა თუ დამხვრეტს, მეორე დამშვიდებული თაობა აღმადგენს. სიცოცხლე არც დაბადებით იწყება, არც სიკვდილით მთავრდება“ *[კანდელაკი, 1971: 53]*.

სამწუხაროდ, კომუნისტების მიერ გ. მაზნიაშვილისთვის მიცემული ხელშეუხებლობის პირობა მხოლოდ რამდენიმე კვირა გაგრძელდა, შემდეგ იგი კონტრრევოლუციონერობის ბრალდებით დაიჭირეს და 1923 წლის 20 მაისს სიკვდილით დასჯის განაჩენი

გამოუტანეს; თუმცა ეს გადაწყვეტილება საბოლოოდ სამშობლოდან უცხოეთში ხუთი წლის ვადით გასახლებით შეუცვალეს. დაკისრებული სასჯელის მოსახდელად გ. მაზნიაშვილი 1923 წლის დეკემბრამდე ირანში იმყოფებოდა, შემდეგ კი პარიზში გაიხიზნა.

თუმცა მშვიდი ცხოვრება მას არც ამჯერად ღირსებია. კერძოდ, თავად გ. მაზნიაშვილისავე ინფორმაციით, საქართველოში 1924 წლის აგვისტოში მომხდარი აჯანყების დამარცხების შემდეგ „ტფილისში გავრცელდა ხმა, ვითომ პარიზში ბოლშევიკებისთვის მას გადაეცეს აჯანყების გეგმა, რასაც მოჰყვა ჩვენი დამარცხება“ *[მაზნიაშვილი, 1990: 228]*.

სრულიად უსაფუძვლო ამ ჭორის გასაფანტად იგი იძულებული გახდა 1925 წლის ბოლოს თხოვნით მიემართა საბჭოთა მთავრობისთვის, შეემოკლებინათ მისთვის სამშობლოდან გაძევების ხუთწლიანი სასჯელის ვადა და ნება დაერთოთ საქართველოში ცხოვრებისა. მართალია, ხელისუფლებამ მისი ეს თხოვნა კი დააკმაყოფილა, მაგრამ სამშობლოში დაბრუნებულ გენერალს არც სამსახურის უფლება მისცეს და არც პენსია დაუნიშნეს.

ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი გ. მაზნიაშვილი კასპის რაიონში მდებარე მშობლიურ სოფელ სასირეთში დასახლდა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით ირჩენდა თავს. სამწუხაროდ, 1937 წლის პოლიტიკური რეპრესიების დროს ისიცა და მისი ვაჟიც სამშობლოს მოღალატეობის ბრალდებით დაიჭირეს და დახვრიტეს.

გ. მაზნიაშვილთან დაკავშირებული ამბის მოთხრობას აღქმთათელი ბათუმისთვის მისი ხელმძღვანელობით გამართულ გმირულ ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვების შესახებ საუბრით ამთავრებს. მისგან განსხვავებით, ვ. კანდელაკი კი მისადმი კომუნისტების რეპრესიული დამოკიდებულებისა და მისი ცხოვრების ზემოთ ხსენებულ ტრაგიკულ დასასრულზეც მიგვანიშნებს.

მეტი სიცხადისათვის გავიხსენებ შესაბამის ფრაგმენტს პიესიდან. ბათუმიდან თურქ დამპყრობთა საბოლოოდ განდევნის შემდეგ, 1921 წლის 20 მარტის დილის 9 საათზე, გ. მაზნიაშვილმა რეგოპის თავმჯდომარეს პატაკის ჩაბარების დროს ასეთი რამეც უთხრა: „ქალაქსა და მის ოლქში არც ერთი შეიარაღებული ოკუპანტი აღარ არის... გიორგი მაზნიაშვილის სარდლობით ქართველ გენერალთა, ოფიცერთა და ჯარისკაცთა თავგანწირული და სისხლიანი ბრძოლით მოპოვებულია გამარჯვება. ჩაიბარეთ მტრისგან გაწმენდილი ქართული მიწა...“

თუმცა მთელ ოლქში მტრის არც ერთი შეიარაღებული ჯარისკაცი აღარ არის-მეთქი, სიზუსტეს მოკლებულია. სინამდვილეში, გათავისუფლებულ მიწაზე დგას მტრის ერთი ჯარისკაცი – გენერალი



მაზნიაშვილი!.. იმედი მაქვს, უცხოეთში გამგზავრებაზე ხელს არ შემიშლით. მშვიდობით!“ *[კანდელაკი, 1971: 102]*.

პიესის მიხედვით, მოსალოდნელი სასჯელისაგან გ. მაზნიაშვილის განთავისუფლების საკითხი ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში რუსეთის კომუნისტური პარტიის კავშიურის მდივნის მიერ თბილისიდან ტელეფონით მოწოდებული ბრძანებით გადაწყდა. მდივნის განკარგულებით, მაზნიაშვილისთვის განაჩენის გამოტანის დროს აჭარის რეკომს მხედველობაში უნდა მიეღო მისი „დამსახურება საბჭოთა გადატრიალების კრიტიკულ მომენტში, რაც სავსებით აქარწყლებდა წარსულს.“ აქედან გამომდინარე, გენერალ მაზნიაშვილისთვის ნება უნდა დაერთოთ სამშობლოში დარჩენისა და ცხოვრებისა. მისი სამომავლო ბედის ამგვარი გადაწყვეტით გახარებულმა გენერალმა იქვე განაცხადა, რომ ნაცვლად უცხოეთისა, მაშინ იგი გორის მაზრაში, მშობლიურ სოფელ სასირეთში.

გმირი ქართველი გენერლისათვის მიცემული ეს პირობა საბჭოთა ხელისუფლებამ როგორ შეასრულა, ზემოთ უკვე ითქვა. რაც შეეხება ვ. კანდელაკის პიესის ამ ეპიზოდს, მისი შეფასების დროს მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტი, რომ კომუნისტური რეჟიმის მესვეურთა ბრძანებით რეპრესირებული ამ დიდი მამულიშვილის ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთება მწერალმა ამგვარი სახით საბჭოთა იდეოლოგიის ზეობის პერიოდში, საქართველოს გასაბჭოების 50-ე და ლენინის დაბადებიდან მე-100 წლისთავებისადმი მიძღვნილ ნაწარმოებში გამოხატა, რაც იმ დროისათვის ნამდვილად იყო დაკავშირებული გარკვეულ მოქალაქეობრივ რისკთან.

### **გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:**

**ბრძოლა ბათუმისთვის.., 2011:** – ბრძოლა ბათუმისთვის 1921 წლის 18-20 მარტს, თბილისი.

**კანდელაკი, 1971:** – კანდელაკი ვ., დრო ოცდაოთხი საათი, თბილისი.

**მაზნიაშვილი, 1990:** – მაზნიაშვილი გ., მოგონებანი, ბათუმი.

**ნოზაძე, 1989:** – ნოზაძე ვ., საქართველოს ადღგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბილისი.

**საქართველოს ისტორია.., 2003:** – საქართველოს ისტორია, XX საუკუნე, თბილისი.

ქუთათელი, 1961: – ქუთათელი ა., პირისპირ, რომანი ორ ტომად, ტ. II, წიგნი III-IV, თბილისი.

**Avtandil Nikoleishvili**  
(*Kutaisi, Georgia*)

### **Batumi Events of February-March of 1921 in Georgian Literature**

#### Summary

After the Soviet Russian conquest of Tbilisi in February 25, 1921 the government of the Democratic Republic of Georgia found refuge in the city of Batumi, and finally fled into exile. The Ottoman authorities decided to take advantage of the situation, and tried to occupy Batumi and its region once again. Fortunately, such efforts made by the Ottomans were not successful and Batumi and the whole Adjara remained to be an integral part of our country.

Historical situation existing in Batumi and Adjara during the abovementioned period has repeatedly been the subject of interest to the Georgian writers. Among the works created on this subject the present paper analyzes the novel "Face to face" by the Aleksandr Kutateli and the play "Time Twenty Four Hours" by Valerian Kandelaki. Despite the fact that these works were written during the Soviet era (A. Kutateli's novel was written in the 20-30s of the last century, V. Kandelaki's play \_ in 1970) and the events are depicted considering the ideological requirements of those times, the historical reality is still described in a documentally correct way and from the point of view that is acceptable even today.

## საქართველო და ბათუმი ალარჯულ ხალხურ კოოპერატივში

მდიდარი ტრადიციების მქონე მრავალსაუკუნოვანი ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბანია პატრიოტული პოეზია, რომელიც საუკუნეთა მანძილზე სულიერად აკაჟებდა და ზრდიდა გამუდმებით თავდაცვით ომებში მყოფი ჩვენი ქვეყნის პატრიოტ ვაჟკაცებს, გმირულ სულისკვეთებას უწერდა, მამულის მოვლა-პატრონობის ჭეშმარიტ გზას უნათებდა “იავნანები-დან” მოყოლებული მთელი ცხოვრების მანძილზე. “ეროვნული თვით-მყოფადობისა და საერთოქართული ცნობიერების ერთიანი ეროვნული ფსიქოლოგიის შენარჩუნებაში, საგმირო-პატრიოტული სულისკვეთების გაღვივებასა და მის ტრადიციად ჩამოყალიბებაში უდიდესი წილი მიუძღვის პატრიოტული ხასიათის ხალხურ ლექს-სიმღერებს, რომლებშიც გადმოცემულია ქართველთა თავგანწირვა მამულისადმი და მისი მსახურების ზნეობრივი კოდექსი” *[შიოშვილი, 2011: 144]*.

საქართველოს ყველა კუთხე მდიდარია პატრიოტული ლირიკის უბადლო ნიმუშებით, რომლებიც, პროფესორ ქსენია სიხარულიძის მართებული შენიშვნით, “იყო ერთგვარი დიდი სკოლა, დაუწერელი, მაგრამ ქართველი კაცის გულის ფიცარზე აღბეჭდილი და სულში ჩადვრილი სახელმძღვანელო; ეს იყო საზნეობო ზეპირი წიგნი, ჭკუის სასწავლებელი, გამამხნეველები და სულის ამამაღლებელი” *[სიხარულიძე, 1965: 6]*. ბუნებრივია, ამგვარი ღირსსახსოვარი პატრიოტული ლირიკის არაერთი ნიმუში შეიქმნებოდა ისტორიულ კლარჯეთშიც, რომელიც, ჩვენი ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის სხვა რეგიონებთან ერთად, ქართული სულიერების მძლავრი კერა იყო, ხოლო მისი ბობოქარი ისტორიული რეალიები – არაერთი გმირის, ზნესრული მამულიშვილის წარმოჩენის ბუნებრივი ასპარეზი. უდავოა, რომ გარდასულ ეპოქათა სახალხო მთქმელები უშურველად შეასხამდნენ ხოტბა-დიდებას მამულისათვის თავდადებულ ვაჟკაცებს, სახალხო სიმღერებში აიტაცებდნენ სამშობლოსადმი მათი თავგანწირვის მაგალითებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ისტორიული ბედუკუდმართობის გამოისობით, აქაურთა მეხსიერებას აღარ შემორჩენია არც რომელიმე კონკრეტულ ისტორიულ პიროვნებებთან თუ ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებული პატრიოტული სულისკვეთების ხალხური ლექს-სიმღერები და არც გმირობა-ვაჟკაცობასა თუ მამულიშვილობაზე

საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებულ განზოგადოებულ შეხედულებათა ამსახველი პატრიოტული ლირიკის ნიმუშები. ქართული ეპოსის კვლევისას პროფესორი ზურაბ კიკნაძე დანაწევრებით შენიშნავს, რომ ქართულ ზეპირსიტყვიერებაში არ დასტურდება ისტორიული ხასიათის ეპოსი, “... არ ჩანს ისტორიული გმირის სახელი, რომლის გარშემო რეალური ისტორიის თავისებურად გარდაქმნილ საგმირო ამბავთა ციკლიზაცია მომხდარიყოს, თუმცა, საქართველოს ისტორია არცთუ ღარიბია ჰეროიკული ეპოქებით, ბრძოლებით და, შესაბამისად, ისტორიული გმირებით” *[კიკნაძე, 2008: 76]*. ამგვარი გმირები, რომელთა ეპიკური თავგადასავლებითა და ქვეყნისადმი თავდადების მაგალითებით თაობები აღიზარდნენ, მკვლევარს, უპირველეს ყოვლისა, სწორედაც საქართველოს ამ უძველეს კუთხეში – კლარჯეთში ეგულება: “ჩვენ ვერ ვიფიქრებთ, რომ ხალხის ეპიკური ცნობიერება გულგრილი დარჩენილიყოს იმ ეპოქალური სასიკეთო თუ საბედისწერო ძვრების მიმართ, რომლებიც არაერთგზის განუცდია ქვეყანას; ვერ ვიფიქრებთ, რომ ზეპირსიტყვიერ მატრიანეს არ აესახოს ესპანეთის რეკონკისტის (არაბებისაგან ქვეყნის გამოხსნის) ანალოგიური, უაღრესად დაბაბული, ხანა აშოტ კუროპალატისა და მის თანამდგომთა გმირული ეპოქა, რაც ქართული მიწების კვლავ შემოკრებით დასრულდა, მაგრამ ესპანური “ჩემი სიდის” მსგავსი ხალხური პოემა, სადაც უკვდავყოფილი იქნებოდა თაობათა ხსენებაში “ჩემი აშოტი”, არ დასტურდება... ან თუნდაც, უფრო ადრეული ეპოქა ფარნავაზისა, რომლის არქეტპული დროის, როგორც “ძლიერი ჟამის”, მეფობის და სხვა სულიერ ღირებულებათა, მრავალ სიახლეთა დასაბამური ჟამის კვალი წერილობითმა ისტორიამ შემოინახა, ხალხის ხსოვნას კი ვერ შემორჩა. რა მიზეზით? მიზეზი მარტივია: ვრცელია “კოლექტიური” მეხსიერება, მაგრამ ის უსაზღვრო და დაუშრეტელი არ არის... თაობათა მონაცველობასთან ერთად იცვლება... ძველი გადადის, მის ნაცვლად ახალი მკვიდრდება...” *[კიკნაძე, 2008: 76]*.

ანალოგიურად შეიძლება ვიმსჯელოთ გარდასულ ეპოქათა კლარჯული ხალხური პატრიოტული პოეზიის იმ ნაკადზეც, რომლის ერთერთი მთავარი ადრესატი, ალბათ, აშოტ დიდი კუროპალატიც იქნებოდა და მისი წინა თუ მომდევნო ეპოქათა პატრიოტი ქართველებიც, თუმცა, თაობათა მონაცველობას დედასამშობლოსაგან ამ კუთხის მოწვევბა და რელიგიური კონფესიის შეცვლაც დაემატა, რამაც, ბუნებრივია, კლარჯეთის მკვიდრთა ისტორიული მეხსიერებაც ერთგვარად შეასუსტა და ეროვნულ-პატრიოტული იდეალებისადმი ტრადიციული ერთგულებაც. “... მათთვის საუკუნეთა განმავლობაში გაუცხოვდა ერთიანი ქართული სივრცე, ხოლო მუსულმანურ სამყაროში ჩარჩენილთათვის ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეალებიც გაუფერულდა; ახსოვდათ, რომ “გურჯები” იყვნენ, მაგრამ ნებისთ თუ უნებლიეთ

ქართულ ტრადიციებთან გარკვეულმა გაუცხოებამ და სამშობლო-სადმი მსახურების შეგნებული ნებელობის არქონამ მათ პატრიოტულ სულისკვეთებას გარკვეული დიდი დააჩნია” [შიოშვილი, 2011: 145]. მიუხედავად ამგვარი ისტორიული ბედუკუდმართობისა, კლარჯ ჩვენებურთა ცნობიერებაში საუკუნეთა განმავლობაში დაგუბებულმა პატრიოტულმა სულისკვეთებამ გამოძახილი მაინც ჰპოვა საკუთარი “გურჯობის” შენარჩუნებასა და გურჯული ლექს-სიმღერებისადმი ერთგულებაში, გაღმა დარჩენილ თანამოძმეთადმი სწრაფვასა და სიყვარულში, მათთან შეხვედრის ნატვრაში, გაღმა-გამოდმა დარჩენილი გურჯების დამაკავშირებელი ხიდის აგების სურვილში. “ჩვენ არსაიდან მოსულები არ ვართ, აქაც საქართველო იყო!” – გვითხრა სოფელ ისკებში მცხოვრებმა სახალხო მთქმელმა შერაფეთთინ თურანმა (ჩაიწერა რ. ხალვაშმა 2007 წლის 5 აგვისტოს). ამიტომაც არ არის შემთხვევითი, რომ კლარჯ ჩვენებურთა ზოგად მეტყველებასა თუ ხალხურ პოეზიაში ხშირად მოიხსენიება ბათუმი (“ჰაიდუ, წვედეთ ბათუმში...”, “ბათუმიდან მოვსულვართ”, “ბათუმიდან მოსულა” და ა. შ.), რაც კლარჯებისათვის, შავშელთა მსგავსად, “მემლექეთთან”, დედასამშობლოსთან ასოცირდება.

აღსანიშნავია, რომ კლარჯულ ხალხურ საქორწილო ლექს-სიმღერებში დედოფლის მშვენიერების ხაზგასასმელად მას ბათუმიდან მოყვანილად, ბათუმელად სახავენ, რაც, აგრეთვე, გარკვეული სისხლის ყივილია:

ბათუმიდან მოსული,  
სანთელჩი ამოსმული!  
გელინ, შენი ლოყებზე  
ვარდები ამოსული!

ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ ნიმეთიეში კლარჯი მუჰაჯირების შტამომავლის – ბეიჰან აქინისაგან 2013 წელს ჩვენ მიერ ჩაწერილი ამ ლექს-სიმღერაში “ბათუმიდან მოსულის” ეპითეტად ქცევა, რითაც ცდილობენ, სათანადოდ შეამკონ პატარძალი, დასტურია ჩვენებურთა პატრიოტული სულისკვეთებისა, ბათუმის და ზოგადად საქართველოს მიმართ მათი ამაღლებული გრძნობისა.

ჩვენებურებს რომ ბათუმი ყველაზე ღამაზ ქალაქად, ხოლო ბათუმელები ყველაზე ღამაზებად მიაჩნიათ, მოწმობს 2014 წელს ჩვენ მიერ ბურსას პროვინციის ქესთელის რაიონის სოფელ აღაჩამში (ძველი თეშვიგი) 81 წლის ჯემალ დემირისაგან ჩაწერილი სიტყვები: “– იქ, გურჯისტანში, ღამაზი ინსნები არიან. აქ ისე ღამაზები არ არიან. ტელევიზიონში ვნახე”.

ქართველობა (“გურჯობა”), ქართული სულის ყივილი კლარჯი ჩვენებურებისათვის წინაპრებთან, მამა-პაპათა ხსოვნასთან არის დაკავშირებული; სწორედ მათგან მიიღეს ძვირფას მემკვიდრეობად

მშობლიური ენა და ამ ენაზე შესასრულებელი “გურჯიჯა სიმღერები”, რომლებსაც ამდენი ხანია, თავგამოდებით ერთგულობენ, ცდილობენ, თავადაც შემოუნახონ შთამომავლობას. ამის დასტურია 2007 წელს სოფელ ჯივანში (ჯვანი) მცხოვრები 85 წლის ქალბატონის – აიშე გორმეზისაგან (ჰელიმოდლი) ჩაწერილი ლექს-სიმღერა, რომლის თანახმადაც, ქართული სიმღერების შესრულება მამის (“ბაბოს”) ხათრისთვის ხდება და ეს ხათრია, სწორედ, ქართული გენის დაუოკებელი ყივილი:

ერთი-ორი დევევიროთ  
გურჯიჯა სიმღერაზე!  
ერთი-ორი მოვიაროთ  
ჩემ ბაბოს ხათრითვინო!

ქალაქ იზმითში მცხოვრებმა ერეგუნელმა ქალბატონმა გუნერ ილდირიმმა 2014 წლის 6 აგვისტოს ჩვენი ერეგუნელი მასპინძლისა და შესანიშნავი მთქმელის – სევენ ილდიზის – შუამავლობით (ქალბატონმა სევენმა “განდო”, რომ ბათუმელები ვესტუმრეთ) ტელეფონით გვიკარნახა რამდენიმე ლექსი და, მათ შორის ეგრეთწოდებული “ცოცხალი ტყუილის” ციკლის საბავშვო ლექსი:

ბათუმ თელი გავაბი,  
ხოფადან ესა ვქენეო;  
წამოვდე ნალინები,  
დენიზი სუსა ვქენეო;  
ცხვარი დაკვალ ფეხივამ,  
ყურები ქესა ვქენეო.

შემდეგ კი, ჩვენთვის რომ ეამებინა, იმავე ლექსის ფორმატში ექსპრომტად დააყოლა:

მე გურჯები ზოვლ მიყვარს,  
ჰერალდა ყეზა ვქენეო.  
მათ გულობად გადავვარდები!..

ვფიქრობ, ლექსის დასაწყისში ბათუმის ხსენებამ, ხოლო დასასრულს – გურჯებისა, ჩვენი მეღმრის ეს მშვენიერი იმპროვიზაცია გამოიწვია, რაც, თავისთავად ცხადია, გარკვეული “სისხლის ყივილიც” იყო.

თურქულ-ქართული ურთიერთობების დათბობამ, ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიურმა თანამშრომლობამ და ხალხის ინტენსიურმა მისვლა-მოსვლამ კიდევ უფრო გამოაღვიძა კლარჯ ჩვენებურთა გურჯული სულისკვეთება; გაღმა-გამოდმა დარჩენილი ნათესაობის გამოცოცხლებამ ათქმევინა სოფელ დევსქელის მკვიდრს – 80 წლის ჰაჯერ ილმაზთურქს (შამილოდლი) – შემდეგი სტრიქონები:

თავზე დაზმა მბურია,  
ოია, გაკერე, ოია;

ჩემი გურჯებში წასლა და  
რატომ გიკვირან, გოიამ?

(ჩაიწერა ვარდო ჩოხარაძემ 2007 წელს)

მდინარე ჭოროხის გაღმა-გამოღმა დარჩენილი ქართველობა დიდი ხნის მანძილზე შორიდან ელაციცებოდა ერთმანეთს; საგულდაგულოდ დაგმანული მავთულხლართები კირნათ-მარადიდელთა სულებში ჩახლართული ტკივილი იყო... ბოლო ხანებში შუაგაყოფილი სოფლის საწუხარი თითქოს ოდნავ შენედა, რაკი ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა შეძლეს დანატრებულმა ნათესავ-მოკეთებმა, თუმცა, ამისათვის ძალზე შორი გზა უნდა მოიარონ; არადა, როგორც მარადიდში (მურათლი) მცხოვრები ცნობილი ავტორ-მთქმელი ნიზათ ოზთურქი (თიკნაძე) ოცნებობს მის მიერ გამოთქმულ ლექსში, რომელიც მთელს სოფელში იციან, კირნათიდან მარადიდამდე ხიდის აშენება ამ პრობლემას მოაგვარებდა:

კირნათიდან მარადიდ  
ქოფრი გაკეთდეს, მინდა;  
ენწინ შემ თუ გამოსვალ,  
გაჩუქავ შავი წინდა.

*[შოთშვილი, 2014: 73]*

მარადიდელების სამადლობლად შეიძლება ჩაითვალოს ნიზათ ოზთურქის მიერ გამოთქმული ლექსი, რომელშიც გამოსატყულია მდინარე ჭოროხის მიერ გაყოფილი, სხვადასხვა სახელმწიფოთა შემადგენლობაში მყოფი ნათესავ-მეგობრების ოდინდელი საწუხარის მოგვარება მთავრობის მიერ, რისთვისაც სახალხო მთქმელი ლოცავს ამ პრობლემის მომგვარებელს:

გაღმა-გამოღმა დავრჩით,  
ჭოროხმა გამარიგეს;  
ღმერთმა ბოფრი დღე მიცეს –  
მთავრობამ შემარიგეს!

*[შოთშვილი, 2014: 73]*

იმის დასტურად, რომ ლექსის ავტორი თავად იყო, მთქმელმა გეითხრა: “– ჩემი დაწყობილი გითხრა, ამის დამწყობელი მე ვარ”. ბატონმა ნიაზმა უდიდესი სიხარული გამოთქვა იმის გამო, რომ საქართველო დაინტერესდა მათთან ურთიერთობით; მიაჩნია, რომ გურჯები ერთად უნდა ვიყოთ, ერთმანეთის ჭირი და ღხინი გავიზიაროთ. ამგვარია მისი ქართველურ-პატრიოტული სულისკვეთება, რაც ოდითგან ყოველთა ქართველთა სურვილიც არის.

**გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:**

- ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ფოლკლორული არქივის მასალები, ბათუმი.
- კიკნაძე, 2008: – კიკნაძე ზ., ქართული ფოლკლორი, თბილისი.
- სიხარულიძე, 1965: – სიხარულიძე ქ., წინასიტყვაობა კრებულისა “ხალხური სიბრძნე”, ტ. IV, თბილისი.
- შიოშვილი, 2011: – შიოშვილი თ., შავშური ფოლკლორი. – კოლექტიურ მონოგრაფიაში “შავშეთი”, თბილისი.
- შიოშვილი, 2014: – შიოშვილი თ., კლარჯული ხალხური მარგალიტები, – ჟურნ. “ჭოროხი”, №6, ბათუმი.

( , )



მაია აზმაიფარაშვილი

(გორი, საქართველო)

## ტურიზმი და გარემოსდაცვითი პრობლემები აჭარაში

ტურიზმის სფერო დღეს მსოფლიოს უდიდეს ინდუსტრიად ითვლება, გარემოს კი მის განვითარებაში ცენტრალური ადგილი უჭირავს. გარემო ტურისტული პროდუქტის საფუძველია, ამიტომ მოგება ტურიზმისაგან დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ უფრთხილდებიან ტურისტული დანიშნულების ადგილების მიმზიდველობას, იმას, რისი ნახვა და გაცნობაც ტურისტებს სურთ. ტურიზმს აქვს უნარი – გააუმჯობესოს გარემო, უზრუნველყოს თანხები კონსერვაციისათვის, შეინარჩუნოს კულტურა და ისტორია, დაადგინოს მდგრადი სარგებლობის საზღვრები და დაიცვას ბუნებრივი რესურსები. ტურისტული საქმიანობის სათანადო დაგეგმვის გარეშე წარმართვამ და არასწორმა განხორციელებამ კი შეიძლება გამოიწვიოს მწვანე საფარის განადგურება, ტურისტთა სიჭარბე და განთავსების პრობლემები, სალაშქრო ბილიკებისა და სანაპიროების დანაგვიანება, ზედმეტი მშენებლობებით ღია სივრცეების შემცირება, ჰაერის დაბინძურება, ჩამდინარე წყლის პრობლემები, მასპინძელი საზოგადოების მოთხოვნების იგნორირება.

ისეთი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ტურისტული პოტენციალი მისი მრავალფეროვანი და საოცრად მიმზიდველი ბუნებრივი გარემოა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწორედ ბუნებრივი რესურსების ტურისტულ-რეკრეაციული ღირებულებების შეფასება. ამ რესურსების ანალიზს აზრი აქვს იმ შემთხვევაში, თუ რამდენად გააზრებულად და სწორად ვაქცევთ ამ პოტენციალს ტურისტულ პროდუქტად. მეორეს მხრივ, მეტად მნიშვნელოვანია ტურისტული რესურსების არა მხოლოდ ტურისტულ პროდუქტად ჩამოყალიბება არამედ მისი განუხრელი დაცვაც. ჩვენს მიერ შეფასებისთვის შერჩეულ იქნა აჭარის ზღვისპირა ტურისტულ-რეკრეაციული რაიონი.

აჭარა არის საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი და უმნიშვნელოვანესი მხარე, როგორც სტრატეგიულად ასევე ტურისტულ-რეკრეაციული თვალსაზრისით. ბათუმი წარმოადგენს პოპულარულ ზღვისპირა კურორტს. მისი კლიმატის დადებითი მხარეა ნისლიანი დღეების

სიმცირე. ქარი იშვიათია და წენარი დღეების რიცხვი ორჯერ მეტია, ვიდრე სოხუმსა და სოჭში. ქარის საშუალო სიჩქარე ორჯერ ნაკლებია. ამის გამო ბათუმისათვის დამახასიათებელია იშვიათი გამჭვირვალობის და მტვერს მოკლებული ხავერდოვანი ჰაერი. მდიდარი მცენარეულობა და ქალაქის მიდამოების ბუნების სილამაზე კიდევ უფრო მრავალფეროვანს ხდის ბათუმის ტურისტულ-რეკრეაციულ რესურსებს. ბათუმს უცხოელი მოგზაური-მკვლევარები თავისი ბუნებრივი პირობებით რივიერას ადარებდნენ და დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. ცნობილი მკვლევარი და მოგზაური ნიკოლოზ ვერუ წერდა: „ბათუმში ერთმანეთს ერწყმიან რივიერას ბრწყინვალეობა და შვეიცარიის დიდებული მთები, რომლებიც ჰარმონიას ქმნიან“ *[ბარამიძე, 2016: 58-10]*.

ტურიზმს ბათუმსა და საერთოდ აჭარაში ორგანიზებული სახე მიეცა XX საუკუნის 30-იანი წლებიდან, როცა 1928 წელს, ბათუმი გამოცხადდა სახელმწიფო კურორტად. ზღვისპირა ტურისტულ-რეკრეაციული რაიონის ფუნქციონალური დანიშნულებაა დასვენება და მკურნალობა. ძირითად სამკურნალო ფაქტორს წარმოადგენს ზღვა, პლიაჟი და ჰაერში დიდი რაოდენობის ზღვის წარმოშობის ქიმიური მიკროელემენტები. კლიმატი აქტიურად გამოიყენება გულ-სისხლძარღვთა სისტემის, სასუნთქი სისტემის და ნერვიული სისტემის ფუნქციონალური დარღვევების სამკურნალოდ.

ბათუმისათვის დამახასიათებელია დამსვენებელთა ნაკადების მკვეთრად გამოხატული სეზონურობა. ტურიზმის სეზონურობიდან გამომდინარე, ტურისტულ ობიექტებზე დატვირთვა სწორედ „ცხელ სეზონში“ ხდება, როდესაც ქალაქი მასობრივი ტურიზმის დანიშნულების ადგილი ხდება. საზღვაო ქალაქი ქვეყნის მსხვილი სატრანსპორტო კვანძია, სადაც თავს საზღვაო, სარკინიგზო და საავტომობილო კომუნიკაციები იყრის. ქალაქის მოსახლეობა 175 000 ადამიანს შეადგენს, ტურისტულ სეზონზე კი – დაახლოებით 400 000. ტურიზმზე გაზრდილი მოთხოვნების პირობებში, ტურისტული დესტინაცია ხეწოლას განიცდის.

როგორც ზემოთ ავლინშნეთ ბათუმისათვის დამახასიათებელია იშვიათი გამჭვირვალობის და მტვერს მოკლებული ხავერდოვანი ჰაერი. საინტერესოა ტურისტულ სეზონზე რა ვითარებაა ატმოსფერული ჰაერის ხარისხის კუთხით ქალაქ ბათუმში.

ურბანული გარემოს ატმოსფერული ჰაერის უმთავრესი დამაბინძურებელია ავტოტრანსპორტი. ქ. ბათუმში ავტომობილების რაოდენობა 50 000 ათასამდე მერყეობს, თუმცა ტურისტულ სეზონში ეს ციფრი ორმაგდება. სატრანსპორტო საშუალებებისა და მათ მიერ მოხმარებული საწვავის რაოდენობის პარალელურად ამ სექტორიდან გაფრქვევების დინამიკა სწრაფად იზრდება *[<http://batumelebi.netgazeti.g>]*.


უკანასკნელი წლების განმავლობაში ქ. ბათუმის ატმოსფერულ ჰაერში მოიმატა მტვერის, აზოტისა და გოგირდის დიოქსიდების კონცენტრაციებმა. ცხრ. №1-ში წარმოდგენილია ქალაქ ბათუმში ივლისის თვეში მონიტორინგის შედეგები აბუსერიძის ქუჩაზე განთავსებული სადამკვირვებლო პუნქტიდან. განსაზღვრულია ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი ნივთიერებების: მტვერი, გოგირდისა და აზოტის დიოქსიდები, ნახშირჟანგი და ტყვია მაქსიმალური ერთჯერადი და საშუალო თვიური კონცენტრაციები.

დაკვირვების პუნქტი	მტვერი		აზოტის დიოქსიდი		გოგირდის დიოქსიდი		ნახშირჟანგი		ტყვია
	მაქს.ერთჯერადი კონცენ. მკ/მ <sup>3</sup>	საშუალო-თვიური კონცენ. მკ/მ <sup>3</sup>	მაქს.ერთჯერადი კონცენტრაცია მკ/მ <sup>3</sup>	საშუალო თვიური კონცენტრაცია მკ/მ <sup>3</sup>	მაქს.ერთჯერადი კონცენტრაცია მკ/მ <sup>3</sup>	საშუალო თვიური კონცენტრაცია მკ/მ <sup>3</sup>	მაქს.ერთჯერადი კონცენტრაცია მკ/მ <sup>3</sup>	საშ. თვიური კონცენტრაცია მკ/მ <sup>3</sup>	საშ. თვიური კონცენტრაცია მკ/მ <sup>3</sup>
აბუსერიძის ქუჩა	0,70	0,50	0,24	0,19	0,18	0,13	7,0	2,1	0,00039
ზღკ მკ/მ <sup>3</sup>	0,15	0,5	0,2	0,04	0,5	0,05	5,0	2,1	0.0003

როგორც ცხრილიდან ჩანს, ქ. ბათუმის ჰაერში მტვერის ერთჯერადი მაქსიმალური კონცენტრაცია შესაბამის ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას აღემატებოდა 1,6-ჯერ, ხოლო აზოტის დიოქსიდისა და ნახშირჟანგის ერთჯერადი მაქსიმალური კონცენტრაციები – 1,2-ჯერ. გოგირდის დიოქსიდის ერთჯერადი მაქსიმალური კონცენტრაცია ზღკ შედარებით ნორმის ფარგლებშია.

ამავდროულად ქ. ბათუმში სხვადასხვა ტერიტორიაზე ინდიკატორული კვლევების მიხედვით ყველაზე პრობლემური აღმოჩნდა ტერმინალთან აზოტის დიოქსიდის შემცველობა – 74,45მკგ/მ<sup>3</sup>; აკვაპარკთან აღმოჩნდა 42,06 მკგ/მ<sup>3</sup>; ანგისა, პოლიციის შენობასთან 42,54 მკგ/მ<sup>3</sup>; რუსთველის ქუჩა 40,43 მკგ/მ<sup>3</sup>. საშუალო ნორმის ფარგლებში ევროსტანდარტების მიხედვით NO<sub>2</sub>-ის კონცენტრაციის საშუალო ინდექსის არის 41-80 მკგ/მ<sup>3</sup>-მდე ხოლო 81-121 მკგ/მ<sup>3</sup> ფარგლებში გადადის მაღალ და ძალიან მაღალ მაჩვენებლებში [<http://nea.gov.ge/ge/home/>].

ნახაზი №1



ნახაზი №1 მოცემულია ქ. ბათუმში დაფიქსირებული აზოტის დიოქსიდის ერთჯერადი მაქსიმალური კონცენტრაციების ცვლილების დინამიკა თვეების მიხედვით 2015-2016 წწ-ში.

დღეისათვის საქართველოში არსებული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელი ვერ აკმაყოფილებს საერთაშორისო მოთხოვნებს დაკვირვების პუნქტების რაოდენობისა და განლაგების, მონაცემების აღების, შენახვის, დამუშავებისა და ანგარიშების მეთოდების თვალსაზრისით, რაც მთლიანობაში ქვეყნის ჰაერის ხარისხის მდგომარეობის რეალურად შეფასების საშუალებას არ იძლევა. აუცილებელია ქვეყანაში ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელის რეაბილიტაცია, თანდათანობითი ავტომატიზაცია და მოდერნიზაცია.

საეჭვოა, რომ დემოკრატიულ ქვეყნებში ავტომობილებთან რიცხვი შემცირდეს, მაგრამ ურბანულ რაიონებში ავტობუსებისა და ტრამვაის მომსახურების გაუმჯობესებით ავტომობილებით სარგებლობა შეიძლება შეიკვეცოს, მაგ., პრინციპით „გააჩერე და იმოძრავე“ (“park and ride”). ნათელია, რომ დიდ ქალაქებში ავტომობილით სარგებლობის შესამცირებლად უფრო გადამჭრელი ზომებია მისაღები, მაგალითად, ფასიანი გზებისა და გადატვირთულ ტერიტორიებზე შესვლის შემთხვევაში გადასახადების დაწესება, თუკი ამით მოხერხდება საცობებისა და ჰაერის ძლიერი დატუქვიანების თავიდან აცილება. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი არასწორად ვითარდება. ევროპაში ამ მხრივ სერიოზული ღონისძიებები ტარდება. მაგალითად, ავტომობილების რაოდენობის შესამცირებლად ბელგიის მუნიციპალიტეტმა თანამშრომლებს საზოგადოებრივ ტრანსპორტზე უფასო ბილეთები დაურიგა. შედეგად მიიღო ის, რომ ერთმა ავტობუსმა დაახლოებით 100 მანქანა გააჩერა”.

სატრანსპორტო პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა სხვადასხვა შეზუდვებისა და რეგულაციების დაწესება. თუმცა ეკონომიკის ზრდასთან ერთად და კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან ერთად ავტომობილების რიცხვის ზრდა გარდაუვალია პროცესია. თუ ამჟამად საქართველოში საშუალო სტატისტიკური მონაცემებით ყოველ მესამე მოქალაქეს ჰყავს, განვითარების შედარებით მაღალ ეტაპზე მყოფი ქვეყნების მაჩვენებელი გაცილებით მეტია. ამგვარად პრობლემას წარმოადგენს არა რაოდენობა, არამედ ავტომობილების გამოყენების ინტენსივობა. ავტომობილებით მგზავრობის ინტენსივობის შესამცირებლად ევროპის ქალაქებში, აქცენტს აკეთებენ ტევადი საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებაზე. მათ შორის უმთავრესი ადგილი უკავია თანამედროვე ტიპის ტრამვაის.

თანამედროვე ტრანსპორტი გულისხმობს აბსოლუტურ უხმაურობას, უვიბრაციობას, სილამაზეს, ეკოლოგიურ სისუფთავეს. ხელმწიფოს მფლობელობაში მყოფი მთელი სატრანსპორტო პარკი შეიძლება, რომ შეიცვალოს ელექტრო, ან ჰიბრიდული ტრანსპორტით. უცხოელი ინჟინრების მიერ შექმნილი იქნა უნიკალური ვაგონების და რელსების დაგების და საკონტაქტო სადენის გაბმის ტექნოლოგიები, რამაც ტრამვაი საზოგადოებრივი ტრანსპორტიდან ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო გახადა. მაგალითად როგორებიცაა პარიზისა და მარსელის ტრამვაი.

საინტერესო ეკოლოგიური სიახლეა შავი ზღვის ყველაზე მასშტაბური ერთობლივი კვლევა, რომელიც ჩატარდა უკრაინისა და საქართველოს ტერიტორიულ წყლებში, „შავი ზღვის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გაუმჯობესების“ (EMBLAS) პროექტის ფარგლებში. კვლევაში ხუთი ქვეყნის 40 სპეციალისტი მონაწილეობდა. კვლევის ერთ-ერთი მიზეზი შავი ზღვის დანაგვიანების შეფასება იყო. როგორც კვლევის ერთ-ერთი მონაწილე, გარემოს ეროვნული სააგენტოს თევზაობისა და შავი ზღვის მონიტორინგის სამსახურის უფროსი არჩილ გუჩმანიძე ამბობს შავ ზღვაში დანაგვიანების მაჩვენებელი იმაზე უფრო ცუდია, ვიდრე მეცნიერები ელოდნენ. ყველაზე დიდი რაოდენობის მარინოლიტერი საქართველოს წყლებში აღინიშნა. მეარი ნარჩენების მოჭარბებული რაოდენობა მდინარეულ ნატანთან კორელაციაში. ასევე საგულისხმოა ის, რომ ყველაზე დიდი რაოდენობით ნაგავი კოლხეთის ეროვნული პარკის საზღვაო სექტორის მიმდებარე წყლებშია [<http://emblasproject.org/>].

მარინოლიტერი - ასე უწოდებენ ზღვაში სხვადასხვა წარმოშობის ნაგავს. მარინოლიტერი ხილვადი ნაგავია. ეს შეიძლება იყოს: პოლიმერული მასალა, პენოპლასტი, ქაღალდი, ტოტები, ფიჩხები, და სხვა ნივთები, რაც მდინარეების ან სხვა გზით ხვდება ზღვაში და მის ზედაპირზე დაცურავს. რაც შეეხება „უხილაე“ დაბინძურებას,

კვლევის ფარგლებში პოლუტანტებისა (დამაბინძურებლები) და ნუტრიენტების (ორგანული ნივთიერებების) რამოდენიმე ასეული კომპონენტის ანალიზიც ჩატარდა, თუმცა კვლევის ეს ნაწილი უფრო დეტალურ შესწავლას საჭიროებს და მათი შედეგები, სხვა მსგავსი სინჯების მსგავსად, ოქტომბრის ბოლოს იქნება ცნობილი. როგორც ექსპერდიციის ერთ-ერთმა წევრმა, სლოვაკმა ქიმიკოსმა პიტერ ოსვალდმა „ბათუმელებთან“ აღნიშნა, ექსპედიციის ფარგლებში აღებულ 2000-მდე ორგანულ ნივთიერებას (წამლები, ინდუსტრიული დამაბინძურებელი ნივთიერებები მრეწველობიდან და სხვა) საბერძნეთში გაუკეთდება ანალიზი, მეცნიერთა განმარტებით, ის თანამედროვე ტექნოლოგია, რაც ასეთი დაბალი კონცენტრაციისათვის არის საჭირო, მხოლოდ ევროკავშირშია. მასალის ნაწილი კი საქართველოს გარემოს ეროვნულ სააგენტოში მოწმდება [<http://batumelebi.netgazeti.ge/>].

მნიშვნელოვანია, რომ ზღვის მონიტორინგის პროექტის ფარგლებში ზღვის ძუძუმწოვრების კვლევაც ჩატარდა. წინასწარი შედეგების თანახმად, მათი რიცხვი მნიშვნელოვნად გაზრდილია როგორც საქართველოს, ისე უკრაინის წყლებსა და მთლიანად შავი ზღვის აკვატორიაში. გარემოს ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, წელს საქართველოს სანაპირო ზოლზე დელფინების გამოჩენის 50-ზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა. მათ უმეტესობას ისეთივე კლინიკა აქვს როგორც 2012 წელს გამოყრილ დელფინებს აღენიშნებოდათ. აღებული ქსოვილების მასალის ვირუსოლოგიური კვლევით დადასტურდა საქართველოს წყლებში და მთლიანად შავი ზღვის აკვატორიაში ვირუსული წარმოშობის დაავადების არსებობა.

ასევე ამ პროექტის ფარგლებში მნიშვნელოვანი იყო შავი ზღვის ჰიპოქსია – ანუ ჟანგბადს მოკლებული ზონების კვლევა. როგორც ცნობილია, შავ ზღვაში კონცენტრირებულია გოგირდწყალბადი. რის გამოც შავი ზღვის 80%-ზე მეტი სიცოცხლეს მოკლებულია, ანუ მასში არ გვხვდება ცოცხალი ორგანიზმები. სწორედ ამიტომ აუცილებელია დაკვირვება, იზრდება თუ არა გოგირდწყალბადის ფენა შავ ზღვაში და ხდება თუ არა მისი ამოწვევა ზედაპირზე. ამ მიმართულებით ექსპედიციის ფარგლებში საინტერესო აღმოჩენა გაკეთდა.

მეცნიერებმა 1960 მეტრ სიღრმეზე საქართველოს ეკონომიკურ წყლებში აიღეს გრუნტის ზედაპირი და დათესეს, საიდანაც ხუთი ფორმის მიკროორგანიზმი ამოითესა. ამ ტიპის კვლევები არასდროს შესრულებულა შავი ზღვის ისტორიაში. შეიძლება ითქვას რომ გასაოცარი ფაქტია, რამაც შესაძლებელია არსებული სურათი შეცვალოს. სრულიად ახალი ჰორიზონტია გახსნილი, შედეგები ჯერ არ არის ცნობილი, მიმდინარეობს დამუშავება და სრული კვლევა ევროპულ ლაბორატორიებში და ბაქტერიოფაგის ინსტიტუტში. მეცნიერების თქმით, ყველაზე მნიშვნელოვანია კვლევის შედეგები იქნება,

რაც საზოგადოებას მისცემს პასუხს და სავარაუდოდ ეს შავი ზღვის დიაგნოზი იქნება [<http://emblasproject.org/>].

სისუფთავის სიმბოლო, ლურჯი დროშა თავისებური სერთიფიკატია, რომელიც პლაკების ხარისხს 29 კრიტერიუმის მიხედვით აფასებს, მათ შორის: პლაჟამდე მოსახერხებელი მისასვლელი, წყლის სისუფთავე (ყოველკვირეული ტესტირება), სანაპიროს დასუფთავება და ნაგვის შეგროვება, მუდმივი მონიტორინგი და სამაშველო სამსახურის არსებობა, ნარჩენები უტილიზაცია, სანაპირო დაგეგმარება, სანაპირო ტერიტორიების დაცვა. საშხაპეების არსებობა, ავტოტრანსპორტის მოძრაობის აკრძალვა და სხვ.

ხარისხის კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში საქართველოში „ლურჯი დროშის“ მოპოვების შანსი შეიძლება მიეცეს სარვის, ბათუმის, გონიოს, კვარიათისა და ურეკის სანაპიროებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ტერიტორიებს კიდევ უფრო მეტი ტურისტის მოზიდვის პოტენციალი ექნება.

დღეისათვის, სახელმწიფოსა თუ სხვადასხვა კერძო ინვესტორების მხრიდან ტურიზმის განვითარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნით ერთის მხრივ ხელი ეწეობა ბათუმში ტურისტების ნაკადის ზრდას, თუმცა მეორეს მხრივ ბათუმის ზღვის სანაპირო ზონის მიმდებარე ტერიტორიების მაქსიმალურად ათვისება საგრძნობლად ამძიმებს ბათუმის ზღვისპირა ზოლის ეკოლოგიურ მდგომარეობას და ლანდშაფტურ მიმზიდველობას რის შედეგადაც სავსებით შესაძლებელია ტურისტების ნაკადის კლება. მით უფრო, რომ ამის გამოცდილება არსებობს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მაგალითებიდან.

ფიქრობთ, ტურისტულ ქალაქში უნდა მოწესრიგდეს მდგრადი ურბანული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა. შეირჩეს ხელსაყრელი ტერიტორია და აშენდეს საერთაშორისო სტანდარტების ავტოსადგურებისა და ავტოფარეხები. საჭიროა ეკოლოგიურად უსაფრთხო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება; ბათუმის გადაქცევა “მწვანე ქალაქად”, მუნიციპალური ელექტრო ტაქსის სისტემის დანერგვა. ასევე როგორც ზემოთ ავღნიშნეთ თანამედროვე ტიპის ტრამვაის განვითარება.

ტევადობა ტურისტულ დესტინაციაზე გულისხმობს შესაძლებლობას, მისთვის ზიანის გარეშე, რაიმე გზით, განავითაროს ტურისტული ინდუსტრია. სხვა სიტყვებით – ის განსაზღვრავს ურთიერთობას რესურსულ საფუძველსა და ბაზარს შორის, და განიცდის თითოეული მათგანის თავისებურებების გავლენას.

ამრიგად, ტურიზმი უნდა იყოს ეკოლოგიურად ორიენტირებული ხანგრძლივ პერსპექტივაზე, ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი და პასუხობდეს მოსახლეობის ეთიკურ და სოციალურ ინტერესებს.

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

**ბარამიძე, 2016:** – ბარამიძე რ., აჭარის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, – კრ.: აჭარა, ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები, თავი I, ბათუმი.

**კორძახია, მეგრელიშვილი, 2012:** – კორძახია ქ., მეგრელიშვილი ნ., ატმოსფერული ჰაერის ხარისხი, – კრ.: საქართველოს ეროვნული მოხსენება გარემოს მდგომარეობის შესახებ, თავი II, თბილისი.

[/http://www.greenalt.org/](http://www.greenalt.org/)

[/http://batumelebi.netgazeti.ge/](http://batumelebi.netgazeti.ge/)

[/http://emblasproject.org/](http://emblasproject.org/)

[/http://nea.gov.ge/ge/home/](http://nea.gov.ge/ge/home/)

**Maia Azmaiparashvili**

*(Gori, Georgia)*

### **Tourism and Environmental Problems in the Adjara**

#### Summary

This paper deals with the environmental problems of the region Adjara. We think the tourist city to regulate sustainable urban transport infrastructure. Studied the air quality, Black Sea pollution, were overwhelmed with the number of solid waste in the Black Sea. Interestingly Black Sea anoxic layers of research results. Tourism must be environmentally friendly long-term perspective, Economically viable.



## სოფლის მეურნეობის განვითარების ისტორიული და თანამედროვე ასპექტები აჭარაში

აჭარა საქართველოს მიწა-წყლის განუყოფელი ნაწილია, იგი ძველთაგანვე წარმოადგენდა ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთ ეკონომიკურად საკმაოდ ძლიერ რეგიონს, სადაც სოფლის მეურნეობა ადრეულ საუკუნეებშივე ყოფილა განვითარებული.

აჭარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მრავალი არქეოლოგიური და ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლი საკმაოდ დამაჯერებელ ინფორმაციას გვაწვდის ამ მხარის სამეურნეო-კულტურული წარსულის და კერძოდ, სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ. გვიანი ბრინჯაოს ხანის მრავალრიცხოვანი ბრინჯაოს ნივთ-განძებში მრავლადაა კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი სასოფლო-სამეურნეო იარაღები: კოლხური ცული, წაღდი, თოხები, ნამგლები და სხვა. განვითარებული რკინის ხანისა და ანტიკური ხანის სოფლის მეურნეობის, მესაქონლეობისა და სელის კულტურის საილუსტრაციოდ მდიდარი მასალებია მოპოვებული ფიჭვნარის, ციხისძირისა და ბათუმის გათხრებისას. ძველ კოლხეთში შემავალი დღევანდელი აჭარის შავიზღვისპირა ტერიტორია გარკვეულ ისტორიულ პერიოდებში დიდ ეკონომიკურ-პოლიტიკურ ძლიერებას აღწევდა. აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი ეხებოდა რა კოლხეთის სამეფოს, წერდა: “ერთი სიტყვით, ხალხი აქ როგორც ჩანს, მეურნეობასა და მრეწველობას მისდევდა და მარტო თავისთვის სახმარებლად კი არ აკეთებდა, არამედ უცხოეთში გასაყიდადაც, ეტყობა, ადებ-მიცემობას ფეხი კარგად ჰქონდა მოკიდებული“ *[ჯავახიშვილი, 2012: 37]*. “სტრაბონის თქმით, კოლხეთი ხილუელობით მდიდარი იყო; სელი, კანაფი, ცვილი და ფისიც უხვად იყო: იქაური სელის ქსოვილებს ხომ დიდი სახელი ჰქონდა ხოლმე.” ივ. ჯავახიშვილი გადმოგვცემს რომ “პეროდიტეს დროსვე შავი ზღვის ნაპირი, სახელდობრ მაშინდელი კოლხეთი, სელის ქსოვილებით იყო განთქმული. ელინები ამ ქსოვილებს სარდონის ტილოებს ეძახდნენ” *[ჯავახიშვილი, 2012: 34, 37]*.

“იმ ქართველი ტომების მიწა-წყალი, რომელნიც შავი ზღვის სამხრეთითა ცხოვრობდნენ, ბუნებრივი თვისებების მიხედვით, ორ ნაწილად იყოფოდა: ერთი ზღვის სანაპირო იყო, მეორე კიდევ მთა-ადგილები. ზღვის ნაპირები სტრაბონის სიტყვებით მეტისმეტად ვიწრო იყო: ზღვას თითქმის ზედ დაჰყურებს მაღალი მადნის მადარობით საგსე და ტყით დაბურული მთები, სახნავი მიწა კი ძალიან ცო-

ტაო... რასაკვირველია ისინი, ვინც ზღვის ნაპირას ცხოვრობდნენ, უკეთეს მდგომარეობაში უნდა ყოფილიყვნენ. აქ ხალხი თევზს იჭერდა, ნაჭერ-ნაჭერ სჭრიდა და ამარილებდა, ზიპს – კი (თევზის ქონს), ყველაფერში ბლომად ხმარობდნენ ხოლმე... კოლხების სოფლებში ბერძნების ჯარისკაცებმა დიდძალი სურსათი იპოვეს და აუარებელი ფუტკრის სკები ნახეს. ერთი სიტყვით, აქ ხალხი ძალიან მისდევდა მიწის მოქმედებას და კარგი შემოსავალიც ჰქონდა, მაგრამ მცხოვრებნი ბევრნი იყვნენ და პური სამყოფი ყველგან არ ყოფილა; კაკლითა და წაბლით ივსებდნენ თურმე დანაკლისს; მთები სავსე იყო ხოლმე ამ ხეებით... მიწის მოქმედების გარდა, აქ ღვინის დაყენებასაც მისდევდნენ. იქაური ღვინო, ქსენოფონტეს სიტყვით, უწყლოდ მეტად ცხარე იყო და გემოთი მწკლარტე, წყალ-ნარევი კი სურნელოვანი და სასიამოვნო სასმელიო” *[ჯავახიშვილი, 2012: 33-34]*.

აჭარის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრება კარგად იყო განვითარებული ფეოდალურ ხანაშიც. ამ მხრივ, მატერიალური კულტურის ძეგლებთან ერთად, საინტერესო ცნობებს იძლევა წერილობითი წყაროებიც. მე-19 საუკუნის ქართველი მოღვაწე გიორგი ყაზბეგი, 1874 წლის გაზაფხულზე აჭარაში მოგზაურობის შემდეგ, თავის ნაშრომში “სამი თვე თურქეთის საქართველოში”, მნიშვნელოვან მასალებს გვაწვდის ზემო აჭარაში მევენახეების გავრცელების თაობაზე. მისი გადმოცემით, “აჭარაში ახალციხელი სომხები გადმოდიოდნენ, ყიდულობდნენ ყურძენს და იქვე წურავდნენ ღვინოს” *[ყაზბეგი, 1995: 54]*.

“თერგდალეული გენერალის” ცნობით (ასე მოიხსენიებს პროფესორი რამაზ სურმანიძე გიორგი ყაზბეგს *[სურმანიძე, 2002]*) აჭარაში უხვად ყოფილა ხეხილი, განსაკუთრებით ვაშლი და მსხალი, ნაკლებად ქლიავი და ყურძენი. კაკლის ხე და წაბლი ხარობდა მდინარეთა ხეობებში, ზოგჯერ – ტყეში, ველურად. შიდააჭარაში მეხილეობა იმდენად კარგად ყოფილა განვითარებული, რომ ხილი სავაჭროდაც გაჰქონდათ ოზურგეთში, ახალციხეში, არტაანში და ალექსანდროპოლში.

ზემო აჭარაში ძველთაგანვე კარგად ყოფილა განვითარებული მეცხოველეობაც. გ. ყაზბეგი აღნიშნავს, რომ: “ეკონომიკური თავლსაზრისით ღორჯომის მდებარეობა ყოველგვარ პირობებს ქმნის უზრუნველყოფილი ცხოვრებისათვის. ყოველ ოჯახს აქვს სახნავ-სათესი, სათიბი, საძოვარი და ტყე. აქედან ჩანს რას საქმიანობენ ღორჯომის მცხოვრებნი: მათი მეურნეობის ძირითადი დარგია მეცხოველეობა. შეძლებულ ოჯახს ოცი-ოცდაათი მეწველი ძროხა ჰყავს, რამდენიმე უღელი ხარი და შედარებით ნაკლები ცხვარი (20-25 სული), მდელოებისა და საძოვრების სიუხვის გამო მთავარი სიმდიდრეა მსხვილი რქოსანი პირუტყვი... სოფლის მეურნეობის მეორე დარგი – მეცხენეობა აქ არ არსებობს, მიუხედავად ამისა, ყოველ კომლს ჰყავს ერთი

საპალნე ცხენი მაინც. მეტწილად ჰყიდულობენ ორი წლის კვიცს არდაგანის მიდამოებში მცხოვრები ქურთებისაგან და შემდეგ სახლში ზრდიან. ცხენს ტვირთის საზიდავადაც იყენებენ, საჯდომი ცხენი თითქმის არ ჰყავთ. შედარებით უმნიშვნელოა მიწათმოქმედება, ამიტომაც მარცვლეულით არ ვაჭრობენ. პურეულიდან უმეტესად თესენ სიმინდს, ცოტა ქერსა და ხორბალსაც. ამჟობინებენ სიმინდს, რადგან იგი უფრო მოსავლიანია. სიმინდი საშუალოდ ერთი ოცად, ერთი ოცდაათად, ხშირად ერთი ორმოცდაათად და კიდევ მეტად მოდის; ხორბალი კი ერთი ათად. მინდვრები მეტად გულმოდგინედაა დამუშავებული. სათიბები თითქმის ყველგან შემოკავებულია ხის მესერით, ან ტყის სიუხვის წყალობით, ძელური ღობით” *[ყაზბეგი, 1995: 35-36]*.

“კულტურული მცენარეებიდან თესდნენ თამბაქოს და ისიც მხოლოდ ქვემო აჭარაში”, ყაზბეგი შენიშნავს, რომ აქაური თამბაქო საშუალო ხარისხისაა, ბაჟის შემოდების გამო კი მისი პლანტაციები თანდათან შემცირებულა. “მეფუტკრეობა ძველთაგანვე შეადგენდა აჭარის სიმდიდრეს, ახლა კი უნიშვნელოდაა განვითარებული, რაც მეტისმეტად დიდი გადასახადით აიხსნება. საფუტკრე არსად მინახავს, ისე კი ამბობენ, რომ სკები მიმალული აქვთ ხშირად ტყეში, რათა თავი აარიდონ მეთედ გადასახადს. თაფლი თითქმის ყოველ ოჯახში აქვთ, მაგრამ ამით არ ვაჭრობენ”- მიუთითებს მოგზაური *[ყაზბეგი, 1995: 57-58]*.

გ. ყაზბეგისავე ცნობით, აჭარა გურიისა და არსიანის ქედების კალთები იმდენად ნოყიერ საზაფხულო საძოვრებს წარმოადგენდა, რომ მას იმდროინდელი თურქეთის სხვა პროვინციებიც იყენებდნენ. ზაფხულობით ამ საძოვრებზე მორეკავდნენ პირუტყვს და არამარტო შიდააჭარის ბარიდან და ზღვისპირა აჭარიდან, არამედ შავშეთიდან, ფოცხოვიდან და არტაანიდანაც კი *[ნაკაიძე, 1964: 210]*.

გ. ყაზბეგი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ დროის სიმცირის გამო, აჭარაში მოგზაურობისას ვერ მოახერხა გაცნობოდა ბათუმის ცხოვრებას, თუმცა საკმაოდ კარგად აგვიწერს ბათუმის გზატკეცილის მნიშვნელობას: “ჩვენი აზრით, თურქეთის საქართველოს ისტორიაში ეს გზა ეპოქას შექმნის... როგორც ცნობილია, ბორბლებს მიჰყვება ცივილიზაცია და ვაჭრობა, ხოლო მის გარეშე არც ერთი იქნება და არც მეორე. ლივანის, შავშეთისა და ართვინის სიმდიდრე, ბათუმის გზის გარეშე ვაჭრობისათვის მკვდარ კაპიტალად იქცევა და ევროპის გავლენა, რომელმაც აზიის მრავალი კუთხე გაანათლა, დარჩება თურქეთის საქართველოზე შემოვლელულ ქვის კედლებს მიღმა. ამ კედლების გარღვევის და ვაჭრობისათვის ქვეყნის კარების გაღების აუცილებლობაზე დიდხანს ლაპარაკობდნენ. მაშინ, როდესაც ლივანას სჭირდებოდა პური, გარსი, ახალციხე და ახალქალაქი პურით მუქთად ამარაგებდა რუს, ინგლისელ და ფრანგ სოფდაგრებს. კავშირის უქონ-

ლობის გამო ართვინში ვერ განვითარდა ბაღები და თუთის ხეივნები. ახალი გზა ერთსაც და მეორესაც გაუხსნის სარბიელს და ათასობით საჭაპნე პირუტყვი, რომელსაც დღეს ძლივსძლიობით გადააქვს ათასი ბათმანი ტვირთი, მომავალში ათიათასობით ფუტს გადაიტანს“ *[ყაზბეგი, 1995: 108]*.

აჭარის სოფლის მეურნეობის დარგთა მრავალფეროვნებასა და განვითარებაზე მიუთითებს მე-18 საუკუნის გამოჩენილი გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი: “და არს აჭარის ხეობა ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, თვინიერ ბრინჯ-ბანბისა, ყოვლითა მარცვლითა... აქ აკეთებენ ყველს... არაოდესვე წახდების, არცა დაობდების, რა ჟამს გნებავს შემგბარი კეთილ სახმარ არს” *[ბაგრატიონი, 1941: 134]*. ყველის დამზადების რთული ტექნოლოგია, რაზედაც მიუთითებს ვახუშტი ბაგრატიონი, იმის დადასტურებაა, რომ მესაქონლეობა კარგად ყოფილა განვითარებული და რძე და მისი პროდუქტები იმდროინდელი აჭარის მოსახლეობის ერთ-ერთი საარსებოთაგანიც ყოფილა. მისი გადმოცემით, ძველ აჭარაში საკმაოდ კარგად ყოფილა განვითარებული მეცხვარეობა და მეფუტკრეობა, მაგრამ თურქთა ბატონობის პერიოდში, სოფლის მეურნეობის ზოგიერთ დარგებთან ერთად, მათი წარმოებაც მკვეთრად შემცირებულა თურქეთის მთავრობის მიერ დიდი გადასახადის დაწესების გამო. თურქულმა მიწათმფლობელობამ (XVII-XVIII სს.) თავისი დაღი დაასვა აჭარის ეკონომიკური ცხოვრების ყველა დარგს.

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან, აჭარის ქუთაისის გუბერნიის გამგებლობაში გადასვლის შემდეგ, ნელი ტემპით დაიწყო აჭარის მეურნეობის აღდგენა - განვითარება. ამ დროისათვის აჭარაში ძირითადად შემინდვრეობა და ნაწილობრივ მეხილეობა იყო განვითარებული. ჩაის პლანტაციების გაშენების პირველი ცდა აჭარაში პოლკოვნიკ ა. სოლოვოცოვსა და რუსეთში ჩაით მოვაჭრე კ. პოპოვს ეკუთვნით. მათ პირველად ჩაქვისა და სალიბაურის მიდამოებში გააშენეს ჩაის პლანტაციები და აჭარაში ჩაის პირველი სასაქონლო პროდუქციაც მათ მიიღეს. სამწუხაროდ, ჩაის საპლანტაციო მეურნეობის განვითარებას აჭარაში თითქმის ნახევარი საუკუნე დასჭირდა *[ნაკაიძე, 1964: 214]*.

1900 წელს ა. კრასნოვის ხელმძღვანელობით მოწყობილი ექსპედიციის მიერ, აღმოსავლეთის ქვეყნებიდან შემოტანილი იქნა სხვადასხვა სახის სუბტროპიკული ხეხილის ნერგი და თესლი, მათ შორის იაპონური ჯიშის მანდარინი “უნშიუ”, რომლებმაც აჭარის პირობებში საუკეთესოდ იხარა. ფორთოხლის ნარგავები აჭარის მთისწინეთში ადრეც ყოფილა. სხვა სუბტროპიკული კულტურები: ბამბუკი, დაფნა, ტუნგი და სხვა, დეკორაციულ ხასიათს ატარებდა და ძალზე მცირედ იყო გავრცელებული. სასაქონლო ხასიათის მებოსტნეობა – მებაღეო-

ბა მხოლოდ ბათუმის გარეუბნებში იყო რამდენადმე განვითარებული. აჭარის მთიან ნაწილში ტრადიციულად მეფუტკრეობას მისდევდნენ, ხოლო ზღვისპირა აჭარაში – მეაბრეშუმეობას [ნაკაიძე, 1964: 215-216].

მიუხედავად იმისა, რომ აჭარას მდიდარი ბუნებრივი პირობები გააჩნდა სოფლის მეურნეობის ყოველმხრივი განვითარებისათვის, მისი პოტენციალი გამოუყენებელი რჩებოდა. შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ აჭარაში 1921 წლის მარტში შემკვიდრებით უკიდურესად ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობა მიიღო. მოგვიანებით, სახელმწიფო გრძელვადიანი კრედიტების შედეგად აჭარა ჩაისა და ციტრუსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მწარმოებელი გახდა მთელს საბჭოთა კავშირში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა აჭარაში საუფლისწულო მამულებისა და და თავისუფალი მიწების, აგრეთვე ყამირი მიწების ათვისების ხარჯზე შექმნილ საბჭოთა მეურნეობებს, რომლებმაც ხელი შეუწვეეს სუბტროპიკული კულტურების: ჩაის, ციტრუსების, სხვადასხვა ტექნიკური კულტურების და სუბტროპიკული და ტროპიკული მცენარეების განვითარებას.

აჭარში სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხების შესწავლას არაერთი ნაშრომი მიუძღვნა დეაწლმოსილმა მეცნიერმა, ოთარ თურმანიძემ. საბჭოთა მეურნეობების ჩამოყალიბების პროცესი პროფესორმა სრულყოფილად წარმოგვიდგინა ნაშრომში “სახელმწიფო მეურნეობების მშენებლობა აჭარაში (1921-1940წწ)”. მისი გადმოცემით, “სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო საწარმოები ცარიზმის დროსაც არსებობდა. 1917 წლამდე ბათუმის ოლქში სახელმწიფო საკუთრება იყო ბოტანიკური ბაღი (მწვანე კონცხი), ციტრუსების სანერგე (ბათუმის ოკრუგი, სოფელი ახალშენი) და ზეთისხილის სანერგე (ართვინის ოკრუგი, სოფელი ღომაშენი)...

XX საუკუნის 20-იან წლებში აჭარაში შეიქმნა ჩაისა და სუბტროპიკული მეხილეობის, მებოსტნეობისა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობები, ხეხილის სახელმწიფო სანერგეები... 1930 წელს ბათუმის შემოგარენში მებოსტნეობის ორი საბჭოთა მეურნეობა შეიქმნა: სოფელ ურეხში და კახაბერში. ამავე წელს ხულოს რაიონში დაარსდა მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა, რომლის მიზანს შეადგენდა კოლმეურნეობებისა და ინდივიდუალური მეურნეობებისათვის დახმარების აღმოჩენა პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის... 1931 წელს გონიოში დაარსდა მეთამბაქოების საბჭოთა მეურნეობა. ქობულეთში მოეწყო გერნის და მეაბრეშუმეობის სათესლე მეურნეობები. თუ 1991 წელს აჭარაში აღირიცხა 15 საბჭოთა მეურნეობა, 1939-41 წლებში მათმა რიცხვმა 20 ერთეულს მიაღწია... ამ პერიოდში მნიშვნელოვნად განვითარდა მეყვავილეობა და დეკორაციული მემცენარეობა... ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბ-

ჭოთა მეურნეობები რენტაბელური იყო და ქვეყანას მნიშვნელოვან მოგებას აძლევდნენ” *[თურმანიძე, 2014: 183-186]*.

საბჭოთა პერიოდში აჭარა მრავალწლიანი ნარგავების მხარედ იქცა. 1964 წლის საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობებით, მისი ტერიტორიის 6.4% მრავალწლიან ნარგავებს ეკავა. ჩაის ნარგავთა ფართობი აჭარაში მთელის საქართველოს ჩაის ფართობის 11.8% შეადგენდა, ციტრუსოვანთა ნარგავების ხვედრითი წილი კი საქართველოს რესპუბლიკის ციტრუსოვანთა ნარგავების 54.4% შეადგენდა *[ნაკაიძე, 1964: 220]*.

აჭარის ზღვისპირა სუბტროპიკულ ზოლში გავრცელებული დაფნის კულტურა, რომელმაც იმთავითვე სასაქონლო ხასიათი მიიღო. აჭარამ თვალსაჩინო ადგილი დაიკავა საქართველოში თამბაქოს წარმოების მხრივაც. ზღვისპირა აჭარაში საკურორტო მეურნეობის შექმნამ და მოსახლეობის სწრაფმა ზრდამ ხელი შეუწყო საკარმიდამო ხასიათის მქონე ბოსტნეულ-ბაღჩეულისა და მეკარტოფილეობის შემდგომ განვითარებას. საკმაოდ განვითარდა მეცხოველეობა, განსაკუთრებით მსხვილფეხა მესაქონლეობა (5.0-7.0%) და მელორეობა. ამასთან, როგორც პროფესორი ირ. ნაკაიძე თავის ნაშრომში “აჭარის სოფლის მეურნეობის ზოგადი დახასიათება” ასკვნის: “აჭარაში სოფლის მეურნეობის წამყვანი სასაქონლო დარგები უფრო სწრაფი ტემპით ვითარდებოდა, ვიდრე საბჭოთა კავშირში მთლიანად” *[ნაკაიძე, 1964: 245]*.

დღეისათვის აჭარა, ერთ-ერთი სტაბილური, სწრაფად მზარდი და დინამიურად განვითარებადი რეგიონია საქართველოში. სოფლის მეურნეობა კვლავაც რჩება რეგიონის ეკონომიკის განმსაზღვრელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან სექტორად. ნაყოფიერი ნიადაგი და ხელსაყრელი კლიმატური პირობები ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებას.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულები მთლიანი მიწის ფონდის (290 ათასი ჰა) 25,1% შეადგენს, ტყე-ბუჩქნარს – 64% უკავია. რეგიონი თავისი ნიადაგურ-კლიმატური პირობებით მეტად მრავალფეროვანია. შავიზღვისპირა მუნიციპალიტეტები – ქობულეთი და ხელვაჩაური ხასიათდება ტენიანი სუბტროპიკული კლიმატით, ხოლო მაღალმთიანი აჭარა (ქედა, შუახევი, ხულო) – კონტინენტალური ჰავის კლიმატით, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის ხილის, ციტრუსის, ბოსტნეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებისათვის. მრავალფეროვანი ნიადაგურ-კლიმატური პირობები და ბუნებრივი რესურსები, გატარებული სტრუქტურული რეფორმებისა და ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს პირობებში, უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა საინვესტიციო პროექტების განსახორციელებლად და კონკურენტუნარიანი აგრობიზნესის სექტორის განსავითარებლად.

აჭარის მშპ-ში სოფლის მეურნეობას 8.3% უკავია; სამუშაო ძალის 55.6% სწორედ სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული; მოსახლეობის 52%-სოფლად ცხოვრობს; მთლიანი ფართობი ქვეყნის საერთო ტერიტორიის 4.2%-ია.

**ძირითადი დარგებია:** მეციტრუსეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა, მეცხოველეობა.

**ტრადიციული დარგებია:** მევენახეობა, მეთევზეობა, მემარცვლეობა, მეფუტკრეობა.

**დამხმარე დარგებია:** მეჩაიეობა, მებაბრეშუმეობა, მეთამბაქოეობა, სამკურნალო მემცენარეობა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი ამოცანაა სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილება; საბაზრო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით კონკურენტუნარიანი, რისკებისაგან დაცული აგრარული სექტორის ჩამოყალიბება, სურსათის უვნებლობისა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა *[საინფორმაციო ბუკლეტი, 2011]*.

არასახარბიელოა ის ფაქტი, რომ აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტი ბოლო წლებში შემცირების ტენდენციით ხასიათდება. 2015 წლისათვის იგი 6 811 641 ლარით განისაზღვრა, 2016 წელს კი 5 700 000 ლარით. აქედან, 2015 წელს სამინისტროს ცენტრალური აპარატისათვის – 25%, ლაბორატორიული კვლევის ცენტრისათვის – 5%, აგროსერვისის ცენტრისათვის – 24%, მეცხოველეობის დარგის განვითარებისათვის – 11%, მემცენარეობისათვის – 13% და მექანიზაციის საშუალებებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობისათვის 22% იყო განკუთვნილი *[<http://adjara.gov.ge/>]*.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით დღეისათვის აჭარის რეგიონში ჩაის პლანტაციის ქვეშ დარჩენილია მხოლოდ 5 600 ჰა. ეკონომიკური განვითარების სტრატეგიით რეგიონში გათვალისწინებულია 1200 ჰა-მდე ჩაის პლანტაციის აღდგენა-რეაბილიტაცია.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2015 წელს რეგიონების მიხედვით *[<http://www.geostat.ge/>]*, ქვეყანაში წარმოებულ მთლიან პროდუქციაში, აჭარა პირველ ადგილზეა ციტრუსის წარმოებით – 65.3 ათასი ტონა (აქედან: მანდარინი – 60.8 ათასი ტონა, ფორთოხალი – 3.0 ათასი ტონა, ლიმონი – 1.4 ათასი ტონა); აღსანიშნავია, რომ ციტრუსის ხვედრითი წილი მემცენარეობის პროდუქციაში 27 %-ს შეადგენს, ხოლო რესპუბლიკის ფარგლებს გა-

რეთ რეალიზებულ პროდუქციაში – 70%-ს. ძირითად საექსპორტო ქვეყნებს წარმოადგენს უკრაინა, მოლდოვეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსი, სომხეთი, ყაზახეთი და უზბეკეთი.

ყოველწლიურად რეგიონის წისქვილკომბინატები 90 000 ტ-მდე ხორბალს ამუშავებენ (ქვეყნის მასშტაბით მოხმარებული ხორბლის 11.25 %) და 70 000 ტ-მდე უმაღლესი ხარისხის პურის ფქვილი იწარმოება. აჭარაში პურისა და პურპროდუქტების 100-მდე მსხვილი და საშუალო საცხობი ფუნქციონირებს. რეგიონში წარმოებული პურპროდუქტებით ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ხორციელდება.

რეგიონის მოსახლეობისათვის წლიურად საჭიროა 29-ათას ტონამდე ხორცპროდუქტები და 173-ათას ტონამდე რძის პროდუქტები. რეგიონში საშუალოდ იწარმოება 2,5 ათას ტონამდე ხორცი და 55-ათას ტონამდე რძე და რძის პროდუქტები. არსებული დეფიციტის შევსება იმპორტირებული (სომხეთი, უკრაინა, თურქეთი, გერმანია და ავსტრია) პროდუქტით ხდება. სხვა რეგიონებიდან შემოტანილი და იმპორტირებული პროდუქციის ხარჯზე ხდება აგრეთვე ფრინველის ხორცი და კვერცხით ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

აჭარის წყალუხვი მდინარეები იძლევა უნიკალურ შესაძლებლობებს სათევზე მეურნეობების განვითარებისათვის. რეგიონში 91 სათევზე მეურნეობაა. წლიურად იწარმოება 700 ტონამდე თევზი.

რეგიონში 200-მდე მსხვილი და 500-მდე მოყვარული მეფუტკრე ფერმერია, მათ საკუთრებაში ირიცხება 19 000-ზე მეტი ფუტკრის ოჯახი. ყოველწლიურად 400 ტონამდე თაფლი იწარმოება. რეალიზაცია ძირითადად ადგილობრივ ბაზარზე ხორციელდება.

რაც შეეხება ღვინის წარმოებას, აჭარაში ვაზს 160 ჰექტარი უჭირავს და ყოველწლიურად საშუალოდ 1000 ტონამდე ყურძენი იწარმოება.

რეგიონში 2007 წლიდან ფუნქციონირებს მცენარეული ზეთის საწარმო შპს "ბათილი", რომელიც ერთადერთია საქართველოში. კომპანიის მიერ წარმოებულმა ბრენდებმა ("მზიური" და "ქართული") საქართველოს ბაზრის 30% აითვისა.

მეზღვეობა რეგიონის სოფლის მეურნეობის ძირითად დარგს წარმოადგენს. ადგილობრივი წარმოების ბოსტნეულით ვერ ხერხდება მოსახლეობის მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილება, რის გამოც რეგიონში ყოველწლიურად 50 000 ტონამდე ბოსტნეულის (კიტრი, პომიდორი, კარტოფილი, ბადრიჯანი, ხახვი, ნიორი, წიწაკა და სხვა) იმპორტი ხორციელდება. იმპორტით შემოდის აგრეთვე 100 ტონამდე სოკო.



გასული საუკუნის 90-იან წლებში რეგიონში თამბაქოს წარმოება ძალიან შემცირდა. დღეისათვის თამბაქოს ნედლეულისადმი ინტერესი კვლავ გაიზარდა. რეგიონში თამბაქოს კულტურით დაკავებულია 110 ჰა-მდე ფართობი და წლიურად 250 ტონამდე ხმელი თამბაქო იწარმოება. წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია ძირითადად ადგილობრივ ბაზარზე ხდება.

ბოლო წლებში ქალაქის განაშენიანებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნა დეკორატიულ მცენარეებზე. დეკორატიული მცენარეების წარმოებას 30-მდე იურიდიული და ფიზიკური პირი ახორციელებს. [<http://adjara.gov.ge/>].

გასულ 2015 წელს წარმოებული იქნა 0.9 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, სტატისტიკის სამსახურის მიერ აღირიცხა ყველა სახის ფრინველი – 39.0 ათასი ფრთა, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი – 86.1 ათასი სული, ფუტკრის ოჯახები – 40.3 ათასი სკა; წარმოებული იქნა თაფლი – 0.5 ათასი ტონა, კაკალი – 1.3 ათასი ტონა, ლობიო – 0.4 ათასი ტონა, კარტოფილი – 12.1 ათასი ტონა, ხილი – 14 ათასი ტონა, აქედან: სუბტროპიკული ხილი 4.1 ათასი ტონა, კაკლოვანი ხილი 4.9 ათასი ტონა, კურკოვანი ხილი 1.2 ათასი ტონა, თესლოვანი ხილი 3.8 ათასი ტონა, ბალი და აღუბალი 0.2 ათასი ტონა, მსხალი 1.4 ათასი ტონა, ტყემალი 0.7 ათასი ტონა [<http://www.geostat.ge/>].

აჭარაში სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით ხორციელდება არაერთი როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო პროექტი, მათ შორის აღსანიშნავია:

- EU / UNDP - Enpard Ajara „აჭარაში აგრო სექტორის განვითარების მხარდაჭერა“ – ბიუჯეტი (3 მილიონი ევრო) ითვალისწინებს 2013-2016 წწ. ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის, ფერმერული მეურნეობებისა და სამინისტროს ინსტიტუციონალურ განვითარებას.
- „აჭარის არ ციტრუსის მოსავლიანობის პროგნოზირების საპილოტე პროგრამა“ – რომელიც არის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ინიციატივის (GAPI) 3 წლიანი პროექტის ნაწილი, დაფინანსებული USAID -ის მიერ.
- შვეიცარიის განვითარების ფონდი, Mercy Corps Georgia „მცირე კავკასიის აღიანსების პროგრამა – „მეცხოველეობის განვითარება აჭარაში, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში 2014-2019 წწ.“. ბიუჯეტი ჯამში – 10 მილიონი შვეიცარული ფრანკი და სხვა [*ანგარიში, 2015*].

ვფიქრობთ, აჭარის მდიდარი ბუნებრივი პოტენციალი, მდიდარი ტრადიციები და აჭარელი ხალხის დაუზარელი ხასიათი ნამდვილად აძლიერებს სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივას. სასურ-

ველი მიზნის მისაღწევად კი აუცილებელად მიგვაჩნია სახელმწიფო სტრატეგიით გათვალისწინებული ძირითადი მიმართულებების დროულად და სრულყოფილად განხორციელება: სასოფლო - სამეურნეო მიწების ეფექტიანად გამოყენება, წარმოების ინტენსიფიკაციის დონის ამაღლების ხელშეწყობა; სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინფრასტრუქტურის და აგრობიზნესის განვითარების ხელშეწყობა; სურსათის უვნებლობისა და ხარისხის უზრუნველყოფის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის გაუმჯობესების ხელშეწყობა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია – აგრო განათლების დონის ამაღლება.

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

**ჯავახიშვილი, 2012:** – ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, I, თბილისი.

**ყაზბეგი, 1995:** – ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმში.

**სურმანიძე, 2002:** – სურმანიძე რ., თერგდალეული გენერალი, გაზ. “ლიტერატურული საქართველოს”, 2002-07-05, <http://www.opentext.org.ge/index.php?m=57&y=2002&art=9538>

**ნაკაიძე, 1964:** – ნაკაიძე ირ., აჭარის სოფლის მეურნეობის ზოგადი დახასიათება, შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XI, ბათუმი.

**ბაგრატიონი, 1941:** – ბაგრატიონი ვ., აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი.

**თურმანიძე, 2014:** – თურმანიძე თ., “სახელმწიფო მეურნეობების მშენებლობა აჭარაში (1921-1940 წწ). ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, შრომები X, ბათუმი.

**საინფორმაციო ბუკლეტი, 2011:** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო ბუკლეტი, ინტერნეტ-მისამართი: <http://adjara.gov.ge/uploads/Docs/b9a4665dfa8d4517a06cfa1798aa.pdf>

**<http://adjara.gov.ge/>** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2015 და 2016 წლების ბიუჯეტი

**<http://www.geostat.ge/>** – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ინტერნეტ-მისამართი: [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=1216&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=1216&lang=geo)

**ანგარიში, 2015:** – ანგარიში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2015 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ, ინტერნეტ-მისამართი:

<http://adjara.gov.ge/uploads/Docs/e948381fc68340a099fa7a8e5b3f.pdf>

**Giuli Giguashvili**

*(Gori, Georgia)*

**Historical and Modern Aspects of Agricultural Development in Ajara**

Summary

The article, “Historical and Modern Aspects of Agricultural Development in Ajara,” according to historical and archaeological materials, presentation of the process of development of the agricultural sector from the ancient times to the present. Based on the analysis of statistical data, identified the priority sectors of agriculture and the prospects for their development.

## საქართველოს სასაბაზო წყლის რესურსების ეკონომიკური და მისი გამოყენება ქვეყნის სწრაფი განვითარებისათვის

### შესავალი

ადამიანის სიცოცხლე იწყება ნაყოფის სახით, რომელიც 99%-ი წყლისგან შედგება. როცა ადამიანი იბადება, წყალი მისი სხეულის 90%-ს შეადგენს, ხოლო იმ დროისათვის, როცა მოწიფულ ასაკს აღწევს, წყლის შემცველობა 75-80%-მდე მცირდება. ერთი სიტყვით, მთელი სიცოცხლის განმავლობაში ადამიანი ძირითადად წყლით არსებობს.

წყალს გააჩნია ინფორმაციის კოპირებისა და შენახვის უნარი, იგი დედამიწის გარშემო ცირკულირებს, გადის ჩვენს სხეულს და მთელს მსოფლიოს ეფინება. ჩვენ რომ შეგვეძლოს წყლის მექანიზმებში შენახული ინფორმაციის წაკითხვა, გავიგებდით, ეპიკური მასშტაბების ისტორიას.

ადამიანის ძლიერ ემოციებს შეუძლიათ დაავადების გამოწვევა, რომლის განკურნებაც შესაძლებელია ჰარმონიული სტრუქტურის მქონე სასმელი წყლის მეშვეობით. მრავალი მკვლევარი ადასტურებს, რომ გაღიზიანებისას ადამიანის ორგანიზმში გარკვეული რაოდენობის ვერცხლისწყლის წარმოქმნა ხდება. გაღიზიანება წარმოადგენს მომწამვლელ ემოციას ადამიანისათვის. მრისხანებისას ორგანიზმში ტყვია მატულობს, სევდა-მწუხარებისას ალუმინი, ხოლო ეჭვიანობისას ყველაზე მეტად კადმიუმი წარმოიქმნება. ორგანიზმში ყველა ამ მომწამვლელ ნივთიერებების წარმოქმნის გამომწვევი ემოციების მართვა, მიწისქვეშა ბუნებრივი სასმელი წყლის მეშვეობითაა შესაძლებელი, წყალი ჩვენი მსმენელი და მრჩეველია. წყალი აძლიერებს ნერვულ სისტემას და ამაღლებს იმუნიტეტს.

მიწისქვეშა ბუნებრივი მაღალხარისხიანი სასმელი წყალი ხელს უწყობს ორგანიზმის გაწმენდას წიდებისა და მავნე ნივთიერებებისგან, ზრდის ადამიანის ინტელექტს, აადვილებს თირკმლებისა და საშარდე სისტემის მუშაობას, აუმჯობესებს გულისა და ღვიძლის მუშაობას. ადამიანები ძაღლების მოზღვავენას გრძობენ, ახლდება ორგანიზმის ყველა უჯრედი.

### ძირითადი ნაწილი

ჩვენს მიერ მაკროეკონომიკური ძირითადი ნაწილი კვლევების საფუძველზე შექმნილი “ქვეყნის სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ძირითად სტრატეგიული მიმართულებები“ კონცეფცია-პროგრამის შესაბამისად [გიორგაძე, 2012], სასმელი წყლის რესურსული პოტენციალი გახლავთ ჩვენი ქვეყნის “კონკურენტუნარიანობის” განმსაზღვრელი ეკონომეტრი, ხოლო მიწისქვეშა სასმელი წყლის სახელმწიფო მარაგები როგორც “ადამიანისთვის აუცილებელ სასიცოცხლო დანიშნულების პროდუქტი”, წარმოადგენს “ეროვნულ სიმდიდრეს” [სერტიფიკატი 1377].

უნდა გვახსოვდეს, რომ მიღსაღწევი წყლის ტრანსპორტირება გაველენას ახდენს წყლის ხარისხზე. იგი უარყოფითად მოქმედებს ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, იმუნიტეტსა და ჯანმრთელობაზე. ამიტომ ქალაქგეგმარებისა და ურბანული განვითარების პროცესში უნდა შევეცადოთ, რომ მაქსიმალურად იქნეს შემცირებული მანძილი წყლის სათავე ნაგებობიდან მომხმარებლამდე.

საქართველო ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა მთელ სამყაროში მტკნარი წყლების მარაგებით, მის არეალში ირიცხება 26060 მდინარე, რომელთა საერთო სიგრძე 59 ათასი კმ-ია, მდინარეთა მეთაველი სათავეებიდან დინების მიმართულებით 1 კმ<sup>2</sup> რადიუსით ქმნიან უმაღლესი ხარისხის სასმელი წყლის პროდუქტს, იმ შემთხვევაში, თუ მისი დასაქონლებისას გამოყენებული იქნება ისეთი ტექნოლოგიები, რომელიც არ გამოიწვევს წყლის მიკრობიოლოგიურ და ქიმიურ შემადგენლობის ცვლილებას, მაშინ ამ რესურსული პოტენციალის მატერიალური ფასეულობა კაპიტალიზაციის ტექნოლოგიების გამოყენებით ტრილიონობით აშშ დოლარს აღემატება. მაგრამ პირდაპირი მნიშვნელობით ერთეული პროდუქციის მისაღებად მისი გამოყენება დაუშვებელია, ვინაიდან მდინარეებს, როგორც ენერჯის განახლებად წაყროს მეტად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სარგებლობის ფარდობითი უპირატესობით.

ჩვენი ქვეყანა უნდა დასპეციალდეს იმ საქონლის წარმოებაზე, რომლის ღირებულება ანუ ალტერნატიული ფასეულობა უფრო დაბალია, მაგრამ სხვა ქვეყნის მოსახლეობისათვის აუცილებელი და თანაც სასიცოცხლო დანიშნულებისაა. ასეთ რესურსულ პოტენციალად მაკროეკონომიკური კვლევებით დადასტურებულია მაღალხარისხოვანი მიწისქვეშა სასმელი წყლის სახელმწიფო მარაგი, რომელთა საერთო რაოდენობა შეადგენს 573 მ<sup>3</sup>/წმ-ში, ხოლო საექსპლოატაციო დასაშვები რაოდენობა 301 მ<sup>3</sup>/წმ-ში, რაც დღე-ღამეში 26 მლრდ ლიტრის ექვივალენტია. ადამიანის დღიური ბიოლოგიური ნორმიდან გამომდინარე (2,5 ლიტრი) 7,5 მლრდ რაოდენობის მსოფლიო მოსახლეობის სასმელი წყლის სამომხმარებლო ბაზარს ყოველდღიურად ესაჭიროება

18,25 მლრდ ლიტრი სასმელი წყალი და ამ შემთხვევაში ჭარბი გვრჩება 7,75 მლრდ ლიტრი, აქედან გამომდინარე დასაბუთებულად შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ საქართველოს გააჩნია ადამიანისათვის აუცილებელი სასიცოცხლო დანიშნულების რესურსული პოტენციალი, რომელიც მსოფლიო მნიშვნელობისაა და ამ რესურსით რეალურადაა შესაძლებელია უზრუნველყოს სასმელი წყლით მსოფლიო მოსახლეობა მისი ფიზიკური გატანა-ტრანსპორტირების რეალური შესაძლებლობა რომ გააჩნდეს.

ამდენად, საქართველოს ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტებით (ISO და HCCP) მიწისქვეშა ნატურალური სასმელი წყალი, ეს არის დაბინძურებისგან ბუნებრივად დაცული, მიწისქვეშა 5-სართულიან შრეების საბადოებიდან ამომავალი წყალი, რომლისთვისაც დამახასიათებელია სტაბილური ქიმიური შემადგენლობა, უნიკალური თვისებები, სტაბილური, ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები, ტემპერატურა და რაც მთავარია, ბუნებრივი განახლებადობა ანუ კვლავწარმოების უნარი.

საქართველოსთვის მომგებიანი იქნება ივაჭროს მსოფლიო სამომხმარებლო ბაზარზე დაფასოებული სასმელი წყლით, იმის განთვალისწინებით, რომ მოცემული პროდუქციის წარმოებაზე ჩვენს ქვეყანას ექნება ყველაზე ნაკლები დანახარჯებით მაღალექსპორტირებადი სასაქონლო ფასეულობა, რაც ამ პროდუქტის აბსოლუტური უპირატესობის განმსაზღვრელია.

ამდენად, საქართველო უნდა გახდეს სასმელი წყლის ინდუსტრიული წარმოებისა და მზა პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე გამტანი ერთ-ერთი წარმატებული ქვეყანა მთელ სამყაროში, რასაც ადასტურებს მის არეალში არსებული მსოფლიო მნიშვნელობის რესურსული პოტენციალი მიწისქვეშა სასმელი წყლის მარაგების სახით.

დღეისათვის მსოფლიოში მიმდინარე, სასმელი წყლის შეუქცევადი კრიზისის ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ ზოგადი დასკვნები და განზოგადებები:

– მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მთავრობებმა აღიარა, რომ სასმელი წყლის კრიზისის დაძლევა ავტონომიურ რეჟიმში შეუძლებელია, ამიტომ გადაწყვიტეს მის წინააღმდეგ ერთობლივად გაერთიანებული ძალებით ბრძოლა. ამასთანავე, აღიარეს, რომ სახელმწიფოების ჩარევის გარეშე კრიზისის დაძლევა შეუძლებელია. ამ კუთხით დიდი როლი შეასრულა 1996 წელს დაარსებულმა “წყლის გლობალურმა პარტნიორობამ” (წგპ, GWP), რომელიც აერთიანებს 130 ქვეყანას და შესაბამისად ამ ქვეყნის 114 სამინისტროს პირველ პირებს. ნიდერლანდებში მსოფლიო წყლის მეორე ფორუმზე ოფიციალურად განაცხადეს, რომ წყლის უსაფრთხოება წარმოადგენს XXI საუკუნეში მდგრად-

დი განვითარების ძირითად პრობლემას. ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება დამყარებულია მტკნარი წყლის არსებობა-სა და მის ხარისხზე. მოსახლეობისა და მრეწველობის ზრდასთან ერთად, მრავალი ქვეყანა განიცდის წყლის მკაცრ დეფიციტს, რაც ხელს უშლის მათ შემდგომ განვითარებას.

– კრიზისმა დაანახა მსოფლიოს, რომ მაღალრეიტინგული ორგანიზაციების-გაეროს წყლის პრობლემათა შემსწავლელი კომისიის, ადამიანის ფონდის, წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვისა და სხვა მრავალი დარგობრივი უწყებების მიერ მიღებული უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიუხედავად რიგ ქვეყნებში, კერძოდ აზიაში, ყოველი მესამე ადამიანისთვის ხელმისაწვდომია უსაფრთხო მტკნარი წყალი, მხოლოდ ამ რეგიონში უხარისხო წყლისგან შექმნილი ინფექციური დაავადებებისგან ყოველწლიურად იღუპება 500 000 ბავშვი.

მიწისქვეშა წყლების გამოფიტვამ და უმძიმესმა ეკოლოგიურმა პრობლემებმა, გამოიწვია ერთ სულ მოსახლეზე წყლით უზრუნველყოფის შემცირება 10000 მ<sup>3</sup>-დან 50-იან წლებში, 4200 მ<sup>3</sup>-მდე 90-იან წლებში. დღეისათვის ეს ციფრი 3000 მ<sup>3</sup>-მდეა შემცირებული. დასავლეთი აზია განიცდის განსაკუთრებულ ზეწოლას მიწისქვეშა წყლის რესურსებზე, სადაც გამოყენება ბევრად აღემატება მარაგის შევსებას.

– დღის წესრიგში დადგა ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების აუცილებლობა. მსოფლიო წყლის კომისიამ მოახსენა მინისტრების კონფერენციას ჰააგაში, რომ, თუმცა გასულ წელს 70 მლრდ ევრო დაიხარჯა წყლის მართვაზე, საჭიროა დამატებით 170 მლრდ ევრო, რათა გადაწყდეს წყლის ხელმისაწვდომობისა და სანიტარიის პრობლემები მილიარდობით ადამიანისთვის და შევინარჩუნოთ ბუნებრივი გარემო. ამ სხვაობის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია მოვიზიდოთ საზოგადოება და კერძო სექტორი. ღარიბებისათვის მომსახურების უზრუნველსაყოფად. ჩვენ უნდა ვიპოვოთ ახალი ეკონომიკური მეთოდები, ფინანსური მექანიზმები, შესაძლოა კაპიტალის გლობალური ბაზრების გამოყენება.

– დაიწყო დისკუსია ნიუ-იორკის და მიჩიგანის შტატის ტექნოლოგიური უნივერსიტეტების მეცნიერ-სპეციალისტთა მიერ ჩატარებული კვლევითი სამუშაოების შედეგების თაობაზე, რომლებიც ასკვნიან, რომ დედამიწის მოსახლეობის დაახლოებით 80% ანუ თითქმის 5 მილიარდზე მეტი ადამიანი უახლოეს მომავალში სასმელი წყლის გარეშე დარჩება.

კვლევის ავტორთა ინფორმაციით, სწორედ მათ ჩაატარეს მსოფლიოს წყლით მომარაგების საკითხის პირველი გლობალური ანალიზი და სამწუხაროდ, კატასტროფულად მზარდი, საგანგაშო საფრთხეების გარდა, იმედისმომცემი ვერაფერი აღმოაჩინეს.

სასმელად ვარგისი წყლის რეზერვუარების მდგომარეობა ამერიკელმა მეცნიერებმა 23 სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით შეისწავლეს, მათ შორის დამბების და ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობების შედეგების, სოფლის მეურნეობისგან გამოწვეული დატვირთვისა და გარემოს დაბინძურების კუთხით.

სასმელი წყლის მარაგის ნაკლებობა უკვე 2015 წლიდან გახდა საგრძნობი, შემდგომში კი ეს პროცესი შეუქცევად ხასიათს მიიღებს, მიიჩნევენ ამერიკელი მეცნიერები.

აშშ-ს დაზვერვის ეროვნული საბჭოს მიერ მომზადებული მოხსენებების “გლობალური ტენდენციები და ცვალებადი სამყარო”-თანახმად, პერსპექტივაში მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის მკარნახებელი და მთავარი მოთამაშეები იქნებიან - ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი და ჩინეთი. გარდა ამისა, გაგრძელდება კაპიტალის გადაადინება დასავლეთიდან აღმოსავლეთში, მსოფლიო ეკონომიკის ზრდა მიგვიყვანს რესურსების კატასტროფულ უკმარისობამდე, რაც ზრდის საერთაშორისო კონფლიქტების წარმოშობის ალბათობას. აშშ-ს დაზვერვის ეროვნული სამსახური საჯაროდ აცხადებს, რომ არც თუ შორეულ პერსპექტივაში ჩინეთი გახდება მსოფლიო ეკონომიკური და სამხედრო ძლიერების ლიდერი და აშშ დაკარგავს თავის დომინირებად პოზიციას მსოფლიო არენაზე.

მსოფლიოს ზოგიერთი წარმატებული ქვეყანა ვერ გაუძღვება სასმელი წყლის კრიზისს და მეტად რთული, პრობლემატური საკითხების მოსაგვარებლად საფრთხის შემცველი ნაბიჯების გადადგმა მოუწევს. დღეისათვის მსოფლიოში 500-მდე კონფლიქტი მოხდა წყლის რესურსების გამო, აქედან 150 კონფლიქტში გამოყენებულ იქნა ცეცხლსასროლი იარაღი. მეცნიერები აღნიშნავენ რომ შესაძლებელია მე-3 მსოფლიო ომი მტკნარი წყლის გამო დაიწყო.

ყოველივე ზემოაღნიშნულის ფონზე, საქართველოს მთავრობის დღის წესრიგში დადგა ქართველი მეცნიერების მიერ შემუშავებული, წყლის რესურსების რაციონალური გამოყენებით “ახალი ფინანსური არქიტექტურით” მშენებლობის აუცილებლობა, აგროსაკრედიტო-სავალუტო სისტემის ფორმირება და დღემდე მოქმედი სისტემის ტრანსფორმაციის აუცილებლობა.

საქართველოში დღემდე მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა გამოავლინა, რომ მეცნიერული კვლევის შედეგებს მთავრობები არ იყენებენ სათანადო დონეზე, ხოლო დასკვნებსა და წინადადებებს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. ამის მკაფიო მაგალითია მეცნიერთა ჯგუფის მიერ შემუშავებული “ქვეყნის სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის მიღწევის ძირითადი სტრატეგიული მიმართულება”, რომელიც ემყარება საქართველოს არეალში არსებული ბუნებრივი რესურსების სახელმწიფო მა-



რაგების მაკროეკონომიკურ კვლევებსა და შრომებს, რითაც გამოვლენილი და დადსტურებულია მსოფლიო სამომხმარებლო ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი უპირატესობის მქონე მნიშვნელოვანი რესურსული პოტენციალი, მიწისქვეშა სასმელი წყლების სახელმწიფო მარაგების ეკონომიკური მნიშვნელობა და მისი გამოყენების ინოვაციური გზები ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

ამ მიზნით, მეცნიერულად დასაბუთებული სახელმწიფო ეკონომიკური პროგრამების შეჯერების საფუძველზე შედგენილი იქნა ბიზნეს-გეგმა “ქვეყნის აღმშენებლობის ახალი ეკონომიკური კონსტიტუცია”, რომელიც ასაბუთებს თუ როგორ გავზარდოთ ქვეყნის ეკონომიკა დროის უმოკლეს პერიოდში, როგორ გავზარდოთ ბიუჯეტი და როგორ შევქმნათ მრავალრიცხოვანი სამუშაო ადგილები, სახელმწიფო სამეურნეო კომერციული საქმიანობის გამჭვირვალობის ფონზე.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და დარგობრივი მიმართულების ექსპერტთა მიერ დასაბუთებული დასკვნების საფუძველზე, უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭა სასმელი წყლის სარესურსო ფონდის კაპტალიზაციის ტექნოლოგიებისა და მსოფლიო ფინანსურ რესურსებში ჩართვის მექანიზმების გამოყენების გზით ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდის რეალურ შესაძლებლობას, რაშიც სახელმწიფოს როლი გამოხატულია მარეგულირებელი ბერკეტების გამოყენებით ეკონომიკის ფუნქციონერობის ხელშემწყობი გარემოს შექმნაში. ხოლო, მიწისქვეშა სასმელი წყლის სახელმწიფო მარაგების, როგორც ადამიანისათვის აუცილებელი სასიცოცხლო დანიშნულების პროდუქტის საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე მატერიალიზება ფასიანი ქაღალდების: აქციების, ობლიგაციებისა და თამასუქების სახით, ინდუსტრიული წარმოების შედეგად მიღებული ქვეყანაში მთლიანი შიდა პროდუქციის გაზრდილ მოცულობაზე მიზნით - ქმნის მისაღებ ფინანსურ ინსტრუმენტს, მისი ზრდის პერსპექტივებით.

აღნიშნული მოდელი იძლევა მსოფლიო მნიშვნელობის უმაღლესი კლასის საბანკო გარანტიების მაფორმირებელ რეალურ მატერიალურ ფასეულობებს, შედავათიანი ფულადი რესურსების მოსახიდად. სტრატეგიული მნიშვნელობის დარგობრივ-ეკონომიკური პროექტების დასაფინანსებლად, ქვეყნის და ხალხის საკეთილდღეოდ.

### **დასკვნა**

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების აუცილებლობა განპირობებულია იმითაც, რომ მასში სახელმწიფოებრივი მიდგომებითაა დასაბუთებული თუ როგორ დავძლიოთ სიღარიბე და შევქმნათ საშუალო ფენა, როგორ გავზარდოთ სახელმწიფო ბიუჯეტი და მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა, რითაც საფუძველი ჩაეყრება ერთიანი ძლიერი, დემოკ-

რატიული სახელმწიფოს რეალურ მშენებლობას, მშვიდობიანი რეგიონალური ეკონომიკური სივრცით.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ დღეს, როდესაც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის მთავრობები შეშფოთებულია სასმელი წყლის დეფიციტით, მოსალოდნელი კატაკლიზების გამო და გამუდმებით ეძებენ კრიზისიდან გამოსვლის გზებსა და ღონისძიებებს, საქართველოს მთავრობამ არ უნდა შეინარჩუნოს ოლიმპიური სიმშვიდე და სასწრაფოდ უნდა დაიწყოს სახელმწიფოსათვის მეტად მნიშვნელოვანი პროგრამის განხორციელება. არადა, ფაქტობრივად საქართველოში ადგილი აქვს როგორც ფინანსურ კრიზისს, ასევე ეკონომიკურ რეცესიას.

#### **გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:**

**გიორგაძე, 2012:** – გიორგაძე პ., და სხვები, საქართველოს სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფცია-პროგრამა „მითი, ქცეული რეალობად“, 2004-2012 წწ., თბილისი.

**სერტიფიკატი №1377:** – ზ. ციხელაშვილი, ნ. ჩხეიძე, პ. გიორგაძე, „წყალი – ეროვნული სიმდიდრე“, „მითი, ქცეული რეალობად.“ გაც. „საქპატენტი“, 2006 წ.

**Paata Giorgadze**

*(Tbilisi, Georgia)*

#### **Georgian drinking water resources and the use of the country's rapid development of competitive Econometrics**

##### **Summary**

It should be noted that today, when almost all the world's governments are concerned about the shortage of drinking water, due to the impending cataclysm, and constantly looking for ways out of the crisis and the measures that the government does not have to keep calm and to immediately begin the State of the Olympic program. They are in fact in Georgia have both the financial crisis and economic recession.

## ბათუმის ისტორიულ-დოკუმენტური, ლიტერატურული რესურსები და ბურიშტული მარშრუტები

სულიერებისა და კულტურის ერთგვარ ნაზავად შეიძლება წარმოვიდგინოთ ერთ-ერთი უძველესი ქალაქი ბათუმი. ისტორიული ფაქტები ასახავენ მის განსაკუთრებულობას საქართველოს ისტორიაში. მრავალი წლის მანძილზე აქ ჩქეფდა სასულიერო და საერო ცხოვრება. თავისი სიძველით, კოლხეთის უპირველესი, საქართველოს საზღვაო ჭიშკარი ბათუმი მრავალ მნახველს აქვს აღწერილი. თუ გადავფურცლავთ ბათუმის ორიათას წელზე მეტი დროის ისტორიას, აღმოჩნდება, რომ იგი მდებარეობს ევრაზიის ორი უდიდესი კულტურის გზაგასაყარზე.

თავისი უნიკალური ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობით ბათუმის ისტორიული მნიშვნელობის ძეგლები წარმოადგენს ტურიზმის განვითარების ამოუწურავ პოტენციალს და სტრატეგიულ პოლიგონს. ასეთი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა საუკეთესო საშუალებაა ბათუმში და მის მიმდებარედ ტურისტული მარშრუტების მარკირება-დაგეგმარებისთვის [ *, 1936: 267-272*].

ქ. ბათუმის გასაცნობად ვიზიტორებისთვის უნდა შეიქმნას მხატვრული, კინო, ლიტერატურული და სხვა შემოქმედებითი მარშრუტები, რომლებიც გამოყენებული იქნება ქალაქის მიმოხილვითი ექსკურსიის, ქალაქის ტურის ფარგლებში. ზოგადად სასურველია ექსკურსიები დაიწყოს ბათუმის საზღვაო ნავსადგურიდან, რომელიც წარმოჩნდება, როგორც საქართველოს საზღვაო ჭიშკარი, ანუ ჩვენი ქვეყნის კარიბჭე. გიდი მზად უნდა იყოს, როგორც ქვეითი ტურისტების, ასევე სატრანსპორტო ტურის ჩასატარებლად. სატრანსპორტო ტური, როგორც წესი, მოიცავს დიდ არეალს [ *უზუნაძე, 2001: 98-139*]. ორივე ტურის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 3-4 საათს. განათლების, ხელოვნების, კულტურის, არქიტექტურის, თეატრის, მუსიკის, მხატვრობის განხილვის დროს უნდა ვახსენოთ ის მოღვაწეები და ცნობილი ადგილები, რომლებიც ბათუმთან არის დაკავშირებული, გადაღებული ქართული და უცხოური ფილმები, მათი მონაწილე მსახიობები და ა. შ. [ *ჯღენტი, 2014*].

ისტორიულად ბათუმის თანამედროვე სახით განვითარება იწყება XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან, როცა ბათუმი გამოცხადდა *პორტო-ფრანკოდ*. აქ დაიწყო უცხოური კაპიტალის შემოდინება. სწორედ ამ პერიოდში დღევანდელი ძველი ბათუმის ტერიტორიაზე გაიხსნა

ინგლისელების, ფრანგების, შვედების, გერმანელების, რუსეთის და სხვა ქვეყნების საკონსულოები [ .., 1902: 57].

გვერდს ვერ ავუვლით ისეთ ძირითად მარშრუტის დაწვევას, როგორცაა **თამარის დასახლება**. აქ უკვე გვაქვს ბათუმის შემოსასვლელის ტრიუმფალური **თამარის ციხე**, რომელიც XII საუკუნის ოქროს ხანისაა და დიდებულ **თამარ მეფის** სახელთანაა დაკავშირებული. საინტერესოა ის ლეგენდაც, რომლის მოყოლაც დიდ ინტერესს იწვევს ტურისტებში. დღეისათვის ეს უნიკალური ძეგლი ფაქტობრივად ტურისტებისთვის მიუწვდომელია, არ არის შეტანილი ძირითად მარშრუტებში, არის მიუდგომელი და მოსაწესრიგებელია ინფტრასტრუქტურა. აღნიშნული ძეგლი ოქროს ბრჭყვიალა ვარსკვლავია ბათუმის ტურისტულ მარშრუტებში და მისი გამოუყენებლობა დანაშაულის ტოლფასად მიგვაჩნია. აქვეა **ძმები ნობელების** სახლ-მუზეუმი, რომლებმაც გაამდიდრეს ჩვენი ქალაქის ისტორია და შთამომავლობამ განსაკუთრებული პატივი მიაგო მათ ხსოვნას [**უზუნაძე და სხვ., 2013: 15-31**]. მაგრამ რა დააშავეს ლიტერატურის ისეთმა ცნობილმა მოღვაწეებმა, როგორებიცაა: **მაქსიმ გორკი** და **ანტონ ჩეხოვი**. ვფიქრობთ აუცილებელი იყო დიმიტრი თავდადებულისა და რუსთაველის ქუჩების კვეთაში გახსნილიყო **ჩეხოვის სახლ-მუზეუმი**, რომელიც თავისი მნიშვნელობით მარშრუტებში იქნებოდა უდიდესი ლიტერატურული ტურისტული პოტენციალი. ჩვენი მოსაზრებით, ვერავითარი არქიტექტურული კოპწიაობა და სანახაობითი დაწესებულება ვერ შეცვლის აქ მუზეუმს. ეს კიდევ ერთხელ წარმოაჩენდა და უტყუარ ღია საბუთად გამოდგებოდა ქართული სტუმართმოყვარეობისა და ტოლერანტობის ისტორიაში [**სურმანიძე, 2001: 79-80**].

გადავავლოთ თვალი ბათუმის ისტორიას ტურისტის მოთხოვნის თვალსაზრისით. ზოგადად ტურისტი ჩამოდის ზღვაზე დასვენებისა და გარუჯვისთვის, თუმცა ყველაფერს აქვს თავისი ზღვარი და მზის სხივებისგან კარგად შეფერადებული და ზოგჯერ წვიმისგან თავსმობეზრებულ ტურისტს სჭირდება სწორედ ისტორიულ წყაროებზე დაფუძნებული ბათუმის ისტორიის გაცნობა.

ბათუმი მოხსენიებულია ძვ.წ. IV საუკუნის ბერძენი ფილოსოფოსის **არისტოტელეს** წერილებში [**ყაუხჩიშვილი, 1976: 68**]. ბათუმი, როგორც ქალაქი უკვე ძვ. წ.-ად. 400 წელს რომ იყო ცნობილი, თავის დროზე **ჟან მურიეც** მიუთითებდა. ბათუმს იხსენიებს **პლინიუსიც (23-79 წ.წ.) „ბატა“-„ბატიუმის“** ფორმით. რომაულ საგზაო რუკაზე, ე.წ. **„ტაბულა პეგტინგერია“-ზე (IV ს.),** დაახლოებით თანამედროვე ბათუმის ადგილას, დატანილია გეოგრაფიული პუნქტი **„პორტუს ალტუს.“**

სახელწოდება **„ბათუმი“-ს** წარმომავლობის შესახებ არსებობს რამდენიმე შეხედულება. ერთნი მიიჩვენ, რომ ტერმინში **„ბათ“** ძირი უკავშირდება ფრინველის სახელს – **ბატი**, მეორენი – სახელს **ბათუ-**

რა, მესამენი – *ჭაობიან ადგილს*. არის განსხვავებული შეხედულება: „ბა“ ისეთივე პრეფიქსია, როგორც ბაღი, ბავშვი და ა.შ., ხოლო „თომი“ უნდა უკავშირდებოდეს მეგრულ სიტყვას *ტომბა, ტობა*. ან „ბათ“ ძირი შეიძლება იყოს სვანური წარმომავლობის რაც ქვას ნიშნავს. ასევე არის შეხედულება, რომ *ბათ/ბატა* ადამიანის საკუთარი სახელია, მეგრულად ნიშნავს „ნაზი“. ამ გადმოცემის მიხედვით ქალაქი დაუარსებია ვინმე *ბათუ/ბატას*.

ბათუმის შესახებ ახალი ცნობები ეკუთვნის ვენეციელ დესპანებს *იოსიფ ბარბაროსა* და *ამბროჯიო კონტარინის*, რომლებმაც ბათუმი 1470-1475 წლებში მოინახულეს. დაახლოებით ამავე პერიოდში (1420-1426 წწ.) ბათუმში ყოფილა გერმანელი *იოჰან შილტბერგი*. იგი მოგვითხრობს, რომ ბათუმის მოსახლეობა ქრისტიანობის მიმდევარია. აქედან ხომალდები მიცურავენ იტალიისა და ბიზანტიის მიმართულებით [*აჭარა. ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები, 2016*].

ტურისტული მარშრუტების შედგენის დროს საინტერესოა და მეტად მიმზიდველი ქალაქის სტუმრებისთვის ბათუმი კინოში. ამასთან დაკავშირებით უნდა მონიშნოს და მარკირებული გახდეს ისეთი ადგილები, სადაც ცნობილი მხატვრული და დოკუმენტური ფილმების მრავალი ეპიზოდია გადაღებული, ესენია: „კაპიტან გრანტის შვილები,“ „თხუთმეტი წლის კაპიტანი,“ „რობიზონ კრუზო,“ „მიკლუხო მაკლავი,“ „წყალქვეშა ტყვეობაში,“ „მაღახოვის ყორღანი,“ „მანანა,“ „არაჩვეულებრივი გამოფენა,“ „განთავისუფლება,“ „12 სკამი,“ „მოცურავე,“ „მონანიება,“ „ისინი“ და ა. შ.

აღსანიშნავია ის, რომ კინო ინტერესდება არა მარტო ბათუმით, მისი ნავსადგურით, „ინტურისტის“ შენობით, ძველი ქუჩებით, არამედ ბათუმის წვიმით. წვიმამ შეიძინა გამომსახველობითი ფუნქცია – ოჯახური პრობლემებით დათრგუნული სასოწარკვეთილი ქალი წვიმიანი ბათუმის ქუჩებში მიაბიჯებს, წვიმა სახეს, ტანისამოსს უსველებს, მაგრამ ქალი ამას ვერ გრძნობს, იმდენად მოუცავს იგი პირად განცდებს (სალომე ყანჩელის გმირი ფილმში „ორი ოჯახი“).

გვერდს ვერ აგუვლით ეგნატე ნინოშვილის ქ. №23-ს, სახლს, რომელიც ეკუთვნოდა ბათუმის სათათბიროს დეპუტატს (1898-1902 წწ.) თავად მიხეილ ნაკაშიძეს. ობიექტი გადაღებულია ფილმებში „მონანიება,“ „ისინი.“ ყოველივე ზემოთ აღნიშნულის საილუსტრაციოდ და პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ის დიდი საინფორმაციო ბაზა, რომელიც მოცემულია ოლიგო ქდენტის წიგნში „ბათუმი კინოში,“ რომელიც უკვე მივუთითეთ სქოლიოში.

როგორც აღვნიშნეთ, ძველი ბათუმის ცენტრად ითვლებოდა დღევანდელი თამარის დასახლებაში *თამარის ციხედ* წოდებული გორა, შემადგენელი ადგილი. ლეგენდის თანახმად, როცა აქ თამარ მეფე შეჩერებულა დასასვენებლად, მის ამაღლაში მყოფმა სეფექალებმა

ფეხსაცმელს ტალახი ჩამოაცადეს. ისინი იმდენად მრავალი იყვნენ, რომ წარმოიშვა ბორცვი, სადაც მეფემ ააშენა ციხე-სიმაგრე. ლეგენდა მიმზიდველია, თუმცა აქ მოსახლეობა ცხოვრობდა ბევრად ადრე – ძვ. წ.-ად. VII-VI საუკუნეებში *[სურმანიძე, 2001]*.

XVII საუკუნის ბოლოს ბათუმი ოსმალებმა დაიპყრეს. ამ დროიდან არ იგრძნობა ქალაქის განაშენიანება, საგაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება, ქუჩების მოწყობა. 1878 წელს ბათუმი დაუბრუნდა დედა-სამშობლოს და იგი განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა. 1881-1884 წლებში ბათუმში მოქმედებდა თავისუფალი ეკონომიკური ზონა. იგი *პორტო-ფრანკოდ* გამოცხადდა. 1883 წელს ბათუმში შემოვიდა პირველი ორთქლმავალი.

მწვანე ქალაქის განაშენიანებას ჯერ **რესლერი**, შემდეგ კი **რეიერი** და **დალფონსი** შეუდგნენ, დაიწვეს ზღვისპირა პარკის, ბულვარისა და ალექსანდრეს ბაღის განაშენიანებაც *[ 1906: 637-346]*.

მარშრუტების დაგეგმარების დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისტორიული ეპიზოდების კვლევა-ძიებასა და ვიზიტორებისთვის მათ მიწოდებას. აი, ერთი თვალსაჩინო მაგალითი: დღევანდელი **პიაცას** მოპირდაპირედ, ფარნავაზ მეფის ქუჩაზე ამაყად აღმართულია რეკონსტრუირებული **წმინდა ნიკოლოზის ეკლესია**, რომელიც მნახველს აოცებს თავისი სიდიადით. ეკლესია აშენებულია 1867-1871 წლებში, როცა აქ ოსმალები ბატონობდნენ და მართლმადიდებლური ეკლესიის აშენება წარმოუდგენელი იყო.

კულტურის ძეგლებზე საუბრის დროს ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული რელიგიურ ტურიზმზე, რომელთა შორის საყურადღებოა მეჩეთები, რომლებიც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თურქი და არა მარტო თურქი ეროვნების ტურისტებში. ესენია XIX საუკუნის მეორე ნახევარში აგებული **„ჯამე არაბი“** ანუ **„ორთაჯამე“**, რომელიც 1866 წელს აშენდა **ასლან-ბეგ ხმშიაშვილის დედის** შენაწირი თანხით. **„აზიზიეს ჯამე“** რომელიც სულთან მაჰმუდ II-ს ქართველმა მეუღლემ ააგო *[სურმანიძე, 2011: 44-49]*.

კათოლიკური ეკლესია, რომელიც ააგეს **ძმებმა ზუბალაშვილებმა**. ამ სალოცავის აშენებასაც აქვს თავისი მიმზიდველი ისტორია. ძმები ბაქოში ნავთობის მადანს ეძებდნენ. დედამ ღმერთს შესთხოვა, ოღონდაც იქ მართლაც აღმოჩნდეს ეს პროდუქტი და ჩემი ხარჯით ეკლესიას ავაშენებო. უსმინა უფალმა, ნავთობიც გამოჩნდა და ეკლესიაც აშენდა, რომელიც 1903 წელს აკურთხა პაპმა **ბარონმა როპპიმ**.

სომხურ-გრიგორიანული ეკლესია **„სურბ-პრკიჩი“** აშენდა 1890 წელს, ავსტრიელი არქიტექტორის **მარფელდის** პროექტით. შემოწირულობა გაიღო მეწარმე **მანთაშევმა**.

ქალაქს ამშვენებს ებრაელთა სალოცავი „სინაგოგა“. იგი აიგო 1904 წელს, არქიტექტორ **ლევ ვოლკოვიჩის** დაპროექტებით.

ქალაქს ამდიდრებს **ხარიტონ ახვლედიანის** სახელობის, აგრეთვე, არქეოლოგიის და ხელოვნების მუზეუმები. ამ უკანასკნელის სკვერში ე. წ. „ხოხოს ბაღში“ წლების მანძილზე იკრიბებოდა ბათუმის ინტელიგენცია, სტუმრები. აქ ერთდროულად აღმართული იყო ტყუპი ქაფურის ხეები, რომლებიც საოცარ მიკროკლიმატს ქმნიდნენ. სამწუხაროდ, ჩინოვნიკთა ახირებით დღეს ხელოვნების მუზეუმსაც და მის უნიკალურ „ხოხოს ბაღს“ პირგანდელი სახე დაკარგული აქვთ. აქ ჩაიხუნძლა და მძიმე ტვირთად დააწვა სივრცეს არქიტექტურული დანამატები, გაურკვეველი კაფეები და საგამოფენო სივრცეები.

არ უნდა დავივიწყოთ დრამატული თეატრი, რომელიც ილია ჭავჭავაძის სახელობისაა და 1951 წელს აშენდა არქიტექტორ **ტეპლიცკის** პროექტით, საზაფხულო თეატრი, რომელიც დააპროექტეს არქიტექტორებმა **კახა ჯავახიშვილმა** და **ბოგდან კირაკოსიანმა**. აშენდა 1949 წელს. 1997 წელს დაიწვა, მაგრამ იმავე გარეგნობის ნაგებობა კვლავ აშენდა. დელფინარიუმი, აკვარიუმი, ქ. ბათუმის მერიის შენობა, 1-ლი საშუალო სკოლა, საქართველოს საზღვაო ადმინისტრაციის შენობა ნინოშვილსა და 26 მაისის ქუჩების კვეთაში. შენობა ორსართულიანია, რომელიც აშენდა 1884 წელს რუსი მილიონერი ბანკირის **მიტროფანე სელიტრენიკოვის** ქვრივის ხელშეწყობით 1884 წელს. ამ შენობაში განთავსებული იყო აშშ-სა და გერმანიის საკონსულოები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

1888 წელს 25 აგვისტოს ბათუმში ჩამოვიდა იმპერატორი **ალექსანდრე III** ოჯახით. მან და სამეფო ოჯახის წევრებმა და თანმხლებმა პირებმა დღევანდელ 26 მაისის პარკში დარგეს ხეები და ბაღს ეწოდა **ალექსანდრეს** ბაღი [ **, 1906**].

ქალაქის შემოსასვლელშია ბათუმის საზღვაო ნავსადგური. მისი ისტორია XIX საუკუნის 80-ანი წლებიდან იწყება. ნავსადგურის წინ დგას სულიწმინდის მოფენის კათოლიკური ეკლესია.

ქალაქის ცენტრალურ ნაწილში დაკრძალულნი არიან 1918 წლის 20-23 მარტს ბათუმის ბრძოლებში დაღუპული ქართველები, რომლებიც იბრძოდნენ **გენერალ მაზნიაშვილის** ხელმძღვანელობით და ბათუმი გაათავისუფლეს ოკუპანტებისგან.

ბათუმის ტურისტული მარშრუტების განხილვის დროს ვიზიტორებმა უნდა მიიღონ სათანადო ინფორმაციები დელფინარიუმის, აკვარიუმის, ქ. ბათუმის მერიის შენობის, 1-ლი საშუალო სკოლის, ლიტერატურის კორიფეების: **ილია ჭავჭავაძის**, **აკაკი წერეთლის**, **დავით კლდიაშვილის** და სხვათა შესახებ. მარშრუტებში აღწერილი უნდა იქნას ის ადგილებიც, სადაც მოღვაწეობდნენ ცნობილი პოლიტიკური

და საზოგადო მოღვაწეები: **ი. სტალინი, გ. ყაზბეგი, ი. მესხი, გ. ვოლსკი, ლ. ასათიანი, ი. ანდრონიკაშვილი** და ა. შ.

დასკენის სახით შეიძლება ითქვას, რომ ბათუმი სხვადასხვა მიმართულებებით უნდა წარმოჩნდეს შესაბამის ტურისტულ მარშრუტებში და სრულყოფილი სახით გაეცნოს ქალაქის ვიზიტორებსა და სტუმრებს. აღნიშნული თემა მრავალმხრივია და მასზე მუშაობის გაგრძელება კიდევ უფრო გაზრდის ინტერესს ქალაქის მიმართ.

### **გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:**

**აჭარა. ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები, 2016:** – აჭარა. ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები, ბათუმი.

**სურმანიძე, 2001:** – სურმანიძე რ., რეგიონული მედიცინის განვითარება საქართველოში, I, ბათუმი.

**სურმანიძე, 2011:** – სურმანიძე რ., აზიზიეს მეჩეთის აგებისა და ბათუმის ცენტრალური მოედნის სახელდების დათარიღებისთვის, – კრ.: „არხეონი“, ბათუმი.

**უზუნაძე, 2001:** – უზუნაძე რ., ნაოსნობა ბათუმის ოლქში, ბათუმი.

**უზუნაძე და სხვ., 2013:** – უზუნაძე რ., სურმანიძე რ., ზოსიძე ნ., ბათუმი, თბილისი.

**ჟღენტი, 2014:** – ჟღენტი ო., ბათუმი კინოში, თბილისი.

**ყაუხჩიშვილი, 1976:** – ყაუხჩიშვილი თ., საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბილისი.

, 1906: –

..., 1902: –

, 1936: –

**Temur Zoidze**

*(Batumi, Georgia)*

### **Batumi Historical Documentary, Literary Resources and Tourist Routes**

#### **Summary**

In the paper the focus is on the territory of the city of Batumi as a tourism destination, port construction and expansion, as movie recording training ground, meetings to film script authors, composers, actors, artists.

Historical sites are separated Tamari Castle, the Nobel Museum, a. Chekhov House Museum, the city boulevard, adolescent Youth Park, the city's churches: Orthodox, Catholic, Armenian-Gregorian, synagogue, mosque. The focus is on the museums, parks, historical buildings, and a fallen heroes' graves, which should be held according to the new tourist routes.



ნოდარ ჩხეიძე (ბათუმი, საქართველო)  
გიორგი ბერძენაშვილი (თბილისი, საქართველო)  
ზაურ ციხელაშვილი (თბილისი, საქართველო)

## ბათუმის ზღვის სანაპირო ზოლის ნაპირღამავი მცურავი მოწყობილობის გამოყენების თეორიული საფუძვლები და პრაქტიკული რეალიზაციის გზები

### 1. შესავალი

დღევანდელი მდგომარეობით, ზღვის შტორმული ტალღების არასასურველ ზემოქმედებას ექვემდებარება მსოფლიოს მრავალი ზღვისპირა ქალაქის სანაპირო ზოლი, განსაკუთრებით ის ტერიტორიები, სადაც ინტენსიურად აღინიშნება სანაპირო-რეკრეაციული ზოლის (და პლაჟის) შეუქცევადი წარეცხვები, დატბორვები და სხვა. ასევე მეტად მნიშვნელოვანია ღია პორტების ვრცელი აკვატორიის შემოზღუდვა და ეკოლოგიური უსაფრთხოება-დაცვის უზრუნველყოფა ისეთი პორტებისათვის, რომლებშიც შედიან და მანევრირებას აწარმოებენ მაღალი ტვირთამწეობის სატვირთო და სამგზავრო გემები. ამ მოტივით დასმული პრობლემის სამეცნიერო კვლევას – ზღვის სანაპირო ზოლის ნაპირღამავი მცურავი ტალღაშემარბილებელი ნაგებობა-მოწყობილობების გამოყენების თეორიული საფუძვლებისა და პრაქტიკული რეალიზაციის გზების დადგენის მიზნით მნიშვნელოვანი ღირებულება ენიჭება.

აღნიშნულ კონტექსტში, ჩვენ მიერ შემუშავებული, ინოვაციური ტექნოლოგიის გამოყენებას საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლის პირობებში მნიშვნელოვანი ღირებულება ენიჭება. აქ ნიშანდობლივია ახალი ტიპის მცურავი ტალღაშემარბილებელი ჰიდროტექნიკური ნაგებობების შემუშავება [8] და მის საფუძველზე აგებული საპილოტე პროექტების დანერგვის აუცილებლობა ბათუმის (ბათუმის ბუღვარი, ახალი ბუღვარი, ადლია-აეროპორტის ტერიტორია და ა.შ.), ქობულეთი-ურეკის, ფოთის და სხვა ქალაქების მიმდებარე სანაპირო-რეკრეაციული ზოლის ტერიტორიებზე, მათი ეკოლოგიური დაცვის უზრუნველყოფის მიზნით. აღსანიშნავია, რომ ნეგატიური მდგომარეობაა ფოთის პორტში, სადაც შტორმული ტალღების ზემოქმედებით ფუძის გრუნტის გამორეცხვებისა და დეფორმაციების შედეგად ინგრევა ფოთის პორტის დამცავი კედელი, ზღუდარი (მოლი); მდ. ჭოროხზე ჰიდროელექტრო სადგურების კასკადის აგების შედეგად გამოწვეულმა მყარი ნატანის ნულამდე შემცირებამ გამოიწვია აჭარის შავი ზღვის სანაპიროს კატასტროფული წარეცხვები. წარეცხვები


ემუქრება აგრეთვე “ბაქო-სუფსის” ნავთობსადენის ტერმინალის მიმდებარე სანაპიროსაც. შავი ზღვის სანაპირო ზოლის არსებული მდგომარეობა მოითხოვს ამ პრობლემის გადაუდებელ შესწავლასა და გადაწყვეტას, რადგან ის დაკავშირებულია მნიშვნელოვან ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ზარალთან [7].

## 2. ძირითადი ნაწილი

შემოთავაზებული კვლევის მიზანია, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო ბაზარზე მოთხოვნადი მაღალტექნოლოგიური ინოვაციური კომერციული ღირებულების პროდუქტის შექმნა, ზღვების სანაპირო-რეკრეაციული ზოლებისათვის მოცურავე ნაპირდამცავი, ეფექტური ახალი ტიპის ტალღაშემარბილებელი ჰიდროტექნიკური ნაგებობების კომპლექსის სახით.

ამ მიზნით საჭიროა ახალი ტიპის ზღვის სანაპირო ზოლის ნაპირდამცავი მცურავი ტალღაშემარბილებელი ნაგებობა-მოწყობილობების შემუშავება ჰიდროდინამიკური მოდელირების საფუძველზე და ამ მოწყობილობის ტალღაშემარბილებელი ენერგეტიკული ეფექტურობის დასაბუთება კომპიუტერული ექსპერიმენტირებით, რისთვისაც ჩვენს მიერ გამოყენებულ იქნა ჰიდროდინამიკური ანალიზის თეორიული საფუძვლები. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე შესაბამისად დასაბუთდა ახალი ტიპის ზღვის სანაპირო ზოლის ნაპირდამცავი მცურავი ტალღაშემარბილებელი ნაგებობა-მოწყობილობების შერჩევის შესაძლებლობა, კერძოდ, კომპიუტერული ექსპერიმენტირებისათვის ახალი ტიპის მოწყობილობა-ნაგებობის ფორმის შერჩევის მიზნით ჩვენს მიერ დაშვებულ იქნა ჰიპოტეზა, რომელიც ემყარება გემის ცხვირის კონფიგურაციის მოყვანილობის ანალოგიის გამოყენებას და მისი საშუალებით მასზე მოსული ტალღის სიჩქარის ენერგიის გახლეჩა-გაბნევის ცალკეულ ვექტორულ მდგენელებად. ამგვარად, ნაპირდამცავი მოწყობილობის სახედ აღებულ იქნა ერთიან სადგამის ფუძეზე ჭადრაკულად განაწილებული და მყარად ჩამაგრებული სამკუთხა ფორმის პრიზმები. აღსანიშნავია, რომ თავად პრიზმების სამაგრი ფუძეც შერჩეულ იქნა წამახვილებული სამკუთხა ფორმით, რათა მან ეფექტურად გახლიჩოს და გააბნოს მასზე ზემოქმედი და მიმწვდარი ტალღა (იგივე გემის ცხვირის კონფიგურაციის მოყვანილობის ანალოგიის შესაბამისად, იხ. მოდელი). ამასთან სამკუთხა პრიზმები ერთნაირ პროექციაში ჭადრაკულად თავსდება სამაგრი ფუძის როგორც ზედა ასევე ქვედა ნაწილში და ამგვარად ქმნიან (სამაგრთან ერთად) მასზე ზემოქმედი ტალღის ჭრის ერთიან მაღალ ეფექტს.

ახალი ტიპის მოცურავე ნაპირდამცავი, ეფექტური ტალღაშემარბილებელი ჰიდროტექნიკური ნაგებობების მოდელი ნაჩვენებია სურათზე (ნახ. 1).



ნახ. 1. ტალღაშემარბილებელის ნაგებობის მოდელი

მოცემული პრინციპით შედგენილი ნაპირდამცავი სისტემის მათემატიკური მოდელირება შესაძლებელია მცირემპლიტუდიანი ტალღების წრფივი თეორიის განტოლებების გამოყენებით:

- უწყვეტობის განტოლება:

$$\left(\frac{\partial^2}{\partial x^2} + \frac{\partial^2}{\partial y^2} + \frac{\partial^2}{\partial z^2}\right) \varphi(x, y, z, t) = 0 \quad (2. 1)$$

- კინემატიკური სასაზღვრო პირობა:

$$\frac{\partial}{\partial n} \varphi(x, y, z, t) \Big|_{z=0} = v_n(x, y, z, t) \quad (2. 2)$$

- თავისუფალი ზედაპირის პირობა:

$$\left(\frac{1}{g} \frac{\partial^2}{\partial t^2} + \frac{\partial}{\partial z}\right) \varphi(x, y, z, t) \Big|_{z=0} = 0 \quad (2. 3)$$

- საწყისი პირობები:

$$z + h(x, y) = 0, \quad (x, y, z) \in \partial\Omega \quad (2. 4)$$

$$\varphi(x, y, z, t) \Big|_{t=0} = \varphi_0(x, y, z) \quad (2. 5)$$


- ამპლიტუდა:

$$\eta(x, y, t) = -\frac{1}{g} \frac{\partial}{\partial t} \varphi(x, y, z, t) \Big|_{z=0} \quad (2. 6)$$

სადაც

$\varphi(x, y, z, t)$	- □□□□□	□□□□□□□
$\eta = \eta(x, y, t)$	- □□□□□□□	□□□□□
$h = h(x, y)$	- □□□□□	□□□□□

მოცემული განტოლებები შესაძლებელია ამოიხსნას ქვემოთ მოყვანილი სასრულ-სხვაობითი მეთოდით მიღებული არაცხადი სქემის მიხედვით. განვიხილოთ ნახაზზე მოცემული საანგარიშო სქემა კონსტრუქციის გავლენის შეფასებისათვის.



ნახ. 2. ტალღაჩამშობი მოტივტივე კონსტრუქციების გავლენის შესწავლის საანგარიშო სქემა სამგანზომილებიანი(3D) მოდელირებისათვის

ტალღაგენერატორი ფარის მოძრაობა გამოვთვალოთ ფორმულით

$$d(z, t) = \left(1 + \frac{z}{H}\right) d_{max} \cos\left(\frac{2\pi}{T} t\right) \quad (2.7)$$

$z \in [0, -H], \quad t \geq 0$


აქედან გამომდინარე სიჩქარე გამოითვლება შემდეგნაირად

$$v(z, t) = -\left(1 + \frac{z}{H}\right) v_{max} \sin\left(\frac{2\pi}{T} t\right) \quad (2.8)$$

$v_{max} = \frac{2\pi}{T} d_{max}$   
 $z \in [0, -H], \quad t \geq 0$

გადავიყვანოთ არაგანზომილებიან პარამეტრებში და ავაგოთ საანგარიშო სქემა მცირე ამპლიტუდიანი თეორიის საფუძველზე მიღებული სამგანზომილებიანი ამოცანის რიცხვითი, სასრულ სხვაობითი ამონახსნის მოთხოვნების შესაბამისად.

ამისათვის ავაგოთ შემდეგი გამოთვლითი ბადე:



ნახ. 3. სამგანზომილებიანი (3D) საანგარიშო რიცხვითი ბადესასრულ-სხვაობითი მეთოდით ამოხსნისათვის

მოვახდინოთ ამ არის დისკრეტიზაცია არგუმენტებით  $i, j, k, n$ :

$$\Omega_{i,j,k}^n + \partial \Omega_{i,j,k}^n = \left\{ \begin{array}{l} (x_i, y_j, z_k, t_n) \\ 0 \leq i \leq N^i, 0 \leq j \leq N^j, 0 \leq k \leq N^k \\ 0 \leq n \leq N^n \end{array} \right\} \quad (2.9)$$

განვსაზღვროთ დისკრეტიზაციის არგუმენტები და უწყვეტი ფუნქციების შესაბამისი დისკრეტული არგუმენტების მქონე ეგრეთწოდებული ბადური ფუნქციები:

$$\begin{aligned} f_{i,j,k}^n &= f(x_i, y_j, z_k, t_n) : \\ x_i &= x_{i-1} + \bar{\Delta}_{x,i} & : x_0 = 0, \bar{\Delta}_{x,i} \\ y_j &= y_{j-1} + \bar{\Delta}_{y,j} & : y_0 = 0, \bar{\Delta}_{y,j} \\ z_k &= z_{k-1} + \bar{\Delta}_{z,k} & : z_0 = -h_0, \bar{\Delta}_{z,k} \\ t_n &= t_{n-1} + \bar{\Delta}_{t,n} & : t_0 = 0, \bar{\Delta}_{t,n} \end{aligned} \quad (2.10)$$

დაშვების თანახმად ცხადია ზოგადობის შეუზღუდავად ადგილი აქვს

$$\begin{aligned} \bar{\Delta}_{\xi,m} &= \xi_m - \xi_{m-1} \neq \bar{\Delta}_{\xi,m1}, m \neq m1 \\ \Delta_{\xi,m} &= \xi_{m+1} - \xi_m \neq \Delta_{\xi,m1}, m \neq m1 \\ \bar{\Delta}_{\xi,m} &\neq \Delta_{\xi,m}, \bar{\Delta}_{\xi,m+1} = \Delta_{\xi,m}, \bar{\Delta}_{\xi,m} = \Delta_{\xi,m-1} \end{aligned} \quad (2.11)$$

$$\begin{aligned} \xi &= x, y, z, t \\ m, m1 &= m_\xi = i, j, k, n \end{aligned}$$

სადაც  $\bar{\Delta}, \Delta$  არის შესაბამისად მარცხენა (არგუმენტის ზრდის საწინააღმდეგოდ) და მარჯვენა (არგუმენტის ზრდის მიმართულებით) სხვაობა

დავუშვათ რომ ბოჯი განზომილებების მიხედვით არის თანაბარი და შემოვიღოთ აღნიშვნები, რომელიც განსაზღვრავს არგუმენტისა და ფუნქციის მარცხენა და მარჯვენა სხვაობას:

$$\begin{aligned} \Delta_\xi &= \bar{\Delta}_{\xi,m} = \Delta_{\xi,m} = \text{const}, \\ \Delta_{f,\xi} &= f(\xi_m + \Delta_\xi) - f(\xi_m) = f_{m+1} - f_m \\ \bar{\Delta}_{f,\xi} &= f(\xi_m) - f(\xi_m - \Delta_\xi) = f_m - f_{m-1} \\ \xi &= x, y, z, t \end{aligned} \tag{2.12}$$

$$m = m_\xi = i, j, k, n$$

$$\xi_m = \xi_0 + m\Delta_\xi$$

$$\xi_0 = \begin{cases} 0, & \xi = x, y, t \\ -h_0 = -N_k * \Delta_\xi, & \xi = z \end{cases}$$

შემოვიღოთ დამატებითი აღნიშვნები


$$\begin{aligned} f_\xi &= \frac{\Delta_{f,\xi}}{\Delta_\xi} = \frac{1}{\Delta_\xi} (f_{m+1} - f_m), \quad \bar{f}_\xi = \frac{\bar{\Delta}_{f,\xi}}{\Delta_\xi} = \frac{1}{\Delta_\xi} (f_m - f_{m-1}) \\ f_{\xi\xi} &= \frac{1}{\Delta_\xi^2} (f_{m+1} - 2f_m + f_{m-1}), \quad f_m = f(\xi_m) \\ f_\xi &= \frac{1}{2} (f_\xi + \bar{f}_\xi) = \frac{1}{2\Delta_\xi} (f_{m+1} - f_{m-1}) \end{aligned} \tag{2.13}$$

$$\xi = x, y, z, t$$

შესაძლებელია ვახევნოთ რომ ტოლობები არის ფუნქციის პირველი და მეორე რივის კერძო დიფერენციალის ანალოგი თანაბარ ბადეზე.


პოტენციური მოძრაობის ტალღური სამგანზომილებიანი (3D) ამოცანის აპროქსიმაცია ინტეგრალურ იგივეობათა მეთოდის გამოყენებით დროის კონკრეტული ფენისათვის გვაძლევს სტაციონარულ განტოლებათა სისტემას, მართკუთხა თანაბარი დისკრეტული არის შიდა და საზღვრის სხვადასხვა წერტილების გამოთვლისათვის. მოცემულ ამონახსენს უნდა დავამატოთ არასტაციონარული პირობა, დროის ახალ ფენაზე გადასვლისათვის. თვითნებულ ფორმულას შეესაბამება თითო საანგარიშო სქემა, რომელიც წინ უსწრებს ფორმულის განსაზღვრებას.

- ძირითადი არის შიდა (რეგულარული) წერტილები:



$$\varphi_{\bar{x}x} + \varphi_{\bar{y}y} + \varphi_{\bar{z}z} = 0 \quad (0 < i < N_i; 0 < j < N_j; 0 < k < N_k) \tag{2.14}$$

- საზღვრის სიბრტვის წერტილები:



$$\frac{2}{\Delta_x} (+\varphi_x - \vec{w}) + \varphi_{yy} + \varphi_{zz} = 0 \quad (i = 0; 0 < j < N_j; 0 < k < N_k) \quad (2.15)$$


$$\frac{2}{\Delta_x} (-\varphi_x - \vec{u}) + \varphi_{yy} + \varphi_{zz} = 0 \quad (i = Ni; 0 < j < N_j; 0 < k < N_k) \quad (2.16)$$

$$\varphi_{xx} + \frac{2}{\Delta_y} (+\varphi_y - \vec{v}) + \varphi_{zz} = 0 \quad (0 < i < Ni; j = 0; 0 < k < N_k)$$

(2.17)

$$\varphi_{xx} + \frac{2}{\Delta_y} (-\varphi_y - \vec{v}) + \varphi_{zz} = 0 \quad (0 < i < Ni; j = N_j; 0 < k < N_k) \quad (2.18)$$


18)



$$\varphi_{xx} + \varphi_{yy} + \frac{2}{\Delta_z} (-\varphi_z - \vec{w}) = 0 \quad (0 < i < Ni; 0 < j < N_j; k = N_k) \quad (2.19)$$

$$\varphi_{xx} + \varphi_{yy} + \frac{2}{\Delta_z} (+\varphi_z - \vec{w}) = 0 \quad (0 < i < Ni; 0 < j < N_j; k = 0) \quad (2.20)$$

- საზღვრის ორი სიბრტყის კვეთის წერტილები:




$$\frac{2}{\Delta_x} (+\varphi_x - \bar{u}) + \varphi_{yy} + \frac{2}{\Delta_z} (-\varphi_z - \bar{w}) = 0 \quad (i \neq 0; 0 < j < N_j; k = N_k)$$

(2. 21)

$$\frac{2}{\Delta_x} (-\varphi_x - \bar{u}) + \varphi_{yy} + \frac{2}{\Delta_z} (-\varphi_z - \bar{w}) = 0 \quad (i = N_i, 0 < j < N_j, k = N_k) \quad (2. 22)$$

$$\frac{2}{\Delta_x} (+\varphi_x - \bar{u}) + \varphi_{yy} + \frac{2}{\Delta_z} (+\varphi_z - \bar{w}) = 0 \quad (i = 0, 0 < j < N_j, k = 0) \quad (2. 23)$$

$$\frac{2}{\Delta_x} (-\varphi_x - \bar{u}) + \varphi_{yy} + \frac{2}{\Delta_z} (+\varphi_z - \bar{w}) = 0 \quad (i = N_i, 0 < j < N_j, k = 0) \quad (2. 24)$$



$$\varphi_{xx} + \frac{2}{\Delta_y} (+\varphi_y - \bar{v}) + \frac{2}{\Delta_z} (-\varphi_z - \bar{w}) = 0 \quad (0 < i < N_i; j = 0; k = N_k)$$


(2. 25)



$$\varphi_{\bar{x}x} + \frac{2}{\Delta_y}(-\varphi_{\bar{y}} - \bar{v}) + \frac{2}{\Delta_z}(-\varphi_{\bar{z}} - \bar{w}) = 0 \quad (0 < i < N_i; j = N_j; k = N_k) \quad (2.26)$$

$$\varphi_{\bar{x}x} + \frac{2}{\Delta_y}(+\varphi_y - \bar{v}) + \frac{2}{\Delta_z}(+\varphi_z - \bar{w}) = 0 \quad (0 < i < N_i; j = 0; k = 0) \quad (2.27)$$

$$\varphi_{\bar{x}x} + \frac{2}{\Delta_y}(-\varphi_{\bar{y}} - \bar{v}) + \frac{2}{\Delta_z}(+\varphi_z - \bar{w}) = 0 \quad (0 < i < N_i; j = N_j; k = 0) \quad (2.28)$$




$$\frac{2}{\Delta_x}(+\varphi_x - \bar{u}) + \frac{2}{\Delta_y}(-\varphi_{\bar{y}} - \bar{v}) + \varphi_{\bar{z}z} = 0 \quad (i = 0; j = N_j; 0 < k < N_k) \quad (2.29)$$


$$\frac{2}{\Delta_x}(-\varphi_{\bar{x}} - \bar{u}) + \frac{2}{\Delta_y}(-\varphi_{\bar{y}} - \bar{v}) + \varphi_{\bar{z}z} = 0 \quad (i = N_i; j = N_j; 0 < k < N_k) \quad (2.30)$$

$$\frac{2}{\Delta_x}(+\varphi_x - \bar{u}) + \frac{2}{\Delta_y}(+\varphi_y - \bar{v}) + \varphi_{\bar{z}z} = 0 \quad (i = 0; j = 0; 0 < k < N_k) \quad (2.31)$$

$$\frac{2}{\Delta_x}(-\varphi_{\bar{x}} - \bar{u}) + \frac{2}{\Delta_y}(+\varphi_y - \bar{v}) + \varphi_{\bar{z}z} = 0 \quad (i = N_i; j = 0; 0 < k < N_k) \quad (2.32)$$

- საზღვრის სამი სიბრტყის კუთხის წერტილები:






$$\frac{2}{\Delta_x} (+\varphi_x - \bar{u}) + \frac{2}{\Delta_y} (-\varphi_y - \bar{v}) + \frac{2}{\Delta_z} (-\varphi_z - \bar{w}) = 0 \quad (i = 0; j = N_j; k = N_k) \quad (2.33)$$

$$\frac{2}{\Delta_x} (-\varphi_x - \bar{u}) + \frac{2}{\Delta_y} (-\varphi_y - \bar{v}) + \frac{2}{\Delta_z} (-\varphi_z - \bar{w}) = 0 \quad (i = N_i; j = N_j; k = N_k) \quad (2.34)$$

$$\frac{2}{\Delta_x} (+\varphi_x - \bar{u}) + \frac{2}{\Delta_y} (+\varphi_y - \bar{v}) + \frac{2}{\Delta_z} (-\varphi_z - \bar{w}) = 0 \quad (i = 0; j = 0; k = N_k) \quad (2.35)$$

$$\frac{2}{\Delta_x} (-\varphi_x - \bar{u}) + \frac{2}{\Delta_y} (+\varphi_y - \bar{v}) + \frac{2}{\Delta_z} (-\varphi_z - \bar{w}) = 0 \quad (i = N_i; j = 0; k = N_k) \quad (2.36)$$




$$\frac{2}{\Delta_x} (+\varphi_x - \bar{u}) + \frac{2}{\Delta_y} (-\varphi_y - \bar{v}) + \frac{2}{\Delta_z} (+\varphi_z - \bar{w}) = 0 \quad (i = 0; j = N_j; k = 0) \quad (2.37)$$

$$\frac{2}{\Delta_x} (-\varphi_x - \bar{u}) + \frac{2}{\Delta_y} (-\varphi_y - \bar{v}) + \frac{2}{\Delta_z} (+\varphi_z - \bar{w}) = 0 \quad (i = N_i; j = N_j; k = 0) \quad (2.38)$$

$$\frac{2}{\Delta_x} (+\varphi_x - \bar{u}) + \frac{2}{\Delta_y} (+\varphi_y - \bar{v}) + \frac{2}{\Delta_z} (+\varphi_z - \bar{w}) = 0 \quad (i = 0; j = 0; k = 0) \quad (2.39)$$

$$\frac{2}{\Delta_x} (-\varphi_x - \bar{u}) + \frac{2}{\Delta_y} (+\varphi_y - \bar{v}) + \frac{2}{\Delta_z} (+\varphi_z - \bar{w}) = 0 \quad (i = N_i; j = 0; k = 0) \quad (2.40)$$

- თავისუფალი ზედაპირის არასტაციონალური პირობა



$$\vec{\varphi} = \varphi_{\vec{r}t} \quad (0 \leq i \leq N_i; 0 \leq j \leq N_j; k = N_k; n > 0) \quad (2.41)$$

განტოლებათა სისტემა ოპერატორული სახით არასტაციონალური პირობის გარეშე შემდეგია:

განტოლებათა სისტემის:

$$A\varphi - f = 0 \quad (2.42)$$

ამოცხსნათ შერეული (ორი და სამშრიანი) იტერაციული მეთოდის გამოყენებით და არასტაციონალური პირობის დამატებით თავისუფალ ზედაპირზე:

დავიწყოთ:

$$\varphi^{s+1} = \varphi^s + \begin{cases} \frac{\sigma}{\delta} (\tilde{A}\varphi^{s,s+1} - \tilde{f}), & k = N_k \\ \frac{\sigma}{\delta} (A\varphi^{s,s+1} - f), & 0 \leq k < N_k \end{cases}; n = 1, 2, \dots \quad (2.43)$$

სადაც  $0 < \sigma, \tilde{\sigma} < 2$  და  $\tau > 0$  არის იტერაციული პარამეტრები, სივრცითი და დროის მიხედვით და გამოყენებულია აღნიშვნები

სადაც

$$\tilde{A} = -\tilde{\sigma}E + \tau A$$

$$\tilde{f} = \tau f + \tilde{\sigma}(-2\varphi^{n-1} + \varphi^{n-2}) - (1 - 2\tau)\varphi^{n-1} - \tau\varphi^{n-2}$$

$$r = A\varphi - f, \quad \delta = 2 \left( \frac{1}{\Delta_x^2} + \frac{1}{\Delta_y^2} + \frac{1}{\Delta_z^2} \right) \quad (2.44)$$

$$\tilde{\sigma} = \frac{2}{\Delta_z \Delta_t^2}, \quad \tilde{\delta} = \tilde{\sigma} + \tau\delta$$

$$A = \sum_{\xi} A_{\xi}; \quad f = \sum_{\xi} f_{\xi}$$

$$A_{\xi} \varphi = \begin{cases} +\frac{2}{\Delta_{\xi}} \varphi_{\xi}, & m = 0 \\ \varphi_{\xi\xi}, & m \in (0, N_m); \\ -\frac{2}{\Delta_{\xi}} \varphi_{\xi}, & m = N_m \end{cases}; \quad f_{\xi} = \begin{cases} \frac{2}{\Delta_{\xi}} \varphi_{\xi}, & m = 0 \\ 0, & m \in (0, N_m) \\ \frac{2}{\Delta_{\xi}} \varphi_{\xi}, & m = N_m, \xi \neq z \\ 0 & m = N_m, \xi = z \end{cases} \quad (2.45)$$

$$\varphi_{\xi} = \frac{1}{\Delta_{\xi}} (\varphi_{m+1} - \varphi_m); \quad \varphi_{\bar{\xi}} = \frac{1}{\Delta_{\xi}} (\varphi_m - \varphi_{m-1})$$

$$\varphi_{\xi\xi} = \frac{1}{\Delta_{\xi}^2} (\varphi_{m+1} - 2\varphi_m + \varphi_{m-1})$$

$$\xi = x, y, z; \quad \varphi_m = \varphi(\xi_m)$$


$$\xi_m = \xi_0 + m\Delta_{\xi}; \quad \xi_0 = \begin{cases} 0, & \xi = x, y \\ -h_0 = -N_k * \Delta_{\xi}, & \xi = z \end{cases}$$

იტერაციული პროცესი გრძელდება ვიდრე არ შესრულდება ერთდროულად ორივე პირობა

$$\begin{cases} \|\tilde{r}^{s+1}\| < \varepsilon \|r^0\|; & r^{s+1} = \bar{A}\varphi^{s+1} - f^{s+1} \\ \|\tilde{r}^{s+1}\| < \varepsilon \|r^0\|; & r^{s+1} = A\varphi^{s+1} - f^{s+1} \end{cases} \quad (2.46)$$

სადაც  $\varepsilon$  არის ამონახსნის სიზუსტე.


განსახილველი ამოცანა, გარდა რეგულარული და საზღვრის წერტილებისა შეიცავს განსაკუთრებულ წერტილებს, რომელიც წარმოადგენს არის შიგნით მოთავსებული სხეულის ზედაპირს და სხეულს თავად



ნახ. 4. საანგარიშო რიცხვითი ბადე ნულოვანი არის საზღვარზე-რთული ფორმა ყველაშესაძლო სახის წერტილების ერთობლიობით


მოცემული ფორმა შეიცავს მინიმალური აუცილებელი წერტილების რაოდენობას ამოცანის რიცხვით ბადეზე აპროქსიმაციისათვის. ფორმის შიგნით არის ნულოვანი წერტილი P0 რომლისთვისაც მართებულია

ტოლობა  $\phi_{i,j,k}^n = 0$ . წერტილისათვის  $P_m$  და მისი ანალოგური ნულოვანი საზღვრის წერტილებისათვის ადგილი აქვს ნეიმანის სასაზღვრო პირობას, როდესაც სიჩქარეები ნულოვანია




$$\frac{2}{\Delta_x} (-\phi_x) + \phi_{yy} + \phi_{zz} = 0 \quad (2.47)$$

$P_1$




$$\frac{2}{\Delta_x} (-\phi_x) + \frac{2}{\Delta_y} (\phi_y) + \phi_{zz} = 0 \quad (2.48)$$

$P_2$



$$\frac{2}{\Delta_x} (\phi_x) + \phi_{yy} + \phi_{zz} = 0 \quad (2.49)$$

$P_3$



$$\frac{2}{\Delta_x} (-\phi_x) + \frac{2}{\Delta_y} (-\phi_y) + \phi_{zz} = 0 \quad (2.50)$$

$P_4$


ანალოგიურად განისაზღვრება დანარჩენი პირობებიც. მოცემული სასაზღვრო პირობები მართებულია, თუ მათი აპროქსიმაცია ხდება  $\Delta_x, \Delta_y$  პორიზონტალური ბიჯების შერჩევით ისე, რომ კვეთის წერტილები განლაგდება სამკუთხედების წვეროსა და ფერდებზე, რაც ამარტივებს ამოცანას და გამოთვლებს

$$\Delta_y = \Delta_x \tan^2 \frac{\alpha}{2} \quad (2.51)$$

სადაც  $\alpha$  არის კონსტრუქციის წვეროსთან მდებარე კუთხე. შესაბამისად თუ გვაქვს ფერდების  $45^\circ$ -იანი დახრა  $\Delta_x = \Delta_y$  პორიზონტალური ბიჯები ერთმეორის ტოლია.

მოცემული პრინციპით შედგენილი სქემის შესაბამისად, ქვემოთ მოგვყავს ჩვენს მიერ კომპიუტერული ექსპერიმენტების მეთოდით ჩატარებული ჰიდროდინამიკური ანგარიშის შედეგები:

ნახაზზე (ნახ. 5) მოცემულია ნიმუშის ზომები მილიმეტრებში




ნახ. 5 კომპიუტერული ექსპერიმენტების მეთოდით ჩატარებული ჰიდროდინამიკური ანგარიშისათვის პრინციპიალური სქემა

კონსტრუქციების რაოდენობა გამოთვლებში 4 პირველი დონე, 3 მეორე დონე.


გამოსათვლელი სიგრძე აღებულია 400-500მმ არეკვლის აცილების მიზნით. კონსტრუქცია დევს 80-100მმ ტალღის გენერატორიდან ტალღის სრულად ფორმირების მიზნით. საწყისი ტალღები იგნორირებულია არასრული ფორმირების გამო (თუმცა შესაძლებელია მათზე გავლენის შეფასებაც). მონაცემები აღებულია სრულად ფორმირებული 2 ან მეტი ტალღის გავლის შემდეგ კონსტრუქციაში. გრაფიკებზე მოცემულია ამპლიტუდის პროცენტული განაწილება სიღრმესთან შეფარდებით. მონაცემები აღებულია კონსტრუქციის ფრონტის წინ 50მმ, შემდეგ 100მმ ინტერვალში, 50მ, 30მ და 15 მ ტალღის სიგრძის შემთხვევისათვის:

**ტესტი 1=50მმ,  $\eta_0=3.5$ მმ,  $L_x=400$ მმ,  $L_y=50$ მმ,  $L_z=10$ მმ**

კონსტრუქცია დევს  $L_1=100$ მმ მანძილზე ტალღაგენერატორიდან.




ნახ. 6. კონსტრუქციის გარეშე ამპლიტუდები  $t=40$ წმ




ნახ. 7. კონსტრუქციის გავლით ამპლიტუდები  $t=40$ წმ

ტესტი  $\lambda=30$ მმ,  $\eta_0=3.5$ მმ,  $L_x=400$ მმ,  $L_y=50$ მმ,  $L_z=10$ მმ

კონსტრუქცია დევის  $s_1=90$ მმ მანძილზე ტალღაგენერატორიდან.




ნახ. 8. კონსტრუქციის გარეშე ამპლიტუდები  $t=56$ წმ




ნახ. 9. კონსტრუქციის გავლით ამპლიტუდები  $t=56$ წმ

ტესტი  $\lambda=15$ მმ,  $\eta_0=3.5$ მმ,  $L_x=500$ მმ,  $L_y=50$ მმ,  $L_z=10$ მმ

კონსტრუქცია დევის  $s_1=80$ მმ მანძილზე ტალღაგენერატორიდან,




ნახ. 10. კონსტრუქციის გარეშე ამპლიტუდები  $t=64$ წმ



ნახ. 11. კონსტრუქციის გავლით ამპლიტუდები  $t=64$ წმ


გარდა ამისა ჩატარებული იქნა ექსპერიმენტი. ნახაზზე მოცემულია ექსპერიმენტის შესაბამისი არის მონაცემები და ტალღაგენერატორი ფარის მოძრაობის მახასიათებლები



ნახ. 12. საანგარიშო სქემა ექსპერიმენტის მონაცემების შესწავლის მიზნით



ექსპერიმენტულ მონაცემებზე გათვლებმა აჩვენა, რომ მე-3 ტალღის გავლის ( $t=3.7$ წმ) შემთხვევაში ადგილი აქვს ტალღის შერბილების ეფექტს კონსტრუქციაში შესვლის შედეგად და არის  $(1-1.8/2.7)*100\%=33\%$ .



**ნახ. 13. ექსპერიმენტალური მონაცემები მღვ ტალღის გავლის შემთხვევაში**


დამუშავებული მეთოდის მიხედვით ექსპერიმენტულად უნდა მოხდეს ენერჯის კარგვის დადგენა კონსტრუქციიდან გამოსვლის შემდგომ და მათემატიკურ მოდელში გათვალისწინება, თუმცა შედარებამ აჩვენა, რომ კონსტრუქციის პირდაპირი გავლენა და სიჩქარეების ანალიზი ტალღის შესვლის დროს შესაძლებელია ენერჯის კარგვის გაუთვალისწინებლად.

უნდა აღნიშნოს, რომ საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლი იწყება სამხრეთით, თურქეთის საზღვართან – სარფში და მთავრდება ჩრდილოეთით ლესელიძეში, მდინარე ფსოუსთან (სიგრძე 330 კილომეტრი). შავი ზღვა პრაქტიკულად უტევს ხმელეთს საქართველოს სანაპიროს მთელ სიგრძეზე. ამიტომაც აუცილებლად მიგვაჩნია, რომ მოვიყვანოთ მცირე ინფორმაცია (დახასიათება) შავი ზღვის დელტის შესახებ: ზღვის დელტის ინტენსივობა, ტალღების სიმაღლე და მათი სიჩქარე დამოკიდებულია ქარის სიჩქარეზე, მის ხანგრძლივობასა და ტალღის აჩქარებაზე.

კავკასიის ნაპირებთან, სადაც ზღვის სიღრმეები შედარებით დიდია, შესაბამისად, ტალღებიც მაღალია. მაგალითად, ფოთთან ხშირად ფიქსირდება ტალღის სიმაღლე 3-4 მეტრამდე (ნახ. 14). ღია ზღვაში 7-8 ბალი, ქარის დროს ტალღის საშუალო პარამეტრებია: სიჩქარე – 2,4-5 მეტრი /წამში, პერიოდი 6-7 წამი, ტალღის სიგრძე – 10-70 მეტრი, სიმაღლე 1.5-2.5 მეტრი. დიდი შტორმის დროს ტალღის სიმაღლე აღწევს 5-6 მეტრს, ხოლო სიგრძე 70-80 მეტრია. ამავე დროს 4-5 ბალის ქარის შემთხვევაში, თუ ტალღის პერიოდი 11 წამი, დარტყმის ძალა შეადგენს 5,7 ტონას 1 კვადრატულ მეტრზე [1].

წარმოდგენილი ინოვაციური პროექტი განხორციელდება ჰიდროდინამიკური და ფიზიკური მოდელირების საფუძველზე დასაბუთებული ახალი ტიპის ტალღაშემარბილებელი ჰიდროტექნიკური ნაგებობების (და მათი ბმულების) მოდულების სერიული კვლევებით სპეციალურ ლაბორატორიულ ტალღაგენერატორზე შავი ზღვის სანაპირო-რეკრეაციული ზოლის (ბათუმი-ფოთი და ა. შ.) მახასიათებელი პარამეტრების შესაბამისად მიღებული შედეგების გამოყენებით, რაც ბათუმის, ქობულეთის, ურეკისა და სხვა ობიექტების საპილოტე პროექტების შემუშავების შესაძლებლობას ქმნის.

საზღვაო პორტების, მათ შორის ღია ტიპის, გამართულ მუშაობაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ნებისმიერი საზღვაო ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობა, საგარეო-სატრანსპორტო გადაზიდვების ორგანიზაცია, კულტურულ-ეკონომიკური კავშირუროთიერთობების განვითარება და სხვ. ღია პორტები და მათი აკვატორიები, წლის გარკვეულ პერიოდებში, როგორც წესი, განიცდიან ზღვის შტორმული ტალღების არასასურველ ზემოქმედებას, რაც აფერხებს საზღვაო ტრანსპორტის ნორმალურ ფუნქციონირებას. შტორმული ტალღები იწვევენ პორტების მიმდებარე სანაპირო ზოლების შეუქცევად წარეცხვას, შტორმის დროს საპორტო ქალაქების სანიაღვრე წყალარინების (კანალიზაციის) სისტემების ნორმალური ფუნქციონირება ვერ ხერხდება (ზღვა ვერ იღებს ჩამდინარე სანიაღვრე ნაკადებს შტორმის წინაღობის გამო, შედეგად სანაპირო ქალაქების ქუჩები იტბორება).



**ნახ. 14.** შავი ზღვის დედეგების გრაფიკული გამოსახულება ე. წ. იზობატები, რომელშიც მოცემულია ტალღის მაქსიმალური სიმაღლე - შესაძლებელია დაფიქსირდეს 100 წელში ერთხელ (მეტრებში).

შემოთავაზებული ნაპირდამცავი ტალღაშემარბილებელი მოტივტივე-მცურავი ჰიდროტექნიკური ნაგებობა განკუთვნილია ზღვის სანაპირო-რეკრეაციული ზოლისა და ღია პორტების შტორმული ტალღებისგან დაცვის (წარეცხვა, დატბორვა და ა.შ.) პრობლემის გადასაჭრელად. უნდა აღინიშნოს, რომ ავტორების მიერ შემოთავაზებულ კონსტრუქციებსა და ტექნოლოგიას მსოფლიოში ანალოგი არ აქვს, მიღებულია შესაბამისი გამოგონების პატენტი [3]. ლაბორატორიულ პირობებში ტალღაგენერატორის დახმარებით მოეწყო შავი ზღვისთვის დამახასიათებელი მოკლე ტალღის რეჟიმის იმიტაციის პირობებში შემოთავაზებული ახალი ტიპის კონსტრუქციის მრავალჯერადი გამოცდა. კერძოდ, დაფიქსირდა ტალღის ენერჯის ჩაქრობის 30-40 %-იანი დიაპაზონის შესაბამისი ეფექტურობა.

ამრიგად, ზღვის სანაპირო რეკრეაციული ზოლისა და ღია პორტების შტორმული ტალღებისგან დასაცავად კვლევის პრობლემა განისაზღვრა ეფექტური ახალი ტიპის მოცურავე ტალღაშემარბილებელ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა ბმული კომპლექსის შემუშავებაში, შესაბამისად, კვლევის ამოცანებს შეადგენს [2- 6]:

- ტალღაშემარბილებელი ნაგებობების სამეცნიერო-ექსპერიმენტული კვლევის ზოგადი მეთოდოლოგიის შემუშავება და ორგანიზაციული საკითხები;
- ჰიდროდინამიკური და ფიზიკური მოდელირების საფუძველზე ახალი ტიპის მოცურავე ტალღაშემარბილებელი ჰიდროტექნიკური ნაგებობების სავარაუდო-საცდელი ფორმების შერჩევა, საექსპერიმენტო მოდელის კონსტრუირება და აგება;
- დამუშავებული მოცურავე ჰიდროტექნიკური სახვადასხვა კონსტრუქციული ნაგებობების ბმული კომპლექსის ექსპერიმენტალური გამოცდა ლაბორატორიულ ტალღაგენერატორზე შავი ზღვის საქართველოს სანაპიროებისათვის მახასიათებელი ტალღების რეჟიმული გენერაციის პირობებში;
- სამეცნიერო-ექსპერიმენტული კვლევის შედეგების ჰიდროდინამიკური ანალიზი, ტექნოლოგიური სიახლე და ინოვაციურ-კომერციული წინადადების შემუშავება ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე სარეალიზაციოდ.

აღსანიშნავია, რომ შტორმული ტალღების მავნე ზემოქმედების უზუღებელსაყოფად, თანამედროვე მდგომარეობით, აწარმოებენ შერჩეული სანაპირო-რეკრეაციული ზოლების ეკოლოგიურ-დაცვით სამუშაოებს (შერჩევით სანაპირო ზოლებში ინერტული მასალის დაყრა, პორტის აკვატორიის პერიმეტრის შემოზღუდვა სხვადასხვა ტიპის ტრადიციული ჰიდროტექნიკური ნაგებობების მოწყობით და სხვ.), რაც ხშირ შემთხვევებში არაეფექტური და ძვირადღირებულია, ამასთან, მოითხოვს რეგულარული სამუშაოების ჩატარებას წარეცხილი მოცულობის აღსადგენად.

დღევანდელი მდგომარეობით სანაპირო-რეკრეაციულ ზოლებზე და მსოფლიოს რიგ ღია ნავსადგურებში არსებული შტორმსაწინააღმდეგო შემომზღუდავი ნაგებობების გამოყენების პრაქტიკა, შეიძლება ითქვას, როგორც მორალურად, ასევე ტექნოლოგიურად მოძველებულია, რიგი ობიექტები კი – ამორტიზებული და თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისად მოითხოვს მათ განახლება-რეაბილიტაციას.

აღნიშნულ კონტექსტში, როგორც ერთ-ერთი ვარიანტი, შეიძლება მოიაზრობდეს ჩვენს მიერ შემოთავაზებული ინოვაციური წინადადება-ტექნოლოგია (ზემოთ მოყვანილი მოდელის შესაბამისად), რომლის დანერგვასაც (საპილოტე პროექტის სახით) უპირველესად ვგეგმავთ ბათუმის, ფოთისა და ურეკის სანაპირო-რეკრეაციული ზოლის მიმდებარე ზღვის შეღწეში მოცურავე ტალღაშემარბილებელი ჰიდროტექნიკური ნაგებობების ბმული კომპლექსის სახით:

კონსტრუქციულად ზღვის შტორმული ტალღის ენერჯის ნაწილობრივ ჩამქრობი ტალღაშემარბილებელი ნაგებობის ბმული კომპლექსი პოლიმერული, მზის სხივებისა და მარილიანი წყლისადმი მედეგი მასალით იქნება დამზადებული. მისი თითოეული შემდგენი ნაგებობა-ელემენტის ნატურული ზომაა გეგმაში 6 x 9 მ-ია, ხოლო ერთიანი სიმაღლე – 6 მ. ისინი ერთმანეთთან 1,5-2 მეტრის ინტერვალით იქნება გადაბმული და მთლიან მცურავ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა ბმულ ჯაჭვს წარმოქმნის. ნაგებობათა ბმული ჯაჭვი კი ზღვის ნაპირიდან 30-150 მ დაცილებით არაუმეტეს 10 მეტრის სიღრმის შეღწეში განთავსდება (რაც დამოკიდებულია ზღვის შეღწევის ფსკერის პროფილზე) და იქ სპეციალური ღუზებით ჩამაგრდება. ტალღის ენერჯის ჩაქრობა ხდება ნაგებობა-მოწყობილობის წყალქვეშა და წყალზედა ნაწილში სპეციალური მყარი კონსტრუქციული სამკუთხა პრიზმული ელემენტების საშუალებით (იხ. ნახ. 1).

აღნიშნულ ტალღაშემარბილებელი სისტემის საინჟინრო-ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა კომპლექსის მოწყობა იმ ტერიტორიებზეა რეკომენდებული, სადაც ინტენსიურად აღინიშნება სანაპირო-რეკრეაციული პლაჟის შეუქცევადი ნაპირწარეცხვები, დატბორვები და სხვა რეკრეაციული კომფორტის მოშლა. მისი დანერგვა ასევე შესაძლებელია ღია პორტების სარეაბილიტაციო განვითარების პროექტებში – პორტის აკვატორიის შემოზღუდვის, სატრანსპორტო მანევრირება-გამტარუნარიანობისა და ქმედუნარიანობის ამაღლების მიზნით(იმისათვის, რომ შტორმისას გემებს პორტიდან გასვლა აღარ დასჭირდეთ).

პროექტის ავტორები შემუშავებული ინოვაციური ტექნოლოგიის ზღვის სანაპირო-რეკრეაციული ზოლის წარეცხვისაგან დაცვისა და სხვა არსებულ მეთოდებთან შედარებისას, მიუთითებენ მის ეკოლოგიურ-ეკონომიკურ უპირატესობებზე. მაგალითად, შემოთავაზებული პროექტის

განხორციელებით ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა კომპლექსის მუშაობის ნორმატიული საექსპლუატაციო ვადა სულ მცირე 50 წლით განისაზღვრება, გარდა იმისა, რომ დაიზოგება თანხა ნაპირწარეცხვის საწინააღმდეგო სამუშაოებისთვის საჭირო ინერტული მასალების შემოზიდვა-დაყრაზე, აღარ დაზიანდება მდინარეების კალაპოტები, საიდანაც ხდება ინერტული მასალების ამოღება. რეკრეაციულ-საპლაჟე ზოლი ასევე განთავისუფლდება სხვადასხვა კონსტრუქციის ბეტონის ნაგებობებისგან, რომლებიც არაეფექტურია, ძვირია და 15-20 წლის შემდეგ ითხოვს განახლებას.

შემოთავაზებული ინოვაციური პროექტის ავტორები, სათანადო მოთხოვნა-ხელშეწყობის შემთხვევაში, უპირველესად ვგეგმავთ ბათუმის სანაპირო-რეკრეაციული ზოლის შეღწეში, შერჩევით მონაკვეთებზე (აღდია-ბულვარის მიმდებარე ტერიტორიები), ჩვენ მიერ შემუშავებული საპილოტე პროექტის საწარმოო გამოცდას და, შესაბამისად, ამ პროექტისათვის სათანადო ტექნიკურ-ტექნოლოგიური მახასიათებლების წარდგინებას.

საპილოტე პროექტის ნაგებობათა კომპლექსი გათვალისწინებულია საბანაო-სარეკრეაციო საზღვრების გარეთ, ზღვაში განთავსდეს L=500 მ სიგრძეზე სანაპირო ზოლის პარალელურად ღუზებზე ბაგირებით ჩაბმული, მოცურავე-მოტივტივე, სამკუთხა პრიზმის ფორმის შემომზღუდავი, ტალღაშემარბილებელი სისტემის ბმული კომპლექსის სახით. კერძოდ, შემოთავაზებული საპილოტე-საცდელი პროექტის L=500 მ სიგრძის განხორციელების შედეგად, მიიღწევა შტორმული ტალღების ზემოქმედებით გამოწვეული ინტენსიური და შეუქცევადი სახის ნაპირწარეცხვების შემცირება; შტორმიან ამინდში წვიმის დამთხვევის პირობებში მოწესრიგდება და შენარჩუნდება ქ. ბათუმის სანიაღვრე წყალარინების (სანიაღვრე კანალიზაციის) სისტემის ნორმალური ფუნქციონირება.

შემოთავაზებული ინოვაციური პროექტის აღნიშნული პოზიტიური მახასიათებლების მიხედვით განხორციელება (შედარებით მცირე დანახარჯებით), შესაძლებელი იქნება, როგორც სარეაბილიტაციო ან ახალმშენებარე პორტის, ასევე სანაპირო-რეკრეაციული ზოლის პირობებში, რაც სათანადო ქმედუნარიანობასა და სიცოცხლისუნარიანობას შესძენს ამ ობიექტებზე ჩასატარებელ ეკოლოგიურ-პრევენციული ღონისძიებების გატარებას, აამაღლებს საერთაშორისო დანიშნულების ღია პორტებისა და სანაპირო-რეკრეაციული ზოლების მშენებლობის საიმედოობას; ეფექტურს გახდის რეკრეაციული ზოლების ეკოლოგიური დაცვის რეკომენდაციების გატარებას (ნაპირწარეცხვებისგან დაცვა, შტორმის დროს სანიაღვრე კანალიზაციის შეუფერხებელი მუშაობა, დამსვენებელთა რეკრეაციულ-კომფორტული ღონის ამაღლება და სხვ.).

რაც თანამედროვე მდგომარეობით ზღვის სანაპირო-რეკრეაციული ზოლის მიმდებარე ნებისმიერი დასახლებული ადგილისა და ქალაქებისათვის აქტუალური და დროულია.

ინოვაციური პროექტის განსახორციელებლად პირველ რიგში საჭირო იქნება საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროების ეგიდით ამ პრობლემით დაინტერესებული ინვესტორების, კოლაბორატორების და სხვა საქმიანი პირების მოძიება და მათი ინფორმირება შემოთავაზებული საკითხის აქტუალობის, ინოვაციური პროექტის მაღალტექნოლოგიურობისა და კონკურენტუნარიანობის შესახებ. აღნიშნული გარემოება გარკვეულ საფუძველს შექმნის საქართველოს შავი ზღვის სანაპირო-რეკრეაციულ ზოლში (და არა მარტო საქართველოს) არსებული ეკოლოგიური პრობლემების გადასაწყვეტად. ამასთან, პირველ რიგში, მიზანშეწონილი იქნება ქ. ბათუმის, ჩაქვის, ქობულეთის, ფოთის და ურეკის მიმდებარე სანაპირო-რეკრეაციულ ზოლში შერჩევით მონაკვეთზე ჩვენ მიერ შემოთავაზებული საპილოტე-საცდელი პროექტის განხორციელება.

ინოვაციური პროექტის შემოქმედებით ავტორთა ჯგუფს მიგვაჩნია, რომ ინოვაციური წინადადების დანერგვას საერთაშორისო მასშტაბით კარგი პერსპექტივა აქვს – თავად წარმოდგენილი ინოვაციის სახის, პრობლემის გადაწყვეტის პრაქტიკული მნიშვნელობისა და მისი განხორციელების მისაღები ღირებულებიდან გამომდინარე. ვიდრე ამ ახალი ტიპის ტალღაშემარბილებელ ჰიდროტექნიკურ ნაგებობას მსოფლიო გამოიყენებს, უპირიანი იქნება მისი სიკეთით ჯერ საკუთარ ქვეყანაში ვისარგებლოთ. იმედს ვიტოვებთ, რომ შესაბამისი სტუქტურები პირველ რიგში ბათუმის, ფოთისა და ურეკის საკურორტო ზონების პირობებში აღნიშნული ინოვაციური ტექნოლოგიის დანერგვით დაინტერესდებიან.

პროექტის სამეცნიერო-შემოქმედებითი ჯგუფის ინტელექტუალური პოტენციალი და გამოცდილება მისი უცილობელი განხორციელების გარანტიას იძლევა [4].

### **3. დასკვნა**

შემოთავაზებულია ზღვის სანაპირო ზოლის ნაპირდამცავი ინოვაციური ტიპის ეფექტური მცურავი ტალღაშემარბილებელი ნაგებობა-მოწყობილობების გამოყენების თეორიული საფუძვლები და პრაქტიკული რეალიზაციის გზები. ინოვაციური ტექნოლოგია, კერძოდ, შეიძლება რეკომენდებულ იქნას შავი ზღვის სანაპირო-რეკრეაციულ ზოლის მიმდებარე ტერიტორიების (ბათუმის, ფოთის და ა.შ.) ეკოლოგიური დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, იმ ტერიტორიებზე, სადაც ინტენსიურად აღინიშნება სანაპირო-რეკრეაციული



**Nodar Chkeidze** (*Batumi, Georgia*)  
**Giorgi Berdzenashvili** (*Tbilisi, Georgia*)  
**Zaur Tsikhelashvili** (*Tbilisi, Georgia*)

**Using of Batumi Coast Defenses Floating Device,  
its Theoretical Fundamentals and Practical Implement Ways**

Summary

Sea shore protection offered innovative types of effective theoretical basis and practical use of facilities wave energy toning devices sailing practice. Innovative technology, in particular, can be recommended for the Black Sea.

Recreational beach-adjacent areas (Batumi, Poti, etc.), environmental protection and security in the areas where recreational activities include beach-bar (and the beach) elution is irreversible, floods and more. The innovative use of teqnologiis also be possible to open ports on a vast area of fencing.



**კრებულის ავტორები**  
**Authors of the Articles**

**აბაშიძე რომანი** (ბათუმი, საქართველო)

განათლების დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

**Abashidze Romani** (Batumi, Georgia)

PhD in Pedagogy, Professor of St. Tbel Abuserisdze Teaching University of Georgian Patriarchate

**აზმაიფარაშვილი მაია** (გორი, საქართველო)

ეკოლოგიის დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპოდენტი (ეკოლოგიის დეპარტამენტი)

**Azmaiparashvili Maia** (Gori, Georgia)

PhD in Ecology, Associate Professor of Gori State Teaching University, Correspondent Member of Georgian Engineering Academy (Ecology Department)

**ართმელაძე მიხეილი** (ბათუმი, საქართველო)

მედიცინის დოქტორი

**Artmeladze Mikheil** (Batumi, Georgia)

Doctor of Medicine

**აფხაზავა დურმიშხანი** (ყაზანი, რუსეთი)

ყაზანის (ვოლგისპირეთის რეგიონის) ფედერალური უნივერსიტეტის საერთაშორისო და ევროპული სამართლის კათედრის ასისტენტი  
( , )

( )

**Afkhazava Durmishkhan** (Kazan, Russia)

Assistant to Department of the International and European Law Kazan (Volga region) Federal University

**ახვლედიანი ნარგიზი** (ბათუმი, საქართველო)

ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიის და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

**Akhvlediani Nargizi** (Batumi, Georgia)

PhD in Philology, Senior Researcher of Department of Folklore, Dialectology and Emigrant Literature Research, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University

**ბარამიძე ირაკლი** (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნი-

ვერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**Baramidze Irakli** (Batumi, Georgia)

PhD in History, Associate Professor of Batumi Shota Rustaveli State University

**ბელთაძე იზოლდა** (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**Beltadze Izolda** (Batumi, Georgia)

Doctor of Historical Sciences, Associate Professor of Batumi Shota Rustaveli State University

**ბერძენაშვილი გიორგი** (თბილისი, საქართველო)

ტექნიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

**Berdzenashvili Giorgi** (Tbilisi, Georgia)

Doctor of Techniques, Professor of Georgian Technical University

**გაბესკირია ციციანო** (თბილისი, საქართველო)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მთარგმნელთა ჯგუფის ხელმძღვანელი, თსუ ინგლისური ენის კათედრის პედაგოგი, სდასუ-ს ინგლისური ენის კათედრის გამგე

**Gabeskiria Tsitsino** (Tbilisi, Georgia)

Head of Translators' Group at the I.Vekua Institute of Applied Mathematics of TSU  
Professor at the Chair of the English Language of TSU  
Head of the Chair of the English Language at SDASU (David Agmashenebeli University of Georgia)

**გელაშვილი გია** (თბილისი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

**Gelashvili Gia** (Tbilisi, Georgia)

PhD in History, Principal Researcher of Department of Modern and Contemporary History, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**გიგუაშვილი გიული** (გორი, საქართველო)

ეკონომიკის დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

**Giguashvili Giuli** (Gori, Georgia)

PhD in Economics, Professor of Gori State Teaching University

**გიორგაძე პაატა** (თბილისი, საქართველო)

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

**Giorgadze Paata** (Tbilisi, Georgia)

Doctor of Technical Sciences, Academician of Georgian Engineering Academy, Professor of Georgian Technical University

**გოგოლაძე თამარი** (გორი, საქართველო)

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

**Gogoladze Tamari** (Gori, Georgia)

Doctor of Philological Sciences, Professor of Gori State Teaching University

**გოგოლიშვილი ოთარი** (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

**Gogolishvili Otari** (Batumi, Georgia)

Doctor of Historical Sciences, Professor of Batumi Shota Rustaveli State University

**გუგუნავა ნანი** (ბათუმი, საქართველო)

პედაგოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

**Gugunava Nani** (Batumi, Georgia)

Doctor of Pedagogical Sciences, Principal Researcher, Department of Folklore and Dialectology, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University

**დიასამიძე ბიჭიკო** (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუსი პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი

**Diasamidze Bichiko** (Batumi, Georgia)

Doctor of Historical Sciences, Professor Emeritus, Head of Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University

**დიასამიძე ხათუნა** (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, კუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე

**Khatuna Diasamidze** (Batumi, Georgia)

PhD in History, Assistant Professor of Department of History, Archeology and Ethnology, Deputy-dean at Faculty of Humanities, Batumi Shota Rustaveli State University

**ვარშალომიძე ირინე** (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი

**Varshalomidze Irine** (Batumi, Georgia)

PhD in History, Researcher, Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University

**ვაშაძე შორენა** (ბათუმი, საქართველო)

მედიცინის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**Shorena Vashadze** (Batumi, Georgia)

Doctor of Medicine, Associate Professor of Batumi Shota Rustaveli State University

**ვაჭრიძე გოდერძი** (ქუთაისი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**Vachridze Goderdzi** (Kutaisi, Georgia)

PhD in History, Associate Professor of Kutaisi Akaki Tsereteli State University

**ზოიძე თემური** (ბათუმი, საქართველო)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი, ტურისტული სააგენტოს „აბ ვიზიტ აჯარა“ გენერალური დირექტორი, ტრენინგების საერთაშორისო ცენტრის ტრენერი

**Temur Zoidze** (Batumi, Georgia)

Georgian Technical University Doctoral Student, General Director of Tourist Company „AB Visit Adjara” International Training Center Trainer

**ზოიძე ინგა** (ბათუმი, საქართველო)

მასობრივი კომუნიკაციის დოქტორი

**Zoidze Inga** (Batumi, Georgia)

Doctor of Mass Communication

**ზოიძე შოთა** (ბათუმი, საქართველო)

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუსი პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიის და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

**Zoidze Shota** (Batumi, Georgia)

Doctor of Philological Sciences, Professor Emeritus, Principal Researcher, Department of Folklore, Dialectology and Emigrant Literature Research, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University

**ზოსიძე ნუგზარი** (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

**Zosidze Nugzar** (Batumi, Georgia)

PhD in History, Professor of St. Tbel Abuserisdze Teaching University of Georgian Patriarchate

**თავბერიძე თეა** (ბათუმი, საქართველო)

ფილოლოგიის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

**Tavberidze Tea** (Batumi, Georgia)

PhD in Philology, Professor of St. Tbel Abuserisdze Teaching University of Georgian Patriarchate

**თურმანიძე მირანდა** (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელი

**Turmanidze Miranda** (Batumi, Georgia)

PhD in History, Researcher of the Batumi Archaeological Museum

**თურმანიძე ოთარი** (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

**Turmanidze Otari** (Batumi, Georgia)

Doctor of Historical Sciences, Principal Researcher of Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University

**კახიძე ნოდარი** (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების უფროსი

**Kakhidze Nodar** (Batumi, Georgia)

Doctor of Historical Sciences, Head of the Department of Ethnology and Sociological Research, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University

**კობერიძე მარიამი** (გორი, საქართველო)

ფილოლოგიის დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

**Koberidze Mariami** (Gori, Georgia)

PhD in Philology, Professor of Gori State Teaching University

**კუპრაშვილი სულხანი** (ქუთაისი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, პროფესორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

**kuprashvili Sulkhani** (Kutaisi, Georgia)

PhD in History, Professor, Head of the Department of History and Archaeology at Kutaisi Akaki Tsereteli State University

**ლომთათიძე თამილა** (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

**Lomtadze Tamila** (Batumi, Georgia)

PhD in History, Senior Researcher of Department of Ethnology and Sociological Research, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University

**ლორთქიფანიძე გურამი** (თბილისი, საქართველო)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსი პროფესორი, ისრაელის ცენტრის ხელმძღვანელი, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

**Lortkipanidze Guram** (Tbilisi, Georgia)

Professor Emeritus of the Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Head of the Israel Center, Correspondent Member of the National Academy of Sciences

**მაღაყმაძე როინი** (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

**Malakmadze Roini** (Batumi, Georgia)

PhD in History, Director of Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University; Professor of St. Tbel Abuserisdze Teaching University of Georgian Patriarchate

**მამულაძე სულხან** (ბათუმი, საქართველო)

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი

**Mamuladze Sul Khan** (Batumi, Georgia)

Graduate Student, Batumi Shota Rustaveli State University

**მგელაძე ნუგზარი** (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**Mgeladze Nugzari** (Batumi, Georgia)

Doctor of Historical Sciences, Professor, Batumi Shota Rustaveli State University

**მეგრელიშვილი მერაბი** (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**Megrelishvili Merab** (Batumi, Georgia)

PhD in History, Batumi Shota Rustaveli State University

**მეტრეველი როინი** (თბილისი, საქართველო)

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

**Roin Metreveli** (Tbilisi, Georgia)

Academician of the Georgian National Academy of Sciences, Vice-President

**მიქელაძე ნაილე** (ბათუმი, საქართველო)

ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიის და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი; საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი

**Mikeladze Naile** (Batumi, Georgia)

PhD in Philology, Senior Researcher of Department of Folklore, Dialectology and Emigrant Literature Research, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University; Professor of St. Tbel Abuserisdze Teaching University of Georgian Patriarchate

**ნაკაიძე ლიანა** (თბილისი, საქართველო)

ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, პეტრე მელიქიშვილის პრემიის ლაურეატი

**Nakaidze Liana** (Tbilisi, Georgia)

Doctor of History, Israel Study Center, Scientist

**ნიკოლეიშვილი ავთანდილი** (ქუთაისი, საქართველო)

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

**Nikoleishvili Avtandili** (Kutaisi, Georgia)

Doctor of Philological Sciences, Professor, Head of Department of Georgian Philology, Kutaisi Akaki Tsereteli State University

**ნიკოლეიშვილი ოთარი** (ქუთაისი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**Nikoleishvili Otari** (Kutaisi, Georgia)

PhD in History, Associate Professor, Kutaisi Akaki Tsereteli State University

**ნიქაბაძე ნონა** (ბურსა, თურქეთი)

ულუდაღის უნივერსიტეტის მაგისტრანტი

**Nikabadze Nona** (Bursa, Turkey)

Master Degree student of Uludag University

**ნოღაიდელი ნანული** (ბათუმი, საქართველო)

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორისა დიალექტოლოგიის და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი

**Nogaideli Nanuli** (Batumi, Georgia)

Researcher, Department of Folklore, Dialectology and Emigrant Literature Research, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University

**ოფირი-ეფრემაშვილი იაკობი** (იერუსალიმი, ისრაელი)

ისტორიის დოქტორი, ისრაელის კვლევის ცენტრი, მკვლევარი

**Opir-Epremashvili Iacob** (Jerusalem, Israel)

Phd in History, Israeli Research Center, Researcher

**ოქროპირიძე უჩა** (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი; საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

**Okropiridze Ucha** (Batumi, Georgia)

PhD in History, Principal Researcher of Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University; Professor of St. Tbel Abuserisdze Teaching University of Georgian Patriarchate

**პავლიაშვილი ქეთევანი** (თბილისი, საქართველო)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

**Pavliashvili Ketevani** (Tbilisi, Georgia)

Doctor of Historical Sciences, Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University; Professor of Georgian Technical University

**სარალიძე ლელა** (თბილისი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

**Saralidze Lela** (Tbilisi, Georgia)

PhD in History, Senior Researcher of Department of Modern and Contemporary History, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Ivane Javakhishvili Tbilisi State University



**სურმანიძე რამაზი** (ბათუმი, საქართველო)

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბათუმის სამედიცინო-ეკოლოგიური ინსტიტუტის რექტორი

**Surmanidze Ramazi** (Batumi, Georgia)

Doctor of Medical Sciences, Professor, Rector, Batumi Medical-Ecological Institute

**ტუნაძე თემური** (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

**Tunadze Temuri** (Batumi, Georgia)

PhD in History, Professor of St. Tbel Abuserisdze Teaching University of Georgian Patriarchate

**ტყეშელაშვილი ზვიადი** (თბილისი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი

**Tkeshelashvili Zviadi** (Tbilisi, Georgia)

PhD in History, Professor of The Queens' Tamar University of Georgian Patriarchate

**უზუნაძე რევაზი** (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, პროფესორი

**Uzunadze Revaz** (Batumi, Georgia)

PhD in History, Professor

**ფუტკარაძე ელზა** (ბათუმი, საქართველო)

ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიის და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი; საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

**Phutkaradze Elza** (Batumi, Georgia)

Doctor of Philology, Principal Researcher, Department of Folklore, Dialectology and Emigrant Literature Research, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University; Professor of St. Tbel Abuserisdze Teaching University of Georgian Patriarchate

**ფუტკარაძე შორენა** (ბათუმი, საქართველო)

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიის და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების სპეციალისტი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი

**Phutkaradze Shorena** (Batumi, Georgia)

Doctoral Student at Faculty of Humanities, Batumi Shota Rustaveli State University; Specialist of Department of Folklore, Dialectology and Emigrant Literature Research, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State

**ფუტკარაძე შუშანა** (ბათუმი, საქართველო)

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუსი პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიის და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების უფროსი

**Phutkaradze Shushana** (Batumi, Georgia)

Doctor of Philological Sciences, Emeritus Professor, Head of Department of Folklore, Dialectology and Emigrant Literature Research, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University

**ქამადაძე კახაბერ** (ბათუმი, საქართველო)

გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალის მეცნიერი თანამშრომელი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი

**Kamadadze Kakhaber** (Batumi, Georgia)

Researcher of the Gonio-Apsarus Museum-Reserve; Doctoral Student at the Faculty of Humanities, Batumi Shota Rustaveli State University

**ქარცივაძე მაია** (ხარკოვი, უკრაინა)

ხარკოვის სამედიცინის აკადემიის (XMAPO) კლინიკური ორდინატურის რეზიდენტი დერმატოლოგიის სპეციალობით

**Kartsivadze Maya** (Kharkov, Ukraina)

Clinic Residency Resident in Specializing of Dermatology at Kharkov Medical Academy

**შენოლი ერდორანი** (საქარია, თურქეთი)

საქარიას უნივერსიტეტის მაგისტრანტი

**Senol Erdoran** (Sakaria, Turkey)

MA student at Sakaria University

**შიოშვილი თინა** (ბათუმი, საქართველო)

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

**Shioshvili Tina** (Batumi, Georgia)

Doctor of Philological Sciences, Professor of Batumi Shota Rustaveli State University

**ჩელევაძე ნაილა** (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი; საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

**Chelebadze Naila** (Batumi, Georgia)

PhD in History, Senior Researcher of Department of Ethnology and Sociological Research, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University; Professor of St. Tbel Abuserisdze Teaching University of Georgian Patriarchate

**ჩხატარაშვილი გურამი** (ბათუმი, საქართველო)

ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი

**Chkhatarashvili Guram** (Batumi, Georgia)

Researcher of the Batumi Archaeological Museum, Doctoral Student at the Faculty of Humanities, Batumi Shota Rustaveli State University

**ჩხეიძე ნოდარი** (ბათუმი, საქართველო)

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საიჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

**Chkeidze Nodari** (Batumi, Georgia)

Doctor of Technical Sciences, Academician of the Academy of Engineering, Professor of the Batumi Rustaveli State University

**ციხელაშვილი ზაური** (თბილისი, საქართველო)

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საიჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

**Tsikhelashvili Zaur** (Tbilisi, Georgia)

Doctor of Technical Sciences, Academician of the Academy of Engineering, Professor of the Georgian Technical University

**ჭიჭილაშვილი მაია** (ბათუმი, საქართველო)

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

**Chichileishvili Maia** (Batumi, Georgia)

PhD in Art Criticism, Senior Researcher, Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University; Professor of Batumi Art Teaching University

**ჭუმბურიძე დოდო** (თბილისი, საქართველო)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორი-

ისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ასალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

**Chumburidze Dodo** (Tbilisi, Georgia)

Doctor of Historical Sciences, Principal Researcher of Department of Modern and Contemporary History, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**ჯიბაშვილი ოლეგი** (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი; საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი

**Jibashvili Olegi** (Batumi, Georgia)

PhD in History, Senior Researcher of Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University; Professor of St. Tbel Abuseridze Teaching University of Georgian Patriarchate

გამომცემლობის დირექტორი – ნანა ხახუტაიშვილი  
გამომცემლობის რედაქტორი – ლალი კონცელიძე  
ტექნიკური რედაქტორი – ელჟარდ ანანიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 19.12.2016  
ქაღალდის ზომა 60X84 1/16  
ფიზიკური თაბახი 28.8  
ტირაჟი 60

დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტამბაში  

---

ქ. ბათუმი, ნინოშვილის 35